

**დოკუმენტური წყაროები
XVII საუკუნის I ნახევრის
ქართლისა და კახეთის მეფეების
შესახებ**

I



ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის (FR17-554) ფარგლებში. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და შესაძლებელია, არ ასახავდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებას.

რედაქტორი: მზია სურგულაძე

თარგმანი: რუსუდან ლაბაძე

დიზაინი და დაკაბადონება: დავით კვინტრაძე

ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმით და საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოპირის გადაღებით და მაგნიტურ მოწყობილობაზე ჩაწერით, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას უფლებების მფლობელთა წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

დაიბეჭდა: გამომცემლობა “ნათლისმცემელი“

ISBN 978-9941-9677-7-1 (ორივე ნაწილის)

ISBN 978-9941-9677-8-8 (პირველი ნაწილის)



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

დოკუმენტური წყაროები

(სიგელები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ხელნაწერთა კოლოფონები)

XVII საუკუნის I ნახევრის

ქართლისა და კახეთის მეფეების

(გიორგი X, ლუარსაბ II, ბაგრატ VII, სვიმონ II, თეიმურაზ I)

შესახებ

(წყაროების პუბლიკაცია და გამოკვლევა)

I

Documentary Sources

(Deeds, Epigraphic Inscriptions, Colophons)

of the First Half of the 17th century

about the Kings of Kartli and Kakheti

(Giorgi X, Luarsab II, Bagrat VII, Svimon II, Teimuraz I)

(research and publication of sources)

I

ავტორები:

ქართველიშვილი თეა (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი)

ბაინდურაშვილი ხათუნა, გელაშვილი ირაკლი, გოგოლაძე თამაზ,
შაორშაძე მათა, ჯოჯუა თემო

რედაქტორი მზია სურგულაძე

თბილისი 2019

შესავალი

(საისტორიო მიმოხილვა)

XVII საუკუნის I ნახევარი სტაგნაციის პერიოდია საქართველოს ისტორიაში. სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქვეყანაში სამი დიდი დამპყრობელის (ოსმალები, სეფიანები, რუსეთი) ინტერესი ეჯახებოდა ერთმანეთს. სამხედრო დაპირისპირება, ძირითადად, ოსმალებსა და ირანს შორის მიმდინარეობდა. რაც შეეხება რუსეთს, იგი მხოლოდ დიპლომატიური საქმიანობით იფარგლებოდა, თუმცა მისი გამოჩენა ამიერკავკასიაში იმდენად გამაღიზიანებელი იყო, რომ ხშირ შემთხვევაში აღმოსავლური იმპერიების აგრესიის ინსპირირებას იწვევდა. საგარეო შემოსევების პარალელურად ქვეყნის განვითარებას აფერხებდა კრიზისში შესული ფეოდალური დაჩიხულობა. ერთადერთ მიზნად თავის გადარჩენა, არსებობის შენარჩუნება რჩებოდა.

XVII საუკუნის დასაწყისისთვის ოსმალთა მხრიდან ამასიის ზავი დარღვეული იყო და ისინი აღმოსავლეთ საქართველოშიც ინარჩუნებდნენ პოზიციებს. ირანის მმართველი აბას I შურისძიებისთვის ემზადებოდა და ბრძოლას იწყებდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ოსმალთა გასაძევებლად. ქართლის მეფე სიმონ I სტამბულში იყო დატყვევებული. 1600 წელს ქართლის ტახტი მისმა შვილმა, გიორგი X-მ დაიკავა. კახეთს კი უკვე ასაკში შესული ალექსანდრე II მართავდა. 1603 წელს შაჰ აბას I-მა ომი გამოუცხადა ოსმალებს და სოფ. სუფიანთან მოპოვებული წარმატების შემდეგ ერევნის ციხე-სიმაგრეში ოსმალთა მთავარ გარნიზონს შეუტია. მან ლაშქრით იხმო თავისი ვასალები: გიორგი X და ალექსანდრე II. ერევნის ციხესთან გამარჯვებულ შაჰს უკვე შეეძლო ეზრუნა ქართლსა და კახეთში სრული ბატონობის დამყარებისთვის. მან ქართველ მეფეებს ირანში უბოძა პროვინციები და ჯამაგირი დაუნიშნა, რაც, სინამდვილეში, მათი ირანელ მოხელეებად გადაქცევის ცდა იყო (გაბაშვილი, 1958: გვ. 376). ამასთან, ქართლისა და კახეთის სრული დამორჩილებისთვის ლაშქრობების დაწყებამდე ორივე სამეფოს სასაზღვრო ტერიტორიები ჩამოართვა, ქართლს – ლორე და მდ. დებედას ხეობა (ლორეში დასვა გამუსლიმებული ფეოდალი – მირიმანიძე, დებედას ხეობაში ჩაასახლა “ბორჩაღუს“ თურქმანული ტომი და აღჯაყაღის ირანელ ციხისთავს დაუქვემდებარა), კახეთს კი – კაკენისელი, იგივე საინგილო (გამუსლიმებულ კახელ თავადს გადასცეს). ამით შაჰმა სამი მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა: 1. ქართლს მოურღვია სამხრეთი კედელი, კახეთს კი აღმოსავლეთი და ქვეყანაში შესატრელი გზები

წიგნში „დოკუმენტური წყაროები (სიგელები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ხელნაწერთა კოლოფონები) XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ“ წარმოდგენილია მეფეების: გიორგი X-ის, ლუარსაბ II-ის, ბაგრატ-ხანის, სიმონ-ხანის, თეიმურაზ I-ის ქრონოლოგიურად დალაგებული საისტორიო საბუთები, ეპიგრაფიკული ძეგლები და ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები. ტექსტები გამართულია აკადემიური სტანდარტით, ერთვის სათანადო სამეცნიერო აპარატი. წყაროებს დართული აქვს კომენტარები.

დოკუმენტური წყაროები უხვ ცნობებს გვაწვდის მოცემულ პერიოდში ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მათ საფუძველზე გამოვლინდა არაერთი უცნობი ფაქტი.

გაითავისუფლა, 2. ქართველთათვის სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორიები ირანელთა დასაყრდენად აქცია, 3. მიითვისა საკმაოდ დიდი ტერიტორია, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილის დაბრუნება შეძლო ქართველობამ უკვე უცხოტომელებით აჭრელებული და ასიმილირებული ქართველებითურთ.

1606 წელს გარდაიცვალა გიორგი X და ტახტი დაიკავა მისმა 14 წლის მემკვიდრემ, ლუარსაბ II-მ, რომელსაც დედამისი, დედოფალი თამარი მეურვეობდა. 1606 წელსვე კახეთის ტახტზე ავიდა 13 წლის თეიმურაზ I, რომლის რეგენტიც მისი დედა, დედოფალი ქეთევანი იყო. შაჰ აბასმა ოსმალებთან ბრძოლაში წარმატებებს მიაღწია, აიღო ყარაბაღი და განჯა, ქართლში შეიჭრა და ლორესა და დმანისის ციხეებიდან ოსმალები განდევნა. უბრძოლველად დანებებული თბილისის ციხის ოსმალური გარნიზონი ირანულმა შეცვალა. ოსმალო დამპყრობლები ყიზილბაშებმა ჩაანაცვლეს. ოსმალებმა სცადეს თავიანთი გავლენის აღდგენა ქართლზე და 1609 წელს ქვეყანა დალაშქრეს. მათ მეფის შეპყრობა სურდათ, თუმცა თევდორე მღვდლის თავგანწირვამ ლუარსაბ II დატყვევებას გადაარჩინა. ქართველებმა ჯარის შეკრება მოასწრეს და გიორგი სააკაძის მეთაურობით ტაშისკართან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ოსმალებს არც შემახას ციხე-სიმაგრესთან ბრძოლაში გაუმართლდათ. შაჰ აბასმა მოახერხა მისი აღება და, ფაქტობრივად, აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან მთლიანად გააძევა ოსმალები.

1612 წლის 20 ნოემბერს სტამბოლში ოსმალებსა და სეფიანებს შორის ზავი დაიდო, რომლის ძალითაც აღდგა ამასიის ზავის პირობები, მხოლოდ აღმოსავლეთ სამცხე ოსმალებს ერგოთ. შაჰ აბასს უკვე შეეძლო ქართლ-კახეთის მიმართ თავისი გეგმები განეხორციელებინა. მან 1612 წელს ნადირობის საბაბით თავისთან დაიბარა ლუარსაბ II და თეიმურაზ I. მეფეები არ ეახლნენ, რაც საკმარისი მიზეზი აღმოჩნდა შაჰისთვის, რომ ურჩი ვასალები დაესაჯა. 1613 წლის 16 ოქტომბერს ირანელთა ლაშქარი დაიძრა საქართველოსკენ. შაჰი განჯაში დაბანაკდა და თეიმურაზს მძევლად მოსთხოვა შვილები. თეიმურაზმა უმცროსი ვაჟი და დედა, დედოფალი ქეთევანი გაუგზავნა, თუმცა შაჰის მოთხოვნით იძულებული გახდა, რომ უფროსი ვაჟი – ლევანიც გაეგზავნა. თავად თეიმურაზი არ ეახლა შაჰს და ბრძოლისთვის მზადება დაიწყო. შაჰმა თავისი ლაშქარი ორად გაყო. ერთი ნაწილი თბილისის მხრიდან, მეორე კი – ქიზიყის მხრიდან შეიჭრა კახეთში. ალყაში მოქცეულმა თეიმურაზმა ქართლში გადასვლადა მოახერხა, თუმცა ლუარსაბსაც არ შესწევდა ირანელებთან შებრძოლების ძალა და ორივე იმერეთში გადაიხვეწა. შაჰმა დაიკავა კახეთის დედაქალაქი გრემი, ალავერდის ტაძარი, რომლის გალავანიც

ციხე-სიმაგრედ აქციეს და თავიანთი ჯარი ჩააყენეს. გაძარცვეს მთელი კახეთი, მათ შორის თორღას ციხეში დაცული სამეფო განძეულობაც, მოსახლეობა ტყვედ წაიყვანეს ირანში. შაჰმა კახეთის მმართველად დანიშნა გამუსლიმებული ისა-ხანი (ალექსანდრე II-ის ვაჟის გიორგის მემკვიდრე), რომელიც ირანში იყო გაზრდილი. მას ვეჭილად დაუყენეს დავით ჯანდიერი (ასლანიშვილი).

კახეთიდან აბას I ქართლში გადავიდა. გორისა და სურამის ციხეებში ყიზილბაშთა გარნიზონი ჩააყენა. დიდი მცდელობის შემდეგ მხოლოდ ლუარსაბ II-ის ჩამოტყუება მოახერხა და ნადირობის საბაბით ყარაიაში წაიყვანა, მოგვიანებით კი დაატყვევა.

1615 წელს ოსმალო ლაშქარი დაიძრა ირანელთა წინააღმდეგ. ეს თეიმურაზ I-მა აჯანყების დასაწყებად შესაფერის დროდ მიიჩნია. 1615 წლის 15 სექტემბერს, ალავერდობა დღეს, კახელები დავით ჯანდიერის მეთაურობით აჯანყდნენ, მათ შეუერთდა იმერეთიდან ჩასული თეიმურაზიც. აჯანყებამ იფეთქა შირვანშიც. მათი წარმატება შეაფერხა ოსმალო სარდლობის უნიათობამ, რომელთაც ომის დაწყება გადადეს. ცხადია, შაჰს საშუალება მიეცა, მშვიდად გასწორებოდა აჯანყებულებს. მან ლაშქარი ქართლში გამოგზავნა, რათა გზა შეეკრათ თეიმურაზისთვის, თუ კვლავ მონიდომებდა იმერეთში გადასვლას, მაგრამ თეიმურაზმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. 1616 წელს შაჰ აბასი ახალი ლაშქარით წამოვიდა და თბილისში დაბანაკდა. მან ქართლის მმართველად დასვა გამაჰმადიანებული ბაგრატ-ხანი (დაუდ-ხანის შვილი). ირანელთა ლაშქარი სხვადასხვა მხრიდან შეესია კახეთს. თეიმურაზმა კვლავ იმერეთში გახიზვნა ამჯობინა. კახელები თვგანწირულად ებრძოდნენ შაჰის ლაშქარს და უბრძოლველად არცერთ სოფელს არ თმობდნენ. მთელი კახეთი ნანგრევებად იქცა. შაჰმა ოსმალებთან მდგომარეობის გართულების გამო დატოვა კახეთი, თუმცა მათ დაუზავდა და კვლავ მოიცალა ქართლ-კახეთისთვის. იმერეთიდან დაბრუნებულმა დავით ჯანდიერმა, თამაზ ვაჩნაძემ და დელუ-მელიქმა (შირვანელთა აჯანყების მეთაური) ციხე-სიმაგრეების აღდგენა დაიწყეს, გაფანტულ მოსახლეობას თავი მოუყარეს და განჯის სახანოს ნაწილიც ააჯანყეს. ირანელთა სადამსჯელო ექსპედიციამაც არ დაახანა და ისა-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით კახეთში შეიჭრნენ, ააოხრეს და ათასობით ადამიანი ტყვედ წაიყვანეს. 1617 წელს ახალი ლაშქრობა მოაწყო შაჰ აბასმა. მან კახეთი ორად გაყო. ივრის აღმოსავლეთი მხარე განჯის მმართველს, ფეიქარ-ხანს ჩააბარა, ხოლო დასავლეთი ბაგრატ-ხანს გადასცა. დაცარიელებულ კახეთში თურქმანული ტომები ჩამოასახლა.

ბაგრატ-ხანის ხელისფლება, ძირითადად, ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა,

ამიტომ მას “საბარათიანოს ბატონს“ უწოდებდნენ. თვითონაც ბოლნისში ცხოვრობდა. მართალია, ქართული წყაროები მას მეფის ტიტულით იხსენიებენ, თუმცა ირანის მოხელე ხანი იყო. 1619 წელს ბაგრატი გარდაიცვალა და მეფედ შაჰ აბასმა მისი ვაჟი – გამუსლიმებული სვიმონი დაადგინა. რაკი სვიმონი მცირეწლოვანი იყო, მას მეურვეობდა დედამისი, დედოფალი ანა, ხოლო 1620 წელს აბასმა ვეჭილად დაუნიშნა გიორგი სააკაძე. იგი ქართლის რეალური მმართველი გახდა.

კახეთიდან გაძევებული თეიმურაზი ოსმალეთში წავიდა. 1618 წელს, იგი თავის მსლებელ კახელებთან ერთად მონაწილეობდა ოსმალთა ლაშქრობაში და ირანშიც შეიჭრა, თუმცა ოსმალები დამარცხდნენ და 1612 წლის ზაგის პირობები აღადგინეს. თეიმურაზმა დახმარება რუსეთსაც სთხოვა, მაგრამ ამაოდ.

1620 წელს შაჰმა დაასაჭურისა თეიმურაზის ვაჟები. ალექსანდრე გარდაიცვალა, ლევანი კი ჭკუიდან შეიშალა. 1622 წელს გულაბის ციხეში დატყვევებული ლუარსაბ II დაახრჩვეს. 1624 წელს გაუგონარი სისასტიკით აწამეს თეიმურაზის დედა, დედოფალი ქეთევანი. 1625 წელს კახელების საბოლოოდ გაწვევების მიზნით შაჰმა ლაშქარი შეკრიბა, რომელსაც ყარჩიხა-ხანი უსარდლა, გიორგი სააკაძე კი მრჩეველად დაუნიშნა (გიორგი სააკაძე და ზურაბ არაგვის ერისთავი 1624 წლის ბოლოს ირანში იყვნენ გაწვევულები). გიორგი სააკაძეს ქართველთა მხარეს საბოლოოდ მას შემდეგ დადგა, რაც აბასის წერილი ჩაუვარდა ხელში, სადაც მის მოკვლას უბრძანებდა შაჰი ყარჩიხა-ხანს. 1625 წლის 25 მარტს, მარტყოფის ველზე დაბანაკებულ ირანელებს თავს დაესხნენ ქართველები და მტერი ერთიანად გაწვევით (30 ათასი მოლაშქრიდან 3 ათასმა უშველა თავს). სვიმონ-ხანმა თბილისის ციხეში შესვლა ვერ მოასწრო და აღჯაყალას ციხეში გამაგრდა, ხოლო ფეიქარ-ხანი კახეთიდან გაიქცა. აჯანყებულებმა მისი რეზიდენცია – ხორნაბუჯის ციხე აიღეს და ყიზილბაშები განჯა-ყარაბაღშიც დაარბიეს. სააკაძემ მხოლოდ თბილისის აღება ვერ შეძლო. ქართველებმა გონიოდან მოიწვიეს მეფე თეიმურაზ I, რომელიც ქართლისა და კახეთის გაერთიანებულ სამეფოს ჩაუდგა სათავეში. ცხადია, შაჰ აბასი შურის საძიებლად მოემზადა. მან 1625 წლის ივნისში ისა-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით მრავალრიცხოვანი ჯარი გამოგზავნა ქართლში. ბრძოლა 1 ივლისს მოხდა მარაბდის ველზე, სადაც თითქმის გამარჯვებული ქართველები დამარცხდნენ, თუმცა არც ირანელთა წარმატება იყო სრულყოფილი, რადგან ქართლში დარჩენილი მათი ნაწილები მთლიანად გაანადგურა გიორგი სააკაძემ (ამ ოპერაციას ირანელთა 30 ათასი კაცი ემსხვერპლა). ყიზილბაშთა გარნიზონები თბილისისა და ქართლის სხვა ციხეებში ჩადგნენ. ქართლში ისევ აღადგინეს სვიმონ

II-ის მმართველობა. თეიმურაზ I იმერეთში გადავიდა, სააკაძე კი – სამცხეში. მათ ძალები მოიკრიბეს და ქართლში გადმოსულებმა მტერს შეუტყეს. მალე მეფესა და მოურავს შორის ურთიერთობა გამწვავდა, რამაც ქართლის თავადების გაყოფა გამოიწვია. განხეთქილება საბოლოოდ ბაზალეთის ბრძოლით დამთავრდა (1626 წელი). სააკაძე დამარცხდა და ოსმალეთში გადაიხვეწა, სადაც 1629 წელს მსლებლებლთან ერთად ვერაგულად მოკლეს.

ბაზალეთის ბრძოლის შემდეგ ქართლში ორხელისუფლებიანობა დამყარდა. შიდა ქართლს თეიმურაზ I განაგებდა, თბილისს და ქვემო ქართლს კი – სვიმონ-ხანი. თეიმურაზსვე ემორჩილებოდა კახეთი. შაჰ აბასი კომპრომისზე წავიდა და სცნო თეიმურაზის ხელისუფლება (თუმცა სვიმონი არ გადაუყენებია). თეიმურაზმა კი თავი შაჰის ვასალად აღიარა. 1630 წელს უზომოდ გაძლიერებულმა ზურაბ არაგვის ერისთავმა მოკლა სვიმონ-ხანი, რის შემდეგაც თეიმურაზი კვლავ ქართლ-კახეთის მეფე გახდა, მხოლოდ თბილისი და მის ციხეში მდგომი ირანელთა გარნიზონი არ ექვემდებარებოდა მას. მალე თეიმურაზსა და ზურაბ ერისთავს შორის დაიძაბა ურთიერთობა და მეფის ბრძანებით ზურაბი სიცოცხლეს გამოასალმეს. მისი, როგორც სვიმონ-ხანის მკვლელის, მოკვეთილი თავი შაჰს გაუგზავნეს.

1629 წელს გარდაიცვალა აბას I. შაჰის კარზე ორი ქართული დაჯგუფება აღმოჩნდა: უნდილაძეები (იმამყული-ხანი და დაუდ-ხანი) და ხოსრო-მირზა (როსტომ-ხანი). თეიმურაზი უნდილაძეების მხარეს იყოს (დაუდ-ხანი იყო თეიმურაზ I-ის სიძე). მან დაუდ-ხანთან ერთად 1632 წელს დაარბია განჯა-ყარაბაღი. ეს შაჰის წინააღმდეგ აჯანყებას უდრიდა. სეფი I-მა იმამყული-ხან უნდილაძე ოჯახიანად სიკვიდილით დასაჯა. დაუდ-ხანი თეიმურაზთან იმყოფებოდა და შაჰის მოთხოვნის მიუხედავად, თეიმურაზმა იგი არ გასცა. შაჰმა მას მეფობა ჩამოართვა – კახეთი სელიმ-ხანს, ხოლო ქართლი როსტომ-ხანს გადასცა. თეიმურაზს ქართლის თავადებმა არ დაუჭირეს მხარი. მან ვერ შეძლო როსტომთან შებრძოლება და იმერეთში გადავიდა. 1634 წელს ზაალ არაგვის ერისთავის მიწვევით თეიმურაზი ქართლში ჩავიდა. იესე ქსნის ერისთავისა და კახი ფეოდალების დახმარებით როსტომს შეებრძოლა, მაგრამ დამარცხდა. იგი ამჯერად კახეთში გადავიდა და იქაურობა დაიკავა. როსტომს ირანელთა მაშველი არმია მოუვიდა. თეიმურაზი მიხვდა, რომ ვერ გაუმკლავდებოდა და როსტომთან შერიგება არჩია. შაჰიც დათანხმდა როსტომისა და თეიმურაზის შერიგებას და 1635 წელს თეიმურაზი კახეთის მეფედ აღიარა. მიუხედავად ამისა, თეიმურაზი მხარს უჭერდა როსტომის წინააღმდეგ აჯანყებულ ქართლის თავადებს (1636, 1638, 1642

წლებში). იგი ცდილობდა საგარეო მოკავშირეც ეპოვა რუსეთში, მაგრამ მისი მცდელობები უშედეგო იყო. როსტომი სვიმონ-ხანის სისხლს ედავებოდა თეიმურაზს. 1648 წელს როსტომი კახეთში შეიჭრა. ბრძოლისას თეიმურაზის ერთადერთი მემკვიდრე, დათუნა ბატონიშვილი მოკლეს. თეიმურაზი დამარცხდა. იგი თავისმა მოხრეებმაც მიატოვეს. თეიმურაზსა და როსტომს შორის შუამავლობა დედოფალმა ხორეშანმა (თეიმურაზის მეუღლე) იკისრა. როსტომმა ქართლის გზა დაუთმო და თეიმურაზი უვნებლად გაატარა იმერეთში, სადაც მისი სიძე – ალექსანდრე მეფობდა. კახეთში როსტომი გამეფდა. თეიმურაზმა ისევ რუსეთთან განაახლა კავშირი. 1653 წელს თავისი შვილიშვილი, ერეკლეც გაგზავნა რუსეთში, 1658 წელს თავადაც გაემგზავრა მოსკოვში, თუმცა ხელმოცარული დაბრუნდა. მას გარდაცვლილი დახვდა თავისი უფროსი შვილიშვილი ლუარსაბი, მეუღლე ხორეშანი, იმერეთის მეფე ალექსანდრე. 1661 წელს თეიმურაზი ბერად აღიკვეცა. იგი სკანდის ციხეში განმარტოვდა. ვახტანგ V-ის მიერ იმერეთის აღების შემდეგ თეიმურაზი თავისი ამალით შაჰთან წავიდა, სადაც დიდი პატივით მიიღეს, თუმცა ერეკლე ბატონიშვილზე განრისხებულებმა იგი ასტრახადის ციხეში გამოკეტეს. მეფე 1663 წელს გარდაიცვალა. იგი კახეთში ჩამოასვენეს და ალავერდის ეკლესიაში დაკრძალეს. ქართლ-კახეთმა XVII საუკუნის I ნახევარი სეფიანებთან ბრძოლაში გაატარა და უდიდესი ზარალი ნახა. ქვეყანა, განსაკუთრებით კახეთი, ფიზიკური გაჭრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ირანმა აღმოსავლეთ საქართველო თავის პროვინციად აქცია.

* * *

მეფეების მიერ გაცემული დოკუმენტები, ძირითადად, ასახავს მათ საშინაო პოლიტიკას და, შესაბამისად, ქვეყნის საშინაო ვითარებას. საბუთის ადრესატები უმრავლეს შემთხვევაში, წარჩინებულები არიან, რომელთა პოლიტიკური პოზიცია ზუსტად არის ასახული დოკუმენტებში. ცხადია, კარგად ჩანს ქვეყნის საგარეო ვითარებაც, რამდენადაც იგი იყო საშინაო მდგომარეობის განმაპირობებელი.

XVI საუკუნეში სამცხე-საათაბაგო ოსმალებმა დაიკავეს. მათ თავინთი პოზიციები განიმტკიცეს 1590 წელს ოსმალებსა და სპარსეთს შორის დადებული ზავის შემდეგ. ოსმალებმა სამცხეში მმართველობის თავიანთი სისტემა და მიწათსარგებლობის წესი დანერგეს, რაც ითვალისწინებდა, რომ მიწა ეკუთვნოდა მხედარს, რომელიც აუცილებლად მუსლიმი უნდა ყოფილიყო. ამრიგად, ქართველ ფეოდალებს ან ისლამი უნდა მიეღოთ, ან დაეტოვებინათ მკვიდრი მამულები და გადასახლებულიყვნენ

საქრისტიანო საქართველოში. XVII საუკუნის დოკუმენტებში კარგადაა ასახული სამცხე-საათაბაგოდან თავადების მიგრაცია ქართლში, კახეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში. ამ მიზეზით გადადიან აღმოსავლეთ საქართველოში ავალიშვილები, შალიკაშვილები, ამბტაკიშვილები.

სამცხიდან მიგრირებული თავადები ინარჩუნებდნენ თავიანთ ფეოდალურ წოდებას, შესაბამისად, მათი სათავადო თავიდან უნდა მოწყობილიყო ყველა საჭირო კომპონენტის გათვალისწინებით. პირველ რიგში, მათ სჭირდებოდათ მიწა და ყმები (უფრო მეტად მამულები, რადგან ყმა-გლეხები თვითონ მოჰყავდათ). ქართლში მამულების მოპოვება კი ამ დროისთვის იოლი საქმე არ იყო, რადგანაც მიწები თავადებს უკვე დამკვიდრებული ჰქონდათ და თვით საგვარეულოებს შიგნით დიდი ბრძოლა მიდიოდა მამულების გადანაწილებისთვის. სამეფო ხელისუფლება კი სახასო მამულებს ძალზე მწირად გასცემდა. ამიტომ მიგრირებული თავადები, ძირითადად, იღებდნენ ბეთალმან მამულებს, ან უმემკვიდრეოდ დარჩენილი თავადების მეურვეებად ინიშნებოდნენ მათი მემკვიდრეობის მიღების გარანტიით. საისტორიო დოკუმენტებში ყველაზე კარგად ჩანს ავალიშვილების ქართლში გადასახლების პროცესი. სათავადოს მეთაური ზაქარია ქართლში გადადის თავის შვილებთან (არსენი, ავალი, ქაიხოსრო, დავითი, ღონენა) და ძმასთან (იოანე) ერთად (მოგვიანებით მათ შეუერთდება ძმისწული არსენი). 1605 წელს იგი მეფე გიორგი X-ს სთხოვს სამკვიდროს. მეფეც მას ნიშნავს უშთამომავლოდ დარჩენილი რამინ (III) ამირეჯობის მეურვედ. მეურვეობა გულისხმობდა, რომ ზაქარია რამინის მამულებს მის სიცოცხლეშივე ეუფლებოდა, თუმცა რამინის რჩენა ევალებოდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ რამინის მთელი მემკვიდრეობა ზაქარიას ხელში გადადიოდა. მეფე გიორგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზაქარია მიიღებდა ყველა იმ მამულს, რომელიც გიორგის მამამ, მეფე სიმონმა უბოძა თავის დროზე რამინს (ხეც, Hd-1327). ავალიშვილებმა მეფე თეიმურაზისადმი გამოჩენილი ერთგულების გამო ქართლში სხვა მამულებიც მიიღეს, ამ შემთხვევაშიც უმემკვიდრეოდ დარჩენილი მეპატრონის კუთვნილი. ზაქარია ავალიშვილის მამიდაშვილი იოთამ ფავენელიშვილი, როგორც ჩანს, შეიღის გარეშე გადაეგო და მისი წილი მამულები ავალიშვილებს დაუმტკიცეს (ხეც, Hd-9377). თეიმურაზის მხარდაჭერისთვის (თეიმურაზსა და როსტომს შორის დაპირისპირების დროს) ავალშვილების ძირითადი შტო კახეთში გადასახლდა და აქაც “ამოწყვეტილი“ მეპატრონის მამულები მისცეს. მაგ.: ამოწყვეტილი ჯავშან ვაჩნაძის მამულები მეფემ ავალ (ზაქარიას ძე) ავალიშვილს უბოძა, ასევე ღონენა ხიმშიაშვილის ნაქონი მამული, რომელიც ჯერ ამილახვარს, ხოლო შემდეგ ლარგველს ჰქონია თეიმურაზისგან ნაწყალობევი,

ლარგველის გარდაცვალების შემდეგ ავალმა მიიღო. ნიშანდობლივია, რომ ღონენამ მამულები მეფის დალატისთვის დაკარგა. ავალმა მიიღო აგრეთვე ვინმე დავითას ნაოხარი მამულები. ავალიშვილებისადმი მეფის განსაკუთრებული დამოკიდებულების მაჩვენებელია სახასო მამულიდან მათთვის უჯარმის ბოძება (სეა, 1450-47-149).

სამცხიდან კახეთში გადასულ თავადთა შორის იყო თამაზ ამატაკიშვილი. თეიმურაზ მეფის წყალობის საბუთიდან ჩანს, რომ მეფე თამაზს მამულებს კი არ უახლებდა, არამედ ახალს აძლევდა – სხვადასხვა სოფელში გაფანტულ იმ ყმა-მამულს (როგორც ჩანს, ბეთაღმანს), რომლებსაც ადრე სხვა მფლობელები ჰყოლია (ხეც, Hd-14679).

სამცხიდან გადმოსახლებულ თავადებს თან მოჰყავდათ თავიანთი ყმებიც. მაგ.: ჯავახეთიდან აყრილი ყმების თაობაზე დავა XVIII საუკუნეშიც გრძელდებოდა პეტრე ავალიშვილსა და დავით ციციშვილს შორის (დოლიძე, 1974: გვ. 19-20). ავალიშვილების კუთვნილ სოფ. სომანეთში სახლობდნენ სოფ. ხიდირბეგიდან წამოსული მესხები. მიწების მოპოვება იმდენად ჭირდა ქართლში, რომ ყმებიანად წამოსული თავადები იძულებულნი იყვნენ ისინი სხვის მამულში დაესახლებინათ. სამცხიდან მიგრირებულ მასტანა შალიკაშვილს თავისი ბოგანოები მიუბარებია ვარდან ფალავანდიშვილისათვის. მასტანას ვაჟი ბრძოლაში გარდაეცვალა, ამიტომ მასტანასა და მის მეუღლეზე მეურვეობა მეფე სვიმონმა მასტანას სიძეს, თამაზ ტატიშვილს დაავალა და მისი ქონებაც ქალიშვილის ოჯახმა მიიღო. მასტანას ყმები აყარეს ვარდან ფალავანდიშვილის მამულიდან და თამაზის მამულში დაასახლეს იმ პირობით, რომ მასტანასა და მისი მეუღლის სიცოცხლეში ყმები მათ მოემსახურებოდნენ, ხოლო მათი გარდაცვალების შემდეგ თამაზ ტატიშვილს დარჩებოდა.

ოსმალებს გამოქცეული გლეხები, ცხადია, ყოველთვის თავიანთ პატრონებს არ მოყვებოდნენ და ქაოსურადაც მოდიოდნენ ქართლში. დოკუმენტებიდან ვიგებთ, რომ სოფ. არადეთთან სახლობდნენ მესხი გლეხები. სათავადო თუ საეკლესიო ყმების შენარჩუნებით თვით მეფეც იყო დაინტერესებული. ცხადია, ლაშქრობებით აოხრებულ ქართლში არ იყო იმდენი მატერიალური რესურსი, რომ მიგრირებული თავადები თუ სასულიერო პირები ყმა-მამულით უზრუნველყოთ. ცნობილია, რომ თავად თეიმურაზ I ეხმარებოდა არსენ საფარელს მონასტრის ყმების მოგროვებაში.

მუსლიმთაგან დიდი დარტყმა მიიღეს სამცხის ეკლესია-მონასტრებმა და მისმა მსახურებმა. ოსმალების ხელისუფლება მამულებს ართმევდა ეკლესიასა და სასულიერო პირებს. ეკონომიკური ზეწოლის საშუალებით ცდილობდა გაეტეხა სამცხის ქართული ეკლესია და ნიადაგი მოემზადებინა ისლამის გასავრცელებლად. სამონასტრო ცხოვრების

მოშლისა და მატერიალურად დასუსტების სურათს კარგად ახასიათებს მეფე თეიმურაზის საბუთი, რომელიც საფარის მონასტრის აოხრებას ეხება: “უღმრთოთა მამადიანთა მიერ მონასტერი თქუენნი, ყოვლად დიდებული, მოოჭრებულყო, პატოსანი ხატი წარმოსუენებულყო, მამულნი, მეტოქნი, სოფელნი, დაბანი და აგარაკნი წაჯდომილიყუნეს“ (ხეც, Hd-14678). აწიოკებული და უსახსროდ დარჩენილი მონასტრებიდან დაძრული სასულიერო პირები ცდილობდნენ გადაერჩინათ თავიანთი თავი, საყმო და სიწმინდეები, ამიტომ ყმებთან ერთად მიდიოდნენ საქართველოს შიდა პროვინციებში და თან მიჰქონდათ ხატები, სხვა საეკლესიო ინვენტართან ერთად. სავარაუდოდ, ისინი მოქმედ მონასტრებში ნაწილდებოდნენ, ასევე მათ მეფე აძლევდა “ნაოხარ“, გაუქმებულ და დანგრეულ ეკლესიებს აღსადგენად. მაგ.: მეფე თეიმურაზმა ქართლში გადასულ საფარის წინამძღვარ არსენ ავალიშვილს უბოძა სოფ. არადეთთან მდებარე გაუქმებული ეკლესიის წინამძღვრობა (ხეც, Hd-14678). მეფე მას დაეხმარა მონასტრის დარჩენილი ყმების მოგროვებასა და ქართლში, სოფ. არადეთთან დასახლებაში. საცხოვრებელი ადგილი შემთხვევით არ შეურჩევიათ, რადგან იქ უკვე სახლობდნენ სამცხიდან უფრო ადრე წამოსული მესხები.

მიწის წყალობად გაცემა მეფისთვის ყოველთვის აქტუალური იყო და ეს მხოლოდ სამცხიდან გადმოსულ თავადებს არ ეხებოდა. წყალობად გასაცემი მიწის ფონდი XVII საუკუნისთვის უკვე ამოწურული იყო, ამიტომ ფეოდალისადმი ბოძებული წყალობაც ხდებოდა უმეტესად ან ბეთაღმანი მამულებიდან, ან ორგულობისთვის დასჯილი თავადის ჩამორთმეული მიწებიდან. 1609 წელს მეფე ლუარსაბმა თამაზ ბარათაშვილს მისცა უმემკვიდრედ გადაგებული ვახტანგ ბატონიშვილის (სვიმონ I-ის ძმა) ნაქონი სოფ. კრკონი (სეა, 1450-12/113) ასევე ვახტანგ ბატონიშვილისეული სოფ. ნაბახტევი გიორგი სააკაძეს უწყალობა (ხეც, Hd-13179). მეფე ლუარსაბმა მათარსი ლარაძეს უბოძა საბარათიანოში მდებარე ალექსანდრე ბატონიშვილის მამულები (სეა, 1450-10/120). ალექსანდრე ბატონიშვილი ამ დროისთვის შემონახუნებული იყო და მისი მამულები მემკვიდრის გარეშე დარჩენილი.

მიწა კვლავ ამოსავალი წერტილი იყო შუასაუკუნეობრივ ყოფაში, ამიტომ ფეოდალებზე მანიპულირების საშუალებას უტოვებდა როგორც მეფეს, ისე უცხოელ დამპყრობელს. მეფე მისდამი გამოჩენილი ერთგულებისთვის აჯილდოვებდა დიდებულებს და მამულებთან ერთად სხვადასხვა მაღალ თანამდებობას სთავაზობდა. მამულები, ძირითადად, ერთსა და იმავე საგვარეულოში ტრიალებდა, რადგან, სახლიკაცებს შორის მომხდარი უთანხმოების შემთხვევაში, ფეოდალები ცდილობდნენ მეფისადმი ერთგულება

გამოეჩინათ და სადავო მამულის დასაკუთრებაზე მისი დასტური მიეღოთ. წარჩინებული საგვარეულოებისადმი გაცემული საბუთებისთვის თვალის გადავლებით შეგვიძლია ნათლად დავინახოთ, თუ რომელი მეფის მხარდამჭერია, ან რომელი პოლიტიკური ორიენტაციის მატარებელია ესა თუ ის თავადი. საისტორიო დოკუმენტების შინაარსი მოწმობს, თუ რამდენად დარღვეულია სახელმწიფოებრივი აზროვნება და რა ღრმად არის წასული ფეოდალური სეპარატიზმის პროცესი მოცემული პერიოდის საზოგადოებაში. მხოლოდ კერძო ინტერესების გათვალისწინებით, პოლიტიკური ვითარების ცვლილების შესაბამისად პოზიციების ცვლა და გამარჯვებულისთვის მხარდაჭერა ჩვეულებრივი მოვლენა იყო ბარათაშვილებში, ამილახვრებში და სხვა სათავადო საგვარეულოებში.

ამ დროის გავლენიანი მოღვაწე იყო ქაიხოსრო ბარათაშვილი. იგი თავიდან მეფე ლუარსაბის წყალობით სარგებლობდა. სვიმონ-ხანის ქართლში გამეფების შემდეგ მისი ერთგული მოხელე გახდა. მიიღო მეწინავე სადროშოს სარდლობა, ბოქაულთუხუცესისა და მეკობრისმძებნელის სახელოები. ქართლში პოლიტიკური ვითარების შეცვლისთანავე, 1625 წელს (მარტყოფის აჯანყება) სვიმონ მეფეს განუდგა და გიორგი სააკაძის მხარე დაიჭირა, რის გამოც სარდლობა დაკარგა. მარაბდის ბრძოლაში ქართველთა დამარცხების შემდეგ კვლავ პროსპარსული ორიენტაცია აიღო და სვიმონ-ხანს შეურიგდა. იგი სპარსეთში მოღვაწე როსტომ სააკაძის მფარველობით სარგებლობდა. მისი მითითებით ჩააყენა ბირთვისის ციხეში 500 ყიზილბაში მეომარი. ქაიხოსრომ შეატყო რა, რომ გიორგი სააკაძე დამარცხებისთვის იყო განწირული, 1626 წელს სამცხიდან დაბრუნებულ მოურავს თანამშრომლობაზე უარი უთხრა. ირანის ხელისუფლებამ ერთგულება დაუფასა ქაიხოსროს. ის გიორგი სააკაძის ნაცვლად დანიშნეს თბილისის მოურავად. 1626 წელს შაჰ აბასმა ქაიხოსროს ფირმანი გამოუგზავნა და უბოძა ვექილობა და დედოფალ ჯაჰანბანუმის (სვიმონ II-ის მეუღლე) სახლთუხუცესობა. 1629 წელს ქაიხოსრო თეიმურაზ მეფის მხარეს ჩანს გადასული და მისგან წყალობად იღებს სოფ. ოძისს, თუმცა 1630 წელს ისევ სვიმონ-ხანის მხარესაა და მისგან იღებს იოთამ ამილახვრისთვის (თეიმურაზ I-ის მხარდამჭერი) ჩამორთმეულ სოფ. მახრადლაჯს. იმავე 1630 წელს იოთამი სვიმონს შეურიგდა. მეფემ ახლა ქაიხოსროს ჩამოართვა მახრადლაჯი და ისევ იოთამს დაუბრუნა, მაგრამ ქაიხოსროც არ დატოვა გულნაკლული და სანაცვლოდ სოფ. ენაგეთში უბოძა მამულეები. ქართლში როსტომის გამეფების შემდეგ ქაიხოსრომ მისი მხარე დაიკავა და თეიმურაზს ფიზიკურად დაუპირსპირდა. 1635 წელს თეიმურაზის წინააღმდეგ სურამთან მომხდარ ბრძოლაში ქაიხოსრომ თავი გამოიჩინა, რის გამოც შაჰ სეფის წყალობა და ფირმანი დაიმსახურა.

საბარათიანოში სახლიკაცები დაუნდობელად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. ბარათა ბარათაშვილმა თავისი სახლიკაცები დახოცა, რათა სათავადოს ერთპიროვნული მმართველი გამხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ ბარათა თავდაპირველად სვიმონ-ხანის მხარდამჭერი იყო, 1623 წელს განუდგა შაჰის ხელისუფლებას და, შესაბამისად, სვიმონსაც, რის გამოც ჩამოართვეს მეწინავე სადროშოს სარდლობა და გადასცეს ქაიხოსროს. შაჰის დავალებით იგი მოკლეს, მისი მამულები კი ქაიხოსროსა და ყაფლან ბარათაშვილებს გაუნაწილეს.

ბარათაშვილთა გვარიდან მეფე სვიმონს ერთგულებდა ყაფარბეგიც. სწორედ ამიტომ მიიღო მან საჩინო ბარათაშვილის ნაქონი მამული ვაკეში, ასევე, ქაიხოსრო ბარათაშვილის განდგომისას მისთვის ჩამორთმეული ბოქაულთუხუცესობა. 1627 წელს ყაფარბეგი თავად დაუპირისპირდა სვიმონ-ხანს და მისი მამულებიც მეფემ სხვა ბარათაშვილებს გადაუნაწილა: ტბისი გადასცა ქაიხოსრო ბარათაშვილს, ამლევი, ერდო და ვაკე – გოსტაშაბ ბარათაშვილს (გოსტაშაბის მამა იოვანე და ყაფარის მამა ამილდამბარი ძმები იყვნენ). ასევე გოსტაშაბს უბოძა ყაფარბეგისეული ყმები ახალშენში, თაკესა და დვალთაში. ყაფარბეგისთვის ჩამორთმეული ბოქაულთუხუცესობა კი ფალავანხოსრო ბარათაშვილს უბოძეს.

მსგავსი ვითარება იყო სხვა თავადთა საგვარეულოებშიც. ფეოდალები იყენებდნენ ჯერ თეიმურაზ I-სა და სვიმონ II-ს, ხოლო შემდეგ თეიმურაზსა და როსტომს შორის არსებულ დაპირისპირებას, და შექმნილი სიტუაციის შესაბამისად იცვლიდნენ პოზიციებს. იმის მხარს იჭერდნენ, ვისგანაც მეტ სარგებელს მოელოდნენ. მათი მედროვეობა ზუსტად აქვთ შეფასებული ბერი ეგნატაშვილსა და ვახუშტი ბატონიშვილს იოთამ ამილახვრის მაგალითზე. იოთამი თეიმურაზსა და როსტომს შორის უთანხმოებისას ხშირად იცვლიდა პოზიციას – “იოთამ ამილახვორი ხან მოუდგებოდა როსტომ მეფესა და ხან ბატონ თეიმურაზს და, სითკენაც დრო დააჯელის, იქითკენ იყვის“ (ბერი ეგნატაშვილი, 1959: გვ. 423). ანალოგიური ცნობა აქვს ვახუშტი ბატონიშვილსაც: “იოთამ ჟამთა მჭურეტი ჟამ იყვის ბატონის თეიმურაზის თანა, ჟამ როსტომის წინაშე“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: გვ. 442).

ბარათაშვილების საგვარეულოს მაგალითზე კარგად ჩანს, რამდენად მყიფე იყო მათი პოზიციები და რამდენად არასანდო დასაყრდენი იყო ნებისმიერი მეფისთვის საკუთარ, ვიწრო ინტერესებს მორგებული ფეოდალი. სამწუხაროდ, იმჯერად, ქართული საზოგადოების დიდ ნაწილს სწორედ ასეთი ფეოდალები წარმოადგენდნენ. ცხადია, ეს მდგომარეობა სამეფო ხელისუფლების სისუსტით იყო განპირობებული. თავადებისთვის იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო მეფის კეთილგაწყობის მოპოვება,

რამდენადაც თვითონ მეფეები ცდილობდნენ ძლიერი თავადებისგან მხარდაჭერისა და ერთგულების გარანტიის მიღებას. სწორედ ამ ვითარებაში განაპირობა “ფიცის წიგნების“ გამრავლება, რომლებშიც მეფე უზნებლობის შესახებ პირობას უდებდა ფეოდალს. მეფის მიერ თავადისთვის მიცემული “ფიცის წიგნები“ XVI საუკუნიდან გვაქვს შემორჩენილი. ჩვენს საკვლევ პერიოდში (XVII ს.-ის I ნახ.-ში) მეფეების მიერ “ფიცის წიგნების“ მიცემის ტრადიცია უკვე დამკვიდრებულია და მას ხშირ შემთხვევაში წყალობასთან ერთად გასცემენ. მეფე, ძირითადად, პირობას დებდა ფეოდალის მამულების ხელშეუხებლობის, ასევე სახლიკაცებისთვის მამულის დაუნებებლობის, თავადის დაუმცრობლობისა და დაცვის შესახებ. ამასთან, აუცილებელი პირობა იყო, რომ ფიცის წიგნმიცემული თავადის ვინმესგან დაბეზღების შემთხვევაში მეფეს განსჯის გარეშე არ დაესაჯა იგი. მაგ.: მეფე ლუარსაბი, როდესაც ფიცის პირობას აძლევს დავითიშვილებს, აღნიშნავს, რომ “თუ ვინმე შენი თავი შემოგუბებულს, გაგიკითხოთ, და რისაცა შემცოდენი არ იყოთ, მის მეტი არა-რა გარდაგაკდევინოთ-რა. და არცა-ვის უსამართლოდ საბალოდ დავანებოთ შენი თავი. და არას შენის გუარის კაცს შენს მამულზედ ჰელი არა ჰქონდეს“ (ხეც, Sd-600); სვიმონ მეფე გოსტაშაბ ბარათაშვილისადმი მიცემულ “ფიცის წიგნში“ აღნიშნავს: “ვიყუნეთ დღეს და დღეის უკან თქვენთვის კარგნი და მოპატივენი მართლით სამართლიანითა, რისცა დღეს თქვენის კერძის მამულის მქონებელნი იყუნეთ, იმისაგან არა დაგამცროთ და არცა საძალოდ და სააკაცოდ უსამართლოდ არავის დავანებოთ. და ვინცა თქუენი თავი შემოგვაბეზღოს, გაუკითხავად არა შეგიბეზღოთ და არცა სააჯოს კარი დაგიჭიროთ. და თუ თქუენ ესე პირი და ფიცი გაგვითავოთ, ჩვენცა ეს ასრე გაგვითავოთ (თაყაიშვილი, 1899: გვ. 117-118). მეფე სვიმონი ასეთსავე პირობას აძლევს ბარათა ბარათაშვილს (სეა, 1450-32/338). ზოგადად, სვიმონისთვის ბარათაშვილების მხარდაჭერას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

“ფიცის წიგნებში“ ჩანს ერთი საგულისხმო დეტალი, რომელიც მოცემული პერიოდის ეთიკის ნორმებს წარმოაჩენს. მეფე დაბეზღებულ ფეოდალს არ უმხელდა დამბეზღებლის ვინაობას, თუმცა თუკი დამბეზღებელი ცილისმწამებელი აღმოჩნდებოდა და შემობეზღებულ თავადს ბრალი არ დაუმტკიცდებოდა, მეფეს უფლება ჰქონდა, მისი ვინაობა გაემხილა. თეიმურაზ I იოთამ ამილახორს პირდაპირ ეუბნება: “თუ ვინმე თქუენი თავი შამოგვაბეზღოს, გაუკითხავად არ გაგიწყრეთ. და თუ მართალნი გამოხვიდეთ, არც დამბეზღებელი კაცი დაგიმალეთ“ (ხეც, Hd- 2128). დამბეზღებელი კაცის ვინაობის გამხელა კერძო პირისთვის შურისსაძიებლად ისევე სამეფო ხელისუფლების სისუსტეზე მეტყველებს,

როცა მისი ძალაუფლება საკმარისი არ არის, ცილისმწამებელს სახელმწიფოში მოქმედი კანონით გაუსწორდეს.

“ფიცის წიგნით“ მეფე იცავდა ფეოდალს ფიზიკური დასჯისგანაც, თუმცა მთავარი პირობა მეფისადმი ერთგულება იყო: “ასრე და ამა პირსა ზედა, რომე თუ ჩუენზედ არა სტყუოთ რა, ჩუენგან თქუენ არა გვენოს რა და არც არა გეზიანოსთ, არც გადარიბებით, არც კელთ დაჭერთ, არც განაიბრებით და არც სიკუდილით, ამისად გათავებისა თავდებად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი მოგვიცემიან“ (უვნებლობის წიგნი თეიმურაზისა ციციშვილებისადმი – ხეც, Ad-1292).

ქართველი ფეოდალების მისამხრობად აქტიურად მუშაობდა ირანის შაჰი. ყველაზე მარტივი საშუალება იყო მათი დაწინაურება პოლიტიკურ და სამხედრო სარბიელზე. ბევრი წარჩინებული ქართველი მსახურობდა შაჰის კარზე. გიორგი სააკაძესა და ჯავახიშვილების დავის საბუთში მოურავი პირდაპირ მიუთითებს, რომ “ბევრი საბატოს კაცის შუილი სხუაც წავიდა ბედნიერს ყაენთანაო, დღესცა სრულ საბატოს ქართუელთ კაცის შვილებიც იქ არიანო“ (ხეც, Hd-6259). შაჰი მათ უნიშნავდა ჯამაგირს და თიულებს უწყალობებდა. ამ პოლიტიკას მხოლოდ ირანში წასული ფეოდალების მიმართ არ იყენებდა. იგი ცდილობდა აღმოსავლეთ საქართველოში ქართული მიწისმფლობელობა მოესპო¹ და თავად ყოფილიყო მამულების წყალობის განმკარგავი,² რადგან შაჰ აბასს გადაწყვეტილი ჰქონდა მთელი აღმოსავლეთ საქართველო თვითონ დაეჭირა და ირანის რიგით პროვინციად ექცია. თეიმურაზ I-ისა და ლუარსაბ II-ის ჯერ იმერეთში გაძევებისას, ხოლო შემდეგ ლუარსაბის დატყვევების დროს შაჰმა ქართლ-კახეთის მიწების მფლობელად გამოაცხადა თავი და ფეოდალებს მამულის წყალობის წიგნებს თავად აძლევდა. ცხადია, ამ ნაბიჯით შაჰ აბასი ცდილობდა, რომ ეკონომიკური ბერკეტები ჰქონოდა ქართველ თავადებზე და შაჰის ნება-სურვილზე დამოკიდებული გაეხადა ისინი. თუკი მანამდე მამულების წყალობა ქართველი მეფის პრეროგატივა იყო, ამჯერად მას ირანის შაჰი ითავსებდა და ქართველ მეფეს მხოლოდ შაჰის ბრძანების დადასტურება და სისრულეში მოყვანა ევალებოდა. როგორც ჩანს, შექმნილი სიტუაციისთვის ყველაზე ადრე ციციშვილებს აუღიათ ალღო. მათ შაჰ აბასისთვის მიუმართავთ ვინმე

1 შაჰ აბასმა ქართლის სამეფოს ჩამოაცილა ლორე, ხოლო კახეთის სამეფოს – კაკუნისელი. ამ ტერიტორიებზე სახანო-სასულთნოები დააარსა, სადაც ჩაასახლა თურქმანულ-ყიზილბაშური ტომები და ქართული მიწისმფლობელობის სისტემა ირან-ყიზილბაშურით შეცვალა.
2 ირანის შაჰი ეტაპობრივად ახორციელებდა თავის გეგმას. მან ჯერ ქართლისა და კახეთის მეფეების ტახტზე დასმის უფლება მიითვისა, ხოლო შემდეგ თავადთა ფენის დამორჩილება სცადა და მათი მამულების დამტკიცების უფლება შეითავსა.

ფარსადანთან (სავარაუდოდ, სახლიკაცი ფარსადან ციციშვილი) სადავო მიწების დამტკიცების თაობაზე. ცხადია, “გულმოწყალე“ შაჰი მასთან თხოვნით მისულ თავადებს უარით არ გაისტუმრებდა და ქაიხოსრო და მერაბ ციციშვილებისათვის უბოძებია “რადამი“ (რაცამი, სიგელი). მართალია, ჩვენ არ შემოგვრჩენია შაჰის ფირმანი, მაგრამ მის საფუძველზე გაცემული მეფე ლუარსაბის საბუთი გვაქვს ხელთ, რომლის თანახმადაც, ციციშვილებს მიუღიათ მოთხოვნილი მამულები. თუმცა, ჩანს ისინი არსამკვიდრო მამულებსაც ეპოტინებოდნენ. მეფე ლუარსაბი იძულებულია, მათ დაუმტკიცოს “სამკვიდრო“ მამულები და სხვა მოთხოვნილი მამულების სანაცვლოდაც მისცეს სოფლები და ყმა-გლეხები, რადგან “ბედნიერს ყაენს თქუენთვის ებოძებინა და ჩუენც ბედნიერის ყაენის ბრძანება გავათავეთ და გიბოძეთ“ (ხეც, Ad-1410). “ბედნიერი ყაენის ფარვანა“ ჰქონია დავით დავითიშვილსაც. ამ შემთხვევაშიც შაჰის სიგელი არ გვაქვს შემორჩენილი და მეფე ლუარსაბის წყალობის წიგნიდან ვიგებთ ამის შესახებ. “რარიგაცა ბედნიერის ყაენის ფარვანა გქონდეს, ჩუენცა ისრე გაგუითავებია“ (ხეც, Sd-600). ასეთივე “რადამი“ ჰქონია ანდუყაფარ ამილახვარს (ხეც, Hd-2115).

მართალია, ჩვენ ყველა ის საბუთი არ შემოგვრჩენია, რომლებიც შაჰ აბასმა ქართველ თავადებს უბოძა, მაგრამ, ფაქტია, რომ უშუალოდ მის ხელში იყო მამულების წყალობის უფლება და ჩანს, შაჰისთვის არასასურველი პირებისთვის მამულების ჩამორთმევაც ხდებოდა. ამის შესახებ ირიბი მინიშნება გვაქვს იესე და ზაქარია ჯავახიშვილების გიორგი სააკაძესთან დადებულ ერთობის საბუთში, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ “ჩვენი სამკვიდრო თავა მისთა დღეში ჩვენი ყოფილიყო და მერმე ბედნიერის ყაენისაგან არ წაგვრთმეოდა და ისრე ჩვენი იყო“ (თაყაიშვილი, 1909: გვ. 61).

მსგავსი პოლიტიკით ირანის შაჰი თეიმურაზისა და ლუარსაბის მომხრე თავადებს არსებობის ყველა გზას უჭრიდა, თუმცა, თუკი შაჰის მხარეს გადავიდოდნენ, პრივილეგიები ძველებურად უბრუნდებოდათ. თეიმურაზის მომხრე გურამიშვილები შაჰ აბასის ლაშქრობების დროს, სავარაუდოდ, 1614 ან 1615 წელს, მეფეს იმერეთის სამეფოში გაჰყვლიან. უკვე 1618 წელს მათ ბაგრატ VII-ის კარზე შეწყალების თხოვნით მისულებს ვხედავთ. ცნობილია, რომ თეიმურაზი იმერეთიდან გურიაში გადავიდა და ოსმალეთთან დიპლომატიური კავშირის დასამყარებლად იღუმენი ხარიტონი გაუშვა. 1617 და 1618 წლებში თეიმურაზმა სამართავად მიიღო გონიო, ხოლო 1618 წელს ოსმალეთსა და ირანს შორის დაწყებულ ბრძოლაში ოსმალეთის მხარეს ჩაერთო. როგორც ჩანს, იმერეთის კარზე მეფის გარეშე დარჩენილ გურამიშვილებს ისევ არსებულ

მდგომარეობასთან შერიგება უმჯობინებიათ. ისინი მამულების დაბრუნებას ბაგრატ-ხანს სთხოვენ, რადგან გურამიშვილთა სათავადო ქართლისა და კახეთის საზღვარზე მდებარეობდა, ხოლო 1617 წლიდან იერის დასავლეთი ნაწილი შაჰ აბასმა ბაგრატს დაუქვემდებარა. ამდენად, გურამიშვილთა საგამგეო ბაგრატის იურისდიქციაში მოექცა და მათი საქმის მოგვარებაც ბაგრატის კომპეტენციაში შედიოდა. წყალობის საბუთში იგი პირდაპირ აღნიშნავს, რომ “მას ჟამსა, ოდეს კახნი ღიხთიმერით ღარბად იყვენით და ვითაც ხელმწიფის ბძანება ასრე იყო, რომე, ვინც იქილამ ჩამოგენდოსო, მისი მამული მასვე უბოძეთ. აწე, თქუენ მოგუენდევით, ჩუენი ყმანი შეიქენით და ხელმწიფის ბძანებითა თქუენი სამკვიდრო მამული, რისაც მქონებელი ყოფილიყუენით, ისრევე უკლებლად თქუენვე გიბოძეთ მთასა და ბარსა. ღმერთმან ბედნიერად მოგიხდინოს ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან“ (სეა, 1450-19/98). ცხადია, ბაგრატ-ხანმა შაჰის ბრძანებით იხელმძღვანელა და გურამიშვილებს (ქაიხოსრო, ღურმიშხან, გივი, იესე, ზაად და ზურაბ) თავიანთი სამკვიდრო მამულები დაუბრუნა, თუმცა მამულების დამტკიცება უკვე შაჰის პრეროგატივა იყო და 1620 წლის ფირმანით გაფორმდა კიდევ მისი განკარგულება ამის თაობაზე (ფუთურიძე, 1959: გვ. 13-14). დოკუმენტში დამატებითი ცნობებია შაჰის ბრძანების შესახებ. მის მხარეზე გადასულ თავადებს არათუ მამულები უბრუნდებოდათ, არამედ ყმა-გლეხებიც. ცხადია, თავადის გარეშე დარჩენილი ყმები გაუთავებელი ომიანობის დროს დაქსაქსული და გაფანტული იქნებოდნენ სხვადასხვა მხარეს. შაჰის ბრძანებით ისინი ვალდებულნი იყვნენ თავის მამულს დაბრუნებოდნენ და ძველებური სამსახური გაეწიათ გურამიშვილებისათვის (ფუთურიძე, 1959: გვ. 13-14).

XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართულ სინამდვილეში უკვე ვხვდებით ორენოვან (ქართულ-სპარსულ) საბუთებს. ისინი გაცემულია მეფე სვიმონ I-ის ირანში ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ.³ სპარსული ტექსტი ქართულისგან დამოუკიდებლად შედგენილი და ცხადია, გამოყენებულია სპარსული სოციალური ტერმინები, რომლებიც ქართული ფეოდალური წყობისთვის უცხო იყო (მაგ.: მამულის აღსანიშნავად „თიული“, გლეხის აღსანიშნავად „რაიათი“ და ა.შ.). ეს უკვე გამოხატავდა ირანის მცდელობას, ქართული მიწისმფლობელობის სისტემა შეეცვალა ყიზილბაშურით (ფუთურიძე, 1955: გვ. IX). XVII-XVIII საუკუნეების სპარსული ტექსტი ქართული საბუთის დანამატს წარმოადგენდა და სპარსული ტერმინებიც ქართულ სინამდვილეზე იყო მორგებული (ტერმინ “თიულს“

³ ქართულ-სპარსული საბუთები კახეთში მხოლოდ XVII ს-ის ბოლოს გვხვდება, გამონაკლისია 1590 წ. ალექსანდრე II-ის გაცემული სიგელი.

უკვე ქართული მამულის მნიშვნელობა აქვს და ახლავს განსაზღვრა “სამუდამო და სამარადისო”). მაგრამ 1596 წლიდან 1626 წლამდე გაცემული ორენოვანი საბუთები არ გვაქვს შემორჩენილი. ქართულენოვანი და სპარსულენოვანი დოკუმენტები ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად გაიცემოდა. ვ. გაბაშვილი ამ ფაქტს შაჰ აბას I-ის მიწისმფლობელობის პოლიტიკას უკავშირებს. თავდაპირველად, ორენოვანი საბუთების გავრცელებისას, ფოთალი ქართველი მეფისგან იღებდა წყალობას და ამ შინაარსისვე იყო სპარსული ტექსტიც. შაჰ აბას I-ის მიერ მხოლოდ სპარსულენოვანი საბუთების შემოღება კი მიზნად ისახავდა, მამულისა და ყმის წყალობის მთხოვნელი ქართველი თავადები ბოლომდე დაექვემდებარებინა შაჰის ძალაუფლებისადმი. “ორენოვანი საბუთების არ არსებობა შაჰ-აბასის პოლიტიკის განხორციელების წლებში საყურადღებო ფაქტია. საეჭვოა, რომ ეს შემთხვევით აიხსნებოდეს (მაგ. ამგვარი საბუთების დაკარგვა-დაღუპვით), რადგან შაჰის პოლიტიკა ქართული მიწისმფლობელობის გაუქმების ხაზით თავისთავად გამორიცხავდა ორენოვანი საბუთების არსებობას“ (გაბაშვილი 1958: გვ. 357). ორენოვანი (ქართულ-სპარსული) საბუთების გაჩენა 1626 წლიდან განპირობებული იყო შაჰ აბასის მარცხით. მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების შემდეგ სეფიანთა იმპერიამ ქართლ-კახეთთან ურთიერთობის კომპრომისულ გზას დაადგა.

ორენოვანი საბუთების გაჩენამ სპარსულად შედგენილ საბუთებში სპეციფიკური დიპლომატიკური კლავსურების ჩამოყალიბება განაპირობა, ხოლო ქართული საბუთის წყობა არ შეცვლილა. მიუხედავად ამისა, ქართულ დიპლომატიკურ ფორმულებში გარკვეული ცვლილებები მოხდა, რომლებიც გამაჰმადიანებული მეფეების: ბაგრატ-ხანისა და სვიმონ-ხანის მიერ გაცემულ აქტებში გამოჩნდა.

1. რასაკვირველია, მუსლიმ მეფეთა მიერ გაცემულ საბუთებში “სიგლის თავი“ საღვთისმეტყველო შესავლის გარეშეა წარმოდგენილი;⁴ მართალია, საბუთების ნაწილი იწყება ქანწილით, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში გააზრებული არ არის მისი, როგორც ქრისტეს მონოგრამის, მნიშვნელობა და მექანიკურად ემორჩილება ქართულ დიპლომატიკაში მიღებულ ტრადიციას.
2. საბუთები იწყება ფორმულით: “ნებითა ღმრთისათა“, რაც ნეიტრალური ფორმაა. ზოგადად ღმერთია დასახელებული, რომელსაც არ მოსდევს კონკრეტული ან, არ ჩანს, ქრისტიანთა ღმერთი

4 გამონაკლისია ბაგრატის საბუთი სვეტიცხოვლისადმი, სადაც დიპლომატიკური ფორმულები ქრისტიანული ღვთისმეტყველების შინაარსითაა დატვირთული (სეა, 1449-2641)

იგულისხმება თუ მუსლიმთა. თუმცა, რაც შეეხება ამ ფორმულის გაგრძელებას, აქ უკვე ცვლილებაა შეტანილი და ხშირად გვხვდება შემდეგი ფორმით: “ნებითა ღმრთისათა, **წყალობითა ბედნიერის ყაენისათა**“ ან “ბედნიერი ბატონი“ (სეა, 1450-12/110).

გარკვეულ საბუთებში ბედნიერი ყაენის ვინაობა უკვე დაკონკრეტებულია და პირდაპირ შაჰ აბასია მითითებული: “ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა და **შაჰ-აბაზ ყეენისათა**“ (სეა, 1448-252), “ბრძანებითა ღმრთისათა და **წყალობითა შაჰაბასითა**“ (სეა, 1448-1261). “წყალობითა ღმრთისათა და **ბრძანებითა შაჰაბასისათა**“ (ხეც, Ad-973 ა). ტერმინები “წყალობა“ და “ბრძანება“ მონაცვლეობს. გვხვდება ასეთი ფორმაც: “ქ. ზე აღიდნეს კვლმწიფეობა **ბედნიერის შაჰ-აბასისა** და მეფობა პატრონის სუიმეონისა“ (ხეც, Hd-6259).

3. Intitulatio-ში ამოღებულია ქართველი მეფის განმადიდებელი ეპითეტები, “ღმრთიფეგვირგვინოსანი“ და მსგავსი, ბაგრატიონთა გვარის წარმომავლობის აღმნიშვნელი, უთითებენ მხოლოდ “ჩუენ, მეფემან პატრონმან ბაგრატ“ (ხეც, Ad-973ა). “მეფემან პატრონმან სუიმონ“ (სეა, 1450-28/196).⁵
4. განგებულების ნაწილში ერთეულ შემთხვევაში კვლავ “ბედნიერი ყაენი“ ემატება: “გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან **ბედნიერის ყაენის** და ჩვენს ერდგულად სამსახურს შიგან“ (სეა, 1450-12/106).
5. ბრალთგადამხდელის ნაწილი, სადაც განგებულების დამრღვევის მიმართ წყევლა, ხოლო შემსრულებლის მიმართ კურთხევაა ქრისტიანული ღვთისმეტყველების მიხედვით ფორმულირებული, შეცვლილია. მაგ.: “რომელიც ამ პირობას გარდაჰხდენ, თავადამც მღრთისა და **ბედნიერის ყაენისა შემცოდე იყოს და მერმე ჩუენისა მეფობისა** და ჩუენის დარბაზის ერთა მტერია“ (სეა, 1461-3/34). “თუ დაუნაშავებლად ეს საფიცარი გაგიტეხოთ, **თავად ღმრთისა და მერმე, ბედნიერის შაჰ-სეფის ყაენის შამცოდენი ვიყვნეთ**“ (ფიცის წიგნი სვიმონ მეფისა იოთამ ამილახორისადმი, ხეც, Hd-2121). ზოგ საბუთში ირანის შაჰის ხსენება სინთეზირებულია ქრისტიანულ ფორმულებთან: “აწე, ვინცა მოგიშალოს ეს თქვენი სამკვიდრო მამული, ჩვენგან კიდევ ნაწყალობევი, **რისხავსმცა მამა, ძე და სული წმინდა და ყოველი მისნი წმინდანი და ბედნიერი შაჰ-აბასი**“ (სეა, 1450-37/190).

5 გამონაკლისია სვიმონ მეფის საბუთი მანგლელ ეპისკოპოს ათანასე ტატიშვილისადმი, სადაც მას “ღმრთიფეგვირგვინოსანი მეფეთ-მეფე ეწოდება“ (ხეც, Hd-14422, ხეც, Hd-2121, თაყაიშვილი I, 1899: №115, გვ. 117-118).

6. ბაგრატ-ხანისა და სვიმონ-ხანის ქართული ბეჭდები არ შემოგვრჩენია, თუმცა, როგორც ჩანს, არსებობდა. რამდენიმე საბუთის პირზე, რომელთა დედნებიც დაკარგულია, მითითებულია, რომ ორიგინალს ჰქონდა ბეჭედი მხოლოდ მეფის სახელის მოხსენიებით: “ბეჭედი: „ბაგრატ“ (სეა, 1450-37/190); “დედანს ჰქონია ოთხკუთხა ბეჭედი წარწერით: სვ(ი)მონ“ (სეა, 1450-20/87).

სვიმონის მიერ გაცემული საბუთების სპარსული ტექსტის ბოლოს მოთავსებულ ბეჭდებს შემდეგი შინაარსის სპარსული ლეგენდა აქვთ: „შაჰ აბასის მონა სვიმონი“ (ხეც, Hd-1679, სეა, 1448-3257, სეა, 1448-3256). “ჭეშმარიტების მეფის მონა სიმონი“ (Hd-3056). ცხადია, ბეჭდის ლეგენდა ზედმიწევნით ახასიათებს ირანის მიერ ქართლის მმართველისადმი მინიჭებულ სტატუსს.

“ბედნიერი ბატონი“ ირანის შაჰის აღმნიშვნელი ეპითეტი იყო და მას მეფე თეიმურაზის მიერ გაცემულ საბუთებშიც კი ვხვდებით (სეა, 1448-3260, სეა, 1448-2393), ზოგჯერ კუროსულ კონტექსტშიც: “ბედნიერი შაჰაბაზ მტერი ქრისტიანეთა“. ქართულ საბუთებში გვხვდება ერთგვარი სპარსიზმები – “ბედნიერი ყაენის“ ანალოგიით შედგენილი ფრაზები. მაგ.: სვიმონ მეფე ზურაბ ყაფარაშვილისადმი ბოძებულ სიგელში აღნიშნავს: “ჟამსა, ოდეს ბედნიერის პაპისა და მამის ჩვენისაგან ნაწყალობევი მამულები გქონებოდა“ (სეა, 1450-49/45).

მოცემული პერიოდისთვის საბუთის აღმნიშვნელ ტერმინად უკვე დამკვიდრებულია სპარსული “ფარვანი“.

ქართულ დიპლომატიკაში უცნობი იყო, თუ რა ეწოდებოდა მეფის მიერ ოფიციალური დოკუმენტის შედგენამდე მდივან-მწიგნობრისთვის გადაცემული საბუთის შინაარსის სახელდახელოდ ჩაწერილ შავ პირს. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ რომ “საბუთის შინაარსის გადაცემასა და წერას ქართულ სამდივანმწიგნობრო ენაში თავისი ტერმინი ექნებოდა, მაგრამ ჯერ არსად ჩანს“ (ჯავახიშვილი, 1926: გვ. 61). ლუარსაბ მეფის საბუთში ქრისტეს საფლავისადმი აღნიშნულია, რომ “ეს ფარდათ მოგვისხსენებია, და სხუა სიგელი პატრონმან მიტროპოლიტმან ზაქარიამ უნდა დასწეროს და ჩუენ ხელი ჩაურთოთ“ (სეა, 1450-51/209). მაშასადამე, ლუარსაბ მეფის მოცემული საბუთი დაწერილია “ფარდათ“, რაც ნიშნავს, რომ იგი მეფის ბრძანების პირველი, “შავი” პირია, ანუ, სასწრაფოდ არის ჩანიშნული. როგორც თავად ლუარსაბი გვამცნობს, საბუთის გადანუსხვა ევალებოდა მიტროპოლიტ ზაქარიას და უკვე დიპლომატიკური სტანდარტით გამართულ დოკუმენტს მეფე ხელმოწერით დაამტკიცებდა. ტერმინი “ფარდათ მოხსენება“, თანაფარდს, შესაბამისს ნიშნავს და მოცემული საბუთის საფუძველზე ირკვევა, რომ

ამ პროცესის აღსანიშნავად იყენებდნენ ტერმინს – “ფარდათ მოხსენება“.

XVII საუკუნის I ნახევრის დოკუმენტური მასალის საფუძველზე გამოვლინდა და დადგინდა სხვადასხვა ისტორიული მოვლენა. არაერთი ისტორიული პირის მოღვაწეობა შეივსო აქამდე უცნობი დეტალებით. მათი ანალიზი კონკრეტულ დოკუმენტებზე დართულ კომენტარებშია მოცემული.

* * *

ისტორიული დოკუმენტები დაამუშავეს და გამოსაცემად მოამზადეს: მათა შორეშიძემ (გიორგი X, ლუარსაბ II, თეიმურაზ I), თამაზ გოგოლაძემ (ბაგრატ-ხანი, სვიმონ-ხანი, თეიმურაზ I) და ირაკლი გელაშვილმა (თეიმურაზ I). ისტორიულ დოკუმენტებს კომენტარები დაურთეს: მზია სურგულაძემ და თეა ქართველიშვილმა. ეპიგრაფიკული მასალის პაღე-ოგრაფიული ასლები გადაიღეს თამაზ გოგოლაძემ და ირაკლი გელაშვილმა. წარწერის ტექსტები გამოსაცემად მოამზადა თამაზ გოგოლაძემ. ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები დაამუშავა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო თემო ჯოჯუამ. ქართულ-სპარსული საბუთების სპარსული ტექსტები დაამუშავა, თარგმანი დააზუსტა, სპარსული ბეჭდების ლეგენდები ამოიკითხა და გამოსაცემად მოამზადა ხათუნა ბაინდურაშვილმა. შესავალი წერილი მოამზადა თეა ქართველიშვილმა, ინგლისურად თარგმნა რუსუდან ლაბაძემ. სარედაქციო სამუშაოები შეასრულა მზია სურგულაძემ.

თეა ქართველიშვილი

INTRODUCTION

HISTORICAL REVIEW

In the history of Georgia the first half of the 17th century was a period of stagnancy. From the last decades of the 15th century the united Georgian monarchy disintegrated into three kingdoms (Kartli, Imereti, Kakheti) and three principalities (Samtskhe-Saatabago, Guria, Odishi). The interests of Safavid Iran, the Ottoman Empire and the Tsardom of Russia were clashed in the disintegrated country. The confrontation was mainly between the Ottomans and Iran. As for the Kingdom of Russia, it was restricted only to diplomatic activity, but its appearance in the Transcaucasia was so irritating that it often inspired the aggression of the Eastern empires. Along with foreign invasions, the country's development was hampered by the crisis of feudal system. The sole purpose of the country was survival and to preserve his existence.

In the beginning of the 17th century, the Ottomans had violated the treaty of Amasya and maintained their position in the Eastern Georgia. The Shah of Iran, Abbas I, was preparing for revenge and beginning to fight for the expulsion of the Ottomans from the Eastern Transcaucasia. By the time the King Simon I of Kartli was in captivity in Istanbul. In 1600, his son, Giorgi X, took over the throne of Kartli. The king of Kakheti, Alexander II was old enough. In 1603 Shah Abbas I declared war on the Ottoman Empire and after his success near village Supiani, he attacked the Ottoman main garrison in the fortress of Yerevan. He summoned his vassals Giorgi X of Kartli and Alexander II of Kakheti with their hordes. After the victory at the fortress of Yerevan, the Shah was already able to establish full domination over Kartli and Kakheti. He gave to the Georgian kings the provinces in Iran and set them remuneration, which was, in fact, an attempt to turn them into Iranian officials (Gabashvili, 1958: 376). At the same time, before Abbas I's campaigns for the complete subjugation of Kartli and Kakheti, the frontier territories of both kingdoms were confiscated: Lore and the Debeda valley Shah Abbas took from Kartli (Georgian Muslim feudal lord – Mirimanidze was appointed as a ruler of Lore, the Debeda valley was settled by the tribe Turkmen Borchalu and subordinated to the Iranian *tsikhistavi* (a fortress commander, ციხისთავი) of Aghjakala; Kak-Eniseli, i.e. Saingilo – took from Kakheti (which was granted to the Kakhetian prince, convert to Islam). So, the Shah had achieved three important successes: 1. The southern border stronghold was broken in Kartli, the eastern one in Kakheti. The ways were cleared to invade Georgia. 2. The Georgian

territories of strategic importance turned into Safavid provinces; 3. Iran had annexed quite a large territory, only a small part of which had been returned by Georgia, but settled by Turkmen tribes and the assimilated Georgians.

George X of Kartli died in 1606 and was succeeded to the throne by his 14-year-old heir, Luarsab II, tutored by his mother, Queen Tamar. In the same year, 13-year-old Teimuraz I ascended the throne of Kakheti, whose regent was his mother, Queen Ketevan. Shah Abbas succeeded in fighting the Ottomans, seized Karabakh and Ganja, invaded Kartli and expelled the Ottomans from the fortresses of Lore and Dmanisi. The Ottoman garrison of the fortress of Tbilisi surrendered and was replaced by the Iranians. The Qizilbashs took the place of the Ottoman conquerors. The Ottomans tried to restore their influence on Kartli. They invade Kartli in 1609. The Ottomans wanted to capture the king, but the sacrifice of the priest Tevdore saved Luarsab II. The Georgians managed to assemble the army and under the leadership of Giorgi Saakadze won a magnificent victory near Tashiskari. The Ottomans had difficulties fighting for the fortress of Shemakha (Shamakhi). Shah Abbas managed to take it and, in fact, expelled completely the Ottomans from the Eastern Transcaucasia.

On November 20, 1612, in Istanbul was concluded the treaty between the Ottomans and Safavid Iran, which restored the Treaty of Amasya, with the exception that the eastern Samtskhe was given to the Ottomans. Shah Abbas was already able to carry out his plans for Kartli-Kakheti. In 1612 the Shah summoned Luarsab II of Kartli and Teimuraz I of Kakheti to join him as if on a hunting expedition in Mazandaran. They did not go, which was sufficient reason for the Shah to punish the rebellious vassals. On October 16, 1613, the Iranian army set off for Georgia. The Shah camped in Ganja and demanded Teimuraz to give his children in hostage. Teimuraz sent his young son and mother, Queen Ketevan, but at Shah's request he was forced to send Levan, eldest son. Teimuraz himself did not come to the Shah and started preparing for battle. Shah Abbas divided his army into two, a part of the Iranian army invaded Kakheti from Tbilisi, another - from Qiziki. The besieged Teimuraz managed to move to Kartli, but Luarsab was not able to fight the Iranians, and both subsequently found refuge in the Ottoman vassal Imereti. The Shah occupied the capital of the Kingdom of Kakheti - Gremi, the Alaverdi Cathedral, which was turned into a fortress and deployed an army there. The whole of Kakheti, including the royal treasure kept in the fortress of Torgha, has been looted and the population resettled in Iran. As a ruler of Kakheti was appoint-

ed, Isa Khan, convert to Islam (Jesse, ოქბე - the son of Prince Giorgi, the son of Alexander II's of Kakheti), which grew up in Iran. David Jandieri (Aslanishvili) was assigned as a *vekil* (arab. vacyl, regent) of Isa Khan.

Shah Abbas moved from Kakheti to Kartli. Garrison of Qizilbashs was deployed in the Fortresses of Gori and Surami. After a great effort of the Shah, only Luarsab surrendered to him. The Shah managed to take Luarsab II to Qaraya (Qarayazi) under the pretext of hunting, and later captured him.

ძღვენო კაცთა ნათესავისაო, სახელდიდო და ქალწულ-დედობით ახალო, მზეს
ქუშზე ანგელოზთა ცხორებისა მასწავლელო კაცთაო, რომლისა მიერ დაიქს-
ნა მტერობისა შუა კედელი და განქარდა წყევა იგი პირველი, რომლისა მიერ
ვცანთ შემოქმედი უმეტართა და ვიქსნენით ტყვეობისაგან მწარისა.

15 ყოვლისავე სჯულისა ქებათასა აღმატებულო, ყ(ოვლა)დ ქებულო და ყ(ოვ-
ლა)დ წმიდაო ნ ი ტ რ ი ა ს ს ი ო ნ ი ს ა ლ(მრ)თისმშობელო! მე, მსასოე-
ბელმან შენმან და მინდობილმან ცვა-ფარვათა ძისა შენისამან, მეფეთ-მეფი-
სა, პატრონის ს უ მ ე ო ნ ი ს ძემან პირმშომან, პატრონმან გ ი ო რ გ ი ,
ესე შეწირულობისა წიგნი და სიგელი მოგახსენეთ შენთა, [ქრისტიანეთა]

მეოხსა და უბინოდ მშობელსა, უხრწნელსა და უმეტესად* [კურთხეულსა],
[ნ ი] ტ რ ი ა ს ს ი ო ნ ი ს ა ლ(მრ)თისმშობელსა, მას ჟამსა, ოდეს მოვ-
იდა წინაშე ჩუწნისა ჩუწნი მაკურთხეველი ქ ა რ თ ლ ი ს ა კათოლიკოს-პა-
ტრიარქი დ ო რ ე თ ე ო ს , გუეაჯა, რათა მამულნი შეგუენიწრნეს თქუწნისა
მონასტრისათვის.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება მისი, შენი მონასტერი ძველითაგან ყ(ოვლა)
დ წმიდის ეკლესია ყოფილიყო და საფუძველითურთ ახლად აეშენებია. და
მოგუართუა ჩუწნი ერთი მძიმე ზარქაშად ნაკერი თორმეტ საუფლო თუალითა
და მარგალიტით შემკობილი ომფორი – ჩუწნი ლ ო რ ი ს ა ლ(მრ)თისმშობელს
შევსწირეთ. კიდევ მოგვართვა ერთი საკელმწიფო ვეცხლის სურა და ნაღბა-
10 ქი. ჩვენ ვიგულვეთ და ვიგულსმოდგინეთ და შემოგწირეთ ჩუენთუის სადღე-
გრძელოდ და დღეთა ჩუენთა წარსამართებელად და სულისა ჩუწნისა საოხად
დღესა მას დიდსა განკითხუისასა.

და შემოგწირეთ ლ უ ბ რ მ ა , (?) ჩვენის სახასოს მამულისაგან გლეხნი
და შ ი ნ დ ა რ ს მ ა რ გ უ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს რულიად მე ს [ხ] უ რ ი ს მთე-
15 ლის მამულითა; ს ვ ი მ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ვ ი მ ო ნ ა ი ბ უ ლ ლ ა უ რ ი ს
მთელის მამულითა, გ უ ე რ დ ი ს უ ბ ა ნ ს გ უ ე რ ე ხ ა შ ვ ი ლ ი ი ო ვ ა ნ ე
მისის მამულითა, რისაც მქონებელნი ყოფილან; კიდევ გ ვ ე რ დ ი ს უ ბ ა ნ ს
შ ი შ ნ ა შ ვ ი ლ ი ბ ე ყ ი ტ ა ი და მისნი შვილნი ღ ვ ი ნ ი ა უ რ ი ს მ ა მ უ -

20 ლ ი თ ა ; ბ უ რ თ ი ა შ ვ ი ლ ი ქ ა ვ თ ა რ ა ი და მისნი შვილნი მისის მამ-
ულითა, ზ ე ს უ რ ა მ ს ტ უ კ ა ძ ე რ ო ს ტ ე ვ ა ნ ა ი , მისნი შვილნი მისით
მთელით მამულითა, ო ს ი ა უ რ ს ძ ა ლ ი ძ ე შ ო შ ი ა ი მისით შვილითა და
მამულითა, ჩ უ მ ა თ ე ლ ი ძ ე ჩ ა ი ს ა რ ა ი და მისი ძმა ქ რ ი ს ტ ე ს ა ი მი-
სის მამულითა; და სხუა, რაც ბატონის [ბ]იძის ჩემის მეფის გ ი ო რ გ ი ს გ ა ნ
გექრთამა და გეყიდა ნ ი ტ რ ი { ა } ს სოფელი, მ ა რ გ უ ე ლ ა შ ვ ი ლ ე -

ბ ი , ზ ა მ თ ა რ ე თ ი , ი ნ უ რ ი / ბ ა ნ უ ნ ე ლ ა შ ვ ი ლ ი და თ ვ ი ა მ
და მისნი შვილნი მისით მამულითა, რისაც მქონებელი ყოფილა/ მამული,
ძ ა ბ ი ლ ა უ რ ი მამული, ქ ო ნ თ ი რ ა უ ლ ი პ ა რ ტ ა ხ { ტ } ი , ზ ი ნ -
დ ი ს ი , სოფელი ჟ ა მ ი ს ა ძ ე ნ ი მათის მამულითა, ი ჩ ქ ი თ ი ძ ე ბ ი
მათის მამულითა, ჩ ი ნ ჩ ა ლ ა ძ ე ი ს პ ა ნ ა მისი შვილებითა [და] მათის
30 მამულითა; ფ რ ო ნ ე ს გაღმა და გამოღმა პ ა პ ი უ რ ი პ ა რ ტ ა ხ ტ ი .
სხუა, თუ რამ პარტახტი არის ზ ი ნ დ ი ს { ს } ; ს უ რ ა მ ა ჯ ი ნ ქ ა რ ა ძ ე
და მ ა ხ ა ძ ე მათის მამულითა, და ჯ ი ნ ქ ო რ ა უ ლ ი ზურად, ქუემო; და
კიდევ დ ო ნ უ რ ი ა შ ვ ი ლ ი ს ნაქონი ცოტა ალაგი. [და] შემოვსწირე ვე-

ნახი ო ს ი ა უ რ ს ნ ა ტ ბ ე ვ შ ი ა , სამი ხოდაბუნი, მიწა ც ე და ნ ს ; კ ო -
35 რ ო პ ა ძ ე { ე } ბ ი ძუირ-ფასად მოსყიდული ფ ი რ ა ნ ტ უ ლ რ ი ა ნ ა ი შ ვ -
ი ლ ი ს ა გ ა ნ ; ს უ რ ა მ ს , შუა ველს, ერთი ხოდაბუნი ბოლოს, ბეგამდის.

შემოგვიწირავს და მოგუისხენებია განთავისუფლებით, მათით მთი-
თა, ბარითა, ჭალითა, ყანითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, ტყითა, სან-
ადიროთა, საძებრითა და უძებრითა, მათის მამულითა და სასაფლაოთი. და
40 რაც ბატონის ბიძის ჩემისაგან გიყიდა და გიქრთამებია, ისიც ამ სიგლით

* სიტყვები „უხრწნელსა“ და „უმეტესად“ ტექსტში გადაშლილია
15 მესღურის ნსხ.

დაგვიმტკიცებია ჩუწნდა სადღეგრძელოდ და სულისა ჩვენისა საოხად.

ანე, ვინც და რამანცა გუარმან კაცმან, დიდმან ანუ მცირემან, მეფემან ანუ დედოფალმან, თავადმან ანუ აზნაურიშვილმან ანუ გლეხმან ამისად შლად და ქცევად კელყოს, ანუ გამოხუება იკადროს ამ ჩუწნის შეწირულისა, რისხავსცა დაუსაბამო ღმერთი, მამა, ძე და სული წმიდა, წმინდა დედოფალი ლ(მრ)თისმშობელი. შემცაედების კეთრი გ ე ზ ი ს ი , შიშთვილი ი უ და - ს ი , ცოცხლივ დანთქმა და თ ა ნ და ა ბ ი რ ო ნ ი ს ი , მეხდატეხილობა დ ი - ო ს კ ო რ ე ს ი . და ნურსამც სინანულით ნუ იქმნების ქსნა სულისა მისისა. და ქ რ ი ს ტ ე ს უარისმყოფელთა თანა დაისაჯების სული მისი და ყოველნი წმინდანი ლ(მრ)თისანი, ზეცისა და ქუეყანისანი, კორციელნი და უკორციონი. და დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს და წმინდამან ღვთისმშობელმან.

დაინერა სიგელი ესე ქორონიკონს ს ო ბ , კელითა თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა შ ა ვ ე ლ ი ს ა თ ა .

და ვ ი თ ა ც ხ ვ ჯ ა } რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ძველითგან შეწირული იყო საყ- დარსა, დაგუაინყდა და აქ დავსწერეთ. კიდევ მოგუართუა ბატონმა კათო- ლიკოზმან კარგი ფეშქაში და შემოგწირეთ: ნ ი ფ ა ს [ქ უ რ და ძ ე ე ბ ი] , ყ ა მ უ რ ა შ ვ ი ლ ე ბ ი – ყ ა მ უ რ ა და მისნი შვილნი და მომავალნი, ე ლ ი ა ზ ა რ ა ი და მისნი შვილნი მომავალნი, ი ნ დ უ ა ი და მისნი შვილნი და მომავალნი, ს ვ ი მ ო ნ ა და მისნი შვილნი და მომავალნი, ბ ე ს ა ლ ა ი და მისნი შვილნი და მომავალნი.

შემოგწირეთ ნ ი ტ რ ი ა ს მონასტერსა და მას შინა დამკუიდრებულ- სა ყოვლად წ(მი)დისა ლ(მრ)თისმშობლისა ხატსა, შემოგვიწირავს ჩუენთვის სადღეგრძელოდ და სასულიეროდ, შემოგუწინირავს ქ უ რ და ძ ე ნ ი ჩვენ, ხელმწიფის შვილსა ბატონს გ ი ო რ გ ი ს .

არა შეგქცვალოს და არა მოიშალოს არას ჟამთა შემოსრულობისა და გამოცვლილობისათვის არა ჩუენგან და არა შემდგომად ჩუენთა მომავალთა მეფეთა და დედოფალთაგან, არა ა ბ ა შ ი ძ ე თ ა გ ა ნ , არა სხუა მეპატრონე- თა და ა დ ა მ ი ს ა ნათესავისა კაცისაგან. და არავინ გვიბრძანებია მშლელი და მქაქცეველი მტკიცედ ბრძანებულისა ამის ჩვენისა სიგელიქსა, თვინიერ სიმტკიცისა და შემატებისაგან კიდე.

ანქე, ვინ და რამანცა ადამის მონათესავემან კაცმან, ანუ მეფემან, ანუ დედოფალმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან კელყოს ამის შლად და ქცევად და გამოხუქებად, რისხამცა დაუსაბამო ღმერთი, მამა, ძე და სული წმიდა, დედოფალი ღვთისმშობელი და ყოველნი წმიდანი ლ(მრ)თისანი ზეცისანი და ქვეყანისანი, და ზემო წერილთა მადლი. დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს და წმიდაქმან ლ(მრ)თისმშობელმან.

აგრეთვე ს ი ო ნ თ ა ღვთისმშობლისა მამულში ჩვენი არც მებალახე, არც კოდის პურის მკრეფელი, არცა ხევისთავი ჩვენი არა ეთხოვოს რა, სათათროს სათხოვარქს და ლაშქრობას გარეთ.

დედანს დასმული ჰქონია ბეჭედი: გ ი ო რ გ ი 1633 წ. როსტომ მეფის დამტკიცება:

რარიგადაც ეს სიგელი და გუჯარი პირველად ჩვენ ჩამომავალთ ხელმწიფეთ შეუწირავთ და დაუდებია, ჩვენც ასრე დაგვიმტკიცებია,

გაგვითავებია, ნურა კაცი ნუ ეცილებით, ქორონიკონსა ტპა, მკათათვის იბ. კარის წინამძღვარისათვის გვიბოძებია.

დედანს ჰქონია ბეჭედი: ყაენის ფეხთა მტკვერი, რ ო ს ტ ო მ , ვამტკიცებ.

ქ. ასრე რიგად ნასყიდი და შეწირული არის, რომე ს უ რ ა მ ი ს ც ი ხ ე - შ ი მდგომ არც ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა და არც თ ა თ ა რ თ ა , არც ციხეზედ მუშა- ობითა და არც სხვის სათხოვრითა, კელი არა აქუს და ნურცა-რას სთხოვენ, არ დიდის დაჭირებისა საქმითა არა ამუშაონ და არც სამასპინძლო ეთხოვბოდეს.

ხელრთვა ხვეულად: რ ო ს ტ ო მ

კომენტარი: საბუთის თანახმად, გიორგი ბატონიშვილს (მომავალი ქართლის მეფე გიორგი X) დოროთეოზ კათალიკოსის თხოვნით იავარქმნილი ნიტრიის მონასტრისათვის ყმა-მამული შეუწირავს. შემდგომში დოროთეოზ კათა- ლიკოსს ნიტრიაში დიდი აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარებია, რაზედაც მოგვითხრობს ამ მოვლენასთან დაკავშირებული მის მიერვე გაცემუ- ლი საბუთი (სეა, 1448-5008). გიორგი ბატონიშვილის დოკუმენტში აღ- სანიშნავია შეწირულ მამულებს შორის სოფ. წიფის (დღეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტი) დასახელება, რომელიც ადრეც ნიტრიის მონასტრის კუთვნილება ყოფილა, მაგრამ, როგორც ირკვევა, მასზე აბაშიძეები აცხადებდნენ პრეტენზიას. ამიტომ საბუთის ბოლოს, აკრძალვით ნაწ- ილში, საგანგებოდაა ნახსენები აბაშიძე, როგორც საბუთის პირობების შესაძლო დამრღვევი პირი. ვინაიდან აბაშიძეები დასავლეთ და აღმოსავ- ლეთ საქართველოს საზღვარზე ფლობდნენ მამულებს, მათ სათავადოში შედიოდა სოფ. წიფაც. ბუნებრივია, აღნიშნულ რეგიონში დიდი იყო მათი ინტერესი, ამის გამო, გიორგი ბატონიშვილს მნიშვნელოვნად მიუხრწევია მათი მოხსენიება სახელდებით (ლაცაბიძე 2012: გვ. 14).

1591 წ. 3 სექტემბერი. შეწირულების წიგნი პატრონ ბიორბისა ხევისჯვრის წმ. ბიორბისაღმ

პ ი რ ი, სეა, 1449-828; თავნაკლული, გადაწერილი XIX საუკუნეში გუ- ჯართა კომიტეტის წევრ დიმიტრი ალექსიევის მიერ დენიდან, რომელიც, გადამწერის ცნობითვე ცუდად იკითხებოდა (“არა სჩანს-რა”).

საბუთის დასმული ბეჭედი: აბაშიძე ესტატე.

. . . [] გვირგვინოსნისა მეფეთ-მეფისა ს ი მ ე ო ნ ი ს ა სასურველმან ძემან, პატრონმან გ ი ო რ გ ი , ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ, შემოგწირეთ და მოგახსენეთ თქვენ, საშინელსა და ღვანღმრავალსა, საჩინოსა,

მხნესა მხედარსა და ახოვანსა, წმიდასა გიორგის ხევისჯურისასა: ტაბატაძენი გიორგი, ივანე, შიო, იოვანე, შოშიტა, დათუა და ზაქარია და გოჩაი, მას უამსა, ოდეს მოგვიდგეს კარსა და სითარხნის წყალობას დაგვეაჯნეს.

5 და ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება მათი და ვათარხნეთ და განვათავისუფლეთ ყოვლისა ამათისა სათხოვრისა და გამოსაღებისაგან, ამად რომე, აპრილსა კგ -ს დღესასწაულსა წმიდის მოწამის გიორგისასა ალაპსა გარდაიხდიდნენ სადღეგრძელოდ ჩვენთვის და გასამარჯვებელად და სახსრად სულისა ჩვენისათა, დღესა მას დიდსა განკითხვისა ჩვენისასა.

10 დახარჯავდენ ორის წლის ზროხასა, ერთს ცხვარსა, ოთხს კოდს პურსა, თუთხმეტს კოკას ღვინოსა და აწირვინებდენ ორს მღუდელს. და ნურაოდეს მოგვეშლებს. სხვა, ამას გარეთად, არაფერი სათხოვარი და გამოსაღები საჩვენო არა გეთხოვებათ-რა.

შეინიერე შენ, საშინელო წმიდაო გიორგი ხევისჯურისაო, მცირე და კნინი შესანირავი ესე და წარმართე და განაძლიერე მეფობა ჩვენი. ანე, გიბრძანებთ ხეფინის ხევის მოურავო და [ნაც]ვალო, ასე გაუთავეთ, რარიგათაც ამ ჩვენგან საშიშით შეწირულსა სიგელშიგან ეწეროს, ნურცარას თქვენ შეუშლით და შექცილებით.

და კ(უალა)დ, ვინცა და რამანცა გვარმან კაცმან [იკადროს] ხელშლად და 20 ქცევად ამისად, შე-მცა-იცვალეების სულისა მისგან ქრისტიანობისა, მასმცა ექმნების ძრწოლა გეზისა, შიშთვილი იუდასი, დანთქმა და თან და აბირონისა, ნურათამცა სინანულით ნუ იქმნების ხსნა სულისა მისისა, ნუცა ჩოხათა და სქემა-ჩაცმითა, ნუცა იელურსარემს და მთაწმიდას წასვლითა, და ჩვენთა ცოდვათა მზღუეველიცა არის დღესა მას დიდსა განკითხვისასა. და შენც შერისხდი, შენ, საშინელო წმიდაო გიორგი ხევისჯურისაო!

დაინერა მტკიცე და უცვალეებელი სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს 25 ს(ო)მ, ენკენისთვის გ-ს, ხელითა კარის ჩვენის მწიგნობრის აბაშიძის ესტატესითა.

30 და ამას გარეთა, რისაც დღეს მამულის მქონებელი იყო, ორსავ წყალს შუა, მართლით მისდა სამართლიანის მითთა, გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერთმა) ჩვენს ერთგულად სამსახურსა შიგან.

გვიანდელი მინაწერები:

1. ხელჩართულ არს გიორგი, ზის ბეჭედი თათრული და არა ჰსჩანს.

2. ზის ბეჭედი ქართული, მეფის ძე უფლისწული მამუკა, ხელჩართულ არს და არა ჰსჩანს.

მინაწერი საბუთები:

წყალობითა ღ(მრ)თისათა, და აწ ჩვენცა, მეფემ ალექსანდრემ, პაპის პაპის მამა პაპისა ჩვენისა, მეფის გიორგის წყალობის წიგნი შეწირულობისა წმიდის გიორგისა ჩვენცა დაგვიმტკიცებია. ქ(ორონი)

12 მოგვეშველებს ნსხ.

კ(ონ)ს აქეთ ჩღმმ - ს (1745 წ.).

ზის ქართული დიდი ბეჭედი მეფის ალექსანდრესი.

თქვენ, ხევისჯურელებს, ჩვენ, აბაშიძე ზაალ საუდიერ(ო) ს ღვინოს გახდევებდით. ახლა შემოგვეხვეწეთ და ასე წყალობა გვიქმნია: ჩვენგან თქვენ საუდიერო ღვინო აღარ გეთხოვოს. სხვებ[რ], რაც [უც] სხუა, ქვეფინის[ხ]ეველი გვემსახუროს, თქვენც ისე უნდა გვემსახუროთ, ასე დაგვიმტკიცებია. იანვრის ით-ს ქ(ორონი)კ(ონ)ს შმ.

ხელმწიფის სამლოცველო გმართებიათ, ისევე უნდა იხადოთ.

გადამწერის ცნობა:

ზის ბეჭედი პატარა ქართული და არა ჰსჩანს-რა. ნამდვილისათანა სწორე არს. საეკლესიოთა გუჯართ კომიტეტის ჩლენი დეკანოზი დიმიტრი ალექსიევი.

კომენტარი:

სოფელი ხევისჯვარი დასავლეთ საქართველოში მდებარეობს (ამჟამად ხარაგაულის მუნიციპალიტეტი). საბუთი გაცემულია დროის იმ მონაკვეთში, როდესაც სეიმონ მეფემ მცირე ხნით მოახერხა დასავლეთ საქართველოს შემოერთება.

[1589-1600 წწ.] შიშორულების წიგნი ღორეთიერო კათალიკოსისა ნიტრიის ღმრთისწობისაჲში

დედანი: სეა, 1448-5008-ა; მაღალი ხარისხის ეტრატის გრაგნილი, დახვეული სპეციალურ ჯოხზე; ოთხი, ერთმანეთზე წითელი და შავი აბრეშუმის ძაფებით გადაკერებული კეფი; საერთო ზომა: 208,1X23 სმ; მხედრული; მუქი ყავისფერი მელანი, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ტექსტი იწყება გამშვენებული ქანწილით. დაზიანება: საბუთი სიძველისგან გაყვითლებულია, მარჯვენა გვერდითი კიდეები შედარებით უფრო გაცრეცილია, I, II და IV კეფების მარჯვენა კიდეები კი ალაგ-ალაგ ამოგლეჯილია და შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. მე-5 და მე-9 სტრიქონები ძნელად განირჩევა; საბუთს თავში მიკერებული აქვს მოხარჩობელი ქაღალდის ფურცელი, ზომით: 20X15,5 სმ., რომელზედაც გამოსახულია ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი ყრმით. ღვთისმშობლის შარავანდედის გასწვრივ, მარჯვენა მხარეს, სინგურით მიწერილია: “დ(ედ)ა ღ(მრ)თისა“. მარცხნივ, ღვთისმშობლის დაბლა დგას შემწირველი, შარავანდედით მოსილი კათალიკოსი, რომელიც გრაგნილს მართმევეს ღვთისმშობელს. კათალიკოსის მარჯვენა მკლავსა და ჩარჩოს ზოლს შორის დარჩენილ ვიწრო არეზე

ნუსხურად წერია: “მხატვრისა აკაკისათვის შენდობ(ა)ი ბრძანე, მ(ეუ) ფ(ე)ო“. მინიატურის ზურგი გამაგრებულია თხელი, გამჭვირვალე სარესტავრაციო ქაღალდით, მხოლოდ ორგან მკრთალად მოჩანს მინიატურული სახარების ტექსტის ორი ფრაგმენტი.

თარიღი: საბუთი უთარიღოა. ე. თაყაიშვილი მას ათარიღებს 1578-1600 წლებით. “კორპუსის“ IV ტომში, საბუთის თარიღი, დოროთეოზ III-ის კათალიკოსობის სავარაუდო წლების მიხედვით, დავიწროებულია 1589-1595 წლებით და მიხნეულია გიორგი ბატონიშვილის მიერ ნიტრიისთვის ბოძებული ასეთივე შინაარსის საბუთის შემდგომ გაცემულად.

გამოცემები: თაყაიშვილი 1910: №155; გვ. 124-129; დოლიძე, 1967: №59, გვ. 352-357. კორპუსი, 2016: გვ. 398-402; მოხატული ისტორიული დოკუმენტები, 2011: გვ. 82-83 (აღწერილობა).

ქ. სახელითა ლ(მრ)თისათა, სამგჯუამოვნად ცნობილსა, ერთარსებისა, ერთუფლებისა და ერთლ(მრ)თქეწებისა ლ(მრ)თისა მ(ა)მის, ლ(მრ)თისა ძისა და ლ(მრ)თისა სულისა |⁴ წმიდისათა; ოხითა და შეწვევითა ყ(ოვლა)დ წმიდისა, უხრწნელისა, უმეტეს კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა |⁶ ლ(მრ)თისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარია მისითა .

ძლიერ |⁷ ებითა ცხოველსმყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისათა, ძელის |⁸ ცხორებისათა, რომელსა ზედა განკუართულ იქმნა კორცი |⁹ თა ქ(რისტი)ე, ლ(მერ)თი ჩუენი, კსნისათვის ჩუენისა.

თანამოქმედება-მდგომარე |¹⁰ ბითა ურულოთა მცველ-მმართველთა ცხორებისა ჩუ |¹¹ ენისათა, წ(ა)მის-ყოფითა აღმასრულებელთა ლ(მრ)თის ბ(რძანე) ბათათა, დიდთა მთ |¹² ავართა ზეცისა უკორცოთათა, ცხრა არვეთა, ყოველთავე ზეცისა ძალთა.

|¹³ ოხითა და შეწვევითა ყოცქელთა დედათა ნაშობთა უზენაესისა, უდაბნოსა ქადაგისა, წინა |¹⁴ მსრბოლისა, წინასწარმეტყუელისა და ნათლისმცემელისა ი(ოან)ესითა და თანა |¹⁵ მეტომისა მისისა, ძედ ქუხილისა წოდებულისა, ი(ოან)ე ლ(მრ)თისმეტყუელისა, საყუარ |¹⁶ ელის მონაფისა და ქალწულისათა.

ოხითა, შე(წ)ევნითა და თანამოქმედებითა პეტრე |¹⁷ რიტორისა, სასუფეველისა კლიტეთ-მპყრობელისა პავლე სამცადმდე აღ |¹⁸ წვეწულისა და არათქმულთა სიტყუათა მასმენელისა, ათორთა მოციქუ |¹⁹ ლთა და სამეოცდაათქეულთა ქ(რისტი)ეს მონაფეთათა, რომელთა მოძღურებითა |²⁰ მოიქებადურნნეს ყოცქელნი კიდენი სოფლისანი.

თანამოქმედობა-მდგომარეობითა წ(მიდა)თა მოწინამეთა: გი(ორ)გი, დიმიტრი, თევდორე, მერკური, პროკოპი და პანტელეიმონისითა და წმი |²² დათა ქალწულთა მონამეთა: თეკლა, ეკატერინა, ირინა, მარინა, ბარბარა და ყოცქელთა მობაძავთ |²³ ა მათთა, რომელნი დაიკლნეს ქრისტესთვის და სისხლთა დათხევითა გუირგუინოსან იქმნეს; და წ |²⁴ მიდათა მ(ა)მათა განშორებულთა,

მეუდაბნოეთა, მესუეტეთა, მარტოდ მყოფთა ფიროსანთა, ქ |²⁵ რისტიეს ნების მყოფელთა და, რომელთა დააჯერეს ღმერთი სათნოთა ცხორებითა, რომელ |²⁶ ლნი საუკუნითგან სათნო-ეყუნეს უფალსა ჩუენსა იესოს ქრისტესა და კუალადცა სათნო-ყო |²⁷ ფად არიან ყ(ოველ)თა ლ(მრ)თისა წ(მიდა)თა ზეცისა და ქუეყანისათა.

ოხითა, შეწვევითა და შუა |²⁸ მდგომლობითა სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოსა, მირონისა ლ(მერ)თ |²⁹ მყოფელისათა, ჩუენ, ქ(რისტი)ეს ლ(მრ)თის მიერ კურთხეულმან, ქართლისა კ(ათალიკო)ზ-პატრიარქმან |³⁰ დორეთეოზ, * ვიგულე და ვიგულსმოდგინე და დავენუე მეფეთ-მეფესა გი(ორ)გის. მოგუი |³¹ ბოძა და მოგვყიდა სურამის პირსა სოფელი ნიტრია დიდის ფასითა, აზნაურნი იქ |³² სახლობელნი მარგუელაშვილნი დეკანოზნი, ერთი კუამლი ზამთარაძე, ერთი კუა |³³ მლი კიკნაძე, ერთი საგლეხო ძაბირაული, ერთი საგლეხო ქინთირეული; გლე |³⁴ ხნი დავასახლე ზედა.

ძუელითგან ყ(ოვლა)დწმიდის ეკლესია იყო დაქცეული, დაძველ |³⁵ ებული, ვიმუშავე და ავიღე საფუძველითურთ. ახალი საფუძველი გავსთხარე, აღვა |³⁶ შენე მონასტერი ესე კარგი სახელსა ზედა სიონისასა, დიდი და პატიოსანი, რო |³⁷ მელსა თვალნი ყ(ოველ)თა ქრისტიანეთანი ხედვენ. საფუძველი რომ ჩავსხენ, მოვი |³⁸ და მაჰმადის მოსახელე შაჰ-თამაზ ყეენი, გულისწყრომით მკსინვარე, ამო |³⁹ სწყუიტა და ააოკრა ქართლის ქუეყანა. ეს ყუალაი მეფობასა პატრონის ლუა |⁴⁰ რსაფისსა. განგრძელდა გულისწყრომა და მკსინვარება მისი ოც |⁴¹ წელსა ქართველოზედა. ენამა ლ(მრ)თისმოყუარე მეფე ჩუენი ბატონი ლ |⁴² უარსაფ და დასთხია მისი პატიოსანი სისხლი ქ(რისტი)ესთუის.

ასეთს დროს ვაშენეთ |⁴³ მონასტერი ესე დიდის ჭირითა და რუდუნებითა, რომე მოგუიქდებო |⁴⁴ დეს თარეშნი აგარიანთა. და აგ |⁴⁵ ჰქუყრიდეს ნაკარტებსა გალატოზები და ტყეში |⁴⁶ ჩავცვინდებოდით ყუალანი.

შემდგომად ჟამისა ამის, იპრიანა ლ(მერ)თ(მა)ნ და დაჯდა მეფედ |⁴⁶ ბატონი სუიმონ და დადვა თავი და სული ლ(მრ)თისათვის და საქრისტიანოსათვის და დატყო |⁴⁷ ვდა, დაყო ცხრა წელიწადი ტყუეობასა. მიიყუანეს შა |⁴⁸ ჰ - თამაზს წინაშე და ნახა ლ(მერ)თ |⁴⁸ მან მისი გულის სიმართლე და ქრისტიანობა და მანცა დიდად პატივსცა.

გარდაჰ |⁴⁹ კდეს ჟამნი რაოდენნიმე, და წარკდეს და მოკუდა ** შაჰ-თამაზ ყეენი. |⁵⁰ მოხედა მონყალეზამან ლ(მრ)თისამან და მოვიდა მეფეთ-მეფე ბატონი სუიმონ ტყუ |⁵¹ ეობიდალმან. ცოტაოდენნი საფასე მანც გაუჩინა მონასტერსა, მრავალმცა არ |⁵² იან წელიწადი ცხორებისა მისისანი.

მოვიდეს კიდევ ურუ მნი და, რაც ძალა ჰქონდა, გან |⁵³ წირულის ლაშქრით წინა აღუდგა. ჩემი ეკლესია დამინვეს და სოფელი ამო |⁵⁴ კრეს.

კიდევ ვერ უგულებებელს ვყავა ჩემი ნაშრომი, მივპყავ |⁵⁵ კელი და

* სახელი დორეთეოზ „კორპუსში“ (IV ტ.) გადმოცემულია, როგორც დოროთეოზ.

** მოუვიდა კორპ.

32 მარგუელაშვილნი დეკანოზნი ნსხ. 34 დავასახელე ზედა დ. 41 საქართველოზედა ნსხ. 42 ქრისტესთვის, ნსხ. 49 შაშ-თამაზს ყეენსა ნსხ. სუიმიონ ნსხ.

7 და, კორპ. 10 უუროლთა ნსხ. 17 კლი<ი>ტეთ-მპყრობელისა ნსხ. 18 მასმენელისა, ნსხ.

აღვასრულე ეკლესია შენობითა, დავასვენე ხატი ყ(ოვლა)დ წმიდისა ს ი ო ნ - ი |⁵⁶ს ა ლ (მ რ) თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ი , შემკული თვალითა და მარგალიტითა და ნაწილითა სასწა⁵⁷ულთმოქმედი; კიდევ სხუა დიდი ხატი, დახატული მაცხოვრისა, კარიანი; კიდევ ⁵⁸სხუა ხატი ყ(ოვლა)დ წმიდისა ნაწილითა სავსე; კიდევ სხვა ხატი ჯვარცმისა, ნაწილიანი, ს⁵⁹ავსე; წვრილი ხატები კიდევ ხუთი-ექუსი; კიდევ ძელი ცხორებისა წინას⁶⁰აძლოლი, თვალით შემკობილი; ბარძიმ-ფეშხუმი და კამარა ვერცხლისა; პერექლები ორი⁶¹-სამი კელი, ოქრომკედით შეკერული; წიგნები, რაც ერთს მონასტერს მოუნდების, ყუალა ⁶²კარგი და პატიოსანი.

კიდევ შევსწირე ზ ი ნ დ ი ს ი გ (ი ო რ) გ ი ს მეფისაგან მოსყიდული ძვირფასად, ი ჩ ქ ი ტ ი ძ ე |⁶³ მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ი , ისპანა და მისი შვილებითა, და შ ი ო და მისი შვილი გ ი ო რ გ ი , * |⁶⁴ ყ ა მ ი ს ა ძ ე და ჩ ი ნ ჩ ა ლ ა ძ ე მისით მიწა-წყლითა, წისქულითა და სამართლიანის მზღვრითა.⁶⁵

კიდევ ს უ რ ა მ ს შემინირავს, ისიც გ ი (ო რ) გ ი ს მეფისაგან მოსყიდული ძვირ ფასად: ჯ ი ნ ქ ა რ ა ძ ე და თ ვ ი ა , * * |⁶⁶ მ ა ხ ა ძ ე და ც ხ - ე ლ ე ლ ა შ ვ ი ლ ი და თ ვ ი ა მათით მამულითა, მიწა-წყლითა და სამართლიანის მზღვარ⁶⁷ითა.

კიდევ ჯ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი და ნ უ რ ა უ ლ ი ზუარი, ზოგი აშენებული იყო და ზოგი მეავა⁶⁸შენე; კიდევ სამი ხოდაბუნნი მიწანი ო ს ი ა უ რ ს , გასამძღვრული არის ნ ა ტ ბ ე ვ შ ი ა ; ⁶⁹კიდევ ნასყიდი მიწები, შ უ ა ვ ე ლ ა ს ერთი ხოდაბუნი, — ეს ყუალა გ ი (ო რ) გ ი მეფისაგან მოსყიდული ⁷⁰და მოქრთამებული არის, საუკუნომცა არს კსენება და კურთხევა მისი.

ან, ამას შიგან⁷¹ გარდაჰკდეს ჟამნი რაოდენნიმე. ბატონი გამოეცვალა ს უ რ ა მ ს ა , მოვიდა მეფეთ-მეფის, ბატონის ⁷²ს ვ ი მ ო ნ ი ს პირმშო ძე, ლ(მრ)თისაგან შეყუარებული და სალ(მრ)თო-საკაცობომდი ზნე-სრული,⁷³ მათცა დავენუე მამულსა, რათამცა შეენირნეს ნ ი ტ რ ი ა ს მონასტრისა და ს ი ო ნ ი ს ა [ლ (მ რ) თ ი ს] ⁷⁴შობელისათვის.

ისმინა აჯა და მოკსენება ჩემი, გამოილო მისის ქრისტესმოყუარის გულისაგან ⁷⁵და შესწირა მისად სადღეგრძელოდ და სასულიეროდ: ზ ე - ს უ რ ა მ ს ბ უ რ თ ი ა შ ვ ი ლ ნ ი , ორნი განაყო⁷⁶ფნი, მათის შვილებითა და მომავლითა; კ უ ა რ თ ი ს ა ს ტ უ კ ა ძ ე რ ო ს ტ ე ვ ა ნ ი მისის შვილებ⁷⁷ითა და მომავლითა; კიდევ კ უ ა რ თ ი ს ა ს ბ ა ნ უ ნ ე ლ ა შ ვ ი ლ ი და თ ვ ი ა ი , ს ა ზ ვ ე რ ლ ი ს ე უ |⁷⁸ ლ ი ს მამულითა; კიდევ ზ ე - ს უ რ ა მ ს გ ვ ე რ ე ხ ა შ ვ ი ლ ი ი ო ვ ა ნ ე მისის შვილებითა და მომავლ⁷⁹ითა; კიდევ შ ი შ ნ ა შ ვ ი ლ ი ბ ე ყ ი ტ ა , მისი ღვინიასე უ ლ ი ს მამულითა და მისის შვილებითა და მომავლ⁸⁰ითა; შ ი ნ დ ა რ ა ს ს ვ ი მ ო ნ ა და მისნი შვილნი და მომავალნი ბ უ ი ლ ა უ რ ი ს მამულითა მთლად; კიდევ შ ი ნ დ |⁸¹ რ ა ს მ ა რ გ უ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ზ ა რ ა ს პ ი , მისის შვილითა და მომავლითა და მ ე ს ხ ი უ რ ი ს მამულითა მრ⁸²თლად; ო ს ე უ რ ს

* ეს სტრიქონი ტექსტში ჩამატებულია

** სახელი „დათვია“ ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ 68 ოზსიაურის ნსხ. 72 სვიმიონის ნსხ. 76 როსტევენაი კორპ.

მ ა ლ ი ძ ე შ ო შ ი ტ ა ი მისის შვილითა და მომავლითა; ძ ე ლ ძ ვ ი ნ ა ს ჩ უ მ ა თ ე ლ ი ძ ე |⁸³ ჩ ა ი ს ა რ ა ი და მისი ძმა მათის შვილითა და მომავლითა; ც ე დ ა ნ ს კ ო რ ო პ ა ძ ე მ ა მ ი ს ა ი [. . .] ⁸⁴აი, მათი შვილნი და მომავალნი; ნ ი ფ ა ს გ ლ ე ხ ნ ი ქ უ რ და ძ ე ე ბ ი , [მათის შვილითა და მომავლითა] ⁸⁵ ყ ა მ ი ე რ ა შ ვ ი ლ ნ ი მათის შვილითა და მომავლითა, ი ნ დ უ ა ქ უ რ და ძ ე , მისნი შვილნი, ს ვ ი მ ო ნ ი [ძ ე . . .] , ⁸⁶ ბ ლ ი ა ძ ე და მათნი შვილნი;

ამის ფეშქაშად მიმირთმევია ერთი მძიმე სირმით შეკერული ომფორ⁸⁷ი, შემკული თვალითა და მარგალიტითა და მისის თორმეტის საუფლოთა, ერთი საკელ⁸⁸მნიფო სურა და ერთი ნალბაქი ვერცხლისა, ერთი ნალბაქი კიდევ ვერცხლისა, ერთი ჯა⁸⁹მი ვერცხლისა, ერთი დოსტაქანი, ერთი სირაჯული ორხოო, ერთი კარგი ნაქსოვი.

ეს ⁹⁰რაც მამული და გლეხნი დამინერია, ყუელა ჩემის მოღვაწეობითა და წირვით ⁹¹მიშოვნია და მიყიდა. ამისთა თანა პატიოსანი თვალთშეუდგამი მონასტერი ამიშენებია.

ჩემ⁹²ს ექსორიობაშია კ ა ხ თ მეფის, ბატონის ლ ე ო ნ ი ს წყალობა და მის შვილთა ბევრი მოვიდა ჩემ⁹³ზედა, საუკუნომცა არს კსენება და კურთხევა მათი.

ან ესე, რაც ამ ს{ი}გელში დამინერია, შემინ[ი]⁹⁴რავს ნ ი ტ რ ი ა ს წმიდისა მონასტრისათვის და მას შინა აღმართებულისა ხატისა ს ი ო ნ ი ს ა ლ (მ რ) ⁹⁵თისმშობლისათვის, ჩემთვის და ჩემის სახლისათვის სასაფლაოდ, სამამულოდ და სამკუიდრო⁹⁶დ ამიშენებია.

მრავალნი ჭირნი და იწროებანი მამითმენია, ლ(მერ)თ(მა)ნ უწყის, არავინ მემართლე⁹⁷ბის, რაც ამ სიგელში დამინერია, ამის მოშლასა და გაცუდეებასა, ამისთვის რომე, დიდა⁹⁸დ მიღვნია და ღვანლით ამიშენებია. თქუენ, წმიდანო ქ ა რ თ ლ ი ს ა და ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ა კ(ათალიკო)ზნო ⁹⁹და მათნო სამწყსონო, წ(მ)იდანო ებისკოპოზნო, თქუენცა ასრე წყევა-კრულობით დამი¹⁰⁰მტკიცეთ თქუენის საყდრისა და თქუენის კურთხეულის პირით.

კრულ-წყეულ და შეჩუენ¹⁰¹ებულ იყოს, ვინც მოშალოს და გამოაკუას ეს ჩემნ{ი} ნასყიდნი და ნალუანნი მამულნი. ვინცა ¹⁰²და რამანცა ა და მ ი ს მონათესავემან კაცმან, ანუ კელმნიფემან, ანუ უფლისწულმან, ანუ თავ¹⁰³ადმან, ანუ აზნაურმან, ანუ დიდმან და ანუ მცირემან შეცუალოს, შე-მცა-იცვალეების სჯულისაგან ¹⁰⁴ქრისტიანეთასა, რისხავსმცა მამა, ძე და სული წმიდა და ამა ზემო წერილთა წმიდათა მადლი; ¹⁰⁵ შე-მცა-ედების კეთრი გ ე ე ზ ი ს ი , შიშთვილი ი უ და ს ი , დანთქმა და თ ა ნ და ა ბ ი რ ო ნ ი ს ი , მეხ-დატეხი¹⁰⁶ლობა დ ი ო ს კ ო რ ე ს ი , ა ნ ა ს ს ა და კ ა ი ა ფ ა ს თანამცა არს მკუიდრობა მისი. კრულ-წყეულ¹⁰⁷ და შეჩუენებულმცა იქნების თორმეტ მოციქულთ მადლითა; კრულ-წყეულ¹⁰⁸მც იქნების ოთხთ პატრიარქთ მადლითა; მეასდარვესა ფსალმუნსა წყევას ქუეშე ¹⁰⁹იყოს ნაწილი მისი, კრულმცა არის შვიდთა კრებათაგან, ჩემთამცა ცოდვათათვის იგი ¹¹⁰განიკითხვის დღესა მას საშინელს ქ რ ი ს ტ ე ს მეორედ მოსლვასა, დღესა მას დიდსა

83 და დათვიაი დ. 84 მომავალნი ამათნი ნსხ. წიფას მეორდება. 85 სიმონიქ დ., კორპ. 86 მიმირთმევენია ნსხ. 90 მამულნი კორპ. 91 თვალით შეუდგამი ნსხ.

განკითხ¹¹¹ვისასა.

ამისნი დამამტკიცებელნი ლ(მერ)თ(მა)ნ აკურთხნეს და წ(მ)იდამან ლ(მრ)თისმშობელმან. მშლელნი ¹¹² და მქცველნი კრულ, წყეულ და შერუნებულ იყოს ამ სოფელსა, მას საუკუნეს; ქრ ¹¹³ ს ტ ე ს მეუფის უტყუელის პირითა და ყ(ოვლა)დ წმიდის ლ(მრ)თისმშობლის პირითა კრულ, წყეულ და ¹¹⁴ შერუნებულ იყო[ს].

უზის ჯვარი და ხვეული ხელრთვა:

¹¹⁵ ქ. კათალიკოზი-

კომენტარი:

კათალიკოსი დოროთეოზი დაწვრილებით მოგვითხრობს მის მიერ ნიტრიის მონასტრის აღმშენებლობის ამბავს, რომელიც უხვადაა შეხავებული XVI საუკუნის ქართლის პოლიტიკური ისტორიის ამსახველი ფაქტებით. ზრუნვა ნიტრიაზე მას დაუწვია გაცილებით ადრე, როგორც თვითონ იუწყება, მეფეთ-მეფე გიორგის დროს. შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს მეფეთ-მეფე გიორგი იყო გიორგი II იმერთა მეფე (1565-1585), რადგან ქართლის დასავლეთი ნაწილი – ქართლ-იმერეთის სასახლდრო მხარე – XVI საუკუნეში კარგა ხანს იმერთა მეფის მფლობელობაში შედიოდა. მაგრამ ამ დასკვნას ეწინააღმდეგება საბუთში მოთხრობილ ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგია – მას შემდეგ, რაც დოროთეოსს შეუძენია ნიტრია, დაწყებულა შაჰ-თამაზის შემოსევები. ამიტომ მეფეთ-მეფე გიორგი შეიძლება იყოს მხოლოდ გიორგი IX, რომელიც მცირე ხანს (1525-1527) იჯდა ქართლის ტახტზე. გიორგი IX მეფის სტატუსით შეიძლება მოეხსენებინათ შემდგომშიც, 1540 წლამდე, სანამ იგი შემონახუნებოდა. ცხადია, დოროთეოზი ამ დროს ახალგაზრდა სასულიერო პირი იქნებოდა. ნიტრია, როგორც ჩანს, სამეფო დომენში შედიოდა და სწორედ ამიტომ დოროთეოზი ამ სოფელს იქ მოსახლე აზნაურებით, დეკანოზითა და ყმა-გლეხებით დიდი საფასურით ყიდულობს მისგან. მნიშვნელოვანია, რომ ნიტრიაში ეკლესია ადრეც ყოფილა, მაგრამ ამ დროისთვის უკვე სრულად დანგრეული და დოროთეოზს საფუძელიდან უწევს მისი მშენებლობის დაწყება. ფუნდამენტის ჩასხმისას ქართლში შაჰ-თამაზი შემოჭრილა. აქ შაჰ-თამაზის პირველი ლაშქრობა იგულისხმება, ვინაიდან დოროთეოზი აღნიშნავს, რომ მან 20 წლის მანძილზე არბია ქვეყანა. შაჰ თამაზმა ქართლი 4-ჯერ დალაშქრა: 1541, 1547, 1551 და 1554 წლებში. მაშასადამე, ნიტრიის მონასტრის საფუძველი 1541 წლისათვის ჩაუსხამთ. მისი მშენებლობა ლუარსაბ I-ის მეფობის დროს მიმდინარეობდა “აგარიანთა“ შემოსევების ჟამს: “ვაშენეთ მონასტერი ესე დიდის ჭირითა და რუდუნებითა“. დოკუმენტში დოროთეოზი ეხება მეფე სიმონ I-ის ცხრაწლიან ტყვეობას სპარსეთში (1569-1578), საიდანაც დაბრუნებულ მეფეს მცირეოდენი საფასე გაუჩენია მონასტრისთვის. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ურუმებმა ლაშქრობისას ააოხრეს სოფელი ნიტრია და დაწვეს ეკლესია. დოროთეოზ კათალიკოსს დაუღალავი ღვაწლის შედეგად უმძიმეს პირობებში მაინც მოუხერხებია მონასტრის აღდგენა. მას ეკლესიისთვის შეუწირავს წმინდა ნაწილებით

შემკობილი ხატები და საღვთისმსახურო ინვენტარი. ხელახლა შეუწირავს გიორგი IX-ის მიერ ბოძებული ყმა-გლეხები.

სურამი ერთი იმ პუნქტთაგანი იყო, რომელიც XVI საუკუნის დასაწყისში ქართ-იმერეთის მეფეების დავის საგანი გახდა. 1526 წელს ბაგრატ III-ისა და ლუარსაბ I-ის დაზავების შედეგად იგი იმერთა მხარეს დარჩა, მაგრამ ამასიის ზავის დადების დროს (1555) იგი უკვე ყიზილბაშთა (ე.ი. ქართლის) საზღვრებში ყოფილა. 1578 წელს ირან-ოსმალეთის ომის განახლების შემდეგ ოსმალებმა სურამიც დაიკავეს, მაგრამ სვიმონ მეფის ხელმძღვანელობით ოსმალთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის შედეგად სურამი კვლავ ქართლს დაუბრუნებია. ამას მოწმობს საბუთის ფრაზა (სტრ.70-71): ”აწ, ამს შიგან პატრონი გამოეცვალა სურამსა“. როგორც ჩანს, იგულისხმება გიორგი ბატონიშვილის (შემდეგში ქართლის მეფე გიორგი X)-ის 1584 წლის საბუთი (იხ.აქვე, Sd-2909) ნიტრიის სიონისადმი (სურგულაძე, 2010: გვ. 175-177). კათალიკოსს ბატონიშვილისათვის ძვირფასი ფეშქაშის საფასურად უთხოვია ყმა-გლეხთა შეწირულება, რაც გიორგი ბატონიშვილს შეუსრულებია. ნიშანდობლივია, რომ კათალიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს: “რაც მამული და გლეხნი დამიწერია, ყუელა ჩემის მოღვაწეობითა და წირვით მიშოვნია და მიყიდა“.

ზოგადად, დოროთეოზ კათალიკოსის მოღვაწეობის წლები და მისი ცხოვრების პერიოდები დაუზუსტებელია. დოკუმენტში კათალიკოსი მიანიშნებს თავისი ბიოგრაფიის დეტალებზე: ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო იგი ექსპორტში ყოფილა, როგორც ჩანს, კახეთში. ალბათ ამ ფაქტის გამო ნიტრიის მონასტერს შეწევნიან კახეთის მეფე ლევანი და მისი შვილები.

დოროთეოზმა დიდი წვალების და შრომის ფასად მოახერხა ნიტრიის მონასტრის საბოლოოდ აგება და გამშვენება. ბუნებრივია, რომ იგი თავის საძვალედ გაემწესებინა, თუმცა კათალიკოსს თავის სახლეულზეც უზრუნია და მონასტერი მთელი სახლეულის განსახვენებელ ადგილად უქცევია (ლაცაბიძე, 2012).

1602 წ. 8 დეკემბერი. მამულის წყალობის წიგნი ბიორბო მფონსა ძაიხოსრო ჯავახიშვილისაღმი

დედანი: ხეც, Sd-522; ყვითელი ფერის ქაღალდი; ზომა: 18,4X17,7 სმ. ყავისფერი მელანი; ხელი მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: პირველი სტრიქონზე განირჩევა მხოლოდ გრაფემების ქვედა ნაწილი. ოთხივე მხარეს შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთი ნაწერია recto-ზე სრულად, verso-ზე არის მოგვიანო ხანის მინაწერები.

პირი: ხეც, Qd-9658.

თარიღი: ქრონიკონი სშ (290), ქრისტეშობის თუეს ჭ (8), რაც გვაძლევს 1602 წლის 8 დეკემბერს.

გამოცემა: თაყაიშვილი, 1909: №16, გვ. 25.

ქ. რაც ჯიმშერის დე[დას], თუხარს, ბატონის მამის ჩუენქის ნაბოძებს წიგნში მამული უწერია მისის სამართლიანის სამძღურითა და საქმითა, სადამდის თუხარ ცოცხალ იყოს, მისი კერძი მამულიცა და თუხარცა ჯავახიშვილის⁵ ივანე{ს} შვილის ქაიხოსროს თუხარცა მოგვიბარებია და მის სიცოცხლეში ნურაქს დააკლებს და კარგა შეინახოს. და რათუ⁶ ხარ აღარ იყოს და მოკუდეს, მას უკან, რაც ბატონის მამის ჩუენისაგან თუხარის თუხარცა ნაბოძები იყოს და წიგნში ეწეროს სამეუდროდ, ქაიხოსროს თუხარცა გვიბოძებია. და ნურაქ¹⁰ კაცი ნუ ეცილებით. და რაც ჯიმშერის ნაცოლარს ულ¹¹ უმპიას ბატონის მამის ჩუენის ნაწყალობევს წიგნში ეწეროს, იმას ქაიხოსროვ ნურაქს ეცილებს, და რაქ¹² წიგნში არ ეწეროს, მის მეტს ულ¹³ უმპიას ქაიხოსროს ნურაქს ეცილებს.

ქ(ორონი)კ(ონ)სა სშ, ქრისტეშობის თუეს ჭ.

ხელრთვა ხვეულად: გორგი

გვიანდელი მინაწერები საბუთის verso-ზე:

1. მ. დ. ჯავახიშვილი. 2. მ. დ. ჯავახიშვილი (ხელმოწერა გაკრული ხელით, პირშექცევით) 3. საქართველოს სიძველენი, ტ. II, 16.

კომენტარი:

საბუთში ასახულია საგვარეულო ქონების გადანაწილების პროცესთან დაკავშირებული იურიდიული რეგულაციები. ვაჟი მემკვიდრის გარეშე დარჩენილი მამაკაცის გარდაცვალების შემთხვევაში, მეურვეობა მის მეუღლეზე და ასულებზე (თუ ასულები ჰყავდა) რჩებოდა გარდაცვლილის უახლოეს ნათესავს ამავე საგვარეულოდან, ხოლო მეუღლის გარდაცვალების და ასულების გამზითვების შემდგომ გარდაცვლილის უძრავი ქონება გადაეცემოდა მეურვედ დანიშნულ პირს.

1602 წ. ყმა-მამულის წყალობის წიგნი დომენტი კათალიკოსისა ჯარმაულ ღაშითისაღმი

პირი: სეა, 1449-2078-ბ, შემოკლებული პირი.

თარიღი: ქრონიკონი სშ (290), რაც გვაძლევს 1602 წელს.

ქ. ჩუენ ...ყოველისა საქართველოსა მამადმთავარმან, ქართლისა კ(ათალიკო)ზმან პატრონმან დომენტი, ესე ... სიგელი გიბოძეთ შენ, ქარმაულსა და ვითს ... მას ჟამსა, ოდესცა კითხულ[ობ]ითა მეფისა პატრონისა გიორგისითა, მოგიბოძეთ გოგილა[ან] ში ოთხი კვამლი კაცი ... რისაცა ოდენ მამულისა მქონებული იყუნეს ... და რაც ჩუენი სახასო მინა იყო, ერთი-ორი წილი თქუენ გიბოძეთ...

დაინერა ქ(ორონი)კ(ონ)ს სშ.

ბეჭედი: იესო ქრისტე ... ქართლისა პატრიარქი.

ბატონის მამის ჩუენის ნებადართულობითა ქ(ათალიკო)ზის ბატონის დომენტისაგან ნაბოძები ... ან ჩუენ ... მეფეთ-მეფემან პატრონმან ლუარსაბ ... გიბოძეთ ... ქ(ორონი)კ(ონ)ს სშწ. /1610/

ხვეულად: ლუარსაბ

კომენტარი:

ჭარმაულეები იყვნენ საკათალიკოსო აზნაურები. XV საუკუნიდან ქართლის კათალიკოსის კარზე იკავებენ უმემკვიდრედ ამოვარდნილ ბერინას შვილთა სამცხეთიშვილო თანამდებობას. საბუთიდან კარგად ჩანს მცხეთიშვილთა ორმაგი დაქვემდებარება მეფისა და კათალიკოსისაღმი – კათალიკოსი მხოლოდ მეფის ნებართვით აძლევს მათ წყალობას (სურგულაძე, 2016: გვ. 146, 150).

[1606-1615 წწ.] აბარაპის შეწირულების წიგნი ლუარსაბ მფონსა შიომღვიმის მონასტრისაღმი

შემორჩენილია საბუთის ორი ნაკლები დედანი: 1. სეა, 1448–5266, ნაკლები, აკლია საღვთისმეტყველო შესავლის დასაწყისი ნაწილი და ძირითადი ტექსტის შუა ნაწილი. გადარჩენილია საბუთის ბოლო, წყვეთი ნაწილი. 1850 წელს გავლილი აქვს რუსული რეგისტრაცია. 2. ხეც, Ad-556; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 38,1X25,5 სმ. შავი ფერის მელანი; მხედრული, ნაწერია მჭიდრო და ღამაზი ხელით, განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: თაენაკლული, verso-ზე

ტექსტი გადასულია, თუმცა, ოდნავ განირჩევა ზედა გრაფემები. დღეისათვის საბუთი რესტავრირებულია. საბუთის ტექსტი ავსებს სეა, 1448-5266-ს.

პ ი რ ი: სეა, 1449-825, თავნაკლული.

თ ა რ ი ღ ი: საბუთი უთარიღოა. გამოცემაში იგი თარიღდება გიორგი X-ის ზეობის (1600-1606) წლებით.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი: ხახანაშვილი, 1891: გვ. 71-72 (ემყარება პირს); ჟორდანიას 1897: გვ. 431, 434 (შემოკლებით).

გამოცემაში შეერთებულია ორივე საბუთის გადარჩენილი ფრაგმენტები.

... უვნელი, უშობელი, უკუდავი, უხილავი, არსი საბაოთ, საუკუნით-გან [მოაქ] ამდე დიდებული და ქებული ყოველთა აგებულთა, გარ[...]ლი შემოქმედნი ყოველთა ხილულთა და არა ხილულ[თა], [...] ძე [წ] ჭეშმარიტი ჭეშმარიტისა მამისა, მზე სიმართლისა, ნათელი ჭეშმარიტი ცხორება და ჭეშმარიტება დიდის ზრახუისა, მამისა ანგელოზნი, მწყემსი კეთილი, მესია იესო ქრისტე ღმერთი, სახიერი, კაცთმყოფარე და საცნაურად მიზეზი ყოველთა მათ კეთილი უდ[...] წმიდა, რწომელსა მამისაგან აქუს არსება და მამისა და ძისა თანა თაყუანისცემული სუ[ლი] წმიდა, უფალი ცხოველსმყოფელი, ყოვლად ძლიერი, ყოველთა მხილველ[ნი] [ი ...] ერი იტყოდა წინასწარმეტყუელთა მიერვე თუნიერ, რომელ მამასა ეწოდებ[ნ]ის; მამა უშობელი და ძესა მამისაგან შობილი და სულსა წმიდასა, სული წმი[და] მამისაგან გამო-მავალი და მამისა და ძისათანა თ[ა]ყუანისცემულ[ნი]. ესე არიან თ[ა]ყუანისცემულნი მათნი, შეურევნელი გუამოვ[ნებ]ა სამგუამო[ვან] ღ(მრ)თ(ის)ა [...], [15] დიდებითა და სამარადისობითა და მეუფებითა.

ესე სამება ერთარსება ე[რთ]ლ(ვ)თაება, ერთი ძალი, ერთი მეუფება, შეურევნელი წმიდა სამება, რომ[17]ლისა დანყება უცნაურ არს და ჰგიეს უკუნითი უკუნისამდე. და მერმეცა [18] [...] უელად ყოვლად საგალობელისა და სავედრებელისა და [...] ზე[19]შთა აღმატებულისა ყოვლად წმიდისა, ყოვლად კურთხეულისა, ყოვლად ბ[20]ინ-შეუხებელისა, რომელი არს მაცუალი ცეცხლშეუხებელი, კიდობანი[21] სინმიდისა, კურთხი ა რ ო ნ ი ს ი, ნაყოფისა მის უკუდავისა გამომღებელი, კარავი ღ(მრ)თისა [22] დამტევნელი, სახლი ღ(მრ)თისა საყდარი, ქეროვიმი ქალწული მ ა რ ი ა მ, დედა, უმამაკაცოდ[23] მშობელი ღ(მრ)თისა ე ვ მ ა ნ ო ი ლ ი ს ი, რომელმან დაიტია მუცელსა დაუტევნელი იგი ცა[24]თა და ქუეყანისა.

ღ(მრ)თისა დამტევნელისა, ღ(მრ)თისა დედისათა ძლიერებითა და შენ[25]ენითა სამნაწილისა ჯუარისა, ძელისა ცხორებისათა, რომელსა ზედა განკუართ[26]ულ იქმნა უფალი ჩუენი იესო ქრისტე და განიპყრნა უხრ-წნელნი მკლავნი [27] თუისნი მას ზედა კსნისა და ცხორებისათუის ჩუენისა.

ძლიერნო და შემწენო [28] ბანაკთა უსხეულოთა და უნივთოთა, მწყობრთაგანო ცხრა არვეთა და ცხრ[29]ათავე დასთა ანგელოზთანო, შეწენითა და ძლიერებითა სიტყუისა ღ(მრ)თისა მქ[30]ადაგებელ[თ]ა ნაშობთა ყოველთა უზეშთაესსა დიდისა მის ქრისტეს ნათლი[31]სმცემელისა ი ო ვ ა - ნ ე ს ი თ ა, კუალად ძისა მის ქუხილისა, მკერდსა ზედა მიყრდნობ[32]ით

ღ(მრ)თისა მზრახულისა, ი ო ვ ა ნ ე ქალწულ-მახარებელისა და ღ(მრ)თისმეტყუელ[33]ისათა; თავსმდებობითა და შუა მდგომელობითა ათორთა მოციქულ[34]ათა, მინდობითა და შუა მდგომელობითა ჩუენისა სიქადულისა, სასოე[35]ისა და ცხორებისა ს უ ე ტ ი ს ა ც ხ ო ვ ე ლ ი ს ა, კუართისა საუფლოსა და მი[36]რონისა ღ(მერ)თ-მყოფელისათა, წმიდათა და დიდთა მღრ-დელთმოდუართა: [37] დიდისა ბ ა ს ი ლ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი ს ა, გ რ ი გ ო - ლ ი ღ (მ რ) თ ი ს მ ე ტ ყ უ ე ლ ი ს ა, ი ო ვ ა ნ ე ო [38]ქროპირისა, ა თ ა ნ ა ს ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ე ლ ი ს ა, ნ ი კ ო ლ ა ო ზ მ ი რ ო ნ - ქ ა ლ ა ქ ი ს ა და ს ა კ უ ი რ ვ ე [39]ლ თ მ ო ქ მ ე დ ი ს ა და ს ს უ ა თ ა მ ა თ, ყოვლად პატიოსან-თა მღრდელთმოდუართათა.

და კადნიერად მეოხ არიან წინაშე მეუფისა და კუალადცა შემწეთა [ქრის-ტესა მხნ] [40]ეთა მკედართათა, დიდის მკნისა გ ი ო რ გ ი ს ი თ ა, დ ი მ ი - ტ რ ი, თ ე ვ დ ო რ ე და თ [41]ე ვ დ ო რ ე ს ი თ ა, და დიდისა ე ვ ს ტ ა - თ ი ს ი თ ა, და ყოველთავე ღ(მრ)თისა სათნოთა მი[42]კედართათა და ღირსთა და ყოვლად სანატრელთა დედათა და ქალწულთათა: თ [43]ე კ ლ ა, ი რ ი - ნ ა, მ ა რ ი ნ ა, ბ ა რ ბ ა რ ა და ე კ ა ტ ი რ ი ნ ა ს ი თ ა, და ყოველ-თა განშორებულთ[44] დაყუდებით მდგომარეთა მესუეტეთა, მეუდაბნოეთა. და რაოდენნი სათნო ეყუნე[45]ს უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა და კუალადცა სათნო ყოფად არი[46]*ან.

ამათითა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა და[1] თანაშემწეობითა, ესე აგარაკისა შეწირულობისა მტკიცე და შეუცქუალელებელი წიგნი და სიგელი გკადრეთ და მოგახსენეთ ნებით[ა] ღ(მრ)თისათა, ჩუენ, ი ე ს ი ა ნ - დ ა ვ ი თ ი ა ნ - ს ო ლ ო მ ო ნ ი ა ნ - ბ ა გ რ ა - ტ ო ნ [4]ი ა ნ მ ა ნ, ა ფ ხ ა ზ თ ა, რ ა ნ თ ა, კ ა ხ თ ა, ს ო მ ე ხ თ ა, შ ა რ ვ ა ნ შ ა და შ ი რ ვ ა ნ შ ი [5]ს ა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და ს ა ქ ა რ თ უ ე ლ ო ს ა თუითმპყრობელ-მფლობელმან, მეფეთ-მეფემან პატრონმან ლ უ ა რ ს ა ბ და პა[7]ტრონმან დ ა ვ ი თ .

შემცუელ, მფარველ და დიდო კელისა ამპყრობელ[8]ო, ჩუენო მამაო მამ-ათაო, წმიდაო შ ი ო, რომელი ეგე აღმობრ[9]წყინდი, ვითარცა მთიები შ უ ა მ დ ი ნ ა რ ი თ ა ს უ რ ე თ ი ს ა თ და მოიწიე[10] ქუეყან[ა]სა ამას ჩუენსა და არა ეც კორცთა შენთა განსასუენებელ[11]ი, არამედ ეძიებდ ადგილთა ფიცხ-ელთა და განუსუენებელთა, და დაე[12]მკვიდრე უდაბნოსა ამას მ ლ უ ი მ ი ს - ა ს ა, და დიდთა მათ მოლუანებათა[13] შენთა მიერ მრავალნი სასწაულნი აღასრულენ, ვიდრე კორცთა[14]ა შინა იყავ და შემდგომად მიცვალებისაცა დიდთა სასწაულ[15]თა მოქმედებ წლითი-წლად ნანილთა შენთა აღმოცენები-თა[16] სოროთა მაგით სამარხოსათ, თითოეულსა ასოთა შენთაგან წარმ[17]ოგუ-ცემ, შენდა სადიდებელად და ჩუენდა შევრდომითა და ამბო[18]რის ყოფითა, სავედრებელად და ნუგეშინის საცემელად.

ხოლო ჩუენ[19] ვიგულებთ და ვიგულსმოდგინეთ და გამოძიება ვყავთ, და პირველითგ[20]ანცა თქუენი ყოფილიყო და ჟამთა ვითარებისაგან თქუენსა უდაბნოსა[21] აღარა ჰქონებოდა, და მრავალნი ჟამნი გარდასრულიყუნეს, და ჩუენ სასო[22]ებით და სიყუარულით მინდობილმან ცვა-ფარვათა თქუენთამან,

29–30 მქადაგებულთა ნსხ.

* აქ მთავრდება სეა 1448–5260 და ებმის ხეც Ad-556

აღუძრ²³ნა სურვილით მცირისა ამის ზღუნისა შემონირვად.

გკადრეთ, მოგაკსენე²⁴თ ოკამი [თ] მეშველაანი, მათის სამართლიანითა მითითა და ბართთა, ველითა,²⁵ ვენაკითა, წყლითა, წისქულითა, საკნავითა და უკნავითა, სათიბრითა და უთ²⁶იბრითა, ყოვლითურთ უნაკლულოდ და უკლებლად, და ყოვლის ადამის მო²⁷ნათესავისაგან მოუდევარ-შემოუსარჩელად. ასრე და ამა წესითა, ვინ გინდა-ვინ²⁸ მღუი მის წინამძღუარნი იყუნეთ, ყუელიერის შაბათსა ჩუენთუის ჟამსა სწი²⁹რევედენ სამი მღრდლითა და ერთის მთავარდიაკვნითა. თორმეტს კ[ო]კას³⁰ ღუნოს დახარჯევდეს, ერთს კაბინს პურსა, ოთხს ორაგულსა, ოც³¹ს ლიტრას ფიჩხულსა მისის საურწყოთა. და რაცა სანთელი და საკმ³²ელი მოუნდებოდეს, და რაც მონასტრის წესი იყოს, იმრიგად კარგა³³ლებული აღაპი გარდაიკდებოდეს, და არავისგან არ მოგუეშალოს.

შეინი³⁴რე მცირე ესე ზღუნენი: ოკამი, სოფელი მეშველიანი, მათის სამართლ³⁵იანითა ყოვლითურთ უკლებლად და კელშეუალად, მეფობისა ჩუენისა³⁶ წარსამართებულად და ჩუენთა ცოდვათა მოსატევებულად და ძეთა ჩუენთ³⁷ა სადღეგრძელოდ.

ჰე, წმიდაო მამაო შიო, გევედრები გუცევედ, გუფა³⁸რევედ, კელი აღგვიპყარ და შეგუენიე და გვიქსნენ ყოველთავე ხილულთა³⁹ და უხილავთა მტერთაგან.

და ესრე სახედ შემოგნირეთ ვითარმედ, საჩუენ⁴⁰ო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოვბოდეს-რა: არა ღალა, არა⁴¹ კულუხი, არა საბალახე, არა კოდის პური, არა ულაყი, არა საჯინიბო, არა⁴² მერემაეთაგან. და ვინ გინდა-ვინ კარით ჩუენით წარვლენილი მოსაქმენი ი⁴³ყუნეთ, არავისგან არა ეთხოვბოდეს-რა, თუნიერ ლაშქრ-ნადირობისა⁴⁴გან და სათათროსა საურისაგან კიდე. ესე ვითარისა შეწირულობითა წ⁴⁵იგნითა და სიგლითა ამით გკადრეთ, მოგახსენეთ და დაგიმტკიცეთ.

ანე,⁴⁶ ვინცა ნახოთ სიგელი და ბრძანება ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მო⁴⁷მავალთა მეფეთა და დედოფალთა, სახლისა ჩუენისა გამგეთა, ვაზირთა,⁴⁸ დივანთა, მწიგნობართა და ყოველთავე კარით ჩუენით წარმოვლენილთა⁴⁹ მოსაქმეთა და საქმის მოქმედთა, დიდთა და მცირეთა, ერთობილთა დაუმტ⁵⁰კიცეთ და ნურავინ უშალავთ მტკიცედ ბრძანებულსა ამას ჩუენსა, თუნიერ⁵¹ სიმტკიცისა და თანადგომისაგან კიდე. და ვინცა ამა ჩუენგან შეწირული⁵²სა ოკამს მეშველათა მაცილობელნი ვინმე იყუნეთ, ანუ სიგელი გქონდე⁵³ს, სიგლითა ამი[თ] გაგუიციუდებია და მტკიცე ოდენ ესე არს.

ანე, ვინცა⁵⁴ და რამანცა გუარმან კაცმან, მეფემან, ანუ დედოფალმან, კ[ათალიკო]ზმან, ან⁵⁵უ სხუათა ებისკოპოზთაგანმან, გინა თუ ქორებისკოპოზმან, ანუ სამღრდელი⁵⁶თა დასთაგანმან, ანუ თუ თავადმან, დიდებულმან, აზნაურმან და მსოფლი⁵⁷ოთა კაცთაგანმან, გინა თუ სჯულის გარდამავალმან სარკინოზმან, ანუ მ⁵⁸წიგნულბელმან და ცასა ქუეშე მყოფმან ძემან კაცთამან კელყოს შლად, ქც⁶⁰ევად და შეცულად შეწირულისა ამის ჩუენისა, შერისხდი შენ, ღ(მერ)თო⁶¹ დაუსაბამოო, მამაო, ძეო და სულო წმიდაო, და შენ, უმეტესად ზეშთა *აღმატებულო დედოფალო ღ(მრ)თისმშობელო,

* ამ ადგილიდან ისევ 1448–5260-ის ტექსტით გრძელდება

მარადის ქალწულო⁴⁷ მარია მ, კრულმცა არს ცათა შინა ზე, და ქუეყანასა ზედა ქუე; შეჩუენებ⁴⁸ულ და კრულმცა არს მკუდარი და ცოცხალი მისი სუდარი, სამარე, მიწა⁴⁹ და ფიცარი მისი, დაჯდომა და აღდგომა მისი, სმა და ჭამა მისი, ძილი და ღუიძი⁵⁰ლი მისი, სავარძელი, სარეცელი და ცხედარი მისი, კრულმცა არს შვიდთა⁵¹ კრებათა შეჩუენებითა, ოთხთა პატრიაქთა მათთა მიმდგომთა მიტრო⁵²პოლიტთა, ებისკოპოზთა და ქორებისკოპოზთა ჯუარითა და ქართლისა კ(ათოლიკო)ზ-პატრიაქისა და მისთა სამწყსოთა ებისკოპოზთა შეჩუენებითა და ჯუარ⁵³ითა; შე-მცა-ედების კეთრი გე-ზისი, შიშთუილი იუდასი, მეხისტეხა დი⁵⁴ოსკორესი, დანტქმა ფარაოსი და თან და აბირონისი, მეასდარვისა ფსა⁵⁵ლმუნისა წყევასა მასზედამცა დაასრულებს ღ(მერ)თი; ქრისტეს ჯუარის მცმელ⁵⁶თანამცა არს ნაწილი და სამკუიდრებელი სულისა და კორცისა მისისა, ნის⁵⁷ტორ და ოროგინე და ყოელთა მწუალებელთა თანამცა დაიმკუიდრებს⁵⁸ სული მისი და ყოველიმცა გაგებული მისი მოიშლები. და ნურარათამცა სინანულითა⁵⁹ იქმნების კსნა სულისა მისისა; ნუცამცა აღმოაცენებს ქუეყანა ნაყოფსა მის კაცი⁶⁰სათუის და ყოველიმცა ნაქონები მისი იავარ და ოკერ იქმნების და ამა ზემო წე⁶¹რილთა თუით ღ(მრ)თაებისა პირითა და ყოველთა მისთა წმიდათა მადლით⁶²ა.

და სხუანი რაოდენნი შეჩუენებანი სწერიან სიგელსა ამას შიგან, მით⁶³ შეჩუენებითა ყოვლითავე წყეულ და შეჩუენებული იყოს კაცი იგი სულითა⁶⁴ და კორცითა და ყოვლით სახლეულით მისითურთ, რომელმანცა კელყოს შ⁶⁵წიგნისა ამის ჩუენისა აგარაკისა შლად და გამოკუებად, და ანუ აღაპისა⁶⁶ მის ჩუენის შლად და მოკლებად იკადროს, ყოვლითამცა ამა სიგელში⁶⁷ წერია წყევლითა და შეჩუენებითა კრულ-წყეულ და შეჩუენებულმცა⁶⁸ არს. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღ(მერ)თმან აკურთხნეს და წმიდამან⁶⁹ ღ(მრ)თისმშობელმან, მარადის ქალწულმან მარია მ.

დაინერა მტკიცე⁷⁰ და შეუცვალბელი შეწირულობისა წიგნი და სიგელი ესე, ⁷¹ქ(ორონი)კ(ონ)სა სშბ.

ხელრთვები: გიორგი, მარია მ, ლუარსაბ. . . ||⁷²
უზის ნუშისებრი ფორმის სპარსული ბეჭედი.

გვიანდელი დამტკიცება:
ქ. რარიგადაც ამას წინათ მეფეთაგან შეწირული ყოფილა, ჩუენ, მეფემან⁷³ პატრონმან როსტომ, ამავე წესითა ჩუენცა შეწირულ [გუ]ე⁷⁴ტყუნვენის. ქ(ორონი)კ(ონ)სა [-.]ბ.
მრგვალი ფორმის ბეჭედი ქართული ლეგენდით.

1605 წ. 11 ივლისი. მამულის წყალობის წიგნი ბიორგი მფოსა ზაქარია ავალიშვილისადმი

დედანი: ხეც, Hd-1327; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 22,5X16,4 სმ; შავი ფერის მელანი; ხელი მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთის თავი მცირედ დაზიანებული; დოკუმენტის ზედა ნაწილი შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. XIX საუკუნეში საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში.

პირები: 1. სეა, 1450-47/144; 2. 1461-3/71.

თარიღი: ქორონიკონი სჰზ (293), მკათათვის ია(11), რაც გვაძლევს 1605 წლის 11 ივლისს.

გამოცემა: თაყაიშვილი 1910: №553, გვ. 533-534.

ქ. ესე წყალობისა ნიგნი და ნიშანი გიბოძეთ ჩუენ, ლ(მრ)თიქვ-გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან გი(ორ)გი, |³ თქუენ, ავ-ალიშვილს ზაქარიას, ასრე და ამა პირსა ზედა⁴ რომე, ამირე-ჯიბი რამინა სადამდის ცოცხალ იყოს, მისის⁵ მამულითა თქუენტვის მოგვიბარებია და კარგა შეინახეთ.⁶ და რა სოფელმან მისი წესი არ დაიშა-ლოს და რამინ მოქუდეს, რაც ბატონის მამის ჩუენისაგან რამინი-სათუის⁸ მამული არის ნაბოძები და ფარვანაში უწერია მის{ი} საქმარ-თლიანის სამძღურითა და საქმითა, ის მამულიც თქ¹⁰უენტუის გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თმან¹¹ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგა.

დაინწერა ბრძანე¹¹ბა ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა სჰზ, მკათათუის ი ა .

ხელრთვა ხვეულად:
|გ ი ო რ გ ი
გვიანდელი მინაწერი:
verso: 1. რამინის კერძი მამულისა.

კომენტარი:
ავალიშვილთა სათავადო თორის მხარეში მდებარეობდა. მისი ცენტრი იყო სადგერი. ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ ავალიშვილთა ნაწილი შიდა ქართლში, ნაწილი კახეთში, ნაწილი კი იმერეთში გადასახლდა. სამცხეში დარჩენილები გამაჰმადიანდნენ და ბეგების წოდება მიიღეს. ქართლში დამკვიდრებულ ავალიშვილთა სამფლობელოში შედიოდა: ტაშისკარი, სურამი, არადეთი, ბრეთი და აბისი. კახეთის ავალიშვილები ფლობდნენ: კაკაბეთს, კალაურს, თელავსა და ჩუმლაყს. იმერეთის ავალიშვილები დაკინდნენ და აზნაურებად იქცნენ. ზემომოყვანილ საბუთში ჩანს ავალიშვილების ქართლში დამკვიდრების პროცესი. რამინ (III) ამირეჯიბი ამ საგვარეულოს უფროსი შტოს

უკანასკნელი წარმომადგენელი იყო. მათი მამულები მდებარეობდა მდ. დას. ფრონესა და ჭერათხევის ხეობებში (ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. აბანო, ატოცი, ზემო ბრეძა, ქვემო ბრეძა, სალოლაშენი, ღოღეთი; ხაშურის მუნიციპალიტეტში: აძვისი, ალი, ბობოკინი, ბროლისანი, დუ-მაცხო, ნაბახტევი, ტკოცა, უწლევი, ფლევი, წაბლოვანა, წადელი). რამინ (III) ამირეჯიბის გარდაცვალების შემდეგ ჩამოთვლილი მამულების ნაწილი ამ საგვარეულოს გვერდითი შტოს წარმომადგენლებმა დაიკავეს, ნაწილი კი სამეფო ხელისუფლებამ სხვა საგვარეულოებს უწყალობა (ოთხმეზური, 2009: გვ. 34). ასეთთა შორის ჩანან ავალიშვილებიც. უშთა-მომავლოდ დარჩენილ რამინს გიორგი X-მ მეურვედ ზაქარია ავალიშვი-ლი დაუდგინა, შესაბამისად, რამინის გარდაცვალების შემდეგ ზაქარიას უნდა მიეღო მისი მემკვიდრეობა.

1606 წ. წყალობის წიგნი მფოე თეიმურაზისა ლუარსაბისადმი

დედანი: ხეც, Ad-693; მოყვითალო ქაღალდი; ზომა: 16,5X13,7 სმ; შავი მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: დაკრულია სარესტავრაციო ფურცელ-ზე. გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1824 წ.

თარიღი: ქორონიკონი სჰლ (294), 1606 წელი.

პირი: სეა, 1450-48/98.

ქ. ჩუენ, კელმნიფემან, პატრონმან თეიმურაზ, ესე წყალობისა ნიგნი გიბოძეთ |³ თქუენ, ლ უ არსა ბ ს და ძმათა* შენტა. ასრე, |⁴ რომე შენი განაყოფი ბ ა ზ ი ტ ა ყუენტან |⁵ გარდიხვენა და იმისის მამულისაგან ორი |⁶ კუამლი კაცი: ბ ო ტ ა ს შ ვ ი ლ ი და ვ ი თ და |⁷ ს ა რ ო ა ს შ ვ ი ლ ი მ გ ე - ლ ი კ ა თქუენ გიბოძეთ. |⁸ გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენს ერთგ |⁹ ულად სამსახურს შიგან.

ბრძანება ნიშნად გუი¹⁰ ბოძებ[ი]ა ქ(ორონი)კ(ონ)ს სჰლ.

ხელრთვა: თ ე ი მ უ რ ა ზ

მინაწერი: verso-ზე: ქ. ბატონი თეიმურაზ (თავშექცევით)
ჩაინწერა ბ კნილაში მე-100 ნომერში (თავშექცევით).
№53, თეიმურაზ მეფის.

კომენტარი:

* “ძმათა“ ჩაწერილია მოგვიანებით, ამოფხეკილი სიტყვის, სავარაუდოდ, “შვილ-თას“ ნაცვლად.

1. თეიმურაზ I – დავით I კახთა მეფის ძე. იგი კახეთის მეფეა 1606-1648 წლებში; ერთიანი ქართლ-კახეთის მეფე – 1625-1632 წლებში. კახეთის მეფედ იგი დაამტკიცა შაჰ აბასმა დიდებულთა თხოვნით. საქართველოში შაჰ აბასის ლაშქრობების დროს 1614-1617 წლებში თეიმურაზი თავს აფარებს იმერეთს. იგი სათავეში უდგას ქართლ-კახეთის ბრძოლას ირანელთა წინააღმდეგ. გიორგი სააკაძის მეთაურობით აჯანყებულებმა 1625 წელს თეიმურაზი ქართლის მეფედ მიიწვიეს და მასთან ერთად გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს ირანელებთან ბრძოლაში. შაჰი დათმობებზე წავიდა და ფაქტობრივად ცნო თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ, თეიმურაზმა კი თავი ირანის ვასალად აღიარა. ირანის ახალმა შაჰმა სეფი I-მა ქართლის ტახტი გამაჰმადიანებულ როსტომ-ხანს გადასცა 1632 წელს.
2. საბუთის ადრესატი ლუარსაბი, დიდი ალბათობით, უნდა იყოს ლუარსაბ მაყაშვილი, რომელსაც თეიმურაზი არაერთ წყალობას უბოძებს. მოცემულ საბუთში ასახულია ქართული სამართლის წესი, რომლის თანახმად, ბეითაღმანი მამული მეფეს მისი ადრინდელი მფლობელის უახლოესი ნათესავისათვის უნდა გადაეცა.

1606 წ. 24 მარტი. დედოფალ ნესტან-დარეჯანისა და ლუარსაბ მეფის წყალობის წიგნი ბეჰან და ბიორბი სოლადაშვილებისადმი

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd-2091; თეთრი ფერის ქაღალდი; ზომა: 37,8X20,5 სმ; მხედრული; შავი მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ;

დაზიანება: საბუთი დაფარულია ყავისფერი ლაქებით; ზედა არშიაზე ძველადვე მიუწებებიათ ქაღალდის ფრაგმენტი, რომელზეც განთავსებულია მოგვიანო ხანის მინაწერები.

თ ა რ ი ღ ი: ქორონიკონი სშდ (294), მარტის კდ (24), რაც გვაძლევს 1606 წლის 24 მარტს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი: მწიგნობარი ნასრ თუმანიშვილი.

ქ. ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შიგინყალეთ და გიბოძეთ² ჩუენ, დედოფალთ-დედოფალმან ნ ე ს ტ ა ნ დ ა რ ე ჯ ა ნ , დედოფალმან პატრონმან თ ა მ ა რ , და ძემან ჩუენმან, კელმნიფემ მეფე¹მ პატრონმან ლ უ ა რ ს ა ბ და ძმამან ჩუენმან პატრონმან დ ა ვ ი თ , თქ¹წუენ, ჩუენთა ერდგულთა და თავდადებით ნამსახურთა ყმათა ს ო ლ ¹ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს ბ ა ბ უ რ ი [ს] შუილს ბ ე ჟ ა ნ ს და გ ი ო რ გ ი ს და თქუენთა შვ¹ილთა, მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და ს ო ლ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს ¹ ზ უ რ ა ბ ი ს კერძს მამულს დაგუეაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენ¹ება თქუენი და შეგინყალეთ და გიბოძეთ ს ო ლ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს ზ უ რ ა ბ ი ს კერძი მამული, მ ა მ ი ს დ ა ბ ა ს გარდაის, რისაც მქონებელი ყოფილ¹ა მითთა და ბართთა. ყოვლითურ თქუენთს გვობობებია მისის მი¹ართლის სამართლიანის სამძლურითა და საქმითა, წყლითა, წისქვი¹ლითა, საკნავ-სათიბრითა, შესავლითა და გამოსავლითა, თქუენთუის¹ გვიბობებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან ჩუენსა ერდგულა¹დ სამსახურსა შიგან.

გიბრძანებთ კარისა ჩუენისა ვაქილ-ვაზირ¹ნო და სხუანო მოსაქმენო, ვინგინდა-ვინ იქნებო¹დეთ, მერმე თქუენცა ასრე გაუთავეთ, რარიგაცა ამა ჩუენგან ნაწყა¹ლობევს ფარვანაში ენეროს, ნურცა-რას თქუენ შეუშლით და¹ შეეცილებით, თუნიერ თანადგომისა და შენევისაგან კიდე.

აგრე²⁰ვე – ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა ბ ი ა უ მამულოდ, ისიც თქუენთუის გვიბობებია.

დაინ²¹ერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა სშდ, მარტს კდ, კელითა²²კარისა ჩუენისა მწიგნობრისა თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ნ ა ს რ ი ს ი თ ა .

ხელრთვა ხვეულად:

ნ ე ს ტ ა ნ დ ა რ ე ჯ ა ნ , თ ა მ ა რ

გვიანდელი მინაწერები:

საბუთზე მინებებულ ქაღალდის ფრაგმენტზე:

1. 1606, მარტის 24. (ფანქრით)
2. ქოთ (?) ქ. მეფის ლ უ ა რ ს ა ბ ი ს წყალობის წიგნი (ფანქრით).
3. ბეჭედი წარწერით: საქართველოს მუზეუმი (ფანქრით).

კომენტარები:

1. საბუთის გამცემთა შორის მოხსენიებული დავითი არის მეფე გიორგი X-ის ძე და ლუარსაბ II-ის ძმა. ოსმალთა მიერ სიმონ მეფის დატყვევების შემდეგ იგი სტამბულში მძევლად გაგზავნეს, რათა სულთანს გაეთავსუფლებინა სიმონი (ცხოვრება საქართველოდსა (პარიზის ქრონიკა), 1980: გვ. 59; კაკაბაძე, 1926: გვ. 16). მას თან გააყოლეს ბანოვანი გულჩარა, რომელიც მისი და უნდა ყოფილიყო (სვანიძე, 1990: გვ. 266). დავითმა წლები გაატარა სტამბულში. იგი შეხვდა ოსმალთა დედაქალაქში მყოფ საფრანგეთისა და ვენეციის ელჩებს. საფრანგეთის ელჩი ბარონ დე სალინიაკი 1609 წლის 2 ნოემბერს წერდა, რომ “ეს ახალგაზრდა ვაჟი ჯერ კიდევ არაა 14 წლის, მაგრამ მეტად ჭკვიანი და კეთილი ბუნებისაა“ (სვანიძე, 1990: გვ. 271). სხვა ცნობები დავითის შესახებ არ გვაქვს. მისი კვალი იკარგება (ალასანია, 1980: გვ. 59). როგორც ჩანს, იგი საქართველოში აღარ დაბრუნებულა.
2. სოლადაშვილები წარმოშობით მესხეთიდან არიან. სავარაუდოა, მათი გვარი თორელ-ჯავახიშვილებიდან მომდინარეობდეს. ისინი ქართლში უნდა გადმოსულიყვნენ XV საუკუნეში, სამცხე-საათაბაგოს იმ ფეოდალურ საგვარეულოებთან ერთად, რომელნიც საქართველოს

დაშლისას ცენტრალურ ხლისუფლებას უჭერდნენ მხარს და ჯაყელ-ებს ეწინააღმდეგებოდნენ. მათი სათაგადო ქვემო ქართლში მდებარე-ობდა. მამულებს ფლობდნენ ალგეთში, ვერეს ხევში, თბილისის გან-აპირა სოფლებში და სომხეთში. სათაგადოს ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე მამულები ჰქონდათ შიდა ქართლშიც (კავთისხევი), ასევე თბილისში, მთავარი ციხეები – კოჯორსა და ჭამპალაში, მოგვი-ანებით ბორბალოშიც. სასახლეები ჰქონდათ გუდგლისსა და ტაგნა-გეთში, საგვარეულო საძვალე კი კაბენის მონასტერი იყო. (ბოშიშვი-ლი, 2012: გვ. 24). სამეფო კარზე ისინი სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებს ფლობდნენ. XVI საუკუნის მიწურულს სოლდაღაშ-ვილები ჩანან დედოფლის ეშიკადასის (ცენტრალური მმართველობის საპოლიციო უწყების მოხელე) თანამდებობაზე (ხეც: Hd-2024, სეა: 1448-5072, ბოშიშვილი, 2012: გვ. 24). საფიქრებელია, რომ ზემომოყ-ვანილ საბუთშიც ბეჟან და გიორგი სოლდაღაშვილები დედოფლის მოხელეები არიან და სწორედ ამ ნიშნით იღებენ მისგან წყალობას.

1606 წ. მიწის ნასყიდობის წიგნი ბეჟან ჯავახიშვილისა ქაიხოსრო ჯავახიშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd-9319; სიძველისაგან გაყვითლებული ქაღალდი; ზომა: 37,3X15,5 სმ; მხედრული ხელი; ყავისფერი მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: მარჯვენა ზედა კიდე მოფლეთილია და შევსებული სარესტავრაციო ქაღალდით. დაზიანებულია ტექსტის პირველი ორი სტრიქონი, განირჩევა მხოლოდ მეორე სტრიქონის ქვედა გრაფემები.

პ ი რ ი: Qd-9641; გადაწერილია ექ. თაყაიშვილის მიერ.

თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი სშლ (294), რაც გვაძლევს 1606 წელს. იქვე მითითებულია ქორონიკონი გაუგებარი (ხაჯ) რიცხვითი მნიშვნელობით.

ს ა ბ უ თ ის დ ა მ წ ე რ ი: ჯვრის დეკანოზი იოანე.

გ ა მ ო ც ე მ ა: თაყაიშვილი, 1909: №17, გვ. 25-26 (შემოკლებით).

ქ. არსება დაუბადებელისა ლ(მრ)თისა [მამისა, ლ(მრ)თისა ძისა და ლ(მრ)თისა] სულისა წმიდისა; მეოხებითა ყოვლად წმიდისა, [უხ-რწნელისა, უფრო]სად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ლ(მრ)თისმშობელისა, [მარადის ქალწულისა მ ა რ ი ა მ ი ს ი თ ა ; წმიდათა ზეცისა ძალთა, ანგელოზთა და მთაწვარანგელოზთა მ ი ქ ე ლ დ ა გ ა ბ რ [ი ე ლ - ი ს ა თ ა ; ოხითა და მეოხებითა და თავსმდებობითა და] მინდობითა წ(მიდ)ისა წინამორბედისა, ნათლისმცემელისა, [წინსაწარმეტყველისა ი { ო } ა ნ ე - ს ი თ ა ; ოხითა და მეოხები]თა და თავსმდებობითა და მინდობითა პატიოს-ნისა და ცხოველს[მყოფელისა ჯვარისათა და ლ(მრ)თივ ზე-აღმართებულისა

სუეტის[¹²ცხოელ[ი]ს[ა], კვართისა საუფლოსა მირონწმიდისათა; ოხითა¹³ და მეოხებითა წმიდისა დიდისა მთავარმონამისა გ ი (ო რ) გ ი , დ ი მ - ი ტ ¹⁴ რ ი , თ ე ვ დ ო რ ე , ს ტ ე ფ ა ნ ე ს ი თ ა ; ზეცისა თავთა წმიდათა მოც¹⁵იქულთა პ ე ტ რ ე ს ი თ ა და პ ა ვ ლ ე ს ი თ ა ; [ყოველთა წმიდათა] ზეცისა და ქუეყინასათა,¹⁶ კორციელთა და უკორცოთა, და რაოდენნიცა წმი-დანისათონ¹⁷ ეყენეს უფალსა ჩუენსა ი ე ს ო ს ქ რ ი ს ტ ე ს ა და ანცა სათ-ნო ყო¹⁸ფად არიან.

ამათითა მონმობითა და ყოველთა წმიდა¹⁹თა ლ(მრ)თისათა., ესე უკუ-ნისამდე ჟამად გასათავებ²⁰ლი და ყოვლითა საქმითა მიზეზ-შემოუღებელი, უთ²¹უო და უთუმცაო ნასყიდობისა პირი, წიგნი და წიგნი მო²²გახსენეთ ჩუენ, ჯ ა ვ ა ხ ი ს შ ვ ი ლ მ ა ნ ბ ე ჟ ა ნ , თქუენ, პატრო²³ნსა ქ ე ი ხ ო ს რ ო ს და თქუენთა შვილთა, ასრე და ამა პირსა ზედა, რო²⁴მე: მოგყიდე თ ხ ლ ი უ რ ი მინა ქუეშეთ თ ე ლ ა თ ა მ დ ი ²⁵ და ზედათ ხ ა ტ ი ს მინამდი. ამისთუის მოგეცით მას ჟამ²⁶სა, როდეს ჩუენსა და თქუენ შუა საქმე იყო და ფასითა და საქო²⁷ლითა ვერ აგვიდიოდით. და შემოგეხვეწენით და მისთ²⁸ვის მოგეცით შემოუცილებლად.

და ამას ვერა გუარო²⁹ კაცი, არა ჩუენ და არცა სხუა, არა დიდი და არცა³⁰ მცირე, ვინცა ესე შეგიცვალოს, ანუ შეგიშა³¹ლოს, რისხავმცა მამა, ძე და სული წმიდა, და ამა³² ზემო წერილთ მადლი; მასმცა ედების კეთრი გ ე ³³ ზ ი - ს ი , შიშთვილი ი უ და ს ი , ძრწოლა კ ა ე ნ ი ს ი და³⁴ მეხდატეხილობა დ ე ო ს კ ო რ ო ს ი , გლოვა³⁵ ნ ი ნ ო ე ლ თ ა დედათა და ნანილი მათი ე რ - მ ო გ ო ნ ე ³⁶ ს თ ა ნ ა მ ც ა არის. და გამათავებელნი და დამამტკიცებელნი³⁷ ლ(მერ)თ(მა)ნ აკურთხნეს.

არიან ამისნი მონამენი და შ³⁸უადამხდომნი კაცნი: კ ო კ ო ზ ა შ ვ ი ლ ი ქ რ ი ს ტ ე ს ი ა ³⁹ და მღდელი ა თ ა ნ ა ს ე .

და მე ჯ უ ა რ ი ს ქ რ ი ს ტ ე ს ი ს ⁴⁰ დეკანოზსა ი (ო ა) ნ ე ს დამინერია და მონამეცა ვარ.⁴¹

დაინერა წიგნი ესე მეფობასა პატრონისა გ ი ⁴² ო რ გ ი ს ა ს ა , ქ(ორონი) კ(ონ)სა სშლ, ინდიკტიონსა⁴³ ხაჟ (?)

ბოლოში უზის ერთი ჯვარი

კომენტარები:

1. ბეჟან ჯავახიშვილი – როინ ჯავახიშვილის ძე და ძმა მასურ ჯავა-ხიშვილისა. საბუთებში მათ ჯავახიშვილ-როინისშვილებს ან ასევე “ჯავახაანებს“, უწოდებენ. 1606 წლის შემდეგ ისინი აღარ იხსენიები-ან. სავარაუდოდ, როინის ორივე ვაჟი უმემკვიდრედ გარდაიცვალა, ამიტომ ბუნებრივია, რომ მათ მამულების გაყიდვის პოლიტიკა აირ-ჩიეს (ოთხმეზური, 1999: გვ. 69).
2. ქაიხოსრო ჯავახიშვილი – ივანე ჯავახიშვილის ძე. იგი აქტიურად ცდილობდა საკუთარი მამულის გაფართოებაზე. ამ მიზნით უპირისპ-ირდებოდა როგორც ჯავახიშვილთა სხვა შტოს წარმომადგენლებს, ასევე მის მეზობლად გაძლიერებულ სააკაძეთა საგვარეულოს. ქაიხ-ოსრომ შეძლო დაპატრონებოდა ჯიმშერ ჯავახიშვილის მამულს,

ბეჟან ჯავახიშვილის მამული კი იყიდა. თავს დაესხა და მამული აუოხრა მოქიშპე შალვა ჯავახიშვილის შვილიშვილს. სასტიკად დაუპირისპირდა გიორგი სააკაძეს, რომელმაც ჯავახიშვილთა მამულებიც მიიღო მეფისგან წყალობად. მოურავის სპარსეთში გადახვეწის შემდეგ ქაიხოსრომ მისი მამულები დაარბია. ქაიხოსრო ჯავახიშვილსა და გიორგის სააკაძის დავა 1620 წ. 15 ივნისს სასამართლო გადაწყვეტილებით მოგვარდა (ოთხმეზური, 1999: გვ. 75).

**[1606-1615 წწ.] ყმა-მამულის შეწირულების წიგნი
ლუარსაბ მეფისა ბუღარხანის მონასტრისაჲში**

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd-1554 ა; მოყვითალო ფერის ეტრატე; ზომა: 80,2X28,4 სმ; I სამი კეფი: I – 33,2X28,4; II – 30,1X28,5. III – 17,4X28,4. ტექსტი იწყება recto-ზე II კეფიდან. ხელი მხედრული; ყავისფერი მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. კიდევები გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. პირველი საბუთის ტექსტი მოთავსებულია recto-ზე. verso-ზე განთავსებულია მეორე საბუთი: Hd-1554ბ.

პ ი რ ი: ხეც; Hd-10302.

თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი სპჰ (288), რაც გვაძლევს 1600 წელს. ამ თარიღითაა გატანილი საბუთი ე. თაყაიშვილის პუბლიკაციაში, თუმცა იქვე მითითებულია, რომ ქორონიკონი მცდარია – იგი არ ემთხვევა ლუარსაბ II-ის მეფობის ქრონოლოგიას. წინამდებარე გამოცემაში საბუთი დათარიღებულია ლუარსაბ მეფის ზეობის (1605-1615) წლებით.

გ ა მ ო ც ე მ ა: თაყაიშვილი, 1899: №307, გვ. 372-373.

ქ. ჩვენ, მეფეთ-მეფემან პატრონმა ლუარსაბ, მივედით მონასტერსა შინა¹² გუდარეკისასა, და ვიხილეთ მათ შინა მყოფნი, და მრავალი განაკეთებ¹³ და გარჯილობა ვიხილეთ და ვიგულისკმევით. კ(ურთხეულ)თა ძველთა მეპატრონეთაგან მრავალი განაკეთები საქმე ვიხილეთ მათ შინა, ვითაც რომე, პატრონის დედოფალთ დედოფლის რუსუდანი აღშენებული იყო, თა¹⁴ვისდა სასაფლაოდ ნდომოდა. ჩვენცა ვიხილეთ საქმე მათი.

რადგან მათი¹⁵ საფლავი ვიხილეთ, ჩვენც შესწავნირავათ მრავალი საქმე გვინდოდა, მაგრამ¹⁶ ვერ ძალგვედვა მათდა საკადრისად. ვიგულისკმეთ და ყვავით წყალო¹⁷ბა ესე. და შემოგწირეთ წმიდასა მლ(რ)თისმშობელსა გუდარეკისასა და მათ შინა¹⁸ მყოფთ წინამძღვარს, ვინცა¹⁹-ვინ მათი მსახურნი ბძანდებოთ, და გიყავით წყალობა ესე სუ¹¹ლის ჩვენისა საკსრად და საოხად.

3 ძველთა+და ნსხ. 8 „და“ კავშირი მეორდება, ვიყავით ნსხ.

შემოგწირეთ წმიდასა და დედასა მლ(რ)თისმშობლისა¹² გუდარეკისასა: ხუთი თუმანი თეთრი, ყოველს მარიამობას ჩვენი სალაროდამ მოგეცემ¹³ოქ¹³ეს სანთლისა და საკმლის და ზეთის ფასად. მასდა გარდა, სოფელი ბედნის პირსა, ვერ¹⁴უნაღა, სამართლიანის სამძლ¹⁵ურითა, ყოვლის შემკობილობით; დ¹⁶ათდა გარეთა, ალგეთ¹⁵ის პირს ზედა სამი კომლი ვაცი ხოფის¹⁶, თავისის მამულითა, შესავალგასავლითა,¹⁶ წყალის პირითა და სამძლ¹⁷ურითა. წყარო რომ დის, რასაც ის ჩაიტანს კევამდისინ, რასაც¹⁷ კევი ჩაიტანს ალგეთამდისინ, ცოვრეთის კევამდისინ, მას გარდასწუარ წყარო რომ გარ¹⁸დიტანს, მანამდისინ.

მოგვიცემია სითარხნე, არაფერი სათხოვარი ჩვენგან არა¹⁹გეთხ¹⁹ობოდე-რა, არა კოდის პური, არა ბზე და ნახშირი, არა საბალახე, არა სამე²⁰კომლო, არა მუშა, არა ქეშიკი, არაფერი გამოსაღები საკელმწიფო არა გეთხოვოდესთ-რა²¹ლაშქარ-ნადირობის მეტი. ვინცა-ვინ წინამძღვარი მონასტერს მსახურებდ²²ეს და მუშა²³ობდეს მონასტერს, მათი მოკმარებისა და მუშა²⁴ობის მეტი თქვენთან კაცს²³ კელი არა ქონდეს.

ამოვარდნილის უნდილაძის არსენისა და ა²⁵ბელიწ²⁴ლი²⁴ იყო, სხვას კაცს კელი არა ქონდა.

ანე, წინამძღვარ²⁵მა ჩვენად მოსაქსენებლად²⁵ სამი ალაპი გარდიკადოს: ერთი მლ(რ)თისმშობლობასა, ერთი გიორგობასა, ერთი²⁶ნათლისღებასა. ერთი ძროხა, ერთი საპალნე ღვინო, ოთხი კოდის ნამცხვარი²⁷ პური, ორი ცხვარი, რაც სხვა რიგი და საქმე მოუნდეს, ცხრას ხუცითა და მთავარ²⁸დიაკონითა წადგეს სამჯელვე. თითოს დღეს ამთონ ამთონს დახ²⁹არჯვიდეს²⁹ და მოგვიქსენებდეს, ლოცვას ყოფდეს ჩვენთვისა.

ნურაოდეს ნუ მოგიშალოს³⁰ ღმერთმა არც ჩვენგან, არც სხვათა მეპატრონეთაგან. ვინც და რამანც ჩვენმან³¹ შეწირული ეს გუჯარი და სითარხნე მოუშალოს, ღმერთმან და წმინდამა მლ(რ)თის³²მშობელმა იგიც შეშალოს, და ჩვენის ცოდვისათვის იგიმც განიკითხვის. მას ზედამ³³ცა იქნების და ედების კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, მეხდატეხილობა დიოსკორე³⁴სი, დანთქმა აბირონისა, ნუმც იხარებს სული მის გე³⁵ენისაგან. ვინც ჩვენგანმან³⁵ მეპატრონემა, ანუ დიდმან, ანუ მცირემა გამ³⁶ოამ³⁶კოს მონასტერსა ამას და მ³⁷ათ მყოფსა შ³⁷ინ³⁷ა³⁷ რუსუდანი დედოფლის საფლავისა, თ³⁸ავათვის განისაჯოს. ქ(ორონი)კ(ონ)სა სპჰ.

ხელრთვა ხვეულად:

ლუარსაბ

მრგვალი ბეჭედი, ლეგენდა არ განირჩევა.

18 ჩვენგანი; 36 ქორონიკონსა სპჰ – ზ გარკვევით არ იკითხება.

1. საბუთის შინაარსობრივი სტრუქტურა და ფრაზეოლოგია აჩვენებს, რომ მისი ანონიმი დამწერი არ არის განსწავლული მწიგნობარი. სავარაუდოდ, იგი მონასტრის ადგილობრივი ბერია.
2. გუდარეხის მონასტერი – მდებარეობს ქვემო ქართლში (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი), სოფ. გუდარეხის მახლობლად. სამონასტრო კომპლექსში შედის: წმ. გიორგის სახელობის ტაძარი, სამრეკლო, სასახლე, საჯინბო, სენაკები, შადვას ეკლესია, სატრაპეზო, მარანი, თონე და სხვადასხვა სამეურნეო და კულტურული დანიშნულების ნაგებობები. აგებულია XII-XIII სს. მეფეების – თამარისა და ლაშა-გიორგის ეპოქაში. ხვარაზმელთა და მონღოლთა შემოსევების შედეგად დაინგრა მთავარი ტაძარი და სამრეკლო, რომელიც ხელახლა ააშენეს XIII საუკუნის ბოლო მეოთხედში. 1278 წელს სამრეკლო ააგო მეფე დემეტრე II-ის ჯვრისმტვირთელმა აბრაჰამმა, ხოლო წმ. გიორგის ტაძარი – დემეტრე თავდადებულის ასულმა რუსუდანმა. საბუთის გაცემის დროისთვის გუდარეხი შედიოდა ბარათაშილთა სათავადოში. 1643 წელს მეფე როსტომმა მონასტერი ბარათაშილთა განშტოებას – გერმანოზიშვილებს დაუმტკიცა საგვარეულო საძვალედ (მჭედლიძე, 2009: გვ. 36).
3. რუსუდან დედოფალი – მეფე დემეტრე II თავდადებულისა (1270-1289) და ტრაპიზონის კეისრის ასულის, ირინეს შვილი. იგი იყო მონღოლთა დიდი ემირის – ბუღას ერთ-ერთი ვაჟის მეუღლე. არღუნ ყაენის წინააღმდეგ ბუღას შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ (1288 წ.), ბუღა და მისი ოჯახის წევრები სიკვდილით დასაჯეს, ასევე – დემეტრე თავდადებული (1289 წ.). სიკვდილს გადაურჩა რუსუდანი. საქართველოში დაბრუნებული ცოლად გაჰყვა თაყა ფანასკერტელს. მათ სახელზე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარში სამი ალაპია ჩაწერილი. ცოლ-ქმარი დიდ შეწირულებას აძლევს ჯვრის მონასტერს. 1306 წელს ვაჩეძორის ტაძარში ეგვტერი ააშენეს. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ რუსუდანი ქართლში დაბრუნდა და ალადგინა გუდარეხის მონასტერი, რასაც ადასტურებს სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის სამშენებლო წარწერა და ზემომოყვანილი საბუთი, რომლის მიხედვითაც დედოფალი გუდარეხის მონასტერში დაუკრძალავთ (მჭედლიძე, 2009: გვ.34).
4. უნდილაძეები – ქვემო ქართლის, კერძოდ, ბარათაშილთა აზნაურები იყვნენ. უნდილაძეთა საგვარეულო შინაფეოდალურ დაპირისპირებას შეეწირა და სპარსეთში გადაიხიზნა (გაბაშვილი, 1972: გვ. 71-72; მაედა, 2008: გვ. 35-41). ლუარსაბისა და თეიმურაზის მეფობის პერიოდში ეს საგვარეულო დაკნინებულია და “ამოვარდნილად“ იხსენიება, სამაგიეროდ დიდ წარმატებას მიაღწიეს ირანში. აქ გადახვეწილმა ალავერდი-ხან უნდილაძე და მისი შვილები იმამყული-ხანი და დაუდ-ხანი თავიანთი ძალაუფლებითა და გავლენით შაჰის კარზე უაღრესად ანგარიშგასაწევ ძალად მიიხნოდნენ.

**[1606-1615 ვ.ვ.] ბრძანება თამარ დედოფლისა
ქალაქის მელიქისადმი**

დ ე დ ა ნ ი: სეა, 1448-2381 ყავისფერი ქალაღდი; ზომა: 9,7X15,5 სმ. შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ერთწერტილი და ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; გვერდები შევსებული და რესტავირებულია თეთრი ქალაღდით. საბუთს ერთვის მეორე ფურცელი ზომით 5,7X14,8 სმ., რომელზედაც მოთავსებულია გვიან მიწერილი საბუთის სათაური.

თ ა რ ი დ ი: საბუთის გამცემია თამარ დედოფალი, გიორგი X-ის მეუღლე, ამდენად, საბუთი თარიღდება გიორგი მეფის გადაცვალებიდან თამარ დედოფლის გარდაცვალებამდე.

ქ. გიბ(რძანე)ბთ ქალაქის მელიქო და მამასახლისო! და ვი[ნ]გინდა-ვინ მოსაქმენი იყუნეთ, მერმე, რარიგადაც მეფის ³ ლ უ ა რ ს ა ბ ი ს წ ი გ ნ ი ჰქონდეს პატრონს კათალიკოზსა, თქუენცა იმრიგად აალებინებდით გელაქუ^ნურსა და ბახტასა, და ნურავინ დაუჭერთ.

წხელრთვა: თ ა მ ა რ
გვიანდელი სათაური:
ქ. გელაქუ^ნურის ბაჟისა სვეტის ცხოვლისა, მ ც ხ ე თ ი ს ა .

- კომენტარი:
1. მახტა (ვარ. ბახტა) - ქალაქის მოსახლეობაზე შეწერილი გამოსაღები პურიით ან ფულით.
 2. გელაქნური - სევანის ტბის თევზზე დაწესებული საბაჟო გადასახადი.

1607 წ. 20 აგვისტო. ბრძანება ლუარსაბ მეფისა სომხეთისა და საბარათაშვილოს მიხედვითადი

პირი: სეა, 1449-2637, გადაწერილი XIX საუკუნის დასაწყისში ს. კაკაბაძის მიერ. თავში ფანქრით აქვს მიწერილი დედნის მონაცემები: ტფილისის სიონის სიგელი, მიცემული ლუარსაბ მეფის მიერ, დაწერილი ქადაგდზე, ზომით: 17/2 X 14 1/2. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი.

თარიღი: ქორნიკონი სჰჰ (295), მარიამობისთვის ოცი, რაც გავძლევს 1607 წლის 20 აგვისტოს.

გამოცემა: კაკაბაძე, IV, 1913: გვ. 4.

ქ. უზეშთაესთა მოგახსენებთ და უქუედაესთა გიბრძანებთ, ვინგინდა-ვინ სომხეთისა და საბარათაშვილოს მებალახენი იყუნეთ, და ანუ ვინ გინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე, რაც სიონისა ლ(მრ)თისმშობლისათვის მამულები არის შეწირული, მისი საბალახე ჩუენად სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩუენისა წარსამართებლად სიონისა ლ(მრ)თისმშობლისათვის შეგვინირავს, და ნურა კაცი მის შეწირულს მამულს საბალახეს ნუ სთხოვთ, და სხუათას ნუ იმისნებენ.

დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა სჰჰ, მარიამობისთვის ოცსა.

10 ხვეული ხელრთვა: ლუარსაბ

1608 წ. 29 მარტი. სითარხნის წიგნი ტაბარ დედოფლისა და ლუარსაბ მეფისა ბოზნაშვილთა წმიდა ბიორბის მოსამსახურეთადი

პირი: სეა, 1449-1940-2, გადაწერილი XIX საუკუნეში.

თარიღი: ქორნიკონი სჰჰ (296), მარტის 30, რაც გვაძლევს 1608 წლის 29 მარტს.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლ(მრ)თისათა, ესე წყალობისა და სითარხნის ნიშანი გიბოძეთ ჩვენ, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან თამარ და ძემან ჩვენმან პირმშომან, მეფემან პატრონმან ლუარსაბ, თქვენ, ბოზნაშვილთა წმინდის გიორგის მოსამსახურეთა.

15 მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და სითარხნის სიგელი დაგვეაჯენით, ჩვენცა მოკითხული ვჰქენით, და პირველთა მეფეთაგანცა თარხანნი ყოფილიყვნით, და სიგელიცა გქონდათ. ანეცა, ჩვენად სადღეგრძელოდ და

გასამარჯვებლად და მეფობისა ჩუენისა წარსამართებლად, სიგლითა ამით გათარხნეთ და განგათავისუფლეთ. ასე რომე, არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოვოდეს-რა ერთის ზვრის სამუშაოსა და ციხის აგების მეტი. სხუა არასთანა არა გთხოვოთ რა და არც ეს სიგელი მოგიშალოს.

5 ანე, გიბრძანებთ კარისა ჩუენისა ვაქილ-ვაზირნო და ატენის ქევის მოურავნო და მოსაქმენო, თქუენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადცა ამ ჩვენგან ნაბოძებს სიგელში ეწეროს. ნურცა რას თქვენ შეუშლით და შეეცილებით, თვინიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე.

დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა სჰჰ, მარტის კთ, კელითა კარისა ჩვენისა მწიგნობრისათუ მანიშვილის ნასრისათა.

ხელრთვა: თამარ, ლუარსაბ

მინანერები:

ქ. ჩვენად სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად, რარიგადცა ამ წიგნში უწერია, იმრიგად ჩვენცა გვითარხნებია: ბაგრატ

ქ. ჩვენად სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად, რარიგადცა ამ წიგნში სწერით, ჩვენც ისრევე სამკვიდროდ და საბოლოოდ 15 გვითარხნებია. ქ(ორონი)კ(ონ)სა პა (?)

1608 წ. 12 ივლისი. მამულის წყალობის წიგნი ლუარსაბ მეფისა ბიორბი სააკაპისდგი

დედანი: ხეც, Hd-13052; მოყვითალო ფერის ქადალდი; ზომა: 27,5X19,7 სმ; შავი ფერის მეღანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი, ზოგან ორწერტილი ან წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; რესტავრირებული; საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1821 წ. 31 იანვარს; ტექსტს ახასიათებს ა-მეტობა.

პირები: სეა, 1450-27/196; ხეც; H-2830, ს.196.

თარიღი: ქორნიკონი სჰჰ (296), მკათათვის 08 (12), რაც გვაძლევს 1608 წლის 12 ივლისს.

საბუთის დამწერი: მდივანმწიგნობარი ქუმის რევიშვილი.

გამოცემა: თაყაიშვილი, 1909: №39, გვ. 50 (შემოკლებით).

ქ. ლ(მრ)თივ-გვირგვინოსანმა მეფეთ-მეფემან, პატრონმა ლუარსაბ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩუენსა ერდგულსა და თავდადებულთ ნამსახურსა ყმასა, სააკაპისა, ქალაქის ამირათ-ამირასა გიორგის და ძმასა თქუენსა ქეიხოსროს და შვილსა თქვენსა ავთანდილს, და მომავალთა სახლისა თქუენისათა, ყოველთავე, მას ჟამსა, როდეს მოგიდევით კარსა და მამულის წყალობას

გვიაჯენით.

ვისმინეთ აჯა და⁹ მოხსენება თქუენი, და შეგინყალეთ და გიბოძეთ სა¹⁰[ბარა]თიანოში სოფელი კრანისის მისის სამართლიანის¹¹ სამძღვრითა და საქმითა, მთას აქეთ – ჯავახიშვილის გამრე¹²კლის კერძი, ცხირეთს – ურუმბეხაშვილი გოჩია, კუამლი¹³ერთი, საჯავახიანოს ხანდაკს – ჯავახიშვილის გამრეკელის კე¹⁴რძი მამული, რისაც მქონებელი ყოფილიყოს,¹⁵ მისის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა, მთითა, ბ¹⁶არითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენაკითა, საკნავი¹⁷თა, სათიბრითა, ყოვლის მისის სამჭმოთა, – თქუენთს გვიბო¹⁸ძებია, {მ}კვიდრათ და სამამულეთ.

გქოდეს და გიბედნიეროს ლ¹⁹(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგა.

ანე, გიბრძანებთ²⁰ კარისა ჩვენისა ვეჟილ-ვეზირნო, მდივანნო და სხვანო მოსაქმე²¹ნო, ვინ გინდა-ვინ იყვნეთ და ანუ დღეის წაღმა ვინ გინდა-ვინ იქ²²[ნებო]დეთ, მერმე, ბრძანება და ნიშანი თქვენც ასრე²³ გაუთავეთ, რარი-გადაც ამა ჩუენგან ნაწყალობევსა ფა²⁴რვანაში ეწეროს, ნუ შეუცლით და შე[ე]ცილებით.

და²⁵ინერა ნიშანი და ბ(რძანე)ბა ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს სშშ, მკათათვესა იბ, კელ²⁶[ითა კა]რისა ჩუენისა მნიგნობრის რევიშვილის ქუმსი²⁷[სა]თა.

ხელრთვა ხვეულად:

ლ უ ა რ ს ა ბ

დედანს ჰქონია ოთხი ბეჭედი:

ოთხკუთხედი, გაურკვეველი ღრგენდით;

ოვალური, სპარსული ლეგენდით.

გვიანდელი მინაწერები verso-ზე:

კ რ წ ა ნ ი ს ი ს ა .

უ რ უ ბ ი ხ ა შ ვ ი ლ ი ს ა ხ ა ნ დ ა კ ი ს .

ამაში იხსენება უ რ ე მ ბ ე ხ ა შ ვ ი ლ ი ერთ კომლად და ც ხ ი რ ე ლ ა დ .

დიდი მოურავის შვილ[ი] ა ვ თ ა ნ დ ი ლ არის პირველი

უ რ უ მ ბ ე ხ ი შ ვ ი ლ ი ს და ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს გამრეკელის წილის.

კ რ წ ა ნ ი ს ი ს ა და უ რ უ ბ ე ხ ა შ ვ ი ლ ი ს ა .

ჩაინერა იბ.

კომენტარი

1. ამირათ-ამირა – ამირას სახელო არაბობის დროს დამკვიდრდა საქართველოში და მათი ბატონობის დასრულების შემდეგ ქართულ ენაში ქალაქის მმართველის სახელწოდებად დარჩა. დიდი ქალაქის მმართველებს გაორმაგებული ტერმინი ამირათ-ამირა ეწოდებოდათ. თბილისის მმართველს ქალაქის სახელის მოუხსენიებლად “ქალაქის ამირათ-ამირა“ ეწოდება. XV საუკუნიდან მას თანდათანობით ჩაე-

ნაცვლა ქართული სამოხელეო ტერმინი მოურავი ამირა/მოურავი იყო ქალაქის ადმინისტრაციული უწყების ხელმძღვანელი, საქალაქო მეურნეობის მმართველი და ზედამხედველი. მას ევალებოდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მეფისა და ცენტრალური ორგანოების განკარგულებების აღსრულება, ასევე სამოქალაქო სამართლის საქმეების გარჩევა, გადასახადების აკრეფა, მეთვალყურეობა პროდუქტის ფასებზე, წონისა და სხვა საზომების სიზუსტეზე (მუსხელიშვილი 1966: გვ. 199-213, სურგულაძე, რედ. 2017: გვ. 102-104; 241-243).

2. გიორგი სააკაძე – ქალაქისა (თბილისის) და ქართლის (ცხინვალი, დვალეთი, სომხითი) მოურავი. თბილისის ამირათ-ამირა. მსახურობდა ქართლის მეფეების: სვიმონ I-ის, გიორგი X-ისა და ლუარსაბ II-ის კარზე. 1612 წლიდან სპარსეთის შაჰის კარზეა. 1619 წელს დაინიშნა სვიმონ II-ის ვეჟილად. 1625 წელს აუჯანყდა ყილიზბაშებს, ხოლო 1626 წელს დაუპირისპირდა თეიმურაზ I-ს და ოსმალეთში გადაიხვეწა, სადაც დაინიშნა კონიის ვილაიეთის მმართველად. 1629 წელს დიდი ვეზირის ხუსრევ ფაშას ბრძანებით იგი სიკვდილით დასაჯეს მის მხლებლებთან ერთად.
3. სააკაძეები მამულებს ფლობდნენ შიდა ქართლში, ატენის ხეობის ზემო წელზე. მათი საგვარეულო ციხეები იყო ფელი და კიკანათბერი. სააკაძეთა სამფლობელოს გაფართოება მოხდა მეზობელი ფეოდალების ხარჯზე. მათ შორის იყვნენ ჯავახიშვილებიც. სააკაძეები ქართულ საბუთებში ჩნდებიან 1462 წლიდან: დედოფალმა გულშარმა ივანე სააკაძეს ჭანჭახის მამული ნოსტეს მამულებზე გადაუცვალა. 1588 წელს სიმონ I-მა სიაუმ სააკაძეს უწყალობა სოფ. ნოსტესა და ერთაწმინდაში გლეხები და მამულები, ასევე შალვა ჯავახიშვილისა და მისი ძმებისთვის ჩამორთმეული მამული სოფ. ოძისი. სააკაძეები ცდილობდნენ დამკვიდრებას სოფ. ცხირეთის (მეფეთა საზაფხულო სასახლე და რეზიდენცია) მახლობლად სოფ. ოძისსა და ერთაწმინდაში, რომლებიც უფრო ადრე ჯავახიშვილებს ეკუთვნოდათ. ჯავახიშვილები მატერიალური გაჭირვების გამო მამულებს ჰყიდდნენ. 1590 წელს მასურ და ბეჟან ჯავახიშვილებისაგან ზურაბ სააკაძეს შეუძენია ქვემო და ზემო ცხირეთი, ცუცუბანი, ნასოფლარები: ცხავერი, კაჯათუბანი, ჯვარა და მადლა. 1597 წელს ივანე სააკაძემ ცოლად შეირთო გამრეკელ ჯავახიშვილის ასული შამანდუხი, რომელმაც სააკაძეების ქონებას შემატა მზითვში მიღებული ცხირეთის მამულები. 1607 წელს დედოფალმა ნესტანდარეჯანმა ზურაბ სააკაძეს უწყალობა ფეზია ჯავახიშვილისეული მამულები სამებასა და ცხირეთში. გიორგი სააკაძემ განაგრძო სამფლობელოს გაფართოების პოლიტიკა საჯავახიანოში. 1607 წელს მან მამულები იყიდა ფარსადან ჯავახიშვილისაგან. 1608 წელს ზემომოყვანილი საბუთით მან მიიღო საბარათიანოს სოფ. კრწანისი ჯავახიშვილების სამფლობელოების მახლობლად, ასევე გამრეკელ ჯავახიშვილისეული გლეხები ხანდაკსა და ცხირეთში 1609 წელს გიორგი სააკაძემ შანშე ჯავახიშვილისგან იყიდა “არჯვენული სასახლე, მამული და ვენახი”.

სააკადემიის მხრიდან ჯავახიშვილების მამულების დაუფლება გახდა ერთ-ერთი მიზეზი ქაიხოსრო ჯავახიშვილსა და გიორგი სააკაძეს შორის მტრობის ჩამოვარდნისა (ჯამბურია 1964: 28-32; სურგულაძე (რედ.) 2007: გვ. 92-95, 99).

ქაიხოსრო ჯავახიშვილი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა სააკაძეებისთვის მამულის დათმობის საკითხს, თუმცა ჯავახიშვილთა მეორე შტო (იესე და ზაქარია), რომელსაც ქაიხოსროს თავგასულობა მობეზრებულნი ჰქონდათ, მშვიდად ურიგდებოდნენ ჯავახიშვილთა სოფლების სააკაძეებისთვის გადაცემის ფაქტს (ოთხმეზური, 1999: გვ. 75).

- რევიშვილი ქუმსი – მეფე ლუარსაბ II-ის (1606-1614) კარის მდივან-მწიგნობარი. სავარაუდოდ, მისი მამა უნდა იყოს ზილფიყარ რევიშვილი, რომელიც სიმონ I-ის (1556-1600) კარის მწიგნობარი იყო. სხვა მწიგნობარი რევიშვილების საგვარეულოში არ გვხვდება.

**1608 წ. 29 ივლისი. მამულის წყალობის წიგნი
ლუარსაბ მეფისა ბოქაშლთუხუცეს დავით [დავითიშვილისაძგი]**

პირი: ხეც, Hd-10243 ბ, გადაწერილი ცისფერ ქაღალდზე, 2 ფრ. მელანი შავი; მხედრული; შედგება ა და ბ საბუთისაგან.

თარიღი: ქორონიკონი სჰჰ (296), მკათათვის კო (29), რაც გვაძლევს 1608 წლის 29 ივლისს.

საბუთის დამწერი: ნაზირი თუმანისშვილი.

ნებითა და შენევნითა ლ(მრთ)ისათა, ჩვენ, ლვთივ-გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან ლუარსაბ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა, ბოქაშლთუხუცეს დავითს და თქვენთა შვილთა კოსტანტინეს და ელიზბარს, და მამავალთა სახლისა თქვენისათა, მას უამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და მამულისა წყალობასა გვეაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგინწყალეთ და გიბოძეთ ზემო ქართლს სოფელი აბანო მისის სამართლიანის სამძღვრითა და საქმითა, მითითა, ბართითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, ნისქვილითა, სახნავ-სათიბრითა, ქალითა და სასაძოვრითა, შესავლითა და გამოსავლითა, ყოვლითურთ სამკვიდროდ და სამამულედ თქვენთვის გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მან) ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შიგა.

ანუ, გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვაქილ-ვაზირნო, მდივანნო და სხვანო მოსაქმენო, ვინგინდა-ვინ იყვნეთ და ანუ ვინგინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე თქვენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაცა ამა ჩვენგან ნაწყალობევს სიგელში ეწეროს, ნურცა-რას თქვენ შეუშლით და შეეცილებით, თვინიერ თანადგომისა

და შენევნისაგან კიდე.

დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს სჰჰ, მკათათვეს კო, კელითა კარისა ჩვენისა მწიგნობრისა თუმანისშვილის ნაზირისითა.

ბეჭედი:

ლუარსაბ

პირის გადამწერის მინაწერი: ასლიდამ თანასწორ გადმოვსწერე. კოლექტი რეგისტრატორი თ(ვადი) იოსებ სოლაღაშვილი.

ნოტარიალური დამოწმება: ასლთან თანასწორეთ არის შემოწმებული, სოვეტნიკი თავადი დიმიტრი ორბელიანი.

კომენტარები:

- დავითიშვილები – ბაგრატიონთა სამეფო გვარის განშტოება. კახეთის მეფის, ალექსანდრე I-ის შვილის – დიმიტრის – შთამომავლები. 1511 წელს გიორგი ბატონიშვილმა, იმავე ავგიორგომ, მოკლა მამა, ალექსანდრე I, ხოლო ძმას, დიმიტრის თვალები დასთხარა და ცოლშვილიანად გააძევა. დიმიტრის შთამომავლობა ქართლში დამკვიდრდა, სადაც ახალი (მეტსახელად “თვალდამწვრიანთა“) სათავადო ჩამოაყალიბეს.

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ლტოლვილი დიმიტრი ბატონიშვილი შაჰის კარზე წავიდა და შაჰ-თამაზს სთხოვა დახმარება. მანაც უბოძა კახეთი და დიდძალი თანხა, თუმცა დიმიტრი კახეთში ვერ დაბრუნდა და მიღებული ფულით ქართლში სოფლები იყიდა (დირბი, ბრეთი და ბებნისი). ქართლში მოძლიერებული თვალდამწვრიანები კახეთის მეფეებისთვის საშიში მეტოქეები იყვნენ, ამიტომ ლევან კახთა მეფის (1518-1574) მოთხოვნით ქართლის მეფე ლუარსაბ I-ს (1527-1556) დირბის ციხე დაუქცევია. დავით თვალდამწვრიანმა იმერეთში ბაგრატ III-თან (1510-1565) შეაფარა თავი. ბაგრატმა, რომელიც ამ დროს ქართლის დასავლეთ მხარეს ფლობდა, მას ქართლში უბოძა სოფლები: ნული, თორმანეული, ღვევრეთი, ფლევი, ქანბადი, ცხეთას ჯვარი, მოხის-რუისის გლეხები, საყდარი სასაფლაოდ, აზნაური კერკაულისძენი და ტატიშვილები (გორგიჯანიძე, 1925: გვ. 300; ნინიძე, 2004: გვ. 209), ეს ყმა-მამული დაედო საფუძვლად დავითიშვილთა სათავადოს მიწათმფლობელობას (ნინიძე, 2004: გვ. 209).

დავით თვალდამწვრიანის შთამომავლები იწოდნენ დავითიშვილებად (მ. ქიქოძე და ჯ. გვასალია თვალდამწვრიანებსა და დავითიშვილებს სხვადასხვა გვარად და ცალ-ცალკე სათავადოებად მიიჩნევენ, თუმცა ორივე ფორმა ერთ საგვარეულოს მიემართება (ქიქოძე, 1963: გვ. 110; გვასალია, 1983: გვ. 27). XVII ს.-ში დავით დავითიშვილის ძმისწულის – რამაზ დავითიშვილის შემკვიდრებმა კიდევ ერთი განშტოება – რამაზიშვილები დააფუძნეს. ამ ორ განშტოებას შორის მიმდინარეობდა სამამულე დავა. რამაზიშვილები დავითიშვილებს მამულებს ედავებოდნენ, ხოლო დავითიშვილები არ ცნობდნენ მათ “სახლიკაცობას“.

დავითიშვილები მამულებს ფლობდნენ შიდა ქართლში: სოფ. დირბი, ბრეთი, ბებნისი, ნული, ფცა, აბანო, თორმანეული, ღვერთეთი, თიხევი, ბროწლეთი, ტკოცა. ნულში ჰქონდათ სასახლე, კოშკი და საყდარი.

2. დავით დავითიშვილი – ბოქაულთუხუცესი, ეშიკადასბაში, ზემო ახალდაბისა და დირბის მოურავი.
3. ბოქაულთუხუცესი – ცენტრალური მმართველობის საპოლიციო აპარატის მოხელე. მას ევალებოდა სხვადასხვა სახის ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულება, სასამართლო განაჩენის აღსრულება; სამეფო მეჯლისის დროს სასახლეში წესრიგზე ზრუნვა, სტუმრების შეგება, მათთვის ადგილის მიჩენა და თვალყურის დევნება (სურგულაძე (რედ.) 2017: გვ. 123-124). დავითიშვილთა საგვარეულოდან ბოქაულთუხუცესობას ფლობენ მხოლოდ დავითი და მისი შვილი ელიზბარი.

**1608 წ. 4 აგვისტო. წყალობა
ლუარსაბ მეფისა ბარძიმ ამილახორისადმი**

დედანი: ხეც, Hd-2009; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 38,5X15,5 სმ. შავი ფერის მელანი. მხედრული; გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი, იშვიათად ორწერტილი ან ოთხწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთი შესულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1817 წ. 12 აპრილს, გატარებულია – 1824 წ. 25 ივნისს, ნომრით № 242.

თარიღი: ქორნიკონი სშპ (296) მარიამობისთვის ლ, რაც გვაძლევს 1608 წლის 4 აგვისტოს.

საბუთის დამწერი: მწიგნობარი ქუმსი რევიშვილი.

პირი: სეა, 1461-14/23.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, ლ(მრ)თიქვ-გურიგუინოსანმან მეფეთ-მეფემან, პატრონმან ლუარსაბ, ესე წყალობისა წიგნი და წიშანი შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქუენ⁴⁶, ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსწახურსა ყმასა, ამილახორსა პატრონსა¹⁶ ბარძიქს, ძმასა თქუენსა პატრონსა დემეტრეს და მამავალთა სახლისა თქვენისა – ყოველთავე, მასქ უამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა⁸ და მამულის წყალობას გვიაჯენით.

ვისმინწეთ აჯა და მოხსენება თქუენი და შეგინწყალეთ და გიბოძეთ ყოვლის კაცისაგან¹¹ მოუშლელად თქუენი მკვიდრი მამული: სომ¹²ხითს სოფელი დიდი მახრალაჯი, მთას აქეთ ზემოქსობისი და ატენს თქვენთა ნაქონი ზვი¹⁴არი. თქვენთუის გვიბოძებია, მისის სამართლია¹⁵ნის სამძღვრითა და საქმითა, მითთა, ბართთა, წყალითა, წისქვილითა, ველითა, ვენაჭითა, საკნავი¹⁷თა, სათიბრითა და ყოვლის მისის სამჭმო¹⁸თა.

გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ე¹⁹რდგულად სამსახურშიგა.

ანე, გიბრძანებ²⁰თ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანნო, სომხ-იქითისა ტარულავ და მელიქო და სხუანო მოსაქმე²²ნო, ვინგინდა-ვინ იყვნეთ და ანუ დღეის წალმა²³ იქნებოდეთ, მერმე, ბრძანება და წიშანი ესე²⁴ თქუენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა²⁵ ჩუენგან ნაწყალობევს ფარვანაში ეწერო²⁶ს, თვინიერ თანადგომისა კიდეც.

დაინერა წიშა²⁷ნი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კო(ნ)ს სშპ, მარიამობის²⁸ თვესა დ, კელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრ²⁹ისა რევიშვილის ქმსიასითა.

ხელრთვა ხვეულად:

ლუარსაბ

საბუთს ბოლოში უზის ორი დიდი და პატარა სპარსული ბეჭედი.

მინანერები: სოუტნიკი თავადი აფხაზი. ჩაინერა კ.

1608 წ.

ფანქრით მიწერილია: №31, გვ. 29.

კომენტარი

1. ბარძიმ//ბარზი ამილახვარი (დაახლ.1556-1613) და მისი ძმა დემეტრე, თავა ამილახვრის ვაჟები, მოღვაწეობდნენ XVI საუკუნის მეორე ნახევარში. ბარძიმის ასული ცოლად ჰყავდა კახთა მეფე ალექსანდრე II-ს, რაც მიანიშნებს, რომ ძმები დაუდ-ხანისა და ალექსანდრე II-ის პოლიტიკურ ბანაკს ემხრობოდნენ (დაუდ-ხანის შვილს, ბაგრატს ალექსანდრე II-ის ასული ჰყავდა ცოლად). ორივენი მტრობდნენ ქართლის მეფე სიმონ I-ს. დაახლ. 1589/90 წელს, ქართლის მიწებზე ირან-ოსმალეთის მწვავე დაპირისპირების პირობებში სვიმონ I შემოირიგებს ბარზი ამილახორს (გვრიტიშვილი, 1956: გვ. 390; სურგულაძე, 2010: გვ. 178; კორპუსი, 2016: გვ.389).
2. მახრალაჯი - სომხითის სოფელი, რომელსაც, მოგვიანებით, სვიმონ II აძლევს ქაიხოსრო ბარათაშვილს (სეა 1448-598). როგორც ჩანს, ამ სოფელზე ამილახვრები დაფობდნენ 1692 წელსაც, როდესაც ნაზარალი-ხანის ბრძანებით სოფელი ამილახვართა ოჯახის რძალს, ანა-ხანუმს, დაუმტკიცეს სიცოცხლის ვადით. ამილახვრებს მხოლოდ საქორწინო გადასახადის აკრეფის უფლება დაუტოვეს (მუსხელიშვილი (რედ.), 2010: გვ. 508).

**1608 წ. 5 აგვისტო. მამულის ნასყიდობის წიგნი
ლუარსაზ მუშისა ბიორბი და ქაიხოსრო სააკაძისაჲში**

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd-1942; თეთრი ფერის ქაღალდი; ზომა: 37,6X25,9 სმ; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი, ზოგან ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: მარცხენა მხარეს, მთელ სიგრძეზე შეინიშნება წყლის ღაჭები; ზედა და ქვედა მაჯვენა კიდეები ოდნავ მოფლეთილია და შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით; საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1821 წ. 29 იანვარს. პ ი რ ი: სეა, 1450-27/169.

თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი სშშ (296), მარიამობისთვის II (5), რაც იძლევა 1608 წლის 5 აგვისტოს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი: მწიგნობარი ქუმის რევიშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა: კაკაბაძე, სკ, 1924: გვ. 74-75.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, ლ(მრ)თივ-გურიგურნოსანმა მეფეთ მეწეჲმან პატრონმა ლ უ ა რ ს ა ბ , ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი³ შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით⁴ ნამსახურსა ყმასა ს ა [ა] კ ა ძ ე ს ა , ქალაქის ამირათ ამირასა პატრონსა⁵ გ ი ო რ - გ ი ს , ძმასა შენსა პატრონსა ქ ე ი ხ ო ს რ ო ს , შვილსა შენსა⁶ პატრონსა ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს და მომავალთა სახლისა შენისათა, ყო⁷ველთავე, მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და მამულის წყა⁸ლობას გვიაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და შე⁹გინწყალეთ და გიბოძეთ ს ა - ბ ა რ ა თ ი ა ნ ო შ ი ნასოფლარი ყ ა ი შ ლ ა ლ ი¹⁰ მისის რუთა და მისის სამართლიანის სამძღვრითა და საქმითა, მთი¹¹თა, ბართთა, წყალითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა. ყოველის¹² მისის სამჭმოთა თქუენთჲს გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიერ¹³ოს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულად სამსახურშიგა.

ანე, გიბრძანებთ¹⁴ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანო და სხვანო მოსაქმენო, ვინ¹⁵გინდა-ვინ იყვნეთ და ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ, მერმე თქვენცა¹⁶ ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ნანწყალობევს ფარვანა¹⁷ში ეწეროს. ნურც-რას თქვენ შე¹⁸ეცილებით.

დაინერა ნიშანი და ბ¹⁹რძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს სშშ, მარიამობისთვისა II, კელითა კარისა¹⁹ ჩუენისა მწიგნობრისა რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი ს ქ უ მ ს ი ს ა თ ა .

ხელრთვა ხვეულად:

| ლ უ ა რ ს ა ბ

უზის ორი ბეჭედი სპარსული ლეგენდებით: 1. მცირე ზომის, ოთხკუთხა; 2. ოვალური ფორმის, ფიგურული კიდეებით.

გვიანდელი მინაწერები:

კომენტარი

ყაიშლადი – ელებით დასახლებული ქვემო ქართლის სოფელი. XVII საუკუნიდან ელებით დასახლებულ ტერიტორიებს სამეურნეო-ადმინისტრაციული გამგებლები – მოურავები ენიშნებოდათ. გიორგი სააკაძესაც ეს სოფელი სამოურავოდ ჰქონდა გადაცემული.

**1608 წ. 7 სექტემბერი. მამულის წყალობის წიგნი
ლუარსაზ მუშისა იუსე ჯაგახიშვილისაჲში**

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd-14700; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 37,1X14,7 სმ; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი, ზოგან ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: თავნაკლული; გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით; საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1827 წ. 21 იანვარს; ტექსტს ახასიათებს ა-მეტობა;

თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი სშშ (296), ენკენისთვის ზ (7), რაც გვაძლევს 1608 წლის 7 სექტემბერს.

პ ი რ ე ბ ი: 1. ხეც; Qd-9635 (გადაწერილია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ); 2. H-2830 (ს. 45).

საბუთის დ ა მ წ ე რ ი: მწიგნობარი ქუმის რევიშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა: თაყაიშვილი 1909: №19, გვ. 26-27.

[ქ. ნებითა და შეწევნითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, ლ(მრ)თივ-გურნოსანმან, მეფეთ-მეფემან პატრონმან] ლ უ ა რ ს ა ბ , ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვე²ნსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა, ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს ა პატრონსა⁴ ი ე ს ე ს , შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა, ყოველთავე. მას ჟამსა, ო⁶დეს მოგვიდევით კარსა და მამულის წყა⁸ლობას გვიაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხ⁹სენება თქვენი და შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქუენი მკვიდრი მამული ყ ა ი რ ა ჯ ს , |¹⁰რისაც მქონებელი იყო; ს ი ო ნ თ , რისაც¹¹ მქონებელი იყო; ხ ა ნ დ ა კ ს , რისაც მქონებელი¹² იყო; ქუენა დ რ ი ს { ს } , რისაც მქონებელი¹³ იყო. კიდევე, ამას გარდაის, შეგინწყა¹⁴ლეთ და გიბოძეთ შენის განაყოფის,¹⁵ გ ა მ რ ე კ ე ლ ი ს კერძი მამული ყ ა რ ა - ლ ა ჯ ს , რისაც მქონებელი იყოს, ს ი ო ნ თ , რისაც¹⁶ მქონებელი იყოს, ქუენა დ რ ი ს { ს } , რ¹⁷ისაც მქონებელი იყოს. და კიდევე ს ა ბ ა |¹⁸რ ა თ ი ა ნ ო შ ი , წ ო დ ო რ ე თ ს , შენი და შენ¹⁹ის განაყოფის ფ ე ზ ი ა ს კერძი,

9 ყარაჯით

რისაც²⁰ მქონებული ყოფილიყოს.

ესეები სრულ²¹ად შენთვის გვიბოძებია მკვიდრად და სამამულედ,²² შენი და ოკერი, მათის სამა²³რთლიანის სამძღვრითა, მითთა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენაკითა, საკნ²⁴ავითა, სათიბრითა, ყ[ო]ვლის მათის სამჭ²⁵მოთა.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ²⁶ ჩუენსა ერდგულად სამსახურ[სა] შიგა.

ანე,²⁷ გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვეკილ-ვეზირ²⁸ნო, მდივანნო და სხვა-ნო მოსაქმენო, ვინ გინდა-ვინ²⁹ იყვნეთ და ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ,³⁰ მერმე თქვენც ასრე გაუთავეთ, რარიგადაც³¹ ამ ჩუენგან ნაწყალობევს ფარ-ვანაში ეწერ³²ოს, ნურც არას თქვენ შეც³³ცილებით.

და³³ინერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს სშშ, ენკე³⁴ნის თვესა ზ, კელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრისა ³⁵რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი ს ქ უ მ ს ი ს ა თ ა .

ხელრთვა ხვეულად:

ღ უ ა რ ს ა ბ

ბეჭედი: 1. ოვალური ფორმის ბეჭედი სპარსული ლეგენდით.

მინაწერები verso-ზე:

1. ქ. ნეფე ღ უ ა რ ს ა ბ ი ს ა მიცემული; 2. ღ უ ა რ ს ა ბ მეფის ნაბოძები სიგელი; 3. ღ უ ა რ ს ა ბ ი ს ა .

კომენტარი:

ჯავახიშვილები – თორელთაგან მომდინარე ფეოდალური საგვარეულო. საგვარეულოს საფუძველი დაუდო ჯავახ თორელმა. XIII საუკუნიდან დამკვიდრნენ შიდა ქართლში. მათი სამფლობელოები თანდათან იზრდებოდა მეფისაგან მიღებული წყალობის ხარჯზე. ისინი ფლობდნენ: ტაგნაგეთის მონასტერს (კოჯორთან), ზემო და ქვემო ცხირეთს, ხანდაკს, ოძისს, ახალშენს, აკკეთისა და იისციხეს, თხილოვანს, ქვეშის ციხეს, რატევანს, სკრას, ხოვლეს, ზეს, ფიცეს, ზაკუს, ქვენადრისს, კრკონს, წოდორეთს, ცხირეთს, ყარაღაჯს, საყავრეს და სხვა. სხვადასხვა დროს ისინი ფლობდნენ მაღალ საერო და სასულიერო სახელოებს: მე-აბჯრეთუხუცესობას, ფარეშთუხუცესობას, მეკობრისმძებნელობას, ბოქაულთუხუცესობას, გორისა და ატენის მოურავობას, მანგლისისა და ურბნისის ეპისკოპოსობას.

1608 წ. წყალობის წიგნი ღუარსაბ მეფისა გობიჯაშვილებისადმი

პ ი რ ი: სეა, 1450-10/12. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეესტრაციაში 1820-იან წლებში (დამოწმება არ ახლავს).

თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი სშშ (296), რაც ნიშნავს 1608 წელს.

[ქ]. ნებითა და შეწვევითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, ღ(მრ)თივ-გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან ღ უ ა რ ს ა ბ , ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერდგულსა ყმასა, გ ო გ ი ბ ა შ - ვ ი ლ ს ა დ ო ლ ო მ ი შ ს და ზ ა ქ ა რ ი ა ს .

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და მამულისა წყალობას დაგუაჯენ- 5 ით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგინწყალეთ და გიბოძეთ ს ო მ ხ - ი თ ს ო რ ი კ უ ა მ ლ ი გ ლ ე ხ ი: დ ო ნ მ ა ზ ა და ჰ { ა } ზ ა რ დ ე [ლ] ა და ნასოფლარი ტ ა ნ ძ უ ტ ი მისისა სამართლიანის სამძღვრითა და საქმითა, შესავალითა და გამოსავალითა, ყოვლითურთ თქვენთვის გვიბოძებია.

გქონდეთ და გიბედნიეროთ ღ(მერ)თმან ჩვენსა ერდგულად სამსახურსა 10 შიგან.

ანე, გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვაქილ-ვაზირნო, მდივან[ნ]ო და სხვა-ნო მოსაქმენო, ვინგინდა-ვინ იყვნეთ და ანუ ვინგინდავინ იქნებოდეთ, მერმე თქვენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ნაწყალობევს სიგელში ეწ- 15 ეროს. ნურც არას თქვენ შეუშლით და შეც³³ცილებით, თვინიერ თანადგომისა და შეწვევისაგან კიდე.

დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს სშშ, ხელითა კარისა ჩვენისა მწიგნობრისა თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ნ ა ს რ ი ს ი თ ა .

ხვეულად: ღ უ ა რ ს ა ბ

ადგილი ბეჭედისა: თ ა მ ა რ

7 ჰზარდელა ნსხ.

1609 წ. 9 მარტი. წყალობის წიგნი
ლუარსაბ მფოსა ბარზი ამილახორისაჲმ

პირი: ხეც, Ad-1208; გადაწერილი დედნიდან XIX საუკუნეში ლურჯი ფერის ქაღალდზე პოსრედნიკ-პროპორშიკის სოლომონ ფურცელაძის მიერ. სხვა პირი: სეა, 1461 დ.14, ს. 21.

თარიღი: ქორნიკონი სშზ (297), მარტის 0 (9), რაც გვაძლევს 1609 წლის 9 მარტს.

საბუთის დამწერი: მწიგნობარი ნასრ თუმანიშვილი.

ქ. ჩქუენ, გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან, პატრონმან ლუარსაბ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყაღეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერთგულსა ყმასა, ამილახორს ბარზის და თქუენსა ბიძასა დემეტრეს და მამავალთა სახლისა თქუენისათა, მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და თქვენს ბიძაშვილს ფარემუზას რომ მამული ქონდა, იმის წყალობას დაგვეაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგინყაღეთ და გიბოძეთ: სახასოჯუჯარი კელშეულად, ჯეჯიკური, ახმაჯი და ავარანი; აზნაურ(ი)შვილი: მალრანელი, ტარსაიჭაშვილი ხა-
10 დია და მისი ძმა ლაბახუნა, შანაშვილი ივანე, ყანჩაელი გოსტამ და ძაგანიშვილი შოშიტა. ესეები მათის სამართლიანის მამულ(ი)თა, სამძღვრითა და საქმითა, მითთა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, შესავლითა და გამოსავლითა, ყოვლითურთ, სამკვიდროთ და სამამულეთ თქვენთვის გვიბოძებია.

15 გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შიგა.

ანე, გიბრძანებთ, კარისა[ა] ჩვენისა ვაქილ-ვაზირნო, მდივანნო და სხვანო მოსაქმენო, ვინ გინდა-ვინ იყვნეთ და ანუ ვინ გინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე თქვენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაცა ამა ჩვენგან ნაწყალობევს სიგელში ეწეროს, ნურცა-რას თქვენ შეუშლით და შეეცილებით, თვინიერ თანადგომისა და შეწვევისაგან კიდე.

დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კო(ნ)ს სშზ, მარტის 0, ხელითა კარისა ჩვენისა მწიგნობრის თუმანის შვილის ნასრისითა.

პირის გადამწერის ცნობით, დედანს ჰქონია სპარსული („თათრული“) ბეჭედი და მეფის ხელრთვა: ლუარსაბ

მისივე მინაწერი:

ნამდვილთანა თანასწორ არს, პოსრედნიკ-პროპორშიკი სოლომონ ფურცელაძე.

1609 წ. 20 მარტი. სოფლის წყალობის წიგნი
ლუარსაბ მფოსა ბიორბი საბაპისაჲმ

დედანი: ხეც, Hd-13179; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 42,1X15,1 სმ; მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი, ზოგან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; კიდევები გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეესტრაციაში 1821 წ. 31 იანვარს;

პირები: ხეც, Hd-8390; სეა, 1450-27/202.

თარიღი: ქორნიკონი სშზ (297), მარტის 20 (20), რაც გვაძლევს 1609 წლის 20 მარტს.

საბუთის დამწერი: სამეფო კარის მწიგნობარი ქუმსი რევიშვილი.

ქ. ნებიტა და შეწვენიტა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, ლ(მრ)თივ-გურ²გუნოსანმან, მეფეთ-მეფემან პატრონმან ლუარსაბ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყაღეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა, ქალაქის⁶ ამირათ-ამირასა, საჯაკაცეს პატრონსა გიორგის, თქვენსა ძმასა ქეიხოსროს და თქვენსა შვილსა ავთანდილს, და მომავალთა სახლისა⁹ თქვენისათა, ყოველთავე, მას ჟამსა, ოდეს¹⁰ მოგვიდევით კარსა და მამულის წყალობა¹¹ს დაგვაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება¹¹ თქუენი და შეგინყაღეთ და გიბოძეთ მკვიდე¹²რად და სამამულედ სოფელი ნაბახტევი, რი¹³საც ბატონიშვილი ვახტანგ მქონებელი¹⁴ ყოფილიყოს. სრულად თქვენთუს¹⁵ გუბოძებია მისის სამართლიანის საქმითა¹⁶ და სამძღვრითა, მითთა, ბარითა, წყლითა,¹⁷ წისქვილითა, ველითა, ვენაკითა, საკნავითა, ში¹⁸ესავლითა და გამოსავლითა თქვენთვის გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენ²⁰სა ერდგულად სამსახურშია. ანე, გიბრძანებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდი²²ვანნო და სხვანო მოსაქმენო, ვინგინდა-ვინ იყვნ²³ეთ და ანუ ვინგინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე²⁴ თქვენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენ²⁵გან ნაწყალობევს ფარვანაში ეწერო²⁶ს, ნურც რას თქვენ შეუშლით და შეეცილ²⁷ებით, თვნიერ თანადგომისა და შეწ²⁸ვევისაგან კიდე.

დაინერა ნიშანი და ბრძანებ²⁹ა ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს სშზ, მარტისა 20, კელითა კარის³⁰ა ჩუენისა მწიგნობრისა რევიშვილის ქ³¹უმსისათა.

ხელრთვა ხვეულად:

ლუარსაბ

უზის სპარსული ბეჭედი: სპარსული ლეგენდით, ოვალური ფორმით და ფიგურული კიდევებით.

გვიანდელი მინაწერები:

verso-ზე:

1. მეფის წყალობა (ღურჯი ფანქრით).
2. 20. III. 1609 (წითელი ფანქრით).
3. ჩაიწერა.
4. ნ ა ბ ა ხ ტ ე ვ ი ს არის.
5. ნ ა ბ ა ხ ტ ე ვ ს წყალობის წიგნი (პირშექცევით).
6. ნ ა ბ ა ხ ტ ე ვ ს.
7. №61 (შინდისფერი ფანქრით).

კომენტარი:

ნაბახტევი – სოფ. ხაშურის მუნიციპალიტეტში. XVII საუკუნეში დიდი დაპირისპირება იყო სოფ. ნაბახტევის გარშემო სააკაძეებს, ამირეჯიბებსა და მარტიროზიშვილებს შორის. მეფე ცდილობდა ეს კონფლიქტი თავისი ინტერესების შესაბამისად მოეგვარებინა. (ოთხმეზური, 2009: გვ.5). XVI საუკუნის 80-იან წლებში ნაბახტევს ფლობენ გაბელიძე-ამირეჯიბები, 80-90-იანი წლების მიჯნაზე ეს სოფელი მიიღო მეფე ლუარსაბ I-ის ძემ, ვახტანგ ბატონიშვილმა, რომელიც 1595 წელს გარდაიცვალა და, ცხადია, მანამდე ჰქონდა ნაბახტევი მფლობელობაში გადაცემული. ზემომოყვანილ საბუთში ამირეჯიბების მოუხსენებლობა და ნაბახტევის მხოლოდ ვახტანგ ბატონიშვილის ნაქონად გამოცხადება ცენტრალურ ხელისუფლებას საშუალებას აძლევდა შეექმნა მტკიცებულებები ახალ მესაკუთრეთათვის, რათა ამირეჯიბთა შთამომავლებს პრეტენზიები არ გასჩენოდათ წინაპართა მამულზე (ოთხმეზური, 2009: გვ.36).

**1609 წ. 22 მარტი. შაჰირუზაბის წიგნი
ლუარსაბ მეფისა სვეტიცხოვლისადმი**

პ ი რ ი: სეა, 1449-1763, გადაწერილი ს. კაკაბაძის მიერ. მასვე ეკუთვნის დედნის აღწერილობა: მცხეთის სიგელი №25; ზომა 36 1/2X26 სმ; განკვეთილობის ნიშანი ყოველი სიტყვის შემდეგ: ორწერტილი, ან სამწერტილი.

თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი სშზ (297), მარტის კბ, რაც გვაძევს 1609 წლის 22 მარტს.

ს ა ბ უ თ ი ს დ ა მ წ ე რ ი ლ ო ბ ა: სამეფო კარის მწიგნობარი ქუმსი რევიშვილი. გ ა მ ო ც ე მ ა: ჟორდანი, 1897: გვ. 437 (მოკლე ანოტაცია).

ქ. შენევენითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, ლ(მრ)თივ-გუირგუინოსანმან, მეფეთ [მეფემან] ლ უ ა რ ს ა ბ , ვიგულედ და ვიგულსმოდგინეთ და შემოგწირეთ [პა]ტიოსანსა ლ(მრ)თივ-აღმართებულსა ს ვ ე ტ ს ა ც ხ ო ვ ე ლ ს ა , კვართ-სა [სამეფუფო]სა და მირონსა ქრისტესა: ლ ი ა ხ ვ ი ს პირს სოფელი ა რ ბ ო

მეფ[ობისა] ჩუენისა წარსამართებლად და სულისა ჩუენისა სახსრად დღესა მას [საშინელსა]. შეინირე მცირე ესე შესაწირავი თქვენ, პატიოსანო ლ(მრ) თივ-აღმართებულს ს ვ ე ტ ო ც ხ ო ვ ე ლ ო , კვართო საუფლო და მირო[ნო ქრ]ისტესო, და ნაცვალ-გვაგე მადლი და ფარვა თქვენ მიერი და [წარმა]რთე მეფობა ჩუენი.

5

ა რ ს ა რ ბ ო ს ჩუენგან შენირული: ბ [...]ი უ ლ ი პ ა პ უ ნ ა , კუამ-ლი ერთი, ბ ა ღ ნ ი ა შ ვ ი ლ ი მ ა ი ს ა , კუმლი ერთი, [...]ე ბ ე რ უ ა კუმ-ლი ერთი, ფ ი ჩ ხ ნ ა რ ა შ ვ ი ლ ი ი რ ე მ ა , კუმლი ერთი, მისი განაყოფი მ გ ე ლ ი ა კუმლი ერთი. ესეები მათის სამართლიანის საქმითა და სამძღვრი-თა, მთითა, ბარითა, წყალითა, წისქვილითა, შესავლითა და გამოსავლითა, 10 შენითა და ოკრითა, ყოვლის მისის სამჭმოთა თქვენთვის შემოგუინირავს. შეინირე პატიოსანო ლ(მრ)თივ-აღმართებულს ს ვ ე ტ ო ც ხ ო ვ ე ლ ო , კვართო საუფლო და მირონო ქრისტესო.

10

ა ნ ე , კიდევე საყდარი გ ე რ ი ს ა მ თ ა ვ ა რ მ ო წ ა მ ე და მისი შესავალი სოფელი ა რ ბ ო მისის შესავლითა. ესეები ყოველითურთ თქვენთვის 15 შემოგუინირავს ყოველთა მეფეთა და მეპატრონეთაგან მოუშლელად.

15

ა ნ ე , გიბ(რძანე)ბთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანნო და სხვა-ნო მოსაქმენო, ვინგიდა-ვინ იყვნეთ და ანუ დღ[ე]ის წალმა იქნებოდეს, მერმე თქვენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან შენირულს სიგელში ეწ-ეროს და თუნიერ თანადგომისა და შეწევისაგან კიდე.

20

დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს სშზ, მარტსა კბ, კელითა ჩუენის მწიგნობრის რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი ს ქ უ მ ს ი ს ი თ ა .

ხვეულად: ლუარსაბ

კომენტარი:

მეფე ლუარსაბი სვეტიცხოველს სწირავს გერის მთავარმოწამის (წმ. გიორგის) საყდარს მისი ყმა-მამულითურთ, რომელშიც მოიაზრება სოფ. არბო და იქ მოსახლე 5 კომლი გლეხი. საინტერესოა, რომ 1617 წლის საბუთით ნუგზარ არაგვის ერისთავი გერს და გერისთავს თავის მკვიდრ მამულებად მიიჩნევს, რომლებიც მეფეებს მისი ნების საწინააღმდეგოდ სვეტიცხოვლისთვის შეეწირათ. ამის გამო თვითნებურად დაუკავებია არბო და გენესმანი და მათ სანაცვლოდ სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს ქორდი 3 კომლი გლეხით (სეა 1449-1766; ჟორდანი, 1897: გვ. 441-442, კლდიაშვილი (შემდ.), 1993: გვ. 151).

**1609 წ. 24 სექტემბერი. მამულის წყალობის წიგნი
ლუარსაბ მეფისა ძალაქის ამირათ ამირა ბიორბი [სააკაპისაღმი]**

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd-2283; თეთრი ფერის ქაღალდი; ზომა: 40,5X29,4 სმ; ხელი მხედრული; შავი მეღანი; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი, ზოგან ორწერტილი და წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: მარცხენა კიდე ალაგ-ალაგ მოფლეთილი და შევსებული სარესტავრაციო ფურცლით, ზოგან ტექსტი დაზიანებული; რესტავრირებული; საბუთის ბოლოში, სარესტავრაციო ქაღალდზე გადმოტანილია მოგვიანო ხანის მინაწერები.

პ ი რ ი: ხეც; Hd-13954-ა.
თ ა რ ი ღ ი: ქორონიკონი სშზ (297) ენკენისთვის კლ (24), რაც გვაძლევს 1609 წლის 24 სექტემბერს.
საბუთის დ ა მ წ ე რ ი: მწიგნობარი ქუმსი რევიშვილი.

ქ. ნებიტა და შეწევნიტა ლ(მრ)თისათა, ჩვენ, ლ(მრ)თივ-გუირგუინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონი¹მან ლ უ ა რ ს ა ბ , ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინწყალეთ და გიბოძეთ² თქვენ, ჩვენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა, ქალაქის ამირათ ამირასა⁴ [ს ა ა კ ა ძ ე] ს ა პატრონსა გ ი ო რ - გ ი ს , ძმასა თქვენსა ქ ე ი ხ ო ს რ ო ს , თქვენსა შვილსა ა ვ თ ა ნ დ ი ლ ⁵ს და შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე, მას ჟამსა, ოდეს მწოგვიდეგით კარსა, მამულის წყალობას გუთაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვე⁷ნი და შეგინწყალეთ და გიბოძეთ მკვიდრად და სამამულედ ქ ვ ე შ ი ს კ ე ვ შ ი ნასოფლარი ყ ა ი ⁸შ ლ ა ღ ი მისის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა, მითთა, ბარითა, წყლითა, წისქვილით⁹ა, ველითა და ვენაკითა, საკნავითა, სათიბრითა. ყოვლის მისის სამჭმოთა თქვენთვის გვიბოძებია.

¹⁰ გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდგულად სამსახურშია.

ანე, გიბ¹¹რძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანნო და კარისა ჩვენისა მოსაქმენო, ვინ გინ¹²და ვინ იყვნეთ და ანუ დღეის წალმა იქნებოდეთ, მერმე თქვენც ასრე გაუთავე¹³თ, რარიგადაც ამა ჩვენგან ნაწყალობევს ფარვანაში ეწეროს, თვინიერ თანა¹⁴დგომისა და შეწევნისაგან კიდე.

დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს სშზ, ¹⁵ ენკენისთვისა კლ, კელითა კარისა ჩვენისა მწიგნობრისა რ ე ვ ი ს შ ვ ი ღ ი ს ქ უ ¹⁶მ ს ი ს ა თ ა .

ხელრთვა ხვეულად:
ლ უ ა რ ს ა ბ
ოვალური ბეჭედი სპარსული ლეგენდით.

გვიანდელი მინაწერები:
1. წამებულის ლ უ ა რ ს ა ბ მეფის წყალობის წიგნი.

- 2. წყალობის წიგნი (ლურჯი ფანქრით).
- 3. 24. IX. 1609 (წითელი ფანქრით).
- 4. XV-XVI (წითელი ფანქრით).

**1609 წ. წყალობის წიგნი ლუარსაბ მეფისა
თამაზ ბარათაშვილისაღმი**

პ ი რ ი: სეა, 1450-12/113. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1820 წელს.
თ ა რ ი ღ ი: ქორონიკონი სშზ (297), რაც გვაძლევს 1609 წელს.
საბუთის დ ა მ წ ე რ ი: სამეფო კარის მწიგნობარი: რევიშვილი ქუმსი.

ქ. ნებიტა და შეწევნიტა ლ(მრ)თისათა, ჩვენ, ლ(მრ)თივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონი¹მან ლ უ ა რ ს ა ბ , ეს[ე] წყალობის წიგნი და ნიშანი შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა, ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს ა პატრონსა თ ა მ ა ზ ს , შვილსა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდეგით კარსა და მამულის წყალობას გვიჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და შეგინწყალეთ და გიბოძეთ მკვიდრად და სამამულეთ ქ ვ ე შ ი ს კ ე ვ შ ი სოფელი კ რ კ ო ნ ი , რისაც ბატონიშვილი ვ ა ხ ტ ა ნ გ მქონებელი ყოფილიყოს. თქვენთუც გვიბოძებია მისის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა: მითთა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენაკითა, ყოვლის მისის ს[ა]სამჭმოთა თქვენთუც გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდგულად სამსახურში.
ანე, გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანნო და სხვანო მოსაქმენო, ვინგინდა-ვინ იყვნეთ და ანუ დღეის წალმა იქნებოდეთ, მერმე თქვენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩვენგან ნაწყალობევს ფარვანაში ეწეროს, თვინიერ თანადგომისა და შეწევნისაგან.

დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს სშზ, კელითა კარისა ჩვენისა მწოგნობრისა რ ე ვ ი ს შ ვ ი ღ ი ს ქ უ მ ს ი ს ა თ ა .

ხვეულად: ლ უ ა რ ს ა ბ

კომენტარი:
ვახტანგ ბატონიშვილი იყო ქართლის მეფის სიმონ I-ის ძმა. ის და მისი მეუღლე თინათინი (გვარი უცნობია), უმემკვიდრეოდ გადაგებულან. ვახტანგის ნაქონი ყმა-მამული მეფეებს ქართლის თავადებისა და აზნაურებისთვის გაუნაწილებიათ. ლუარსაბმა მისი ნაქონი სოფ. ნაბახტევი უწყალობა გიორგი სააკაძეს (Hd-13179), აღნიშნული საბუთით კრკონი თამაზ ბარათაშვილს უბოძა, შემდგომში როსტომმა მისი ნაყმევი აზნაური

**1610 წ. 14 აპრილი. წყალობის წიგნი
ლუარსაბ მემურა კორინთელისადმი**

პირი: სეა, 1450-26/274. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის სარეგისტრაციო დავთარში 1820 წელს.

თარიღი: ქორონიკონი სქშ (298), აპრილის 14, რაც გვაძლევს 1610 წლის 14 აპრილს.

ქ. შენენითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, ღ(მრ)თივ-გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან ლუარსაბ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ ჩვენსა ერდგულსა და [თა]ვდადებით ნამსახურსა ყმასა, კორინთელსა მამუკასა, შენსა შვილსა რევაზასა, იოთამს.

5 მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და მამულის წყალობას გვიჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, და შეგინყალეთ და გიბოძეთ შენის განაყოფის გიორგის მამული უშვილოს კერძი ირტოზასა, ალევს და ქურთისხევს, რისაც მქონებელი ყოფილიყოს, სრულობით შენთვის გვიბოძებია, მათის სამართლიანის სამძღვრითა და საქმითა, მითთა, ბარიითა, 10 წყლითა, ნისქვილითა, ველითა, ვენახითა, ყოვლის მისის სამჭმოთა. გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან ჩვენსა ერდგულათ სამსახურშია.

ანე, გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანნო და სხვანო მოსაქმენო, ვინგინდა-ვინ იყვნეთ, და ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ, თქვენც ასრე გაუთავეთ, რარიგათაც ამა ჩვენგან ნაწყალობევს ფარვანაში ეწეროს.

15 დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს სქშ, აპრილისა 14, ხელითა კარისა ჩვენისა მწიგნობრის რევის შვილის ქუმისისათა.

ხელრთვა: ლუარსაბ

კომენტარი:
საბუთში ასახულია საგვარეულო მამულების გადაწვევის წესი, რომელიც გულისხმობდა უახლოეს ნათესავთა უპირატესობას საგვარეულოს უმემკვიდრეო წევრის გარდაცვალების შემთხვევაში.

**1609 წ. წყალობის წიგნი ლუარსაბ მემურა სანაინის
პისკოპოს ტიერ-ჟუბაზა არღუთაშვილისადმი**

პირი: სეა, 1450-28/2. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის სარეგისტრაციო დავთარში 1821 წელს.

თარიღი: ქორონიკონი სქშ (297), რაც გვაძლევს 1609 წელს.

საბუთის დამწერი: სამეფო კარის მდივან-მწიგნობარი ნასრ თუმანიშვილი.

ქ. ნებითა და შენენითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, ღ(მრ)თივ-გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან ლუარსაბ, ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერთგულსა ყმასა არღუთაშვილს, სანაპ[ი]ნის ეპისკოპოსსა ტიერ-ყუგაზასა და ძმასა შენსა კუმუდასა, მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და მამულისა წყალობასა დაგუეაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგინყალეთ და გიბოძეთ სომხ-ითს შიხროზანას სოფელი და ნაოხარი, ირისკ[ო]პოზის ნასოფლარი მათის სამართლიანის სამძღვრითა და საქმითა: მითთა, ბარიითა, შესავლითა და გამოსავლითა, ყოვლითურ თქუენთვის გვიბოძებია. გქონდეს 10 და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შიგა.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, ვინ გინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე თქუენცა ასრე გაუთავეთ, რარიგათაც ამ ჩუენგან ნაწყალობევს სიგელში ეწეროს, ნურცა-რას თქუენ შეუშლით და შე[ე]ცილებით, თუნიერ თანადგომისა და შენენისაგან კიდე. 15

დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს სქშ, ხელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრის თუმანის შვილის ნასრისითა.

ხელრთვა: ლუარსაბ

კომენტარი:
სანაინის მონასტერი სომხეთში მდებარეობს. იგი დაარსდა X ს.-ის 60-იან წლებში, 979 წელს საეპისკოპოსო კათედრალურ ცენტრად იქცა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, სანაინი და ახპატი ქართველ მეფეთა მიერ არის აშენებული. “გარნა აწ სხედან სომეხნი, არამედ მეფე ქართლისა დასუამს ეპისკოპოსსა მიწერთა ოქივარტერისათა, ვინადთგან რაედენნი სომეხნი ქართლს მსახლობელი არიან, სამწყსონი მისნი არიან“. (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: გვ. 308). იქვე სქოლიოში მითითებულია, რომ მ. ბროსეს აზრით, “ოქივარტერის“ ნაცვალდ უნდა იკითხებოდეს “ოქე-ვორტერ“, რაც მომდინარეობს სომხური “პოგევიორ ტერიდან“ და ნიშნავს სულიერ მამას (იქვე, გვ. 308, სქ. 3). სანაინის მონასტერი ქართველ მეფეთა მზურნველობით სარგებლობდა, ხოლო საეკლესიო საკითხებში

სომეხთა კათალიკოსს ექვემდებარებოდა ქართველი მეფეები სანაინს შემდგომაც უწყალობებენ შესაწირს. ქვემო ქართლის ნასოფლარში, რომელსაც ფეშქიანდს (კატის სოფელი) უწოდებენ, აღმოჩენილია ეკლესიის წარწერა, რომლის თანახმადაც ეს სოფელი როსტომს 1638 წლამდე შეუწირავს სანაინის ღვთისმშობლისთვის (მუსხელიშვილი, 2014: გვ. 194; ბერძენიშვილი, 2014: გვ. 323).

სოფ. ირისკოპოზი სანაინის კუთვნილებაშია XVII საუკუნის II ნახევარშიც. ვახტანგ V შაჰნავაზი მის წყალობას უახლებს სანაინის ეპისკოპოსს ტერ-სარქის არღუთაშვილს (ფუთურიძე, 1955: გვ. 293-294).

რაც შეეხება სოფ. შიხობანას, იგი XVI საუკუნის II ნახევარში ნასოფლარი ყოფილა. ქართლის მეფეებს ლუარსაბ I-სა და სიმონ I-ს იგი წყალობად მიუციათ ღორედან სომხითში გადასახლებული ეჯიბიშვილისთვის, რომელსაც იგი აუშენებია და სამკვიდროდ გაუხდია. ჩანს, უკვე მოშენებულ სოფელს ან მის ნაწილს აძლევს ლუარსაბ II აღნიშნული საბუთით სანაინის ეპისკოპოსს. 1651 წელს სოფ. შიხობანას მეფე როსტომი უწყალობებს დონდარა ეჯიბიშვილს (ფუთურიძე, 1955: გვ. 224-226). როგორც ჩანს, მისი ადრინდელი მფლობელის შთამომავალს.

1610 წ. 12 მაისი. წყალობის წიგნი ლუარსაბ მეფისა ბოქაშულთუხუცესს დავით [დავითიშვილისაღმ]

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Sd-555; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 28,2X20,6 სმ. შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთის მარცხენა და მარჯვენა კიდეების ზედა ნაწილიდან მოხეულია ქაღალდის მცირე ზომის ფრაგმენტები, რის გამოც მთლიანად ან ნაწილობრივ არის დაკარგული რამდენიმე გრაფემა; რესტავრირებული.

თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი სჰშ (298), მაისის 0ბ (12), რაც გვაძლევს 1610 წლის 12 მაისს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი: მწიგნობარი ქუმსი რევიშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა: თაყაიშვილი, 1909: №128, გვ. 158.

[ქ.] ნებითა და შეწვევითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, ღთიე-გუირგუინოსანმან მე[ფე]თ [მე]წმებან, პატრონმა ლ უ ა რ ს ა ბ , ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალებთ და გიბოძებთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით ნამს[ა]ხურსა ყმასა, ბოქაულთუხუცეს[ს]ა პატრონსა და ვ ი თ ს , თქვენსა შწვილსა კ ო ს ტ ა ნ ტ ი ლ ე ს , ე ლ ი ზ ბ ა რ ს ა და შ ი ო შ , მას ჟამსა,

ოდეს მოგუიდეგით კარსა და მამულის წყალობას გვეაჯენით.

ვისმინეთ აჯა I⁶ და მოხსენება თქვენი და შეგიწყალებთ და გიბოძებთ გ ო რ ს ე ხ თ ი ე რ I⁷ ა შ ვ ი ლ ი (?) ს ო ლ ა ლ ა და ა ვ რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი , მათის სამართლიანის მამუშლითა და სამძღვრითა, რისაც მქონებელნი იყვნენ, სრულობით თქუენთვის გუიბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მან) ჩუენსა ერI¹⁰დგულ[ა]დ სამსახურშია.

ანე, გიბრძანებთ, კარისა ჩუენისა ვექI¹¹ილ-ვეზირნო, მდივანნო და სხვა-ნო მოსაქმენო, ვინ გინდა-ვინ იყვნეთ და ანI¹²უ ვინ გინდა-ვინ იქნებოდეთ, და გ ო რ ი ს მოურაო და მამასახლისო, I¹³ თქვენც ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ნაწყალობევს I¹⁴ ფარვანაში ენეროს. ნურც-რას თქვენ შეუშლით და შეე[ქ]ცილებით, თვინიერ თანადგომისა და შეწვევისაგან კიდე.

დაინექI¹⁵რა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა სჰშ (1610 წ.), მაისსა ი გ (13), კელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრისა რ ე ვ ი შ უ ი ლ ი ს ქ უ მ ს ი ს ა თ ა .

ხელრთვა ხვეულად: ლ[უ] ა[რ] ს[ა]ბ

ტექსტის ბოლოს, მეფე ლუარსაბის ხელრთვის წინ დასმულია ნუშისებური ფორმის ბეჭედი სპარსული ლეგენდით.

კომენტარისათვის დავითიშვილების შესახებ: იხ. აქვე, საბუთი Hd-10243 ბ.

1610 წ. წყალობის წიგნი ზეგეგე კათალიკოსისა სვამიციხოვლის ჯვრისმტვირთველ დავით ელიოზისამ-გეგეგეწიგნისაღმ

პირი, სეა, 1450-38/180. დედანი წარუდგენიან სარეგისტრაციოდ 1817 წლის 12 აპრილს რუსული მმართველობის რეგისტრაციაში. გაუტარებიათ 1825 წლის 14 ნოემბერს, ნომრით: №244.

საბუთს უზის თ ა რ ი დ ი: სჰშ (298), რაც გვაძლევს 1610 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი: ორბელიშვილი ქრისტეფორე.

სახელითა სახიერის[ა], არსებ(ა) დაუსაბამოს[ა] ღმრთისა, მამისა, ძისა, სულისა წმინდისათა; მეოხებითა ყ(ოვლა)დ წმიდისა, ყოვლად უხრწ[ნელისა], ყ(ოვლა)დ ბინ-შეუხებელისათა დედოფლისა ჩვენისა [ღმრ]თისმშობელისა და მარადის ქალწულისა მ ა რ ი [ა მ ი ს ა] თ ა ; პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისათა; ოხითა შეწვევითა, წმიდისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე (ლ ი) ს ა ი ო ვ ა ნ ე ს ი - თ ა , და თანამეტომისა მისისა და სეხნის მობაძავისა ი (ო ა ნ) ე ლ (მ რ) თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ი ს ა თ ა ; მინდობითა და შუამდგომლობითა წმინდათა თავთა მოციქულთა, პ ე ტ რ ე ს ი თ ა და პ ა ვ ლ ე ს ი თ ა , და ყოველთავე ათორმეტთა მოციქულთა; თანამოქმედებითა მდგომარეობითა

5

10

წმინდისა და ზეშთა არსისა, ცათა მობაძავისა კათოლიკე ეკლესიისა და მას ზედა შინა მღრთივ-ალმართებულის სვეტიისა ცხოველისა, კვართისა საუფლოსა და მირონისა ღ(მერ)თ-მყოფელისათა. ამათ ყოველთა წმინდათა თავსმდებობითა, მინდობითა და შუა მდგომლობითა, ეს უკუნისამდე 5 ჟამთა გასათავებელი წიგნი და სიგელი გიბოძეთ ჩვენ, ქრისტეს ღ(მრ)თისა მიერ კურთხეულმა, ყოვლისა აღმოსავლისა და ჩრდილოსა დიდმან მამათ-მთავარმან, კა(თალიკო)ზმა პატრონმა ზებედე, შეგინყალეთ და გიბოძეთ კითხვითა და ნებადართულობითა ღთივ-ქვერგვინოსნის მეფეთ-მეფისა ლუარსაბისათა.

10 მოგეცათ და გიბოძეთ დიდისა და ცათა მობაძავისა კათოლიკე ეკლესიისა ჯვარისმტვირთველისა ელიოზისძეთა-გედეონისშვილთა: დავითს, როსებს, ქაიხოსროს, ძმათ(ა) და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე.

და შეგინყალეთ და გიბოძეთ ერედვს გილაშვილი გიორგი, 15 დათუა მისის მამულითა, ყოვლითურთ უნაკლოდ: მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, სახლითა, კარითა, ქვევრით, მარნითა ყოვლითურთ უნაკლულად; კიდევ მოგიბოძეთ სათივარი მისის მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, შესათიბითა, ყოვლითურთ უნაკლულად. სალარაშვილი დათუა, პაპუა, ლომაური და- 20 თუა, კიდევ ლომაური ბერუა, ჯერკვალიშვილი ვეფხი და მახარებლისძე მალრიბა მისითა მამულითა.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმა საყდრისა და ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შიგა, შენ, ჯვარისმტირთველსა დავითს და როსებს, 25 ქაიხოსროს. თუ ვისმე სიგე(ლი) ჰქონდეს, სიგლითა ამით გაგვიცუდებია. მტკიცე ესე ოდენ არი.

არა შეგეცვალოს და არა მოგეშალოს ჩვენგან და არა შემდგომად ჩვენსა სჯულისაგან კათალიკოზთაგან. ამ(ი)ს [დამა]მ(ტ)კ(ი)ცებელი ღ(მერ)თ(მა) 30 ნაკურთხოს, ღ(მერ)თმან და წმინდამან ღ(მრ)თისმშობელმან და კათოლიკე საყდარმან. ვინც ჩვენი [დამტკიც]ებული სიგელი შეგ(ი)ცვალოს, იცვალებ-ის სჯულისაგან ქრისტიან(ე)თ(ა)სა, [შე-მცა-]ედების კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, დანთქმა დათან და აბირონისი, ძრწოლა კ(ა)ენისი, მესტეხილობა დიოსკორესი, იშალოს წმიდათამცა მამა- 35 თა კანო(ნ)სა ქვეშე არის.

დაინერა სიგელი და ბრძანება ესე სქმ, ხელითა ორბე[ლ]იშვილი[ლი] სქრისტეფო[რ]ე[ს]ით[ა].

მინაწერი: ასლთან თანასწორ არს, სოვეტნიკი თ(ავად)ი თარხანოვი.

რუსული სარეგისტრაციო ჩანაწერი: ასლი, სიგელი მივიღეთ ერ(ა)სტიმცა, სოუტნიკი გედეონისი.

კომენტარი:

ელიოზისძე-გედეონისშვილები – ელიოზისძეთა განაყოფი საგვარეულო,

18ველითა] ეკლითა ნსხ. 21 მახარებლის] მახაჯარაბლის ნსხ. 34 ორბევიშვილის ნსხ.

ზოგჯერ იხსენიებიან ორმაგი გვარსახელით. ისინი ეკუთვნოდნენ მცხეთიშვილთა წრეს და მემკვიდრეობით ფლობდნენ მაღალ თანამდებობებს კათალიკოსის კარზე (იხ. აქვე, საბუთი Sd-527).

1610 წ. წყალობის წიგნი თეიმურაზ მეფისა ლუარსაზ მამაშვილისადმი

დედანი: ხეც, Ad-530; მოყვითალო ქაღალდი; ზომა: 20,7X14,7 სმ.; შავი მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთი დაკრულია სარესტავრაციო ფურცელზე. გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1824 წლის 16 ოქტომბერს. თარიღი: ქორონიკონი სქმ (298), 1610 წელი. გამოცემა: ბერძენიშვილი 1940: N509, გვ.363.

ქ. ჩუენ მეფეთ-მეფემან, კელმნიფემან პატრონმან თეიმურაზ და ძეთა ჩუენტა საყუარელთა, პატრონმან ლ³ევან და პატრონმან ალექსანდრე, ესე წყალობისა წიგნი I⁴ და სიგელი გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერთგულსა და ერთგულად ნამსახურსა ყმას მამაშვილს ლუარსაბს, შვილთა და I⁵ მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე. მას ჟამსა ოდ⁷ესცა კელმნიფეს მ[ა]მას ჩუენს თიანელი ზამთარაული ლომ- 8 იტა I⁸ და გიორგი თქუენტუის ებოძათ და წყალობა ექნათ და ახლად I⁹ ჩუენც თქუენტუისვე სიგლითა ამით დაგუიმტკიცებია I¹⁰ და გუიბოძებია თიანელი ზამთარაული ლომიტა და გიორგი და I¹¹ მათნი შვილნი ყოვლის კაცისაგან კელშეუალად და მოუ¹²სარჩლელად. და არა მოგეშალოს არა ჩუენგან და არცა სხუა¹³თა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე, [გ]ქონდესთ და გიბედნიერ¹⁴ოს ღ(მერ)თმან ჩუენსა ერთგულსა სამსახურსა შიგან.

დაინერა¹⁵ წიგნი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს სქმ.

ხელრთვა: თეიმურაზ

მინაწერები:

verso-ზე გვიანდელი სხვადასხვა ხელით:

1. ფურცლის დასაწყისში ჩანს გრაფემების ქვედა ნაწილი, ტექსტი არ ირჩევა
2. ქ. მეფე ალექსანდრე
3. ჩაინერა იზ, 59 კნილაში, 115 ნომერი.
4. ქ. ზამთარაულეების წყალობის წიგნი.
5. №48, წყალობა თეიმურაზისა (თავშექცევით)

კომენტარი:

1. ლევანი და ალექსანდრე თეიმურაზის შვილები არიან, რომლებიც შეეძინა ანა გურიელის ასულისაგან (ქორწინების წელია 1607 წ.)
2. ლუარსაბ მაყაშვილი ხშირად ჩნდება თეიმურაზის ადრინდელ საბუთებში. ამჯერად თეიმურაზი მას უახლებს იმ ყმების წყალობას, რომლებიც ლუარსაბისათვის ჯერ კიდევ მის მამას, კახეთის მეფე დავითს უბოძებია.

[1610-იანი წლები]. წყალობის წიგნი მეფე თეიმურაზისა მეჯინეებთუხუცეს ლუარსაბისადმი

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Ad-513; მოყვითალო ქაღალდი; 10,0X14,7 სმ.; შავი მეღანე; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: გახეულია გადაკეცვის შედეგად.

თ ა რ ი დ ი: საბუთი უთარილოა. იგი თარიღდება თეიმურაზ მეფის მიერ ლუარსაბ მაყაშვილისათვის ბოძებული თარიღიანი საბუთების მიხედვით.

[ქ.] ჩუენ მაგიერად მეჯინებეთუხუცეს ლუარსაბს ასრე ლ² მოახსენეთ: მერმე თოღას, რაც იოსაფათის სამოურავ¹ო იყო, ისი და უზუქანთის მოურავობა შენ¹ათუის გუბობებია. მოუდეგ ძალსა და უსამართლო¹ს ნურავის აქნევინებ და ჩუენი სამსახური რიგიანდ ლ¹ აქნევინეთ, ზენარ უსამართლოს საქმეში ნურცა რასში შენ გ¹აერევი.

ხელრთვა: თქ იმ უ რ ა ზ

მინაწერები:

verso-ზე: №10. წიგნი მეფე თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს ა.

კომენტარები:

1. ლუარსაბ მეჯინებეთუხუცესი იგივე ლუარსაბ მაყაშვილია, რომელიც ამავე საბუთით დამატებით უზუქანთის მოურავობასაც იღებს. ეს თანამდებობა მიუღია 1610 წლის შემდგომ.
2. მოურავი - კომენტარისათვის იხ. აქვე, საბუთი Hd-13052.

1611 წ. 3 აპრილი. წყალობის წიგნი ლუარსაბ მეფისა ლარაბე მათარსისადმი

პ ი რ ი: ხეა, 1450-10/120. საბუთი შეუტანიათ რუსული მმართველობის კანცელარიაში 1817 წლის 12 აპრილს. რეგისტრაციაში გატარებულია 1820 წლის 23 იანვარს ნომრით №119.

თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი სქო (299) აპრილის ბ, რაც გვაძლევს 1611 წლის 3 აპრილს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი: მწიგნობარი ნასრ თუმანიშვილი.

ნებითა და შეწევნითა ლ(მრ)თისათა, ჩვენ, ლ(მრ)თივ-გვირგვინოსანმან, მეფეთ-მეფემან პატრონმან ლუარსაბ, და დედამან ჩვენმან, დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან თამარ, ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერდგულთა ყმათა, ლარაბეს მათარსის, შვილთა: შერმაზანს, ბიძინასა და ზენბადს, მას ჟამსა, ოდეს მოგუდეგით კარსა და მამულისა წყალობას დაგუაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგინწყალეთ და გიბოძეთ საბარათა შვილოში წინვენახი, რისაც მქონებელი ბატონისშვილი ალექსანდრე მქონებელი ყოფილიყოს, მისითა სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა: მთითა, ბართა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, შესავლითა და გამოსავლითა, სამკვიდროდ და სამამულედ თქვენთვის და თქვენთ შვილთათვის გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თმან ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შიგა.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვაზირნო, მდივანო და სხვანო მოსაქმენო, ვინ გინდა-ვინ იყვნეთ და ნუ ვინგინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე თქვენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადცა ამ ჩვენგან ნაწყალობეს სიგელში ეწეროს, ნურცარას თქვენ შეუშლით და შექცილებით, თუქნიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე.

დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს სქო, აპრილის ბ, კელითა კარისა ჩვენის მწიგნობრისა თუმანიშვილის ნასრისითა.

ბეჭდების ადგილი: ლუარსაბ, თამარ

მინაწერები პირზე: ასლიდამ არის ჩანერილი. სოვეტნიკი თ(ავად)ი დ ი მ - ი ტ რ ი თ ა რ ხ ა ნ ო ვ ი.

სოვეტნიკი თ(ავადი) თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი.

ამისი ასლი დოკუმენტი მივიღე. კეთილშობილი იოსებ ლარაბე.

კომენტარი:

ბატონიშვილი ალექსანდრე უნდა იყოს მეფე ლუარსაბ I-ის ძე, შემონახვებული არსენის სახელით. საბუთის გაცემის დროისთვის იგი

უკვე აღკვეცილი ყოფილა, რადგან უმემკვიდრეოდ დარჩენილი ჩანს და საბარათიანოში არსებულ მის კუთვნილ მამულებს მეფე წყალობად აძლევს მათარსი ღარაძეს.

1611 წ. ყმა-მამულის წყალობის წიგნი ლუარსაბ მეფისა ზაალ ხოსიაშვილისადმი

დედანი: ხეც, Sd-61; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 28X18,6 სმ. შავი ფერის მეღანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ერთწერტილი ან ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: საბუთი ზოგიერთ ადგილზე ამოხეულია და შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თარიღი: ქორონიკონი სჰო (299), რაც გვაძლევს 1611 წელს. საბუთის დამწერი: მწიგნობარი ქუმსი რევიშვილი.

[ქ. ნებითა და შენევნითა ლ(მრ)თისათა], ჩუენ, ლ(მრ)თივ-გუირ[გუინოსანმან მეფეთ] |² მეფემან პატრონმან ლუარსაბ და დედამან [ჩუენმან, დედოფა]|³ ლთ-დედოფალმან პატრონმან თამარ, ესე წყალობისა წიგნი და წი⁴იშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა [და] |⁵ თავდადებით ნამსახურსა ყმასა ხოსი⁶ა შუილსა ზა⁷ალს, შუილსა⁸ და მამავალსა სახლისა შენისათა, ყოველთავე, მას ჟამსა, |⁷ ოდეს მოგუიდეგით კარსა და მამულის წყალობას გუია⁹ჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და შეგიწყალეთ |⁹ და გიბოძეთ შენივ მკვიდრი მამული კვედურეთს – დვალ¹⁰ი უილი ნადირაი და მისი ძმა პა¹¹ატი მათის სამართლია¹¹ნის მამულითა, რისაც მქონებელი ყოფილიყოს: წყლითა, |¹² წისქულითა, ველითა, ვენაკითა, ნასყიდითა, უსყიდითა, [შენი]¹³თა და ოკრითა.

გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მან) ჩუენსა [ე]¹⁴რდგულად სამსახურშია.

ანე, გ(ი)ბ(რძანებ)თ კარისა ჩუენისა ვექილ¹⁵-ვეზირნო, მდივანნო და სხვანო მოსაქმენო, ვინგინდა-უინ იყ¹⁶ვნეთ და ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ, თქუენც ასრე¹⁷ გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ნანყალობევს ფარვანა¹⁸ში ეწეროს.

დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა სჰო¹⁹, კელითა კარისა ჩუენისა მწიგნობარისა რევიშვილი²⁰ს ქუმსისათა.

ხელრთვები ხვეულად: ლუარსაბ, თამარ, ბაგრატ, სვიმონ დიდი და პატარა ზომის ორი სპარსული ბეჭედი.

გვიანდელი მინაწერი: ქ. ხეცდურეთის კომბლუელი წყალობის წიგნი და ველებისა.

1611 წ. შუაღრულების წიგნი დედოფალ თამარისა ბოლნისის ტაპრისადმი

პირი: სეა, 1449-2639; თავში აქვს ფანქრით მიწერილი დედნის მონაცემები: ბოლნისის სიგელი №17. დაწერილი ღამაზი ხელით ქაღალდზე, ზომით: 42,5X15 სმ. მიცემულია 1611 წ. თამარ დედოფლის მიერ.

თარიღი: ქორონიკონი სჰო (299), რაც გვაძლევს 1611 წელს. საბუთის დამწერი: კარის მწიგნობარი მარგუელისშვილი ღაზარე. გამოცემა: კაკაბაძე, 1913: IV, გვ. 6-8.

რომელი იყო პირველითგან, არს და იყოს, რომლისა მიერ შეიქმნეს ყოველნი საუკუნენი და არსნი, ხილულნი და უხილავნი, და უპყრიან ყოველნივე ბრჭალითა მკლავსა მის ძლიერებისათა. ამან გარეშეუწერელმან შეგ[უ]მზადა ცად სულიერად და ტაძრად წმიდად, სავანედ თავისა თუისისა, და გიხაროდენტა მიერ ზეგარდამოთა დაემკუიდრა შენ შორის. და იშვა შენგან სული- 5
სა მიერ წმიდისა ძე ლ(მრ)თისა ერთი სამებისაგანი კორცთა შესხმით, ლ(მერ)თი სწორი მამისა, ბუნებით ერთარსებისა, ერთუფლებისა, ერთზრახვისა და ერთმოქმედებისა, რომელი არაოდეს დააკლდა ცათა შინა ყოფასა და განკაცნა, და წესი ყოველი ლ(მრ)თისა და კაცობრივი მრჩობლი აღასრულა, და უკანასკნელ კსნისათუის ჩუენისა ჯუარს ეცვა, დაეფლა და აღდგა მესამესა 10
დღესა მოსწავებისაებრ წმიდათა წ(ინას)წ(არმეტ)ყუელთასა. ხოლო აქა დაგუიტევნა შემდგომად ამალლებისა ზეცად და დაჯდომისა მარჯუენით მამისა, ჯუარი ცხოველსმყოფელი, ქადაგნი წმიდანი მოციქულნი, მღდელთმოძღუარნი, მოწამენი, ქალწულნი, მესუეტენი, მეუდაბნოენი და მამანი ღირსნი, რომელთა მიერ ვისწავეთ ჩუენ წარმართთა თაყუანისცემა ლ(მრ)თისა. 15

ეჭა, ადამ დაცემულისა აღმართებო და ევას მწუხარებისა სიხარულად შეცვალებო, ტომობით ასულო ადამისო და მადლითა დედაო ლ(მრ)თისაო, ესე მტკიცე და ქცევა-გამოცულილებასა შიგან ჟამთასა უქცეველი და უცვალებელი წიგნი და სიგელი გკადრეთ და მოგახსენეთ ბოლნისს თქუენ, წმიდათა უწმიდესსა წმიდასა დედოფალსა სიონთა ლ(მრ)თისმშობელსა, 20
ეპისკოპოზობასა ბოლნელისსა, პატრონისა საბასსა.

ჩუენ, მსასოებელმან თქუენგან და მინდობილმან ცვა-ფარვათა თქუენთაგან, ძისა შენისა და ლ(მრ)თისა ჩუენისა მიერ გუირგუინოსანმან, და შენ მიერ დედოფალთა-დედოფალმან, პატრონმან თამარ, ვიგულეთ და შემოგწირეთ ბოლნისს კუამლი კაცი ერთი – ვართანა და მისნი 25
შვილნი – ბოლნისს, რისაც მამულისა მქონებელი იყოს: სასახლითა, ვენაკითა, წყლითა, მიწითა და ყოვლის მისის შესავალ-გასავლითა, ცოდვათა ჩუენთა შესანდობრად და ძისა ჩუენისა, პატრონისა მეფის ლუარსაბის სადღეგრძელოდ და მეფობისა მათისა წარსამართებლად, ასრე კელმოსნით, რომე არა ეთხოებოდეს საჩუენო მუშაობა და გამოსაღები: არა ღალა და 30
კულუხი, არა კარი, არა გუთანნი, არა ბაშმალი და არასთანა არა, ერთის თქუენის სამსახურისაგან კიდე, ამა წესითა, რომე წელიწადსა შიგან ერთსა

დღესა დღესასწაულსა ზეცად მიცვალებისა შენისასა, მ ა რ ი ა მ ო ბ ი ს ა , ეპისკოპოსი თქუენი, ბატონი ბოლნელი, სამუდამოდ, ვინ გინდა-ვინ იყოს და ანუ ვინგინდა-ვინ იქნებოდეს, ჩუენისა სულისათუის ჟამსა სწირვედეს. და მისთანა ერთსა მღდელსა და ერთსა მთავარდიაკონსა აწირვინებდეს და კა-
5 რისა მისისა კრებულსა დასხემდეს. და თუ ვინმე გლახაკი და დავრდომილი შემოესწრას, მათ მოუწოდდეს და ჩუენთუის ალაპსა გარდაიკდიდეს. და არას წლის მარიამობასა, ამა სასულიეროსა ალაპსა არა დაგუაკლებდენ.

ჰე, წ(მი)დაო დედოფალო, ლ(მრ)თისმშობელო, ქრისტიანეთა სიქადულო, დაცემულთა აღმმართველო, სარწმუნოებით მდგომარეთა განმამტკიცებე-
10 ლო, სასოებით შენდა მოლტოლვილთა მსწრაფლ მეოხო, რომელმან დაკსენ შეცოდება იგი პირველი და გზა გუექმენ აღმყუანებელი ზეცად, და დამაგენ ჩუენ ურჩნი და განდგომილნი ლ(მრ)თ(ი)სა, შეინირე მცირე ესე შესანიწავი. და გარნა სასოებით შენირული და მცირისა წილ შესანიწავისა ამის მოგუა-
15 ტეუ მოწყალეობა მრავალ მოწყალისა ძისა შენისა. და მოგუანიჭე უხუად მე-
ოხება შენი და აღმრაცხე მარჯუენით ცხოვართა მათ პირმეტყუელთა თანა, დღესა მას დიდებით მოსლვისა მისისასა, განსჯად ცხოველთა და მკუდართა, ოდეს იგი მიაგებდეს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ, რამეთუ მისი არს დიდება და სიმტკიცე თანა მამისა და სულისა წ(მი)დისა, აწ და მარადის და უკ(უნი)თი უკუ(ნისამდე), ა(მი)ნ.*

ანე, ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან კელყოს მოშლად და ქცევად ამის-
ად და გამოწირვად, და გამოგწიროს და [ა]ნუ ესე ჩუენი წირვა და ალაპი მო-
გუიშალოს დიდმან ანუ მცირემან მეპატრონემან, ანუ რისაცა კელისუფალმან, გინა სამღდელთა და საეკლესიოთა დასთაგანმან ვინმე, და ესე ასრე არა გაათავოს ვითა ჩუენ, სასოებით შემოგუიწირავს და განგუიწესებეს
25 სასულიერო წირვა და ალაპი, რისხავსმცა დაუსაბამო და დაუსრულებელი ლ(მერ)თი, მამა, ძე და სული წ(მი)და და ყოველნი წმიდანი ლ(მრ)თისანი ზე-
ცისანი და ქუეყანისანი, კორციელნი და უკორცონი, და შენ, წმიდა დედოფა-
ლი ლ(მრ)თისა მშობელი. და ნურათამცა სინანულითა ნუ იქნების კსნა სული-
სა მისისა. და ჩუენთამცა ცოდვათათუის იგი განიკითხუის დღესა მას დიდსა
30 განკითხუისასა. დამამტკიცებელნი ლ(მერ)თ(მა)ნ აკურთხენეს და წ(მი)დამან ლ(მრ)თის მშობელმან.

დაინერა მტკიცე სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა, სჰო), კელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრისა მ ა რ გ უ ე ლ ი ს შ ვ ი ლ ი ს ა ლ ა ზ ა რ ე ს ი თ ა .

ხელრთვები ხვეულად: თ ა მ ა რ , დ უ ა რ ს ა ბ
35 უზის ორი ბეჭედი სპარსული წარწერით.

თანადროული მინაწერი:

დაგუიდებია შეკუეთით მებაღის ვ ა რ თ ა ნ ა ს ა თ უ ი ს ცხუარი ორი, ხუთის კოდის ნამცხუარი პური, ლუინო, კოკა შუიდი, თევზი, ლიტრა ორი სანთელი, ნახევარჩარექი, საკმელი ერთი ქსანი. ბ ო ლ ნ ე ლ ი ს ს ა ნ ი რ ა ვ ა დ ფლური ერთი, მღდელისათუის შაური ორი, მთავარდიაკონსა შაური ერთი,

* უკ(უნი)თი უკუ(ნისამდე), ა(მი)ნ - ჩაწერილია ნუსხურად.

ამას მარიამობას დღესა ბ ო ლ ნ ი ს ს ა ლ(მრ)თისმშობლის ტაძარს მიიღებ-
დეს, ბოლნელს ერთის მღდელითა და ერთის მთავარდიაკუნით ჟამს აწირ-
ვინებდეს და სულისა ჩუენისათუის ალაპსა გარდაიკდიდეს. სხუა არა სა-
ტარულო, არა სამელიქო, არა სახოჯაო, არა საჯინიბო და საბაზიერო არა
ეთხოვებოდეს-რა და არა საჩუენო, ვითა ზემო წიგნშიგა სწერია, სამს დღეს
კუნასა, სამს მკასა, სამს ლენვასა და სამს ბარვასა, ბ ო ლ ნ ე ლ ი ს ა თ უ ი ს
იმუშავებდეს.

ხელრთვა ხვეულად: თ ა მ ა რ

კომენტარი:

საბუთის ავტორი დედოფალი თამარი არის გიორგი X-ის თანამეცხედრე, ქართლის დედოფალი. იხ. გვ. 354

1611 წ. წყალობის წიგნი დედოფალ თამარისა გულჩარაბაჯისადმი

დ ე დ ა ნ ი: სეა, 1448-8760; მუქი ყავისფერი ქაღალდის გრაგნილი, ზომა: 44,7X20,2 სმ. შავი ფერის მეღანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორ-
წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: კიდევები დაზიანებული, შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. ტექსტი არის სრულყოფილად შემორჩენილი.

თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი სჰო) (299), რაც უდრის 1611 წელს.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლ(მრ)თისათა, ესე წყალობისა წიგნი და სიგქელი შეგინწყალეთ და გიბოძეთ კითხუითა, ბრძანებითა და³ ნებადართუითა ძისა ჩუენისა, მეფეთ-მეფისა, პატრონისა ლ უ ა რ |⁴ ს ა ბ ი ს ი თ ა , ჩუენ, დედო-
ფალთა-დედოფალმან პატრონმან თ ა მ ა რ , ესე⁵ უკუნისამდე ჟამთა გასა-
თავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შ⁶ეგინწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა და თავდადებ⁷ით ნამსახურსა გ უ ლ ჩ ა რ ა ბ ა ჯ ი ს და შვილიშვილთა შენთა:⁸ შ ა ვ ე ლ ი ს , ბ ე ჟ ა ნ ს , ვ ა ხ ტ ა ნ გ ს , ქ ა ი ხ -
ო ს რ ო ს , ქ ი შ ვ ა რ ს და მამავალთა⁹ სახლისა თქუენისათა, ყოველთავე.

ასრე და ამა პირსა ზედა, რომე¹⁰ მე ჯ უ რ ი ს კ ე ვ ს ბატონის ჩუენის დედამთილისაგან წყალობად გ¹¹ლენხები და მამულეები გქონდა. და ჩუენცა შეგინწყალეთ და გიბოძ¹²ეთ მე ჯ უ რ ი ს კ ე ვ ს ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი ს ლ ო -
მ ი ს ა და ზ ა ქ ა რ ი ა ს ნაქონი¹³ სასახლე, ზვარი და ჭურ-მარანი და გლენ-
ები ს ა ლ უ ქ ა შ ვ ი ლ ი კ ო კ |¹⁴ ლ ა , კ ე ვ ი ს ჯ უ რ ე ლ ი მ ა თ ი ა და მ ა ხ უ ტ ა , კ ო ს ტ ა ნ უ რ ი დ ა ვ ი თ ა , ა ს |¹⁵ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ჟ ა მ ი ტ ა .
ესეები მათის ყოვლის სამართლიანის სამძღურით¹⁶ა, მამულითა, ნასყიდითა და უსყიდითა, ს[ა]ქებრითა და უძებრითა, ყოვლით¹⁷ურთ მკუიდრად და სა-
მამულედ თქუენთვის გუბოძებია. და დაგ¹⁸ედევით ალაპი¹⁸ მეფის, პატრონის

გორგის სულის საოხად და მეფის, პატრონის ლ¹⁹უ არსაბის სადღე-გრძელოდ, გორგობის თვეს კდ, გარდაიკდიდეთ²⁰ კარგალებულსა აღაპსა და დახარჯევდეთ ექუსის კოდის პურის ნამ²¹ცხუარსა, ექუს კოკას ღვინოსა, ორს ზურგიელსა და მის სამარხოსა, ე²²რთს ჩარექს სანთელსა, ერთს ქსანს საკმეველსა და ორს მღდელ²³სა და ერთს მთავარდიაკონს ჟამს აწირვინებდით და სანირავს მის²⁴ცემდით. და ამ აღაპს იქავე, მეჯურის კევს, ყოვლად წმიდის წინ გა²⁵რდაიკდიდით და, რაც მორჩებოდეს, ვინგინდა-ვინ წინამძღვარი იდგ²⁶ეს, იმას მიაბარებდით და ეს აღაპი არაოდეს არ მოიშალოს.²⁷

ანე, ვინცა და რამანცა და ამის მონათესავემან კაცმან, დიდმან და ანუ²⁸ მცირემან, ანუ მეფემან, ანუ დედოფალმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურ²⁹შვილმან კელყოს შლად და არა გათავებად, ამისად მასმცა რისხავს პირ³⁰ველ დაუსაბამო და დაუსრულებელი ლ(მერ)თი და ყოველნი მისნი წმიდანი, ზეც³¹ისანი და ქვეყანისანი, კორციელნი და უკორციონი. და ნურათამცა სინანუ³²ლითა ნუ იქნების ქსნა სულისა მისისა. ხოლო გამთავენი და დამამტკიცებ³³ელნი ამისი ლ(მერ)თ(მა)ნ აკურთხოს.

დაინერა სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა სჰო.

ხელრთვა: თ ა მ ა რ

კომენტარი:

საბუთის ადრესატი გულჩარაბაჯი უცნობი პირია. დოკუმენტში არც მისი გვარი იხსენიება. შესაძლებელია, იგი დავუკავშიროთ ამ პერიოდში მოღვაწე ქართველ დიპლომატ ქალ გულჩარას, რომელიც ბაგრატიონთა ოჯახის წევრი ან მათთან დაახლოებული პირი იყო. ისკანდერ მუნშის თანახმად, ქართველი ქალი გოლჩეჰრე იგივე გულჩარა, სპარსეთში შაჰის კარზე მიღებული პირი იყო. იგი ტყვეობიდან თავდახსნილ სიმონ I-ს გააყოლეს ქართლში. ოსმალთა მიერ სიმონის შეპყრობის შემდეგ, იგი უკვე სტამბოლში მიაგვლინეს (1600-1603 წწ.) მეფის საპატრონოდ, სადაც თავისი ჭკუითა და გამოცდილებით დიდ წარმატებებს მიაღწია. დაუახლოვდა სულთნის დედას და მისი დავალებით სპარსეთ-ოსმალეთს შორის დიპლომატიურ მისიას ასრულებდა (ისკანდერ მუნში, 1979: გვ. 66-67). გულჩარას ვინაობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა გამოთქმული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ვ. გაბაშვილი მას სიმონის ახლობელ მანდილოსნად მიიჩნევს, ბ. გიორგაძე ანტონიო გოვეას ცნობაზე დაყრდნობით, სიმონის ხარჭად, ხოლო მ. სვანიძე თვლის, რომ იგი იყო გიორგი X-ის ქალიშვილი, რომელიც უფლისწულ დავითთან ერთად გაგზავნეს სტამბოლში მეფე სიმონის გამოსახსნელად (სვანიძე, 1990: გვ. 264). თუმცა თუკი გავითვალისწინებთ, რომ 1578 წ. სიმონის სპარსეთიდან წამოსვლისას ის უკვე შაჰის კარზე ნამსახურები იყო, შეუძლებელია გიორგი X-ის ქალიშვილად მივიჩნიოთ. სიმონ მეფის გათავისუფლების სანაცვლოდ, გულჩარა რამდენჯერმე იმყოფებოდა შაჰ აბასთან სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ზავის დადების მიზნით. მან ვერ მოახერხა სიმონის ტყვეობიდან დახსნა. მეფე 1611 წ. გარდაიცვალა იედი ყულეს ციხეში. საფიქრებელია, რომ მეფის ცხედრის ჩამოსვენების ნება მისი შუამდგომლობით

დართო ქართველებს ოსმალეთის მთავრობამ. 1612 წ. სექტემბერში გულჩარა სტამბოლში იყო და მონაწილეობდა სპარსეთ-ოსმალეთის ზავის დადებაში. რამდენად შესაძლებელია აღნიშნული გულჩარა იყოს ჩვენი საბუთის ადრესატი? სახელი მეტად იშვიათია და ამ პერიოდში მოღვაწე სხვა გულჩარა ჩვენთვის ცნობილი არ არის. ბაჯის თურქულად რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ყურადღება ორმა მიიპყრო. ბაჯი ნიშნავს “უფროს დას“, და “ძიძას, გამზრდელს“ (ჩლაიძე (რედ.), 2001: გვ. 102). სწორედ, ამ უკანასკნელმა განმარტებამ მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ვინაიდან, გულჩარა დავით ბატონიშვილსა თუ სიმონზე მზურნველობისთვის გაგზავნეს სტამბოლში, სავსებით შესაძლებელია ოსმალეთში ყოფნის დროს შეარქვეს და მისი სახელის დამატებად იქცა.

ისკანდერ მუნში დაბეჯითებით მიუთითებს, რომ გულჩარა ოსმალეთში გაგზავნეს ქართლის სამეფო დინასტიის მანდილოსნებმა, რომელშიც სიმონის მეუღლე და დედოფალ თამარის დედამთილი – ნესტან-დარეჯანი მოიაზრება. საბუთშიც გარკვევით ჩანს, რომ მეჯვრისხევეში მოსახლე ყმა-გლეხები გულჩარასთვის თამარის დედამთილს უბოძებია, ხოლო თამარი ამ წყალობას უახლებს. ფაქტია, მათ ახლო ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. გულჩარა, საბუთის მიხედვით, უკვე ასაკშია, რადგან წყალობა მას და მის შვილიშვილებს ებოძათ. საფიქრებელია, რომ გულჩარას შვილი თუ შვილები ცოცხლები აღარ არიან. დედოფალი ნესტან-დარეჯანი მას მამულებს მისცემდა სადედოფლო მიწებიდან და ამასვე უახლებს თამარიც. 1612 წლის სექტემბერში გულჩარა სტამბოლში ჩავიდა სპარსეთის ელჩ ყადი-ხანისთან ერთად (სვანიძე, 1990: გვ. 273). მაშასადამე, ისინი სპარსეთიდან მიემგზავრებოდნენ სტამბოლს და სავსებით დასაშვებია, რომ გზად საქართველოში გაიარეს. სწორედ ამ დროს შეიძლებოდა მომხდარიყო ამ მამულების განახლება. საბუთში გულჩარას გვარის გარეშე მოხსენიება, შესაძლოა, გამოწვეული იყო მისი სამეფო ოჯახის წევრობით. თავისთავად ის ფაქტი, რომ გულჩარა ვალებული იყო მისთვის ნაწყალობელი ყმა-გლეხებით აღაპი გადაეხადა ქართლის მეფეებისთვის, ხაზს უსვამს მის სიახლოვეს სამეფო ოჯახთან. დოკუმენტის გაცემისას მეფე სიმონ I ცოცხალი უნდა იყოს, ან მისი გარდაცვალების შესახებ ჯერ არ მოსულა ცნობა ქართლში, ვინაიდან აღაპი, მხოლოდ გიორგი მეფის სულის საოხად და ლუარსაბ II-ის სადღეგრძელოდ არის განწესებული.

**1612 წ. 20 ოქტომბერი. მღვიმის მონასტრის
წინამძღვრობისა და სოფლის წყალობის
წიგნი ლუარსაბ მფვისა შარემუხისაჲთ**

დედანი: ხეც, Hd-5297; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 30,5X21,5 სმ; ხელი მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. კიდევები გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

პირი: სეა, 1461-14/24.

თარიღი: ქორონიკონი ტ (300), ლუინობისთვის ოცი, რაც გვაძლევს 1612 წლის 20 ოქტომბერს.

საბუთის დამწერი: მწიგნობარი ნასრ თუმანიშვილი.

ქ. ნებითა და შენეწნითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, ლ(მრ)თივ-გუირგუინოსანმან მეფეწ-მეფემან პატრონმან ლუარსაბ და დედამან ჩუენმან დელოწფალთ-დედოფალმან პატრონმან თამარ, ესე წყალობის წიგნი⁴ და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა⁵ ყმასა, ფარემუხს და თქუენტა შვილთა და მამავალთა სახლისა თქუენისათა, მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და ლუიმის საყდარსა და სანინამძღვროსა დაგუეაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ საყდარი ლუიმე მისის სანინამძღვროთა, მისის შესავლითა და გასავლითა და სამართლიანის სამძღვროთა და საქმითა. რარიგადაც ლუიმის მონასტერი სხუათ თქუენისათ ნათესავთ ჰქონებოდეს, იმავე რიგითა და წესითა თქუენტუის¹⁰ და თქუენტ შვილთათუის გუიბოძებია. და სოფელი ზემოსობის¹¹ მითითა, ბარითა, წყლითა, ნისქუილითა, ველითა, ვენაკითა, საკნავ¹²-სათიბრითა, შესავლითა და გამოსავლითა, მისის სამართლი¹³ანის სამძღვროთა და საქმითა, რისაც მამულის მქონებელი ზემოსობის¹⁴ ყოფილა, ყოვლითურთ თქუენტუის გუიბოძებია.

[გ]ქონდეს და¹⁵ გიბედნიეროს ლ(მერ)თმან ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგა.

¹⁶ აწე, გიბრძანებთ კარისა ჩუენისა ვაქილ-ვაზირნო, მდივანნო და¹⁷ სხუანო მოსაქმენო, ვინგინდა-ვინ იყუნეთ და ანუ ვინგინდა-ვინ იქნებო¹⁸დეთ, მერმე თქუენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან წი¹⁹ანწყალობევს სიგელში ეწეროს, ნურცა-რას თქუენ შეუშლით²⁰ და შეეცილებით, თუნიერ თანადგომისა და შეწეწისა²¹გან კიდე.

დაიწერა ნიშანი და ბრძანება ქ(ორონი)კ(ონ)სა ტ, თუესა ლუინო²²ბისასა ოცსა, კელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრისა, თუ მანიშვილი²³ლის ნასრისითა.

ხელრთვა ხვეულად:

ლუარსაბ

გვიანდელი მინანერები:

1. ლუარსაბ მეფის მოცემული დეკრეტი სასაფლაოსი და ზემოსობისი წყალობა;
2. ქ. სიგელი მდვიმის სასაფლაოსი და ზემოსობისი, 1612 წ.

კომენტარები:

1. ლუიმის საყდარი – შიომღვიმის მონასტერია, რომელიც საბუთებში მღვიმის მონასტრად იწოდება. იგი გიორგი V ბრწყინვალემ გადასცა ზევდგინიძე-ამილახვარებს და მათ საძვალედ ითვლებოდა XIX საუკუნემდე.
2. ფარემუხი – ამილახვართა საგვარეულოს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. XVII საუკუნეში ამილახვრის შვილებს შორის ფარემუხი გავრცელებული სახელია (სურგულაძე, 1991: გვ. 123,124). იხ. აქვე კომენტარი 1609 წლის საბუთთან – Ad-1208.
3. საწინამძღვრო შემწირველის საფლავზე დაფუძნებული სამლოცველოა, სადაც შემწირველის (საწინამძღვროს პატრონის) სულისთვის ტარდება სხვადასხვა სახის მსახურება (წირვა-ლოცვა, ალაპი). არქიტექტურულადაც საწინამძღვრო მთავარი ეკლესიის მინაშენს ან იშვიათად, დამოუკიდებელ შენობას წამოადგენს. მას საკუთარი შემოსავალი გააჩნია (მთავარი ეკლესიისგან დამოუკიდებლად) ყმა-მამულის სახით. საწინამძღვროს წინამორბედი საწირველო (ლომინაძე, 2010: გვ. 44). მოცემულ შემთხვევაში ფარემუხი იღებს შიომღვიმის საყდარს და მის საწინამძღვროს სამართავად, ანუ მთავარი წინამძღვარი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ შიომღვიმეში საწინამძღვროს ჩამოყალიბების შემდეგ ერთმანეთს გაემიჯნა მთავარი ეკლესია და საწინამძღვრო და მათ შორის მხოლოდ ფორმალური კავშირი არსებობდა, საბუთიდან ირკვევა, რომ მთავარი წინამძღვრის მორჩილებაში იყო მღვიმის მონასტერში არსებული საწინამძღვროც. მას ერთი საგვარეულო ფლობს. ამ შემთხვევაშიც ფარემუხის ნათესავებს ჰქონიათ წინამძღვრობა და ფარემუხიც ამიტომ ითხოვს ამ სახელოს. ვინაიდან ბერებს პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდათ, ამიტომ ეს სახელო გადადიოდა არა მამიდან შვილზე, არამედ ნათესავზე (ლომინაძე, 2010: გვ. 32-33). ჩანს, ვისი კუთვნილება იყო მონასტერი, იმავე საგვარეულოდან ინიშნებოდა წინამძღვარიც. ასევე იყო საწირველოს შემთხვევაშიც. კახა თორელი რკონში საწირველოს გაჩენისას პირდაპირ მიუთითებს “თუ ვინ მათი გვარის კარგი იყოს, იგი მოიყვანებოდეს და თუ არა, თქუენ კრებული კარგსა მწირველსა დამისუმიდით“ (შოშიაშვილი (რედ.) 1984: გვ.151).
4. თუმანიშვილი ნასრი – სამეფო კარის მდივან-მწიგნობარი. თუმანიშვილების საგვარეულო მდივნის სახელოს ფლობდა XV ს-ის შუა წლებიდან XVII საუკუნის ბოლომდე. ნასრ თუმანიშვილი მდივან-მწიგნობრად ჩანს 1606-1624 წწ. მეფეების: ლუარსაბ II-ის, ბაგრატ VII-ის და სვიმონ II-ის კარზე (ბაქრაძე, 1963: გვ. 163-178).

**1612 წ. შაჰირულის წიგნი თეიმურაზ მეფისა
ალავერდის წმიდა ბიოგრაფია**

დ ე დ ა ნ ი: სეა, 1448-5017; ღია ყავისფერი ქაღალდი; ზომა: 221,4X29,2 სმ. შავი მეღანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ერთიწერტილი, ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: თავნაკლული, დალაქავებული, ალაგ-ალაგ ამოფლეთილი ტექსტის ფრაგმენტებიანად; დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. ტექსტის დასაწყისის შემორჩენილი სამი სტრიქონი შესრულებულია ოქროსფერი მეღნით. ასევე ოქროსფერი მეღნითაა დაწერილი წმინდა სახელები: ღმერთი, ქრისტე, ღმერთისმშობელი მარიამი, აგრეთვე მეფისა და დედოფლის სახელები.

პ ი რ ი: 1449-946 (შემოკლებული რუსული თარგმანი).

თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი ტ (300), მაისის ათი, რაც გვაძლევს 1612 წლის 10 მაისს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი: მთავარეპისკოპოსი ავალისშვილი იოანე.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი: ჟორდანია 1897: გვ. 439; კაკაბაძე I, 1925: გვ. 148-150.

...[ბინ]-შეუხებელისა, თუით-მოდრავისა, თუით-[ძალისა, ყოველგან მყოლ]²ფისა, თუით-ნათლისა[ა] და ნათლისა მომცემელისა და ღ(მერ)თ-მყოფელისა, ღ(მრ)თისა სულისა |³ წ(მი)დისათა. შეწვენითა და მეოხებითა[ა] ყ(ოვლა)დ წ(მი)დისა და უზრუნველისა, და უფროსად კურთხეულისა |⁴ დედოფლისა ჩუენისა ღ(მრ)თისმ[შობ]ელისა და მარადის ქალწულისა მ ა რ ი - ა მ ი ს ი თ ა , რომელი |⁵ წინასწარმეტყუელთა პირველითგან მრავალ სახედ ქადაგეს და მოასწავეს; და თუით ს ო ლ ო მ |⁶ ო ნ სიბრძნესა შინა შვიდ სუეტად იტყუის.

მეოხებითა და თანადგომითა წ(მი)დათა ურულო|⁷თა და მცუელთა ცხორებისა ჩუენისათა, მ ი ქ ა ი ლ ძალთა მთავრისა და გ ა ბ რ ი ე ლ მახარებ|⁸ელი-სათა, რ[ომე]ლნი ბრწყინვენ ნათლისა მისგან სამარადისოსა და მყისსა შინა ელვის სახედ ალა|⁹სრულებენ ბრძანებასა მეუფისა თუისისასა. შეწვენითა და მეოხებითა პატიოსნისა და ღ(მერ)თ-|¹⁰მყოფელისა ჯუარისათა, რომელსა ზედა განკუთარულ იქმნა ქ რ ი ს ტ ე ღ(მერ)თი ჩუენი კსნისა|¹¹თუის ჩუენისა და მეწამულ-ქმნილობითა სისხლითა მაცხოვრისათა გუიხსნა ჩუენ, ყოველ|¹²ნი, კერპთა საცთურისა და მონებისაგან.

მეოხებითა და თანადგომითა წ(მი)დის წინასწარმეტყუელ|¹³ისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა ი (ო ა) ნ ე ს ი თ ა , რომელი უმეტეს იქმნა ყოველთა ნაშ|¹⁴ობთა დედათასა, რომელმან იკადრა დადებად კელი თავსა მაცხოვრისასა და ჩუენ, ყოველნი, სი|¹⁵ნაწულად მიგუიწოდა ხესა თანადადებითა ცულისათა; და სეხნისა და მეტომისა მისისა ი (ო ა) ნ ე ღ(მრ)თის|¹⁶მეტყუისა და მკერდსა ს[ა]ლმროთოსა მიმყრდნობელისა, რომელმან დასცნა ბომონნი და კუინოპ[ი], |¹⁷ დიდად და საკუირველად განთქმული, დაანთქა სიღრმესა შინა უფსკრულისასა და ყოველნი |¹⁸ ღ(მრ)თისა მიმართ

წარუდგინა.

მეოხებითა და თანადგომითა წ(მი)დათა და ყ(ოვლა)დ ქებულთა თავთა მო|¹⁹ციქულთა: პ ე ტ რ ე რიტორისა, რომელი სინანულსა პირმშო ექმნა და კლიტენი იგი სასუფეველის|²⁰ანი მას ჰკიდავენ, და შეკრვა და განკსნა მიენიჭა მას; და პ ა ვ ლ ე სამცადმდე აღწევნულისა, რომ|²¹ელსა ესმენს სიტყუანი უთქმელნი და საღმრთონი, და იწოდა ჭურად რჩეულად და ყოვლისა სო-²²ფლისა მოძღუარ იქმნა; და სხუათა ათერთთა მოციქულთა, რომელთა მიიღეს ბრძანება |²³ მეუფისაგან თუისისა დასხდომა საყდართა და განსჯა ათორთა ტომთა ი ს რ ა ი ლ ი ს ა თ ა ; და სხ[უა]თა სამეოც|²⁴და ექუსთა მოწაფეთათა, რომელთა მოიმონაფნეს ყოველნი წარმართნი სახელითა |²⁵ წ(მი)დისა სამე-ბისათა; შეწვენითა და შუამდგომლობითა წ(მი)დათა წინასწარმეტყუ-ელთა, რომელ|²⁶თა პირველ მოასწავეს ზეცით გარდამოსლვა ღ(მრ)თისა და განკაცება; და განიცდიდეს არა |²⁷ პირისპირ, არამედ სარკითა.

მეოხებითა და თანადგომითა წ(მი)დათა მღდელთმოდღუართა: ბ ა |²⁸ს ი - ლ ი , გ რ ი გ ო ლ ი და ი (ო ა) ნ ე ოქროპირისათა , რომელთა განფხურ[ნ]ეს ძირი წვალებისა და მ|²⁹ის წილ დასთესეს თესლი ღ(მრ)თისმსახურებისა, და იღვწიან ჩუენთუის წ(ინაშე) სამეებისა წმიდისა. მე|³⁰ოხებითა და თანადგომითა წ(მი)დათა ნეტართა მამათა ჩუენთა: პ ა ხ უ მ ი , ა ნ - ტ ო ნ ი , მ ა კ ა რ ი , ე ფ თ უ ი |³¹მ ი , ა რ ს ე ნ ი , ო ნ ო ფ რ ი , პ ა ვ ლ ე , ჯ ე რ ა ს ი მ ე , ს ა ბ ა , ს უ ი მ ო ნ , დ ა ნ ი ე ლ და დ ა ვ ი თ გ ა რ ე - ჯ ე ლ ი ს ა თ ა , რომელ|³²თა თუით გამოისაჭურისნეს თავნი თუისნი, იჯმენს სოფლისაგან, დაიმკუიდრეს ანგელოზებ|³³ივი ცხორება აღებითა ჯუარისა-თა, იქმენს მკუდართა აღმადგინებელ და ეშმაკთა წარმდევნ|³⁴ელ.

მეოხებითა და შუამდგომლობითა წ(მი)დათა დედათა მათ: ა ნ ნ ა , ი ვ დ ი თ , დ ე ბ ო რ ა , კ ა ს ი ა , რო|³⁵მელი იყო სახე სინანულისა და მ ა რ ი ა მ მ ე გ უ ი პ ტ ე ლ ი ს ა თ ა , რომელი იქმნა მძოვარ; და ნ ი |³⁶ ო ს - ი თ ა , რომელმან განანათლა ქუეყანა იგი ქ ა რ თ ლ ი ს ა სასწაულთა მრავ[ა]ლთა მოქმედებითა.

|³⁷მეოხებითა და თანადგომითა წ(მი)დათა მოწამეთა: გ ი (ო რ) გ ი , დ ი მ ი ტ რ ი , თ ე ვ დ ო რ ე , პ რ ო კ ო პ ი და მ ე |³⁸ რ კ უ ი რ ი ს ი თ ა , რომელთა ჯუარს აცუნეს კორცნი თუისნი და თითო სახითა ტანჯუითა გან|³⁹იცადნეს და იოხენ სარწმუნოებით მვედრებელთა მათთუის.

მეოხებითა და თანადგომითა |⁴⁰ წ(მი)დათა ქალწულ-მოწამეთა: ი რ - ი ნ ე , ი რ ი ნ ი , თ ე კ ლ ა , ე კ ა ტ ი რ ი ნ ე და პ ა რ ა ს კ ე ვ ი ს ი თ ა , რომელთ|⁴¹ა დასთხიეს სისხლნი თუისნი სიძისა მის უკუდავისადა და იხარებენ ნათლით შემოსილნი |⁴² სასძლოთ ამით წინაშე ღ(მრ)თისა, და მიელიან სი-მართლისა გუირგუინსა.

მეოხებითა და შუა|⁴³მდგომლობითა ყოველთა წ(მი)დათა ღ(მრ)თისათა ზეცისა და ქუეყანისათა, კორციელთა და |⁴⁴ უკორცოთათა, ჩუენ, დამდე-ბელმან თქუენდა მომართ სასოებათა ჩუენთამან, და მინდობილმან შენი|⁴⁵სა ცუა-ფარვათამან, ი ე ს ე ი ა ნ , დ ა ვ ი თ ი ა ნ , ს ო ლ ო მ ო ნ ი ა ნ და პ ა ნ კ რ ა ტ ო ნ ი ა ნ მ ა ნ , ბრძანებითა შე|⁴⁶ნითა შენ მიერ გუირგუინოსანმა და დამყარებულმან, შეწვენითა შენითა ძლიერმან და უძ|⁴⁷ლეველმან, ნებითა შენითა მეფემან მეფეთამან, კელმწიფემან თ ა ი მ უ რ ა ზ და ძეთა ჩუენთ|⁴⁸ა

სასურველ-საყუარელთა: პირმშომან პატრონმან ლეონ და პატრონმან ალექსანდრე, გკად⁴⁹რეთ და მოგახსენეთ შენ, ჩუენსა სასოებასა და სიქადულსა, მოწამეთა შორის ახოანსა და მთავარსა |⁵⁰ წმიდასა გი(ორ) გის, ალავერდს ნიგნი და გუჯარი ესე.

ეჰა, აღმოცენებულ კეთილხეო ნა⁵¹ყოფიერო, დანერგულ მდინარესა მას თანა სულისა წ(მი)დისასა, რომლისა რტონი გა⁵²რდაფინნეს ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა და განისვენებენ მისდა ყოველნი მსახურნი სამ⁵³ებოსანი, რომელი ეგე დაშვერ ლ(მრ)თისმსახურებისათუის და საკნველითა მით სათნოებისა⁵⁴თა წარმართე ორნატი იგი ღუანლისა შენისა და მიუძღვანენ სამოცეული და ას⁵⁵ეული, რამეთუ ცრემლით სთესე და სიხარულით მოიმკე. გიხაროდენ სამოთხეო შვენი⁵⁶რო, რომელსა შინა ყუავილი იგი ლ(მრ)თის მსახურებისა მდიდრად აღმოცენების, გიხარ⁵⁷ოდენ ვაზო ნაყოფიერო ჭეშმარიტისა მის ვენაკისაო, რომელი მოგუანიჭებს მომყმართ |⁵⁸ ამათ ნაყოფსა, და მუშაკო სალ(მრ)თოთა მათ ზრახვათაო და ნამუშაკეო ლ(მრ)თისაო, რომელმან გან⁵⁹ან[ა]თლენ ბნელსა შინა უმეცრებისასა მყოფნი წარმართნი და ძედ ნათლისად და დღისა |⁶⁰ გამოაჩინენ, გიხაროდენ მთიებო დაულამებელო, ბრწყინვალეო კაბადუკი[ი]საო, დიდო ღუანლი⁶¹ისა მძლეო და ყოველთა მოწამეთა შორის წარჩინებულ სახელშვენიერო წ(მი) და გი(ორ)გი, რო⁶²მელი, ვითარცა ვარდი ეკალთა შორის, და ვითარცა შროშანმან სულნებითა სავსემან გ⁶³ანასურნელენ მსხდომარენი მწუირესა შინა კერპომსახურებისასა და მრავალნი სულნი⁶⁴ი ლ(მრ)თისა მიუძღვანენ; და რ(ომელ) მრავალნი ღუანლნი თავს იხსენ ქრისტეს შენისათუის, ვი⁶⁵თარმედ მრავალ ნაკუეთად დაიჭრნეს პატიოსანნი იგი კორცნი შენნი, და მყისსა შინა გამო⁶⁶ჩინებოთა ანგელოზისათა კუალად შეინანევრნეს და ძალითა ზეგარდამოთა სრულიად უ⁶⁷ვნებელ და ცოცხალ იქმენ. ვითარ იგი ანგელოზმან უფლისამან ამბორს გიყო, ესერა იხი⁶⁸ლეს შენ მიერ, მრავალთა გუირგუინი წამებისა მიიღეს. შემდგომად ამის ყოვლისაგან |⁶⁹ განჩინება მახუილითა მიითუალე და რაცა იგი ითხოვე მვედრებელთა და მადიდებელთა |⁷⁰ შენათუის, მოგანიჭა უფალმან კმითა მით ზეგარდამოთა და ყოველი სათხოელი შენი |⁷¹ აღგისრულა.

ჰი, ვითარმან ენამან გამოთქუას ღვანლი იგი წამებისა შენისა და საკუირველებანი⁷²ი იგი, რომელნი აღასრულნა ლ(მერ)თ(მან) შენ მიერ, ანუ თუ აღესრულებიან და იქმნებიან, ვიდრ⁷³ე დღენინდელად დღედმდე და უკუნისამდე. ოდეს ყოველთა მბადმან არსთამან წარიყუანა |⁷⁴ თანამეცხედრე ჩემი, დედოფალთ-დედოფალი ანა ჩემგან. ჰიმე, ვითარ იკადრა მწარემან სი⁷⁵კუდილმან მიახლებად მისდა, ანუ ვითარ არა შეინყალა ყ(ოვლა)დ შეუწყალებელმან, რომელი, |⁷⁶ ვითარცა უკორცო-მყოფი კორცთა სიზრაქითა, ესრეთ იქცეოდა სოფელსა შინა; ვითარ სანატრელ |⁷⁷ იწოდა კაცად გულის სათქმელად სულისა, ვითარ ზეშთა იყო ყოვლისა ბრწყინვალეებისა და შა⁷⁸რავანდედობისა ყოველთა მოასაკეთა მისთა, და რ(ომელ) დამაკლებს მე ყამი ესე მოთხრობად ყოველ⁷⁹თავე სათნოებათა მისთა სიმაღლეთა, რათა არა სიგრძე წერილისა იქმნას; რომელი უაღრ⁸⁰ეს იყო ყოვლისავე ქებულებისა ესევითარი, მივეც მიწა მიწასა, ვითარცა იტყუის, ვითარმე⁸¹დ: “მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც”, სადა იგი მეგულვების, მეცა მისლვად მუნ, ვითარცა

იტ⁸²ყუის წინასწარმეტყუელი, ვითარმედ: “ესე არს განსასვენებელი ჩემი, ამას დავემკუიდრო”.

ამათ და |⁸³ მომართ ვიგულვეთ და ვიგულსმოდგინეთ, გკადრეთ და მოგახსენეთ მცირე და კნინი ეს⁸⁴ე შემოსანირავი, სასოებით მოძღუანებული შენდა მიერ თქუენ, ჩუენსა მცუელსა და მფარველ⁸⁵სა და წარმმართველსა მეფობისა ჩუენისასა, მოწამეთა მთავარსა გი(ორ) გის და პატიოსანსა და |⁸⁶ ცათა მობაძავსა ტაძარსა თქუენსა და სამარხოსა ჩუენსა ალავერდსა. უკეთუ ყოველი სოფელი |⁸⁷ კელმნიფებასა ჩუენსა ქუეშე შენდა მიერ მოძღუანებულიყო, ჩუენ მიერ კნინდა და საკადრებელ |⁸⁸ შენდა იყო, არამედ გულითა მკურვალთა და სულითა შემუხრვილითა და დამდაბლებული⁸⁹თა მოგახსენე და შემოგჩინე: კაკელთათ კუამლი კაცი გერმანე, ბისტია, ელია, როსება, ხო⁹⁰სრო, შავერდა, ხანგულდ. კიდევენ: შაჰვერდა, გერმანოზა, თასმალო, მამუკა, ქემაროზა, |⁹¹ უსუფა. კიდევენ: ხოსრო, ონისა, არდაზა, ელა, ბოცია, ჯუანა, ქურივი დედაკაცი; მუშაა⁹²ნთათ კუამლი კაცი, ნატრო, შავთუალა, გამიხარდა, სოროზანა, ჯიმა, ჩულხუტა, მანველა, |⁹³ ციბა, თოლასშვილი შავერდა, ყურმათასშვილი ბულბულა, ბუთა, შამურა, კისისკევით კუამლი: |⁹⁴ ქათინა, სოროზანა{ა}, ირემა, იოანე, აბრამ, ფოცხუერა, გულბათა, ნადირა, უსუპა, ელისბარა; |⁹⁵ კიდევენ: ნადირა, ესტატა, ომსიარა, შავერდა, იოაკიმ, საფო, ქოქია, გი(ორ)გი, ბანო, მგელა, საღირ⁹⁶ო, ქემია, დათუა. კიდევენ: ნადირა, გოჩია, იმედა, ელიზო მათითა მათითა, ბართა, წყლი⁹⁷თა, წისქულითა, ველითა, სათიბითა, შესავლითა და გასავლითა და ყოვლისა მისისა სამართ⁹⁸ლიანითა.

ესრე განთავისუფლებით და ყოვლისა საჩუენოსა სათხოვრისა და გამოსალებისა⁹⁹გან თარხნად და კელშემოუალად თქუენტუის მოგუიხსენებია და შემოგუინირავს, ვიდრე უკუნით¹⁰⁰ი უკუნისამდე. და არა ეთხოებოდეს-რა დიდითგან ვიდრე მცირედმდე, არა საჩუენო გამოსალ¹⁰¹ები და სათხოარი: არა პური, არა ღვინო, არა აბრეშუმი, არა მუშაობა და ბეგარი, არა ულ¹⁰²აყი, არა ტიკ-ტომარა, არა საბაზიერო, არა საჩუენო სამოურაო, არა სანაცლო, არა ყარახა¹⁰³რჯი. არა გეთხოებოდეს-რა, თუნიერ ლაშქარ-ნადირობისაგან და საურისაგან კიდე.

ესრეთ დაგუიმ¹⁰⁴ტკიცებია და შემოგუინირავს თქუენ, საშინელისა ალავერდისა საყდრისათუის და შენ, მოწამეთა შო¹⁰⁵რის უძლეველის და ღუანლ-მრავალისა წ(მი)დისა გი(ორ) გის თუის საკსრად ცოდვათა ჩუენთა და ძეთა¹⁰⁶ ჩუენთა სადღეგრძელოდ, და ცოდვათა შესანდობელად კურთხეულისა დედოფალთა დედოფლისა, პ¹⁰⁷ატრონისა ანასათუის.

ხოლო შენ, მოწამეო წ(მი)დაო გი(ორ)გი, შეინირე მცირე ესე შემოსანირავი, გარნათუ |¹⁰⁸ ძღვენი მცირე არს, ეგრეთცა გულითა უზაკუელითა მოძღუანებულ არს. გვედრებით, რათა გუი¹⁰⁹ოხო წ(ინაშ)ე ქრისტეს მეუფისა შენისა და ლ(მრ)თისა ჩუენისა, რომლისათუისცა სწამე შენ წამება კეთილი და |¹¹⁰ მრავალთა შორის აღსარებული დღესა მას საშინელსა

და ზარისაჲდელსა, ოდეს იგი მიაგებ¹¹¹დეს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაე-
ბრ, რათა ჩუენცა გუასმინოს ჯმა იგი საწადელი კურთხევისა, ვითა¹¹²რმედ:
“მოვედით კურთხეულნი მამისა ჩემისანო და დაიმკუიდრეთ თქუენთუის გან-
მზადებული სასუფეველი”*. ¹¹³ არა ამისთუის, რათამცა ვჰგონეთ, ვითარმედ
წ(ინაშე) შენსა დიდრამე საგონებელ იყოს, რ(ომელ) რა ესე¹⁴ვითარი შეწიროს
შენდა უძღურებამან ჩუენმან, რათამცა წინაშე შენსა საწინო იქმნას, ა(რამე)
და ამი¹¹⁵სთუის, რათა არა განვცუივნეთ სასოებისაგან საუკუნოსა. და ვინ-
მცა ესრეთ უგ(უ)ლი(ს)მ(ოდგინო) და შეუკდე¹¹⁶მელ იყო, რომელ არა სასოე-
ბა შემოსილ იქმნას, ოდეს განვიხილოთ საკუირველი და წ(მი)და ლუა¹¹⁷წლი
შენი, ვითარმედ ყოველთათუის, რომელნი გევედრებიან შენ, რაცა ითხოვო
ქ რ ი ს ტ ე ს მ ე უ ფ ის ა¹¹⁸ შენისაგან. ყოველივე აღგეთქუა და მოგენიჭა, და
ესრეთ მინდობილ ვართ, რომელ გუიოხებ სარ¹¹⁹წმუნოებათა მიმართ, რომ-
ლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ა(მე)ნ.

და გავაჩინეთ კურთხეულისა ¹²⁰ დედოფალთ დედოფლისა, პატრონისა
ა ნ ა ს ა თ უ ი ს , ვითარცა თუით ინება, ვიდრე სულიერდა იყო, ესრე სახ¹²¹ედ
ხარებასა, შობასა, ნათლისღებასა, მირქმასა, კორციელისა შაბათსა, ლ ა ზ ა -
რ ე ს ა ლ დ გ ი ნ ე ბ ა ს ა , ¹²² ი ე რ უ ს ა ლ ი მ ა დ შესლვასა, აღდგომასა, ამაღლე-
ბასა, სულისა წ(მი)დისა მოსლვასა, ფერისცუალებ¹²³ასა, ყოვლად წმიდის
მიცუალებასა. ამათ დღეთა აღაპი გარდაიკებოდეს და თითოსა აღაპშიგან
დაი¹²⁴კლოდეს ოროლი ზროხა და ათ-ათი ცხუარი და მისი პური და ღვინო და
საურნყო და თევზი. რაც მოუწ¹²⁵დებოდეს, უკლებრივ მოიღებდენ და ესრეთ
კარგაღებულსა აღაპსა გარდაიკედიდენ.

და ვინცა-ვინ მი¹²⁶ვიდოდენ და კრებულნი ჟამსა სწირვედენ და საწირა-
ვად და გლახაკათუის სამ-სამი ლიტრა აბრეშუ¹²⁷მი დაიხარჯოდეს, ამას
გარდაის, რაცა ამა მამულსა მორჩებოდეს გამოსავალი, მისისა სული¹²⁸სათ-
უის დაიხარჯოდეს, სამოურაოსა ჯურუმისაგან და მსახურისაგან კიდე. და ამ
სამსავე ამბა-ალავერდ¹²⁹ელი მოიკმარებდეს. და ხარება, ლ ა ზ ა რ ე ს ა ლ დ გ -
ინება, ი ე რ უ ს ა ლ ი მ ს შესლვა და მარიაობა ¹³⁰ უკეთუ, ანუ თუ ოთხშაბათ-
სა, გინა პარასკევსა მიხუდეს, მისის ანგარიშითა თევზით გარდაიკედ¹³¹იდენ
აღაპსა, სანთელი და საკმელიცა, რაცა მოუწდებოდეს აღაპსა, დახარჯვედენ.
ესრეთ განეგ¹³²ებვოდეს და არაოდეს არ დაკლდებოდეს, ვიდრე უკუნითი უკუ-
ნისამდე. ანე, ვინცა და რამანც ადამის მო¹³³ნათესავემან კაცმან კელყოს და
იკადროს ჩუენ მიერ შეწირულისა და დამტკიცებულისა ამის შ¹³⁴ლად და ზე-
ქუე ქცევად და არა-დამტკიცებად, რისხავსმცა დაუსაბამო და დაუსრულებელი
ლ(მერ)თი, ¹³⁵ მამა, ძე და სული წ(მი)და და ყ(ოვლა)დ წ(მი)და ლ(მრ)თის მშო-
ბელი, პატროსანი და ცხოველს მყოფელი ჯუარი ¹³⁶ და ყოველნი წ(მი)დან(ი)
ლ(მრ)თისან(ი), ზეცისა და ქუეყანისანი, კორციელნი და უკორცონი. უკეთუ ¹³⁷
მეფემან შეცუალოს მეფობისათუის და უპოარებისა მისისა, მეუფეო ყოველთა
მეუფებათაო, ქ რ ი ¹³⁸ ტ ე , შენ იგი შესცვალე მეფობისა და კელმწიფობისა
მისისაგან; გინათუ დედოფალმან შე¹³⁹ცუალოს დედოფლობისა და პატი-
ოსნობისა მისისათუის, დედოფალო ყოველთა დაბადებულთაო, მ ა ¹⁴⁰ რ ი -
ა მ , მშობელო ე ვ მ ა ნ ო ე ლ ი ს ო , შენ იგი შესცვალე დედოფლობისა და

* მათე, 25,34.

პატროსნობისა ¹⁴¹ მისისაგან; გინათუ უფლისწულმან ულონობისათუის, ან
თუ მთავარმან მთავრობისათუის, ანუ აზ¹⁴²ნაურმან, უკეთუ მდიდარმან სიმ-
დიდრისათუის, ანუ გლახ¹⁴³კმან გლახაკობისათუის, ანუ თუ სამლ¹⁴³ელოთა
დასთაგანმან, ანუ მდაბიურმან, დიდმან, ანუ მცირემან, ვინცა და რამანცა კაც-
მან ¹⁴⁴ შეცუალოს, შე-მცა-იცუალების ჩუენ რჯულისაგან ქრისტიანეთასა; შე-
მცა-ედების ძრწოლა კ ა ი ნ ი ¹⁴⁵ ს ი , კეთრი გ ე ზ ი ს ი , ცოცხლივ დანთქმა
და თ ა ნ და ა ბ ი რ ო ნ ი ს ი , მესდატეხილობა დ ი ო ს კ ო რ ე ს ი , ¹⁴⁶ მ { ა }
ტლით განლეულობა ჰ ე რ ო დ ე ს ი , შიშთუილი ი უ და ს ი . და მასზედამცა
აღესრულების მესადარ¹⁴⁷ვე იგი ფსალმუნი და ნურარათამცა სინანულითა ნუ
იქმნების კსნა სულისა მისისა. და ჩუენ¹⁴⁸თამცა ცოდვათა მზღველი იგი არს
დღესა მას დიდსა განკითხუისასა. ამასამცა სოფელსა მოკუდ¹⁴⁹ების სირცხ-
უილეული და მას საუკუნოს ა რ ი ო ზ და ო რ ო გ ი ნ ე ს თ ა ნ ა მ ც ა არის
ნაწილი და სამკუი¹⁵⁰დრებელი მისი, ა(მი)ნ. ხოლო ამისნი დამამტკიცებელნი
ლ(მერ)თ(მა)ნ აკურთხენეს და წ(მი)დამან ლ(მრ)თისმშობელ¹⁵¹მან, ა(მი)ნ.

დაინერა მტკიცე და უცუალებელი წიგნი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)
სა ტ, თუესა მაისსა ¹⁵² ათსა, ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მ, ხოლო
კელითა ფრიად ცოდუილისა ა ვ ა ლ ი ს შ ვ ი ლ ი ¹⁵³ ს ა მთავარებისკოპოზი-
სა ი (ო ა) ნ ე ს ი თ ა , ჭეშმარიტად ესრეთ არს, იყო და იყოს, ამინ. ¹⁵⁴ ა(მი)ნ,
ა(მი)ნ.

ხელრთვა: მეფე თ ე ი მ უ რ ა ზ ვამტკიცებ, ნებ[ი]თა ლ(მრ)თისა[თა], ა[მი]ნ.

მინაწერები verso-ზე: ქ. ... კ უ რ ტ ა ნ [ა] შ [ვ] ი ლ ი კ ე ლ შ ე უ ა ლ ა დ ა ქ ო ს . კ უ ა მ -
ლი ბ უ რ დ ი ა შ ვ ი ლ ი , ი (ო ვ ა) ნ ე წ ო თ ე ლ ა უ რ ი , მ ა მ უ ლ ი ა ² ბ ა თ -
ა ნ თ ა ლ ა ძ ე , მ ა ხ უ ა ვ ა დ ა შ ვ ი ლ ი ; ო რ ი კ უ ა მ ლ ი ა მ დ ე ბ ლ უ რ ი ,
ჭ ო პ ა რ ტ უ ლ ნ ი , ბ ა თ უ რ ი ... ს მ ა შ ვ ი ლ ი , მ ი წ ო ბ ლ ი ძ ე , ³
ე ნ უ ქ ა უ რ ი , ნ ო ბ ა უ რ ი , გ ო გ ი ჩ ა უ რ ი , მ ე ნ ა ბ დ უ რ ი და ო რ ი ს ხ ვ ა
ბეითაღმანი.

კომენტარები:

1. ანა დედოფალი, თეიმურაზ I-ის პირველი ცოლი, იყო გურიის მთავრის
მამია II-ის ასული. “პარიზის ქრონიკის” თანახმად, ახლავამეფებულმა
თეიმურაზმა ანას ხელის სათხოვნელად გურიაში გაგზავნა ეპისკო-
პოსები და დარბაისელები, თან “მრავალი თეთრი და აბრეშუმი მიუ-
ტანეს” (ალასანია, 1980: გვ. 64). გურიელმა “ამათი მიტანილიცა და
ნამეტანი თავისიც ზითვეი შეუკაზმა და გამოატანა და მაყრათაც
მრავალი აჩუქა, თითონაც გურიის ეფისკოპოზი დარბაისელები მაყრად
გამოატანა ... გამოგზავნა ანნა, თავისი ქალი, დიად, კარგი და პატი-
ოსანი, ლამაზი” (ალასანია, 1980: გვ. 64). თეიმურაზი და ანა 1607 წ.
დაქორწინდნენ. მათ ეყოლათ შვილები: დევანი და ალექსანდრე. დედო-
ფალის ინიციატივით აღადგინეს შუამთის დაქცეული მონასტერი. ანა
დედოფალს ყელში “ყიყვი” გასჩენია და უცდია მკურნალობა, რასაც
1609 წელს გადაყოლია კიდეც. თეიმურაზმა “დაიტირა და დამარხა

ალავერდს, და იგლოვა, და იმწუხა და გაუცა სასულიერო სამდთოს კაცზედა. და კახთ დაიწყეს ჩივილი: “ამისი სიკვდილი კახეთის აოხრება არისო“ (ალასანია, 1980: გვ. 65). სავარაუდოდ, მეფე თეიმურაზმა საბუთი შეადგინა მეორე ქორწინების წინ (კაჭარავა, 2010: გვ. 165).

2. საბუთის დამწერი იოანე ავალიშვილი იყო საფარისა და ქვათახევის მონასტრების წინამძღვარი, ალავერდისა და ქართლის მთავარეპისკოპოსი, ასევე ცნობილი კალიგრაფი და ფრიად განსწავლული პიროვნება. იგი გაიგივებული იყო ქართლის კათალიკოს იოანე IX-თან, თუმცა ბოლოდროინდელმა კვლევებმა ცხადყო, რომ ისინი სხვადასხვა პიროვნებები არიან (კაჭარავა, 2010: გვ. 162-163).

იოანე არის ძმა ზაქარია ავალიშვილისა, რომელიც მთელ ოჯახთან ერთად სამცხიდან ქართლის სამეფოში გადმოვიდა. აქ მან გიორგი X-ისაგან წყალობა მიიღო, მოგვიანებით, კი თეიმურაზ I-ის ერთგული მხარდამჭერი გახდა. 1609 წელს თეიმურაზის დედის, ქეთევან დედოფლის დაკვეთით გადაუწერია ღვთისმშობლის ღოცვანი. ცხადია, იოანე საფარის წინამძღვარი 1605 წლამდე იქნებოდა. ქართლში დამკვიდრების შემდეგ იგი 1611 წლამდე ქვათახევის მონასტრის წინამძღვრობა ჩაუბარებია. ზემომოყვანილი საბუთის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი ალავერდელი მთავარეპისკოპოსიც იყო.

შაჰ აბასის ქართლ-კახეთში პირველი ლაშქრობის დროს (1614 წ.) ალავერდელი მიტროპოლიტი დაატყვევეს და სპარსეთში გადაასახლეს. მან მალე დაიხსნა თავი, თუმცა ისპაჰანში დარჩნენ მისი დები, რომლებთანაც აქტიური კავშირი ჰქონდა. პიეტრო დელა ვალეს, სწორედ მათგან წამოუყვანია აღსაზრდელად თინათინ ძიბა, რომელიც, მოგვიანებით, მისი მეუღლე გახდა. 1615 წელს ალავერდელი მიტროპოლიტი მეფე თეიმურაზთან ერთად ოდიშის სამთავროში გადავიდა, ხოლო იმავე წლის 15 სექტემბერს, ალავერდობას, კახეთში დაწვებული აჯანყების დროს მეფესთან ერთად თავის სამწყსოში უნდა დაბრუნებულიყო. ჩვენ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება იოანე ავალიშვილზე, თუმცა, თუ მას აღნიშნულ პერიოდში ალავერდელ მიტროპოლიტად ვიგულისხმებთ, მაშინ 1616 წლის შაჰ აბასის შემოსევის გამო იგი ისევ თეიმურაზთან ერთად დასავლეთ საქართველოში უნდა გადასულიყო. ალავერდელი მღვდელმთავარი ჩანს მარაბდის ბრძოლის დროსაც, – მას უშუალოდ მიუღია ბრძოლაში მონაწილეობა. 1626-1628 წლებში იოანე ქართლის მთავარეპისკოპოსი გახდა. ამ თანამდებობაზე მისი დადგენა თეიმურაზ I-ის ქართლში გამეფებას უნდა დაუკავშიროთ. იგი 1636-1639 წლებს შორის გარდაცვლილა (კაჭარავა, 2010: გვ. 172-73).

იოანე ავალიშვილი გამორჩეული ნიჭის პიროვნება იყო. თეიმურაზ I მას უწოდებს: “სწავლათა უფსკრულისა და ზეცისა ბუდისა სრულისა და ფილასოფოსისა იოვანე მეოთხედ (ეპითეტი “მეოთხე”) აქ გულისხმობს იოანე ავალიშვილის დაყენებას სამი იოანეს: იოანე ნათლისმცემლის, იოანე ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის შემდგომ. თ.ქ.) იოვანედ ღირსისა“. (Hd-14678). სწორედ ზემომოტ-

ანილი საბუთის კალიგრაფიის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ იოანე ავალიშვილის მიერაა გადაწერილი და მოხატული (ყოველი ფურცლის არშია მორთულია ბრწყინვალე მინიატურებით) ჩვენამდე მოღწეული “ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერი, რომელიც 1590-1600 წლებში უნდა იყოს შესრულებული (კაკაბაძე, 1924: გვ. 153-154; ამ მოსაზრებას ჰყავს მოწინააღმდეგეებიც: ი. აბულაძე, შ. ამირანაშვილი, ს. იორდანიშვილი, ს. ცაიშვილი, ლ. მენაბდე, ვ. ბერიძე). ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში “ვეფხისტყაოსნის” ეს ხელნაწერი სწორედ მისი გადაწერის სახელით არის დამკვიდრებული და უწოდებენ “ავალიშვილისეულს” (ხეც, H-2074). ხელნაწერის გადაწერისას გადაწერს რამდენიმე ნუსხით უსარგებლია და რედაქტორული სამუშაოც ჩაუტარებია (მარგველაშვილი, 2005: გვ. 8-9).

**1613 წ. 25 აბვისტო. მამულის წყალობის წიგნი
ლუარსაბ მეფისა ზაალ აბაზაძისაჲმ**

დ ე დ ა ნ ი : Sd-524; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 30,5X14,8 სმ. შავი ფერის მეღანი; ხელი მხედრული; დაზიანება: თავნაკლული, ორ ადგილას მოხეული; გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტა (301), მარიამობისთვის ძღ (25), რაც გვაძლევს 1613 წლის 25 აგვისტოს.

ს ა ბ უ ე რ ი : მწიგნობარი ნასრ თუმაწიშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : თაყაიშვილი. 1909: №94, გვ. 121.

[ქ. ნებითა და შენვენითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, ლ(მრ)თივ-გუირ[გუინოსანმან მეფეთ] მეფემან პატრონმან ლ უ ა რ ს ა ბ , ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა] თავდადებით ნამსახურს ყმათა, ა ბ ა ზ ა ძ ე ს ბ ა [ზიე]რთუხუცეს ზ ა { ა } ლ ს და შენსა ძმასა ა მ [ი ლ ლ ა] წ ბ ა რ ს და მამავალთა სახლისა თქუენისათა, მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და მამულისა¹ წყალობასა დაგუთაჯენით. 5

ვისმინეთ აჯა და მოხსენებ²ა თქუენი, შეგინყალეთ და გიბოძეთ მ ი ნ ო ბ - ლ ი , ³ იმის ველი, მამული, რაც მოურავისათუის წყალობა⁴დ გუებოძებინა, მისის მართლის სამართლიანის ⁵ სამძღურითა და საქმითა, მითითა, ბართითა, წყლითა, ⁶ წისქულითა, ველითა, ვენაკითა, საკნავ-სათიბრითა, ქა⁷ლითა და სანადიროთა, შესავლითა და გამოსავლითა. ყოვლ⁸ითურ[თ] სამკუიდროდ და სამამულედ თქუენთუის გვიბოძე⁹11ბია. 10

გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თმან ჩუენსა ერ¹²დგულად სამსახურსა შიგა.

ანე, გიბრძანებთ¹³ კარისა ჩუენისა ვაქილ-ვაზირნო, მდივანნო და სხუანო¹⁴ მოსაქმენო, ვინგინდა-ვინ იყუნეთ, და ანუ ვინგინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე თქუენცა ასრე გაუთავეთ, რარი¹⁶გადცა ამა ჩუენგან ნანყალობევს სიგელში ექ¹⁷ნეროს. ნურცარას თქუენ შეუშლით და შეეცი¹⁸ლებით, თუნიერ თანადგომისა და შენეენისაგან კიდი¹⁹ე.

დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტა, |20 მარიამობის თუეს კლ, კელითა კარისა ჩუენ ||²¹ მნიგნობრისა თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს |²² ნ ა ს რ ი ს ი თ ა .

ხელრთვა ხვეულად: ლ უ ა რ ს ა ბ
ბოლოში უზის დიდი ზომის სპარსული ბეჭედი.

კომენტარი:
აბაზასქენი იყენენ წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენელნი. მათი წარმომავლობა უკავშირდება IX-X სს. შიდა ქართლის ერისთავებს – ტბელებს. XI საუკუნეში ბაგრატ IV-სთან დაპირისპირების შედეგად მათი ნაწილი კახეთში გადახვეწილა, ნაწილი დარჩენილა შიდა ქართლში. გვიან შუა საუკუნეებში შიდა ქართლში მცხოვრები აბაზაძეები სამეფო აზნაურების წოდებას ატარებენ. გიორგი სააკაძის სპარსეთში გადახვეწვის შემდეგ მისი ყმა-მამული მასთან დაპირისპირებულმა თავადებმა დაინაწილეს. უცნობია, იყენენ თუ არა აბაზაძეებიც მოურავის მოწინააღმდეგეთა დაჯგუფებაში, მაგრამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ზაალ აბაზაძე მეფისთვის მისადები პერსონა ყოფილა და საკმაოდ მაღალ სამოხელეო თანამდებობას – ბაზიერთუხუცესობას – ფლობდა.

**1613 წ. 10 ოქტომბერი. მამულის წყალობის წიგნი
ლუარსაბ მეფისა ზაალ აბაზაძისაგან**

პ ი რ ი: ხეც, Sd-1206; გადაწერილი XIX საუკუნეში ცისფერ ქაღალდზე, 2 ფრ. ყავისფერი მეღანი; ხელი მხედრული. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1820 წელს. რეგისტრაციის ნომერი: №263.

პ ი რ ი ს პ ი რ ი: Qd-9511 (ფრაგმენტი).

თ ა რ ი ღ ი: ქორონიკონი ტა (301) ღვინობისთვის O (10), რაც გვაძლევს 1613 წლის 10 ოქტომბერს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი: მწიგნობარი ნასრია თუმანიშვილი.

{ქ.} ნებითა და შენეენითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, ღ(მრ)თივ-გვირგვ(ი)ნოსა{ნ} მან მეფეთ-მეფემან, პატრონმან ლ უ ა რ ს ა ბ , ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენს ერდგულსა ყმასა ა ბ ა ზ ა ძ ე ს , ბაზიერთუხუცეს ზ ა ა ლ ს და შენსა ძმასა ა მ ი ლ ღ ა ბ ა რ ს , და

მამავალთა და შვილთა სახლისა თქუენისათა, მას ჟამსა, ოდეს მოგვიდექით კარსა და მამულისა წყალობასა დაგვიჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგინყალეთ და გიბოძეთ თ ე ლ ა დ გ ო რ ს თ უ რ მ ა ნ ი ძ ი ს ს უ ლ ხ ა ნ ი ს ა კერძი სამართლიანი მამული, რისაც მქონებელი ს უ ლ ხ ა ნ ყოფილა, მისი სამართლიანი სამძლუ- 5 რითა და საქმითა, მითითა, ბართითა, წყლითა, წიცქუ(ი)ლითა, ველითა, ვენახ-ითა, სახნავ-სათიბითა, შესავლითა და გამოსავლითა, ყოვლითურთ სამკვი-დროდ და სამამულეთ თქუენთს გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შ(ინ)ა. 10

ანე, გიბძანებთ კარისა ჩუენისა ვეკილ-ვეზირნო, მდივანნო და სხუანო მოსაქმენო, ვინგინდა-ვინ იქმნეთ და ანუ ვინგინდა-ვინ იქმნებოდეთ, მერმე თქუენცა ესრე გაუთავეთ, რარიგათაცა ამ ჩუენგან ნანყალობელს სიგელში ენეროს, ნურცარას თქუენ შაუშლით და შეეცილებით, თვინიერ თანადგომისა და შენავნისაგან კიდე. 15

დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტა, ღვინობისთვის O, კელითა კარისა ჩუენისა მნიგნობრისა თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ნ ა ს რ ი ა ს ი თ ა .

დედანს ჰქონია ხელრთვა: ლ უ ა რ ს ა ბ და მეფის ბეჭედი.

პირი დაბეჭდილია სამი რუსული ბეჭდით: თავში უზის ორი, ხოლო ბოლოში ერთი ლუქიანი.

პირის ნამდვილობას ადასტურებენ: გ(უ)ბერნიის მარშალი მ უ ხ რ ა ნ - ბ ა ტ ო ნ ი . . . [კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე], გორის უეზდის კეთილშობილთ დეპუტატი თ(ავად)ი მაიორი ნ ი [კ ო ლ ო ზ] (?) ე რ ი ს თ ა ვ ი , ტფილისის კეთილშობილთ დეპუტატი თ(ავად)ი ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , თელავის უეზდის დეპუტატი მაიორი თ(ავად)ი ქ ო ბ უ ლ ო ვ ი , სიღნაღის უეზდის კეთილშობილთ დეპუტატი თ(ავად)ი ი ო ა ნ ე ა ნ დ რ ო ნ ი კ ო ვ ი .

კომენტარი:
სულხან თურმანიძე უშვილოდ “გადასულად” იხსენიება 1631 წლის საბუთში (Hd-2122). როგორც ჩანს, მისი მამული თელათგორში (შიდა ქართლი, კასპის მუნიციპალიტეტი) ბეითალმანის წესით სამეფო ხაზინაში გადასულა, რის შედეგადაც იგი მეფემ ახალ მფლობელს გადასცა.

1613 წ. წყალობის წიგნი ლუარსაბ მეფისა და თამარ დედოფლისა ავთანდილ მარტიროზიშვილისაჲმ

პ ი რ ი: სეა, 1450-1/132

საბუთი ჩანერილია სარეგისტრაციო დავთარში 1820 წელი.

თ ა რ ი ღ ი: ქორონიკონი ტა (301), რაც გვაძლევს 1613 წელს.

ქ. ნებითა და შენევენითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, ლ(მრ)თივ-აღმართებულმან და ლ(მრ)თივ-დამყარებულმან და ლ(მრ)თივ-გვირგვინოსანმან, მეფეთ-მეფემან პატრონმან ლ უ ა რ ს ა ბ , და დედამან ჩუენმან, დედოფალთა-დედოფალმან პატრონმან თ ა მ ა რ , ესე უკუნისამდის ჟამთა გასათავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა ყმა-სა მ ა რ ტ ი რ ო ზ ი შ ვ ი ლ ს ა ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს , ძმასა შენსა ს ო რ ა ზ ა ნ ს და ბ ე ჟ ა ნ ს , შვილთა და მამავალთა ყოელთავე სახლისა თქვენისათა.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და ა ლ ს მამულისა წყალობასა და-გუეაჯენით, ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგინყალეთ და გიბო-ძეთ ა ლ ს თ ა ყ ი ა უ რ ი მამული. რაც ჯ ჰ უ ტ - ა რ ა ქ ე ლ ა ს შ ვ ი ლ ი ს ფ ი რ ა ლ ა ს ბატონის დედოფლისაგან ბოძებოდა, ყოვლის მისის სამარ-თლიანის სამზღურითა და საქმითა, სამკუიდროდ და სამამულოდ თქუენთვის გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულობასა და სამსახ-ურსა შიგან ყოვლის კაცისაგან უცილებლად.

ანე, გიბ(რძანებ)თ ალის მოურაო, მამასახლისო, ნაცვალო და ხელოს-ანო, ვინგინდა-ვინ იყუნეთ და ანუ ვინგინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე ა ლ ს თ ა ყ ი ა უ რ ი მამული, რისაც მქონებელი ყოფილა ყოვლის მისის სამარ-თლიანის სამზღურითა, მ ა რ ტ ი რ ო ზ ი შ ვ ი ლ ს ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს ა თ - ვ ი ს გვიბოძებია. და თქვენც ასრე გაუთავეთ, რარიგაცა ამა ჩვენგან ნაწყ-ალობევსა სიგელსა შიგა ენეროს, ნურცა-რას თქუენ შეუშლით და შე[ე]ცილებით, თუნიერ თანადგომისა და შენევენისაგან კიდე.

დაინერა ნიშანი და ბ(რძანებ)ა ესე ჩუენი, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტა.

და ეს მამული ასრე გვიბოძებია, რომე, რაც ამ თ ა ყ ი ა უ რ ს უ ლ უ ნ - ბ ი ს ლ (მ რ) თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ბეგარა ედვას, იმას უკლებად უ ლ უ ნ - ბ ი ს ა ლ (მ რ) თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ს მიართმევდი და წყალობად თქვენთვის გვიბოძებია.

ხელრთვები: თ ა მ ა რ , ლ უ ა რ ს ა ბ

მინაწერი პირზე: 1. ასლიდამ თანასწორ არს ჩაწერილი, სოვეტნი-კი თ(ავად)ი თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ო ვ ა ნ ი.

2 გირგოსანმან ნსხ. 8 მოგიდექით ნსხ.

კომენტარი:

1. ბატონი დედოფალი – იგულისხმება სიმონ I-ის მეუღლე, დედოფალი ნესტან-დარეჯანი. მოცემული საბუთის გაცემის დროს იგი აღარ არის ცოცხალი. ე.წ. თაყიაური მამული, რომელიც დედოფალ ნესტან-დარეჯანს ფირალა ჯუტ-არაქელას შვილისათვის უბოძებია (1612 წ.) სინამდვილეში ვალის საზღაურად მიუცია. ნესტან-დარეჯანის გარდაცვალების შემდეგ ამავე მამულს თამარ დედოფალი უწყალობებს თავის მწიგნობარს. საბუთში, მართალია, მითითებული არ არის, რის საფუძველზე გადაეცა მამული ახალ ადრესატს, მაგრამ სავარაუდოდ, მას უნდა გამოესყიდა იგი ძველი მეპატრონისაგან.
2. მარტიროზიშვილი ავთანდილი – დედოფალ თამარის კარის მწიგნობარი (იხ. აქვე, საბუთი 1450-26/4).

1613 წ. შვირშულების წიგნი ლუარსაბ მეფისა იმარუსალიმის ძრისტუს საფლავისაჲმ

პ ი რ ი: სეა, 1450-51/209; თავნაკლული. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის სარეგისტრაციო დავთარში 1826 წელს.

თ ა რ ი ღ ი: ქორონიკონი ტა (301), რაც გვაძლევს 1613 წელს.

. . . სოფელი თ ე რ გ ი ს ი , რაც ყ უ დ ა ი ნ ა თ ს ჰქონდა და ან სხუა კიდევე ა რ ა დ ე [თ] ს ს ა ლ ო ლ ა შ ე ნ ი ჩუენდად სადღეგრძელო[დ] და მი[ეფობ]ისა ჩუენისა წარსამართებლად, და ნი[რვი]სათვის და საკანონ-ოდ დისა ჩუენისა, პატრონისა ხ უ ა რ ა შ ა ნ ი ს თ უ [ი] ს შეგვიწირავს ი ე რ უ ს ა რ ე მ ი ს ა თ ვ ი ნ და ქ რ ი ს ტ ე ს საფლავისათვის. და პატრია{რ} ქის თ ე ო ფ ა ნ ე ს ა თ უ [ი] ს მოგ[ვ]ისხენებია და ნურა კაცი ნუ ეცილებით. ეს ფარდათ მოგვიხსენებია, და სხუა სიგელი პატრონმან მ ი ტ რ ო ჰ ო ლ ი ტ - მ ა ნ ზ ა ქ ა რ ი ა მ უნდა და სწეროს და ჩუენ ხელი ჩაურთოთ.

ამისად გასათავებლად თავდებად მოგვიცემია ლ(მერ)თი და ყოველნი მისნი წმინდანი და ვინც გაუტეხოს, ისმც ქრისტეს საფლავი რისხავს. ქ(ორონი)კ(ონ)ს ტა.

ხელრთვა: ლ უ ა რ ს ა ბ

მინაწერი პირზე: ასლთან თანასწორ არის, სოვეტნიკი თ(ავად)ი თ ა რ ხ ა ნ ო ვ ი .

კომენტარი:

1. თეოფანე III – იერუსალიმის პატრიარქი 1608-1644 წწ-ში. იგი ბევრს მოგზაურობდა შეწირულებათა შესაგროვებლად ეგვიპტე-

ში, სინას მთაზე, კონსტანტინოპოლში, მოლდავეთსა და რუსეთში. საქართველოში ჩამოსულ იერუსალიმის პატრიარქს ქართველი მეფე-მთავრები სწირავენ ყმა-მამულს. ლუარსაბ II-მ საბუთში ჩამოთვლილი სოფლები: თურგისი, ყუდაინათი, არადეთი, საღლაშენი თავისი მეფობის წარსამართებლად და თავისი დის – ხორეშანის საკანონოდ შესწირა ქრისტეს საფლავს. “საკანონო” წარმოდგენდა საეკლესიო სასჯელს (გადასახადის სახით), რომელსაც ადებდნენ რჯულის დამრღვევს მონანიების მიზნით. ლუარსაბის და ხვარაშანი გათხოვილი იყო კახეთის მეფე თეიმურაზ I-ზე. ეკლესიამ მათი ქორწინება არამართებულად მიიჩნია, რადგან მათ შორის ახლო ნათესაური კავშირი იყო (ხვარაშანის ბებია ნესტან-დარეჯანი იყო თეიმურაზის პაპის, ალექსანდრე II-ის, და). ბერი ეგნატაშვილის თანახმად, ხვარაშანზე დაქორწინება თეიმურაზს შაჰ აბასმა უბრძანა. მართალია, თეიმურაზისგან თავდაპირველად უარი მიიღო, მაგრამ “არა უსმინა შააბაზ და უწყინა და, რადგან დაუჟინა, ნება დართო თეიმურაზ და მორჩილ ექმნა და ჩამოჰყვა შერთვასა ხორაშანისასა“ (ბერი ეგნატაშვილი, 1959: გვ. 384-385). თეიმურაზის გარდა, ამ ქორწინების წინააღმდეგი სასულიერო პირებიც იყვნენ, თუმცა, ჩანს, მათაც ანგარიში გაუწიეს შაჰის მოთხოვნას: “პატრიარქმან და ეფისკოპოზთ კრება და რჩევა ქნეს: საქრისტიანოს გასაძლიერებლად ნება დართვეს ბატონს თეიმურაზს და ხორაშან წაიყვანა“ (აღასანია, 1980: გვ. 65). “საკანონო” გადასახადი ეკლესიისათვის თეიმურაზსაც გადაუხდია (იქვე, გვ. 65). მეფე თეიმურაზს კახეთში იერუსალიმის პატრიარქი თეოფანეც მიუღია და უხვად დაუსაჩუქრებია. ასევე, შეუწირავს სოფ. აღდგომა და კისისხევი (ხუციშვილი, 2006: გვ. 46-47).

2. ლუარსაბ მეფის მოცემული საბუთი დაწერილია “ფარდათ“, რაც ნიშნავს, რომ იგი მეფის ბრძანების პირველი, “შავი” პირია, ანუ, სასწრაფოდ არის ჩანიშნული. როგორც თავად ლუარსაბი გვამცნობს, საბუთის გადართვას ვეალებოდა მიტროპოლიტ ზაქარიას და უკვე დიპლომატიკური სტანდარტით გამართულ დოკუმენტს მეფე ხელმოწერით დაამტკიცებდა. მნიშვნელოვანია თავად ტერმინი “ფარდათ მოხსენება“, რაც თანაფარდს, შესაბამისს ნიშნავს. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ “საბუთის შინაარსის გადაცემასა და წერას ქართულ სამდივანმწიგნობრო ენაში თავისი ტერმინი ექნებოდა, მაგრამ ჯერ არსად ჩანს“ (ჯავახიშვილი, 1926: გვ.61). მოცემული საბუთის საფუძველზე ირკვევა, რომ ამ პროცესის აღსანიშნავად იყენებდნენ “ფარდათ მოხსენებას“.
3. პატრიარქი თეოფანე საქართველოში დასავლეთ საქართველოდან უნდა შემოსულიყო გურიის გზით. იგი შეხვედრია გურიის მთავარ მამია II-ს სოფ. ჩეხედენაში (ჩეხედენაში გურიელებს რეზიდენცია ჰქონდათ). ამ დროს მამიას მცირეწლოვანი შვილი მანუჩარი ახალგარდაცვლილი (1612 წ.) ჰყოლია, ცოტა უფრო ადრე

კი, 1609 წელს, მისი მეუღლე დედოფალი თინათინი გარდაცვლილა (ოდიშელი 1968: გვ. 67). პატრიარქ თეოფანეს კურთხევით იმ ადგილას ეკლესია აუგიათ და მშენებლობის დასრულებამდე პატრიარქი იქ გაჩერებულა. მამიამ გურიელმა ჩეხედენას ტაძარი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეტოქედ დააფუძნა და მისი ყმა-მამულითა და საეკლესიო ინვენტარით იერუსალიმის საპატრიარქოს შესწირა მანუჩარისა და გარდაცვლილი მეუღლის, თინათინის, სულის საოხად. ასევე, იერუსალიმს შესწირა სოფ. ბაილეთი 20 კომლით (Ad-1913, ბურჯანაძე, 1958: 137-140). ამრიგად, თეოფანე 1612 წელს იმყოფებოდა გურიაში, 1613 წელს კი უკვე ქართლშია.

4. მიტროპოლიტი ზაქარია არის ნეკრესელი ზაქარია ჯორჯაძე, რომელიც 1613 წლიდან უკვე სამეფო კარის ეკლესიის წინამძღვარია, იმავდროულად ქვათახევის წინამძღვარი. 1623 წლიდან ზაქარია ქართლის კათალიკოსია “პირთა ანოტირებულ ლექსიკონში” კარის ეკლესიის წინამძღვარი ზაქარია და კათალიკოსი ზაქარია სხვადასხვა პერსონად არის დაფიქსირებული, რაც არასწორია. (კლდიაშვილი (შემდგ.), 1993: გვ. 212; კაჭარავა 2000: გვ. 106-108).

1613 წ. მამულის წყალობის წიგნი ლუარსაბ მეფისა ამირქაზ ახანისაგან

პ ი რ ი: სეა, 1449-833, გადაწერილი 1821 წელს.

თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი ტა (301), რაც გვაძლევს 1613 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი: სამეფო კარის მდივანი ნასრ თუმანიშვილი.

ქ. ჩვენ, ღვთივ-გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან, პატრონმა ლ უ ა რ ს ა ბ , ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენსა ერთგულსა და ერთგულად ნამსახურსა ა მ ი რ ე ჯ ი ბ ს ა ა ს პ ა ნ ს ა და შენტა შვილთა, ოდეს მოგვიდეგით კარსა და მამულის თხოვასა გვეაჯენით, და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, მოგეცით რაც ს ა უ [ლ უ მ] ბ ო მამული იყო, უკლებლივ სრულიად ა [ძ] ვ ი ს ი , ნ ა ლ უ ლ ს ს ა მ ა დ ა ნ ი ს შ ვ - ი ლ ი ს მამული და კიდე ნ ა ლ უ ლ ს , რაც რ ე ვ ა ზ ი ს შ ვ ი ლ ი ს ა კერძი იყო. მოგვიცემია მკვიდრად და მოუშლელად მისითა მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, სახნავითა და სათესავითა, საძებრითა და უძებრითა და ყოველის მისის სამართლიანის საქმითა, ჩვენსა ერთგულად სამსახურშია.

გაგითაოს და გიბედნიეროს ღმერთმან. ვინგინდა-ვინ ჩვენის კარის მოსაქმენი და ბრძანებისა მორჩილნი იყუნეთ, რარიგადაც ჩვენგან წყალობა

5 საულუმბო] საულუმბო ნსხ. 6 ამვისი] ამვისი ნსხ.

იყოს, თქვენც ასრე დაუმტკიცეთ და ნურავინ რას შეუშლით.
დაინერა წიგნი და ბრძანება ესე ჩვენი, კარის ჩვენის მდივნის კელითა,
თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ნ ა ს რ ი ს ი თ ა .
ქორონიკონს ტა.

ხელრთვა: ლ უ ა რ ს ა ბ

(საბუთის პირს ამონმებს ექვსი მონმე).

მინანერი პირზე: ,დამონმებულის კოპიოსთან შევამონმე და თანასწორ
არის, სოვეტნიკი თ(ავად)ი ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი .

კომენტარი:
ამირეჯიბი – აქ ქართლის ფეოდალური საგვარეულოს გვარსახელი. მომ-
დინარეობს ცენტრალური აპარატის მაღალი რანგის მოხელის, ამირე-
ჯიბის, სახელწოდებიდან (არაბ. ამირ აღ-ჰაჯიბ მეკარეთა უფროსი). ერ-
თიან საქართველოში ამირეჯიბები მანდატურთუხუცესის თანაშემწეები
იყვნენ. XV-XVI საუკუნეებში სამოხელეო სისტემაში ცვლილებების
შედეგად ამირეჯიბობა დაემცრო, მაგრამ სამეფო კარზე ჯერ კიდევ
მნიშვნელოვანი თანამდებობა იყო. ამ დროს მირეჯიბობა ეპყრათ გაბე-
ლისძეებს. დროთა განმავლობაში, თანამდებობის მექვიდრეობითი გად-
აცემის წესის ზეგავლენით, ამირეჯიბი გვარად გადაიქცა (სურგულაძე
(რედ.) 2017: გვ.108-109; ოთხმეზური, 2009: გვ.10).

**1613 წ. 1 ნოემბერი. წყალობის წიგნი ლუარსაბ მეფისა
შერმაზან ლარაბისაჲმ**

პ ი რ ი: სეა, 1450-57/8, ჩაწერილი რუსული მმართველობის სარეგისტრა-
ციო დაგთარში 1819 წ.
თ ა რ ი ღ ი: ქორონიკონი ტა (301), გიორგობისთვესა ა, რაც გვაძლევს
1613 წლის 1 ნოემბერს.
საბუთის დ ა მ წ ე რ ი: სამეფო კარის მწიგნობარი ნასრ თუმანისშვილი.

ქ. ნებითა და შეწვევითა მღვთისათა, ჩვენ, გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფე-
მან, პატრონმან ლ უ ა რ ს ა ბ , ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ
და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურთა ყმათა,
ლ ა რ ა ძ ე ს შ ე რ მ ა ზ ა ნ ს , შენსა ძმასა ბ ი ძ ი ნ ა ს ა , ზ ე ნ ბ ა დ ს ა
5 და შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, მას ჟამსა, ოდეს მოგვიდე-
გით კარსა და მამულის წყალობასა დაგვიაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენ-
ება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ე რ ტ ი ს ი – ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს

ს ა ჩ ი ნ ო ს კერძი სამართლიანი მამული, რისაც მქონებელი ე რ ტ ი ს { ს }
ყოფილა, მისის მართლის სამართლიანის სამძღვრითა და საქმითა: მთი-
თა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, სახნავ-სათიბრითა,
შესავლითა და გამოსავლითა, ყოვლითურთ სამკვიდროდ და სამამულედ
თქვენთვის გვიბოძებია.

5

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულად სამსახურსა
შიგან.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვეკილ-ვეზირნო, მდივანნო და სხვანო
მოსაქმენო, ვინგინდა-ვინ იყვნეთ და ანუ ვინგინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე
თქვენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამ ჩვენგან ნაწყალობევს სიგელში ენ-
ეროს. ნურც არას თქვენ შეუშლით და შე[ე]ცილებით, თვინიერ თანადგომისა
და შეწვევისაგან კიდე.

10

დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტა, გიორგობის
თვესა ა, ხელითა კარისა ჩვენისა მნიგნობრის თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს
ნ ა ს რ ი ს ა თ ა .

15

ხელრთვა: ლ უ ა რ ს ა ბ (ადგილი ბეჭდისა).

პირზე დართული მინანერები:

1. ასლიდამ თანასწორ არს ჩაწერილი, სოვეტნიკი თ(ავად)ი თ ე ი მ უ -
რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ო ვ ა ნ ი ;
2. ასლი დოკუმენტი მივიდე, კეთილშობილი ი ო ს ე ბ ლ ა რ ა ძ ე .

კომენტარი:

1. ლარაბეები – სამეფო აზნაურები ქვემო ქართლიდან.
2. ბარათაშვილი საჩინო – სომხით-საბარათიანოს სარდალი სიმონ I-ის
დროს. საჩინომ დასაჯა –კლდიდან გადააგდო – სიმონ I-ის მოღა-
ლატე აზნაური კახაბერ ყორღანაშვილი (ვახუშტი ბატონიშვილი,
1993: გვ. 409).

**1614 წ. ბრძანება მეფე ლუარსაბისა
დავით [დავითიშვილისაჲში]**

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Sd-599; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 16,5X16,8 სმ.; შავი ფერის მეღანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი. მესამე “წერტილი” ირიბადაა წაგრძელებული სტრიქონს ქვემოთ. დაზიანება: დოკუმენტის ზედა ნაწილში, გადანაკეცების გასწვრივ, მოხეულია ქაღალდის მომცრო ზომის ფრაგმენტები, რის გამოც სანახევროდ დაკარგულია I სტრიქონის მესამე სიტყვის გრაფემები; რესტავრირებული.

თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი ტბ (302), რაც გვაძლევს 1614 წელს.

ქ. რისაც სამკუდიდროს მამ[უ]ლის მქონებელნი და ვ ი თ ყოფილა, მისის სამართლიანის I³ სამძღურითა და საქმითა, ისრევე და ვ ი თ ი ს ა , I⁴ მისის შვილის კ ო ს ტ ა ნ დ ი ლ ე ს ა , ე ლ ი ზ ბ ა რ ი ს ა I⁵ და შ ი ო შ ი ს თ უ ი ს გუიბობებია. და ნურა I⁶ კაცი ნუ ეცილებით.

ქ(ორონი)კ(ონ)სა I⁷ ტბ.

ხელრთვა: ლ უ ა რ ს[ა]ბ

კომენტარები: დავითიშვილების შესახებ იხ. აქვე, საბუთები: Hd-102243 ბ, Hd-14631.

**1614 წ. მფარველობის პირობის წიგნი ბიორგი იმერთა
მეფისა დავით [დავითიშვილისაჲში]**

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd-14631; მოყვითალო ფერის ქაღალდი; გრაგნილი; ზომა: 41,5X17 სმ. შავი ფერის მეღანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი, სამწერტილი და იშვიათად ოთხწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; კიდები გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი სამას და ორი (302), რაც გვაძლევს 1614 წელი. საბუთის და მ წ ე რ ი: მდივანმწიგნობარი თავაქარაშვილი თაყა.

ქ. ჩუენ, ლ(მრ)თივ-ალმატებულმან და ლ(მრ)თივ-დამყარეშულმან, ძლიერმან და უძლეველმან, ჩუენ, ლმრთი³ვ-გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან გ ი ო რ გ ი , I⁴ და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ დედოფალ⁵მან პატრონმან თ ა მ ა რ , ესე წყალობის საიმედლო წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქუენ, და ვ ი თ ს I⁷ და თქუენსა შვილსა კ ო ს ტ ა ნ დ ი ლ ე ს , ე ლ ი ზ ბ ა რ ს და I⁸ ს ი ა ო შ ს , მას ჟამსა, ოდეს დაგვეაჯენით.

და ჩუენ⁹ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და შეგინყალეთ¹⁰ და გიბოძეთ, რაც ქ ა რ თ ლ ს მამულისა, ციხისა და¹¹ აზნაურიშვილის მქონებელი იყუნეთ, და მეფის ლ უ ა რ I¹²ს ა ბ ი ს ჟამშიგ[ა] ქონებოდეს, ან მისი წიგნი და სიგე¹³ლი ქონებოდეს, ის არც ჩუენ მოგიშალოთ და¹⁴ გაგიტაოთ, თუ ღმერთმან ხელად შემოგვიგდ¹⁵ოს. ასრე თქუენთვის გვიბოძებია, რომ სხუას თქ¹⁶უენს გუარისკაცს ამაშიდ ხელი არა ჰქონდეს თქ¹⁷უენ და თქუენის შვილის მეტს.

თუ არა ქ ა რ თ ლ ი ს ა ლI¹⁸აგი ხელად არ შემოგვივარდეს, და თქუენი თავი ჩუე¹⁹ნი შემოგურჩეს, და მეფემ ლ უ ა რ ს ა ბ დაგუანებოს,* რისაც შემძლებელნი ვიყოთ, იმითი I²⁰ გარჩინოთ და შეგინახოთ. არცა ვის საძალოთ²¹ და სა[ა]კვაცოდ დაგანებოთ, რისაც შემძლებელნი ვიყო²²თ, არც სა[ა]ჯოს კარი დაგიჭიროთ. და თუ ვინმე თქ²³უენი თავი შემოგუაბებლოს, არც გაუკითხავად გაგინ²⁴ყრეთ, გაგიკითხოთ და, მართალი გამოხვიდეთ, არა²⁵ გაბრალოთ-რა.

ამისად გასათავებლად თავსდება²⁶ მომიცემია თავად ღმერთი და ყოველნი მისი²⁷ წმიდანი: ზეცისანი, ქუეყანისანი, კორციელი და უკო²⁸რციონი. და ხელიც ასრე ჩაურთოთ. ამისის გათ²⁹ავების მეტი არა ა[ლ]ვიაროთ-რა.

ანე, დაინერა ბრძა³⁰ნება და წიგნი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა სამას და ორსა, ხელ³¹ითა კარისა ჩუენისა მდივანმწიგნობრისა თ ა ვ ა I³² ქ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს თ ა ყ ა ს ი თ ა .

ბოლოში უზის ჯვარი და მრგვალი ფორმის სპარსული ბეჭედი.

მინანერი: გიორგი მეფის წიგნი არის.

კომენტარი:

- 1. დავითიშვილები იმერეთის მეფისგან მამულებს იღებენ XVI საუკუნეშიც (იხ. აქვე, კომენტარი:1608 წლის საბუთთან Hd-10243 ბ). ბაგრატ III-მ დავით დავითიშვილს გადასცა ზემო ქართლის სოფლები: ნული, თორმანული, ღვევრეთი, ფლევი, ქანბადი, ცხეთას ჯვარი, მოხის-რუისის გლეხები, საყდარი სასაფლაოდ, აზნაური ჯერჯაულისძენი და ტატიშვილები (გორგიჯანიძე, 1925: გვ. 300; ნინიძე, 2004: გვ. 209). ვფიქრობთ, იმერთა მეფე იმ სიუხერენულ-ვასალურ ვალდებულებას ემყარებოდა, რომელიც მის წინაპარ მეფეებს (ბაგრატ III-ის დროიდან) ჰქონდათ დავითაშვილებთან დადებული. რადგან გიორგი მეფე “ლუარსაბის ჟამშიგან” უმტკიცებს ქართლის სოფლებს დავითიშვილებს, ამავე დროს ითვალისწინებს ლუარსაბის სუხერენულ უფლებებს ქართლის მიწებზე, რაზედაც აცხადებს: “თქუენი თავი ჩუენ შემოგურჩეს, და მეფემ ლ უ ა რ ს ა ბ დაგუანებოს“. მოგვიანებით, სავარაუდოა, სიმონ-ხანის (1616-1619) გამეფებამდე, დაახლ. 1615-1616 წლებში, მეფე გიორგი საგვარეულო ქონებას (მამულებს, აზნაურებს, ვაჭრებს) უმტკიცებს დავით ბოქაულოთუხუცესს და მის შვილებს: “სტკოცა რიკაძეებით, წაბლუანა, აბანო, ბრეთი, გორს ორი ვაჭარი და აღში ერთი

* სიტყვა “დაგუანებოს“ ტექსტში ჩამატებულია იმავე ხელით.

ვაჭარი, ახალდაბა” (ეს უანასკნელი გადაშლილია) ხეც, Hd-14633.

2. თავაქარაშვილები – იმერთა მეფის მდივანმწიგნობრები. XV საუკუნეიდან (ალაღად თავაქალაშვილი) იმერეთის სამეფო კარზე მწიგნობრებად ჩანან. თაყა თავაქარაშვილის დაწერილია გიორგი მეფის წყალობის წიგნი სერაპიონ ცაგერელისადმი (Qd-9085 ბ) და ზემოთ მოყვანილი საბუთი.

1614 წ. შაჰრუშულის წიგნი თეიმურაზ მეფისა მატეხის ღმრთისმშობლისადმი

საბუთი დაკარგულია, იგი მცხეთის ნუსხებში ნომრით №სნდ (254), უნახავს თ. ჟორდანიას და ქრონიკების II ტომში შეუტანია მისი მოკლე შინაარსი. გამოცემაში გამეორებულია თ. ჟორდანიას პუბლიკაცია.

თარიღი: ქრონიკონი ტბ (302), რაც გვაძლევს 1614 წელს.
საბუთის დამწერი: მეფის მოძღვარი ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი.
გამოცემა: ჟორდანიას, 1897: გვ.440.

ქ(ორონი)კ(ონ)ს ტბ, მეფემ თეიმურაზ-ხუარაშან (ძენი ლეონ და ალექსანდრე), მეტეხის ღ(მრ)თისმშობელს: „შემოგწირეთ უჯარმას მონასტერი სიონი და ხორაუგს ქუაბნი.. მას ჟამსა, ოდეს სასურველი ასული მეფისა.. გიორგისი თანამეცხედრედ ჩუენდა მოყუანებად კელეყავით. დაინერა კელითა მოძღურისა ჩოლოყაშვილის ნიკოლოზისითა ქ(ორონი)კ(ონ)ს ტბ“.

1615 წ. ყმა-მამულის წყალობის წიგნი, კოპეპული ლუარსაბ მეფის მიერ ქაიხოსრო და მერაბ ციციშვილებისათვის

დედანი: ხეც, Ad-1410; ყვითელი ფერის ეტრავი; ზომა: 15X17,5 სმ; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთის კიდეები და ტექსტის ზოგიერთი ადგილი გადაცრეცილია და გრაფემები არ იკითხება, გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. ტექსტს ახასიათებს ა-მეტობა.

თარიღი: ქრონიკონი ტბ (303), რაც გვაძლევს 1615 წელს.

ქ. ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ ჩუენ, |² მეფე-მა პატრონმა ლუარსაბ, თქუენ, ციცის შვილსა ქაიხოსროს

|³ და მერაბს და შვილთა და მომავალთა ს(ა)ხლის თქუენისათა.

ბე[დნიე]⁴რს ყ(ა)ენს რალ(ა)მი ებოძებინა, თქუენი კერძი მამული ფარსადანს ნაბ[...]⁵დევე(ა)დ ქონდა. მოკითხული ვქენით, ზოგი თქუენი სამკვიდ[რო] და ზ[ოგი] |⁶სან(ა)ცლოდ მოგეცით ნიჩბისი, ოკერა, დოესი, ავკეთი, ი(ი)ს[ციხე], |⁷ქვენა ფლავი, ღვივის-კევი, აზნაურ(ი)შვილი შეხმასურ უზნაძე, დავით |⁸ხახულარი, ამოვან ალექსიძე, მერაბა შატელ(ი). ესე(ე)ბი, რის(აც) |⁹მამულისა მქონებელნი ყოფილან და ანუ არიან, ბედნიერს¹⁰ ყ(ა)ენს თქუენტვის ებოძებინა და ჩუენც ბედნიერის ყ(ა)ენის ბრძანე[ბა] |¹¹ გავათ(ა)ვეთ და გიბოძეთ.

ქ(ორონი)კ(ონ)ს ტბ.

ხელრთვა ხვეულად: ლუარსაბ

1615 წ. წყალობის წიგნი ლუარსაბ მეფისა ღვთის [ღვთისმშობლისადმი]

ძველი პირი: ხეც, Sd-600; ამ ნომრის ქვეშ დაცულია ორ სხვადასხვა ზომის ფურცელზე გადაწერილი ერთი და იგივე საბუთის ტექსტი. დაწერილია მოყვითალო ფერის ქაღალდზე; პირველის ზომა: 29X14,8 სმ. მეორის – 34,6X15,5 სმ. მეორეს აკლია დასაწყისი ნაწილი და ახასიათებს ალაგ-ალაგ ორთოგრაფიულად მცდარი წაკითხვები. გადამწერს შეუნარჩუნებია დედნის განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

გამოცემაში გამოყენებულია პირველი ტექსტი. სათაურში ადრესატის გვარის – “დავითიშვილი” – აღდგენა ემყარება საბუთში დავითიშვილთა საგვარეულო სახელების (დავით, კოსტანტინე, ელიზბარ) და საგვარეულო სამფლობელოს (აბანო) მოხსენიებას.

თარიღი: ქრონიკონი ტბ (303), რაც გვაძლევს 1615 წელს.
გამოცემა: თაყაიშვილი, 1909: №187, გვ. 228

ქ. ესე წყალობისა წიგნი და ფიცი გიბოძეთ² ჩუენ, მეფემა პატრონ[მან] ლუარსაბ, [თ]³ქუენ, დავითსა და შვილთა შენტა კოსტანტი⁴ნეს, ელიზბარსა და შიოშს.

ასრე და ამა პირსა⁵ ზედან, რომე მოხუედით კარსა ჩუენსა, და⁶ ვისმინეთ აჯა თქუენი და მოგიბოძეთ, რისაცა |⁷ მამულისა და ყმისა მქონებელი იყავით – ანუ⁸ ვაჭრისა, და ანუ აზნაურისშვილისა, ანუ ძ⁹უელად ნაქონი და ანუ ჩუენგან ნაბოძები¹⁰ – ყუელა უკლებლად შენთუის და შვილთა თქუენთ¹¹ათუის გუიბოძებია ყოვლის კაცისაგან კელმ¹²უელად.

³ შეილსთა ნსხ.

და თუ ვინმე შენი თავი შემოგუა¹³ბეზლოს, გაგიკითხოთ, და რისაცა შემცოდენი¹⁴ არ იყოთ, მის მეტი არა-რა გარდაგაქდევინ¹⁵ოთ-რა. და არცა-ვის უსამართლოდ საბალო¹⁶დავანებოთ შენი თავი. და არას შენის გუარის¹⁷ კაცს შენს მამულზედ კელი არა ჰქონდეს, და¹⁸ ა ბ ა ნ ო , რარიგაცა უნინ ჰქონებოდეს, ისრევე¹⁹ თქუენტუის გუიბოძებია. და რარიგაცა ბედნიერის ყ²⁰აენის ფარვანა გქონდეს, ჩუენცა ისრე გაგუი²¹თავებია.

ანე, გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თმა ²²ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინა.

ამისად²³ გათავებისად²⁴ თავდებად მოგუიციემა ლმერთი და ყ²⁵ოველნი მისნი წმინდანი, კორციელნი და²⁶ უკორციონი. და კელიცა ასრე ჩაგირთოთ, რ²⁷ომე გუენებაში ამის გათავებისგ²⁸ან მეტი სხუა ა²⁹რა ა³⁰ლ³¹ვიაროთ-რა.

ქ(ორონი)კ(ონ)სა ტბ.
ხელრთვა: ღ უ ა რ ს ა ბ
ბოლოში უზის დიდი სპარსული ბეჭედი.

პირის გადამღების მინანურები:

1. ქ. ესეც სწორე ს³²ევადაი არის, ლ(მერ)თი მომეცეს თ³³ავდ³⁴ა³⁵ე³⁶ბათა და ამისი დ³⁷ა³⁸უ³⁹დანი აქ მაქსა.

ბეჭედი: დ ა ვ ი თ

2. ქ. ეს ს⁴⁰ევადაი მე, ქ⁴¹ა⁴²ი⁴³ ხ⁴⁴ ო⁴⁵ ს⁴⁶ რ⁴⁷ ო⁴⁸ ბ⁴⁹ ე⁵⁰ გ⁵¹ ს⁵² წამილია.

ბეჭედი: ქ ა ი ხ ო ს რ ო

გვიანდელი მინანურები: 1615 წ. ამის ნამდვილიც გვაქვს. გ. თ. 1615 წ. გადანერილია.

1616 წ. ყმა-მამულის მფლობელობის განახლების წიგნი ბაგრატ მეფისა მოურავ ბიორბი [საბაბისაღმი]

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd-14418; სიძველისაგან გაყავისფერებული ქაღალდი; ზომა: 27,4X15,2 სმ. მხედრული; შავი მეღანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; კიდები გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

პ ი რ ი: ხეც; Hd-13954-ბ.

თ ა რ ი ღ ი: ქორონიკონი ტლ (304), რაც გვაძლევს 1616 წელს.

ქ. რისაც მამულისა და საკელოს მქონებელი მო¹ურავი გ ი ო რ გ ი ყოფილა, ან ბედნიერის ყაენ²ისაგან წყალობა დამართებია, ან ბატონ³ის ს უ ი მ ო - ნ ი ს ა და ან ბატონის გ ი ო რ გ ი ს ა და⁴ ბატონის ლ უ ა რ ს ა ბ ი ს ა გ ა ნ ,

14 მისა ნსხ. 20 გაქონდეს ნსხ. 23 გათავებისა ნსხ.

მათ ჟამში⁵ მამულის მქონებელი და ანუ საკელო⁶ს მქონებელი ყოფილან, ისრევე მისის⁷ სამართლიანის სამძღურითა და საქმითა მ⁸ისთვის და მის შვილთათვის გვიბოძებია.⁹ და ნურა კაცი ნუ ეცილებით, ნურც ნა¹⁰წყალობევსა და ნურც სამკუიდროსა. ქ(ორონი)კ(ონ)სა¹¹ ტლ.

ხელრთვა ხვეულად:
ბ ა გ რ ა ტ

გვიანდელი მინანური საბუთის თავში: 1. საბარათიანოს სოფლები ს<ა>წირია, 2. ბაგრატ მეფის წიგნი მამულების და სახელოსა.

1616 წ. 8 ნოემბერი. სოფელ ძვემო ვერაქვის მფლობლის წიგნი ბაგრატ მეფისა სომხითის მელიქ ათაბაგისაღმი

დ ე დ ა ნ ი: სეა, 1448-1024; ყავისფერი ქაღალდი; ზომა 27X17; მხედრული; შავი მეღანი; საბუთის პირველი სტრიქონი და მეორე სტრიქონის ნაწილი ყავისფერი მეღნითაა შესრულებული; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი, ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

პ ი რ ი: ხეც, Hd-13954-ბ

თ ა რ ი ღ ი: ქორონიკონი ტლ (304) გიორგობისთვის მ (8), ანუ 1616 წლის 8 ნოემბერი.

ბ(რ)ძ(ანე)ბ(ი)თა ლ(მრ)თ(ისაჲ)თა და წყალობითა შაჰ(ა)ბასი[ს]ითა ¹

ქ. მეფემან, პატრონმან ბ ა გ რ ა ტ , ესე წყალობისა წიგნი² და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენ³სა ერდგულსა ყმასა, ს ო მ ხ ი თ ი ს მელიქს ა თ ა ბ ა გ ს , თ⁴ქუენსა ძმასა ზ ა ქ ა რ ი ა ს და ძმათა და მამავალთა სახ⁵ლისა თქუენისათა.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა ⁶ და მამულისა წყალობასა და-გუეაჯენით, ბატონს ლ⁷ უ ა რ ს ა ბ ს ქ ა რ ა ტ ა კ ი და გ ე ლ ა ქ თ ა გ ი თქუენტუის ებოძები⁸ნა, ის გამოგართუით და ბადი ზ ა მ ა ნ ა ს შვილთა და ბატონ⁹ის ¹⁰ შვილთ [ვ]უბოძეთ. და იმისად სანაცლოდ გიბოძეთ ქ უ ე - მ ო ¹¹ ნ ე რ ა ქ უ ი მისის სამართლიანის სამძღურითა და საქმითა, ¹² მთითა, ბართა, წყლითა, წისქულითა, ველითა, ვენაკითა, ¹³ საკნავ-სათიბრითა, შესავლითა და გამოსავლითა. ყოვლით¹⁴ურ თქუენტუის გუიბოძებია, გქონდეს და გიბედნიეროს ¹⁵ ლ(მერ)თმან ჩუენსა ერდგულად სამს¹⁶ახურსა შიგა.

კარისა ¹⁷ ჩუენისა ვაქილ-ვაზირნო და მდივან¹⁸ნო, თქუენცა ასრ¹⁹ე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ბრძანებულს ²⁰ სიგელში ეწეროს.

დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ²¹ ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლ, გიორგობისთვის მ.

ხელრთვა: ბ ა გ რ ა ტ

კომენტარი:

1. სომხითის მელიქი – 1604 წ. შაჰ აბასმა ქართლის სამეფოს ჩამოაჭრა ლორეს მხარე, სადაც შექმნა ლორეს სახანო, რომელიც სპარსულ წესზე მოწყობილი პოლიტიკური ერთეული იყო, ამასთან შაჰის დასაყრდენი ქართლის მეფეების წინააღმდეგ საბრძოლველად. შაჰმა ლორეს მხარე სამართავად გადასცა გამუსლიმებულ აზნაურ მირიმანს, რომელიც თბილისის მელიქი უნდა ყოფილიყო.

მირიმანის შთამომავლები – მირიმანიძეები მელიქის სახელოს მემკვიდრეობით ფლობდნენ. მათი საგვარეულო ორ შტოდ გაიყო და ჩამოყალიბდა: ლორის მელიქი, რომელიც ლორეს ციხეში იჯდა და სომხითის მელიქი, რომელიც ახტალაში იყო. შესაბამისად, ჩამოყალიბდა მელიქიშვილთა და ლორის მელიქიშვილთა საგვარეულოები (ბოშიშვილი 2013: გვ. 56).

ქვემო ქართლზე შაჰის პოლიტიკური გავლენის შესუსტებისთანავე სომხითის მელიქი მართლმადიდებელი გახდა. მისი საგანმგებლო სათავადოდ იქცა.

2. ათაბეგ მელიქი – ათაბეგ მირიმანიძე, სომხითის მელიქი 1619-1659 წწ. შაჰ აბასის ერთგული მოხელე. 1616 წ. სპარსელების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დალაშქრის შემდეგ აბასს თბილისში ბაგრატ VII დახვდა, შემდეგ კი გაემართა სომხითისკენ. “რამდენიმე დღე ილხენდა მელიქ მირიმან სომხითარის შვილიშვილის, ათაბეგის, სამყოფელს, რომელიც [ირანის შაჰის] წმინდა გვარეულობის ერთგულთა რიცხვს ეკუთვნოდა“ (ისქანდერ მუნში, 1969: გვ. 111). მისი ოჯახი, მართლაც, გამოირჩეოდა შაჰის ერთგულებით. ათაბეგის ძმა სეფიყული-ხანი სპარსეთის სახელმწიფო მოხელე იყო. იგი ყილმარის და ალაშქერის ბეგლაბეგი იყო, ჯუღფის ტარულა, შემდეგ ჰამადანის და ერაყის მმართველი (გაბაშვილი 1958: გვ. 194; მავლა 2008: გვ. 102-104; ბოშიშვილი, 2013: გვ. 64).

1625 წ. მარტყოფის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ გიორგი სააკაძემ პროსპარსული დაჯგუფების თავადებს შეუტია, მათ შორის ათაბეგისა და მის ძმა ზაქუმს: “მიუჯდა ამათ მოურავი, ხოლო იგინი ივლტოდნენ და წაგუარნა დედაწულნი და ქონებანი“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1993: გვ. 434). ათაბეგი ძმებთან ერთად სპარსეთში გაიქცა და როსტომ-ხანის ქართლში მეფედ დამტკიცების შემდეგ დაუბრუნდა სამკვიდრო მამულს. შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის წყალობით კვლავ აღიდგინა პრივილეგიები (ბოშიშვილი, 2013: გვ. 66).

3. ზაქარია – ათაბეგ მელიქის ძმა. წყაროებში სხვადასხვა ფორმით იხსენება: ზაქუმი/ზაქუმბეგი/ზაქუ. მან საფუძველი დაუდო ზაქუმიშვილების საგვარეულოს. ზაქუმს სამი ვაჟი ჰყავდა: თამაზი, ბეჟანი და ალიყული. ამ უკანასკნელის შთამომავლები იწოდებიან ზაქუმიშვილებად. მათი სამამულე მფლობელობა ბოლნისზე ვრცელდებოდა (ბოშიშვილი, 2013: გვ. 65).

1616. წყალობის წიგნი თეიმურაზ მეფისა ლუარსაბისადმი

დედანი: ხეც, Ad-516; მოყვითალო ქაღალდი; ზომა: 8,5 X 14,5 სმ.; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დალაქული.

თარიღი: დოკუმენტს უზის თარიღი – ქორონიკონი ტლ (304) 1616 წელი.

ქ. გვიბოძებია ლუარსაბისათუის ძმის იმედის მამული, რაც 12 ზემოთ ჰქონდა და ან ქუემო, სააბრეშუმე სასახლე და ვენაკი³ მისი სამართლიანით მთითა და ბარითა უკლებლად დაქველშეუვალად. ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლ.

ხვეული ხელრთვა: თ ე ი მ უ რ ა ზ

მინანერები:

verso-ზე, ძველი საადრიცხვო ნომრები:

- 1. თ ე ი მ უ რ ა ზ მეფისა. №63,
- 2. №516.

კომენტარი:

საბუთის ადრესატი ლუარსაბი, სავარაუდოდ, იგივე მეჯინბეთუხუცესი ლუარსაბ მაყაშვილია, რომელიც არაერთგზის არის მოხსენიებული საბუთებში (იხ. ზემოთ, Ad-513).

1616. უზნაბლობის პირობის წიგნი თეიმურაზ მეფისა ბააღურ და მანუჩარ ციციშვილებისადმი

დედანი: ხეც, Ad-1292; მოყვითალო ქაღალდი; ზომა: 18,8X15 სმ.; ყავისფერი მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: თავნაკლული და დალაქული;

თარიღი: ქორონიკონი ტლ (304), 1616 წელი.

[... დედ]ისა ჩუენისა ლ(მრ)თისმშობელისა და მარადის ქალწული-სა მარიამისათა, ესე საიმედო წყალობისა³ წიგნი და ფიცი გიბოძეთ ჩუენ, კელმწიფემან პაჭტრონმან თ ე ი მ უ რ ა ზ , თქუენ ციცი ს შ ვ ი ლ ს ბ ა ა - დ უ რ ს ¹ და მ ა ნ უ ჩ ა რ ს , ასრე და ამა პირსა ზედა, რომე თუ ჩუენ¹ზედ არა სტყუოთ-რა, ჩუენგან თქუენ არა გევენოს-რა ¹ და არც არა გეზიანოსთ, არც გაღარიბებით, არც ¹ კელთ დაჭერთ, არც გახაიბრებით და არც

სიკუდილით. ამისად გათავებისა თავდებად ღ(მერ)თი და ყო¹⁰ველნი მისნი წმიდანი მოგვიცემიან, |¹¹ ქ(ორონი)კ(ონ)სა ტღ.

ხელრთვა: თ ე ი მ უ რ ა ზ

კომენტარი:

ბაადურ და მანუჩარ ციციშვილები, როგორც ჩანს, ლუარსაბ II-ს და თეიმურაზს თან გაჰყვნენ იმერეთის სამეფოში. 1614 წელს შადიმან ბარათაშვილის ჩაგონებით, ლუარსაბი შაჰს ეახლა, რომელმაც იგი დაატყვევა. ამ ამბის შემდეგ არის გაცემული წარმოდგენილი საბუთი. ბაადურ და მანუჩარ ციციშვილები, როგორც ჩანს, ქართლის სხვა თავადების მსგავსად, შაჰს არ ხლებიან და თეიმურაზის მფარველობა მიუღიან.

1616 წ. წყალობის წიგნი თეიმურაზ მეფისა ყორჩიბაშ თამაზ ამატაკიშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd-14679; ღია ყავისფერი ქაღალდი; ზომა: 77,4X21,5 სმ; ყავისფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: ალაგ-ალაგ ამოფლეთილია და ტექსტი დაზიანებული; დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თ ა რ ი ღ ი: ქორიკონი ტღ (304), რაც გვაძლევს 1616 წელს.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, ღ(მრ)თივ-გვირგვინოსანმან მეფეთ |² მეფემან, კელმნი[ფემან] პატრონმან თეიმურაზ, |³ და თანამეცხედრე[მან] ჩუენმან დედოფალთ-დედოფ⁴ალმან პატრონ[მან ხ] ვარაშან, და ძეთა ჩუენთა |⁵ საყვარელთა და [პირ]მშოთა: პატრონმან ლეონ |⁶ და პატრონმან ალექსანდრე, ესე უკუნისამდი გას⁷ათავებელი მტკიცე, უმიზეზო და უცვალებელი |⁸ წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა |⁹ ერთგულსა, ე[რთ]სულსა, და თავდადებით ნამ¹⁰სახურსა, ჩუენ[ნ]ის მორჭმა-გადიდებისა და გაზეშ¹¹თებისათვის თავ-გარდადებულსა და დიდად |¹² მეცადინესა ამატაკის შვილს ყორჩიბაშს |¹³ თამაზს და თქუენს შვილს ულულუს, გირგელ¹⁴დის, შვილთა და მომავალთა თქუენთა [ყოვე] |¹⁵ლთავე.

ასრე და ამა პირსა ზედა, რომე, რაც |¹⁶ ჩუენგან ყმისა [დ]ამამულის წყალობა გჭი¹⁷რდა ან მთასა და ან ბარსა, მისი წიგნი და |¹⁸ სიგელი გვთხოვე. და როგორაც ვემართლ¹⁹ებოდით ნამსახურსა და ერთგულობასა |²⁰ თქუენსა, შეგინწყალეთ და გიბოძეთ წიგნი |²¹ და სიგელი ესე და დაგიმტკიცეთ სიგლითა |²² ამითა. ასრე რომე, რაც ან უჯარმას, ან |²³ ბენენურს, ან

სათილანში, ან საბუქეს ასლ |²⁴ამაზისსეული, ან სამალ-რანში უტ²⁵ონი, ან |²⁵ ჯანა²⁶ნი კელშეუვალად, და ციხისთ-ვისსეული წისქუი²⁶ლი და მამული, ან ღანუკს ასაფასეული სასახ²⁷ლე და მამული, ან მუშოანჩი ბატონიშვილ²⁸ის მარიამის-სეული მამული გვებოდოს თქუენ²⁹თვის, კემურს თვალასეული და ჯინჯიკარს, რაც |³⁰ გუებოდოს, ბაზარს ურია იუდა და მო-შეგუ |³¹ლა, – ეს ჩუენგან ნაბოძები წყალობა რომ |³² გაქუს, ამათ არაფერი საჩუენო სათხოვარი და გამ³³ოსაღები არა ეთხოვებოდეს ლაშქარ-ნადი³⁴რობისა და სათათრო საურისგან კიდე.

ესე |³⁵ ასრე გაგითავდესთ და არა მოგეშალოს, თუ |³⁶ თქუენ ჩუენზედ არა და[ა]შავოთ და ან არა სტყ³⁷უვოთ, არა ჩუენგან და არაც შემდგომად |³⁸ სხუათა მეფეთა და დედოფალთაგან. არაოდის |³⁹ არ მოგეშალოს. სხვა კიდევე, თუ თქუენი თა⁴⁰ვი შემოგვაბიზლოს ვინმე, გაუკითხავად არ |⁴¹ შეგიბიზლოთ, გაგიკითხოთ, და რისაც შემი⁴²ცოდენი არ იყუნეთ, მის მეტი არა გკითხოთ |⁴³ რა და საძალოდ და დასაჩაგრავად არას კაცს |⁴⁴ არ დაგანებოთ.

კიდევე სასაფლავოდ კისისქე |⁴⁵ კილმატური საყდარი და რაც ამაში მამუ⁴⁶ლი ეწეროს, მისით სამართლიანის მითითა, |⁴⁷ ბართა, წყლითა, წისქულითა, ველითა და |⁴⁸ ვენაკითა, სათიბითა და საკნავითა, თქუენ, ყორ⁴⁹ჩიბაშის თამაზისა და თქუენთა შვილთათუის |⁵⁰ გუიბოძებია.

ანე, ვინცა და რამანცა კაცმან ეს⁵¹ე ჩუენგან ნაბოძები წყალობა, ყმა და მამუ⁵²ლი შეგიშალოს, რისხ[ა]ვმცა ღ(მერ)თი და |⁵³ ყოველნი მისნი წმიდანი, მამა, ძე და სული⁵⁴ი წმიდა, ზეცისა და ქუეყანისანი, კორციე⁵⁵ლნი და უკორცონი.

დაინერა წიგნი და სიგელი ||⁵⁶ ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტღ.

ხელრთვა: თ ე ი მ უ რ ა ზ

კომენტარი:

თამაზ ამატაკიშვილი – ყორჩიბაში (თურქ. ყორჩიბაში, ცხენოსან მოისართა რაზმის უფროსი). ქართულ სინამდვილეში შემოსულია სეფიანთა ირანიდან, აღნიშნავდა ცენტრალური აპარატის მოხელეს, რომელსაც ევალებოდა სასახლის მცველთა რაზმის (ყორჩების) მეთაურობა და მეფის მომსახურე პერსონალის ხელმძღვანელობა. მოცემული საბუთი ერთ-ერთი პირველია, რომელშიც ყორჩიბაშის თანამდებობა მოიხსენიება.

ამატაკიშვილები სამცხელი თავადები არიან, რომლებიც ოსმალური ექსპანსიის შემდეგ XVI საუკუნის მიწურულს ქართლსა და კახეთში გადმოსახლებულან (კლდიაშვილი (შემდ.), 1991: გვ. 109-110). მოცემული საბუთის ადრესატი თამაზ ამატაკიშვილი კახეთში ახლად დამკვიდრებული ჩანს, რაზედაც მიუთითებს თეიმურაზის წყალობის საბუთი – მეფე ყორჩიბაშს მამულებს კი არ უახლებს, არამედ აძლევს ახალს – სხვადასხვა სოფელში გაფანტულ იმ ყმა-მამულს (როგორც ჩანს, ბეითაღმანს), რომლებსაც ადრე სხვა მფლობელები ჰყოლია.

1616 წ. მარტი. ყმების სითარხნის წიგნი
თეიმურაზ მეფისა მსიტასაღმე

პირი: ხეც, Hd-4163-ა; დაწერილი ცისფერ ქაღალდზე. მელანი შავი.
საბუთს უხის თარიღი: ქორონიკონი ტღ (304), მარტი, რაც გვაძლევს
1616 წელს.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, ღ(მრ)თივ გვირგვინოსანმან
მეფეთ-მეფემან, პატრონმან თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან
პატრონმან ხვარაშან, ძეთა ჩვენთა: პატრონმან ლევან და პატრონ-
მან ალექსანდრემან, ესე უკუნისამდენ ჟამთა გასათავებელი წყალო-
ბის წიგნი და ნიშანი შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ერთგულსა ყმასა
ესიტასა, შვილთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე, მას
ჟამსა, ოდეს კარსა ზედა მოგვადევით და თქვენის გლეხებისა სითარხნეს [და]
წყალობასა გვეაჯენით.

ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ასე ვათარხნეთ და განვათ-
ავისუფლეთ, რომე ყოვლისა ჩვენის სათხოვრისაგან არა ეთხოვებოდეს-რა,
არა საბალახე, არა კოდის პური, არა სამლაშე, არა მუშაობა, საჩვენო სათხ-
ოვარი და გამოსაღები არა ეთხოვებოდეს-რა, ერთისა სათათროსა საურისა
და ლაშქარ-ნადირობის მეტი, არა ეთხოვებოდეს-რა.

ანე გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან) ჩვენსა ერთგულად სამსახ-
ურსა შინა, არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომად მეპატრონეთა-
გან. ანე, გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვაზირ-ვაქილნო, მდივან(ნ)ო და სხუანო
მოსაქმენო, ვინგინდა-ვინ იყვნეთ და ანუ ვინგინდა-ვინ იქნებოდეთ, ბრძანება
და ნიშანი ჩვენი თქვენცა ასე გაუთავეთ და ნუ მოუშლით.

დაინერა ბრძანება და ნიშანი ჩვენი ესე თვესა მარტსა, ქ(ორონი)კ(ონ)ს
ტღ.

ხელრთვა: მეფე თეიმურაზ

მინანერები recto-ზე ფანქრით:

- 1. „წყალობის წიგნი თეიმურაზ I-სა“. ამ წიგნის ჩვენ პირი გვაქვს
ლურჯ ქაღალდზე გადაწერილი.
- 2. პირი ასლებიდან გადმოღებული.

კომენტარი:

ხვარაშან დედოფალი, ქართლის მეფის, ლუარსაბ II-ის და, რომელზედაც
თეიმურაზ მეფემ 1612 წელს შაჰის ბრძანებით იქორწინა.

1616 წ. ყვალღის წიგნი იოანე კათალიკოსისა
ღაგიო ელიოზისძისაღმე

დედანი: ხეც, Sd-543; მოყავისფრო ქაღალდი; ზომები: 22,3X22,6 სმ.
ყავისფერი მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყო-
ველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: მარცხენა კიდე მთლიანად და მარჯვენა
კიდის ზედა და ქვედა ნაწილები მოფლეთილი. ტექსტი დაზიანებულია, საბუ-
თის recto-ზე ბოლო სტრიქონი ჩამოჭრილია და მოჩანს გრაფემების მხოლოდ
ზედა ნაწილები. დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქა-
ღალდით; საბუთი 1824 წლის 22 სექტემბერს გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში.

თარიღი: ქორონიკონი ტღ (304), რაც გვაძლევს 1618 წელს.
გამოცემები: 1. თაყაიშვილი, 1909: №116, გვ.145; 2. დოლიძე 1970: გვ.392.

ქ. ჩვენ, ღმრთისა მ[ი]ერ კურთხეულმან, ყოვლისა საქართველოსა დიდმან
მამათმთ[ა]ვართ მთავარმან, ქ[ა]რთლისა კათ[ა]ლიკოზმან პატრონ-
მაიოვანემ, ესე უკუ[წ]ნისამდე ჟამთა გ[ა]ს[ა]თავებელი წიგნი და სიგელი
შეგინწყალეთ და გიბოძეთ[თ] შენ, დიდსა და ცათა მობაძ[ა]ვსა სვეტისა ცხოვ-
ლისა და კუართისა [წ] საუფლოისა, კათოლიკე ეკლესი[ა]სასა დედაქალაქის-
ასა მცხეთისა შვილ[ა]სა, ელიოზისძესა დავითს, როსეპს,
ქაიხოსროს, პეტრეს, გიორ[გ]ისა და აბიათ[ა]რს, ძმათა,
შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისა[თა], ყოველთავე. მას ჟამსა, ოდეს-
ცა ბიძის თქვენის მამულის წყალო[ბ]ას გვეაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოქსენება თქვენი, კითხვითა და ჯე[რ]ჩინებითა
მეფეთ-მეფისა, პატრონისა თა[ი]მურაზისითა, და თანამე[ც]ხედრისა
მათისა პატრონისა დედოფლის ხვარაშანისითა, მი¹² ...[მამუ]
კასეული სამამ[ა]თმთავრო და ახ[ა]ტ[ა]ნს სამი კომლი კაცი¹³ ...და
შარ[ა]ბისძე ზუბია და მისი განაყოფი მათის¹⁴ მამულით, რას[ა]ც
მამულის მქონებელნი ყოფილიყვნეს ან მთას¹⁵ [ბარს] ||¹⁶ და [ყოვ]ლითურთ
უნ[ა]კლულოდ, და ცხ[ე]თას სასახლე უნაკლ[უ]ლოდ¹⁷ თქვენთვის
გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან საყდრისა და ჩუენისა ერ¹⁸თგულად
სამსახურსა შინა.

ანე, ესე, ეს ჩუენგან ნაბოძები მამული ვინც მოგი[შ]¹⁹[ა]ლოს, რისხავსმცა
ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანნი. და ჩუენთუისმცა იგი განიკი[თ]²⁰ზვის
დღესა მას განკითხვისასა. დამამტკიცებელნი ამისნი [ღ]მერთმან აკურთხნეს.
და[ინ]ე²¹ რა წიგნი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტღ.

თანადროული ხელრთვა: კათალიკოზი
გვიანდელი ხელრთვა: კათალიკოზი

[1616-1617 წწ.] ნასხილობის წიგნი მიქელა და ახალზედა კოპაშვილებისა პატრონ თაყსასაღმ

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Qd-7013; მუქი ყავისფერი ქაღალდი; ზომა: 7.3X17.36სმ.; ხელი მხედრული; შავი ფერის მეღანი; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ან ოთხწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთის შუა ნაწილი გახვრეტილია მრგვალად, ტექსტის დაუზიანებლად. ამჟამად საბუთი გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით; ტექსტისათვის დამახასიათებელია ა- მეტობა.

საბუთი უთარილოა. “პირთა ანოტირებულ ლექსიკონში” იგი დათარიღებულია ბაგრატ მეფის ზეობის (1615-1619) წლებით, მაგრამ, რადგან საბუთში ლაპარაკია შიმშილობაზე, სავარაუდოდ, ეს მოვლენა შესაძლებელია დაკავშირებული იყოს იმდროინდელ ქართლისა და კახეთში შაჰ-აბას I-ის შემოსევებთან. ამიტომ საბუთის თარიღი შეიძლება დავიწროვდეს 1616-1617 წლებით.

საბუთის დამწერი: მწიგნობარი შაველ ყორღანაშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა: კლდიაშვილი (შემდ.), 1993: გვ. 526 (ანოტაცია).

ქ. სახელითა ღმრთისათა, ესე ნასხილობისა წიგნი ¹² მოგეცით ჩვენ, კოპაშვილებმან მიქელ დაახალზედამან, ჩვენთა შვილთა და მომავალთა.

მაქს¹³ შა¹⁴მსა, ოდეს იმისთანა ცეცხლი ჟამი იყო, კაცი არსადა და¹⁵რჩა შიმშილითა. და მოგყიდეთ ახალზედას კერძი თქ¹⁶ვენს ქვეშეთ ყანა გაკიდულა, თქვენ, პატ¹⁷(რ)ონსა თაყას, გუ¹⁸ლბადას, ზალდას-ტანს, ფარშევანის დაქა¹⁹იხოსროს, თქვენ²⁰თა შვილთა და მომავალთა, – ყოველთავე.

გიბედნიეროს ¹⁹ ღმერთმან მკვიდრად და სამამულოდ, როგორაცა ¹⁰ მკვიცი დრსა და ნასხიდსა მართებდეს, ისრე.

ამისდა ¹¹ გათავებისა და თავსდებად მოგვიცემია ღ(მე)რთი და ყოვე¹²ლნი მისნი წმიდანი, კაცთაგან: პატრონი მეფეთ-მეფე ¹³ პატრონი ბაგრატ და ჩემნი ბატონები და მათი სას¹⁴აფლა¹⁴, მთავარანგელოზი ცხომისა და წმიდა სამება ქალ¹⁵ია.

როგორაცა გული შეგვიჯერდებოდა, ისრე ფასი მოგ¹⁶ვეცით.

ამისი შუამყოფი არიან: ზურაბა ხიდეშელი და ფ¹⁷ოცხ¹⁸ა¹⁹ვერა, მანია ჯოხაძე. და მოწამეცა არიან.

საბუთს ბოლოში უზის ორი ჯვარი.

5 გაკაღილა

[1616-1619 წწ.] ბანჩინების წიგნი ბაგრატ მეფისა მუხრანბატონებისა და არაგვის ერისთავს შორის სამამულო ღაშის შესახებ

პირი: სეა, 1461-3/34.

თარიღი: საბუთი უთარილოა. იგი თარიღდება ქართლის მეფის, ბაგრატ VII-ის (ბაგრატ-ხანის), ზეობის (1616-1619) წლებით.

გ ა მ ო ც ე მ ა: დოლიძე, 1972: №14, გვ. 54.

ქ. ოდეს მოგვიდგეს კარსა დარბაზისა მეფობისა ჩუენისასა მუხრანის ბატონი თეიმურაზ და ძმა მისი ბატონი ქაიხოსრო და არაგვის ერისთავი პატრონი ნუგზარ და შვილი მისი პატრონი ბაინდურ, მუხრანის ბატონები და ერისთავი ერთმანეთსა ბევრსა რასმე უჩიოდნენ.

დავსხედით ჩუენ, მეფე პატრონი ბაგრატ და შემოვისხით გარე დარბაზის ერნი ჩუენი და კელ¹ნი, ერთად შევედევით ქუეშე სამართალსა უფლისასა ჩუენისასა, და დავიდევით დიდი შიში დლისა იმ დიდისა, რომლისა განიკითხებიან სამართლითა ცრუნი და მართალნი.

ამასედან შემოვჭკრიბეთ საჩივარნი მათნი და მოგვარებულნი ვჭქენით, ვითა მლაშისა სოფელზედა სარჩლობდეს.

თუნადგეს ერისთავი პატრონი ნუგზარ და პატრონი ბაინდურ თორმეტის აზნაურშვილითა და ასრე შეჭვიცოს მუხრანბატონებსა, რომე მლაშე სამუხრანო არ ყოფილიყოს და საერისთო ყოფილიყოს, დაუდვას მუხრანბატონებმან ერისთავსა.

და თუ ერისთავმან ვერ შეჭვიცოს, ნადგეს პატრონი თეიმურაზ და პატრონი ქაიხოსრო თორმეტის აზნაურშვილითა და ასრე შეჭვიცოს, რომ მლაშე საერისთო არ ყოფილა, მუხრანბატონისა ყოფილა, ერისთავი არას ემართლების და დაუდვას მუხრანის ბატონებსა.

კიდევ, რაც ერთმანეთისა ნაცარცვი და ნაქურდალი მათსა მამულშიგა იყოს, ჩუენ ორნი საბატონო კაცნი უჩინოთ, რაცა ჩნდეს, ის უკლებლად ერთმანეთსა შეაქცევინონ. და რაც არა ჩნდეს, რა რიგადცა იმ ორმან საბატონომ კაცმან უთხრას და გაუჩინოს, იმრიგად გარდასწყვიტონ.

რომელიც ამ პირობას გარდაჰხდენ, თავადამც მღრთისა და ბედნიერის ყაენისა შემცოდე იყოს და მერმე ჩუენისა მეფობისა და ჩუენის დარბაზის ერთა მტერია.

კომენტარები:

- 1. ნუგზარ ერისთავი – არაგვის ერისთავი XVII საუკუნის პირველ ოცეულში. არაგვის საერისთავო კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა ნუგზარი მეფე ალექსანდრე II-ს ემიჯნებოდა და როგორც დამოუკიდებელი ხელისუფალი, კახეთში მიმავალი რუსი ელჩებისაგან ძღვენს თხოულობდა. დაპირისპირებული იყო ჩერქეზ ბატონთან. ნუგზარი არ ეპუებოდა არც მეფე ლუარსაბ II-ს და არც

5

10

15

20

25

თეიმურაზ I-ს. ნუგზარის ასული ცოლად ჰყავდა გიორგი სააკაძეს. შეთქმულებისგან გამოქცეულმა გიორგი სააკაძემ სწორედ ნუგზარს შეაფარა თავი ცოლშვილიანად, ხოლო შემდეგ ერთად წავიდნენ შაჰ აბასის კარზე (ბერი ეგნატაშვილი, 1959: გვ. 391). შაჰმა ნუგზარი წყალობით აავსო და იგი მამულს დაუბრუნდა. ნუგზარი განჯაში ეახლა საქართველოს ასაოხრებლად წამოსულ შაჰ აბასს. სავარაუდოდ, მან მონაწილეობა მიიღო ამ ლაშქრობაში, ვინაიდან არაგვის საერისთავო არ აუოხრებიათ. ნუგზარ ერისთავი 1618 წლის ახლო ხანებში გარდაიცვალა.

- 2. თეიმურაზ მუხრანბატონი – ვახტანგ მუხრანბატონის ძე, მუხრანის თავადი 1580-1624 წწ. მონაწილეობდა 1609 წ. ოსმალთა და თათრების ლაშქრობის წინააღმდეგ ბრძოლებში. იგი დაიღუპა 1625 წელს მარაბდის ბრძოლაში. “შხნედ მებრძოლი მოკლეს თეიმურაზ მუხრან ბატონი და განჯდა ხმა. ჰგონეს ყოველთა კახბატონის სიკუდილი“ (ბერი ეგნატაშვილი, 1959: გვ. 409).

[1616-1619 წწ.] ბრძანება პაპრატ მუჟისა ქალაქს მცხოვრები სვეტიცხოვლის ყმებისადმი მალის გამოურთმეველობის შესახებ

დედანი: სეა, 1448-1261; მუქი ყავისფერი ქაღალდი; ზომა 9.3X17; მხედრული; შავი მელანი; საბუთის დასაწყისი ფორმულა (I და II სტრ.) სინგურით არის შესრულებული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთი დაზიანებული არ არის და თავიდან ბოლომდე გარკვევით იკითხება; გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თარიღი: საბუთი უთარიღოა, დათარიღებულია ბაგრატ VII-ის ზეობის (1616-1619) წლებით.

გამოცემა: ბერძენიშვილი 1962: №4, გვ. 9.

ბ(რ)ძ(ანე)ბ(ი)თა ლ(მრ)თ(ისაჲთ)ა და ნყ(ალო)ბ(ი)თა შაჰ(ა)ბასითა

ქ. მეფე ბაგრატ გ(ი)ბ(რძანე)ბთ იმედო ქალაქის მელიქო და მამასაქა ბქლისო!

მერმე, რაც ქალაქს სუეტიცხოვლის ყმა იყო¹³, ბაშმალს ნუ სთხოვთ, რარიგადაც სუეტიცხოვლისა¹⁴თუ ის ემსახუროს, ისრევე მსაქურონ და იმრიგადვე თარხანი¹⁵ იყუნენ.

verso-ზე ხელრთვა: ბაგრატ

გვიანდელი მინაწერები:

recto-ზე, პირველის სტრიქონის გასწვრივ: ქორონიკონი: ტშბ.

verso-ზე: 1. მ<ე>ცხეთის; 2. მეფის ბაგრატის წიგნი მოქალაქეთ მალის გამოურთმეველობისათვის.

[1616-1619 წწ.] სანივრის წიგნი [ჯავახიშვილისა]

დედანი: ხეც, Hd-2272; ღია ყავისფერი ქაღალდი; ზომა: 29X14.5 სმ. ხელი მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთი გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. ტექსტი ნაწერია უწიგნურად, ახასიათებს ა-მეტობა.

პირი: ხეც, Hd-11357

საბუთი უთარიღოა. მასში მოთხრობილი ამბები შეეხება ქართლის მეფის, სვიმონ I-ის მეფობის ბოლო წლებს, შემდგომ გიორგი X-ისა და კახეთის მეფე დავითის ზეობის თანმხვედრ წლებს. ძველი ამბების გადმოცემისას მომჩივანი მეფის ტიტულით მოიხსენიებს ბაგრატ-ხანს, ანუ ბაგრატ VII-ს, რაც საშუალებას იძლევა საბუთი სწორედ ამ ბაგრატის ზეობის წლებით – 1616-1619 – დათარიღდეს.

ქ. ბატონო ბრჭენო და მოსამართლენო! ¹²ჩივით ქაიხოსროსა განა. მამაჩემი ყენ¹³თანა გაგზავნა ბატონმა მეფემა სვიმონ¹⁴მა გორი რომ აილო, მახარობლად გაგზავნა, ¹⁵გორის კლიტეები თანა ნაქათანა. ანე, გარისხ¹⁶და ლ(მერთ)ი და ბატონი სვიმეონ დაიჭირეს ურ¹⁷უ¹⁸მთა, მერმე პაპაჩემი დარჩა ბედნიერს¹⁹ყენთანა. მერმე, ბატონი მეფე ბაგრატ ყენ²⁰თანა იყო, პაპაჩემი მივიდის ბატონსა ბა²¹გრატ-თანა, ნახევდის და ნარდსა ეთამაშე²²ბოდის, მიდღე²³ში მწყალობელნი ყოფილიყ²⁴ვნეს კელმნიფენი პაპის ჩემისათვის²⁵.

ანე, ²⁶დაქაზეზლა ქაიხოსრომა ბატონ²⁷ისა მეფე გიორ²⁸გისა და ბატონთასა დედოფალთანა. აღარა გახ²⁹სოვსა, როდისა კ³⁰აქეთსა ბატონთასა მეფე ³¹სვიმონთასა ხლებია შალვა და წამოსლია ³²ქალაქსა, მეფე დავითსა მოსლია. ანე, იქიცა ³³იმისა შვილსა ბირებია, მის³⁴კელია. ანე, ამაზედ³⁵გაგზავნა კაცი ხუთი ბატონ-ყმანი არ³⁶დაველსა. დარჩეს უზიარებელნი, უსაფლა³⁷ონი, იქივა ყრიანა.

ანე, ყენმა ორმოზდა³⁸თი თუმანისა ფ³⁹ართალი ⁴⁰უბოძა პაპაჩემსა, ამდონი საქონელი დ⁴¹აქათ⁴²ცხენი და იარალი ბატონმა მეფე გიორგი⁴³მ⁴⁴თავისათვის⁴⁵ მოატანინა. აქა ჩემსა მამა-ბიძათ ⁴⁶გაუნყრა, დ⁴⁷აქაჭირა და გორსა საკანში ჩაყარეს.

⁴⁸ასრე დ⁴⁹აქეფიცა მეფესა, თუ სადამდი ში⁵⁰გა არა და⁵¹ილუბებინო, არა ამოვასხამო. ანე, ⁵²ამასობაშიგან კახი ბატონი დავით მეფე ავა⁵³დ

3 ჩსაიმონმა. ნსხ. 7 ბედნირის ნსხ. 13 ბატონსა ნსხ. 17 ქალაქისა ნსხ. 18 შვილისა ნსხ. 19-20 არადველსა ნსხ. 20 დარჩეს ნსხ.

გამკდარიყო. ბატონს მეფე გიორგისა თქა³¹ნა კაცი გამოეგზავნა: “ვინ იცის, ტყვე³² გყავნდეს, ჩემისა გულისათვი³³ნ ამოუშვიტო.”³³ იმანა მოარჩინა. ანე, ამასა არა დაგვი³⁴ჯერქდა ქა³⁵იხოსრო, რომა თქავსა დაგვესხა. თუ³⁵ რამ ჩუენი საბქადებულობა იყო, ყველა ნაგ³⁶ვიკდა: სამი ქვაბი, ოცი სპილენძისა თეფში, ³⁷ ხუთი ორხოვა, დედაკ³⁷აცისა წრიქ³⁷მანი დქა³⁷ ტანისა³⁸მოსი, ორი თასი, თუნგი, თორმეტი ცხენი, ³⁹ იარაღი, ასი კოკა ღვინო, ასი კოლქ⁴⁰ი პური.

გვიანდელი მინაწერი საბუთის verso-ზე: მ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ა .

კომენტარი:

ქაიხოსრო ჯავახიშვილი დაპირისპირებული იყო თავის საგვარეულოს წარმომადგენლებთან და ცდილობდა მათი მამულებისა და ქონების დაპატრონებას. მიზნის მისაღწევად არ ერიდებოდა იარაღის გამოყენებას, ოჯახების დარბევასა და ქონების დატაცებას. მოცემული საჩივრის წიგნის ავტორი უცნობი პირია. როგორც საბუთიდან ირკვევა, მისი პაპა ყოფილა შალვა ჯავახიშვილი, რომელსაც ჰყავდა 5 ვაჟი: ფარსადანი, შანშე, შერმაზანი, ბიძინა და ხოსიტა. შალვა, სიმონ მეფის მიერ კახეთის მეფე ალექსანდრესთან ბრძოლაში (საგარაუდოდ, იგულისხმება 1582 წლის ჭოპორტის ბრძოლა (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: გვ. 412; ბერი ეგნატაშვილი, 1959: გვ. 373) თან ხლებია სიმონს, მაგრამ მიუტოვებია და დავით XI-სთან, დაუდ-ხანთან წასულა. ამ საქციელის გამო უნდა დაესაჯა სიმონ მეფეს შალვა და 1588 წელს მისი და მისი ძმების “კერძი ოძისი“ გადაეცა სიამს სააკაძისთვის (ოთხმეზური, 1999: გვ. 74). 1599 წ. როდესაც მეფე სიმონმა ქ. გორი აიღო, მომჩივანის მამა შაჰთან მახარობლად გაგზავნა და კლიტეები გაატანა. საგარაუდოდ, მასთან ერთად ყოფილა პაპაც – შალვა, ვინაიდან იგი შემდგომ განვითარებულ მოვლენებისას შაჰის კარზე ჩანს. ამასობაში, სიმონი ოსმალებმა დაატყვევეს და შალვა ჯავახიშვილი სპარსეთში დარჩა, სადაც დაუთ-ხანის შვილ – ბაგრატთან დაუმყარებია კავშირი და ხშირად სტუმრობდა ხოლმე. მას ყაენისგან უხვი საბოძგარი მიუღია: 50 თუმანი და 50 თუმნის ფართალი, ცხენი და იარაღი. გიორგი X-ის გამეფებისთანავე ქაიხოსრომ შური იძია თავის განაყოფ გვარზე და შალვა დააბეზდა მეფესთან, რის გამოც მას ჩამოართვეს ყაენის ნაბოძგები საჩუქრები და მომჩივანის მამა-ბიძგები გორის ციხეში დაატყვევეს. მათი დახსნა მხოლოდ კახეთის მეფის დავით I-ის ჩარევის შედეგად მოხერხდა – მისი თხოვნით გიორგი X-მ გაათავისუფლა ისინი. ეს ამბები 1600 წლიდან 1602 წლამდე უნდა მომხდარიყო, ვინაიდან გიორგი 1600 წელს ავიდა ტახტზე, კახეთის მეფე დავითი კი, მხოლოდ 6 თვეს მეფობდა (1601-1602 წწ). ჩვენ არ ვიცით დავითს რა აკავშირებდა ჯავახიშვილებთან, მაგრამ, ფაქტია, იგი თავს ვალდებულად თვლიდა მათ გათავისუფლებაზე ეზრუნა.

32 “გვეანდეს” სიტყვაში “ვა” მარცვალი ჩამატებულია ზემოდან.

1617 წ. წყალობის წიგნი ბაგრატ მეფისა ბააღურ ციციშვილისადმი

პირი: სეა, 1450-37/190; საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის სასამართლო რეგისტრაციაში 1823 წელს.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტმ (305), რაც უდრის 1617 წელს.

[ქ.] ბქრქანქბქითა ღ(მრ)თ(ისათა) და წყალო(ბი)თა შაჰ-ქა³⁵იხოსროთა, მეფე ბაგრატ გ(ი)ბქ(ანებ)თ.

ესე უკუნისამდე ყამთა გასათავებელი წიგნი და სიგელი გიბ(ო)ქეთ თქვენ, ჩვენთა ერდგულად და თავდადებით ნამსახურთ ციციშვილსა პატრონსა ბაქაქდურს და მანუჩარს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა.

ასრე რომე, გამარჯვებული მოხვედით და მამულის წყალობას დაგვიჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოქეთ თქვენი სამკვიდრო მამული და ღეთი და წინწყარო მისის სამართლიანის საქმითა, მითთა, ბარიითა, ველითა, ვენაკითა, წყლითა, წისქვილითა, მითთა, ბარიითა, სახმარიითა და უხმარიითა, ყოველთურთ უნაკლულოდ, ყოვლის კაცისაგან უცილობელი.

გქქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენს ერდგულად სამსახურსა ქვეშე, არა მოგეშალოს ჩვენგან და არა შემდგომთა სხვათა მეფეთა მეპატრონეთაგან.

ანე, ვინცა მოგიშალოს ეს თქვენი სამკვიდრო მამული, ჩვენგან კიდევ ნაწყალობევი, რისხქავსმცქაქ მამა, ძე და სული წმინდა და ყოველი მისნი წმინდანი და ბედნიერი შაჰ-ქა³⁵იხოსრო.

ქ(ორონი)კ(ონ)ს ტმ.

ღედანს შქონია ბექქედი: ბაგრატ

კომენტარი:

ბააღურ ციციშვილი – ყორჩიბაში (ცხენოსან მოისართა, ყურჩების უფროსი). მის მიმხრობას ცდილობდა მეფე თეიმურაზი და დაულო კიდევ პირობა უნებლობის შესახებ (Sd-1292). იგი გარეული იყო თავისი განაყოფის ასლამაზის სისხლში, რის გამოც კათალიკოსისგან შეუნდობელი ყოფილა. სვეტიცხოვლისთვის მამულის შეწირვის შემდეგ მას ზაქარია კათალიკოსისაგან მიუღია შენდობა.

**1617 წ. ბრძანების წიგნი მეფე ბაგრატისა
მოხელეებისაჲთა სვეტიცხოვლის ყმების გაქვისაჲს
თავისუფლების შესახებ**

საბუთი დაკარგულია. გადარჩენილია მხოლოდ თ. ჟორდანიას პუბლიკაციით მისი შემოკლებული ვარიანტი.

გ ა მ ო ც ე მ ა : ჟორდანია, 1897: გვ. 442.

მეფე ბ ა გ რ ა ტ გიბრძანებ... წყალობითა შ ა ა ბ ა ს ი ს ა თ ა . . . ბაჟს ნუ სთხოვთ (ს ვ ე ტ ი-ც ხ ო ვ ლ ი ს ყმებს) და რაც ბაშმალი აელოთ, ისიც მიეცით.

**1618 წ. 26 იანვარი. შუაღმრთლების წიგნი
ბაგრატ მეფისა სვეტიცხოვლისაჲთა**

დედანი დაკარგულია. არსებობს პ ი რ ი : სეა, 1449-2641.

საბუთის თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტშ (306) იანვრის კვ (26), რაც გვაძლევს 1618 წლის 26 იანვარს.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი : ჟორდანია, 1897: გვ. 442; კაკაბაძე, 1913: გვ. 9-10.

ქ. სახელითა არსება-დაუსაბამოსა ლ(მრ)თისა, მამისა და სულისა [წმიდისათა, მეოხებითა]* ყოვლად ბრწყინვალისა ყოვლად ბინ-შეუხებელისა და ყოვლად შესაძრწუნებელისა [დედისა] ჩუენისა ლ(მრ)თისმშობელისა, მარადის ქალწულისათა მ ა რ ი ა მ ი ს ი თ ა ; ძლიერებითა და შუამდგომელობითა ძელისა ცხორებისათა, რომელსა ზედა განიპყრნა უხრწნელნი მკლავნი თუისნი ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ , ლ(მერ)თმან ჩუენმან, ცხორებისათუის ჩუენისა; წმიდათა ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთათა და ყოელთა წმიდათა ლ(მრ)თისათა, ზეცისა და ქუეყანისათა.

ამათითა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა ჩუენ, ი ე - ს ი ა ნ - და ვ ი თ ი ა ნ - ს ო ლ ო მ ო ნ ი ა ნ მ ა ნ , მეფეთ-მეფემან პატრონმან ბ ა გ რ ა ტ , ესე შემონირულებისა წიგნი და სიგელი გკადრეთ და მოგახსენეთ მობაძავსა კათოლიკე ეკლესიასა ს უ ე ტ ს ა ც ხ ო ე ლ ს ა , კუართსა საუფლოსა და მირონსა ლ(მერ)თ-მყოფელსა. შემოგწირე და მოგახსენე სოფელი ა ხ ა ლ ც ი ხ ე მისის მემკუიდრის კაცითა და მამულითა, რაცა დეკანოზს კაცები დაუსახლებია, იმისდა გარდაის, და დეკანოზის დასახლებული კაცები, ისრევე დეკანოზისათუის გუიბოძებია.

* როგორც ჩანს, ეს სიტყვები საბუთის დედანშიც არ იკითხებოდა და საბუთის გადაწერის კაეებიან ფრჩხილებში აქვს ჩასმული.

შემოგწირე სოფელი და აგარაკი ესე ა ხ ა ლ ც ი ხ ე მისითა სამართლიანითა მითითა, ბართა, ველითა, ვენაკითა, წყლითა, წისქულითა, საკნავითა და უკნავითა, მისის სამართლიანის მამულითა, ყოვლითურთ უკლებლად. შეინირე შენ, სუეტო ლ(მრ)თივ-აღმართებულო, კუართო საუფლოო და მირონო ლ(მერ)თ-მყოფელო! და წარმართე მეფობა ჩუენი სიმრავლესა შინა ყამთასა და ყოველნი წინააღმდგომნი და მბრძოლნი ჩუენნი დააკუეთენ და შემუსრენ ქუეშე ფერკთა ჩუენთა. და შეინირე მცირე და კნინი შემოსანირავი აგარაკი და სოფელი ესა ა ხ ა ლ ც ი ხ ე .

ესე, ვითარცა შემონირულობითა შემოგწირეთ, საჩუენო სათხოვარი არა ეთხოვბოდეს-რა: არა ღალა, არა კულუხი, არა საბალახე და საჩუენო სათხოვარი არა გეთხოვბოდეს-რა, თუინიერ სათათროსა, საურისაგან და ლაშქარ-ნადირობისაგან კიდე. და ვინ გინდა-ვინ კარისა ჩუენისა ვეზირ-ვექილნი იყუნეთ, ანუ მდივანნი და მოსაქმენნი და კარით ჩუენით წარვლენილნი, თქუენცა ესრეთ დაუმტკიცეთ და ნუვინ უშალავთ.

და ესრეთ არს შენირული მტკიცე წიგნი ესე. არა შეცვალოს და არცა ვისგან წაერთოს, არა ჩუენგან და არა სხუათა მეპატრონეთა მეფეთა და დედოფალთაგან და კათალიკოზთა და სხუათა მცხეთიონთაგან.

ანე, ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან, მეფემან ანუ დედოფალმან, თავადმან, აზნაურმან, დიდებულმან და ანუ სხუამან კელისუფალმან ვინმე ესე ჩუენგან შენირულნი სოფელისა წიგნისა და სიგელისა კელყოს შლად და ქცევად და შეცუალებად, შე-მცა-იცუალების სჯულისაგან ქრისტიანეთასა; კრულ იყოს ცათა შინა [და ქუეყანასა] ზედა, [შე-მცა-ედების მას კეთრი გ ე ზ ი - ს ი], მეხის ტეხა დ ი ო ს კ ო რ ე ს ი , დანთქმა ფარაოსი, მატლით შესაჭმელობა ე რ ო დ ე ს { ი } , ნურათამცა იქმნების კსნა სულისა მისისა ჯოჯოხეთით, ასდამერვისა ფსალმუნისა წყევა მასზედამცა დაესრულების და ყოველიმცა გაგებული მისი მოიშლების და ამა ზემონერილთა ლ(მრ)თისა და ყოველთა მისთა წმიდათა რისხუა მასზედამცა სრულ იქმნების. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ლ(მერ)თმან აკურთხნეს და წმიდამან სამოციქულომან კათოლიკე ეკლესიამან.

დაინერა მტკიცე და შეუცვალელებელი წიგნი და სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტშ, ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისა მესამესა, თუესა იანვარსა კშ.

ხვეულად: ბ ა გ რ ა ტ

საბუთის ზედა არშიაზე ფანქრით მიწერილია საბუთის დედნის შემდეგი არქეოგრაფიული მონაცემები:

„1618 წ. მცხეთის სიგელი №30, ბოძებული ბ ა გ რ ა ტ მეფის მიერ 1618 წ. დაწერილია ქალაქდზე ზომით 18,3/4X27 სანტიმ“.

1618 წ. 4 აპრილი. წყალობის წიგნი
ბაბრატი მეფისა კავთისხეველ ციხოველ იმნაპისაღმე

დ ე დ ა ნ ი: სეა, 1448-252; მუქი ყავისფერი ქაღალდი; ზომა: 33,2X19,6 სმ.; მხედრული; შავი ფერის მელანი; პირველი და მეორე სტრიქონების დასაწყისი ნაწილი შესრულებულია ყავისფერი მელნით; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: პირველ მეორე სტრიქონს შუა ქაღალდი გადაცრეცილია და გრაფემები ცუდად განირჩევა. ამჟამად საბუთი გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

პ ი რ ი: სეა, 1450-32/288.
საბუთის თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი ტშ (306) აპრილის ღ (4), ანუ 1618 წლის 4 აპრილი.
საბუთის დ ა მ წ ე რ ი: მწიგნობარი ნასრ თუმანიშვილი.
გ ა მ ო ც ე მ ა: ბერძენიშვილი 1940: №20, გვ. 17.

[ქ. ბ(რძანე)ბ(ი)თა ლ(მრ)თ(ისაჲ)თა და წყალო(ბი)თა შ ა ჰ - { ა } ბ ა ს { ი ს ა } ბ ა ს ი ს ი თ ა !

ქ. ჩუენ, მეფემან ბატონმან ბ ა გ რ ა ტ , ესე წყალოჴბისა და სითარხნის წიგნი და ნიშანი შეგინყა⁴ლეთ და გიბოძეთ თქუენ, კ ა ვ თ ი ს კ ე ვ ე ლ ს ი მ - ნ ა ძ ე ს ¹⁵ც ი ხ ო ვ ე ლ ს ა , ი მ ე დ ა ს ა და თქუენთა ძმათა.

მას ჟამსა, ო⁶დეს დაგაყენეთ მეჯინიბეთ, მოგუიდეგით კარსა და სი⁷თარხნის წყალობას დაგუეაჯენით. ვისმინეთ აჯა და ⁸მოსხენება თქუენი, გათარხნეთ და განგათავისუფლეთ, ას⁹რე რომე, არაფერი საჩუენო სათხოვარი არა გეთხო¹⁰ვებოდეს-რა: არა ლალა, არა კულუხი, არა საბალახე, არა ¹¹მალი, არა ფურის ერბო. ერთის სათათროს საურისაგან ¹²კიდე ჩუენი სათხოვარი და გამოსაღები სხუა არა გეთხოვებო¹³დეს-რა.

გქონდეს და გიბედნიეროს ლ{მერ}თმან ჩუენსა ერდგუ¹⁴ლად სამსახურსა შიგა.

კ ა ვ თ ი ს კ ე ვ ე ს მ ო უ რ ა ო და სხუანო ¹⁵მოსაქმენო! ვინ გინდა-ვინ [იყუნ]ე[ნ], ანუ ვინ გინდა-ვინ იქნებოდეთ, ¹⁶მერმე თქუენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენგა¹⁷ნაწყოლობევს სიგელში ეწეროს, ნურცარას თქუენ ¹⁸შეუშლით და შეეცილებით.

დაინერა ნიშანი და ბრძა¹⁹ნება ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტშ, აპრილის ღ, კელითა კარისა ჩუენისა ²⁰მ ნ ი გ ნ ო ბ რ ი ს ა – თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ნ ა ს რ ი ს ი თ ა .

verso-ზე ბაგრატ მეფის ხელრთვა: ბ ა გ რ ა ტ

1618 წ. 4 მარტი. წყალობის წიგნი
ბაბრატი მეფისა ბურამიშვილებისაღმე

პ ი რ ი: სეა, 1450-19/98; საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის სარეგისტრაციო დავთარში 1820 წელს.

საბუთის თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი ტშ (306), მარტის ღ (4), რაც უდრის 1618 წლის 4 მარტს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი: მდივან-მწიგნობარი შერმაზან ოქრუასშვილი.

ბრძანებითა ლ(მრთისაჲ)თა და წყ(ალო)ბ(ი)თ(ა) შ ა ჰ - { ა } ბ ა ს { ი ს ა } თ ა , ჩუენ, მეფემან პატრონმან ბ ა გ რ ა ტ , ესე წყალობისა წიგნი და სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ს ქ ა ი ხ ო ს რ ო ვ ს , დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ს , გ ი ვ ს , ი ე ს ე ს , ზ ა ა ლ ს და ზ უ რ ა ბ ს , შვილსა და მამავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს კ ა ხ ნ ი ლ ი ხ თ ი მ ე რ ი თ ლარიბად იყვენით და ვითაც ხელმწიფის ბძანება ასრე იყო, რომე, ვინც იქიდამ ჩამოგენდოსო, მისი მამული მასვე უბოძეო.

ანე, თქუენ მოგუენდეგით, ჩუენი ყმანი შეიქენით და ხელმწიფის ბძანებითა თქუენი სამკუიდრო მამული, რისაც მქონებელი ყოფილიყუენით, ის-¹⁰რეც უკლებლად თქუენვე გიბოძეთ მთასა და ბარსა. ლ(მერ)თმან ბედნიერად მოგიხდინოს ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩუენისა ვაქილ-ვაზირნო და სხუანო მოსაქმენო, ვინ გინდა-ვინ იყუნეთ ანუ ვინ გინდა-ვინ იქნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუ-¹⁵თავეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ნაწყოლობევს ფარვანაშია ეწეროს და ნურაოდეს ნუ შეუშლით.

დაინერა ნიშანი და ბძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტშ, მარტის ღ, ხელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის ო ქ რ უ ა ს შ ვ ი ლ ი ს შ ე რ მ ა ზ ა ნ ი ს ა თ ა .

დედას ჰქონია ხელრთვა: ბ ა გ რ ა ტ

კომენტარი:
გურამიშვილების სათავადო კახეთისა და ქართლის სამეფოების საზღვარზე მდებარეობდა. ისინი კახეთის მეფის სიუხერენობას აღიარებდნენ და შაჰ აბასის ლაშქრობების დროს კახ თავადებთან ერთად მეფე თეიმურაზს გაჰყოლიან იმერეთში. მნიშვნელოვანია შაჰის ბრძანება, რომელიც თავადების მიმხრობას გულისხმობდა და მათ პირდებოდა, რომ უკან დაბრუნების შემთხვევაში, კუთვნილ მამულებს უკლებლად მიიღებდნენ. ცხადია, იმერეთში გადახვეწილი თავადებისთვის ეს მიმზიდველი წინადადება იყო. საინტერესოა, რომ 1620 წელს შაჰ აბასმა პირადად უბოძა ფირმანი ზაალ და გივი გურამიშვილებს, რომლის ძალითაც მათ მამულები უმტკიცდებოდა. იგი ავალდებულებდა გლეხებსაც

1618 წ. 19 მაისი. ახალციხის წყალობის წიგნი ბაბრათ მეფისა ზაალ და ზურაბ ბურამიშვილებისადმი

პირი: სეა, 1450-19/106; საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის სარეგისტრაციო დავთარში 1820 წელს.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტმ (306), მაისის 00 (19) რაც უდრის 1618 წლის 19 მაისს.

[ქ.] მერმე, მოკითხული ვქენით: სოფელი ახალციხე სამკუიდროდ გურამის შვილებისა ყოფილიყო. შევიწყალეთ და მისის სამართლიანის საქმით ისრევ გურამის შვილს ზაალს და ზურაბს უბოძეთ, ნურაკაცი ნუ შეეცილებით.

ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმ, მაისის 00.

დედანს ჰქონია ხელრთვა: ბაგრატ

5

1618 წ. 11 სექტემბერი. ყმაფისა და სითარხნის წყალობის წიგნი ბაბრათ მეფისა ბატონ ანასა და ბატონ თინათინისადმი

დედანი: ხეც, Hd-13105; ღია ყავისფერი ქაღალდი; ზომა: 28X18,5 სმ. ხელი მხედრული; შავი ფერის მეღანი; პირველი სტრიქონი შესრულებულია ყავისფერი მეღანით; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: პირველი ორი სტრიქონის გასწვრივ საბუთს მოხეული აქვს მარჯვენა და მარცხენა კიდეები, რაშიც მოყოლილია კიდურა სიტყვები; ამჟამად საბუთი გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

პირები: 1. ხეც: Hd-11497; 2. სეა, 1461-3/1.

თარიღი: საბუთს უზის თარიღი – ქორონიკონი ტმ (306) ენკენისთუის ია, რაც უდრის 1618 წლის 11 სექტემბერს.

საბუთის დამწერი: მწიგნობარი ნასრ თუმანიშვილი.

გამოცემები: ბერძენიშვილი 1962: №4, გვ. 282.

ქ. ჩუენ, მეფემან, პატრონმან ბაგრატ, ესე წყალობის წიგნი და სიგელი მოგახსენე[თ ჩუენს] |³ ბატონს, ჩუენს რძალს, ბატონს ანასა და ბატონს თინათინს, მას ჟამსა, ოდეს ქალაქს შერგილასა და სსატურასა და შაჰ-ქასლანას წყალობას |⁶ დაგუეაჯენით.

ვი[ს]მინეთ აჯა და მოხსენება თქუენი |⁷ და მოგახსენეთ ქალაქს შერგილას ვილი ასატურა და შაჰ-ქასლანა მათის სამართლიანის მამული¹⁰თა და სახლ-კართა.

ასრე რომე, საჩუენო სათხოვარი |¹⁰ და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს-რა, არა ღალ¹¹ა და არა კულუხი, არა ფურის ერბო და არა ბაშმ¹²ალი, თუნიერ ერთის ღაშქრობისა, ნადირობისა და |¹³ დიდის კელმნიფის საურის მეტი, სხუა საჩუენო არა გ¹⁴თხოვოთ-რა. აგრევე, რაც მათ ბაჟი გამოუვიდო¹⁵დეს, ისიც თქუენთუის მოგუიხსენებია ამ წესითა, |¹⁶ რომე ჩუენმან მებაჟემ მათი ბაჟი აილოს და თქუე¹⁷ნ მოგახსენებდეს.

ქალაქის ტარულავ, მელიქო და |¹⁸ მამასახლისო, ეს ჩუენი ბრძანება, თქუენცა ასრე |¹⁹ გაუთავეთ და ნურას ეცილებით.

დაინერა ბრძ²⁰ანება ესე, ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმ, ენკენისთუეს ია, კელითა |²¹ კარისა ჩუენისა მწიგნობრისა თუმანი |²²ს შვილის ნასრისითა.

verso-ზე ხელრთვა ხვეულად: ბაგრატ

1618 წ. 30 მაისი. წყალობის წიგნი ბაბრათ მეფისა ნასრ თუმანიშვილისადმი

დედანი: ხეც, Ad-973-ა; ქაღალდი; ზომა: 31,3X16,4 სმ.; 1637 წლის 27 მარტს verso-ზე მოუთავსებიათ კიდევ ერთი საბუთი – როსტომ მეფის წყალობის წიგნი თუმანიშვილებისადმი. ხელი მხედრული; შავი ფერის მეღანი; პირველი და მეორე სტრიქონის დიდი ნაწილი დაწერილია სინგურით; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება:

პირი: 1. სეა, 1450-4/2.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტმ (306), მაისის 00 (30), რაც უდრის 1618 წლის 30 მაისს.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი შერმაზან ოქრუასშვილი.

წყ(ალო)ბ(ი)თა ღ(მრთისა)თა და ბ(რ)ძ(ანე)ბ(ი)თ(ა) შაჰ-ქასლანისათა. |²ქ. ჩუენ, მეფემან პატრონმან ბაგრატ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა ყმასა, კარისა ჩუენისა მდივანსა, თუმანიშვილს ნასრის და თქუენთ¹⁰ა შვილთა: ბაინდურს, ყორხმაზს და კიდევ თქუენთა |⁷ შვილთა, მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და მამ¹⁵ულის წყალობას დაგუეაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მო¹⁸ხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ სომხ-ითს |¹⁰ ნაოკარი ნასოფლარი ხქანძორისი მისის მართლის |¹¹ სამართლიანის სამძღურითა და საქმითა, მისის მითთა |¹² და საკნავ-სათიბრითა,

შესავლითა და გამოსავლითა, – ყოველი¹³ლითურ თქუნთუის გუიბოძებია.

გქონდეს და გიბედნი¹⁴ეროს ლ(მერ)თმან ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგა.

¹⁵ ანე, გ(ი)ბ(რ)ძანებთ, კარისა ჩუენისა ვაქილ-ვაზირნო, მდივანნო ¹⁶ და სო მ ხ ი თ ი ს ტარულაო და მელიქო, ვინ გინდა-ვინ იყუნეთ ¹⁷ და ანუ ვინ გინდა-ვინ იქნებოდეთ, თქუნცა ეს ჩუენი წ¹⁸ყალობა და ბრძანება ასრე გაუთავეთ, რარიგადცა ამა ¹⁹ სიგელში ეწეროს, ნურ(ა)ს შეეცილებით.

დაინერა ნიშანი²⁰ და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმ, მაის(ს)ა ლ, კელითა კარისა ჩუენ²¹ისა მდივან-მწიგნობრის ოქრუას შუილის შერმაზა ||²² ისათა .

verso-ზე ხვეულად ხელრთვა: ბ ა გ რ ა ტ

1618 წ. სეპტემბერი. მამულის წყალობის წიგნი

ქართლის კათალიკოს კრისტოფორუსი ბაბრიელის შვილ იმსუსადმი

დედანი: ხეც, Ad-1630; ღია ყავისფერი ქაღალდი; ზომა: 36X15 სმ; ხელი მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთი ადგილ-ადგილ დახვრეტილია, მოხეული აქვს მარცხენა ზედა კიდე, მაგრამ საბუთის ტექსტი გარკვევით იკითხება. ტექსტისათვის დამახასიათებელია ა-მეტობა, რომელიც ძალზე აძნელებს ტექსტის აღქმას, რის გამოც ეს გრაფიკული მოვლენა გამოცემაში შენარჩუნებული არ არის.

პირი: ხეც, Hd-11497.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტმ (306) სეკდენბერი, რაც უდრის 1618 წლის სექტემბერს.

გამოცემა: დოლიძე 1970: №89, გვ. 395.

ქ. ჩვენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმა, ქ(ა)რ(ა)ლ(ა)ს კათალიკოზ-მა პატრონმა ქრისტე|ფორემ, ესე უკუნის(ა)მდე ყამთა გას(ა)თ(ა)ვებ(ე)ლ(ა)ნი წყ(ა)ლობისა წ(ი)გნი და სიგელი გიბოძეთ ¹ ბრძანებითა მეფეთ-მეფისა ბაგრატისითა ² და თანამეცხედრისა მათისა დედოფლისა, ³ პატრონისა ანასითა, შენ, გაბრიელის შვილს იესეს, და შვილთა და მომავ(ა)ლთა სახლისა შენ⁴ისათა.

შეგინყალეთ და გიბოძეთ ზერტი ს(ა)მო(უ)რ(ა)ოდ. პირველად თქვენი იყო ს(ა)მ(ა)კ(ა)რ(ა)დარო¹⁰ და ნყ(ა)ლ(ა)ობ(ა) და გიბოძეთ სიგ¹¹ლითა ამით.

გქონდეს და გიბედნიეროს ლ¹²მერთმა ს(ა)ყდრისა და მეფეთა ერდგულად

15 ამ სიტყვის თავში მწიგნობარს ჯერ დაუწერია „ს“, შემდეგ გადაუკეთებია „დ“-დ.

¹³ ს(ა)მ(ა)ს(ა)ხ(ა)ურშია.

რამანცა მეპატრონემა და ან¹⁴უ კათალიკოზმა ეს მოგიშალოს, შენ ¹⁵ რისხევიდ ს ვ ე ტ ო ც ხ { ო } ვ { ე } ლ ო , კუ(ა)რთო ს(ა)უ¹⁶ფლოო და მირონო ლმერთ-მყ(ა)ფელო. ¹⁷ და ს(ა)ყდარისამცა კანუნსა ქვეშე არის. და¹⁸მამტ-კიცებელნი ლმერთმა აკურთხნეს.

და¹⁹ინერა წიგნი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმ, თვესა სექ²⁰დენბერსა.

საბუთის verso-ზე: ხვეულად ხელრთვა: კათალიკოზი ჯვრის გამოსახულე-ბასთან ერთად.

იქვე გვიანდელი სათაური: ზ ე რ ტ ი ს ა .

**1619 წ. სამამულო ღავის ბარბაქაძის წიგნი
ბაბრატ მფოსა ზრუშის მელიქ მირიმანას შვილებისადმი**

პირი: ხეც, 1450-26/5; საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის სარეგისტრაციო დავთარში 1820 წელს.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტზ (307), რაც უდრის 1619 წელს.

საბუთის დამწერი: ავთანდილი.

[ქ.] ნებითა და შეწვევითა ლ(მრ)თისათა, და ბრძანებითა მეფისა ბატონის ბაგრატისათა, და მოწმობითა სახლისუხუცის ბატონის ალათანგისათა, დავსხედით ჩვენ, ქანანაშვილი ლუარსაბა და შუაბოლ-ნისის მამასახლისი ბერუაჭრეშის მელიქის მირიმანასა და მისის შვილის, მურადასა, ნურალასა და ყაიათმაზას მამუ-ლის გასაყოფად.

სარჩელი და საუბარი ორთავესი გავიგონეთ, რაც მამული იყო ან შენი და ან ოხერი, ყულა ერთმანერთს შევადარეთ. ერგო ყაიათმაზასა ზაქუა და მისი ძმისწული მისის მამულითა, უმამულო მიქელა მისის ცოლისძმითა, მუსტაფას შვილები და ჯავახი გოგია.

ერგო ნურალას მარტიროზა თავის მამულითა, უმამულო ვართევანა მისის ძმისწულითა და თათარი ბიჭი შაენა და ხარელა.

მე, ავთანდილს დამინერია და მოწამეცა ვარ ამისი. ქ(ორონი)კ(ონ)ს ტზ.

საბუთს ესვა ბეჭედი.

**1619 წ. 10 აბვისტო. წყალობის წიგნი
სვიმონ მეფისა შიოშ სოლოლაშვილისაჲთ**

დედანი: ხეც, Sd-736-ა; ღია ყავისფერი ქაღალდი; ზომა: 43,5X19 სმ; ხელი მხედრული; შავი ფერის მეღანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანებები: დოკუმენტი თავნაკლულია; საბუთის შესავალი ნაწილი აღდგენილია ანა დედოფლისა და სვიმონ მეფის სხვა საბუთების მიხედვით.

პირები: 1. პირების კრებული ხეც, Qd-9037-რლდ; 2. სეა: 1450-4/2; 3. 1461-14/27.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტზ (307) მარიამობისთვის ი (10), რაც უდრის 1619 წლის 10 აგვისტოს.

გამოცემა: თაყაიშვილი, 1909: №363, გვ. 406-407.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი ავთანდილ მარტიროზიშვილი.

[ქ. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, დედოფალმან პატრონმან ანამან, და] ძემან ჩუენმან, მეფემან პატრონმან სუიმეონ, ესე უკუნისამდის ჟამთ]²ა გასათავებელი, მტკიცე და შეუცვალელებელი წყალობისა წიგნი და 1³ სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და 1⁴ თავდადებით და მრავალფერად ნამსახურთა ყმათა – სოლალაშვილ 1⁵თ შიოშს, ...* შვილთა და მამავალთა ყოველთავე სახლისა თქუენისათა, მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და კუმიის {ს} თქუენს კერძ1⁷ს მამულს დაგუეაჯენით.

ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, 1⁶ შეგინყალეთ და სიგლითა ამითა დაგიმკუიდრეთ და გიბოძეთ, რაც კუმიის {ს} თქუენი კერძი მამული ყოფილიყო ანუ შენი და ანუ ოკერი, ყო1⁷ვლითურ მისის წყლითა, წისქულითა, ველითა, ვენაკითა, სახნავ-სათიბ1⁸რითა და ყოვლის მისის სამართლიანის სამზღლურითა და საქმითა; მთ1⁹ით ბარამდის, რისაც მქონებელი ყოფილიყუნენ, ყოვლითავე სამკუიდროდ 1³ სამამულედ, თქუენთვის და თქუენთა შვილთათვის გუიბოძებია.

გქონდეს 1⁴ და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან) ჩუენსა ერდგულობასა და სამსახურსა ში1⁵გა.

ანე, გ(ი)ბ(რძანე)ბთ კარისა ჩუენისა ვაქილ-ვაზირნო, მდივან{წ}ო და სხვანო მო1⁶საქმენო, ვინ გინდა-ვინ იყუნეთ და ანუ ვინ გინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე ბ(რძანე)ბა 1⁷ და ნიშანი ესე ჩუენი თქუენცა ასრე გაუთავეთ, რარიგაცა ამა ჩ1⁸უენგან ნანყალობევსა სიგელსა შიგა ეწ{ე}როს. ნურცა-რას თ1⁹ქუენ შეუშლით და შეეცილებით, თუინიერ თანადგომისა და შე1²წენვისაგან კიდე.

დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ჩუენი ქ(ორონი)კ(ონ)ს 1² ტზ, მარიამობისთვის ი, კელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობარისა

* ეს ადგილი ამოშლილია. სავარაუდოდ, ამ ადგილას ეწერა სახელი ბიძინა, რომელიც გვხვდება 1646 წლის როსტომ მეფის განჩინების წიგნში.

ხელრთვები: ანა, სუიმონ

კომენტარები:

1. მეფე სვიმონი, ძე ბაგრატ VII-ისა (ბაგრატ-ხანი), თავისი მმართველობის დასაწყისში (1619-1620 წწ.) საბუთებს გასცემს თავის დედასთან – დედოფალ ანასთან ერთად, რაც გვაფიქრებინებს, რომ ანა დედოფალი მისი მეურვე იყო. სვიმონი 1619 წ. ავიდა ქართლის ტახტზე. წყაროების თანახმად იგი მცირეწლოვანი იყო. ისკანდერ მუნში აღნიშნავს, რომ შაჰ აბასმა “...სიმონი, რომელიც ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ბავშვი იყო, იმ ველაითის მმართველობის ბოძებით აღამალა მამის ადგილზე...” (ისკანდერ მუნში, 1969: 115). ბერი ეგნატაშვილიც მას “პატარა სვიმონ-ხანს“ უწოდებს (ბერი ეგნატაშვილი, 1959: გვ. 404). ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ბაგრატ-ხანის გარდაიცვალეობისას: “ცოლი მისი ანა ძით სიმონით იყოფოდნენ ტვილისს და სომხითს და არცა მას მორჩილებდნენ ქართველნი ეგდენად“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: გვ. 428), ანუ ვახუშტი ერთგვარად ადასტურებს მათ ერთობლივ მოღვაწეობას. ო. ჟიჟიაშვილი მიიჩნევს, რომ გამეფებისას სვიმონი შვიდიდან თოთხმეტ წლამდე უნდა ყოფილიყო (ჟიჟიაშვილი 2017: გვ. 14). ცხადია, მცირეწლოვან მეფეს მეურვე დასჭირდებოდა და სავსებით ბუნებრივია, რომ ეს ფუნქცია მის დედას შეესრულებინა. მეფობის პირველ ეტაპზე, ლუარსაბ II-სა და თეიმურაზ I-ს მეურვეობას უწევენ მათი დედები, დედოფლები: თამარი და ქეთევანი. ფაქტია, რომ სვიმონს სჭირდება მეურვე და 1620 წ. შაჰ აბასმა მას ოფიციალურად დაუნიშნა ვეჩილად გიორგი სააკაძე, ხოლო 1619-1620 წწ-ში ამ ფუნქციას დედოფალი ანა ამილახვარი ასრულებდა (ჟიჟიაშვილი 2017: გვ. 23-29).
2. სოლალაშვილები მცირე სათავადოს წარმომადგენლები იყვნენ, წარმოშობით სამხრეთ საქართველოდან. ისინი XV ს.-ში გადმოვიდნენ მესხეთიდან და ქართლში დამკვიდრდნენ (ბოშიშვილი, 2012: გვ. 8-18). მათი სათავადო ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მდებარეობდა. მამულები ჰქონდათ: ალგეთში, ვერეს ხევში, თბილისის გარშემო სოფლებსა და სომხითში. ასევე ყმა-მამული ჰქონდათ შიდა ქართლში, კახეთსა და თბილისში. სათავადოს მთავარი ციხეები იყო კოჯორი, ჭამპალა და ბორბალო. მათი სასახლეები იყო გუდელისში და ტაგნაგეთში; საგვარეულო საძეაღე კი კაბენის მონასტერში (ბოშიშვილი, 2012: გვ. 71). შიომ სოლოლაშვილი პროსპარსული ორიენტაციის და შესაბამისად, სიმონ II-ის ერთგული თავადია. იგი ფლობდა მოლარეთუხუცესის სახელოს. სიმონი მას უხვად აჯილდოებდა სხვადასხვა საბოძებით. შიომის დროს, სწორედ მეფისგან მიღებული წყალობის ხარჯზე გაიზარდა მისი ყმა-მამულის რაოდენობა. იგი სარგებლობდა დედოფალ ჯაჰანბანუს (სიმონ II-ის მეუღლე) წყალობითაც. სამეფო კარის კეთილგანწყობით, შიომმა მისი განაყოფების

მამულების შემოერთებაც მოახერხა. ქართლში როსტომის გამეფების შემდეგ შიომის მდგომარეობა შეიცვალა. სახლიკაცებთან დაგა-ში როსტომმა უპირატესობა ბიძინას მიანიჭა, ხოლო სოლაღაშვილთა სახლის უფროსად ელიზბარი დააყენა.

**1619 წ. 6 ოქტომბერი. წყალობის წიგნი
დედოფალ ანასი და მეფე სვიმონისა
იარაღ დათუასშვილისადმი**

პირი: სეა, 1450-36/119. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის სასამართლო რეგისტრაციაში 1823 წელს.

საბუთის თარიღი: ქორნიკონი ტზ (307) ღვინობისთვის მ (6), რაც უდრის 1619 წლის 6 ოქტომბერს.

საბუთის დამწერი: მწიგნობარი ნასრ თუმანიშვილი.

ქ. ნებითა და შეწვევითა ღვთისათა, ჩვენ, დედოფალმან ანამან და შვილმან ჩვენმან, მეფემან პატრონმან სვიმონ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, გორელს და თუასშვილს იარაღის, თქვენთა ძმათა და შვილთა.

5 მას ჟამსა, ოდეს ბედნიერს ყაენს სომხი [თ]ს სოფელი [ხოხმელი]* თქვენთვის ებოძებინა, მოგვიდევით კარსა და მისის ფარვანის წყალობას დაგვეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგინყალეთ და გიბოძეთ სომხით სოფელი ხოხმელი, მისის სამართლიანის სამზღვრითა და საქმითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, 10 სახნავ-სათიბრითა, შესავლითა და გამოსავლითა, ყოვლითურთ თქვენთვის გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან) ჩვენს ერთგულად სამსახურსა შიგა.

15 აწე, გიბ(რძანე)ბთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სომხითის ტარულავ და მელიქო, ვინ გინდა-ვინ იყვნეთ და აწუ ვინ გინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე, თქვენცა ასე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩვენგან ნაწყალობევს სიგელში ეწეროს, ნურცა რას თქვენ შეუშლით და შეეცილებით.

დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორნი)კ(ონ)ს ტზ, ღვინობისთვის მ, კელითა კარისა ჩვენისა მწიგნობრისა თუმანისშვილის 20 ნასრისითა.

ყოვლის კაცის უცილებელად შენთვის, შენის ძმის ყანდურაღისა და გვიბოძებია.

დედანს ჰქონია ხელრთვები: ანა, სვიმონ

ნაზარალიხანის მიერ 1693 წელს განახლებული დამტკიცება:

ქ. ჩვენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან ნაზარაღისან, პირმშომან და სასურველმან ძე(მან) ჩვენმან, პატრონმან იმანყულიმ და კოსტანტილემ, დაგიმკვიდრეთ და გიბოძეთ სოფელი ხორხმელი, როგორადაც ამა სიგელს შიგან გინერიათ, თქვენ, და თუაშვილს მდივანს, ძმასა შენსა ფირაღას, შვილსა თქვენსა ფარსადანს და იარაღის. ქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან), ქ(ორნი)კ(ონ)ს ტპა (381).

**1619 წ. წყალობის წიგნი ანა დედოფლისა და
მეფე სვიმონისა შიომ სოლოღაშვილისადმი**

პირი: სეა, 1450-28/196. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის სასამართლო რეგისტრაციაში 1823 წელს.

საბუთის დამწერი: მწიგნობარი ნასრ თუმანიშვილი.

საბუთის თარიღი: ქორნიკონი ტზ (307), რაც უდრის 1619 წელს.

ქ. ნებითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, დედოფალმან პატრონმან ანამან, და შვილმან ჩემმან, მეფემან პატრონმან სვიმონ, ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურს ყმასა, მოლარეთუხუცეს სოლაღაშვილს შიომს და თქვენთა შვილთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა. 5

მას ჟამსა, ოდეს ბედნიერს ბატონსა ტაბახმელას იესეს კერძი საკომლოები და მიწები, და ჯიგრაშენს, რაც იესეს კერძი ყოფილიყოს ბეჟანის და ნასრის კელთა თქვენთვის ებოძებინა, მოხვედით, მოგვიდევით კარსა და ჩვენცა დაგვეაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, ჩვენცა შეგინყალეთ და გიბოძეთ 10 ტაბახმელას და ჯიგრაშენს, რაც იესეს სამართლიანი მამული და მიწები ყოფილა, სამკვიდროდ და სამამულედ თქვენთვის გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან) ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შიგა.

დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორნი)კ(ონ)ს ტზ, კელითა კარისა 15 ჩვენისა მწიგნობრისა თუმანისშვილის ნასრისათა.

დედანს ჰქონია ხელრთვები: ანა, სვიმონ

კომენტარი:

1. შაჰ აბასი ქართული სახელმწიფოებრიობის მოსკობასთან ერთად ცდილობდა ქართული მიწათმფლობელობის გაუქმებასაც. ზემომოტანილი საბუთიდან კარგად ჩანს, რომ მან თავი გამოაცხადა ქართუ-

ლი მიწების უზენაეს მეპატრონედ და ქართველ ფეოდალებს სწორედ მისი ნებართვის შემდეგ უნდა მიეღოთ თავიანთი მკვიდრი მამულები. მან ქართველი მეფის პრეროგატივა შეითავსა და მეფე სიმონს მხოლოდ შაჰის მიერ ნაწყალობევი მამულის დამტკიცების უფლება ეკუთვნოდა.

2. იხ. კომენტარი ხეც, Sd-736.

**1619 წ. წყალბოს წიგნი სვიმონ მეფისა
მანგლელ ეპისკოპოს ათანასე ტატიშვილისაგან**

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd-14422; ღია ყავისფერი ქალაღი; ზომა: 32.5X14 სმ. მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანებები: დოკუმენტს ქვედა მარცხენა კუთხე მოხეული აქვს. ნაკლული ტექსტი აღდგენილი გვაქვს გრაფი-მათა შემორჩენილი ფრაგმენტებისა და კონტექსტის გათვალისწინებით; საბუთი გამაგრებულია სარესტავრაციო ქალაღით.

პ ი რ ი: სეა, 1461-14/27.

საბუთის თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი ტზ (307), რაც გვაძლევს 1619 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი: მდივან-მწიგნობარი შერმაზან ოქრუაშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა: დოლიძე 1965: გვ. 212-213.

ქ. ნებითა და შეწვევითა ლ(მრ)თისთა, ჩუენ, ლ(მრ)თივ-გუირგუიწნოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან ს ვ ი მ ო ნ , ესე წყალობისა წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, I⁴ ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურს ყმასა, ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ს მანგლელ მთავარეპისკოპოწზს ა თ ა ნ ა ს ე ს , და ძმასა თქუენსა თ ა მ ა ზ ს , და შვილსა შეწ⁷სა ო თ ა რ ს ა , ბ ე ჟ ა ნ ს , ე ლ ი ზ - ბ ა რ ს და ი ო თ ა მ ს და მოწმავალთა თქუენთა, ყოველთავე.

ასრე რომე, ა წ ყ უ რ ი ს I⁹ ციხის იარიშში შ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს მ ა ს - ტ ა ნ ა ს შვილი I¹⁰ თ ა მ ა ზ მოკლეს და თქუენსა მეტი პატრონი აღარა დარჩა-I¹¹რა. და ვითაც იმ მ ა ს ტ ა ნ ა ს ქალი შენ, ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ს თ ა I¹²მ ა ზ ს გედგა, მისი საბრალოდ ოკერი მამა და დედაც I¹³ თქუენ მოგაბარეთ; და ს ხ ლ ი თ ს , რაც იმათი ბოგანოები I¹⁴ იყო ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ი ს ვ ა რ დ ა ნ ი ს მამულში, ავჰყარე I¹⁵თ და თქუენ გიბოძეთ სამკუიდროდ და საბოლოოდ, რო I¹⁶მე ამასთან კელი არავის ჰქონდეს, არც ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ - ვ ი I¹⁷ლ ს ა , არც მ ე ს ხ ს ა , არცა-ვის ქ ა რ თ ვ ე ლ ს ა და არას კაცსა. I¹⁸ არა ვინემდისი სანყალი მისი მამა და დედა ცოცხალი იყოს, ამ I¹⁹სახურე და სამკუიდროდ და საბოლოოდ თქუენი არის. და I²⁰ ვერავინ გეცილებს ამად, ვითაც მოკითხული ვჰქენ I²¹ით და თქუენს მეტს არავის ეკელყოდათ იმისი ბო-განოები, I²² და არცა-ვინ პატრონი ჰყვანდათ.

ჰქონდეს და გიბედნიერო I²³ს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა

შიგან.

ვი I²⁴ნცა და რამანცა კაცმან ესე ჩუენგან ნანყა[ლობევი წიგნი] I²⁵ მოგიშ-ალოს, რისხავსმც ლ(მერ)თი მამა, ძე და სუ[ლი წმიდა და] I²⁶ ყოველნი წმიდანი ლ(მრ)თისანი, ზეცისა და ქვეყანისანი, I²⁷ კორციელნი და უკორციონი.

დაინერა წიგნი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა I²⁸ ტზ, კელითა კარისა ჩუენისა მდი-ვან-მწიგნობარისა ო ქ | რ უ ა შ ვ ი ლ ი ს შ ე რ მ ა ზ ა ნ ი ს ა თ ა .

ხელრთვა: ს უ ი მ ო ნ

გვიანდელი დამტკიცება:

ქ. რაც ამაში სწერია, ჩუენც ასრე გაგუითავებია, | ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლ (1642 წ.).

ხელრთვები: რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

კომენტარი:

ოსმალთაგან სამცხის მიტაცების შემდეგ შალიკაშვილები ქართ-ლის სამეფოში გადავიდნენ. მასტანა შალიკაშვილი თავისი ყმებით ქართლში დასახლებულა, თუმცა მას თავისი მამული არ ჰქონდა და ბოგანოები ვარდან ფალავანდიშვილის მამულში დაუსახლებია. საბუთი მნიშვნელოვანია შემკვიდრებითი სამართლის თვალსაზრისით – მემკე-იდრე ვაჟის გარეშე დარჩენილი ოჯახის ქონება გადადის გათხოვილი ქალიშვილის ოჯახზე, ამ შემთხვევაში სიძეზე. მასტანა შალიკაშვილის ვაჟის გარდაცვალების შემდეგ მასტანასა და მის მეუღლეზე მეურვეობა მეფემ დააკისრა მის სიძეს – თამაზ ტატიშვილს, რომელსაც აძლევს მასტანის ქონებას. ვარდან ფალავანდიშვილის მამულში ჩასახლებულ ბოგანოებს აყრის და თამაზის მამულში ასახლებს იმ პირობით, რომ სანამ მასტანა და მისი მეუღლე ცოცხლები იქნებოდნენ, ყმები მათ უნდა მომსახურებოდნენ, ხოლო მათი გარდაცვალების შემდეგ თამაზ ტატიშ-ვილს დარჩებოდა.

**1619 წ. აგვისტო. ანა დედოფლის წყალობის წიგნი
ბოქაულთუხუცეს ძაიხოსრო ბარათაშვილისადმი**

პირი: სეა, 1450-12/110. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1812 წლის 12 აპრილს.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტზ (307), მარიამობისთვე, რაც უდრის 1619 წლის აგვისტოს.

საბუთის დამწერი: ნასრ თუმანიშვილი.

გამოცემა: გოგოლაძე, 2016/2017, გვ. 104.

[ქ]. ნებთა და შეწვენითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, დედოფალმან პატრონ-მან ანამან, და შვილმან ჩუენმან, პატრონმან სუიმონ, ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩუენს ერდგულსა ყმასა ბარათაშვილს ბოქაულთუხუცეს ქაიხოსროს, და თქვენსა ძმასა თამაზს, თქვენსა შვილსა გუგუნასა და მამავალთა სახლისა თქვენ[ი] სათა.

მას ჟამს[ა], ოდეს მოგვიდგით კარსა და მამულისა წყალობასა დაგუეა-ჯენით, მოკითხული ვქენით და ბედნიერს ბატონსაცა თქვენთუის წყალობა ექნა. ჩუენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგინწყალეთ და გიბოძეთ სამკვიდროდ და სამამულედ ქვეშის კვეთი სოფელი სავანეთ[ი] და ვარხუნას თქვენიც სამკვიდრო ყმა არეშის შვილი შერმაზანა. ესე მათის სამართლიანის სამძღურითა და საქმითა, მითთა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ვენაკითა, საკნავ-სათიბარითა და სანადიროთა, შესავლითა და გამოსავლითა, ყოვლითურ თქვენთვის გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან ჩუენსა ერდგულად სამსახურს[ა] შიგან[ს].

ანე, გიბრძანებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვაზირნო და სხუან[ო] მოსაქმენო, ვინ გინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე თქუენც ასრე გაუთავეთ, რარი-გადც ამა ჩუენგან ნაწყალობევს სიგელში ეწეროს.

დაინერა ნიშანი და ბ(რძანე)ბა ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტზ, მარიამობის თვესა, კელითა კარისა ჩუენისა მნიგნობრის, თუ მან(ი)ს შვილის ნასრისითა.

დედანს ჰქონია ხელრთვები: ანა, სუიმონ.

კომენტარები:

1. მეფე სვიმონის საბუთების უმრავლესობა ბარათაშვილთა საგვარეულოსადმი ბოძებული და ეს ბუნებრივიცაა, რადგან მეფის ხელისუფლება ძირითადად, ქვემო ქართლზე, საბარათიანოს ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. სვიმონის დასაყრდენ ძალასაც ბარათაშვილთა სათავადოს წევრები წარმოადგენდნენ, ამიტომ სამეფო ხელისუფლებისადმი გამოჩენილი ერთგულების სანაცვლოდ პრივილეგიების დიდ

ნაწილს, სწორედ, ისინი იღებდნენ – ფლობდნენ მაღალ სამოხელეო თანამდებობებს.

2. ქაიხოსრო ბარათაშვილი – საბარათიანოს თავკაცი XVII ს.-ის I ნახევარში. იგი უკვე ჩანს მეფე ლუარსაბ II-ის მიერ გაცემულ საბუთებში. ლუარსაბი მას წყალობად აძლევს ვახტანგ ბატონიშვილის ნაქონ სოფ. კრკონს. ქაიხოსროს აღზევება იწყება სვიმონის გამეფების შემდეგ. ზემომოყვანილი დოკუმენტი მოწმობს, რომ ქაიხოსრო ფლობდა ბოქაულთუხუცესის თანამდებობას. ო. ჟიჟიაშვილი ვარაუდობს, რომ ეს სახელო, შესაძლოა, მას სვიმონისგან მიეღო (ჟიჟიაშვილი, 2017: გვ. 66). 1623 წელს ქაიხოსრო გახდა მეწინავე სადროშოს სარდალი და მიიღო მეკობრისმძებლელობა (იხ. საბ. სეა, 1450-12/106). მარტყოფის აჯანყების დროს ქაიხოსროს გიორგი სააკაძისთვის დაუჭერია მხარი, განდგომია სვიმონ მეფეს და დაუკარგავს სარდლობა, თუმცა მოგვიანებით ისევ შერიგებია. მარაბდის ბრძოლაში სპარსელების გამარჯვების შემდეგ, როდესაც ქართლში გავლენის მოსაპოვებლად გიორგი სააკაძე იბრძოდა, ქაიხოსრო აღარ ემხრობოდა მოურავს და, სამაგიეროდ, სარგებლობდა ირანის სამსახურში მყოფი როსტომ სააკაძის მფარველობით. მან ბირთვისის ციხეში 500 მეთოფე ყიზილბაში ჩააყენა. გიორგი სააკაძე დაესხა ტბისში მყოფ ქაიხოსროს და მის ძმა ხოსიას. ქაიხოსროს გამოაყვანინა ყიზილბაშები და ხუთასივე დახოცა, ხოლო ხოსია თავის მამულში წამოიყვანა და კიკანათბერის ციხეში დაატყვევა (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: გვ. 435). შაჰის ხელისუფლებასთან შერიგებული ქაიხოსრო 1626 წელს თბილისის მოურავად დანიშნეს (იხ. საბ. სეა 1450-32/341). 1626 წელს (სექტემბერ-ოქტომბერში) შაჰ აბასს მისთვის გამოუგზავნია ფირმანი და ქართლის ვექილობა და დედოფლის სახლთუხუცესობა უბოძებია (ხუბუა, 1949: გვ. 2). გ. ჯამბურია თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში ვექილობა დედოფალ ჯაჰანბანუს (სვიმონის მეუღლე) სახლთუხუცესობას ნიშნავს, რადგანაც მოგვიანო საბუთებში იგი სწორედ დედოფლის სახლთუხუცესად იხსენიება (ჯამბურია, 1955: გვ. 26-27). თუმცა, ფირმანში პირდაპირაა მითითებული, რომ ქაიხოსროს ორი სახელო უბოძეს: 1. ქართლის ვექილობა და 2. დედოფლის სახლთუხუცესობა. ვექილი, ამ პერიოდში, სპარსეთის სახელმწიფო მოხელე იყო, რომელსაც ქართლში ფინანსური საკითხების მოგვარება ევალებოდა (ხუბუა, 1949: გვ. 08). ვინაიდან შაჰ აბასი დიდად იყო დაინტერესებული ვაჭრობის განვითარებით, აღნიშნული თანამდებობა თავის ერთგულ პიროვნებას ჩააბარა. 1635 წელს სურამთან თეიმურაზ I-ის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში თავის გამოჩენისთვის ქაიხოსრო შაჰ სეფისგანაც იღებს ფირმანს (ხუბუა, 1949: გვ.4-08). მას არც ქართველი მეფისგან დაკლებია წყალობა. სვიმონისგან მან მიიღო მნიშვნელოვანი ყმა-მამულ: ტბისში ყმა აზნაური შერმაზან სააკაძე, სოფ. მახრალაჯი, უმემკვიდრეოდ გარდაცვლილი მეშვილდისშვილისეული მამული სოფ. ენაგეთში; მოგვიანებით, იმავე სოფელში სხვა მამულებიც (იხ. საბ. ხეც: Hd-10234, Hd-14448;

სეა: 1448-598, 1450-12/107, 1450-12/132). მეფე სვიმონი მას ისეთ სოფლებსაც აძლევდა, რომელთაც მოშენება-მოძლიერება ესაჭიროებოდა (უიუიაშვილი, 2017: 65-70).

[1620 წ.] ბრძანება სვიმონ მეფისა ამილახორ ანდუყაფარისადმი მისივე კველი მამულების დამტკიცების შესახებ

დედანი: ხეც, Hd-2115; სქელი ქალაღი; ზომა: 19,2X15,2 სმ. ხელი მხედრული; შავი ფერის მეღანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

პირი: სეა, 1461-14/26.

საბუთი უთარიღლა. მისი გაცემის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი გამოცემაში განსაზღვრულია გიორგი სააკაძის ირანიდან ქართლში პირველად ჩამოსვლის (1620) წლით, რაზედაც მინიშნება მოცემულია თავად საბუთის ტექსტში – როგორც ჩანს, კონსულტაციების გაწევა ახლად გამეფებული სვიმონისათვის წყალობების გაცემის თაობაზე, შაჰმა სწორედ მოურავს დააგალა.

ქ. მეფეს უ ი მ ო ნ უზეთესთა მოგახსენებთ და უქ²უედესთა გ(ი)ბ(რძანე) ბთ, ვინ გინდა-ვინ ბ(რძანე)ბ(ი)სა ჩუენისა მოქ³რჩილნი იყუნეთ.

მერმე, ა მ ი ლ ა ხ ო რ მ ა ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ¹ ბედნიერის ყაენის რალამი მოგუიტიან[ა], თავისი საქ²მკუიდრო მამულები უბოძებია. ანე, ბოქაუ³ლთუხ-უტესი ქ ა ი ხ ო ს რ ო გამოგუიგზავნია და, ¹ ვისცა ამისი მამული გქონდეს, მოურავის მოქ³სულამდის ყუელამ დაანებეთ. და რა მოურავი ¹ მობძანდების, რარიგადაც სჯობს, ისრე ვიქთ ¹⁰ და, რაც ან ქ ა ლ ა ქ ს ან დ ი ლ უ ა მ ს და ან ა ლ ს საქ¹ცილობელი არის, ისიც მოურავმა უნდა გარდაქ²სწყუიტოს.

ხელრთვა ხეუელად: ს უ ი მ ო ნ

კომენტარი:

ანდუყაფარ ამილახორი – ბარძიმ ამილახვარის ვაჟი. ბავშვობაში მამიდამის, დედოფალ ანას (მეფე ბაგრატ VII-ის მეუღლე) გაჰყვა სპარსეთში და შაჰ აბასის კარზე იზრდებოდა (კარბელაშვილი, 1913: გვ. 126). ანდუყაფარის და – თამარი შაჰ აბასს ჰყავდა ცოლად, რომელიც განსაკუთრებულად ჰყვარებია (კაკაბაძე, 1926: გვ. 20). 1614 წელს შაჰ აბასმა ანდუყაფარს უბოძა ამილახორობა და ქართლში გამოეზავნა. იმავე წელს განჯაში დაბანაკებული შაჰ აბასი, როდესაც ქართლ-კახეთში სალაშქროდ ემზადებოდა სხვა თავადებთან ერთად (ნუგზარ და იესე ერისთავები, ფეშანგ ფალავანდიშვილი და ალათანგ ხერხეულიძე) შაჰს ეახლა და ერთგული სამსახური შესთავაზა. მოცემულ პერიოდში

ამილახორობას ისევ პაპუნა დაეუფლა. 1619 წელს ქართლის სამეფო ტახტზე სიმონის დამტკიცების შემდეგ, ანდუყაფარმა ამილახორობა დაიბრუნა. შაჰმა მას თავისი შვილიშვილი შერთო ცოლად (ზუბეიდა ბეგუმისა და ისა-ხან-ყორჩიბაშის ასული). ამრიგად, ანდუყაფარი მეფე სიმონის ქვისლი გახდა, თან მისი მამიდაშვილიც იყო. შაჰმა ორივე ქართლში გამოისტუმრა. მათ ქორწილი ქართლში გადაიხადეს, სიმონმა – თბილისში, ხოლო ანდუყაფარმა – სხვილოსში. ანდუყაფარის მცდელობის მიუხედავად, მან ვერ მოახერხა სახლიკაცებისა და ქართლის თავადაზნაურობის შემორიგება, ამიტომ, სხვილოსის რეზიდენციას გაეცალა და სოფ. ჭალაში დასახლდა. ცხადია, სამეფო კართან მჭიდრო კავშირების გამო უდიდესი გავლენით სარგებლობდა. იგი თავის მოწინააღმდეგეებს შაჰთან და მეფესთან აბეზლებდა და ფიზიკურად უსწორებდა ანგარიშს. 1625 წელს მარტყოფის აჯანყების მომზადებისას, მისი, როგორც პროირანული ორიენტაციის მოხელის, განეიტრალება სცადეს ქართლის თავადებმა, ცოლითურთ შეიპყრეს და არშის ციხეში (ხევი, სტეფანწმინდა) გამოკეტეს, სადაც 3 წელი დაჰყო. მარაბდის ბრძოლაში ქართველების დამარცხების შემდეგ, ისა-ხან-ყორჩიბაშმა სცადა თავისი ქალიშვილი და მისი მეუღლე ანდუყაფარი ტყვეობიდან გაეთავისუფლებინა. მან ლაშქარს ხოსრო მირზა (როსტომ-ხანი) უსარდლა და ზურაბ არაგვის ერისთავის დახმარებით შეძლო ანდუყაფარის ოჯახი ციხიდან გამოეყვანა. ანდუყაფარმა ძველებური ძლიერება აღიდგინა. იესე ქსნის ერისთავთან ერთად შური იძია ზახორის ბატონ დაზნელ დაზნელიძეზე, რომელსაც თავისი დატყვევება დააბრალა. მისი კარ-მიდამო გადაწვა და დაზნელიც დაიღუპა. მისი მამულები ანდუყაფარმა და იესემ გაინაწილეს. ანდუყაფარმა სპარსთა ჯარი გორსა და სხვილოსში ჩააყენა. სამცხიდან დაბრუნებულმა გიორგი სააკაძემ გორი აიღო და სპარსთა ჯარი ამოწვიტა. შეშინებულმა ანდუყაფარმა მეფე სიმონთან თბილისის ციხეს შეაფარა თავი, თუმცა გზად მცხეთაში შეიპყრო სვეტიცხოვლის დეკანოზი, ტაძრის საგანძური მიატანინა და თან აიძულა მუეძინვით ეძახა (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: გვ. 434). თბილისის ციხეში მყოფი ანდუყაფარი ლანძვს (სარკმელს) დაეცა, გახეთქა და ციხიდან გადავარდა. ე. მამისთვალიშვილის ნაშრომში “ამილახვრები“ ვახუშტი ბატონიშვილის ეს ცნობა ანდუყაფარ III-ის გამაჰმადიანებისა და გარდაცვალების შესახებ შეცდომით მოტანილია ანდუყაფარ I-თან დაკავშირებით (მამისთვალიშვილი, 1996: გვ. 14).

[1619-1630 წწ.] უცნობი პირის წილის ბარათი

დედანი: ხეც, Sd-873; სქელი ქაღალდი; 1 ფ.; 15,4X4,5 სმ.; მხედრული; მოშავო-მოყავისფრო მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

ქ. ერთ წილად – ხ უ და ბ ა ხ რ ა ვ ა ხ ტ ა ნ გ ა შ უ ი ლ ი მისით მამული-თა და 1² სამართლიანითა, დღეს რისიც მქონებელი იყოს.

ხელრთვა: ს ვ ი მ ო ნ

[1619-1631 წწ.] უცნობი პირის წილის ბარათი

დედანი: ხეც, Sd-868; მუქი ყავისფერი ქაღალდი; 1 ფ.; ზომა: 3.6X15 სმ.; მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთის ტექსტი თავიდან ბოლომდე გარკვევით იკითხება; საბუთი გამაგრებულია სარესტავრაციო ქარაღლით.

საბუთი უთარიღოა. თარიღდება სვიმონ მეფის ხელრთვის საფუძველზე 1619-1631 წლებით.

ქ. ერთ წილად მ ა ზ ა ნ ა ი მისით მამულითა და სამართლიანითა დღეს, რისაც მქონებელი იყოს.

ხელრთვა: ს(უ ი)მ(ო)ნ

[1619-1631 წწ.] უცნობი პირის წილის ბარათი

დედანი: ხეც, Sd-928; მუქი ყავისფერი ქაღალდი; 1 ფ.; ზომა: 4.5X14.7 სმ.; ხელი მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთის ტექსტი თავიდან ბოლომდე გარკვევით იკითხება; გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თარიღი: საბუთი უთარიღოა. თარიღდება სვიმონ მეფის ხელრთვის საფუძველზე 1619-1631 წლებით.

ქ. ერთ წილად ტ ე რ ტ ე რ ა შ უ ი ლ ი მ უ რ ა დ ა ი მისით მამულითა და 1² სამართლიანითა დღეს, რისაც მქონებელი იყოს

ხელრთვა: ს(უ ი)მ(ო)ნ

1619-1631 წწ. პირობის წიგნი
სიმონ მეფისა ბრატაშაბ ბარათაშვილისაგან

საბუთი დაკარგულია. გამოცემაში გამეორებულია ე. თაყაიშვილის პუბლიკაცია.

გ ა მ ო ც ე მ ა : თაყაიშვილი 1899: №115, გვ. 117-118.

... ესე ფიცი და პირი გიბოძეთ ჩუენ, ლ(მრ)თივ-გვრგვინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმა ს ვ ი მ ო ნ , თქუენ, ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს გ ო ს ტ ა ს ა ბ ს , თქუენთა შვილთა – ყ ა ფ ა რ ბ ე გ { ს } , თ ა მ ა ზ ს და ი ო ვ ა ნ ე ს .

ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ვიყუნეთ დღეს და დღეის უკან თქუენთვის კარგნი და მოპატივენი მართლით სამართლიანითა, რისცა დღეს თქუენის კერძის მამულის მქონებელნი იყუნეთ, იმისაგან არა დაგამცროთ და არცა საძალოდ და საავკაცოდ უსამართლოდ არავის დაგანებოთ. და ვინცა თქუენი თავი შემოგვაბეზლოს, გაუკითხავად არა შეგიბეზლოთ და არცა საჯაროს კარი დაგიჭიროთ. და თუ თქუენ ესე პირი და ფიცი გაგვითავოთ, ჩვენცა ეს ასრე გაგვითავოთ.

ამის[ა]დ გათავებისად თავდებათ ლ(მერ)თი და ყო[ც]ელნი მისნი წმიდანი მოგვიცემია, კორციელნი და უკორცონი. ვისცა ჩუენსა ყმასა სამართლითა მიენიოს, მართლითა სამართლითა გავაგონებინოთ, არცა უსამართლოდ დაგამცროთ

ხელრთვა: ს ვ ი მ ო ნ

[1619-1631 წწ.] პირობის წიგნი
სვიმონ მეფის ბარათა ბარათაშვილისადმი

პირი: სეა, 1450-32/338.

საბუთი უთარიღოა. თარიღდება სიმონ მეფის ზეობის (1619-1631) წლებით.

...[დედოფ]ლისა ჩვენისა ლ(მრ)თისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა და ყოველთა წმიდათა ლ(მრ)თისათა, ზეცისა და ქვეყნისათა, კორციელთა და უკორცოთათა.

ამათ ყოველთა წმიდათა ღმრთისათა თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა, ესე ფიცი და პირი და წიგნი გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ყმათა ბარათაშვილთა ბარათასა, და შვილთა შენთა: საამს, იოსაფჯატს და გოგიას, ჩვენ, მეფეთ-მეფემან, პატრონმან სვიმონ.

ასრე და ამა პირსა ზედა, ვიყუნეთ დღეს და [დ]ღეის იქით თქვენნი მოპატივენი და კარგის მდომნი, არა გავნოთ, არა გაზიანოთ. და, რაც მამათქვენსა გუგუნასა მისთა ძმათაგან ან საუფროსო ან წილად მამული გამოხდომოდეს, ან აზნაურისშვილი ან გლეხი, მისგან არ დაგამცროთ. თუ შენი ძმა, ქავთარ, მოვიდეს და ჩვენად ყმად შეიქნას, იმას თუ შენთანა ყოფა უნდოდეს, შენთანა იყოს, და თუ არადა, მისი სამართლიანი იმას არ დაკლოდეს. თუ თქვენი თავი შემოგვაბეზლონ, გაუკითხავად არა გაგინყრეთ.

ამისად გათავებისა თავსმდებად ლ(მერ)თი და მერმე ყოველნი წმიდანი ღმრთისნი მოგვიცემია.

დედანს ჰქონია მეფის ხელრთვა.

კომენტარი:

ბარათა ბარათაშვილი – გუგუნას ძე, ქვემო ქართლის მეწინავე სარდალი დაახლ. 1599 წ.-დან (ჯამბურია, 1955: გვ. 24). სვიმონის გამეფებისას მან ისარგებლა სამეფო ხელისუფლების სისუსტით და თავისი სახლიკაცები გაანადგურა, რათა სათავადოს ერთპიროვნული მმართველობა მოეპოვებინა. თავის გადასარჩენად მისი ძმიშვილი ყაფლანი სპარსეთში გადაიხვეწა და შაჰ აბასის კარს შეაფარა თავი (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: გვ. 428). ზემომოყვანილი საბუთიდან ჩანს, რომ ბარათა სვიმონის მომხრე ყოფილა, მაგრამ 1623 წელს იგი ირანის ხელისუფლებას და მასთან ერთად სვიმონ-ხანსაც დაპირისპირებია. რა გახდა ამის მიზეზი, არ ვიცით, თუმცა შედეგი ცნობილია, მას ჩამოართვეს საბარათიანოს სარდლობა და გადასცეს ქაიხოსრო ბარათაშვილს. ბარათა მონაწილეობდა მარაბდის ბრძოლაში და თეიმურაზს უჭერდა მხარს (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: გვ. 431). საბოლოოდ შაჰ აბასმა იგი დასაჯა “მეწიფენ ფარავანსა ზედა და მოკლეს იგი“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: გვ. 428). ბარათას მამულები სვიმონ მეფემ თავის ერთგულ ქაიხოსრო და ყაფლან ბარათაშვილებს უბოძა (ქიქიაშვილი, 2017: გვ. 63-65).

1620 წ. 15 აპრილი. სასამართლო განჩინება სვიმონ II-ისა ბიორბი სააკაპისა და ქაიხოსრო ჯამახიშვილის სასისხლო საქმეზე

დედანი: ხეც, Hd-6259; თეთრი ქაღალდი; ზომა: 275,7X22 სმ.; რვა კვფი: I- 34,5X21,8 სმ.; II- 23,3X21,4 სმ.; III- 35,4X21,5 სმ.; IV-37,7X21,3 სმ.; V-34,3X21,5 სმ.; VI-37,5X21,6 სმ.; VII-36,7X22; სმ.; VIII-36,3X22 სმ. შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთის კიდეები ჩამოხეული, ნასერები განაკვეც ადგილებში. ალაგ-ალაგ ტექსტიც ცალკეული გრაფემებიც დაკარგულია, თუმცა ტექსტი იკითხება. დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. 1821 წელს გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში. თარიღი: ქორონიკონი ტწ (308), აპრილს იმ, რაც გვაძლევს 1620 წლის 15 აპრილს.

გამოცემა: დოლიძე, 1972: გვ. 55-64.

ქ. ზე ადიდნეს კელმწიფეობა ბედნიერის შაჰ- [ა]ბასისა |² და მეფობა პატრონის სუიმეონისა .

დავსხედით ბრჭენი |³ და მოსამართლენი ლ(მრ)თისა შიშსა ქუეშე. ჩუენ, დივანბეგი |⁴ პატრონი ბეჟან, ბარათაშვილი პატრონი გი(ორ)გი, მეღუინეთ¹⁵უხუცესი ღაზნელიძე პატრონი ღაზნელი, კარის მდივანი |⁶ თუ მანისშვილი ნასრი, ბატონის მოურავისა და ჯავახიშვილი |⁷ ღის ქაიხოსროსა საქმის გარდასაწყუეტლად.

ერთმანერთისაგ⁸ან ბევრს რასმე ჩიოდეს. სარჩელი და საჩივარი ორთავესი |⁹ გავიგონეთ.

სარჩლა პირველად ბატონმან მოურავმან, რომე: ლ(მერ)თმან |¹⁰ იცოდესო, მე ქაიხოსროს მოყურად და მოსამართლედ გამოველოდიო; |¹¹ შუილურად ბერუკა გავზარდეო, ის კელიდამა გაუშუიო და ქა |¹² ხოსროს კელი მოვკიდეო.

ქაიხოსრო ამას უპასუხებდა, რომე: |¹³ ლ(მერ)თმან უწყოდესო, ბატონს მოურავს მოყურადაც გამოველოდიო |¹⁴ და მოსამართლედაცაო.

პირველად მოყურობის თავზედა ბევრი რამ ი¹⁵უბნეს. სარჩელი და საჩივარი ორთავესი გავიგონეთ. პირველ |¹⁶ ნალაპარაკევი ერთმანერთს შეუდარეთ და ჩავარონინეთ.

კიდევე სარ¹⁷ჩლა ბატონმან მ[ო]ურავმან, რომე: ქაიხოსრო მოყუარეც იყო, |¹⁸ ქალიც მთხოვაო და კიდეც დავმოყურდიო; და ჩემის საქმითა და მო¹⁹ყურობით სამს წელიწადს ასრე შევიწახეო, არცა ვის წასაკდენლად და |²⁰ გასაგდებლად დავანებეო. რა მე წამაკდინესო, ქაიხოსრო აქ დარჩა²¹ო, და მე რას მემართლებოდაო, რომე ან ისეთნი უკაცრაული მკადრაო |²² და ან მესისხლედ ამიჩნდაო. თუ რამ ცალქალამნიძემ აწყინაო, ცალქალა²³მნიძეს მამულიცა ჰქონდაო, საქონელიც ჰქონდაო, ცხენი და პირუტყუიცა |²⁴ ჰყუნდაო, ისრევ იმას გარდავაკდევინებდიო; ცალქალამნიძის გულისა²⁵თუის რას ისთენს სიკუდილსა და უკაცრაულს

მემართლებოდაო. ახ²⁶ლა კიდევ ამ ბრჭობაზედა ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ი ასთენი-
ერთა სათნო დავი²⁷ჭირეო და მოყურადაც გამოველოდიო, რომე არ ა გ უ -
ის ე რ ის თ ა ვ ი , მ უ ხ |²⁸რ ა ნ ის ბატონები, ქ ს ნ ის ე რ ის თ ა ვ ი ,
ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ის შ ვ ი ლ ი , ც ი ც ის შ ვ ი ლ |²⁹ი , ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი და
სრულად ქ ა რ თ უ ე ლ ნ ი ჩემი მოყურენი და მო³⁰სამართლენი იყუნესო,
დღეს ამისთანას საქმეში ყუელანი უ³¹ნდოდა მამდგომოდესო. კიდევ ქ ა ი ხ -
ო ს რ ო ს სათნოს გულისათუის არც |³²ერთი მოვიყენეო და მარტ[ო] ჩემის
ყმით გავებრჭეო და ჩემი მო³³ყურე და მოსამართლე არც ერთი ვინდომე ამ
საქმეზედაო.

ქ ა ი ხ ო |³⁴ს რ ო ამას უპასუხებდა: მე ც ა ლ ქ ა ლ ა მ ნ ი ძ ე ვერას
დამაკლებდაო, |³⁵მაგრა ბატონის მოურავის სახლი გამინყრომაო, მისი ყმა-
ნი გ³⁶უერც მოიყენაო და რაც დამემართა, ყუელაკა ც ა ლ ქ ა ლ ა მ ნ ი ძ ი ს
ქ[მ]ნილ³⁷ობით დამემართაო. ჯალაბით ბატონის მოურავის კოშკშიგა და
სა³⁸სახლეში იდგაო და ჩემგან იქ უკაცრაული არ იკადრებოდა რაო.

|³⁹კიდევ სარჩლა ბატონმა მოურავმან: ქ ა ი ხ ო ს რ ო მაგას შენგან |⁴⁰
არ მოველოდიო, რომე ეს ყუელა უკაცრაული მიყავო; რაც დამემარ⁴¹თა, ყუე-
ლა შენის ქმნილობით დამემართაო. ბ ე რ უ კ ა შვილსავით გავ⁴²ზარდეო და
ორჯელ-სამჯერ დაკარგული მოვიყუანეო, შუილურებ უ⁴³ყურებდიო. რა ეს
შეიტყო ბ ე რ უ კ ა მ ა ო , რომე ქ ა ი ხ ო ს რ ო ვ მოურა⁴⁴ვს მოყურად დაუ-
ჭირავსო, გარდამიბრუნდა და ბატონს ლ უ ა რ ს ა |⁴⁵ბ თ ა ნ ბეზლობა დამინყო
ამის გულისათუის, რომე ქ ა ი ხ ო ს რ ო |⁴⁶ს დამოყრებიხარო; თუ არ[ა] და, ბ ე -
რ უ კ ა ზ ე და ბევრის კარგის მეტ⁴⁷ი არა მიმიძლოდა-რაო. და ესე თქო ბ ე -
რ უ კ ა მ ა , რომე ქ ა ი ხ ო ს რ ო |⁴⁸ს გულისათუის დამკარგა და წამაკდინაო.

ამაზედ ჩამამეკიდა ბ ე რ უ |⁴⁹კ ა და ჩემი მწყალობელი ბატონი გამინყო-
რომა და ამ ალაგიდამა ცო⁵⁰ლითა და შვილით დამკარგა, სასაფლავო და მონ-
ასტერი დამაკარგუინა |⁵¹და რჯულიდამ შემცუალა. სახლი, კარი და საქონე-
ლი, რაც პაპა-მამა⁵²თაგან და ან ჩუენი მოგებული იყო, ყუელა წამიკდა. და
დამიფორაქეს |⁵³და ამოკრეს. თუ მე ქ ა ი ხ ო ს რ ო ს არ მივდგომოდი, ეს
არცერთი |⁵⁴არ დამემართებოდა. ბატონს დედაჩემს ყოვლი კაცი იცნობთ,
ფეკში⁵⁵შველა, შვილითა, მუახლე[ე]ბითა, მოსამსახურე[ე]ბითა ლეხთ-იმერ-
ით |⁵⁶გარდამიგდეს და დამიკარგეს. ბ ე რ უ კ ა , შვილსავით გაზრდილი,
კელიდამ |⁵⁷გაუშუი და ქ ა ი ხ ო ს რ ო მოყურად დავიჭირე, მერმე გამწირა
და ბ ე |⁵⁸რ უ კ ა ს ა მიუდგა. და ეს ყუელა უკაცრაული და სიკუდილი და
ამონყუეტა, |⁵⁹ყუელაკა ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ა გ ა ნ დამემართა.

ქ ა ი ხ ო ს რ ო ამას უპასუხებდა: |⁶⁰აშოროს ღ(მერ)თმან, ჩემის გულისა-
თუის არცა-რა დაგმარცხებია, ა⁶¹რც ჩემის საქმობით წამკდარხარ, არც ჩემს
თავზედ ავი რამ დაგმ⁶²ართებია, არც ბ ე რ უ კ ა ს ჩემის თავისათუის უგმიხ-
არ, რაც შენი მ⁶³ამული არ უქადეს და მისთუის არ გიყუეს.

ჩუენ ამისი ასრე გავა⁶⁴ჩინეთ: წადგეს ქ ა ი ხ ო ს რ ო თუითან თავის
თავითა, სამის შესახელებუ⁶⁵ლის უმტეროს მოურავის ყადარის კაცი-
თა და ოთხის შეუსახელებელის კაცითა |⁶⁶და ასრე შეჭვიცოს: „ბატონო
მოურაო, ამისმან <მადლმან> მადლმა |⁶⁷ნ, ამისმან ძალმან და ამისმან

განმაცხოვრებელმან ქრისტემან |⁶⁸ღ(მერ)თმან, არც წამკდარ[ხარ] ჩემის
მოყურობის გულისათუის, არცა-რა ჩემ⁶⁹ს თავზედ შენ რამ ავი დაგმართებია
და არცა-რა დაგმარცხებია და |⁷⁰ჩემის საქმითა და ქ[მ]ნილობით კურთხეულს
ბატონს, თქუენს ძმასა, სი⁷¹კუდილით არა დამარცხებია-რა“.

თუ დაიფიცოს, არა ზედა-აც. და თუ ვე⁷²რ დაიფიცოს, ან დაუდვას რვა
კუამლი გლეხი და ან მიართოს ო⁷³თხმოცი თუმანი თეთრი.

კიდევ თავს იდვა ქ ა ი ხ ო ს რ ო , რომე: |⁷⁴დასტურად მინდორიდამა ნოს-
ტური, ახალშური და ს ო მ ე ხ თ ნახირი ჩემ⁷⁵ის ქ[მ]ნილობით წამოვასხიო.

ჩუენ მოკითხული ვქენით; და არც ნ ო ს ტ ი |⁷⁶ს სასახლეს მიჰკდომოდა
და არც სოფლიდამ წამოესხა, მინდორიდამ ი⁷⁷ყო წამოსხმული. მესამეს დღეს
წაზდგომოდეს ბატონის მოურავი⁷⁸ს ყმანი, რაც ამათი პირუტყუი ქ ა ი ხ ო ს -
რ ო ს წამოესხა და ხ ო ვ ლ ე ს მი⁷⁹ესხა, ბატონის მოურავის ყმათა თავისიც
წამოასხეს და ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ყ⁸⁰მისაც თან გამოუტანებია.

ჩუენ ამისი ასრე გავაჩინეთ: პირველად |⁸¹ქ ა ი ხ ო ს რ ო მიჰკდომოდა და
მინდორიდამ სამის სოფლის ნახირი წამოესხა, რა⁸²ც მაშინ ქ ა ი ხ ო ს რ ო ს
ყმის პირუტყუი ამათ პირუტყუს გამოჰყოლოდე⁸³ს, ჩაგუირონიებია; ამისთუ-
ის, რომე პირველ ქ ა ი ხ ო ს რ ო მიჰკდომოდა და |⁸⁴თავის ჭკუას აბრალოს.

კიდევ ქ ა ი ხ ო ს რ ო ამას ჩიოდა: საქონლისა წ⁸⁵აკდომასა და პირუ-
ტყუის წამოსხმას არა ვჩივო; მამიკდეს სასახლეშიაო, |⁸⁶ცოლი და შვილი
დამითრივესო, სასახლე თავს დამიქცივესო; თუ რამ ჩემი საბ⁸⁷ადულობა იყო,
ყუელაკა ჩემის სახლიდამ გამოიტანეს და დამიფორაქესო, |⁸⁸ძლივ ცოლი
და შვილი ფეკშიშველა და დაცურცილნი გარდავახუენეო. წამ⁸⁹ამიგდა
ც ა ლ ქ ა ლ ა მ ნ ი ძ ე სასიკუდილოდ; და ღ(მერ)თმან და თქუენმავე ბედნი-
ერობა⁹⁰მ მამარჩინა და ცოლი და შვილიც ძლივ გარდავახუენეო და ფეკშიშვე-
ლა |⁹¹დაცურცილნი მესამეს დღეს ვ ე რ ე ს ვიპოეთო. ამისთანა უკაცრაული
გამო⁹²თრევა და სიკუდილი ც ა ლ ქ ა ლ ა მ ნ ი ძ ე მ მიყო[ო].

ჩუენ ამისი ასრე გავაჩინეთ, |⁹³რომე: ქ ა ი ხ ო ს რ ო ს დიდი სირცხული
და უკაცრაული დამართებოდა ასეთის კაცი⁹⁴ს კელითა, რომე იმ კელის კა-
ცის სახლსა ისეთნი უკაცრაული არ უნდოდა ჰკადრე⁹⁵ბოდა. და ბატონმან
მოურავმან საუკაცრაოდ ორმოცდაათი თუმანი მიართო⁹⁶ს; და რაც ქ ა ი ხ -
ო ს რ ო ს სახლიდამ საქონელი გამოსულიყოს, რაც ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ო⁹⁷რმა
შესახელებულმა მსახურმან გამოიფიცოს, მისი საქონელიც მისცენ და არ⁹⁸ას
ემართლებიან.

სარჩლა კიდევ ბატონმან მოურავმან, რომე: სასაფლაოზედ მამი⁹⁹დე-
სო, ესტანმიდური ნახირი წა[ა]სხესო და ეს ყუელა უპატიობა და უკაცრაული
ჩემ¹⁰⁰ს სასაფლავოსა და ჩემს მამულს უყუესო.

ქ ა ი ხ ო ს რ ო ე ს ტ ა წ მ ი დ [ა] ს მიკდომისასა და |¹⁰¹ნახირის წამოსხ-
მისასა ამას უპასუხებდა: ბედნიერი ყენიც აქ, ქ ა რ თ ლ ს იყო, |¹⁰²ბ ე რ უ კ -
ა ც აქ იყო და მისავ აქ ყოფაში ნახირი წაასხესო და არცა-რას მის საქმ¹⁰³ეს
შუა ვარო და ნახირიც ისრევე უკლებლად შეაქცივესო.

ჩუენ ამისი ასრევე გავ¹⁰⁴აჩინეთ: ბ ე რ უ კ ა ს დანაშავები სხუა ქ ა ი ხ ო ს -
რ ო ს ა თ უ ის არა გუიკითხავს-რა და არც ეს |¹⁰⁵გუიკითხავს. ბ ე რ უ კ ა ს
წაქმარი იყო და იმასვე ეკითხუის.

კიდევ თ ე ძ მ ის პირადამა ქ ა |¹⁰⁶ი ხ ო ს რ ო ს შეკითხულობით

მ ა ნ ა გ ა ძ ე ს ა ორი პირი ცხუარი ბატონის თ ა მ ა რ ი ს ა წ ა¹⁰⁷მოესხა, რაც იმ ცხუარს დაჰკლებოდეს, ქ ა ი ხ ო ს რ ო ისრევ შეაქცივოს. ბატონი¹⁰⁸ის თ ა მ ა რ ი ს უკაცრავლი სხუაც არის და მისის უკაცრავლის პასუხსა¹⁰⁹ ერთპირად მოვახსენებთ.

კიდევ ბატონი მოურავი ფ ე ლ ი ს დარბევას ჩიოდა, რომე: ¹¹⁰ჩემი ციხე და სიმაგრე ის იყო და ქ ა ი ხ ო ს რ ო გამიტყება და დამირბივო.

ქ ა ი ხ ო ს¹¹¹რო ამას უ[პ]ასუხებდა: გ ო რ გ ა ძ ე ბ ე რ უ კ ა ს ყმა იყო, ფელელთ იმისი ცხენი ე¹¹²მართაო, წავიდა გ ო რ გ ა ძ ე და მისი ცხენი წამოიყუანაო. სხუა არა შემიცოდებია-რა¹¹³ო. ბ ე რ უ კ ა ს საქმე არცარა სხუა გუიკითხავს, მისის ყმის ნაქმარი იყო და მანვე ი¹¹⁴კადოს.

სარჩლა კიდევ ბატონმა მოურავმან, რომე: სხუას ნაწყენს არ დამა-ჯ¹¹⁵ერა ქ ა ი ხ ო ს რ ო ვ , ხუთი ჩემი მსახური და აზნაურისშვილი და[ა] ბეზლა ბატი¹¹⁶ონს თ ე ი მ უ რ ა ზ თ ა ნ ა : ერთი ც ა ლ ქ ა ლ ა მ ნ ი ძ ე , მეორე ჩ ი ვ ა ძ ე მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ი , მესამე ხ ო ს ი¹¹⁷ტ ა , მეოთხე ა დ ო ლ ა და მეხუთე ქ უ ლ ი ვ ი ძ ე მ ა თ ი ა . და[ა]ჭირვინა ცოლითა და შვილი¹¹⁸თა და და[ა]ტყობინა და რაც ებადა წა[ა]რთმევიანა.

ქ ა ი ხ ო ს რ ო ამას უპასუხებდა: ა¹¹⁹შოროს ლ(მერ)თმანო, არც ჩემის საქ-მოებითა და არც ჩემის სიტყუის მომმინოს კაც¹²⁰ის პირითა ამ ხუთს მსახურ-სა და აზნაურისშვილსა არცარა დამარცხებია¹²¹ და არც მე დამიბეზლებია, და არც ჩემის საქმოებით ისინი დაჭირულან, რაც ა რ¹²²და შ ე ლ ი ს შ ვ - ი ლ მ ა ნ არ დაიჭირაო, და მისის საქმოებითაც იქნაო. ავად ვიყავო, ა რ¹²³და შ ე ლ ი ს შ ვ ი ლ ს დავეთხოვეო, შინ გამამიშო და კავთისკევამდის თან გამამატი¹²⁴ანაო, კავთისკევს მოვასხიო. იმ ღამეს ყუელანი თავის სახლ-ში მივიდესო. ¹²⁵დილას ჩ ი ვ ა ძ ე მ კარგი სადილი მაჭამაო, მე შინ წაველო, ისინი ჯ უ¹²⁶ღ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს მივაბარეო და იმან ბატონთან წა[ა]სხაო. სხუას ამათ საქ¹²⁷მეში მე არასფერს შუას არა ვარო.

ჩუენ ამის ასრე გავაჩინეთ: მოკითხუ¹²⁸ლი ვქენით და იმ მსახურებსა არ-ცარა სიკუდილითა სჭირდა და არცარა¹²⁹ გახეიბრებთა. წა[ა]ყენოს ქ ა ი ხ - ო ს რ ო ექუსი მისი შესახელებული მსახურ¹³⁰ი – ორი ც ა ლ ქ ა ლ ა მ ნ ი - ძ ი ს ა თ უ ი ს და ოთხი იმ ოთხისათვის და შეაფიცოს, ¹³¹რომ არაფერს შუა არ ყოფილიყოს. თუ დაიფიცეს, არა ზედა-აც. და თუ ¹³²ვერ დაიფიცეს, ასი მარჩილი თარჯიმანად მიართოს.

სარჩლა კიდევ ბატო¹³³ნმან მო უ რ ა ვ მ ა ნ , რომე: შუილსავით ბ ე რ უ - კ ა გავზარდეო. ქ ა ი ხ ო ს რ ო [მ] ბ ე რ უ¹³⁴კ ა ს მოყრობიადამ გამყარაო, ქალი მთხოვა და მივეცო. ანე ქ ა ი ხ ო ს რ ო¹³⁵ თავის შუილისათვის ცოლი უთხოვინაო. სხუას სიკუდილს არ დამაჯერაო ¹³⁶და დღეს ქალიც დამიგ-დოო. ბევრი საბატოს კაცის შუილი სხუაც წა¹³⁷ვიდა ბედნიერს ყაენთანაო, დღესცა სრულ საბატოს ქ ა რ თ უ ე ლ თ კაცის შვი¹³⁸ლებიც იქ არიანო. თუ ყაენთან წასულის გულისათვის დამიგდო, ვისაც აქ¹³⁹ ცოლი და დანიშნუ-ლი ჰყუანდაო, ისიც იქ გაუგზავნესო. ყაენთან წასულის გ¹⁴⁰ულისათვის ქალი რატომ დამიგდო, ან ჩემი სისხლი რატომ შეიღვაო. დღეს[ა]ც ი¹⁴¹სრევ

უქმროდ არისო.

ქ ა ი ხ ო ს რ ო ვ ქალის დაგდებისას ამას უპასუხებდა¹⁴²ა, რომე: ლ(მერ) თმან ჩემმან გამიგონოსო, რომ კ ა ხ ი ს ბატონისა, ქ ა რ თ უ ე ლ ი ს ბ ა - ტ ო ლ¹⁴³ნისა და ი მ ე რ ლ ი ს ბატონის ქალიც ჩემის შვილისათვის ვისმე მიე-ცაო, მაშინ[ა]ც ¹⁴⁴ბატონის მოურავისა ქალი მერჩივნაო და მისის მოყრობის მონატრეც ¹⁴⁵ვიყავო.

ერთხელ ბატონი ა ლ ა თ ა ნ გ ი მიუგზავნეო და ქალი ვთხოვეო; ¹⁴⁶და ასრე ებრძანა, რომე: ბატონს დედაჩემსა და შინ ვჰკითხავო და მის პასუხს მო¹⁴⁷გახსენებო. გამოვიდა ხანო და არა პასუხი მამივიდაო. მერე კიდევ ბატო¹⁴⁸ნი ა ლ ა თ ა ნ გ ი ბატონს თ ა მ ა რ ს მიუგზავნეო და მართალი პასუხი ვერცარა ¹⁴⁹იქიდალმა გამოვიღეო. მერმე ე რ ი ს თ ა ვ თ ა ნ წაველ და იმას შევეხუენეო, რომე, ¹⁵⁰მოურავს ქალსა ვთხოვო და ამას გეხუენები, ჩემის შვილისათვის ქალი ¹⁵¹მოაცემინო. ე რ ი ს თ ა ვ მ ა ნ ასრე მიპასუხა: ჩემს სიძეს შევეყრებო და თ¹⁵²უ ის მოგცემსო, არც მე დაუშლიო და კიდევ მოვიჭირებ, რომ მო¹⁵³გცესო. იმ უფროსის ქალისა გარდასწყდა და გა[ა] თხოვეს. ერთი-ორი წე¹⁵⁴ლინადი გამოვიდა და ჩემს შვილს ქალი უთხოვე და ჩ ი ვ ა ძ ე ს მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ს ¹⁵⁵შევეხუენე და უთხარი: ო რ ჩ ი ა ვ , ის უფროსი ქალი არ იქნა და თუ სხუა ¹⁵⁶უმცროსი ქალი ჰყავს, მეც უმცროსი შვილი მყავსო და იმას მოსცესო, ¹⁵⁷დიდად წყალობად დავიჩენო. ჩ ი ვ ა ძ ე მ აღარც პასუხი მამიტანა და აღარც-რა, მე მო¹⁵⁸ვახსენე: ეგების ჩემი მოყრობა აღარ ეპრიანებოდესო. მას უკან თუ ან ჩემთ¹⁵⁹უის მოეგზავნოს ვინმე და ან ებრძანოს რამე, მიბრძანოს და პასუხს მოვახსენებო.

¹⁶⁰ბატონი მოურავი ამას უპასუხებდა: ჩუენ შუა მოციქული ბატონი ა ლ ა თ ა ნ გ ი იყო, ¹⁶¹იმას ჰკითხეთო, თუ ქალიც არ მიმეცესო და კიდევ არ დავმოყურებოდეო და მარ¹⁶²თლად მისი მოყრობაც არა მდომოდესო, მაშინ კიდევ მევე გამამტყუენეთო. ¹⁶³მას უკან კიდევ ჩ ი ვ ა ძ ე მ ა ხ ა რ ე მოეგ-ზავნაო, რომე თქუენი ქალი ჩემის შუილისათვის ¹⁶⁴მამეცო; და ჩემის ყმის პირითაც ასრე შეუთვალეო, რომე ქალი მამიციემიაო ¹⁶⁵და არც დაგიჭირავო. მე ასრე შემითულია და თუ ჩემს ყმას არ უთქომსო, პ¹⁶⁶ასუხი იმან გასცესო.

ქ ა ი ხ ო ს რ ო ამას უპასუხებდა: თუ მართალი პასუხი შემ¹⁶⁷ეტყო, ნეტარ ლ(მრ)თისაგან. მის უკეთესი რა დამემართებოდაო, რომე ბატონს მო¹⁶⁸ურავს თავისი ქალი ჩემის შუილისათვის მოეცაო.

ამაზედ ა ლ ა თ ა ნ გ ი გავიკითხეთ და ¹⁶⁹ა ლ ა თ ა ნ გ ი მ ც ასრე მოახ-სენა, რომე: უპირული ქართული ბატონს მოურავს ჩემთუის [ა]¹⁷⁰რა უბრძანე-ბია-რაო, და არც მიუცემლობა უთქომსო, და არც ეს დაუბარებიაო, რო¹⁷¹მ მაღლი გარდა[ა]კდევინეო.

** უკანასკნელი ხუთი სიტყვა გადახაზულია თუმცა ტექსტი მაინც იკითხება.

*** გადახაზულია რამდენიმე სიტყვა.

[1625-1633 წწ.] შიშის წიგნი თეიმურაზ მეფისა
ანდუყაფარ ამილახორისაგან

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd-2112; სქელი ქაღალდი; 1 ფ.; ზომა: 22,5X21,5 სმ.; ხელი მხედრული; შავი ფერის მეღანი; განკვეთილობის ნიშანი: ორი ან სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: კიდევები მოფლეთილია ტექსტის დაუზიანებლად. ტექსტს ახასიათებს ა-მეტობა ე.წ. “წმინდა” სიტყვების შემთხვევაში.

პ ი რ ი: სეა, 1461-14/29.

თარიღი: საბუთი უთარიღოა. თარიღდება თეიმურაზ მეფის ქართლსა და კახეთში მეფობის (1625-1633) წლებით.

ქ. სახელითა არსება დაუსაბამოსა ლ(მრ)თისა მამისა, ლ(მრ)თისა ძისა, და ლ(მრ)თისა სქულისა წმიდისა, თავდებობითა და შუამდგომლობითა ყოვლადწმიდისა უხრწნელისა, უფროსად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ლ(მრ)თისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისათა[ა], თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა, წა>მიდათა და ყოვლადქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესითა და პავლესითა. თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ყოველთა წა>მიდათა ლ<ა>(მრ)თისათა, ესე ფიცი, პირი და წიგნი მო|გახსენეთ ჩუენ, კემწიფემან მეფემან პატრონმან თ ე ი მ უ რ ა ზ და თანამეცხედრემან ჩ|უენმან დედოფალმან ხ უ ა რ ა შ ა ნ და პირმშომან ძემან ჩუენმან პატრონმან და ვ ი თ , თ<ა>ქუენ ამილახორსა პატრონს ან - დ უ ყ ა ფ ა რ ს , ი ო თ ა მ ს , ბ ე ყ ა ნ ს და შვილსა შენსა პ ა < ტ > |¹⁰ ა ტ ა - ს ა და მომავლათა სახლისა თქუენისათა ყოველთავე, ასრე და ამა პირსა ზედა რომე|¹¹ ვიყუნეთ თქუენთვის კარგნი და კარგის მდომნი, უვნონი, უზიანონი, თუ ვინმე თქუენი|¹² თავი შემოგუაბებლოს გაუკითხავად არ შეგიბებლოთ და არც საძალოდ და |¹³ საა[ვ]ოდ სხუას კაცს დაგანებოთ და რაც კელიდალმან გამოგვივიდეს გუერც მო|¹⁴ გიდგე და მწყალობელი ვიყო თქუენი, და ესე ასრე გაგითაოთ, ამისად გასათავებელა|¹⁵ დ და თავდებად მომიცემია თავად ლ(მერ)თი და მერმე ყოველნი წმიდანი ლ(მრ)თი|¹⁶ სანი, ზეცისა[ნი] და ქუეყანისანი, კორციელნი და უკორცონი. დამამტკიცებელნი ა|¹⁷ მისნი ლ(მერ)თ(მან) აკურთხნეს და წმიდამან ლ(მრ)თისმშობელმან.

ხელრთვა: თ ე ი მ უ რ ა ზ

გვიანდელი მინაწერები:

verso-ზე:

1. თ ა ი მ უ რ ა ზ ი ს ა არის.

2. და საფიცარი

იხ. კომენტარი ანდუყაფარ ამილახორზე საბუთთან: Hd-2115

1626 წ. 15 ივნისი. სვიმონ მეფის წყალობის წიგნი
ქაიხოსრო ბარათაშვილისაგან ქალაქის მოურავის
სახელს ბოძების შესახებ

პ ი რ ი: სეა, 1450-32/341.

თ ა რ ი დ ი: საბუთს უზის თარიღი – ქორონიკონი ტიღ (314), თიბათუვეს თხუთმეტი, რაც გვაძლევს 1626 წლის 15 ივნისს.

საბუთის და მ წ ე რ ი: მუშრიბი ბაატა ყორღანაშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი: ჯამბურია, 1955: გვ. 23; გოგოლაძე, 2016/2017, გვ. 105.

ნებითა და შეწვევითა ლ(მრ)თისათა და შ ა ჰ - { ა } ბ ა ზ ყეენისათა, ჩვენ, მეფემან პატრონმა ს { ვ ი } მ ო ნ , ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ ასრე და ამა პირსა ზედა, რომე მო უ რ ა ვ { ი } ბედნიერს ყ { ა } ე ნ ს წამოუვიდა და უღალატა, და თქვენი თავი და ქ ა რ - თ ლ ი უკუყენა. და მერმე, თქვენ კიდევ ბედნიერს ყ { ა } ე ნ ი ს ა და ჩვენი ირჩივით და შ { ა ჰ } ისევანი შეიქენით. ამისადა ჯილდოდ გიბოძეთ ქალაქის მოურავობა თქვენ, ბოქაულთუხუცეს ქ ა ი ხ ო ს რ ო ს და თქვენს ძმას, თ ა მ ა ზ ს . გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მან) ჩვენსა ერდგ(უ)ლად სამსახურსა შიგა[ნ].

[ანე], გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვეზირ-ვექილნო და ქ ა ლ ა ქ ი ს უფროსნო და კარისა ჩვენისა მდგომელნო, რარიგადაც ამა ჩვენს ნანყალობევს ფარვანაჩიგა ეწეროს, თქვენც ასრე გაუთავეთ.

დაინერა წიგნი ესე თუ(ი)ნიერ თანადგომისა და შეწვევისაგან კიდე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიღ, თიბათუვეს თხუთმეტს, კარის ჩვენის მუშრიბის ყ ო რ - ლ ა ნ ა შ ვ ი ლ { ი } ს ბ ა { ა } ტ ა ს კელითა.

გადამწერის ცნობით, საბუთს ჰქონია ხელრთვა და ბეჭედი.

კომენტარი:

საბუთი მნიშვნელოვან ცნობებს გვაძლევს ქაიხოსრო ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის. მას პროირანული პოზიცია შეუცვლია და ჩართული ყოფილა გიორგი სააკაძის მიერ მოწყობილ მარტყოფის აჯანყებაში (1625 წ. 25 მარტი). მარაბდის ბრძოლის შემდეგ უკვე ირანელთა მხარეს ჩანს. მას შაჰის მხარეზე გადასვლა დაუფასეს და გიორგი სააკაძისთვის ჩამორთმეული თბილისის მოურავობა უბოძეს. იგი შაჰსევანი გამხდარა. ასე უწოდებდნენ შაჰ აბას I-ის მიერ შექმნილ სამხედრო ორგანიზაციის წევრებს. შაჰსევანი სიტვასიტყვით “შაჰის მოსიყვარულეს” ნიშნავს (ფუთურძე: 1961, გვ. 93). ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ და შემდეგი დროის დოკუმენტებში ქაიხოსრო სომხით-საბარათიანოს სარდლად აღარ იხსენიება. გ. ჯამბურია თვლის, რომ მეფე სვიმონისგან მიიღო სარდლობა ქაიხოსროს შემდეგ ზურაბ ბარათაშვილმა, თუმცა რა მიზეზით ჩამოართვეს ქაიხოსროს ეს თანამდებობა არ განმარტავს.

თ. გოგოლაძის აზრით, ქაიხოსროსთვის სარდლობის ჩამორთმევა უნდა მომხდარიყო გიორგი სააკაძის მხარდაჭერის პერიოდში. ცხადია, შაჰისა და მეფის მოწინააღმდეგე პოზიციაზე დადგომით მას სტრატეგიულად მნიშვნელოვან თანამდებობას ვეღარ დაუტოვებდნენ. მართალია, ისევე მათ მხარეზე გადასვლით ქაიხოსრო დააჯილდოვეს, მაგრამ, ჩანს, ახალი მფლობელისთვის სარდლობის ჩამორთმევა და ქაიხოსროსთვის მისი დაბრუნება მიზანშეწონილად აღარ მიიჩნეეს.

1626 წ. 15 ივნისი. მამულის წყალობის წიგნი სვიმონ მეფისა მახარებელ კოტორაშვილისაჲში

პ ი რ ი: სეა, 1450-12/108, თავნაკლული. ორენოვანი, ქართულ-სპარსული, სპარსული ტექსტი მოთავსებულია ექვს სტრიქონზე.

საბუთის თ ა რ ი დ ი: დოკუმენტს უზის თარიღი – ქორონიკონი ტილ (317) თიბათვის თხუთმეტი, რაც უდრის 1626 წლის 15 ივნისს.

საბუთის და მ წ ე რ ი: მუშრიბი პ ა ა ტ ა ყ ო რ დ ა ნ ა შ ვ ი ლ ი.

გ ა მ ო ც ე მ ა: ფუთურიძე, 1955, გვ. 51-53.

...[ასე] და ამა პირსა ზედა, რომ მოხუელ ბედნიერს ყე[ე]ნის ერდგულობა-ზედ და ჩვენ გუმსახურე. იმისად წყალობად ხ ა ნ ძ უ რ კ { ე რ } ტ ი ს სოფელის წყალობას დაგვეაჯენით.

და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, გიბოძეთ ხ ა ნ ძ უ რ კ { ე რ } ტ ი , უზბაშ გ ი ო რ გ ი ს ნაქონი, მისის წყალითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, მართლის სამართლიანის სამძღვრით და საქმით, კ ო ტ ო რ ა შ ვ { ი } ლ ს მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ს ა და მისის ძმისათვის გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ჩვენს სამსახურსა შიგა.

გიბრძანებთ, ს ო მ ხ ი თ ი ს ტარულავ და მელიქო, და კარისა ჩვენისა ვეზირ-ვექილნო და სხვანო მოსაქმენო, რარიგადაც ამა ჩვენს ნაწყალობევს ფარვანაჩიგა ეწეროს, თქვენც ასრე გაუთავეთ.

დაინერა სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტილ, თიბათვეს თხუთმეტს, კარის ჩვენის მუშრიბის ყ ო რ დ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ბ ა ტ ა ს ა თ ა .

ხელრთვა: ს ვ (ი მ ო) ნ

სპარსული ტექსტი:

امر عالی شد آنکه چون مردم گرجستان کارتیل باغواى مورواى مردود نمک حرام مدت از در گاه عرش اشتباه| رو کردن شدند و بتاریخی که توادان و از ناوران براتلو شاهی سیون شده کمر اطاعت و بندگی در میان بستند| خجسته کودور اعلی در ما بین آمد و شد نموده حق خدمت داشته بنابران از ابتدا| سه ماهه پارس نیل سنه قریه |خنمورکود من اعمال سمخوت که تیول گیرگی ولد ایلیا مقرر ۱۰۳۵ بوده تیول او شفقت فرموده ارزانی داشتیم کدخدایان و رعایای

قریه مذکور مشارالیه تیولدار خود دانسته مالوجهات خود را موافق دستور العمل گرجستان واصل و عاید سازند | تحریرا [فی] شهر شوال ختم بالخیر و الاقبال

შაჰ აბასის ბეჭდის ადგილი) محل مهر شاه عباس

გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ როდესაც ქ ა რ თ ლ ი ს გ უ რ - ჯ ი ს ტ ა ნ ი ს ხალხმა დაწყევლილი და უმადური მოურავის* ნაქეზებით ერთ დროს პირი იბრუნა მეცხრე ცის მსგავსი სასახლისაგან** და იმ დროს, როცა ს ა ბ ა რ ა თ ი ა ნ ო ს თავადები და აზნაურები შაჰსევეანები („შაჰის მეგობრები“) გახდნენ და მორჩილებისა და მონობის სარტყელი შემოირტყეს – ბედნიერი ქ უ დ უ რ - ო ლ ლ ი [ჩვენთან] მოვიდა და გვემსახურა. ამიტომ 1035 წელს ჯიქის წლის სამთვეობის დასაწყისიდან ს ო მ ხ ი თ ს დამოკიდებული სოფელი ხ ა ნ ძ უ რ კ უ დ ი , რომელიც ი ლ ი ა ს შვილის – გ ი ო რ გ ი ს თიულად იყო დამტკიცებული, მას (ქუდურ-ოლლის) ვუნყალობეთ და ვუბოძეთ თიულად. ხსენებული სოფლის ქეთხუდებმა და გლახებმა მოხსენიებული პირი თავიანთ თიულდარად უნდა ცნონ და ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს დასტურ-ლამალის თანახმად თავიანთი მალუჯათი მათ უნდა გადასცენ და ჩააბარონ. დაინერა [საქმის] კეთილად და ბედნიერად დასრულების შავვალის თვეს.

შაჰ აბასის ბეჭდის ადგილი***

კომენტარი:

საბუთი გაცემულია 1626 წელს, როცა ახალი მომხდარია ანტისპარსული აჯანყება (მარტყოფის ბრძოლა, 1625), რის შემდეგაც ქართლში ძალაუფლება მეფე თეიმურაზმა მოიპოვა. ასეთ დროს სიმონ მეფისთვის თავად-აზნაურებისგან მხარდაჭერას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მის მიერ გაცემული საბუთების მთელი ჯგუფი სწორედ ამ ფეოდალებს მიემართება. ასეთთაგანია ზემომოტანილი დოკუმენტიც. ნიშანდობლივია, რომ ამათ წყალობა არა კონკრეტულად სიმონის, არამედ შაჰის ერთგულებისთვის ენიჭებათ. საბუთის ადრესატი მახარებელ კოტორაშვილი ქვემო ქართლის მკვიდრია, რაც კიდევ ერთხელ აზუსტებს სიმონის გაფლენის ქვეშ მყოფი ტერიტორიების გეოგრაფიას.

* იგულისხმება გიორგი სააკაძე
** ირანის შაჰისაგან
*** გადამწერს შეცდომით აქვს მიწერილი.

**1626 წ. 1 ივლისი. წყალობის წიგნი
სვიმონ მეფისა თაყა თუმაიშვილისადმი**

დედანი: ხეც, Sd-530; ქაღალდი; 35,4X20,4 სმ.; ხელი მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

პირები: 1. ხეც, Hd-3494, გადაწერილი დედნიდან XIX საუკუნეში ლურჯ ქაღალდზე, მოღნიშნის ეკლესიის მღვდლის, ტერ-სვიმონ ტერ-ოსეფოვის მიერ. პირის გადამწერის მოწმობით, დოკუმენტის დედანს ახლდა დამტკიცების ტექსტი სპარსულად („თათრულად“) და ესვა ბეჭედი. 2. ხეც, Hd-3911; 3. სეა, 1449-1704.

საბუთის დამწერი: მწიგნობარი პაატა ყორღანაშვილი.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტიღ (314), მკათათვის ა (1), რაც უდრის 1626 წლის 1 ივლისს..

გამოცემა: თაყაიშვილი 1909: №102, გვ. 128-129.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა, ბრძანებითა შაჰქაბაზ ყეჯენისქათა, ჩუენ, მეფემან პატრონმან სუიმონ, ესე წყალობის წიგნი¹³ და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩუენსა ერდგულსა¹⁴ ყმასა, თუ მქანის შვილსა თაყასა და ბირთველსა და მანუჩარს¹⁵ და დავითს და შვილთა თქუენთა, ბაინდურს და გორჯას¹⁶ სპის.

მას¹⁷ ჟამსა, როდეს ქართველთ ბედნიერს ყეჯენს უორგულეს და¹⁸ ნქაუვიდეს, და ჩუენ ქალაქს ციხეშიგ გვეახლენით და არა ჩუენ¹⁹ნმა ყმამ არ გუიყურა. მანუჩარ, შენ ციხეშიგ შემოგუყევ და²⁰ გუიერდგულე და ჩუენის სამსახურის გაუყრელი იყავ და მისა²¹დ ჯილდოდ დარბაზის წყალობას გუეაჯეთ. ვისმინეთ აჯა და²² მოხსენება და გიბოძეთ დარბაზი სამკუიდროდ და საბოლოოდ და მისის²³ შესავალ-გასავლითა, მითთა და ბართა და წყალითა და წისქულითა,²⁴ და ველითა და ვენაკითა, საკნავითა და სქა თიბითა, ყოვლის სამართლიან²⁵ის საქმითა და სამძღურითა და ყოვლის კაცი-სა უცილობლად.

და²⁶ გიბედნიეროს ღ(მერ)თმა ჩუენსა ერთგულად სამსქახურსა შიგქან.

და²⁷ გიბრძანებთ კარისა ჩუენისა ვაზირ-ვექილნო და სხუანო მოსაქმე²⁸ნო, რარიგადქაც ამ ჩუენსა ნაწყალობევსა სიგელშიგა ენქეროს,²⁹ თქუენცა ისრე გაუთქავეთ* და ნურა კაცი ნუ შექეცილებით. და არა³⁰ოდეს არა მოგეშალოს და არც ჩუენგან და არქას ჩუენის მამავალ³¹ის კაცისაგქან, თუნიერ თანადგომისა, შეწევნისაგქან კიდე.

დაინქ³²რა სიგელი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიღ, მკათათვეს ა, კარის³³ მწიგნობრის ყორღანაშვილის ქაბაქათა.

* “გაუთავვევ” ტექსტის ხელითვე გადასწორებულია ფორმით: გაუთავეთ. 7 არაბ ნსხ. სიტყვაში ეახლენით გ გრაფემა ჩამატებულია ტექსტის ხელით.

ხელრთვა: სუიმონ
verso-ზე მოთავსებულია დამტკიცების ფორმულა სპარსულად და ელიფსური ფორმის ბეჭედი სპარსული ლეგენდით.

კომენტარები:

1. თუმაიშვილები სამეფო კარზე ფლობდნენ მდივან-მწიგნობრის თანამდებობას. გამოირჩეოდნენ სიმონ მეფის ერთგულებით. 1607 წელს თაყა დედოფალ ნესტან-დარეჯანის მწიგნობარია, თუმცა მომდევნო საბუთებში ყოველთვის ადრესატის ამპლუაში გხვდება და არასდროს დოკუმენტის დამწერად. საბუთში მოხსენიებული ბაინდური და გორჯასპი თაყას შვილები არიან. ბირთველი სამეფო კარის მდივანია 1630 წ-დან 1681 წ-მდე. 1640 წელს იგი მდივანთუხუცესად იხსენიება. (ბაქრაძე, 1963: გვ. 165, 169-170). მანუჩარ თუმაიშვილი (იხ. კომენტარი საბუთთან: ხეც, Hd-3164).
2. მარტყოფისა და მარაბდის აჯანყებების შემდეგ სვიმონი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1626 წელს სამცხიდან დაბრუნებულმა სააკაძემ დაიკავა გორის ციხე, ქვემო ქართლში ბირთვისის ციხე და გააძევა ყიზილბაშები. დაარბია განჯის ციხეც, რომ სიმონის დასახმარებლად ჯარი არ წამოსულიყო. მეფეს მხოლოდ თბილისის ციხე რჩებოდა. ასეთ დროს უერთგულეს თუმაიშვილებმა და საფიქრებელია, რომ სწორედ თბილისის ციხეში ეახლნენ, რისთვისაც მეფემ ზემომოტანილი წყალობით დააჯილდოვა.

**1626 წ. 12 აგვისტო. წყალობის
წიგნი სვიმონ მეფისა იუსუ ჰაზახიშვილისადმი**

დედანი: ხეც, Hd-14431; ქაღალდი; 39,4X16,5 სმ. საბუთის ტექსტს უჭირავს ფურცლის recto მთლიანად და verso-ს ნაწილი. ხელი მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანებები: დოკუმენტის ზედა კიდე მოხეულია, რის გამოც მთლიანად ან ნაწილობრივ არის დაკარგული ტექსტის პირველი რამდენიმე სტრიქონი; საბუთის მარცხენა და მარჯვენა კიდეებიდან მოხეულია ქაღალდის სხვადასხვა ზომის ფრაგმენტები, რის გამოც I, II, IV, V, VI, VIII და IX სტრიქონების დასაწყისსა და ბოლოში მთლიანად ან ნაწილობრივ არის დაკარგული მთელი რიგი გრაფემები და ზოგჯერ სიტყვებიც; საბუთი დანაწევრებული ყოფილა სამ ნაწილად, რომლებიც საკმაოდ დაუდევრად არის გადაწებებული ერთიმეორეზე. ჩამოთვლილი დაზიანებების გამო დაკლებული ტექსტი აღდგენილი გვაქვს საბუთების ენისა და საერთო კონტექსტის გათვალისწინებით. ტექსტს ახასიათებს ა-მეტობა.

გვიანდელი პირები: 1. Qd-9622ა; 2. Qd-9622ბ; 3. H-2830 (79).

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტილ (314), მარიამობისთვის იბ, რაც უდრის 1626 წლის 12 აგვისტოს.

საბუთის დამწერი: მუშრები პაატა.

გამოცემა: თაყაიშვილი 1909: II, №22, გვ. 29-30.

[...] [შეგ]ინწყალეთ და გიბოძეთ თქუნ, ჩუნენს ერდგულსა, რ თავდადებით ნამსახურს ყმას ჯავახიშვილს იესეს.

რქაქსაჲაჲ ჟამს, როდესაც მოგუიდეგით კარსა და ნოდორეთს, თქუნს სამკუდროს გუეაჯენით. ვისმინეთ [აჯა] რ და მოხსენება თქუნი, გიბოძეთ ნოდორეთს შენი რ სამკუდრო ყმები და შენის ბიძაშვილის შანშეს [ს] კე[რ]დი მართლის, სამართლიანის სამძღვრითა და საქმით, მითითა და ბარით, წყლით და წისქულით, ველით [და] რ ვენახით, და ჭურმარნით და შესავლით და გამოსავლით¹⁰.

გქონდეს და გიბედნიეროს რ ღ(მერ)თმ(ა)ნ ჩუქენს ერდგულად სამსახურს შიგან.

გ(ი)ბ(რძანებ)თ, კარის ჩუქენის ვაქილ-ვაჟიზირნო და სხუანო მოსაქმენო, რარიგადცა ამა რ ჩუქენს ნაწყალობევს ფარვანჩიგა ეწეროს, თქუნც რ ასრე გაქუთავეთ, თუნიერ თანჯადგომის და შეწვენის¹⁵გან კიდე.

დაინერა ნიშანი და ბრძანება კელით კაქრის ჩუქენის მუშრების პაქატქასათ, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტილ, მარიამობ¹⁷ისთვის იბ.

ხელრთვა ხვეულად: სუიმონ

კომენტარი:

იესე ჯავახიშვილი – იოთამ ჯავახიშვილის ვაჟი. XVII ს.-ის დასაწყისიდან სათავადოს უფროსი. 1608 წელს მას განუახლა წყალობა მეფე ლუარსაბ II-მ (იხ. ხეც, Hd-14700), რომლითაც ზემომოყვანილ საბუთში დასახელებული მამული წოდორეთი დაუმტკიცა. მისი მინაწერია “რკონის დაწერილზე“, რომლის ძალითაც თავისი სულის საოხად მონასტრისთვის შეწირულ დეკანოზიშვილებს გადასახადი გაუჩინა. იესეს და მის ძმა ზაქარიას მემკვიდრე არ ჰყავდათ. მათ თავიანთი სახლი შეუერთეს მოურავ გიორგი სააკაძის სახლს და 1624 წელს პირობის საბუთი მისცეს (ხეც, Hd-14693). თავიანთი ყმა-მამული, ასევე, მათთან “შემოყრილ“ შერმაზან ჯავახიშვილ-შალვაშვილისგან მიღებული მამულები გიორგი სააკაძეს დაუმტკიცეს (ოთხმეზური, 1999: გვ. 71-72). გიორგი სააკაძესთან დაკავშირება განპირობებული უნდა ყოფილიყო მათი სახლიკაცი ქაიხოსრო ჯავახიშვილის მტაცებლური პოლიტიკის წყალობით, რომელიც ცდილობდა როგორც განაყოფი ჯავახიშვილების, ასევე სხვა თავადების მამულების დაპატრონებას. ქაიხოსროს ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე სწორედ გიორგი სააკაძე იყო (იხ. ხეც, Hd-6259). ამასთან, გავლენიანი და სპარსეთის შაჰის მოხელე მოურავი საიმედო გარანტი იქნებოდა იესე და ზაქარია ჯავახიშვილებისთვის.

“პირთა ანოტირებულ ლექსიკონში” იესე ჯავახიშვილის მოხსენიების

უკანასკნელ თარიღად მითითებულია 1641 წელი, თუმცა ამ თარიღით საბუთი არ ჩანს (სურგულაძე, 2015: გვ. 451). გ. ოთხმეზური თვლის, რომ 1624 წლის შემდეგ იესეზე ცნობები წყდება. 1641 წელს მოხსენიებული იესე კი სხვა პიროვნებაა, მით უმეტეს, რომ 1641 წლის საბუთით მეფე როსტომი იესესა და როინს უახლებს მამულებს, მაშინ როცა 1624 წელს იესემ თავისი მამულები გიორგი სააკაძეს დაუმტკიცა (ოთხმეზური, 1999: გვ. 72). ზემომოყვანილი საბუთი (ხეც, Hd-14431) გვიდასტურებს, რომ იესე 1626 წელს ცოცხალია და მას მეფე სვიმონი უმტკიცებს წოდორეთის მამულს, რომელიც თავის დროზე მეფე ლუარსაბმა განუახლა. იესე მეფე სვიმონის პოლიტიკური დასის წევრია. ამასთან, 1626 წელს გიორგი სააკაძის ქართლიდან განდევნის შემდეგ, სავსებით ბუნებრივია, რომ უპატრონოდ დარჩენილი მისი მამულები ძველ მფლობელებს დაესაკუთრებინათ.

1626 წ. 16 აგვისტო. წყალოვის განახლების წიგნი
სვიმონ მეფისა ყაფარბეგ ბარათაშვილისაჲთ

დედანი: ხეც, Hd-2160; ქაღალდი; ზომა: 36X19,3 სმ. საბუთის ტექსტი მოთავსებულია ფურცლის recto-ზე. ხელი მხედრული; შავი ფერის მეღანი; განკვეთილობის ნიშანი: სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანებები: საბუთის ზედა ნაწილი მთლიანად მოხეულია, რის გამოც ტექსტის I სტრიქონი სანახევროდ დაკარგულია; მარცხენა კიდის ზედა ნაწილიდან მოხეულია ქაღალდის საკმაოდ დიდი ზომის ფრაგმენტი, რის გამოც I-V სტრიქონების დასაწყისში მთლიანად ან ნაწილობრივ არის დაკარგული მთელი რიგი გრაფემები და სიტყვები; დოკუმენტის ზედა ნაწილი (I-V სტრიქონები) შესამჩნევად არის დაცილებული (მოხეული) ქვედას, რის გამოც შუაში ნაწილობრივ დაკარგული ტექსტი აღდგენილი გვაქვს გრაფემათა შემორჩენილი ფრაგმენტებისა და შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით. ზედა კიდეზე მიწებებული აქვს ქაღალდის მცირე ზომის ოთკუთხა ფრაგმენტი, რომლის ორივე მხარეს შემორჩენილია XVIII-XIX საუკუნეების კერძო ხასიათის წერილების ფრაგმენტები. საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. სპარსული ტექსტი განთავსებულია საბუთის verso-ზე. ქართულ ტექსტს ახასიათებს ა-მეტობა.

პირები: 1. ხეც, Hd-8771; 2. სეა, 1450-34/43.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი 1304 (314), მარიამობისთვის იმ, რაც უდრის 1626 წლის 16 აგვისტოს.

საბუთის დამწერი: მუშრიბი პაატა ყორღანაშვილი.

გამოცემა: ფუთურიძე, 1955: გვ. 55-58.

[ქ.] [ნებიტა] და [ა] [შ]ენვენიტა ლ(მრ)თისა(ა)თა, [ჩუენ], [მეფემან] [პატრონ-მ]²[ან] [ს] უ [ი] მონ, [ესე] წყალობისა წიგნი და სიგელი [შეგინყალ]ეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულს [⁴] [და] [თავდადები]თ ნამსახურსა ყმა-სა ბარათა შვილს, ამილ [⁵] [ღამბარის] შვილს ყაფარბეგს, და შვილთა და მამავალთა [⁶] სახლისა თქუენის[ა]თა, ყო[ვე]ლთავე, მას ჟამს[ა], როდეს მო[⁷]გუიდეგით და შენის [ს]ამკუდროს აგუდანეთის წყალ[⁸]ობასა დაგუეაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, და მოკითხული ვქენით და პირველადაც თქუენთ[ა] [⁹] მამა-პაპათა ყოფილიყო და ახლაც სიგელი გაგიახლ[¹¹]ეთ. გიბოძეთ თქუენივ ნაქონი აგუდანეთ[ი] მისით საქმართლიანის სამძღვრითა და საქმი[თა], მთ[ი]თა და ბ[ა]რ[¹²]ით, წყა[ა]ლით და ნისქუ[ი]ლით, ველითა და ვენახით, სახ[¹³]ნავითა და სათიბით.

გქონდეს და გიბედნიეროს [¹⁴] ლ(მერ)თმ(ა)ნ ჩუენს ერდგულსა სამსახურსა შიგა.

გ(ი)ბ(რძანე)ბთ, [¹⁵] კარ[ი]სა ჩუენის ვაქილ-ვაზირნო და სხუანო მოსაქმენო, [¹⁶] რარ[ი]გადაც ამა ჩუენს ნაწყალობევეს ფარვან[ს] შიგა ენ[¹⁷]ეროს, თქუენც ასრე გაუთავეთ, თუნიერ თანადგო[¹⁸]მისა და შეწვენისგან კიდე.

დაინერა ნიშანი და ბრ[¹⁹]ბრ>ძანება კელითა კარ[ი]სა ჩუენისა მუშ-რ[ი]პის ყო[²⁰]რღანაშვილის პატ[ა]სათა, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიღ, მარ[ი]ამობისთ[²¹]უესა იმ.

ხელრთვა : ს უ ი მ ო ნ

verso-ზე

შვიდსტრიქონიანი სპარსული ტექსტი, ხელი: შექასთე.

[هو]

امر على شد آنکه از قدیم الایام قریه اكدانيت | من اعمال براتلو برفعت پناه غفاربیگ ولد امیل قیر و والد او متعلق بود بنابران | از ابتداء ششماهه یارس نیل سنه ۱۰۳۵ قریه مذکور را باو شفقت فرموده | ارزانی داشتیم كدخدوایان و رعایای قریه مذکور مشار الیه تیولداری خود | دانسته مالوجهات خود را موافق دستور العمل گرجستان براتلو بدو واصل | و عاید ساخته چیزی موقوف ندارند تحریرا | [فی] شهر شعبان ۱۰۳۵ [۱]

[ის (ლმერთი)]

გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ საბარათიანოს სოფელი აგუდანეთი ძველი დროიდანვე ეკუთვნოდა სიღიადის საფარველს – ლაფარბეგ ამილყაფარის შვილსა და მამამისს. ამის საფუძველზე ჩვენ ვუნყალობთ და ვუბოძეთ მას ხსენებული სოფელი ჯიქის წლის ექვსთვეობის დასაწყისიდან, 1035 წელს. ხსენებული სოფლის ქეთხოდეგმა და გლეგებმა [ყაფარბეგი] თავის თიულდარად უნდა ცნონ. საბარათიანოს გურჯისტანის დასტურლამალის მიხედვით მისცენ და გადაუხადონ მას თავისი მალუჯათი და არაფერი დაუკავონ.

დაინერა 1035 წ. შაბანის თვეს.

კომენტარი:

ყაფარბეგ ბარათაშვილი – ამილდამბარ ბარათაშვილის ვაჟი. მოცემული წყალობის საბუთი მოწმობს, რომ ყაფარბეგი მეფე სიმონის ერთგული თავადია. სწორედ ამ ნიშნით იღებს იგი ხანინო ბარათაშვილისეულ მამულს ვაკეში (იხ. სეა 1448-3257) ამ ერთგულების სანაცვლოდ მიიღო ბოქაულთუხუცესობა, რომელიც ქაიხოსრო ბარათაშვილს ჩამოართვეს მეწინავე სადროშოს სარდლობასთან ერთად. გ. ჯამბურია თვლის, რომ ზემომოყვანილ საბუთში ყაფარბეგმა წყალობა მამამისთან ერთად მიიღო, ხოლო რადგანაც 1627 წელს დოკუმენტში ამილდამბარი აღარ იხსენიება, იგი გარდაცვლილად მიიჩნია (ჯამბურია, 1955: გვ. 44), თუმცა, საბუთის ტექსტიდან გამომდინარე ვერ ვიტყვით, რომ მეფე აგუდანეთს ორივეს აძლევს. არ ჩანს ამილდამბარი 1626 წელს ცოცხალია თუ არა, იგი მხოლოდ ყაფარბეგის მამად არის დასახელებული. 1627 წლიდან ჩანს, რომ ყაფარბეგის მამულებს მეფე სიმონი მის სახლიკაცებს ურიგებს: ტბისი გადასცა ქაიხოსრო ბარათაშვილს (1627 წ. 23 მაისი, იხ. ხეც, Hd-10234). ამლევით, ერდო და ვაკე გოსტაშაბ ბარათაშვილს (გოსტაშაბის მამა იოვანე და ყაფარის მამა ამილდამბარი ძმები იყვნენ) (1628 წ. 30 მარტი, იხ. სეა 1448-3256); ასევე გოსტაშაბს უბოძა

ყაფარბეგისეული ყმები ახალშენში, თაკვსა და დვალთაში (1629 წ. იხ. ხეც, Hd-1700). გ. ჯამბურია ფიქრობს, რომ ყაფარბეგი 1628 წლისთვის უკვე გარდაცვლილია, რადგან მეფე სიმონი მის მამულებს აძლევს გოსტაშაბს (ჯამბურია, 1955: გვ. 44), თუმცა, როგორც ვნახეთ, 1627 წლიდანვე ხდება ყაფარბეგისეული მამულების გასხვისება და ამისი მიზეზი ახსნილია ხეც, Hd-10234 საბუთის სპარსულენოვან ტექსტში, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ “ყაფარ-ბეგმა პირშავობა გამოიჩინა [და] მსახურების ფართო გზას გადაუხვია“. ცხადია, მეფე სიმონის მხრიდან ყაფარბეგისეული მამულების დარიგება სხვა ბარათაშვილებზე, განპირობებულია არა მისი გარდაცვალებით, არამედ ყაფარბეგის განგლომით.

**1626 წ. 15 დეკემბერი. წყალობის
წიგნი სვიმონ მეფისა [თაჰმასხანისაჲთ] ***

დ ე დ ა ნ ი: სეა, 1448-5551; ქაღალდი; ზომა: 34,6X20 სმ. ხელი მხედრული; შავი მეღანი; მუქი ყავისფერი ქაღალდი; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდგომ. დაზიანება: საბუთი თავნაკლულია და დალაქავებული; შემოჭრილი აქვს კიდეები, განსაკუთრებითაა დაზიანებული მარჯვენა მხარე. სტრიქონების დიდ ნაწილს დაბოლოება აკლია. ნაკლული ადგილები აღდგენილია კონტექსტის მიხედვით, გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით; საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. სპარსული ტექსტი ექვს სტრიქონად მოთავსებულია საბუთის verso-ზე, ხელი შექასთე. ქართული ტექსტისათვის დამახასიათებელია ა-მეტობა.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი: მწიგნობარი ბ ა { ა } ტ ა ყ ო რ დ ა ნ ა შ ვ ი ლ ი .

საბუთის თ ა რ ი დ ი: ქორნიკონი ტიღ (314), ქრისტეშობისთვის იმ, რაც უდრის 1626 წლის 15 დეკემბერს.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი: თაყაიშვილი, 1910: №165. ფუთურიძე, 1955: №23, გვ. 58-60.

.... შუილთა, [მომა]წვალთა სახლ[ის]სა თქუენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, როდეს მოგუიდეგ[ის]ით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, გიბოძეთ [ამო]ვარდნილის ე ლ მ ა დ ა თ ი ს სამკუიდრო სოფელი ბ ო ც ი ს | -⁴ჯ უ ა რ ი , რასაც მამულის მქონებელი ყოფილი[ყო]ნ მთით ვიდრე ბარამდისინ, მ[ა]რთლის სამართ[ლიანი]თა სამძღვრითა და საქმითა, წყალითა და წისქუი[ლი]თა, და ვენახითა და სახნავითა, და სათიბითა, ყოვლითურ⁸ შენთვის სამკუიდროდ და სამამულოდ გუიბოძებია ყოვ[ლ]ისა კაცის უცილებლად.

და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩ¹⁰უენს ერდგულად სამ^ასახურსა შიგან.

გ(ი)ბ(რძანე)ბთ, კარ[ის]სა |¹¹ ჩუენისა ვექილ-ვაზირნო და სხუანო

* ადრესატის სახელი აღდგენილია სპარსული ტექსტის მიხედვით.

მოსაქმენო! მ[ე]რმე, რარიგად[ა]ც ამა ჩუენს ნანყალობევს ფარვან¹³აჩიგ ენ-ეროს, თქუენც ასრე გაუთავეთ და ნუ |¹⁴ მოუშლით და შე[ე]ცილებით თუნიერ თანადგომ¹⁵ისა და შენვენისაგ[ან] კიდე.

დაინერა სიგელი ესე |¹⁶ კელითა კარ[ის]სა ჩუენისა მნ[ის]გნობრისა ყ ო რ - ლ ა ნ ა შ ვ ი ლ { ი } ს |¹⁷ ბ ა { ა } ტ ა ს ა თ ა , ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიღ, ქრისტეშობისთვისა |¹⁸ იმ.

ხვეული ხელრთვა: ს უ ი მ ო ნ

სპარსული ტექსტი

امر عالی شد آنکه بنابر شفقت عالی از ابتدا ششماهه بارس [نیل] ... | قریه بوچماجور که تیول ایلمدت بیگ مقرر بوده به تیول رفعت پناه طهماسب بیگ قورچی کفش شفقت فرموده ارزانی داشتیم کدخدایان و رعایای قریه مذکور مشارالیه را تیولدار خود دانسته سال بسال مالوجهات خود را موافق دستور العمل گرجستان بدو واصل و عاید سازند | و چون این نشان بمهر مهر آثار نواب عالیشان محلی و مزین گردد از جانب اعتماد نموده هر ساله حکم مجدد نطلبند
تحریرا ۶ شهر ربیع الثانی سنه ۱۰۳۶

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ სოფელ ბ ო ც ო ს ჯ ვ ა რ ი , რომელიც ე ლ მ ა დ ა თ - ბ ე გ ს ჰქონდა თიულად დამტკიცებული, [ჩვენ] შეწყალების გამო, ჯიქის წლის ექვსთვეობის დასაწყისიდან თიულად ვუნყალობეთ და ვუბოძეთ სიდიადის თავშესაფარს ქოშის ყურჩს თ ა ჰ მ ა ს ბ - ბ ე გ ს . ხსენ- 5 ებული სოფლის ქეთხოდებმა და გლეხებმა მოხსენიებული პირი თავიანთ თიულდარად უნდა ცნონ, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს დასტურლამალის თანახმად ყოველწლიურად მას უნდა გადასცენ და გადაუხადონ თავიანთი მალუჯათი. და როცა ეს ნიშანი მისი უმაღლესობის მზისებრი ბეჭდით შეიმკობა, სრული- 10 ად ერწმუნონ მას და ყოველ წელს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვენ. დაინერა 1036 წლის 6 რაბი-ალ-სანის (II) თვეს.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია მცირე ზომის, ოვალური ფორმის, ბოლოებში ოდნავ წამახვილებული ბეჭედი წარწერით: غلام شاه ... سميون – შაჰის მონა სვიმონი. ამავე ტექსტის ზემოთ ქართული დედნის ხელით მიწერილია: „ქ. ესა წიგნი ასრე უნდა გათავდეს“, იქვე ზის მცირე ზომის, ოვალური ფორმის სპარსული ბეჭედი წარწერით: [غلام شاه عباس] علیقی – [შაჰ აბასის მონა] ალი-ყული.

1626 წ. 16 დეკემბერი. წყალობის
წიგნი სვიმონ მეფისა [სოლდაშვილისა]

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Sd-739-ბ; ქაღალდის გრაგნილი, ზომა: 36,5X16,1 სმ. სა-
ბუთი მიწებებულია სვიმონ მეფის მიერ 1624 წლის 15 სექტემბერს მოღარე-
თუხუცეს შიომისადმი ბოძებული საბუთის (Sd-739-ა) verso-ზე. ხელი მხედრუ-
ლი; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: სამი წერტილი ყოველი
სიტყვის შემდეგ. დაზიანება: დოკუმენტის თავი და ზედა მარცხენა ნაწილი
მოხეულია, რის გამოც მთლიანად არის დაკარგული ტექსტის პირველი სამი
სტრიქონი; საბუთის მარცხენა, მარჯვენა და ქვედა კიდეებიდან მოფლეთილ-
ია სხვადასხვა ზომის ფრაგმენტები, რის გამოც მთლიანად ან ნაწილობრივ
არის დაკარგული რამდენიმე გრაფემა. ამ უკანასკნელთა აღდგენა მოხერხდა
შემორჩენილი ფრაგმენტებისა და საერთო კონტექსტის საფუძველზე. ტექსტს
აღაგ-აღაგ ახასიათებს ა-მეტობა.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი: მწიგნობარი პაატა ყორღანაშვილი.
საბუთის თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი ტილ (314), ქრისტეშობისთვის იმ,
რაც გვაძლევს 1626 წლის 16 დეკემბერს.
გ ა მ ო ც ე მ ა: თაყაიშვილი, 1909: №366, გვ.409.

... შუილთა და მამავალ[თა] [სახლისა] [თქუენისათა] [ყოველთავე], მას
ყამსა, რ[ოდეს] |⁵ [მოგუიდეგით] [კარსა] [და] [ქ ა ლ ა ქ ი] ს პირს შ ი ნ [დ]
ი ს { ს } |⁶ [დაგუეაჯენით].

[ვისმინეთ] [აჯ]ა და მოხსენება თქუენი, [მო]წ[კითხუ]ლი ვქენით და
პირველად[ა]ც თქუენის [მა]შ[მა-პაპათ სამკუ]დრო ყოფილიყო. ახლაც
სიგლი⁹თა ამით გაგიახლეთ. გიბოძეთ თქუენივ სამკუ[ი]დ[რ]ო¹⁰ სოფელი
შ ი ნ დ ი ს ი , რ[ისა]ც მქონებ[ელი] |¹¹ ყოფილიყოს, ყოვლითურ[თ] მართლ[ი]ს,
სამართლ¹²ინის ს[ა]მძღურითა და საქმით, მითითა და [ბა]რ[ით]¹³, და წყლი-
თა და ნ[ი]ს[ქუი]ლითა, ველითა და ვენახ[ითა], |¹⁴ სახნავითა და სათიბითა და
შესავლითა და გამოსავლ¹⁵ითა. ყოვლითურ[თ] თქ[უ]ენ[თუის] სამკუ[ი]დროდ
და სამ[ა]მ¹⁶ულედ გუიბოძებია, ყოვლის კაცის უცილებლად. |¹⁷

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუ[ენ]სა ერ[დგულ]ად სამსახურ-
სა შიგან.

გ(ი)ბ(რძან)ებთ, კარ[ი]სა ჩუენისა |¹⁸ ვაქილ-ვაზირნო და ქალაქისა
ტარუ[ლავ] [და] [მე]¹⁹ლიქო და მამასახლისო, მერმე, რარიგადაც |²⁰ ამა ჩუ[ე]
ნს ნაწყალობევს ფარვანაჩიგა ეწეროს, |²¹ თქუენც ასრე გაუთავეთ, თუნიერ
თან[ა]დგომისა და |²² შეწვენისაგ[ან] კიდე.

დაიწერა ნიშანი და [ბრძა]²³ნება ქ(ორონი)კ(ონ)ს ტილ, ქრისტეშობის-
თუეს იმ, კელ[ი]²⁴თა კარ[ი]სა ჩუ[ენ]ის მნი[გნო]ბრ[ი]ს ყ ო რ ღ ა ნ ა შ -
ვ ი ლ { ი } ს |²⁵ პ ა { ა } ტ ა ს ა თ ა .

ხელრთვა: ს უ ი მ ო ნ

კომენტარი:

ადრესატის გვარი სოლოდაშვილი აღდგენილია დავით X-ის სიგე-
ლის მიხედვით, რომელშიც მეფე “ქალაქის პირს” მდებარე შინდისს
უწყალობებს ივანე სოლდაშვილს (სურგულაძე (რედ.), 2007: გვ.185-
186). სავარაუდოდ, ეს იგივე შინდისია, რომელიც თბილისის მეტეხთა
ღვთისმშობლისათვის ყოფილა შეწირული, მაგრამ სოლდაშვილები,
რომლებიც კუმისის მფლობელები იყვნენ, პერიოდულად (“ჟამთა ვითარე-
ბისაგან”) კუმისის მეზობლად მდებარე შინდისსაც ეპატრონებოდნენ.

1626 წ. მამულის წყალობის წიგნი სვიმონ მეფისა
საამ საბინაშვილისადმი

პ ი რ ი: სეა, 1450-26/96.
თ ა რ ი დ ი: საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი ტილ (314), რაც უდრის
1626 წელს. .
საბუთის დ ა მ წ ე რ ი: მერიქიფეთუხუცესი მანუჩარ თუმანიშვილი.

ნებითა და შეწვენიითა ღ(მრ)თისათა, ესე წყალობის წიგნი და სიგე-
ლი გიბოძეთ ჩუენ, პატრონმან ს ვ ი მ ო ნ , და თანამეცხედრემან ჩუენმან,
დედოფალმან პატრონმან ჯ ა { ჰ ა } ნ ბ ა ნ უ მ , თქვენ, ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ს ა
ს ა { ა } მ ს და ძმასა თქვენსა ა ნ დ ე რ მ ა ნ ს და შვილთა თქვენთა ზ ა { ა }
ლ ს და მომავალთა სახლისა თქვენისათა. 5

ასრე რომე, ქართველთ ყ ა რ ჩ ი ხ ა - ხ { ა } ნ ს რომ უღალატეს და მერმე
ყ ო რ ჩ ი ბ ა შ მ ა ნ რომ გაიმარჯუა, მაშინ ქ ა ლ ა ქ ს ციხეში ვიყვენით და
შენ ბ ა რ ა თ ა შ უ ი ლ ი გ უ გ უ ნ ა ჩუენთან მოიყუანე და მოგვიყენე. და
მემსახურეთ და ვალი დაგუდევით. და თქუენის* ცოლ-შვილიც დაგიტყუევა
და კიდეც დაგ[უ]იცარცვა და ბევრი ავი გარდაგახდევინა. ჩუენ ამისად სამ- 10
უქფოთ წყალობა გიყავით და გიბოძეთ თქვენ[ი]ს გან[ა]ყოფ[ი]ს ზ უ რ ა ბ -
ი ს ე უ ლ ი მამული ბ ო გ უ ს და ა ბ უ ლ მ ა რ გ ს , რისაც მქონებელი <და>
ბ ე ჟ ა ნ ყოფილა და ან ზ უ რ ა ბ .

უკლებრად და ხელშეუვლად თქუენთვის გვიბოძებია.
და [გ]ქონდეს და გიბედნიეროს ღ(მრ)თმ(ან) ჩვენს ერდგულად სამსახურსა შინა. 15
დაიწერა სიგელი ესე ქ(ო)რონიკონსა ტილ, ხელითა თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს
მერიქიფეთუხუცის მ ა ნ უ ჩ ა რ ი ს ა თ ა .

დედასს ჰქონია ს ვ ი მ ო ნ მეფისა და ჯ ა ჰ ა ნ ბ ა ნ უ მ დედოფლის
ხელრთვა.

* ტექსტში წერია “ჩუენის”, რაც მიჩნეულია პირის გადაძღვების შეცდომად და გა-
მოცემაში შეცვლილია მეორე პირის ნაცვალსახელით: “თქუენის”.

კომენტარი:

საგინაშვილები ქვემო ქართლის თავადები იყვნენ, ასევე ბარათაშვილთა აზნაურებიც. საამი თავადთა შტოს ეკუთვნის. საამ საგინაშვილსა და გუგუნა ქაიხოსროს ძე ბარათაშვილს შორის დაძაბული ურთიერთობა ყოფილა. გუგუნა, მამამისის მსგავსად, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების შემდეგ ანტისპარსულ პოზიციაზე იყო, ხოლო საამი – სიმონის მხარეს. გუგუნას დაურბევია საამის ოჯახი, მისი ცოლ-შვილი დაუტყვევებია და გაუძარცვავს. საამმა მოახერხა და გუგუნა მეფეს მიგვარა. სიმონმა ერთგულება დაუფასა და გუგუნასგან მიყენებული ზარალის სანაცვლოდ საამს მისი განაყოფების მამული უბოძა. მეფე სიმონის მფარველობით სარგებლობდნენ საგინაშვილები. საამის ძმა ელისე სიმონის ნებართვით დაინიშნა თბილელ ეპისკოპოსად.

1626 წ. წყალობის წიგნი თეიმურაზ მეფისა დავით გედეგანიშვილისადმი

გვაქვს ორი დ ე დ ა ნ ი: 1. ხეც, Hd-14686, თეთრი ქაღალდი; ზომა: 37,7X20,0; შავი მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთის ზედა ნაწილი დახეულია რამდენიმე ადგილას, დაზიანებულია განაკეც ადგილებში. დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. ტექსტი სრულად იკითხება; საბუთს მიწებებული აქვს ცისფერი ქაღალდი, რომელზედაც მითითებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში გატარების წელი –1820; 2. ხეც, Hd-14420, უფრო მოკლე ვერსია. მოყვითალო ქაღალდი; ზომა: 31,7X15,5; შავი მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. თავნაკლული, ისიც გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1820 წელს. თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი ტიდ (314), რაც გვაძლევს 1626 წელს.

გ ა მ ო ც ე მ ა: თაყაიშვილი, 1899: გვ. 249-250.
საბუთის დ ა მ წ ე რ ი: მდივანთუხუცესი ლაზარე.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, ლ(მრ)თივ-გვირგვინოსანმძან მეფემან პატრონმან თ ე [ი] მ უ რ ა ზ , და თანამეცხედრემან ³ ჩუენმან დედოფალმან პატრონმან ხ უ ა რ ა შ ა ნ , და ძემან ⁴ ჩუენმან პატრონმან დ ა ვ ი თ , ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელნი წყალობისა მტკიცე და უცვალებელი, საბოლოოვ ⁶ წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქუენ, გ ე დ ა ვ ა ნ ი ს შ ვ ი ლ თ ა ⁷ დ ა ვ ი თ ს , გ ა ბ რ ი ე ლ ს , როს ე ბ ს , პ ე ტ რ ე ს , გ ი ო რ გ ი ს , ა ბ ი ა თ ა რ ს ⁸ და პ ა პ უ ნ ა ს ა , შვილთა და მო[მა]ვალთა ყოველთავე სახლისა ⁹ თქუენისათა, მას ჟამსა, ოდ[ეს] მამულის წყალობასა გვეაჯენი¹⁰ით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგინყალეთ და ¹¹ გიბოძეთ მ ა ლ რ ა ნ ს , რაცა ჩუენი სახასო არის, მსა¹²ხლ[ო]ბელი და ნაოჯარი და ზუარი, ხ ო ხ ლ ი ა ს შ ვ ი ლ ი ¹³ს ა და საყდრის მამულს გარდაის. ყუე-ლა კელშე¹⁴ულად და უკლებლად გვიბოძებია მითითა, ბარითა, ¹⁵ სასახ-ლითა, ჭურითა, მარნითა, ველითა, ვენახითა, ეკლ¹⁶ესია-სასაფლავოთა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სათ¹⁷ივითა, სასარითა, ყოვლითა შესავალ-გამოსავალითა, სა¹⁸მკუიდროდ და დამამულო[დ]; სამართლიანით სამძღუ-რ¹⁹ითა, ყოვლის კაცისაგან მოუდევარ მოუსარჩლავად ²⁰ და უცილებლად თქუენტვის გვიბოძებია.

ესე ასრე ²¹ გაგითავდეს და არაოდეს მოგეშალოს არა ჩუენ²²გან და არა ჩუენთა ნათესავთა და მეპატრონეთა²³გან, არა მეფეთა და არა დედოფალ-თაგან, არა დიდ²⁴თა და არა მცირეთაგან. ანე, ვინცა და რამანცა კა²⁵ცმან მოგიშალოს და ესე ასრე არა გაგითავოს, ²⁶ ვითა ამა ჩუენსა ნაწყალობევსა სიგელშიგან სწერ²⁷ია, რისხავსმცა ლ(მერ)თი და ყოველნი მისნი წმინდანი. ²⁸

დაინერა მტკიცე და უცვალებელი სიგელი და ბრძა²⁹ნება ესე ჩუენი ქ(ორონი)კ(ონ)სა ტიდ, კელითა კარისა ჩუენისა ³⁰ მდივნთაუხუცესისა ლ ა ზ ა რ ე ს ი თ ა .

ხელრთვები: თ ე ი მ უ რ ა ზ , ხ ვ ა რ ა შ ა ნ

კომენტარი:

საბუთის ადრესატი – დავით გედეგანისშვილი იყო ძირძველი მცხეთიშ-ვილი და მცხეთის სარდალი (კლდიაშვილი (შემდ.), 1993: გვ. 617-618). მისი სამფლობელო მამულები – უკლებლივ ყველა – განლაგებული იყო ქართლში, მაგრამ თეიმურაზ მეფისაგან მას მიუღია სამფლობელო კახ-ეთშიც (მადრანი).

1626 წ. წყალობის წიგნი თეიმურაზ მეფისა პაპუნა მამაცაშვილისადმი

პ ი რ ი: სეა, 1449-1104.
საბუთის თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი ტიდ (314), რაც უდრის 1626 წელს.
საბუთის დ ა მ წ ე რ ი: მწიგნობარი ბირთველ თუმანისშვილი.

ქ. ნებითა და შეწევნითა მღვთისათა, ჩვენ, ლ(მრ)თივ-გვირგვინოსანმან, მეფემან პატრონმან თ ე ი მ უ რ ა ზ , თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალ-მან პატრონმან ხ ო რ ა შ ა ნ , და პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან, პატრონმან დ ა ვ ი თ , ესე წყალობისა წიგნი და სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა, მ ა მ ა - 5
ც ა შ ვ ი ლ ს პ ა პ უ ნ ა ს ა , შენს ძმასა ბ ე ჟ ა ნ ს , დ ა ვ ი თ ს და შვილთა

და მომავალთა სახლისა თქვენისათა, – ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და მამულისა წყალობას დაგვეაჯენით, და ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და შეგინწყალეთ და გიბოძეთ რ უ ი ს { ს } თ ვ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი ს ნ ა ქ ო ნ ი პ ა პ უ ნ ა ს ი , რ ა ც სა ხ ა ს ო ვ ე ნ ა ხ ი , სა სა ხ ლ ე და მიწა-წყალი, და გლეხი ფ ა რ ე ი ძ ე მისის სამართლიანის მამულითა, ყოვლითურთ თქვენთინ და თქვენთა შვილთათვის გვიბოძებია ყოვლის კაცისაგან უცილებლად. გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შიგან.

დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიდ, კელითა კარისა ჩვენისა მნიგნობრის, თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ა თ ა . ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიღ.

ხელრთვები:

თ ე ი მ უ რ ა ზ ხ ო რ ა შ ა ნ

პირის გადაძღვების მინაწერები:

ასლთან თანასწორ არის ეს მეფის თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს წ ი გ ნ ის პ ი რ ი ...

სოეტნიკითა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ [ე ბ უ თ ი] შ ვ ი ლ ი ;

ასლთან თანასწორი არის ეს პირი. თა(ვა)დი ა რ ს ე ნ ბ ე ბ უ თ ო ვ ი .

**1626 წ. იმერსალიმის ჯვრის მონასტრისაღმ
ალექსანდრე II-ის მიერ ბოკეზულ შეწირულების
სიბეჭეზე დართული თეიმურაზ მეფის მტკიცებულება**

პ ი რ ი : ს ე ა , 1450-51/180. გვ. 151-155; საბუთი გადაწერილია XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, რუსეთის ხელისუფლების უზენაესი მართებლობის დაწესებულებაში: “Экспедиция суда и расправы“. საბუთი გატარებულია რეგისტრაციაში 1826 წლის 31 მარტს ნომრით №181.

თ ა რ ი ღ ი : ქორნიკონი ტიშ (314), რაც გვაძლევს 1626 წელს.

რარიგადაც სულბრწყინვალის მეფის ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს გ უ ჯ ა რ - სა ამ(ას) შ(ი)ნა ეწერა, ჩუენც ამრ(ი)გ(ა)დ დ(ა)ვ(ა)მტკიცედ, როდესაც [გ რ ე მ ს] გ (ა) ღ მ ა მ ხ (ა) რ ი ა შ ე ნ დ ე ს , რ ა ც ძ ვ ე ლ ა დ ხ ე ლ მ ნ ი ფ ე თ ა - გან აბრაშუმი შესწიროდეს, იმრიგ(ა)დვე ბატონს ჯ ვ რ ი ს მ ა მ ა ს მონასტრისთვის მიერთმოდეს, კიდევ კ ი ს ი ს ხ ე ვ ს ს(ა)წინამძღრო გ (ა) ღ მ ა მ ხ ა რ ს ა ღ დ გ ო მ ი ს საყდარს შეწირული მამულები და ალ(ა)გები ჯვრის მონასტერს ქონოდეს, ხელახლა ჩუ(ენ)ც დ(ა)გვიმტკიცებია. როდესაც კ ა ხ ე თ ს ჯ ვ რ ი ს მ ა მ ა მობძ(ა)ნდეს, ულ(უ)ფა მიერთმოდეს თავისი კერძივ, და მიჩნევა ჩვენის სახლის ხელმწიფეთ(ა)გ(ა)ნ არ მოაკლდეს, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიშ.

მინაწერი: ადგილი ბეჭდისა, სიძველი(თ) არა ჩანს.

ასლთან თანასწორი არს, სოვეტნიკი თ(ავად)ი ა ფ ხ ა ზ ო ვ ი .

რუსული რეგისტრაცია: 1826 წ. 31 მარტი და 1817 წ. 12 აპრილი. №181 შენიშვნები:

1. არშიაზე ფანქრით მინაწერი: 1312+274=1586.

2. არშიაზე ფანქრით მინაწერი: 1312+314=1626

კომენტარი:

თეიმურაზის დამტკიცება ბოლოში ერთვის ალექსანდრე II კახთა მეფის 1586 წლის საბუთს, რომლითაც მეფე ჯვრის მონასტერს უახლებს ლევან კახთა მეფის მიერ ბოძებულ სამი საპალნე აბრეშუმის შეწირულებას, ხოლო თავის მხრივ, უმატებს კიდევ ორ საპალნეს. ეს შეწირულება, როგორც თეიმურაზის მინაწერიდან ირკვევა, ალექსანდრე მეფეს გრემის სიახლოვეს (გაღმა მხარს) აშენებული ჯვრის მონასტრის მეტოქის, ალდგომის ეკლესიისათვის, გადაუცია კისისხევში მდებარე საწინამძღრო და გაღმა მხრის მამულები (ხუციშვილი, 2006: გვ.47-48).

**1627 წ. ბაგოსალუმის დაწესების წიგნი
კათალიკოს ზაქარიასი დასით ალმატლისშილისაღმ**

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Ad-1609; ღია ყავისფერი ქაღალდი; ზომა: 17,7X15,5 სმ.; ყავისფერი მეღანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: პირველ სტრიქონზე ორგან ამოფლეთილია ფურცელი, ტექსტი უმნიშვნელოდ დაზიანებული, საბუთი დაკრულია სარესტავრაციო ფურცელზე. ტექსტს ახასიათებს ა-მეტობა.

თ ა რ ი ღ ი : ქორნიკონი ტიშ (315), 1627 წელი.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი : 1. ბერძენიშვილი 1940: №511, გვ. 364; 2. დოლიძე 1970: №99. გვ. 488.

ქ. ჩუენ, ქ<ა>რისტეს ღმრთისა მიერ ქ ა რ თ ლ ი ს კ(ათალიკო)ზმ²ან, პატ<ა>რონმან ზ ა ქ ა რ ი ა , ესე წიგნი მოგართვი თ³ქუენ, ა ლ მ ა ტ ა ლ - ი ს შ ვ ი ლ ს ა და ვ ი თ ს .

ას<ა>რე და ა⁴მა პირსა ზედა, მოხველ და კელმწიფის, ბატონის ⁵ თ ა ი მ უ რ ა ზ ი ს ნ ე ბ ა დ ა რ თ უ ლ ო ბ ი თ ა , ს ვ ე ტ < ა > [ი] ს ც < ა > ხ - ო | ⁶ ვ ე ლ ს ე ყ მ ე ვ და ა ნ თ ო კ < ა > ს დასახლდით და წელიწად<ა>ში ს ვ ე ტ < ა > [ი] ს ც < ა > ხ ო ვ ე ლ ს ო თ ხ ს ა პ ა ლ ნ ე ს ⁸ ღ ვ ი ნ ო ს და სამს სა- პალნე პურს მოართმევ<ა>დ⁹ე. ს<ა>ხუას კაცს თქუენთან კელი არა აქუს, არა ¹⁰ მოურავსა, არა ნაცულეზ<ა>სა და ქევ<ა>ხეზ<ა>სა და გ<ა>ზირ¹¹სა. არას მოსაქმეს თქვენთ[ან] კელი არა აქუს და ნუ¹²რცავინ ეცილებით. [გ] ქონდეს და გიბედ<ა>ნიეროს ღმერთ¹³[მან] კათოლიკე საყდრისა ერდგულად

სამ<ა>სახურ<ა>სა ქვეშე. |¹⁴ ამის დამამტკიცებელი ღმერთმა<ა>ნ აკურთხნეს.
დაინერა ნიგ¹⁵ნი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიმი.

ხვეული ხელრთვა: კ(ათალიკო)ზი.
მინანერები:
recto-ზე სინგურით ნუსხურად: სნწ
verso-ზე: ქ. ა ნ თ ო კ ა ს ა კ ა ხ ე თ ს ა .

**1627 წ. 10 თებერვალი. წყალობის წიგნი
სვიმონ მუჟისა ბოსტაშაზ ბარათაშვილისადმი**

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd-14603; სქელი ქაღალდი; 31,IX17,2 სმ. ხელი მხედრუ-
ლი; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი, ორწერტილი ან
სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარ-
სული. შექასთეს ხელით შესრულებული სპარსული ტექსტი, ექვს სტრი-
ქონად, მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

პ ი რ ი: სეა, 1450-34/19.

საბუთის თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი ტიმი (315), თებერვლის ი, რაც უდრის
1627 წლის 10 თებერვალს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი: მდივან-მწიგნობარი შერმაზან ოქრუაშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა: ფუთურიძე, 1955: გვ.64-66.

ქ. ნებითა და შეწვევითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფემან პატრონი¹²მან
ს უ ი მ ო ნ , ესე წყალობისა ნიგნი გიბოძეთ თქუენ, ბ ა რ ა თ შ ა შ -
ვ ი ლ ს გ ო ს ტ ა შ ა ბ ს , შენსა ძმასა და შვილთა და მომავალ¹⁴თა სახლისა
თქუენისათა, ყოველთავე, მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგი¹⁵თ კარსა და თქუენისავე
სამკუიდროს მამულის წყალობასა დაგუე¹⁶ჯენით.

ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგ¹⁷ინყალეთ და გიბოძეთ
თქუენი სამკუიდრო მამული ყოველ¹⁸გან – მითთა, ბარითა, წყლითა, წის-
ქუილითა, ველითა, ვენა¹⁹კითა, საკნავითა და უკნავითა, ტყითა და სანადი-
როთა, ჭალი¹⁰თა და სათიბითა, საძებრითა და უძებრითა, შენითა და ¹¹
ოკ¹²ქრითა და ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა და ¹² სამძ¹³ქურითა.
თქუენთვის სამკუიდროდ და სამამულედ გუიბოძები¹³ა, ყოვლის კაცისაგან
მოუდევრად და შემოუსარჩლელად.

გქ¹⁴ონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან ჩუენსა ერდგულად სამსა¹⁵ხურ-
სა შიგან.

ანე, უზეშთაესთა მოგახსენებთ და უქუედაეს¹⁶თა გიბ(რძანე)ბთ, კარისა
ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსა¹⁷ქმენო, ვინ გინდა ვინ იყუნეთ და
ანუ ვინ გინდა ვინ იქნებოდეთ, თქუე¹⁸ნცა ასრე გაუთა¹⁹ვეთ, რარიგადცა ამა
ჩუენგან ნაწყალობევი¹⁹ს ფარვანაშია ენეროს და ნურაოდეს ნუ შეუშლით და

²⁰ შეეცილებით, თანადგომისა და შეწვევისაგან კიდე.
დაინერა ბძა²¹ნება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტიმი,
თებერვალს ი, კელითა კარისა ჩ²²უენისა მდივან-მწიგნობრისა ო ქ რ უ ა ს შ -
ვ ი ლ ი ს შ ე რ მ ა ზ ა ნ ²³ი ს ი თ ა .

ხელრთვა ხვეულად: ს უ ი მ ო ნ
verso, სპარსული ტექსტი:
1627 წ. 10 თებერვალი/1627 წ. 18 მარტი – 16 აპრილი

[هو]

امر علی شد آنکه چون گوشتاسب براته اعلی از روی اخلاص | شاهی سون شده بخدمت عالی ... آمد تیول و املاک
موروثی اورا باو شفقت | فرموده ارزانی داشتیم رعایای محال تیول او مشارالیه را بدستور سابق | تیولدار خود دانسته
مالوجهات خود را سال بسال موافق دستور العمل گرجستان | بدو واصل سازند چون بمهر عالی مزین گردد اعتماد
نموده هر ساله | حکم مجدد طلب ندارند تحریرا فی شهر رجب سنه ۱۰۳۶

[ის (ღმერთი)]

გამოვიდა მაღალი ბრძანება, მასზედ, რომ რადგან გ ო ს ტ ა შ ა ბ
ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი გულწრფელი შაჰსევანი გახდა და მოვიდა [ჩვენს]
მაღალ სამსახურად, [ამიტომ] მისი თიული და სამკვიდრო მამული მას ვუნყ-
ალობეთ და ვუბოძეთ. მისი თიულის გლეხებმა ხსენებული [გ ო ს ტ ა შ ა ბ ი]
ძველი განწესებისამებს თავის თიულდარად უნდა ცნონ და საქართველოს
დასტურლამალის თანახმად თავიანთი მალუჯათი ყოველწლიურად აძლიონ
მას. როცა ეს ბრძანება მაღალი ბეჭდით შეიმკობა, ერწმუნონ [მას და] ყოველ
წელს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვენ. დაინერა 1036 წლის რაჯაბის თვეში.

5

კომენტარი:

გოსტაშაზ ბარათაშვილი – გოსტაშაზიშვილთა გვარის ფუძემდებელი,
ვაჟი იოანე ბარათაშვილისა. საბუთებში იგი იოვანეშვილადაც იწოდება.
მოცემული დროისთვის, ჩანს, ახალი გარდაცვლილია გოსტაშაზის მამა
და გვარის კუთვნილ მამულებს მეფე სიმონი უმტკიცებს გოსტაშაზსა და
მის ძმებს. გოსტაშაზმა მოახერხა და თავისი ბიძაშვილის, ყაფარბეგის,
დასჯის შემდეგ მეფისაგან მისი მამულები წყალობად მიიღო. 1628 წ. ყა-
ფარბეგის კუთვნილ სოფ. ამლეგს, ერდოსა და ვაკეს დაეუფლა (იხ. სეა
1448-3256), ხოლო 1629 წელს ასევე ყაფარბეგისეული ყმები მიიღო სოფ.
ახალშენში, დვალათსა და თაკვში (იხ. ხეც, Hd-1700). მეფე სიმონისთ-
ვის მნიშვნელოვანი იყო ძლიერი ფეოდალის მხარდაჭერა, ამიტომ მას
მისცა ფიცის წიგნი, რითიც მის შემომტკიცებას შეეცადა (თაყაიშვილი,
1899: გვ. 117). ნიშანდობლივია, რომ გოსტაშაზს სიმონის გარდაცვალების
შემდეგ პოზიციები არ შეუცვლია, ისევ პროსპარსული ორიენტაციის და
შემდგომში როსტომ მეფის ერთგული მხარდამჭერი დარჩა. სამცხეში
როსტომის დავალებით გაგზავნილი მის “სამსახურზედ შეაკუდა“.

**1627 წ. 5 მარტი. წყალობის წიგნი
თეიმურაზ მეფისა ბიჭი ბურამიშვილისადმი**

დედანი: ხეც, Hd-2108; ღია ყავისფერი ქაღალდი; ზომა: 34X15,1 სმ; მხედრული; შავი მეღანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთი გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1820 წელს. recto-ზე მოთავსებულია აგრეთვე საადრიცხვო ჩანაწერი: №2, მდ. პ. კარბელაშვილი.

თარიღი: ქორონიკონი ტომი (315), ხუთი მარტი, 1627 წლის 5 მარტს.
პირები: სეა: 1450-9/104; 1461-13/124.
გამოცემა: თაყაიშვილი 1910: №558, გვ.437.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა, ესე წყალობისა ¹²ნიგნი შეგინწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, მეფემან კელმწიფემან ბატონმან თაიმურაზ, და თანამეცხედრემ¹⁴ან ჩვენმან, დედოფალმან ბატონმან ხვარაშან, და საყუარელმან ძემან ჩვენმან პატრონმან დავით, თქუნ, ჩვენ⁶სა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა ¹⁷გურამიშვილს გივსა და ზა[ა]ლს, * და მომავალთა სახლისა ¹⁸თქუნისა, ყოველთავე.

ასრე რომე, მოგვიდევით ¹⁹კარსა და მამულისა წყალობასა დაგვეაჯენით. ჩვენ ვისმინეთ ¹⁰აჯა და მოხსენება თქუნის, შეგინწყალეთ და გიბოძეთ ¹¹სოფელი ლერწამი თემურყუთუნის ნაქონი, მათი¹²თა ყოვლითავე მითთა, ბარითა, ველითა, ვენაკითა, ¹³წყლითა, წისქულითა, ჭალითა, სათიბითა, სასაფლავო¹⁴თა და მათითა სამართლიანითა ყოვლითავე.

გქო¹⁵ნდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან) ჩვენსა ერდგულად სამ¹⁶სახურსა შიგან. და თუ ვისმე იმ მამულის ნიგნი¹⁷ და ნიშანი ჰქონდეს, სიგლითა ამით გაგვიცუდებ¹⁸ია და თქუნთვის დაგვიმტკიცებია.

ანე, ვინცა და რამანც კა¹⁹ცმან ესე ჩვენგან ნაბოძარი სიგელი მოგიშალოს, ²⁰რისხავსმცა ღ(მერ)თი მამა, ძე და სული წმიდა. კრულ, წ²¹ყეულ და შეჩვენებულ იყოს ნაწილი და სახსენებ²²ლი მისი.

დაინერა ნიგნი და ბ(რძანე)ბა ესე ჩვენი ქ(ორონი)კ(ონ)სა ²³ტომი, მარტსა ხუთსა.

დამამტკიცებელნი ღ(მერ)თ(მან) აკურთ²⁴ხნეს და დაამტკიცნეს.

ხვეული ხელრთვა: ²⁵თეიმურაზ

გვიანდელი მინაწერები:

recto-ზე: ²⁶გურამიანთი. ქკს ტიე, 1627 წ. მარტის 5.

verso-ზე: ²⁷გურამიანთი.

verso-ს ზედა კიდეზე მიკრულია ვინმე ჯაბადარბაშ რევაზის წერილის

* „ზალს“ ჩაწერილია ამოფხეკილი სიტყვის (იესეს?) ნაცვლად განსხვავებული ხელით და შეღწილი.

ფრაგმენტი:

²⁸ქ. ღ(მერ)თ(მან) ბედნიარის კელმწიფის ჭირ²⁹ი მაგათ ფ[ე]კთა მინა-მტ-ვერს ³⁰ჯაბადარ<ს>ბაშს რევაზს მოსცეს. ან³¹ე, ეს მოვასხენოთ ბედნიერს კელ³²მწიფეს. დიდ[ა]თ გვ[-]ინიან და მოგვე³³რიდება, თავს ვანყენოთ, მაგრამ...“ (შესაძლოა, ეს ჯაბადარბაში რევაზი გვარად გურამიშვილი იყო).

კომენტარი:

გურამიშვილების შესახებ იხ. კომენტარი საბუთთან: 1450-19/98. მოცემული საბუთის გაცემისას, როგორც ჩანს, გივი გურამიშვილის ძმებს შორის ეწერა სახელი იესე, რომელიც მოგვიანებით გადაუკეთებიათ ზაალად. ეს იესე ცოცხალია 1650 წელსაც. ზაალი ერქვა გივი გურამიშვილის შვილსაც. მეტი აღბათობით, საბუთში შეტანილი ცვლილება სწორედ ძმა ზაალის სასარგებლოდ იყო გაკეთებული, რადგან მამის მემკვიდრეობა შვილზე ისედაც გადადიოდა (სურგულაძე 1991, გვ. 741).

**1627 წ. წყალობის წიგნი სვიმონ მეფისა
ბოქაულთუხუცეს ყაზარბაზ ბარათაშვილისადმი**

დედანი: სეა, 1448-3257; ქაღალდი; 28.9X16.5 სმ. მხედრული; შავი მეღანი; მუქი ყავისფერი ქაღალდი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთის ტექსტი თავიდან ბოლომდე გარკვევით იკითხება; კიდეები გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით; საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. სპარსული ტექსტი, შექასთეს ხელით შესრულებული, შვიდ სტრქონად, მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი შერმაზან ოქრუასშვილი.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტომი (315), = 1627 წელი.

გამოცემები: თაყაიშვილი, 1899: №339; გვ. 111; ფუთურძე 1955: №24, გვ. 60-62.

ქ. ნებითა ღ(მრ)თისა(ა)თა, ჩუნ, მეფემან პატრონმან სუიმონ, ესქე წყალობისა ნიგნი გიბოძეთ თქუნ, ჩუნსა ერდგულს³ა ყმასა, ბართაშვილს ბოქაულთუხუცეს ყაფარ⁴ბეგს [და] თქუნთა შვილსა, მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით ⁵კარსა და საჩინოს ნაქონს ვაკეს დაგუაჯენით.

ვისმინეთ ⁶აჯა და მოხსენება თქუნის, შეგინწყალეთ და გიბოძეთ, რაც ვაკეს საჩინოს ჰქონებია მითთა, ბარითა, წყლი⁸თა, წისქულითა, ველითა, ვენაკითა, საკნავითა, და ⁹უკნავითა, შენითა და ოკრითა, საძებრითა და უძებრი¹⁰თა და ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა და სამ¹¹ღურითა თქუნთვის სამკუიდროთ და სამამულედ გუიბოძებია.

¹²გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან ჩუნსა ერდგულად ¹³

სამსახურსა შიგან.

ანე, უფეთესთა მოგახსენებთ და ¹⁴ უქუედესთა გ(ი)ბ(რძანე)ბთ, კარი-სა ჩუენისა ვაქილ-ვაზირნო და ¹⁵ სხუანო მოსაქმენო! თქუენცა ასრე გაუ-თავეთ, რარიგადაც¹⁶ ამა ჩუენგან ნანყალობევს ფარვანაშია ენეროს ¹⁷ და ნურაოდეს ნუ შეუშლით და შეეცილებით თან¹⁸ადგომისა და შენეენისაგან კიდე.

დაინერა ბრძანე¹⁹ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტომ, კელითა კარისა ჩუენისა ²⁰ მდივან-მნიგნობრისა ოქრუასვილის შერმაზან ²¹ისათა.

ხელრთვა: ს უ ი მ ო ნ დამტკიცებები:

|| ქ. ესე ბრძანება ასრე უნდა | გათავდეს.

მინანერი: საბუთის verso-ზე:

ქ. ს ვ ი მ ო ნ ბატონისშვილის წყალობის წიგნი ვაკეს | ს ა ჩ ი ნ ო ს წილი მამული უბოძებია.

სპარსული ტექსტი

[هو]

امر عالی شد آنکه بنابر او شفقت عالی از ابتداء | نوروز ... سنه ۱۰۳۶ آنچه در قریه وکی براتلو رسید ساچینه بیگ | بود برفعت پناه غفار بیگ ایشک آفاسی شفقت فرموده ارزانی داشتیم | کدخدا و رعایای قریه منکور مشارالیه را تیولدار خود دانسته | سال بسال مالوجهات خود را موافق دستور العمل گرجستان بدو | واصل سازند و چون بمهر عالی مزین گردد اعتماد | نماید تحریرا فی شهر جمادی الثانی سنه ۱۰۳۶

[ის (ღმერთი)]

გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ მაღალი შეწყალების გამო ის, რაც სა-ბარათიანოს სოფელ ვაკეში საჩინო ბეგის წილი იყო, 1036 წ. . . . ახალწლიდან სიდიადის თავშესაფარს ყაფარბეგ ეშვიკალასის ვუნყ-ალობეთ და ვუნყალობეთ. ხსენებული სოფლის ქეთხოდამ და გლეხებმა აღ-ნიშნული [პირი] თავიანთ თიულდარად უნდა ცნონ, ყოველ წელს თავიანთი მალუჯათი მას უნდა გადასცენ საქართველოს დასტურლამალის თანახმად და როცა [ეს ბრძანება] მაღალი ბეჭდით შეიმკობა, დაემორჩილონ მას. დაინერა 1036 წლის ჯომადი აღ-სანის (II) თვეში.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია ბეჭედი წარწერით: غلام شاه عباس – შაჰ აბასის მონა სვიმონი. იქვე უზის ექვსკუთხა სპარსული ბე-ჭედი წარწერით: غلام شاه عباس علیقی – შაჰ აბასის მონა აღი-ყულ ი. იგივე ბეჭედი მეორდება ქართული სარეგისტრაციო მინანერის ქვემოთ.

კომენტარისათვის იხ. საბუთი: Hd-2160.

1627 წ. 23 მაისი. წყალობის სიგელი
სიმონ მეფისა ძაიხოსრო ბარათაშვილისადმი

პ ი რ ი: ხეც, Hd-10234; გადაწერილი პირიდან 1818 წელს ლურჯი ფერის ქალღმრთე; 1 ფურცელი; საბუთი გადაწერილია 1818 წლის 12 დეკემბერს მღვდელ მახარებელ ქურსულის მიერ. საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარ-სული, სპარსული ტექსტი ექვს სტრიქონად შესრულებულია შექასთეს ხელით.

სხვა პირი: სეა, 1450-12/109;

საბუთის თარიღი: დოკუმენტს უზის თარიღი – ქორონიკონი ტომ (315), მაისის კბ, რაც გვაძლევს 1627 წლის 23 მაისს.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი შერმაზან ოქრუაშვილი.

გამოცემები: თაყაიშვილი 1899: №413; ფუთურიძე 1955: №27, გვ. 66-68; გოგოლაძე, 2016/2017: გვ. 106-107.

ქ. ნებითა და შენეენითა ლ(მრ)თისათა, ჩვენ, მეფემან, პატრონმან სვიმონ, ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ერთგულსა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა, ბატონის დედუფლის სახლის უხუცესს, ბა-ტონს ქაიხოსროს, თქვენთა შვილსა, გუგუნასა და ბარათასა, მას ყამსა, ოდეს მოგვიდეგით კარსა და ტბისს ყაფარბეგის ნაქონის მამულის წყალობას დაგვეაჯენით.

ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგინყალეთ და გიბოძეთ ტბისს, რისაც მამულის მქონებელი ყოფილიყოს, მისის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა. გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერთ)თ(მა)ნ ჩვენს ერთ-გულად სამსახურსა შინა.

ანე, უზეშთაესთა მოგახსენებ და უქუედესთა გიბძანებთ, კარისა ჩვენისა ვაქილ-ვაზირნო და სხვანო მოსაქმენო, ვინ გინდა-ვინ იყვნეთ და ნუ ვინ გინ-და-ვინ იქმნებოდეთ, თქვენც ასე გაუთავეთ, რარიგადაც ამ ჩვენგან ნანყ-ალობევს ფარვანში ენეროს. და ნურაოდეს ნუ შეუშლით და შეეცილებით თანადგომისა და შენეენისაგან კიდე.

დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტომ, მაისის კბ, კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის, ოქრუასვილის შერმაზანისათა.

დედანს ჰქონია სვიმონ მეფის ხელრთვა.

სპარსული ტექსტი:

امر عالی شد آنکه چون غفار بیگ ولد آبیل قریه براتلو روسیاهی نموده از جاده خدماتکاری انحراف ورزید| بنابران از جمله تیول او یکتطعه باغ مع آنچه در قریه دبیبس تعلق باو داشت برفعت پناه وکالت داستگاه کیخسرو بیگ| براتلو و گوگیه بیگ و نیكولوز و براته ولدان او شفقت فرموده ارزانی داشتیم کدخدا و رعایای آنحال مشارالیه را| تلولداری خود دانسته مالوجهات و وجوهات خود را موافق دستور العمل گرجستان بدو واصل و عاید سازند| چون بمهره مهر اثار

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია ბეჭედი, რომელსაც გადამწერი შეცდომით შაჰ-აბასს მიანერს.

ქართული თარგმანი:

გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ, რადგანაც საბარათიანოს სოფლის [მცხოვრებმა] აბელის შვილმა ყაფარბეგმა პირშავობა გამოიჩინა [და] მსახურების ფართო გზას გადაუხვია, ამიტომ მისი თიულიდან ერთი ნაკვეთი ვენახი, იმასთან ერთად, რაც მას სოფელ ტბისში ეკუთვნოდა, სიდიადის თავშესაფარს, ძლიერების რწმუნებულებას ქაიხოსრობეგბართაშვილს, გოგია-ბეგს, ნიკოლოზს და ბართას და მის შვილებს ვუნყალობით და ვუბოძეთ. ამ ადგილების ქეთხუდამ და გლეხებმა ხსენებული [პირი] უნდა იცნონ თავის თიულდარად [და] თავიანთი მალუჯათი და [სხვა] გადასახადები მას უნდა გადასცენ და გადაუხადონ, თანახმად 10 საქართველოს დასტურლამალისა. როცა [ეს ბრძანება] მზისებრ მაღალი ბეჭდით დამშვენდება და დაიბეჭდება, ერწმუნონ [მას და] ყოველ წელიწადს ახალ ბრძანებულებას ნუ მოითხოვენ. დაინერა რამაზანის თვეს, 1036 წ.

recto-ზე გადამწერის შენიშვნა:

ამისი ასლი ვნახე მე, მღვდელმან მახარებელმა აქურუსულმა და სისწორით გარდავსწერე, წელსა ჩქიშ-სა, დეკენბრის ია-სა, ქ(ორონი) კ(ონ)ს შპ.

verso-ზე XIX საუკუნის მინაწერი:

ტბისის წყალობის წიგნი.

კომენტარისათვის იხ. საბუთი: 1450-12/110.

1627 წ. 24 ივნისი. წყალობის განახლების წიგნი სიონ მუზისა ქაიხოსრო ბართაშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd-14448; ღია ყავისფერი ლაქებიანი ქაღალდი, ორად გადაკეცილი; ზომა: 37,8X19,9; შავი ფერის მეღანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი, სამწერტილი ან ოთხწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთის ხილვადობა მკაფიო, თავიდან ბოლომდე კარგად იკითხება. საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. სპარსული ტექსტი, შექასთეს ხელით შესრულებული, განთავსებულია verso-ზე ოთხ სტრიქონად.

პირი: სეა. 1450-32/324.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტიმი (315), თიბათუეეს კლ, რაც ნიშნავს

1627 წლის 24 ივნისს.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი შერმაზან ოქრუსაშვილი.

გამოცემები: თაყაიშვილი, 1909: №334; გვ. 37; ფუთურიძე, 1955: №28, გვ. 68-70; გოგოლაძე, 2016/2017: გვ. 107-108.

ქ. ნებითა შეწვენითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფემან პატრონმან სუიმონ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი გიბოძეთ თქვენ, ჩუენსა ერდგულსა და მრავალფერად თავდაქდებით ნამსახურსა ბართაშვილს, პატრონს ქაიხოსროს, თქვენთა შვილსა გუგუნასა, ბართასა და ნიკოლოზს, მაქს ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და აზნაურისშვილი წყალობასა დაგუეაჯენით.

ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოქსენება თქვენი, შეგინყალეთ და გიბოძეთ სააკაძე შერმაზან, მოკითხული ვქენით ამას წინათ თქვენივე სამკული¹⁰დრო ყოფილიყო და ახლა ჩუენცა თქვენ გიბოძეთ, რისაც¹¹ მამულის მქონებელი ყოფილიყოს ყოვლის მისის სამართლიანის¹² საქმითა და სამძღურითა.

გქონდეს და გიბედნიეროს¹³ ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან.

ანე, უზეშეთსთა მოგახსენებთ და უქვედესთა გ(ი)ბ(რძანებ)თ, კარისა¹⁴ ჩუენისა ვექილ-ვაზირნო და სხუანო მოსაქმენო, ვინ გინდა¹⁵ ვინ იყვნეთ და ანუ ვინ გინდა ვინ იქნებოდეთ, თქვენცა¹⁶ ასრე გაუთაეთ, რარიგადცა ამა ჩუენგან ნაწყალო¹⁷ბევს ფარვანაშია ენეროს და ნურაოდეს ნუ შეუშლით და შეეცილებით თანადგომისა და შეწვევისაგ¹⁹ან კიდე.

დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტიმი, ²⁰ თიბათუეს კლ, კელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგ²¹ნობრისა, ოქრუსაშვილის შერმაზანისათა.

ხელრთვა ხვეულად: სუიმონ

სპარსული ბეჭედი წარწერით: غلام شاه عباس علیقی „შაჰ აბასის ლულამი ალიყული“.

სპარსული ტექსტი:

هو

امر علی شد آنکه چون از قدیم الايام شیرمزان ساکزه پدران او آبا | عنجد برفعت پناه کیخسرو بیگ براته اغلی تعلق داشته بنابر آن از ابتدا ۲۰ شهره شوال ختم بالخیر و الاقبال | سنه ۱۰۳۶ فی توشقان نیل شرمزان ساکزه منکور را بدستور باو شفقت فرمویم که در سفر و شکار | در خدمت او بوده باشد بهیچ رسم و اسم و کلاء سر کار علی طلب و موافی ننموده تکلیف سفر و شکار ...

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ, რადგანაც შერმაზან სააკაძე და მისი წინაპრები ძველი დროიდანვე ეკუთვნოდნენ სიდიადის თავშესაფარს – ქაიხოსრობეგ ბართაშვილს, ამიტომ კეთილად და ბედნიერად დასრულებული 1036 წლის შავალის თვის 20-დან დაწყებული კურდღლის წლიდან, ხსენებული შერმაზან სააკაძე განაწესისამებრ მისთვის გვიწყალობებია, რათა ლაშქრობასა და ნადირობაში მის სამსახურში იყოს.

არავითარ შემთხვევაში მაღალი კარის ვეკილებმა მას არ მოსთხოვეთ [გადასახადები] და არ დააბრკოლონ და ლაშქრობისა და ნადირობის მოვალეობა ...

კომენტარისათვის იხ. საბუთი: 1450-12/110.

1627 წ. 26 ივნისი. მამულის წყალობის წიგნი სვიმონ მეფისა სოიბათიასაულ ზურაბ ჭავჭავაძისაგან

პირი: სეა, 1450-49/40.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი შერმაზან ოქრუასშვილი.

თარიღი: საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი ტიმი (315), თიბათვის კვი (26), რაც უდრის 1627 წლის 26 ივნისს.

ნებითა ლ(მრ)თისათა, ჩვენ, პატრონმან სვიმონ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი გობოძეთ თქვენ, ჩუენსა ერთგულსა ყმასა, ყაფარაშვილს ზურაბს, სოიბათიასაულსა, თქუენსა ძმასა მერაბს და დონმაზს, შვილსა და მომავალსა სახლისა თქვენისათა, ყოელთავე, მას ჟამსა, ოდეს მოგვიდეგით კარსა და მამულისა წყალობასა დაგუეაჯენით.

ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგინყალეთ და გობოძეთ თქვენის ერდგულობის მუქფად სომხითს სოფელი ხანძორკერტი მითთა, ბართთა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, საკნავითა და უხნავითა, შენითა და ოხრითა, საძებრითა და უძებრითა. და ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა. თქუენთვის სამკვიდროდ და სამამულედ გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან.

ვიცსცა იმ სოფლის წიგნი ჰქონდეს, ამა ჩუენის ბოძებულის ფარვანით გაგვიცუდებია. ჩვენისა ვაქილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, თქვენცა ასრე გაუთაქვეთ, რარიგადცა ამა ჩუენგან ნაწყალობევს ფარვანაშია ეწეროს, და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შეცეცილებით თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე.

დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორო)ნ(ი)კ(ონ)სა ტიმი, თიბათვის კვი, კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრისა, ოქრუასშვილის შერმაზანისათა.

დედანს ჰქონია სვიმონის ხელრთვა და დამტკიცების ფორმულა: ესე ბძანება ასრე უნდა გათავდეს. ორი ბეჭედი სპარსული ლეგენდებით.

კომენტარი: სოიბათიასაული/სოჰბათიასაული – საპოლიციო აპარატის მოხელე.

დაკავშირებული იყო საიასაულო სამსახურთან. შედიოდა ეშიკადასბაშის სახელოში. იგი ეშიკადასბაშსა და ბოქაულთუხუცესთან ერთად მონაწილეობას იღებდა მეჯლისის (დიდი და პატარა წესით მოწვეული) მომსახურებაში – იგი ხელმძღვანელობდა სტუმრებისათვის საჭმელების მიწოდებას. სოიბათიასაული რამდენიმე იყო. ეს სახელო, როგორც წესი, დიდგვარიან ფეოდალებს ეჭირათ (სურგულაძე, 1952: გვ. 270-272). ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ მეფე როსტომმა მანდატურს სოჰბათიასაული უწოდა (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: გვ. 32). ივ. სურგულაძეს ეეჭვება, რომ სოჰბათიასაული მანდატურის ანალოგიური ფუნქციის მოხელე ყოფილიყო (სურგულაძე, 1952: გვ. 270), ამასთან ზემომოყვანილი დოკუმენტის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სოიბათიასაულის სახელო როსტომამდე უკვე არსებობდა სამეფო კარზე. რასაკვირველია, ტერმინი აღმოსავლურია და სპარსეთის გავლენით შემოსული უკვე სიმონ მეფის მმართველობის დროს.

1627 წ. 26 ივნისი. მამულის წყალობის წიგნი სვიმონ მეფისა ღონაზ ბოიბანაშვილისაგან

პირი: სეა, 1450-9/18.

საბუთის დამწერი: მუშრიბი ბაატა ყორდანაშვილი.

თარიღი: საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი ტიმი (315), რაც უდრის 1627 წელს.

ნებითა და შეწევნითა ლ(მრ)თისათა, ჩვენ, მეფემა, პატრონმა სვიმონ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გობოძეთ თქვენ, ჩვენს ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმას, გოგიბანაშვილს დონმაზსა, და ბიძაშვილსა ზაქარიასა და შენსა ძმასა, ყორხმაზს და შვილთა და მომავალთა სახლ(ი)სა თქვენისათა, ყოველთავე, მას ჟამს, როდეს მოგვიდეგით კარსა და მამულ(ი)სა წყალობასა დაგვიაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გობოძეთ ელფიას ყაფარბეგის ორ(ი) კერძი, რასაც მქონებელი ყოფილიყოს; და აბეღლიას ყაფარბეგის კერძი; და ბირთვი(ს)ს ყაფარბეგის კერძი, მათის მართლ(ი)ს სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა: მითთ და ბართთ, წყლითა და წისქულითა, ველითა და ვენახით, შესავლითა და გ(ა)მოსავლითა. ყოვლითურ თქვენთვის სამკვიდროდ და {სა}მამულედ გ(ვ)იბოძებია.

გიბედნიეროს ლ(მერ)თმ(ა)ნ ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შიგან.

ანე, გ(ი)ბ(რძანებ)თ კარისა ჩვენისა ვეკილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, მერმე, რარიგაც ამა ჩვენს ნაწყალობევს ფარვანაჩიგა ეწეროს, თქვენც ასრე გაუთავეთ და ნუ შეცეცილებით.

დაინერა ნიშანი და ბძანება ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიმი, კელითა კარისა ჩვენის(ა) მუშრიბის - ყორღანაშვილის ბატასათა.

ქ. ესე წიგნი ასრე უნდა გათავდეს.
დედანს ჰქონია სვიმონის ხელრთვა და ბეჭედი.

119

**1627 წ. 28 ივნისი. წყალობის წიგნი სვიმონ მეფისა
ფალავანოსროსადმი**

დედანი: ხეც, Hd-1679; სქელი ქაღალდი; ზომა: 37,2X19,8 სმ. ხელი მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთი ქართულ-სპარსულია. შექასთეთი შესრულებული ექვსსტრიქონიანი სპარსული ტექსტი მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

პირი: ხეც, Hd-4133.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი შერმაზან ოქრუასშვილი.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტიპი (315), თიბათვის კმ (28), რაც უდრის 1627 წლის 1627 წლის 28 ივნისს.

გამოცემები: თაყაიშვილი, 1899: №113; გვ. 110; ფუთურიძე, 1955: №29, გვ. 70-72.

ქ. ნებითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფემან პატრონმა ს უ ი მ ო ნ , ესქე წყალობისა წიგნი გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა ყმასა, პატრქონს ფ ა - ლ ა ვ ა ნ ხ ო ს რ ო ს , შენს ძმისწულს ზ ა { ა } ლ ს . *

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა |⁴ და აზნაურისშვილის წყალობასა დაგვეაჯენით, ჩუენ ვისმინეწთ აჯა და მოხსენება თქუენი, მოკითხული ვქენით და თქუენივე სამკუიდრო ყოფილიყო. ჩუენცა შეგინყალეთ და გიბოძეწთ არეშიანთ გარსუაშვილი შერმაზანა და მისი ძმა გ რ |⁸ ი გ ო - ლ ა მათის მამულითა. თქუენტვის და თქუენტა შვილთათვის სწამკუიდროდ და სამამულედ გუიბოძებია, გქონდეს და გიბედნიეროქონს ღ(მერ)თმან ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან.

ანე, მოგახს|¹¹ენებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმე|¹²ნო, ვინ გინდა ვინ იყუნეთ, რარიგადცა ამა ჩუენგან ნაწყალობ|¹³ევს ფარვანაშია ეწეროს, და ნურაოდეს ნუ შეუშლით და |¹⁴ შეეცილებით, თანადგომისა და შეწევისაგან კიდე.

დაიწერ|¹⁵ა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორო)ნ(ი)კ(ონ)სა ტიპი, თიბათვის კმ, კელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრისა ოქრუასშვილის შერმაზანისათა.

ხელრთვა ხვეულად: ს უ ი მ ო ნ

სპარსული ტექსტი:

هو

امر علی شد انکه چون از قدیم الایام شرمزان ولد کرسوان ارش اعلیٰ | با خانه و املاک و متعلقات و اراضی و مراعی و مواشی به رفعت پناه پهلوان خسرو ایشیک اقا سی تعلق بوده | و در جار و بساق و شکار در خدمت او قیام داشته اند بناء علیه از ابتداء شهر ذی القعدة الحرم سنه ۱۰۳۶ | فی توشقان نیل شرمزان منکوررا باو شفقت فرموده ارزانی داشتیم میباید که شرمزان مزبور | خودرا ملازم رفعت پناه مشارالیه دانسته در جار و بساق و شکار در خدمت او قیام داشته باشد | تحریرا فی شهر ذی القعدة الحرم سنه ۱۰۳۶

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ ძველი დროიდანვე შერმაზანი, შვილი გარსევანი არეშიანისა, თავისი სახლით, მამულით და საკუთრებით, მიწებით, საძოვრით და საქონლით ეკუთვნოდა სიდიადის საფარველს ფალავან ხოსროს, ეშვიკალასის, და ლაშქრობასა (არ-ჯარო) და ნადირობაში მას ემსახურებოდა. ამის საფუძველზე ჩვენ ვუნყალობეთ და ვუბოძეთ მას (ფალავან ხოსროს) ხსენებული შერმაზანი 1036 წ. ზულყა'დას თვის დასაწყისიდან, კურდღლის წელიწადს. საჭიროა, რომ ხსენებულმა შერმაზანმა საკუთარი თავი ცნოს ხსენებული სიდიადის საფარველის მსახურად და ლაშქრობაში მის სამსახურში იყოს. დაიწერა კურთხეული ზულყა'დას თვის, 1036 წ.

დამტკიცება: ბეჭედი წარწერით: غلام شاه عباس سميون „მონა შაჰ-აბასისა სვიმონ“. მარცხენა აშიაზე ქართული მინაწერის გვერდით – ბეჭედი წარწერით: علی غلام شاه عباس „მონა შაჰ აბასისა ალიყული“.

კომენტარი:

ფალავანოსრო ბარათაშვილი – ბარათაშვილთა განაყოფი შტოს, ფალავანოსროშვილთა ფუძემდებელი. სამეფო კარისადმი ერთგულების გამო იგი ბოქაულთუხუცესის თანამდებობას ფლობდა. მას ბოქაულთუხუცესობა უბოძეს ამ სახელის ჩამორთმევის შემდეგ. 1627 წ. 23 მაისის დოკუმენტში ყაფარბეგი ჯერ კიდევ ბოქაულთუხუცესია (იხ. სეა, 1448-3257).

* “შენს ძმისწულს ზალს” ჩამატებულია ტექსტის ხელითვე სტრიქონს ზემოთ.

**1627 წ. 14 ივლისი. მამულის წყალობის წიგნი
სვიმონ მეფისა სოიბათიასაულ ზურაბ [ყაზარაშვილისაღმი]**

პირი: სეა, 1450-49/45.
თარიღი: საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი ტიმი (315) მკათათვის
0ღ (14), რაც უდრის 1627 წლის 14 ივლისს.
საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი შერმაზან ოქრუასშვილი.

ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი გიბოძეთ თქუნ, ჩვენსა ერთგულსა ყმა-
სა, სოიბათიასაულს ზურაბს, თქვენსა ძმასა მერაბს, [დომნაზს, შვილთა
და მომავალთა სახლისა თქუნისათა, ყოველსავე].

5 [მას] ჟამსა, ოდეს ბედნიერის პაპისა და მამის ჩვენისაგან ნაწყალობევი
მამულები გქონებოდა და სოფლის ვითარობისაგან იმისი წიგნები დაგკარ-
გოდა, ანე, მოგვიდევით კარსა და იმავე თქვენის სოფლების წიგნის გა[ა]
ხლებას დაგუეჯენით. ჩუნ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგინყალეთ
და გიბოძეთ თქუნივე მკვიდრი ვანქი, რაცა ამას წინათ თქუნთაგან და
გიორგის ჰქონებოდეს. კიდევა – სომხით სოფელი აკანათერი
10 მისის აკრავა შენის სამჭმოთა. ესე სოფლები მთითა, ბარითა, წყლითა,
წიქვილითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა და უხნავითა, შენითა და ოხრითა,
საძებრითა და უძებრითა და ყოვლის მისის სამართლიანის საქმით და სამძ-
ღერით თქვენთვის სამკვიდროდ და სამამულედ გვიბოძებია.

15 გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუნსა ერდგულად სამსახურსა
შიგან.

ანე, უზეშთესთა მოგახსენებთ და უქვედესთა გიბძანებთ, კარისა ჩვენისა
ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, ვინ გინდა-ვინ იყვნეთ და ანუ ვინ გინ-
და-ვინ იქნებოდეთ, თქვენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუნგან ნაწყ-
ალობეს ფარვანაშია ეწეროს, და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შექცილებით,
20 თანადგომისა და შეწვენისაგან კიდე.

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორო)ნ(ი)კ(ონ)სა ტიმი, მკათათვეს
0ღ, კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრისა, ოქრუასშვილის
შერმაზანისათა.

დედანს ჰქონია მეფის ხელრთვა.

კომენტარისათვის იხ. საბუთი 1450-49/40.

**1627 წ. 1 დეკემბერი. წყალობის წიგნი
სვიმონ მეფისა ზაზიერთუხუცეს პაპუასაღმი**

პირი: სეა, 1461-3/2.
თარიღი: საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი ტიმი (340), შობის ა (1),
რაც უდრის 1627 წლის 1 დეკემბერს.

ქ. გაგიჩინეთ ...ახლად ჯამაგირი ბატონიშვილის ბაზიერთუხუცეს პაპ-
უასათვის თხუთმეტი თუმანი თეთრი ყოველს წელიწადს. ჩვენი მეზაჟე
ქალაქის ბაჟიდამ თავისის ყაზბით მოსცემდენ და ჩვენის კარის გამრიგენი მე-
ზაჟეს ყაზბს ანგარიში ჩაუგდებდენ.

ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიმი, შობის ა. 5

დედანს ჰქონია ხელრთვები: თეიმურაზ, როსტომ

**1628 წ. 26 თებერვალი. შეწირულების წიგნი
თეიმურაზ მეფისა კუნძულ პატმოსზე მღვბარა
იოვანე მახარებლის ეკლესიისაღმი**

პირი: სეა, 1449-221.
თარიღი: საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი ტიმი, თებერვლის კვ
(26), რაც უდრის 1628 წლის 26 თებერვალს.

ქ. ერთსა და[უსაბამოსა-სამარადისოსა მიუნდომელსა, სამარადისო-
სა დაუსაბამოსა ყოველთასა დაუცხომელად სერაბინი აქებენ და ყოველი
ენა შესხმით უგალობს, ერთი მადლი და სწორი კელმწიფება გაქუს სამე-
ბაო წმინდაო, ერთითა და განზრახვითა მხოლოო მარტოო და განუყოფელო
ღ(მერ)თო, შეგვზღუდენ ჩვენ მადლითა შენითა, მრავალმონყალე-ბრწყინ-
ვალეო, ნათელო მამისაო და ძეო მხოლოდშობილო, ვ(ითარც)ა აღმითქუ სახ-
იერ სავანე ყავ ჩვენ შორის მეოხებითა და შეწვენითა ყ(ოვლა)დ წმინდისა
ღ(მრ)თისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისათვის, მეოხებითა და
შეწვენითა წმინდათა წინასწარმეტყველთა მოციქულთა მღდელთმოდვართა
მონამეთა მამათა, მამათ-მთავართა, ქალწულთა მეუდაბნოეთა და რომელნი
10 საუკუნითგან სათნო ეყვნეს უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა, შენ, იოანე ქა-
ლწულო მახარებელო, ღ(მრ)თისმეტყველო, ძედ ქუხილისად ნოდებულო,
წინამძღვარო მართლმადიდებლობისაო და დიდისა მის ჭეშმარიტისა ქრის-
ტეს მღთისაო, რამეთუ მრავალნი საკვირველნი სასწაულნი ჰქმენ ტრან-
იანე უსჯულოსა მის მეფისა ზე, და ეშმაკთ მთავარი კვინოპ ზღვასა
15

მას შინა და ქვა იქმნა და პ ა ტ მ ო ს { ს } ა მას ჭალაკსასა შენ მიერ ნათელს იღებს, ვითარ ათოთხმეტი ათასი.

შენწენითა და შუამდგომელობითა ყოველთა წმინდათა მღთისათა, კორციელთა და უხორცოთა, და გკადრეთ და მოგახსენეთ გუჯარი ესე თქვენ, 5 იო ა ნ ე მახარებელსა პ ა ტ მ ო ჭალაკსასა, ჩვენ, ი ა ს ი ა ნ - და ვ ი - თ ი ა ნ - ს ო ლ ო მ ო ნ ი ა ნ პანკრატოანმან, მეფემან თ ე ი მ უ რ ა ზ და თანამემცხედრემან ჩვენმან, დედოფალმან პატრონმან ხ ვ ა რ ა შ ა ნ , შემოგწირეთ მ ა შ ნ ა ა რ ი სანიამძღვრო წმინდა სამება ყმითა, მამულითა, მითთა, ბართა, წყლითა, სანისქვილოთა, სახნავითა, სასაფლ(ა)ოს 10 შარას ზემოთ ყოვლითურთ უნაკლულოდ. ნურას კაცს კელი ნუ აქუს, ნურც მოურავს, ნურც ნაცვალს, ნურც ქევხასა, ნურც სამასპინძლო ნურასფერს გამოსაღებისა. ერთი ლაშქარ-ნადირობის მეტი არა გეთხოვებოდესთ-რა, ქევხაცა და გზირიცა თქვენი იყოს.

ვინცა-ვინ წინამძღვარნი იყუნენ და ვინცა და რამანცა ძემან კაცმან ეს 15 ჩვენგან შეწირული შესანიარავი შეგიშალოს, რისხამსცა დაუსაბამო ღ(მერ)თი, მამა, ძე და სული წმინდა, ყოველნი წმინდანი ღ(მრ)თისანი, ზეცისა და ქვეყანისანი, ხორციელნი და უკორცონნი, ნ ე ს ტ ო რ ს ა და ო რ ო გ ი ნ ე ს თ ა ნ თანამდები იყოს, და ნურათამცა სინანულითა ნუ იქმნების კსნა სულისა მისისა ჯოჯოხეთისაგან. და შენ, წმინდაო სამებაო ერთარსებაო, რისხევდე ამას 20 სოფელსა და მერმესა საუკუნესა. დამამტკიცებელნი ამისნი ღ(მერ)თ(მა)ნ აკურთხოს.

დაინერა წიგნი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიღ, თვესა თებერვალსა კპ-ს.

1628 წლის მინაწერი:

ვინ იცის, ჟამთა ვითარებისაგან ძ ა ნ ა შ ვ ი ღ ი ს თესლს შემოგეცილოს ვინმე, მეპატრონეთაგან ს ა ნ ო შ ვ ი ღ ი ს სანაცვლოდ მ ა მ უ კ ა და პ ა პ ი ა მოგვიცემია. და ჩვენს უკან შეეცილოს ვინმე საყდარსა, და ან ჩვენი წიგნი ჰქონდეს, ამ წიგნში გააცუდოს. ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიღ [მეფე თეიმურაზ].

გვიანდელი დამტკიცება. 1749 წლის 5 ივნისი:

ვინათგან გუჯარი ესე დაძველებული იყო, ჩვენ, მეფეთ-მეფემან ე რ ე კ ლ ე მ განვაჩახლეთ და მეფეთ-მეფის თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს შეწირულობა კვალად დავამტკიცეთ, ივნისის 5, ქ(ორონი)კ(ონ)ს შლზ.

კომენტარები:

1. პატმოს-ჭალაკი – კუნძული პატმოსი, სადაც იოანე ღვთისმეტყველს ჰქონდა გამოცხადება (თავი 1, 9). აქ მის სახელზე აგებულ ეკლესიას უძღვნის თეიმურაზ მეფე შეწირულებას.
2. რომის იმპერატორი ტრაიანე (98-117), ერთ-ერთი იმ იმპერატორთაგანი, რომლებიც ქრისტიანებს დევნიდნენ. მიხეუდია ქრისტიანთა მდევნელ იმპერატორად, თუმცა, ქრიატიანებთან დაკავშირებული მისი რესკრიპტი პლინიუს უმცროსისადმი, დასჯის კატეგორიულ მოთხოვნას არ შეიცავდა. მისი დროინდელი დევნის მთავარ მსხვერპლად მიიჩნევენ ანტიოქიის ეპისკოპოს ეგნატე ღმერთშემოსილს, რომელიც, ტრაიანეს მიერ დაკეზბე მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნად

ლომებს მიუგდეს საჯიჯგნად (Ign. Ep. Ad pom. 4, online, ქრისტიანთა დევნა რომის იმპერიაში, I ნაწილი).

3. კვინოპ გრძნეული – იოანე ღვთისმეტყველის მოწინააღმდეგე, რომლის სახელი უარყოფით კონტექსტში მოხსენიებულია იოანესადმი მიძღვნილ ლოცვებში.

1628 წ. 1 მარტი. წყალობის წიგნი სვიმონ მუხისა მერიძიშვიტუხუტუხ მანუჩარ თუშანიშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Hd-3164; სქელი ქაღალდი; ზომა: 35,2X14,6 სმ. ხელი მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთი ორენოვანია, ქართულ-სპარსული. verso-ზე მოთვსებულია შექასთეს ხელით შესრულებული სპარსული ტექსტი.

პ ი რ ე ბ ი : 1. ხეც, Qd-9037; 2. სეა, 1450-3/190.

საბუთის თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტიჰ (316), მარტს ა, რაც უდრის 1628 წლის 1 მარტს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი შერმაზან ოქრუაშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე, 1955: №31, გვ. 74-75.

ქ. ნებიტა ღ(მრ)თისა(ა)თა, ჩუენ, მეფემან პატრონმაქნ ს უ ი მ ო ნ , ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ თქვენ, ჩუენსა ერდგულსა ყმასა, მერიქიფეთუ¹⁴ხუცეს თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ღ ს მ ა ნ უ რ ა რ ს , ძმასა ¹⁵ თქვენსა და ვ ი თ ს , მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგი¹⁶თ კარსა და მამულისა წყალობასა დაგვეაჯენი¹⁷თ.

ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შე¹⁸გინყალეთ და გიბოძეთ, რაცა რ ა მ ა ზ ს ნ ა ს რ ი ლ ა ს კერძი მამული ჰქონდა და ნ ა ს რ ი ა ს სასახ-¹⁹ლ¹⁹ე. გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან ჩუენ¹¹სა ერდგულად სამსახურ-სა შიგან.

ანე, უუეს¹²თესთა მოგახსენებთ და უქუედესთა გ(ი)ბ(რძანე)ბთ, კა¹³რი-სა ჩუენისა ვ ე ქ ი ღ - ვ ე ზ ი რ ნ ო და სხუანო მოსაქმ¹⁴ენო, ვინ გინდა ვინ იყუნეთ, ანუ ვინ გინდა ვინ იქნებ¹⁵ოდეთ, თქუენცა ასრე გაუთა{ვეთ. ს ო მ ხ - ი თ ი ს ა ტარ¹⁶ულავ და მელიქო, ნურა-ოდეს ნუ შეუშლით, ¹⁷ თანადგომისა და შეწენისაგან კიდე.

დაინერა ბრ¹⁸ძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტიჰ, მარტს ა (1), ¹⁹ კელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრისა ო ²⁰ქ რ უ ა შ ვ ი ღ ი ს შ ე რ მ ა ზ ა ნ ი ს ა თ ა .

ხელრთვა ხვეულად: ს უ ი მ ო ნ

სპარსული ტექსტი:

هو

امر على شد آنکه بناير شفقت و مرحمت عالی از ابتداء شهر رجب المرجب سنه ۱۰۳۷ فی لوی نیل قریه جلیس عن تیول خواجه نصری | که تیول برماز برادرزاده او مقرر شده بود تیول عزت‌ماب منوچهر مهتر رکابخانه شفقت فرموده ارزانی داشتیم ملکان و کدخدایان سمخوت | و رعایای قریه مذکور مشار الیهم را تیولدار خود داشته سال بسال | مالوجهات خود را موافق دستور العمل آنجا بدو جواب گویند و چون | بمهر مهر آثار علی مزین و محلی کردد اعتماد نموه هر سال حکم مجدد طلب ندارند تحریرا فی شهر رجب المرجب سنه ۱۰۳۷

„ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ მაღალი ყურადღებისა და შეწყალების გამო, [ჩვენ] ვუწყალობეთ და ვუბოძეთ რექაბ-ხანეს მეითარს, დიდებულ მეითარ მანუჩარს თიულად 1037 წლის რაჯაბ ალ-მორაჯაბის თვის დასაწყისიდან, თევზის წელიწადს, ხოჯანასრის თიულში შემავალი სოფელი ჯალისი, რომელიც მის ძმისწულს, რამაზს ჰქონდა თიულად დამტკიცებული. სომხთის მელიქებმა და ქეთხუდებმა და ხსენებული სოფლის გლეხებმა მოხსენებული [მანუჩარი] უნდა ცნონ თავის თიულდარად. ყოველ წელს გადაუხადონ მას თავისი მალუჯათი იქაური დას-ტურლამალის თანახმად და, როცა [ეს ბრძანება] მაღალი მზისებრი ბეჭდით შეიმკობა და დაიბეჭდება, ერწმუნონ მას და ყოველ წელიწადს ახალ ბრძანებას ნულარ მოითხოვენ. დაინერა რაჯაბ ალ-მორაჯაბის თვის, 1037 (1628 წ.)

დამტკიცება: ოვალური ბეჭედი სპარსული წარწერით: غلام شاه عباس سميون „შაჰ აბასის ლოლამი* (მებრძოლი მონა) სიმონი“

კომენტარი:

მანუჩარ თუმანიშვილი – მანუჩარ და დავით თუმანიშვილები არიან ძმები ბირთველ, თაყა და ჯიმშიტა თუმანიშვილებისა. მოცემული საბუთით, 1628 წელს მას მერიქიფეთუხუცესის სახელო უჭირავს. 1654 წ.-დან მორდარი ხდება; 1670 წელს კი მდივნად იხსენიება. იგი 1673 წლის ახლოს უნდა გარდაცვლილიყო (ბაქრაძე, 1963: გვ.169-170).

124

1628 წ. 15 მარტი. წყალობის წიგნი სვიმონ მეფისა ეპისკოპოს ელისასადმი

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი შერმაზან ოქრუასვილი. თარიღი: საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი ტიშ (316), მარტის იმ (15), რაც უდრის 1628 წლის 15 მარტს.

* ფუთურიძე ლოლამს თარგმნის „მონად“

გამოცემები: 1. AKAK, I, 1866: გვ. 16; 2. დოლიძე 1965: №71, გვ. 213,

ქ. ნებიტა ღმერთისათა, ჩუენ, მეფემან პატრონმან სვიმონ, ესე წყალობისა წიგნი მოგახსენეთ თქუენ, ეპისკოპოსს, პატრონს ელისეს, მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და თბილელობასა დაგვეაჯენით.

ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და მოგახსენეთ თბილელობა, ასრე რომე: რაც სიონთა ღმერთისმშობელს ქალაქს ან ვაჭარი ჰყოლებოდეს შენირული, და ან ქულბაქი, ან საბარათი შვილო ში და ან ქართლში, ჩუენც შეგვიწირამს უკლებად. და თბილელობა თქუენთს გვიბოძებია. და რარიგადცა ან მოქალაქესა, ან თემის კაცს სხვის თბილელისათს ემსახუროს, ისრევე თქუენ უნდა გემსახუროს, და, რაც სათქვენო ქულბაქი იყოს, თქუენი არის, ვისცა გეპრიანებოდეს, ათხოეთ და აქირა{ვ}ეთ, ვისცა თქუენ არ გეპრიანებოდეს. რარიგადცა თქუენ გეპრიანებოდეს, ისრე ჰქენით, არას ჩუენს მოხელეს თქუენს ვაჭართან ხელი არა აქუს, თქუენის ყმის სარგო და გამოსაღები სათქუენოდ უნდა ააღებინებდეთ.

ანე, უზეშთესთ მოგახსენებთ და უქვედესთა გიბრძანებთ, კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, ვინ გინდა-ვინ იყვნეთ, ანუ ვინ გინდა-ვინ იქნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადცა ამა ჩუენგან ნაწყალობევს ფარვანაშია ეწეროს და ნურაოდეს ნუ შეუშლით და შეეცილებით, თანადგომისა და შეწვევისაგან კიდე.

დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე ქორონიკონსა ტიშ, მარტს იმ, ხელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრისა, ოქრუასვილის შერმაზანისათა.

125

1628 წ. 30 მარტი. წყალობის წიგნი სვიმონ მეფისა ბოსტაშაზ ბოზანუს შვილ -[ბარათაშვილისადმი]

დედანი: სეა, 1448-3256; სიძველისაგან ყავისფრად ჩამუქებული ქაღალდი; ზომა: 30X17,2 სმ. მხედრული; შავი მეღანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდგომ; ტექსტი დაუზიანებელი. საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. შექასთეს ხელით შესრულებული რვასტრიქონიანი სპარსული ტექსტი მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი შერმაზან ოქრუასვილი.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტიშ (316), მარტის 15 (30), რაც უდრის 1628 წლის 30 მარტს.

გამოცემები: თაყაიშვილი, 1910: №165. ფუთურიძე, 1955: N32, გვ.76-78.

ქ. ნებიტა ღ(მრ)თისა(ა)თა.

ჩუენ, მეფემან პატრონმან სვიმონ, ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ თქუენ, იოვანე შვილს გოსტაშაზს და შვილთა და მამავალთა

სახლისა თქუენისათა, ყოელ⁴თავე, მას ჟამსა, [ოდეს] მოგუიდეგით კარსა და მამულის წყალობას და⁵გვეაჯენით.

ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგი⁶წყალეთ და გიბოძეთ თქუენისავ ბიძაშვილის ყაფარბეგის⁷ ნაქონი, რისაც მამულის მქონებელი ანამლივის ანერ⁸დოს ანვაკეს ყოფილა, ყოვლის მისის სამართლიანის ს⁹აქმითა და სამზღურითა, თქუენთვის სამკუიდროდ და სამამ¹⁰ულედ გუიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან¹¹ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან.

ანე, მოგახსენებთ¹² კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, ¹³ ვინ გინდა ვინ იყუნეთ და ანუ ვინ გინდა ვინ იქნებო¹⁴დეთ, თქუენცა ასრე გაათავეთ, რარიგადაცა ამა ჩუენ¹⁵გან ნაწყალობევს ფარვანა-შია ენეროს, და ნურ¹⁶აოდეს ნუ შეუშლით თანადგომისა და შეწევნისაგა¹⁷კიდე.

დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა¹⁸ ტიშ, მარტის ლ, კელითა კარისა ჩუენისა მდივან-მნი¹⁹გნობრისა ოქრუაშვილის შერმაზანისათა.

ხელრთვა: ს უ ი მ ო ნ

დამტკიცება:

|| ქ. ესე ბრძანება ასრე უნდა გათავდეს.

verso-ზე მინაწერები: 1. „სვიმონ მეფისა წიგნი“; 2. „ქ. სვიმონ მეფის წიგნი ყაფარის მამული, რომ მიუციათ ამლივის, ვაკეს და ერდოს“.

სპარსული ტექსტი:

هو

امر عالی شد آنکه بنا بر او شفقت عالی از ابتدای شهر رجب المرجب| فی قوی نیل قریه املی و غیره عن تیول غفار بیگ براته اعلیٰ که به آقا بیگ محمد حسنلو و غیره قریه املی قریه وکه قریه ایردو | شفقت شده بود از تیول ایشان تغییر نموده عزت‌مآب گوستاشب براته اعلیٰ شفقت فرموده| ارزانی داشتیم کاندوایان و رعایا آنجا مشارالیه را تیولداره خود دانسته| مالوجهاات و وجوهات خود را موافق دستور العمل آنجا بدو عاید و اصل سازند و چون | بمهر مهر آثار عالی مزین گردد از جوانب اعتماد نموده هر ساله حکم مجدد طلب ننمایند تحریر| فی شهر شعبان المعظم سنه ۱۰۳۷

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ მაღალი შეწყალების გამო, ჩვენ სახელოვან გოშტაშაბ ბარათაშვილს ნიანგის წლის რაჯაბ ალ-მორაჯაბისთვის დასაწყისიდან ვუბოძეთ და ვუწყალობეთ სოფელი ამლივი, სოფელი ვაკე, სოფელი ერდო, ყაფარბეგ ბარათაშვილის თიულიდან, რომელიც აღაბეგ... ჰასანლუს და სხვებს (?) ჰქონდათ ნაწყალობევი და მათ ჩამოერთვათ. იმ ადგილის ქედხოდებმა და გლეხებმა ხსენებული [გოსტაშაბი] უნდა იცნონ თავის თიულდარად, იქაური დასტურლამალის მიხედვით მას მალუჯათი და [სხვა] გადასახადები უნდა გადასცენ და გადაუხადონ. და როცა [ეს ბრძანება] მზისებს მაღალი

ბეჭდით შეიმკობა დაემორჩილონ მას და ყოველ წელს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვენ. დაინერა 1037 წლის დიდებული შაბანის თვეში.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია ბეჭედი წარწერით: غلام شاه عباس – შაჰ აბასის მონა სვიმონი.

ქართულ დამტკიცების ფორმულასთან ზის ექვსკუთხა სპარსული ბეჭედი წარწერით: غلام شاه عباس علیقی – შაჰ აბასის მონა ალი-ყული.

1628 წ. 30 ოქტომბერი. წყალობის წიგნი თეიმურაზ მეფისა ლეჰანისადმი

დედანი: ხეც, Hd-14680; მოყვითალო ქაღალდი; ზომა: 38X18,2 სმ. შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთის ზედა ნაწილში, მარჯვენა აშიაზე მოხეულია და მოქმედი ქაღალდის სხვადასხვა ზომის ფრაგმენტები. დაზიანების გამო მთლიანად ან ნაწილობრივ არის დაკარგული recto-ს I-IV სტრიქონების ცალკეული ფრაგმენტები, რომლებიც ადგენილია საბუთის საერთო კონტექსტის გათვალისწინებით. დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თარიღი: ქორონიკონი ტიშ (316), ღვინობისთვის ლ (30), რაც გვაძლევს 1628 წლის 30 ოქტომბერს.

ქ. ნებითა და შეწევნი¹თა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, [ღმრ]თივე-[გუი]რ²გუინოს-ანმან, მეფეთ-[მე]ფემან პატრონმა³ [თეიმურაზ] ³ზ, და თანამეცხე⁴დრ]ემან ჩუენმან, [დე]დოფალთ-დედოფალ⁴მან, პატრონმან ხვარაშან, და პირმშომან და სასურველ⁵[მა]⁵მან ჩუენმან, პატრონმან დავით, ესე უკუნი სამდე ჟამ⁶თა გასათავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგ⁷წყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა ⁸ და მრა⁹[ვა]ლფერად ნამსახურსა, ბატონს ლევანს და [მის] სიძეს, ⁹ ბატონს ამილღამბარს და შვილთა და მომავალთა ყოვე¹⁰ლთავე.

მას ჟამსა, ოდეს მამულის წყალობას გუიჯენ¹¹ით და მოკითხული ვქენით და მეფეთაგან მოცემულ¹²ი ძუელი წიგნიც გქონდათ, და ჩუენცა შეგიწყალეთ ¹³ და გიბოძეთ: ვერტყუილას – ბლიაძეები, ვერტყუილის ¹⁴ ჭალას – გოგალაძეები და ციცქიშვილი, ციცქიურს – ე¹⁵რთი დევაძე, მგელაშვილები, იმერთს მზარეულს გარე¹⁶; ნადაბურს – მგელაშვილები, ნებიერთუბანს – ნებ¹⁷არიძეები, წინაგანს – რიკაძეები, ნაქვას – ხაჩიძეები, გოგალას ¹⁸ – მგელაშვილი, გრიგალაშვილი, ევეის ჯვარს – ტაბა¹⁹ტაძეები.

ესენი მათის სახლ-კართა, ჭურ-მარნითა, [სახნავი]²⁰თა, გარეშემოთა

ტყითა, ველითა, ვენაკითა, წყლითა, წი²¹ისქუილითა, მითთა, ბარიითა, სანადიროთა, სათიბითა, სასაძო²³ვრითა, მისითა ეკლესიითა, სასაფლაოთა, საძებრი-თა და უ²⁴ძებრითა, მისითა სამძღურითა, მართლის სამართლ²⁵იანის საქმითა, გუიბოძებია მკუიდრად და სამამულოდ. ²⁶ გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ) თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულად ²⁷ სამსახურსა შინა. არა მოგეშალოს არა ჩუენგან, [და] ²⁸ არა სხუათა მეფეთა და დედოფალთაგან.

ანე, გიბ(რძანებ)თ კა²⁹რისა ჩუენისა ვექილ-ვაზირნო და სხუანო მოსაქმენო, ბ³⁰ძანება და ნიშანი თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნუ ³¹ მოუშლით, თუნიერ თანადგომისა და შენევისაგა³²ნ კიდე.

დაინერა ბძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტიზ, ლუინო³³ბისთუეს ლ.

და მ ტ კ ი ც ე ბ ა : მეფე თ ე [ი] მ უ რ [ა] ზ ე [ამ] ტ კ [ი] ც ე ბ ე [ი] თ ა | ლ [მ] რ [თ] ი [ს] ა [თ] ა . ა [მ] ე [ნ] .

ხ ე ლ რ თ ე ა : ხვარაშ[ან]

მ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი : verso-ზე

ქ . ხ ე ფ ი ნ ი ს ხ ე ვ ი ს ს ი გ ე ლ ი ...

ქ . ბ ა ტ ო ნ ი ს [თ ე ი მ] უ რ ა ზ ი ს ს ი გ ე ლ [ი ...] კ ე ფ ი ნ ი ს ხ ე ვ ი ს ა .

127

**1629 წ. 5 თებერვალი. წყალობის წიგნი
მეფე სვიმონისა თამაზ სააკაპისაგან**

დედანი: სეა, 1448-5570; ღია ყავისფერი ქაღალდი, ზომა: 33X18.1 სმ.; ხელი მხედრული; შავი მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდგომ. დაზიანება: საბუთი თავნაკლულია, კიდეები შემოცვეთილი, გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტიზ (317) თებერვლის 5 (5), რაც უდრის 1629 წლის 5 თებერვალს.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი შერმაზან ოქრუაშვილი.

გამოცემა: თაყაიშვილი, 1910: №164, გვ.141.

[... მეფემან პატრონმან] ს უ ი მ ო ნ , ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ თქუენ, ს ა ლ ა კ ა ძ ე ს თ ა მ ა ზ ს , მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარ¹სა და თქუენისავე ბიძაშვილის ოთარას მამუ⁴ლს დაგუეაჯენით.

ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგინყალეთ და გიბოძეთ, რაც ს ა ბ ა რ ა ლ ო თ ა შ ვ ი ლ ო შ ი თქუენს ბიძაშვილს ოთარას მამუ⁷ლი ჰქონე-ბოდეს მითთა, ბარიითა, წყლითა, წის⁸ქუილითა, ველითა, ვენაკითა, ნასყიდითა და უსყიდ⁹ითა, შენითა, ოკრითა და ყოვლის მისის სამართ¹⁰ლიანის საქმი-თა და სამძღურითა, თქუენთვის სამ¹¹კუიდროდ და სამამულედ გუიბოძებია.

გქონდეს და გი¹²ბედნიეროს ლ(მერ)თმან ჩუენსა ერდგულად სამსახურსა ურ¹³სა შიგან.

ანე, უზუთესთა მოგახსენებთ და უ¹⁴ქუედესთა გ(ი)ბ(რძანებ)თ კარისა ჩუენისა ვექილ-ვაზირნო და ¹⁵ სხუანო მოსაქმენო, ს ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ო ს სარდარო, თქუენ¹⁶ცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაცა ამა ჩუენგან ნა¹⁷წყ-ალობევს ფარვანაშია ენეროს, და ნურაოდე¹⁸ს ნუ შეუშლით და შეეცილებით თანადგომისა ¹⁹ და შენევისაგან კიდე.

დაინერა ბრძანება და ნიშანი²⁰ ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტიზ, თებერვალს 5, ველითა კარისა ჩუ²¹ენისა მდივან-მწიგნობრისა ოქრუაშვილის შერ²²აზანისათა .

ხელრთვები: ს უ ი მ ო ნ , ჯ ა ჰ ა ნ ბ ა ნ უ მ

|| დამკიცების ფორმულა:

ქ . ესე ბრძანება ასრე უნდა გათავდეს.

უზის მრგვალი ფორმის სპარსული ბეჭედი: غلام شاه عباس عليقی – შაჰ აბასის მონა ალიყული.

128

**1629 წ. 27 მაისი. წყალობის წიგნი
სვიმონ მეფისა ბოჭორაშაზ იოვანეშვილ-ქარათაშვილისაგან**

დედანი: ხეც, Hd-1700; სქელი ქაღალდი; ზომა: 26,6X22 სმ.; ხელი მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. სპარსული ტექსტი მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

პირები: 1. ხეც, Hd-13952; 2. ხეც, Hd-4134.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტიზ (317), მაისის 27, რაც უდრის 1629 წლის 27 მაისს.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი შერმაზან ოქრუაშვილი.

გამოცემები: თაყაიშვილი, 1899: №114, გვ. 110-111; ფუთურიძე, 1955: გვ. 78-79.

ქ. ჩუენ, მეფემან პატრონმან ს უ ი მ ო ნ , ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ ² თქუენ, ი ო ვ ა ნ ე შ ვ ი ლ ს გ ო შ თ ა შ ა ბ ს , მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგ კარსა და თქუენ³ისავე ბიძაშვილის ყ ა ფ ა რ ბ ე გ ი ს მამულს დაგუეაჯენით.

ჩუენ ვისმინეთ ა⁴ჯა და მოხსენება თქუენი, შეგინყალეთ და გიბოძეთ ა ხ - ა ლ შ ე ნ ს – ა ლ ა ვ ე რ დ ა შ ვ ი ლ ი , ⁵ თ ა გ უ ს – ა მ ი რ ა შ ვ ი ლ ი და დ ვ ა ლ თ ა ს – თ ე გ ა ძ ე მათის მამულითა და დედული⁶თა, დღეს რი-საც მქონებელნი იყუნენ, ყოვლის მათის სამართლიანის საქმით ⁷ თქუენთვის სამკუიდროდ და სამამულედ გუიბოძებია.

გქონდეს და გი⁸ბედნიეროს ⁹ ლ(მერ)თმან ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან.

ანე, მოგახსენებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვაზირნო და

სხუანო მოსაქმენო, თქუენცა ასრე |¹⁰ გაუთაქვეთ, რარიგადცა ამა ჩუენგან ნანყალობევს ფარვანაშია ენეროქს, და ნურა-ოდეს ნუ შეუშლით, |¹¹ თუინიერ თანადგომისა და შენევენისაგა|¹² კიდე.

დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტიზ, მაის{ს} კზ, კელით|¹³ კარისა ჩუენისა მდივან-მნიგნობრისა ოქრუაშვილის შერმა|¹⁴ზანისათა.

ხევეული ხელრთვა: ს უ ი მ ო ნ
სპარსული ბეჭედი, რომლის ლეგენდაში ირჩევა მხოლოდ სახელი: علی لی
ალი-ყული.
სპარსული ტექსტი:
1629 წლის 27 მაისი.

هو الغنى العالی
امر علی شد آنکه در بین وقت بنابر عاطفت و شفقت علی در باره سعادت آثاره گوشدشاب از ناور | براتایی
جماعت مذکورہ ساکن محالہ مزبور را از ابتدای بیلان نیل بتیول او وطریقہ کی در قدیم ایام |
یک خانہ | من برات ایلی
قریہ | قریہ | قریہ
خالشین عن ولد الورد | تاكو عن ولد امير | دولت عن ولد تكاچو
یکخانہ | یکخانہ | یکخانہ

ბიოლ გფარ ბიგ მჭრრ ბოდე შფტტ ფრმოდე არზანი დაშაბმ جماعت مزكور اورا تيولدار باستقلال خود دانسته سال بسال
| مالوجهاٲ و حقوق ديوانی خود را بهر اسم و رسم كه بوده باشد از فرر دستور العمل گرجستان محصول بتيولدار
مذكور دانسته | بلا قصور مهمسازى نمايند و قضايای سانحه خود سوای قضيه خون بدو رفع نمايند كه بفيصل رساند
و چون بمهر علی محل كردد اعتماد نمايند تحريراً فى شهر شوال ختم الخير و الاقبال سنه ١٠٣٨

„ის (ღმერთი) არის უმდიდრესი, უზესთაესი!

გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ ამჟამად საბარათი ანოს ბედნიერი აზნაურის გოშთაშაბისადმი კეთილგანწყობილების გამო, ჩვენ ვუნყალობეთ და ვუბოძეთ მას თიულად [ქვემოთ] მოხსენიებული ხალხი*, რომლებიც სახლობენ [ქვემოთ] აღნიშნულ ადგილებში:

- საბარათიანოში:
სოფელი ახალშენი – ალავერდაშვილი სახლი ერთი,
სოფელი თაკვი – ამირაშვილი, სახლი ერთი,
იმ წესით, როგორც დამტკიცებული ჰქონდა თიულად ყაფარბეგს
- 10 გველის წელის დასაწყისიდან. ხსენებულმა ხალხმა ის (გოშთაშაბი) უნდა ცნონ თავის სრულუფლებიან თიულდარად, თავისი მალუჯათი და სახელმწიფო გადასახადი, რა განანესითა და კანონითაც იყო ეს [დადგენილი] საქართველოს დასტურლამალის მიხედვით, ხსენებული თიულდარის შემოსავალი უნდა ცნონ. ყოველ წელს მას უნდა გადასცენ უკლებლივ და
- 15 თავისი [სასამართლოს] საქმეები, გარდა სისხლის [სამართლის] საქმეებისა, მას უნდა მიანდონ გადასაწყვეტად და როცა [ამ ბრძანებაზე] მაღალი ბეჭედი

* ეს სიტყვა ფუთურის გამოცემაში ნათარგმნია, როგორც გლეხები.

დაისმება, ერწმუნონ მას. დაინერა [საქმის] კეთილად და საბედნიეროდ დასრულების – შავვალის თვეს, 1038 წ.

სპარსული ტექსტის ბოლოს ბეჭდის კვალა მხოლოდ დარჩენილი.

კომენტარისათვის იხ. საბუთი: Hd-14603.

1629 წ. 29 ივლისი. მამულის წყალობის წიგნი
სვიმონ მეფისა თავის მამიდაშვილ ბორბასალ ჩხეიძისადმი

პირი: სეა, 1450-35/88.

საბუთის თარიღი: საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი ტიზ (317), ივლისის 30), რაც უდრის 1629 წლის 29 ივლისს.

ნებითა და შენევენითა ღ(მრ)თისათა, ესე წყალობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ ჩვენ, დედოფალთ-დედოფალმან ანამან და ძემან ჩვენმან, პატრონმან მეფემან სვიმონ, თქვენ, ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა მამიდაშვილსა, ჩხეიძესა პატრონსა გორგასალს და შვილთა თქუენთა: ბეჟანს, ქაიხოსროს და დავითს და მომავალთა სახლისა თქვენისასა, მას ჟამსა, ოდეს მამულის წყალობ(ა)სა გვიაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება, შეგინყალეთ და გიბოძეთ კარალეთი, ვახტანგ ციციშვილის კერძი, რაც ციცისაგან და კერძოდ რგებოდეს, ანუ აზნაურიშვილი და ანუ გლეხი მისის სამართლიანის საგანაყოფოთა ყოვლითურთ წყლითა, წისქვილითა, მთითა, ბარითა, ვენახითა, მიწითა, ჭურ-მარნითა, სასახლითა ყოვლითურთ საკმარითა და უკმარითა ყოელა თქვენთვის გვიბოძებია და არავინ გვიბრძანებია ამისად მშლელ და მცილებელად და ასრე უნაკლულად გვიბოძებია ვახტანგ ციციშვილის კერძი კარალეთი და მკვიდრად და შეუცვალებლად.

ანე, გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შიგან. გიბრძანებთ, ჩვენისა კარისა ვექილ-ვაზირნო, თქვენც ასრე დაუმტკიცეთ ესე ჩვენგან ნაწყალობევი მამული.

დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტიზ, თვესა ივლისსა 30).

დედანს ჰქონდა ორი ოთხკუთხა ფორმის ბეჭედი წარწერებით: ანა, მეფე სვიმონ

1629 წ. მამულის წყალობის წიგნი
სვიმონ მეფისა ბოქაულთუხუცესს
წალაგანხოსრო [ბარათაშვილისაჲმ]

პირი: სეა, 1450-32/268.
თარიღი: საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი ტიზ (317). რაც უდრის
1629 წელს.
საბუთის დამწერი: მწიგნობარი ბაატა.

[ქ. ნებითა და შეწევნითა ლ(მრ)თისათა, ესე წყალობის წიგნი და სიგელი
შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახ-
ურსა ყმასა, ბოქაულთუხუცესს, ბატონს ფალავანხოსროვს და
თქუენს ძმისწულს, ზაზუნასა და თქუენს შვილს, თაყასა და ზურაბსა,
5 შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე.
მას ჟამსა, როდეს მოგვიდევით კარსა და ერწოს თქუენის განაყოფის,
ასლამაზის შვილის, და თუნას კერძს დაგუეაჯენით, და ჩვენ ვის-
მინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბოძეთ, რისაცა მქონებელი და თუნა
ყოფილიყოს მისის მართლის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა, მითია,
10 ბართა და წყლითა და წისქვილითა, ველითა და ვენახითა, სახნავითა და
სათიბითა. ყოველითურ უკლებლად თქუენთვინ სამკვიდროდ და სამამულედ
გვიბოძებიათ.
გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შიგან.
ანე, უზეშთაქესთა მოგახსენებთ და უქვედაქესთა გიბძანებთ, კარისა
15 ჩვენისა ვეჟილნო და ვეზირნო, და სხვანო მოსაქმენო, მერმე, რარიგადაც
ამა ჩვენგან ნაწყალობევს ფარვანაშიგან ეწეროს, თქუენცა ასრე გაუთავეთ.
და ნუ მოუშლით და შეცეცილებით თუნიერ თანა დგომისა და შეწევნისაგან
კიდე.
დაინერა ბრძანება და ნიშანი ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიზ, კელითა კარის ჩვენის
20 მწიგნობრის ბატასათა

დედანს ჰქონია მეფის ხელრთვა.

კომენტარისათვის იხ. საბუთი Hd-1679

1629 წ. 13 ოქტომბერი. შიფიშულების წიგნი
ხვარაშან დედოფლისა სვეტიცხოვლისაჲმ

პირი: სეა, 1449-2644.
თარიღი: დოკუმენტს უზის თარიღი: ქორონიკონი ტიზ, ოკდობრის
08 (13), რაც უდრის 1629 წლის 13 ოქტომბერს.

ქ. პირველითგან მყოფო ლ(მერ)თო და მარადის თანაარსო და არსებითო,
ძეო და სიტყუაო მამისაო, უწინარეს ჟამთა. ლ(მერ)თო მამაო, ლ(მერ)თო ძეო
და ლ(მერ)თო სულო წ(მი)დაო! არა სამნო ლ(მერ)თნო, არამედ პირებითა გა-
ნუყოფელნო, ხოლო ბუნებით შეყოფილო და ლ(მრ)თაებით განუყოფელო,
ერთო ლ(მერ)თო, რომელი აღსასრულსა ჟამთასა მოხუედ შემოსად თბისა 5
აღამიანისა, განკაცენ და იშვე ლ(მრ)თაებრ-უქცეველად, ორითა ბუნებითა. და
აღადგინე პირველი დაცემული მამა ჩუენი და თანა-აღადგინე ბუნება ჩუენი
მოკუდავი, რათამცა ურჩინცა სამკუიდრებელ შენდა ვიყუნეთ,
ეჭა, სახიერებისა შენსა, რომელმან უმჯობესი ჩუენთუის წინასწარ გან-
იგულე და მოგუეც ჯუარი შენი უძლეველი, საძლეველი ყ(ოვლა)დ ძლიერი და 10
საყდარი დიდებულ[ებ]ისა შენისა.
ეჭა, საყდარო კათოლიკე ეკლესიაო, უდიდებულესო და უაღმატებულე-
სო ადამისითგან ვიდრე მოაქამდე ყოველთა ყოფილთა და ან მყოფთა,
და ვიდრე აღსასრულადმდე ყოფადთა საყდართა და ეკლესიათაო; დიდებო,
სიმტკიცეო, სიქადულო, საფარველო და გუირგუინო მორწმუნეთაო, რომელი 15
იდიდები ანგელოზთაგან, შეიმკუები მოციქულთაგან, იკურთხევი მღდელთ-
მოძღუართაგან და თაყუანისიციემები მონამეთაგან; და საშუალ-გიპყრის და
გარე-შეგიცავს სასო და მარადის მადინებელი ცხოვრებისა.
ეჭა, სუეტო ცხოველო, ლ(მრ)თივ-დიდებულო და ლ(მრ)თივ-ბრწყინვალეო,
სიმტკიცეო და სიქადულო ქართუელთა ნათესავისაო, რომელი აღყუანებულ 20
ზეცად ანგელოზთა მიერ და კუალად გამოგუიჩნდი მსხდომარეთა ბნელ-
სა და დაემყარე შორის ცასა და ქუეყანასა, და იწყე დენად მირონისა მის
ლ(მერ)თ-მყოფელისა, რომლისა მიერ განქარდეს და დაეცნეს და შეიმუსრნეს,
განიბნინეს და განილინეს ყოველნი საძაგელნი და ბილწნი კერპნი არ-
მაზ-ზადენისანი; და მოოკრდა ყოველი შენებულება მათი, დაიქცეს 25
და იავარ-იქმნეს ყოველნი ბომონნი, ბაგინნი, საზორველნი და სამსახურე-
ბელნი მათნი, და აღუშენეს მათ წილ სახლნი ლ(მრ)თისანი, ტაძარნი სამეუ-
ფონი, რომელსა შინა მკუიდრ ამას კუართი სამეუფო, ზე-გარდამოქსოვილი,
შეღებული სისხლითა საუფლოთა, რომლისა მიერ განმტკიცნა სჯული და
განათლდეს ყოველნი ადამიანნი, და მხიარულ არს ყოველი სოფელი და გან- 30
თავისუფლდეს ტყუენი, და განიქსნეს კრულნი, და ვინმე მიუთხრნეს ანუ სას-
მენელ იყუნეს ქებულეზანი შენნი.
ჩუენ, მინდობილმან და სურვილით მოქენემან ცუა-ფარვათა და შეწევნათა
შენთამან, დიდისა და მაღლისა მეფეთ-მეფისა, პატრონისა გი(ორ)გის
ძემა, დედოფალთა-დედოფალმა, პატრონმან ხორაშან, ვიგულეთ და 35

ვიგულსმოდგინეთ, [გ]კადრეთ და მოგახსენეთ თქვენ, ჩუენსა სასოებასა და დიდსა სიქადულსა, საფარველსა და შესავედრებელსა ჩუენსა, სუეტსა ცხოველსა, კუართსა სამეფოსა და მირონსა ლ(მერ)თ-მყოფელსა, ზ ე მ ო ქ ა რ თ ლ ს სოფელი ო ს ი ა უ რ ი მისისა სამართლიანითა მთითა, ბართა, წყლითა, წისქულითა, ველითა, სანადიროთა, ყოვლითურთ უკლებლი თქუენთუის მოგუიხსენებია და შემოგვიწირავს, თუინიერ რაცა ი ტ რ ი { ა } ს შეწირული არისა. ამას გარეთ სოფელი ო ს ი ა უ რ ი კურთხეულისა და სულ-ბრწყინვალისა, დედოფალთ დედოფლისა, დედისა ჩუენისა, პატრონისა თ ა მ ა რ ი ს ა თ უ ი ს და ყოველსა ქუეყანასა სახელგანთქმულსა, ახლისა მონამისა ლ(მრ)თივ-გუირგუინოსნისა, მეფეთ-მეფისა, ძმისა ჩუენისა, პატრონისა ლ უ ა რ ს ა ბ ი ს თ უ ი ს გამოკსნისა და ცოდვათა მათთა მიტევებისათუის, და დავსდევით აღაპი კურთხეულისა დედოფალთ დედოფლისა, დედისა ჩუენისა, პატრონისა თ ა მ ა რ ი ს ა თ ვ ი ს დღესა კორციელისა შაბათსა და მიიღებდნენ ს ვ ე ტ { ი } ს ც ხ ო ე ლ ს წინა სააღაპედ ფქილს კოდს ათსა, ღვინოს კოკას ათსა, ძროხას ერთსა, ცხვარსა სამსა, თევზს ლიტრას ექუსსა, ყუელს ლიტრას სამსა, ერბოსა ლიტრას ერთსა, კუერცხს ორმოცსა და საყოფს მარილსა, საქსაქთელს ლიტრა ერთსა, საკმელს – ქ ს ა ნ ს ერთსა.

დეკანოზი სწირევდეს და მიეცემოდეს მარჩილი ერთი, კანდელაკი სწირევდეს და მიეცემოდეს შაური ექუსი, ორი მქლრდელი და ორი მთავარი სწირევდეს და მიეცემოდეს მღრდელს აბაზი და მთავარს ორი შაური. და ამა წესითა კარგაღებულსა საეროსა აღაპსა გარდაიკდიდენ.

აგრევე მეორე აღაპი დავსდევით კურთხეულისა მეფეთ-მეფისა, ძმისა ჩუენისა, პატრონისა ლ უ ა რ ს ა ბ ი ს ა თ ვ ი ს დღესა სულის წმინდის მოსულსა, ყოველი სულთ შაბათს. და მიიღებდეს ს ვ ე ტ { ი } ს ც ხ ო ე ლ ს წინ სააღაპედ ფქილს კოდს ათსა, ღვინოს კოკას ათსა, ძროხას ერთსა, ცხვარს სამსა, თევზს ლიტრას ექუსსა, ყუელს ლიტრას სამს, ერბოს ლიტრას ერთსა, კუერცხსა ორმოცსა და საყოფს მარილს სანთელს ლიტრას ერთსა, საკმელს ქსანს – ერთსა. დეკანოზი სწირევდეს და მიეცემოდეს მარჩილი ერთი, კანდელაკი სწირევდეს და მიეცემოდეს შაური ექუსი, ორი მღდელი და ორი მთავარი სწირევდეს და მიეცემოდეს მღდელს აბასი და მთავარს ორი შაური და ამას წესითა საეროსა კარგაღებულსა აღაპსა გარდაიკდიდენ. ან, უკუე შეინიერე ესე შესანიწავი შენ, წმიდაო სუეტო ცხოველო, კუართო საუფლოვო და მირონო წმიდაო მცირე ესე შესანიწავი და მეოხ-მფარველ ექმენ დღესა მას დიდსა განკითხვისასა.

ანე, ვინცა და რამანცა ა და მ ი ს ნათესავმან კაცმან კელ-ყოს შლად, არა გათავებად და გამოაკუას ტაძარსა თქუენსა და ცუდ-ყოს მოგებული ესე ჩუენი, უკეთუ მეფემან მოშალოს, მეუფეო მეუფეთაო, უფალო ჩუენო, ი ე ს ო ქ რ ი ს ტ ე ო , შენ იგი შესცვალე მეფობისაგან მისისა, უკეთუ დედოფალმან კელ-ყოს შლად ამისად, დედოფალო დედოფალთაო, ყოვლად წმიდაო ლ(მრ) თისმშობელო, მარადის ქალწულო მ ა რ ი ა მ , შენ იგი შესცვალე დედოფლობისაგან მისისა. ანუ თუ უფლისწულმან, გინა ერისთავმან ან თავადმან, გინა აზნაურმან, ანუ მდაბალმან კაცმან კელ-ყოს შლად ბძანებულისა ამის ჩუენისა, შე-მცა-ედების კეთრი გ ე ზ ი ს ი , ძრწოლა კ ა ე ნ ი ს ა , მენ-დატეხილობა დ ი ო ს კ ო რ ე ს ი , ცოცხლივ დანთქმა და თ ა ნ და ა ბ ი რ ო ნ ი ს ი ,

შიშთული ი უ და ს ი . ნურათამც სინანულითა ნუ იქნების კსნა სულისა მისისა, ნურც ი ე რ უ ს ა ლ ე მ ს წასულითა, ნურც გლახაკთა მიცემითა, ნურც მონასტერთა და ეკლესიათა აღშენებითა, ნურც მ თ ა ნ მ ი დ ა ს მისულითა, ნურც ლოცვითა, წირვითა და მეტანიითა, ნურათამცა სინანულითა ნუ იქნების კსნა სულისა მისისა. შე-მცა-იცვლების სჯულისაგან ჩუენ, ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე - თ ა ს ა , და იქნებისმცა მონაწილე მ ა ჰ მ ა დ სანანაელისა, მკუიდრმცა არს ფსკერსა ჯოჯოხეთისასა. დამამტკიცებელნი ლ(მერ)თ(მან) აკურთხნეს.

ანე, ქ ა რ თ ლ ი ს ა კათალიკოზნო და ყოველნო მართლმადიდებელნო ეფისკოპოზნო, ჯუართა თქუენცა ასე დაუმტკიცეთ.

დაინერა მტკიცე ესე სიგელი თუესა ოკდობერსა იბ, ქ(ორონი)კ(ონ)სა ტიზ. 10

თქუენ, წმიდანო კათალიკოზნო და საჭეთმპყრობელნო წმიდისა ამის კათოლიკე ეკლესიისანო, თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ და ნურავინ კელ-ყოთ შლად ამისად. უკეთუ ვინმემქ ი ნებოთ შლად ბრძანებულებისა ამის ჩუენისა, შე-მცა-იცვლებით რჯულისაგან ქრისტიანეთასა და ი უ და ს თ ა ნ ა მ ც ა დაისაჯვებით. და ნურათამც სინანულით ნუ იქნების კსნა სულისა თქუენისა ან და უკუნისამდე!

ხვეულად:

მე, თ ე ი მ უ რ ა ზ , ვამტკიცებ ნებითა ლ(მ)რ(თისა)თა. ხ ვ ა რ ა შ ა ნ

**1629 წ. 4 აპრილი. წყალობის წიგნი
თეიმურაზ მეფისა ქაიხოსრო ბარათაშვილისაგან**

პ ი რ ი: სეა, 1450-11/59, გვ. 66-66-ა; XIX საუკუნეში შედგენილი რუსული მმართველობის პირების დავთარი. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1820 წლის 24 თებერვალს ნომრით №55.

თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი ტიზ (317) აპრილის 14, რაც უდრის 1629 წლის 4 აპრილს.

ჩვენ, მეფესა პატრონსა თ ე ი მ უ რ ა ზ ს , და დედოფალსა პატრონსა ხ ვ ა რ ა შ ა ნ ს , და სასურველსა ძესა ჩვენსა, პატრონს და ვ ი თ ს , სოფელი ო ძ ი ს ი მისის სამართლიანის სამზღვრითა და საქმითა, და უ რ უ ნ ბ ე ხ - ა შ ვ ი ლ ი მისის მამულითა, სამკვიდროთ და სამამულოთ და საჯილდოოდ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ა თ ვ ი ს გვიბოძებია და ნურა კაცი ნუ ეცილებით.

ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიზ, აპრილის 14.

ხელრთვები: თ ე ი მ უ რ ა ზ , ხ ო რ ე შ ა ნ

ბეჭდის ადგილი.

პირის გადაწერის თანადროული მინაწერები:

ასლიდამ თანასწორ არს ჩანერილი, სოვეტნიკი თა(ვადი) თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი.

სოვეტნიკი თა(ვადი) დ ი მ ი ტ რ ი თ ა რ ხ ა ნ ო ვ ი.

ასლი, დეკუმენტი მივიღე, თა(ვადი) ი ო ა ნ ე ბ ა რ ა თ ო ვ ი.

კომენტარი ქაიხოსრო ბარათაშვილის შესახებ იხ. საბუთთან 1450-12/110.

**[1629-1630 წწ.] ზიცის წიგნი
სვიმონ მეფისა იოთამ ამილახორისაჲში**

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd-2121; სქელი ქაღალდი; ზომა: 39,5X15,5 სმ.; ჭკირნიშანი – ხუთკბილა გვირგვინი. მხედრული; მოშავო-მოყავისფრო მელანი; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთის მარცხენა კიდის ზედა ნაწილი რამდენიმე ადგილას დაძენილია, რაშიც მოყოლილია პირველი სამი სტრიქონის დასაწყისი გრაფემები. მარჯვენა ქვედა კუთხეში მოხეულია საკმაოდ დიდი ზომის ქაღალდის ფრაგმენტი. საბუთი გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

პ ი რ ი: სეა, 1461-14/28.

თ ა რ ი დ ი: საბუთი უთარილოა. ტექსტის ბოლოს ფიცის ფორმულაში სვიმონ მეფე მოიხსენიებს ირანის შაჰ შაჰ-სეფის (1629-1642 წწ.), რაც მიანიშნებს, რომ საბუთი გაცემულია სვიმონ მეფისა და შაჰ-სეფის თანხმებულ წლებში, ანუ 1629-1630 წლების ფარგლებში.

ქ. ნებითა არსება-დაუსაბამ[ო]სა და დაუსრულ[ებელისა] |² ლ(მრ) თისა და უბინოდ მშობელისა მისისა; თავს[მდებო]შობითა, მინდობითა და შუამდგომ[ე]ლობითა ყ[ო]ვ[ა]ელთა წმიდათა ლ(მრ)თისათა, და რანიცა დიდსა და პატი[ო]სანსა სვინ[ა]ქსარსა შიგან წმიდანი ლ(მრ)თისანი სწერია[¹ნ და მოიხსენებია[²ნ].

ამა ყოველთა წმიდათა ლ(მრ)თისათა |⁷ თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომ[ე]ლობა[⁸ითა ესე მტკიცე და უკუნისამდე უცვალებელ⁹ი, ყოვლის ჩხუბისა და ილ[ა]თისაგან გამოსული და გ[ა]ნ[¹⁰მედილი საფიცარი წიგნი, პირი და ფიცი გიბოძე|¹¹თ ჩუენ, ლ(მრ)თივ-გვირგვინოსანმან მეფემან პატრო|¹²მან ს ვ ი მ ი ო ნ , თქუენ, ა მ ი ლ ა ხ ო რ ს , პატრონს ი ო |¹³თ ა მ ს .

ასრე და ამა პირსა ზედა, ვიყვნეთ თქუენი |¹⁴ უვნონი, უზიანონი, არა გავნოთ, არა გაზიანოთ, |¹⁵ არცა[ა] ჩუენგან და არცა[ა] ჩუენის სიტყვის მომს-მი¹⁶ინქეს კაცისაგან თქუენ არა გევნოს-რა, და არცა-რა გ|¹⁷ეზიანოს. თუ ვინმე[მ] თქუენი თავი შამოგვაბეზლოს, |¹⁸ გაუკითხვად არ შაგიბეზლოთ. და თუ ჩუენზედ |¹⁹ არა სტყუოთ-რა, სამ[ა]რთლიანის საქმითა, რისაც |²⁰ მქონებელნი მამულისა და საკელოსი ყოფილი²¹ყვნეთ, არც იმაზედ დაგამცროთ. და არას თქუ²²ენს მტერს თქუენზედ არ მიუდგეთ უსამართ²³ლოდ.

ამისად გასათავებლ[ა]დ, თავს[მ]დებად ლ(მერ)თი და ყო²⁴ველნი მისნი წმიდანი მოგვიცემიან, ზეც²⁵ისა და ქუეყანისანი, კორციელნი და უკორც²⁶ო-ნი. და თუ დაუნაშავებლ[ა]დ ეს საფიცარი გ²⁷აგიტეხოთ, თავად ლ(მრ)თისა და მერმე, ბედნიერის |²⁸ შ ა { ჰ } - ს ე ფ ი ს ყ [ა]ენის შამცოდენი ვიყვნეთ. და კელიცა ა²⁹სრე ჩაგირთეთ. ამისი გასატეხი გულში არა ა³⁰ღვიაროთ-რა.

ხეული ხელრთვა: ს ვ ი მ ო ნ

**1630 წ. 27 იანვარი. სვიმონ მეფის პირობის წიგნი
ქაიხოსრო ბარათაშვილისაჲში**

დ ე დ ა ნ ი: სეა, 1448-598; ნაცრისფერი ლაქებიანი ქაღალდი, ზომა: 24,4X21,5; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: თავნაკლული – მოხეულია დასაწყისი ნაწილის რამდენიმე სტრიქონი; გადარჩენილი ტექსტის პირველი სტრიქონიც ნაწილობრივ მოხეულია; ძალზე დაზიანებულია მარჯვენა კიდე ტექსტიანად. ორენოვანი – ქართულ-სპარსული. ათსტრიქონიანი, შექასტეს ხელით შესრულებული სპარსული ტექსტი მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

საბუთის თ ა რ ი დ ი: ქორნიკონი ტიშ (318) იანვრის 27, რაც გვაძლევს 1630 წლის 27 იანვარს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი: მდივან-მწიგნობარი ფირალ ყანდურალიშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა: ფუთურიძე 1955: გვ. 80-81.

...სა [...3-4 სტრიქონი]. მას ჟამსა, როდისაც მოგუიდეგით კარსა და მამულის წყალობა[სა] [დაგუე]¹ჯენით, ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგინწყალეთ და გიბ²ოძეთ დ ი დ ი მ ა ხ რ ა ლ ა ჯ ი ზემოთის სახნავითა და ნაოხრითა, მისის [ბა]⁴რითა, ველითა, ვენაკითა, სახნავითა, უხნავითა, წყლითა, წისქულითა, [საძებრითა და უძე⁵ბრითა და ყოვლის მისის სამართლიანის სამძღურითა. როგორა[დაც ა მ ი ლ ა]⁶ს ო რ ს ჰქონებოდეს მ ა ხ რ ა ლ ა ჯ ი უკლებლით თქუენტუის გუიბოძებია. |⁷ მოგცეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა [შინა

ან]⁸ე, უზეშთესთა მოგახსენებთ და უქუედესთა გიბრძანებთ: კარის ჩუენისა ვაქილ-ვაზირნო და ს ო მ ხ ი თ ი ს ტარულავ და მელიქო და სხ-⁹[უანო] |¹⁰ მოსაქმენო, თქუენცა ასრე გაუთავეთ და უბედნიერეთ, რარიგად-¹¹აც ა[მა ჩუ]¹¹ენგან ნაწყალობევს ფარვანაშიგან ენეროს. ნურავინ კელს ნუ შეუშლი¹²თ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე.

დაინერა ესე მტკიცე და უქ[ც]¹³ველი ფარვანა ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიშ, იან-¹⁴ვარსა 27, კარისა ჩუენისა მდივან-მწ¹⁴იგნობრის ყ ა ნ დ უ რ ა ლ ი შ უ ი -¹⁵ლი ს ფ ი რ ა ლ ი ს კელითა.

ვინ იცის, ა მ ი ლ ა ხ ო რ [ი] |¹⁵ მოვიდეს და იმისი მამული იმასვე

ხელრთვა: ს უ ი მ ო ნ

სპარსული ტექსტი:

[هو]

امر عالی شد آنکه در ینوقت بنابر شفقت و التفات عالی [در باره] | کبخسرو بیگ براه ایلی از ابتدای تاریخ ذیل مالوجهات و وجوهات ... | ناحیه سمخوت من اعمال گرجستان کارتیل را بتیول ابدی او مفوض فرموده ارزانی داشتیم] ... | رعایای قریه مذکورہ مشارالیه را تیولدار باستقلال خود دانسته مالوجهات و وجوهات و حقوق دیوانی خود بهر اسم و رسم که بوده باشد موافق دستور العمل گرجستان مخصوص تیولدار مذکور [دانسته] | سال بسال بلاقصور واصل و عاید ساخته چیزی قاصر و منکسر ندارند و قضایای سانحه ... | سوای قضیه [خون] بدو رفع نمایند که موفق حق حساب غوررسی نماید وظیفه ی تیولدار مذکور آنکه با رعایا | بدایع و دایع پرورکارند از روی امانت و دیانت سلوک نموده نوعی نماید که آثار شکر او ظاهر | گردد و چون بمهر عالی مزین گردد اعتماد نماید تحریرا شهر جمادی الثانی | سنه ۳۹۰ [۱]

[ის (ლმერთი)]

გამოვიდა მალალი ბრძანება, რომ ამჟამად ქ ა ი ხ ო ს რ ო ბ ე გ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი მალალი წყალობის გამო, ქვემოთ [ალიშნული] თარიღიდან, ჩვენ მას ჩავაბარეთ და სამუდამო თიულად ვუნყალობთ ქ ა რ - 5 თ ლ ი ს გურჯისტანს დამოკიდებული ს ო მ ხ ი თ ი ს სანახების [სოფელ ...ის] მალუჯათი და [სხვა] გამოსაღებები. აღნიშნული სოფლის გლეხებმა ხსენებუ- ლი [ქ ა ი ხ ო ს რ ო ბ ე გ ი] უნდა ცნონ თავის სრულუფლებიან თიულდარად და თავისი მალუჯათი, სახელმწიფო გადასახადი, რა წესითაც არ იქნება [ეს], თანახმად საქართველოს დასტურლამალისა, ხსენებული თიულდარის კუთვ- 10 ნილებად იცნონ, წლითი-წლამდე უკლებლად გადასცენ და გადაუხადონ მას და არაფერი დააკლონ და დაუზიანონ. [სასამართლოს] საქმეები, გარდა [სის- ხლის სამართლის] საქმეებისა, მას მიანდონ, რათა სამართლიანად გამოიძიოს. ხსენებული თიულდარის მოვალეობა ის არის, რომ გლეხებს სინდისიერად და პატიოსნად მოეპყრას და ისე მოიქცეს, რომ მას აქებდნენ. და როცა [ეს 15 ბრძანება] მალალი ბეჭდით შეიმკობა – დაემორჩილონ [მას]. დაინერა [1]039 წლის ჯომადი ალ-სანის (II) თვეს.

კომენტარი:

მახრადაჯი სომხითის სოფელია, რომელიც ეკუთვნოდა ამილახვრებს. 1608 წელს მეფე ლუარსაბ II-მ სოფელი განუახლა ბარძიმ და დემეტრე ამილახ- ვრებს (იხ. Hd-2009). მოცემული დროისთვის, ჩანს, ამილახვართა საგვარეუ- ლოს მეთაური იოთამი მეფე თეიმურაზ I-ის მხარეს არის გადასული, რის გამოც სიმონ II-მ მახრადაჯი მას ჩამოართვა და თავის ერთგულ ყმა – ქაიხოსრო ბარათაშვილს უბოძა (გოგოლაძე, 2016/2-2017: გვ. 90).

1630 წ. 25 მარტი. წყალობის წიგნი ზაქუმ [ზაქუმიშვილისა] ღონმაზასადმი

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Sd-740; ყავისფერი ქაღალდი, ზომა: 16X14; ხელი მხედრუ- ლი, ყავისფერი მელანი, ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთის ტექსტი თავიდან ბოლომდე გარკვევით იკითხება.

საბუთის თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი ტიშ (318), მარტის კმ (25), რაც გვა- ძღვეს 1630 წლის 25 მარტს.

გ ა მ ო ც ე მ ა: თაყაიშვილი 1909: №367, გვ. 410.

ქ. ნებითა და შენევენითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, პატ^რრონმან ზ ა ქ უ მ , ჩუენმან შევილმან თ ა მ ა ზ , ბ ე ყ ა ნ და ს ა ლ ი მ , მას ჟამსა, ოდეს მ ე ფ ე - მ ა ნ პატრონმან ს⁴უ ი მ ო ნ თქუენ, დ ო ნ მ ა ზ ა ს , ა ხ ო თ ა გიბოძა, და იმისი ს{ა}მქმო ს⁵ მიწები ჩუენ გუქონდა, რადგან იმ სოფლისა იყო, ს⁶ და თქუენცა გუთხოეთ, შეგინყალეთ და გიბოძეთ ს⁷ ბ ე შ კ ე ნ ა ს ხ ა ნ და კ ს ქუეშეთ თ { ა } მ ა ლ ა რ ა .*

გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თმან. არაოდეს არ მოგეშალო⁸ს და არცა შეგეშალოს, არა ჩუენგან და არა ჩუენთა ნათესავთა კაცთაგან, ქ(ორო- ნი)კ(ონ)სა ტიშ, მარტს კმ.

საბუთს ბოლოში უზის მრგვალი ფორმის სპარსული ბეჭედი.

verso-ზე: გვიანდელი სათაურები: 1. ქ. თაყამარის სიგელი, ბოვნელი; 2. ს ი ო ნ ი ს ა .

* თამალარა-ს ნაცვლად თაყაიშვილი კითხულობს თამალარას.

1630 წ. 22 აპრილი. წყალობის წიგნი სვიმონ მეფისა ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი

პირი: სეა, 1450-12/107.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტიზ (318) აპრილის კბ (27), რაც უდრის 1630 წლის 22 აპრილს. საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. სამსტრიქონიანი სპარსული ტექსტი შესრულებულია ნასთალიყის ხელით.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი ფირალი.

გამოცემა: ფუთურიძე, 1955: №35, გვ. 81-82.

[ქ]. ნებითა და შეწვევითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფემან პატრონმან სუიმონ, ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ, ჩუენსა ერდგულსა ყმასა ბარათაშვილს, ბატონს ქაიხოსროვს და შვილთა თქუენთა: გუგუნასა და ბარათასა.

5 მას ჟამსა, როდისაც მოგუიდეგით კარსა და მამულის წყალობას დაგუიჯენით, ვისმინეთ მოხსენება თქვენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ენაგეთს, მემშუილდის შუილისეული მამული და საკუამლო მითია, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქულითა, სახნავითა და უქნავითა, ყოვლის მისის სამართლიანის სამძღურითა; ერთი საკუამლო თქუენთუის გუიბოძებია, გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ.

ანე, მოგახსენებთ ენაგეთის მოურავო, მერმე, თქვენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ნაწყალობევს სიგელშიგან ეწეროს, ნურავინ კელს ნუ შეუშლით შეწვევისაგან კიდე.

დაიწერა ესე წიგნი ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიზ, აპრილისა კბ, კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის კელითა ფირალი [სი]თა.

ხელრთვა: სვიმონ მეფის ხელრთვის მინაბაძი.

სპარსული ტექსტი

1630 წ. 14 აპრილი – 13 მაისი.

[ჟ]

**1637 წ. წყალობის წიგნი
თეიმურაზ მეფისა იუსე ანდრონიკაშვილისადმი**

დ ე დ ა ნ ი: სეა, 1448-620; მოყვითალო ქაღალდი; ზომა 40,6X21,5. შავი
მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი ან ორწერტილი ყო-
ველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთის მარცხენა ზედა კუთხე მოხ-
ეული, რამდენიმე ადგილას ამოფლეთილი. ტექსტი იკითხება. დაკრულია

სარესტავრაციო ქაღალდზე. 1824 წელს გატარებულია რუსული მმართველო-
ბის რეგისტრაციაში.

თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი ტპმ (325), რაც გვაძლევს 1637 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი: სამეფო კარის მდივანი დავითი.

[ქ.] ნებითა და შეწევნითა ლ(მრ)თისათა, მამისა, ძისა და სულისა |² წ(მიდ)
ისათა; და შუამდგომელობითა ყ(ოვლა)დ უხრწნელისა, მარადის |³ ქალწული-
სა მ ა რ ი ა მ ი ს ი თ ა ; და შუამდგომელობითა ცხოველსმყო⁴ფელისა პატი-
ოსნისა ჯვარისათა და წ(მიდა)თა უსხეულოთა ზეცისა |⁵ ძალთა, ანგელოზთა
და მთავარანგელოზთა მ ი ქ ა ე ლ დ ა გ ა ბ რ ი ე |⁶ ლ ი ს ა თ ა ; და წ(მინდა)თა
მოციქულთათა და ყოველთა წ(მიდა)თა ლ(მრ)თისათა ზეცისა |⁷ თა და ქუეყანი-
სათა, კორციელთა და უკორცოთა.

ამა ყოველთა ზემო⁸წერილთა წ(მიდან)თათა შუამდგომლობითა, ესე უკუ-
ნისამდე ჟამთა გასა⁹შთავებელი წყალობისა წიგნი და ფიცი შეგინწყალეთ და
გიბოძეთ |¹⁰ ჩვენ, ლ[მრ]თივ-გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან, პატრონმან |¹¹
თ ა ი მ უ რ ა ზ და თანამეცხედრემან ჩვენმან, ლ(მრ)თივ-გვი¹²რგვინოსანთა
ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მეფისა ასულმან დედოფალთ-დედოფალ¹³მან პატრონმან
ხ უ ა რ ა შ ა ნ , და პირმშომან და სასურველმან |¹⁴ ძემან ჩვენმან პატრონმან
და ვ ი თ , თქუნენ, ჩვენსა ერთგ¹⁵ულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა
ჩვენსა, ე ნ დ რ ო ნ ი |¹⁶ კ ე შ ვ ი ლ ს ა ი ე ს ე ს და შვილსა შენსა პ ა ა ტ ა -
ს ა , შვილთა |¹⁷ და მომავალთა სახლისა შენისათა.

ასრე რომე, წყალობასა გვეაჯენი¹⁸თ და მოგვიდევით კარსა დარბაზისა
ჩუენისათა. ვისმინეთ აჯა და მო¹⁹ხსენება თქუენი. თუცა დიად ნამსახურნი
იყავით ჩვენი, |²⁰ და გიყავით წყალობა და გიბოძეთ კ ი ს ი კ უ რ ი თ ა თ რ ი ს
საბა²¹ლახე ამასალათ, ყოველის კაცის უცილებლად.

არა მოგ²²შალო[ს] არა ჩვენგან და არა შემდგომად ჩვენსა სხვათა |²³ მე-
პატრონეთაგან მეფეთა და დედოფალთაგან.

გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერთმან) ჩვენსა |²⁴ ერთგულობასა და სამსახ-
ურსა შიგან. ვინცა ესე ჩვენგან |²⁵ მობოძებული ესე წყალობა შეგიშალოს,
რისხავსმცა |²⁶ დაუსაბამო ლ(მერ)თი, მამა და ძე და სული წ(მინდა) და ყოვე-
ლნი წ(მიდა)ნი |²⁷ ლ(მრ)თისანი, ზეცისანი და ქვეყანისანი, კორციელნი და
უკორცონი.

დაინერა |²⁸ მტკიცე წიგნი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტპმ, კელითა
კარისა ჩვენისა |²⁹ მდივნისა დ ა ვ ი თ ი ს ა თ ა .

ხელრთვა: თ ე ი მ უ რ ა ზ , ხ ვ ა რ ა შ ა ნ , დ ა ვ ი თ

კომენტარი:

ენდრონიკაშვილები – კახეთის თავადური საგვარეულო. ტრადიციულად
ეპყრათ ქიზიყის მოურავის თანამდებობა. მოცემული საბუთით თეიმურაზი
იესე ანდრონიკაშვილს უბოძებს საგადასახადლო იმუნიტეტს საბაღაზე
(საძოვრის) გადასახდზე.

1637 წ. წყალობის წიგნი
თეიმურაზ მეფისა არსლან ჯანდიერის შვილისადმი

დედანი: სეა, 1448-5592; მოყვითალო-მონაცრისფრო ქაღალდი; 2 ფურცელი, ზომა: I – 39,8X23,8; II – 26,7X24,3. მელანი შავი, წმინდანთა და სამეფო ოჯახის წევრთა სახელები – წითელი მელნი; ხელი მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: დალაქავებული, I-II სტრიქონების დასაწყისი და შუა ნაწილი მოხეული, მარჯვენა ზედა კიდე გაცრეცილი. გადანაკეცი ადგილები დამსკდარი, რის გამოც ალაგ-ალაგ რამდენიმე გრაფემა დაკარგულია. დაზიანებული ადგილები გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. მეორე ფურცელს გადაკრული აქვს ყვითელი გამჭვირვალე ქაღალდი.

თარიღი: ქორონიკონი ტპმ (325), რაც გვაძლევს 1637 წელს.

გამოცემა: თაყაიშვილი, 1910: №204 გვ. 188-189.

[ქ. ს]ახელითა არსება დაუბადებელისა, დაუსაბამოსა და] დაუსრულებელისა ღ[მრ]თისა მამ[წ]ისა, და თანაარსისა და თანასწორისა დ[ა] თანადაუსაბამოსა ღ[მრ]თისა ძისათა, და ცხოველ[ს]მყოფელისა და ყოველთა წ[მ]იდ[ა]-მყოფელისა, სახიერისა ღ[მრ]თისა სულისა წ[მ]იდ[ა]ისათა, რომელთა-ღ[მ]იგი არცა ერთი რა აქუს ურთიერთარს განყოფილება თვითებასა შინა გვამთასა, თუნიე[წ]რ[ი] მიზეზისა, და მიზეზ[ი]საგანთა უშობელსა ეტყუოდა შობილსა და გამომავალსა.

მეოხებ[ით]ა, შინეწვნითა და შუამდგომელობითა ყ[ოვლ]ად ზეშთა კურთხეულისა, დიდოფლისა[ა] ღ[მ]რ[თ]ისა ღ[მ]რ[თ]ისმშობელისათა და მარადის ქალ[წ]ულ[ის]ა მარ[ი]ა[ს] მისათა; შენ[ე]წვნითა და შუ[ა]მ[დ]გომელობითა პატიოსნისა და ცხოველს მყოფელისა ჯვარისათა, რომელსა ზედა განი[შ]ყრნა უხრწნელნი მკლავნი მისნი ჩუენისა კსნისათვის; მეოხებითა და შეწევნითა ღ[მ]რ[თ]ისათა ნაშობთა დედათასა უზეშთა[ე]ისისა, წინარსწარმეტყუელისა, წინამორბედისა იო[ან]ე ნათლისმცემელისათა და წმიდისა მოციქულისა და მახარებელისა იოვანე ღ[მ]რ[თ]ისმეტყუელისა, ძმისა უფლისათა და სხვათა ყოველთავე ყ[ოვლ]ად ქებულთა, დიდთა ქადაგთა ღ[მ]რ[თ]ისათა სოფლისა მომნადირებელთა წ[მ]იდათა მოციქულთათა: პეტრე სასუფევ[ე]ლისა ცათასა კლ[ა]დისა მპყრობელისა და პავლე სამცამდე აღწევნულისა, და სხვათა ნეშტუთა მოციქულ[ის]ათა.

ოხითა, შეწევნითა და შუამდგომე[ლო]ბითა ერთბამად ყოველთა წ[მ]იდათა ღ[მ]რ[თ]ისათა წი[ლ]ნასწარმეტყუელთა: წმიდათა მღვდელთმოდუართა მონამეთა და ნეტართა მამათა, მამადმთა[ვ]ართა და ყოველთა ღირსთა და მართალთათა; ოხითა და წყალობითა და ყოველთა ჩუენთა ნათე[ლ]სავთა სიქადულისა, სვეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოსა ღ[მ]რ[თ]ისმყოფელისათა ღ[მ]რ[თ]ისათა წ[მ]იდათა ღ[მ]რ[თ]ისათა, ზეცისა და ქვეყანისათა, ჩუენ, ღ[მ]რ[თ]ისმყოფელისათა მამათა მეფეთ-მეფე[თ]მან პატრონმან თეიმურაზ, და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ დედოფალ[ის]მან პატრონმან

ხვარაშან, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩუენმან პატრონმან ღ[მ]რ[თ]ისათა, ამა წმიდათ თავდებობით, მიდგომითა და შუამდგომელთა ესე ჟამთა უკუნ[ს]ისამდე გასათავებელი სიგელი გიბოძეთ თქუენ, მამის პაპადის ერთგულად ნამსახ[უ]რედ ამონყუეტილსა, ერთგულად ნამსახურთა და თავდადებულთა ჯარდიერის შვილთა ღ[მ]რ[თ]ისათა [ოხია]ყორჩსა არსნალსა, გივსა და როსიტას.

ასრე და ამა პირსა რომე, შა[ჰ] - აბაზ ყეენმა მამათქუენს და ღ[მ]რ[თ]ის კახეთი მიაბარა, და იესეს სახლისუხუცესობა მამის თქუენისათვის მიეცა, და ჩუენ[ს] იმერთს ვიყუენით აგარიანთაგან ლტოლვილნი. და ვითარ შეგვანდა ერთგულად ბატონ-ყმონ[ს]ასა, იმგვარად გვესაქმა და ჩამოგვიყვანა, გაგვაბატონა და ერთს დღეს ქართლი და კახეთი ღ[მ]რ[თ]ისათა და ვეცხლის ღ[მ]რ[თ]ისათა, ანგარიში არა იქნებოდა. და ამ სამსახურის სანუქვოდ და სახლისუხუცესის სანაცლოდ ღ[მ]რ[თ]ისათა უკან არც-არა თქუენ[ს] სტყუ[ი]თ ჩუენ ზედა, ბევრის სამსახურისა დ[ა] ღარიბობის მეტი, ჩუენთან.

ანე, რაგვარა[ა]დაც იმას მივეცი, იმგვარად თქუენთვის გვიბოძებია ღ[მ]რ[თ]ისათა უკან არც-არა მისისა წყლითა, წიქვილითა, საკნავითა, უკნავითა, ველითა, ვანაკითა, ტყითა, შესავ[ს]ლითა, გასავლითა, მთითა, ბარითა, ყოვლის მისის სამართლიანითა მზლუ[ს]რითა. და ყოვლის კაცისაგან კელშეუალად თქვენთვის გვიბოძებია. არა მოგეშალოს არა ღ[მ]რ[თ]ისათა და არცა სხვათა მეპატრონეთაგან.

ამის გათავებისა თავდებად ღ[მ]რ[თ]ისათა და ყოველ[ს] მისნი წმიდანი მომიცემია. [გ]ქონდეს, გიბედნიეროს ღ[მ]რ[თ]ისათა ჩუენსა ერთგულად სამ[ს]ახურსა ქვეშე.

დაინერა წიგნი და სიგელი ესე ქ[ორონი]კ[ონ]სა ტპმ. და თუ მამათქუენს ჩვე[ლ]ნგან ეს მამული ქონებოდეს, არ მოგიშალოთ.

ხელრთვები: თეიმურაზ, ხვარაშან, დავით

მეორე გვერდზე: ამ ქართულს უკან მოკითხული ვქენით, მამათქუენსაც ჰქონებოდა და ჩუენ[ს] უეჭ[ვ]ოდ და უთუმც[ა]ოდ გიბოძეთ და დაგიმკუიდრეთ თქუენთან საცილო[ს]ბელ არც ჩუენ და არცა-ვის სხუას კაცს არა აქუს-რა. გქონდეს და გიბედნიეროს ღ[მ]რ[თ]ისათა ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შიგან.

კომენტარი:

ჯანდიერის შვილები -კახეთის წარჩინებულ თავადთა საგვარეულო, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელს, არსლანს, თეიმურაზის კარზე ეკავა ოხიაყორჩის თანამდებობა. საბუთში მოხსენიებულია არსლან ჯანდიერის შვილის მამა, დავითი, თამაზ ანდრონიკაშვილთან ერთად 1614-1615 წლებში მოთავე და ორგანიზატორი იყო კახეთის ანტიირანული აჯანყებისა. აჯანყების დაწყების დროდ შერჩეული იყო ოსმალების ჩაბმა ომში ირანის წინააღმდეგ. აჯანყებულთა პირველი წარმატების შემდეგ აჯანყებულებმა იმერეთიდან გამოიწვიეს თეიმურაზი, რომელსაც დავით

ჯანდიერი აჯანყებულთა რაზმებით არაგვის პირას შეეგება. გულმოცემულმა კახელებმა კახეთის ციხეები თითქმის სულ გაათავისუფლეს ყიზილბაშთაგან, მაგრამ ოსმალთა არმიის უმოქმედობამ შაჰ აბასს ხელფეხი გაუსხნა და 1616 წელს განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა კახელებს. დავით ჯანდიერის სახელი წყაროებში კვლავ ჩნდება 1625 წელს მარაბდის ბრძოლაში დაღუპილ ქართველთა შორის. ცნობები დავით ჯანდიერის შესახებ შემონახულია აქვთ არაქელ დავრიყეცის, ისქანდერ მუნშის, ფარსადან გორგიჯანიძის, არჩილს.

**1637 წ. 9 ივნისი. შუამთხვევის წიგნი
თეიმურაზ მეფისა ხახულის ღმრთისმშობლისადმი**

პირი: სეა, 1449-2651.

საბუთის თარიღი: ქორნიკონი ტპმ, ივნისის ცხრა (9), რაც უდრის 1637 წლის 9 ივნისს.

ქ. ტომობით ასულო ა დ ა მ ი ს ა ო და მადლით დედაო ღ(მრ)თისაო, რომელი კსნისათვის ჩუენისა აღიძრა წყალობით მაღალი იგი. და სათნო-ყოფითა მამისათა და წინამძღრობითა სულისა წმიდისათა, მაღალი იგი, ძე ღ(მრ)თისა, ძედ შენდა იქმნა და ღმრთაქებით უქცეველმან შეიმოსა ბუნება ა დ ა მ ი ს ი და დაქსნა მწუხარება ე ვ ა ს ი და ნაშობთა მისთა. ჭეშმარიტო სალხინებულო კაცთა ბუნებისაო, ნ ო ვ ე ს ზ ე წყლითა რღუნისაებრ ცოდვათა ჩუენთა წარმღუნელო, უფლისა საყუარელისა ა ბ რ { ა } ჰ ა მ ი ს კარავო და ღ(მრ)თისა დამტევენელო, დ ა ვ ი თ , პირველისა მამისა შენისა დაუჭკნობელო ვარდო, ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ქებაო ქებათაო, რომელსა გარე მოგადგენ სამეოცნი ძლიერნი, ი ა კ ო ბ ი ს კიბეო, ცად მიმართ აღწვენულო, მ ო ს ე ს მიერ ხილულო მაყუალო, ცეცხლშეუხებელო, ხეო შუენიერო, ი ე ს ე ს ძირთაგან აღმოცენებულო, ი ს ა ი ა ს მიერ ღრუბლად სულ მცირედ სახელდებულო, ა მ ბ ა კ ო მ ი ს ა გ ა ნ მთად ღ(მრ)თისად ჩრდილოვანად მოსწავებულო, ყოველთა წინასწარმეტყველთა ჭეშმარიტო მოსწავებაო, მოციქულთა მიერ მრავალსახედ ქადაგებულო, მოწამეთა სიხარულო და მღდელთმოდღუართა სიქადულო, პატიოსანო ძღუენო კაცთა ნათესავისაო, სახელდიდო და ქალწულ-დედობით ახალო, მზესა ქუეშე ყოვლისავე სჯულისა ქებათასა აღმატებულო, შენ, პატიოსანო ყოვლად წმიდა ხ ა ხ უ ლ ი ს ა ღ(მრ)თისმშობელო! მესმა ვითარმედ, შეინირნა ძემან შენმან მწვლილნი იგი ქურთისანი, და მეცა არა კუებულ ვიქმენ სასოებისაგან, არამედ მე, მსასოებელთა თქუენმან და ძისა თქუენისამან, და მინდობილთა ცვა-ფარვათა {თ}ქუენთამან, ჩუენ, ღ(მრ)თივ-გურგუნოსანმან, მეფეთ-მეფემან პატრონმან თ ა ი მ უ რ ა ზ , და თანამეცხედრემან ჩუენმან, დიდთა ქართველთა მეფეთა ასულმან, დედოფალთა-დედოფალმან, პატრონმან ხ ო რ ა შ ა ნ , და პირმშომან ძემან ჩუენმან,

სასურველმან და ვ ი თ , ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ და შემოგწირეთ დიდებულსა ტაძარსა თქუენსა, ხ ა ხ უ ლ ი ს ა ღ(მრ)თისმშობელსა, სასოსა და მეოხსა სულისა ჩუენისასა და მეფობის ჩუენის წარმმართველსა და ცოდვათა ჩუენთა შემნდობელსა.

და შემოგწირეთ, რაც შ უ ა მ თ ა ს ვაჭარი დასახლდეს, მისი ბაჟი, საცა ჩუენს საბატონოს შიგ ივაჭრონ, ჩუენს საბატონოს შიგ ბ ა ზ ა რ ს ა ივაჭრონ თუ გ რ ე მ ს , ანუ სხუას ჩუენს ალაგსა არასადა ჩუენთა მოსაქმეთა და ხოჯათა და მებაჟეთა არა საბატონო, არა სათავისო სათხოვარი არა სთხოვონ-რა. ასრე განგუთავისუფლებია და მათი ბაჟი ხ ა ხ უ ლ ი ს ა ღ(მრ)თისმშობლისათვის შეგწირავს, საცა ივაჭრონ და მივიდნენ, და მათი ბაჟი სამართლიანით საქმით ხატს მართუმიდნენ მეფობისა ჩუენისა წარსამართებულად და ცოდვათა ჩუენთა შესანდობელად.

არა მოეშალოს არა ჩუენგან, არა შემდგომად ჩუენსა სხუათა მეფეთა და დედოფალთაგან. ესე ასრე შემოგწირავს და დაგვმტკიცებია.

ანე, ვინცა და რამანცა კაცმან მოგიშალოს და ანუ გამოაყუას ტაძარსა თქუენსა ჩუენგან სასოებით მოძღუანებულო, ესე შენ, ყოვლად პატიოსანო, ყოვლად წმიდაო ხ ა ხ უ ლ ი ს ა ღმრთისმშობელო, მისგან იძიე შური ჯუარისმცემელთა ძისა შენისათა, შე-მცა-ედების ძრწოლა კ ა ი ნ ი ს ი , შიშთუილი ი უ და ს ი , კეთრი გ ე ზ ი ს ი , დანთქმა და თ ა ნ და ა ბ ი რ ო ნ ი ს ი . და ნურათამცა სინანულითა ნუ იქმნების კსნა სულისა მისისა. და ვინ დაამტკიცოს, ღმერთმან ყოველი გაგებულო მისი დაამტკიცოს.

დაინერა მტკიცე და უცვალებელი სიგელი და ბრძანება ესე ქ(ორონი) კ(ონ)სა ტპმ, თუესა ივნისსა ცხრასა, ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისა.

ხელრთვები:

კელმნიფე თ ე ი მ უ რ ა ზ ვამტკიცებ ნებითა ღ(მრ)თისათა.

ხ გ ა რ ა შ ა ნ , დ ა ვ ი თ

1773 წლის დამტკიცება:

ქ. ჩვენ, ორთავე ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს , ქ ა რ თ ლ ი ს ა და კ ა ხ ე თ ი ს ა მეფე ი რ ა კ ლ ი მეორე ვამტკიცებთ სიგელსა ამას. აპრილის ბ, ქ(ორონი) კ(ონ)ს

(ბეჭედი ერეკლე მეფისა).

კომენტარი:

საბუთის თანახმად, შუამთის მონასტრის სასარგებლოდ თეიმურაზი ათავისუფლებს შუამთის მონასტრის ყმა-ვაჭრებს საბაჟო გადასახადისაგან. საბუთზე დართული გვიანდელი დამტკიცება აჩვენებს, რომ ამგვარი შედავათით სარგებლობდა შუამთა ერეკლე II-ის დროსაც.

[1637-1648 წწ.] ბრძანება თეიმურაზ მეფისა ხოჯა ქამალასაღმი

დ ე დ ა ნ ი : სეა, 1448-3259; ყავისფერი ქაღალდი; ზომა 20,4X16,4; მხედრული; შავი მელანი; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთი გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თ ა რ ი დ ი : საბუთი უთარიღოა. საბუთის ქვედა ზღვრად აღებულია 1637 წელი, როდესაც ამავე შინაარსის საბუთი თეიმურაზმა უბოძა ხახულის ღვთისმშობელს. ბოლო ზღვრად მიჩნეულია კახეთში თეიმურაზის მეფობის უკანასკნელი – 1648 წელი.

ქ. გ(ი)ბ(რძანე)ბთ ხოჯავ ქამალავ და ვინცა-ვინ დღეის ქ უკან ბაზრის ხოჯად დაჯდებოდეთ!

მერმე, ¹ დიდი ხანი არის, რომე შუამთელის ხახულისა ² ლ(მრ)თისმშობლის ყმის ბაჟი ხახულისა ლ(მრ)თის³მშობლისათვის შეგვინირავს და წიგნი დაგვიდებ⁴ია. სხვას არც ხოჯასა ა[რც] სხვას კაც⁵ს კელი არა აქუს მოძღვარ[თ]-მოძღვრის მე⁶ტსა. სადაც უნდა, ბაზარსა და თუ სხუაგან, იქ ია⁷რონ და ივაჭრონ, ნუ დაუშლით და ნურც ⁸ სხვაგუარად კელს დაიდებთ. და ნურც ჩუენ⁹თან მოჩივარს მოიყუანთ, თვარამ მწ¹⁰ვავ ვედ ¹¹ გაგინყრებით, იცოდეთ. არასფერისთანა არც სახ¹²ოჯაო სალამათი და არც სამუშრიბო და სახასო ¹³ არა ეთხოების-რა.

ხელრთვა: თ ე ი მ უ რ ა ზ

კომენტარი:
საბუთი ასახავს თეიმურაზის ზრუნვას შუამთის მონასტრის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რის გამოც ბაზრის ხოჯას უბრძანებს არ გამოართვას შუამთის მონასტრის ყმებს საბაჟო გადასახადი.

[1633-1648]. ბრძანება თეიმურაზ მეფისა ხოჯა ამირხანასა და ბრძანების ხოჯებისაღმი

დ ე დ ა ნ ი : სეა, 1448-3258; ყავისფერი ქაღალდი; ზომა 23X16,3; მხედრული; შავი მელანი; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთი გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თ ა რ ი დ ი : საბუთი უთარიღოა. თარიღდება მიახლოებით, თეიმურაზის კახეთში ხელმეორედ გამეფების (1633-1648) წლებით.

ქ. გიბ(რძანე)ბთ ხოჯავ ამირ უ მ ა ვ ! და ან ვინც ქ დღეის უკან გ რ ე მ ი ს ხოჯა იქნებოდეთ!

¹მერმე, განა არ იცით, რომე შუამთურის ² ხახულისა მლ(რ)თისმშობლის ყმის ბაჟი ხახ³ულისა მლ(რ)თისმშობლისათვის შეგვინირავს. და თუ არ მოძღვართ-მოძღვარს, ს⁴ხვას კაცს კელი არა აქუს, შუამთას მს⁵აქლო⁶ბელს სომეხს გრემს ვაჭრობა როდის და⁷სჭირია, რომ ახლად თქუენ დასჯილდოების⁸ართ და გრემისა და თემში ვაჭრობას უშლ⁹ით. ბაჟი რომ ხახულისა მლ(რ)თისმშობლისათვი¹⁰ს რომ იყოს შენირული, ნეტამც ბევრი ¹¹ რამ ერგოს, ჩუენად სასულიაროდ და სადღეგრ¹²ძელოდ შეგვინირავს. თქუენ კელს ნუ დაი¹³დებთ და არცა გაქუსთ, სადაც უნდოდესთ, ¹⁴ გრემსა თუ სხვაგან, იქ ივაჭრონ, თქუენ ¹⁵ ნუ უშლით. აგრემც შვილი ნუ მამი¹⁶კვქ დ¹⁷ების, თულა ჩუენთან მოჩივარი მოვლ¹⁸ენ, რაც ავია, იმას გიზამთ, იცოდეთ, არაფერ¹⁹ისთანა არც სახოჯაო და სალამათი, და არც ²⁰ სამუშრიბო და არც სახასო არა ეთხოებისთ²¹-რა.

ხელრთვა: თ ე ი მ უ რ ა ზ

კომენტარი:
ჩვენს ხელთაა თეიმურაზის კიდევ ორი საბუთი, რომლებითაც იგი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის ყმა-ვაჭრებს ათავისუფლებს საბაჟო გადასახადებისაგან (იხ. აქვე, სეა 1449-2651, 1448-3259). მოცემული საბუთი აჩვენებს, რომ თეიმურაზის ბრძანებას გრემის ხოჯები არღვევდნენ, ამიტომ თეიმურაზი ხელახლა უბრძანებს მათ დაიცვან შუამთის მონასტრისათვის მის მიერ ბოძებული იმუნიტეტური უფლება.

1639 წ. 29 იანვარი. შიფირულების წიბნი თეიმურაზ მეფისა ბრძანების ღმრთისმშობლის ეპლქსიისაღმი

პ ი რ ი : სეა, 1449-1779; თავნაკლული, ძლიერ დაზიანებული. საბუთის თარიღი: ქორთიკონი ტპზ (327) იანვრის 30 (29), რაც უდრის 1639 წლის 29 იანვარს. საბუთის დამწერი: ამბა-ალავერდელი ზებედე.

..[პო]ი მე, ყ(ოვლა)დ უღირსი [...] ათუის ნუ უკვე და პატი [...] დებ ვიპოო მსგავსად [ანგელ]ოზი ... ცეცხლისა მიერ განილი ... თუის კიდობანსა სილალით, რომელ იგი ... ლ და მომასწავებელ იყო, ხოლო ... თ მას უხრწნელსა, მ(არა)დის კურთხეულსა, დი¹დებულსა ლ(მრ)თისმშობელსა, ვითარ შეუახო ქებად ბაგენი, არა ვითარ ე ს ა ი ა ს ი მოსპობილ ბინთაგან, ა(რამე)დ სავსე ყ(ოვ)ლითა ბრალითა და შეფარილებულ მნიკულითა ენ[ითა], მარადის მზა

სიტყუა-მჭევრ-უქმისა და ბილნ-მეტყუელებითა, და არა გამზადებულ დღე ყოელ დიდების-მეტყუელებად წ(მიდ)ა თვალნი მოხველ არმურითა მარცხენ-ით კერძო გულარძნილად და მხედველობითა გუგანი, არა სანთელ გუამისა, ა(რამე)დ სიბნელითა მობრყუნებულ გულ და სულ, და დამძიმებულ შუებითა და ზრუნვითა.

ამის სოფლისათა სიტყუისაებრ სახარებისა შემრღვეულ და დაყროებულ შეწყნარებითა ბოროტთა გულისტქმათათა, კელნი შებღალულ არაერთგზის მსგავსად პირველისა მამისა, ა(რამე)დ მიმღებ(ბ)ად განმარტებულ მოღებად ნაყოფ(ი)სა სასიკუდინესა ცოდუისასა, ფერკნი არა მიმოქმსველ გზათა ცხოვრებისათა, არამედ დამაშვრალ შეძინებად განხრწნილთა ამათ და ქუე მეთრევთა ნივთთა სანუთოსათა, თავი არა განკუთვნილ ქ რ ი ს ტ ე ს დ ა , თავისა მის ყოველთასა, არცა შემკულ და გუირგუინოსან ქუათა მიერ სამარგდოთა ფერად-ფერადად, სათნოებათა მიერ განშვენებულ, არამედ ქუე დადრეკილ სირცხუილთა ცოდვისათა, და ვერშემძლებელ აღხილვად ცად მიმართ; გვამი მიმსგავსებულ საფლავთა განგოზილთა, რომელი ჩანან გარე-შე შევნიერ სამოსლითა ღბილ ძონეულევან, ხოლო შინაგან სავსე ყოვლითა არანმიდებითა; და საუნჯე ქმნილ ყოვლისა სიბოროტისა; ცხოვრება საძაგელ და ჟამნი მოძაგებულ, გარნა რათა არა სრულიად დაბნელებულ ვიქმნე სასო-ნარკუეთილებითა მსგავსად განმცემელისა ყოველთა ცხოვრებისათა, და მი-ვინიო შიშთვი(ი)ლებად, არამედ ნუგეშინისვიცე კმისა მსმენელმან წ(მიდ)ისა [...], ვითარმედ: “ყოელივე მიეტეოს ძეთა კაცთასა ცოდვანი და გომბანი, და კუალად არა უკმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა, სიტყუაცა იგი სამეოცდაათ შუიდგზის მიტევებად ცოდვათა ამათ”.

ესევეითართა მიერ მცირედ განმქმ(მ)ობილმან მავახსენო თხემისა მის მო-ციქულთასა ტირილითა მწარითა პოვნა შენდობისა საშინელისა მის უარი-სყოფისა, ნიჭნიცა და პატივთა უაღრესობა განმართლებაცა მეზვერისა უფ-როს ფარისეულისა სულტქმითა უსიტყუელითა, უძღებისაცა მოქცეულისა ქება და სიხარული მამისაგან სახიერისა, და კუალად მეძავისაცა ცრემლთა მიერ განზნანა შეცოდებათა თუისთა და ფერკთა შეხება მეუფისა ქრისტესი-თა, ავაზაკისა მცირითა სიტყუითა აღსარებისათა სამოთხისა, მკუიდრ-ყოფა და ვით ოდესმე თქუა-რა: “მინყალე მე ღ(მერ)თო” და შემდგომი ამისი. და მრჩობლთა შეცოდებათა შენდობა პოვა ე ზ ე კ ი ე ლ ც ა , ოდესმე კერპთა თაყუანისმცემელ იქმნა, გარნა სიკუდილისა ჟამსა მიწურვილმან მცირედ რა იტირნა, მონყალე-ყო ღ(მერ)თი და წელთა შეძინება მიიღო. ამათ ესევეითარ-თა გულისკმისყოფელი განვიფ(ფ)რთხობ განმგდებელი სასონარკუეთილებისა დახსნილებასა და ვინყებ პევშ(ვ)ითა ზღუისა აღმოკრებასა ქებად და შესხმად ყ(ოვლა)დ წ(მიდ)ისა ყოელთა დედოფლისა. არათუ ახალი რამე მივილო სასმე-ნელთა მიერ, არამედ წერილთა მიერ შევკრიბო მსგავსად ფუტკრისა, ვითარ-ცა იგინი მოიღებენ ყოელთაგან ყუავილთა და დაატკობენ ნამუშავესა თუისსა, ეგრეთვე მეცა შეუთხზნა ქებისა გუირგუინი, მსგავსად უძღურებისა ჩემისა ვიტყუადე ესრეთ: „გიხ(აროდენ) საყდარო მეუფისაო, უზეშთაესო ცათა

4 გულ და სულ გულდაბილ ნსხ. 23 უკმოს ნსხ. 24 განმკნობილმან ნსხ. 35 გან-კირეთხობ ნსხ.

მათ ზენათაო, ცაო მეორედ შემზადებულო, ნივთთა ამათგან არათუ ვარ-სკულავად მზისა და მთვარისა მომსხმელობითა განბრწყინვებულო, არამედ კამკამებითა მაღლთა მიერ სულისა წ(მიდ)ისათა ბრწყინვალედ შემკობილო, გიხაროდენ ნათლის ღრუბელო, რომლისაგან აღმობრწყინდა მზე სიმათლი-სა განმატვობელი ცოდვისა მიერ განყინულისა ბუნებისა ჩუენისა, რომელ-მან დაცემულნი აღგვადგინნა და ნაყოფისა გამომღებელ გვ(ე)ყუნა ღ(მრ) თისმსახურებისა მიერ.

გიხაროდენ ქერობინთა და სერაფიმთა, უმახლობელისისა თავსა მას საწადელთასა მახლობელო ქეროვიმო, გიხაროდენ ყოელთა საკუირველებათა უსაკუირველებითა განმა[...]ბრებელო ყოველთა აღნაგთაო; გიხაროდენ ყოვლად პატიოსნისა წ(მიდ)ათა საიდუმლოთა საკვირველებათა საღთო საუნ-ჯეო; გიხაროდენ მწარედ ცთომილებისა ჩვენისა განმართლებაო; გიხაროდენ მამადმთავართა მორჩიო, უკუდავების გამომღებელო; გიხაროდენ წი(ნას)წ(არ) მეტუელთა მოსწავებისა განცხადებულო სრულყოფაო; გიხაროდენ მოციქულ-თა სიქადულო, მღდელთომოდვართა პატიოსანო [...] სამოსელო და საბლარდ-ნელო უვნებელობისაო; გიხაროდენ ღვანლისა მძლეთა მონამეთა ახოვნები-სა გუირგუინო; გიხაროდენ მამათა მოღვანეთა სიქადულო და განსვენებისა მიზეზო; გიხ(აროდენ) ქალწულთა პატიოსნობით სინ(მიდ)ით და უმანკოებით ქცევისა გამომსახუელო; გი(ხ(აროდენ) დედათა დიდებისა სამკაულო; გი(ი) ხ(აროდენ) კეთილად მსახურთა მეფეთა არძან[ა]გთა წარმმართველო და პორფირითა მიერ გოდოლო და ზღუდეო სამართლისაო განკუთვნილო; გი(ი) ხ(აროდენ) ჯოჯოხეთისა წარმომტყუენეუელისა, ხოლო სამოთხისა ბჭეთა განმხმელისა დედაო, რომელ შურითა ეშმაკისათა ხესა რა შეეხო, პირველი მამა დაკლებულნი შენ მიერ კუალად ვეგენით შენგან შობილის ძელსა ზედა განკუართუითა; გი(ი)ხ(აროდენ) წყლისა ცხოელის მშობელო; გიხაროდენ დაბ-ნელებულთა განმანათლებელო, სნეულთა მკურნალო, ტყუეთა თავისუფალ-მყოფელო ძისა შენისა პატიოსნითა სისხლით მოსყიდულთა წ(მიდ)ათა ეკ[ლ] სიათა შეურყეუელო გოდოლო, და მას შინა მდგომარისა ერისა სავედრებელ-თა მსწრაფლო შეწვენაო; გიხაროდენ ქრისტეიანეთა ტკბილო შუამდგომელო; გიხაროდენ ზენათა და ქუენათა შამაერთებელო, ანგელოზთა და კაცთა ზოგა-დო დედოფალო, სახელდიდო მ ა რ ი ა მ !

მე, საწყალობელმან და ყ(ოვლა)დ უღირსმან მსასოებელმან თქუენმან და მინდობილმან ფარვისა თქუენისამან, მონამან თქუენმან, არათუ მეფობი-სა, არამედ მეარვეობადცა ვერ ჯერ-მჩინებელმან ძემან კეთილად მსახურ-თა, თუთიმპყრობელმან მეფემან თ ა ი მ უ რ ა ზ , ყოელთა უწარჩევსმან და მდაბალმან, ვინყე ძალით საკადრებელთა ამათ შესხმათა, შენ, თვით უსხ-ეულოთა ძალთაგანცა ვერ-მკადრეობით საქებელსა, და დავდევ ფასი საცავ-სა მწვლილ მსგავსად ქვრივისა, არა ხოლო ნამეტავისაგან ჩემისა, ა(რამე)დ ყოელი საცხორებელი, რომელიც გაქუნდა ცნობა და სიტყუა, და უკეთუ სხვასა უს[ას]რულეებ[ა]სა შემძლებელ ვიყავ, დაკლებულმცა ვიპოო სიმდიდ-რისაგან მონყალებისა ძისა შენისასა, არამედ შემნდობელ მექმენ უნდოებ-ისათვის სიტყუათა ჩემთასა და მაქებელ შესწირთვისა, მსგავსად შენგან შობილისა, არათუ შენ მოქენე რასამე ხარ შესხმისა და ქებისა, ა(რამე)დ, რათა თანა ვპყუებოდე მემრგვლეთა და ხარო-განმანყობელთა, მადიდებელთა

შენთასა, და არდაკლებულმან ნებისყოფელმან ძისა შენისამან ვპოო წვეთი მონყალებისა უფსკრულთაგან სახიერებათა შენთათა რგებად სულისა. ესე აქამომდე იყავნ, ანე, ვინყოცა მოხსენებად მიზეზსა კნინისა ამის ზღვის მრთმელობისასა.

- 5 მას ჟამსა, ოდეს ერისთავმან არაგვისამან ზაალ დაძმათა მისთა მომაქციეს იმერეთით, ლტოლვილ[ი] სპარსთაგან, ლიქნითა, ფიცითა საშინელითა განს[ხ]მად უსჯულოსა მეფისა და თანაშემწეთა მისთა ქუეყანისაგან ქართლისა, და ექსორიობისაგან კ(უალა)დ პურობად სამეფოსავე ჩემქისა, არათუ სიტყუასა მათსა ვერჩდი, რამეთუ ჩვეულ ვიყავ გულარძნასა მათსა, არამედ ვინათგან შენ, უბინო[ო] დედა ლ(მრ)თისა თავსმდე-გყო, დავემორჩილე და მეაჯ და ნამსახურთა თვისთათვის თემთა არა მცირეთა თიანეთსა და არაგვის პირთა და მივანიჭენ იგინი დამტკიცებისათვის წმიდათა ლ(მრ)თისა ეკლესიათასა და განსხმად ულ(მრ)თოთა სამეფოსაგან ჩემისა.
- 10 ხოლო მათ ფიცით დამიმტკიცეს სასოებასა და სიქადულსა ჩემსა პატიოსანსა და ყ(ოვლა)დ ბრწყინვალესა ხატსა შენსა, რომელსა ერალითა გიტუირთავს მპურობელი ყ(ოვე)ლთა ლ(მერ)თი, ვითარცა ჩჩვილი, მეოხი ჩემ ცოდვილისა გრემს, კარისა და ყ(ოვ)ლ(ა)დ ლ(მრ)თისმშობელსა ზედა სამგზის. ესრეთ, ვ(ითარმე)დ, არღარაოდეს განდგეს და არღარა ერჩდეს უსჯულოთა ორგულებად ჩემდა, ხოლო არა მრავალჟამ დამიჭირა ფიცი და თავსმდეობა შენ, შუამდგომელისა ცხოვრებისა ჩვენისა, ა(რამე)დ უარ და უგულებელყოფუცვა და აღთქმა იგი საშინელი, წარუიდა და მონა ექმნა ეშმაკსა და მსახურსა მისსა მთავარსა, ხოსროვსარკინოზსა, მეფედ დადგინებულსა არა ჭეშმარიტებისაგან, ა(რამე)დ სპარსთა მეფისაგან ტფილის{ს,}
- 25 სიტყუისაებრ სამეუფოსა.

ძალლი მიექცა ნათხეუარსა თუისსა და ღორი ნანწუბესა, ხოლო შ(ენა)დ ან შ(ლა)დ მცირედისა არაყოფნა (?) მსჯავრმან სალ(მრ)თომან, და ემხილა სიცრუე თვისი და სცა სულმან ბოროტმან, და მიხდა სიკუდილად, შეშინდა ფიცისა მისთვის და შემოგწირა კვამლი კაცი ერთი, თიანეთს გუგუტაშვილი მამუკა და განერა, ჟამსა მას სიკუდილისაგან, რამეთუ სახიერმან ძემან შენმან დააცადა, რომელსა არავისი ნებავეს ძუირთა შინა დანთქმა, ა(რამე)დ ყოველთა უწოდოს სინანულად. და ოდეს განმრთელდა, დაივიწყა, ვითარცა პირველ ფიცი, ან, შეწირულობაცა და ანანი და საფირასებრ გამოსწირა. ვითარმედ, ვსვი ტბილი ღვინო და მით დავსნეულდი, ხოლო ოდეს მივილე მისგან თიანეთი, ერთი იგი მისგან გამონირული და მეორე არაგვის პირსა, კვალად განვაახლე და მივაბარე წინამძღვარსა პატიოსანსა და წ(მიდ)ისა ტაზრისა თქუენისასა, ყოვლის საჩვენოს საქმისაგან განთავისუფლებით მტკიცედ და უკუნისამდე შეუცვალებელად.

- 35 ხოლო ოდეს მივილე მისგან თიანეთი, ერთი იგი მისგან გამონირული და მეორე არაგვის პირსა, კვალად განვაახლე და მივაბარე წინამძღვარსა პატიოსანსა და წ(მიდ)ისა ტაზრისა თქუენისასა, ყოვლის საჩვენოს საქმისაგან განთავისუფლებით მტკიცედ და უკუნისამდე შეუცვალებელად.
- 40 ხოლო შენ, ყ(ოვლა)დ დიდებულო ცაო, შვიდთავე ცათა უმაღლესო, მქსნელო და მფარველო ჩემ ცოდვილისაო კარისა ლ(მრ)თისმშობელო, რომელი მაქვ[ს] წ(ინაშ)ე თვალთა ჩემთა და წამსაცა ერთაცა არა მნებავეს განშორებად ლ(მერ)თ-ყოფელსა პატიოსანსა მაგალითისა თქუენისა. შენ უწყი, თუ ვითარი სურვილი და გულსმოდგინება აქუს გულსა ჩემსა, წადიერება სულსა ჩემსა და მარადის ხსენება საშინელისა სახელისა შენისა, გარნა შენ, წ(მიდ)

ათა უწმიდესო, ნუ მიხედავს უნდოებასა ენაბრგვნილად შესხმისა, ნუცა სიმცირესა შემონირულობისასა, ა(რამე)დ გულსმოდგინებით მოხსენება, კმაყავ შეწირვად მსგავსად შენგან შობილისა და გვიოხენ ჩუენ, მონათა შენთა – მეფესა თაიმურაზს და თანამეცხდრესა ჩუენსა, ქართველთა მეფისა ასულსა, დედოფალსა ხვარაშანს, და ძესა ჩუენსა დავითს, აქასა ამას ყვ(ა)ვილებრ ქც(ე)ვადსა სოფელს გვ(ი)ცევდ, გვფარვ(ე)დ და გვიხს(ე)ნი ორკერძოთა მტერთაგან. ხოლო მაშინ, ოდეს საკრველი და ერთობა სულისა და კორცთა განიყოფოდეს, სახიერ გვექმენ და მონყალე-ყავ ჩვენ ზედა ძე და ლ(მერ)თი შენი და გვიხსნენ ბოროტთა მათ სულთა ჰაერის მცველთაგან.

ანე, ვინცა და რამანცა ადამის მონათესავემან კელ-ყოს მოშლად ჩუენგან სასოებით მოხსენებულისა ამის და საერისკაცოდ ინებოს და გამოაკუას, შენ, დედოფალო ყოელთა დაბადებულთაო, შორს-ყავ ნანილისაგან ჩუენ, ქრისტიანეთასა! იყავნ ნანილი და სავანე მათ ჯუარისმცმელთა ძისა შენისათაგან. იხილოს სისხლი მისი და შვილთა მისთა, ხოლო დამამტკიცებელთა ამისთა ესმეს კმა სამეუფო მარჯვენითისა, ამინ! ხოლო ვქმენ ნუსხად მცირე ესე შესხმისა ქარტა კელითა ჩემითა და აღმოთქუა გულმან ჩემმა შესხმა დედოფლისა ჩუენისა ლ(მრ)თისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისი და თვით კელითა ჩემითა უნდოთა მოგართვი კელისამპურობელო ჩემო, ხოლო უმჯობესისათუის წარმკითხველსა გარდავანერინე ამბა-ალავერდელ მთავარებისკოპოზსა წ(მიდ)ასა ზებედეც, სამეუფოსა საყდარსა შინა ალავერ{დ}ს, საძვალესა ჩუენსა.

ხოლო ქ(ორონი)კ(ონ)სა ტპზ, იანვარსა კთ, ესრეთ იყავნ და იყოს ვიდრე გებადმდე ჟამთა, ამინ, ამინ, ამინ.

ხელრთვები ხვეულად:

მეფე თეიმურაზ ვამტკიცებ ნებითა ლ(მრთი)სათა“
ხვარაშან

კომენტარები:

1. ხოსროვ სარკინოზი - ასე მოიხსენიებს თეიმურაზი როსტომ მეფეს.
2. საბუთში თეიმურაზი აუგად მოიხსენიებს ზაალ არაგვის ერისთავს, როგორც არასაიმედო მოკავშირეს. მართლაც ზაალი, ისევე, როგორც სხვა ქართლის დიდებულები თავადები, ხშირად მერყეობდა თეიმურაზსა და როსტომს შორის (ქც, II, გვ. 421-424). ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდზე მინიშნებს საბუთში თეიმურაზი, როდესაც ლაპარაკობს ზაალის სინანულზე, რა დროსაც მას გრემის ღვთისმშობლისათვის თიანეთს ყმები შეუწირავს. ამ შეწირულების განახლებას ეძღვნება თეიმურაზის საბუთი.

**1639 წ. შვირთქალის წიგნი
თეიმურაზ მეფისა ღვთისმეტყველის მონასტრისაჲში**

დედანი: სეა, 1448-1037, ღია ყაფისფერი ქაღალდი, ზომა: 31,4X25,3 სმ. რესტავრაციამდე, 34,5X27,2 სმ. რესტავრაციის შემდეგ. შავი ფერის მელანი, მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: თავნაკლული, კიდეები დაზიანებული, მარჯვენა კიდე შემოცვეთილი, შევსებული მოყვითალო ფერის სარესტავრაციო ქაღალდით, საჭიროებს ხელახალ გამაგრებას.

თარიღი: ქორონიკონი ტპზ (327), რაც უდრის 1639 წელს.

[...] [ათორ]მეტო უ და ბ ნ თ ა და წმი[დათა]... [ქ...] და სისხლის მსმე-
ლი და მტერი ქრისტიანეთა შ ა ჰ ა ბ ა ზ და სპანი აგარიანთა, კ ა ხ ე თ -
ს ა ზ ე და და [...] [ა]³ლაოკრნეს მონა[ს]ტერნი უ და ბ ნ ო ნ ი , სოფელნი და
ქალაქნი და წარსტყუენ[ნ]ეს, რომელნიმე ტყუედ⁴ ყუეს და რომელნიმე მახ-
ვილითა აღასრულეს. და განსრულდა წამება მრავალთა და შეეძინ[ნ]ეს[...]]⁵
ქ რ ი ს ტ ე ს ა და გუნ[ვ]ართნა ღ(მერ)თ(მა)ნ ცოდვათა [გან ჩუენთა] [მათთა]
ებრ, ვი[თა]რ[ცა] რა ინვართეს ურჩი შვილნი მ⁶ამათგან, და არა სრულიად
განურისხდის. ხოლო ჩუენ, ლტოლვილი გარდავედით ლ ი ხ თ - ი მ ე |⁷რ ს და
დავყავით წელნი ოცდაექუს, ხოლო მრავალ მოწყალე[ქ]მან ღ(მერ)თ(მა)ნ არა
უგულებელს⁸გუეყო და არცა სრულიად განგუნირნა მოწყალებითა მისითა,
და შემწეობითა თქუენ[ი]თა კუალ⁹ლად გვაგნა მეფობასა და პატრ[ო]ნობა-
სავე ჩუენსა ზედა.

და კუალად კელვყავთ აღშენებად¹⁰ უ და ბ ნ ო თ ა თქუენთა, გან-
ვაგეთ და დავაყენეთ წინამძღურად კაცი ღირსი და ღ(მრ)თის მო¹¹შიში
მ ა რ კ ო ზ . ასრე რომე, წ ი ნ ა - უ კ ა ნ ა ს ა გ ა რ ე ჯ ო ს გამოსაღე-
ბი ნახევარი უ და ბ ნ ო ს მიიღებ¹²ოდეს საზრდელად იქ მდგომთა მონა-
ზონთათუის, ვითარცა კელმწიფეთ სიგელში სწერია და გა¹³წინილი არის,
იმგუარად. და ჩუენ, განსრულებით ვერ დავანებეთ ვერცა ყმა და ვერცა¹⁴
საზ[რ]დო პური ამისთუის, რომე ჩუენი საკელმწიფო აოკრებული იყო უს-
ჯულოთაგან, ვითარ ზემ¹⁵ორე ვთქუთ და იქ მდგომნი მონაზონიცა ცოტანი
იყუნეს. და რა ეკმარება სრულობით,¹⁶ რომელიცა იმათ არა ეკმარებოდათ,
ჩუენ ვხარჯევდით.

ანე, იპრიანოს ღ(მერ)თ(მა)ნ და ძალმწეო¹⁷ბამან თქუენმა, როდესცა
აშენდეს ჩუენი საკელმწიფო და მანდ მდგომნი მონაზონნი განმრავლდენ, ¹⁸
როგორაცა ამას წინნათ კელმწიფეთ პაპათა და მამათა სიგლითა გაურვიგები-
ათ, ჩუენცა ა¹⁹სრე სრულობით გაგითაოთ და დაგანებოთ და არა მოგიშალოთ.

ანე, ვინცა კელმწიფ²⁰ემან და მეპატრონემან ესე ჩუენგან დადებული
წიგნი და წიშანი ნახოთ და კელ²¹მწიფის პაპისა და მამის ჩუენის დადებულს
სიგელს მიემთხუივნეთ, როგორაცა²² [იმას] დაედვას და გაერიგოს, თქუენცა
იმგვარად გაარიგეთ და ნუ მოუშლით.

ჩუენ, რ[ომ]²³ე თემის ოკრობისათუის და იქაცა ცოტანნი მონაზონნი

იყუნეს და იმისთუის გუ[ე]²⁴ხარჯოს, თქუენ ნუ იკადრებთ და ნუცა კელყოფთ
მოშლად. ესე ბრძანება²⁵ და წიგნი წიშნად დაგუიდებია.

დაინერა სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტპზ. ²⁶

ხელრთვები ხვეულად: მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ , ხ ვ ა რ ა შ ა ნ , დ ა ვ ი თ

მინანერი:

ეს სიგელი ძველი არის, პ ი რ ი ქ ი თ და პ ი რ ა ქ ა თ ს ა გ ა რ ე ჯ ო ს ი
გამოსაღები, რაც შეწირული ყოფილ[ა]... ²⁷ [ა]ცხოვნე ღმერთო, იმან დაწერა
ამ წიგნებ(ი)ს სახელები საცოდვილო.

კომენტარი:

შაჰ აბასის შემოსევების შემდეგ თეიმურაზის ეს საბუთი პირველია,
რომელიც აჩვენებს სამეფო ხელისუფლების მცდელობას აღდგენილიყო
სამონასტრო ცხოვრება დავითგარეჯის მონასტრებში.

**1639 წ. წყალობის წიგნი თეიმურაზ მეფისა
ჭიაურთ მოურავ შანშე ჩოლოყაშვილისაჲში**

პ ი რ ი: სეა, 1450-32/304. გვ. 158-158-ა; XIX საუკუნეში შედგენილი პირების
დავთარი. საბუთი წარდგენილია სარეგისტრაციოდ რუსულ მმართველობაში
1817 წლის 12 აპრილს, გატარებულია – 1820 წლის 20 ნოემბერს.

თარიღი: ქორონიკონი ტპზ (327), რაც უდრის 1639 წელს.

[ქ.] ნებითა და შეწევითა ღ(მრ)თისათა, წყალობის წიგნი და წიშანი
შეგინყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, მეფემან, კელმწიფემან პატრონმან
თ ე ი მ უ რ ა ზ , და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალმან პატრონმან ხ ო -
რ ა შ ა ნ , და ძემან ჩვენმან, პატრონმან დ ა ვ ი თ , შენ, ქ ი ა უ რ თ მოურავს 5
შ ა ნ შ ე ს და შენთა შვილთა: პ ა პ უ ა ს , რ ო შ ა ქ ს , ა ნ დ ე რ მ ა ნ ს და
მომავალთა სახლისა თქვენისა – ყოველთავე, როდეს მოხუდით კარსა დარ-
ბაზისა ჩვენისათა და შ ი ღ დ ა ს ერთს ბეთალმანის მამულის წყალობას
გვეაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგინყალეთ და გიბოძეთ შ ი ღ დ ა ს 10
მ ა ზ ა ნ ა რომ ესახლა, ის მამული, რისაც მქონებელი ყოფილიყო. უკლე-
ბლად და კელშეულად თქვენთვის გვიბოძებია, {გ}ქონდესთ და გიბედნიერ-
ოსთ ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენს ერდგულად სამსახურსა შიგან.

დაინერა წიგნი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტპზ.

ხელრთვები: თ ე ი მ უ რ ა ზ , ხ ვ ა რ ე შ ა ნ

პირის გადაწერის თანადროული მინაწერები:
ასლთან თანასწორ არს, სოვეტნიკი თა(ვადი) რ ა ტ ი ე ვ ი.
სოვეტნიკი თა(ვადი) რ ა ტ ი ე ვ ი.
ასლი სიგელი მივიღე, თა(ვადი) ო მ ა ნ ჩ ო ლ ა ყ ო ვ ი, რადგან ამან წერა
არ იცოდა, ამისის თხოვნით ვანერ ხელს, თა(ვადი) მ ი ხ ე ი ლ ჩ ო ლ ა ყ ო ვ ი.

კომენტარი:
ჭიაურთ მოურავობა იყო ჩოლაყაშვილების ტრადიციული თანამდებობა.
იხ. აგრეთვე Hd-2197

**1639 წ. ახლო. ბანჩინება თეიმურაზ მეფისა
თამაზ სააკაძესა და საბინაშვილს შორის სამაგულე ღაგაზე**

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd-1564-ბ; ეტრატე; ზომა: 28.8X14.1 სმ.; ყავისფერი მელ-
ანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყო-
ველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: დალაქავებული, მოხეულია საბუთის მარ-
ჯვენა ქვედა კიდე, მელანი გადასულია და ძნელად იკითხება.
თ ა რ ი დ ი: საბუთს უზის მცდარი თარიღი: ქორონიკონი სპა (281), რაც
გვაძლევს 1593 წელს. თაყაიშვილი მას ათარიღებს თეიმურაზის მეფობის
წლების შეჯამებით კახეთსა და ქართლში – 1606-1632 წწ. ამავე დათარი-
ღებას იზიარებს ი. დოლიძე. წინამდებარე გამოცემაში საბუთი დათარი-
ღებულია 1639 წლის ახლო ხანებით შემდეგი გარემოების გამო: საბუთში
მოსხენიებულია იმერთა მეფე ალექსანდრე III (1639-1660), თეიმურაზის სიძე.
მაშასადამე, საბუთი დაიწერებოდა 1639 წლის შემდგომ წლებში.
გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი: თაყაიშვილი 1899: №309. გვ. 376; დოლიძე, 1972: გვ. 65.

ქ. ჩვენ მეფეთ-მეფე პატრონი თ ე ი მ უ რ ა ზ , მიწვედით მონასტერს გ უ -
დ ა რ ე კ ი ს ა ს ა , ჩვენსა სალოქცავსა შიგან, მრავალი ჭირნახულობა და
განაქცეუბი ვიხილეთ მათ შინა ძველთა მეფეთა და მეწაპატრონეთაგან, დიად
მრავალი შეწირულობა¹ და ნახარჯი იყო. ბძანდებოდა ჩვენთან ბატონი მეფე
|⁷ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე , გვახლდენ თან მრავალნი თავადნი |⁸ იმერელნი, ქართვე-
ელნი და კახნი. დავსხედით |⁹ სამართალს ქუეშე: ს ა [ა] კ ა ძ ე ს თ ა მ ა ზ და
ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ |¹⁰ ე ბ ი ჩიოდენ ხოფისის სოფელზედა. გავსინჯ|¹¹ეთ ჩვენცა
მათი საჩივარი. ს ა გ ი ნ ა ს შ ვ ი ლ ე ბ ს |¹² ხოფიზედ კელი არა ქონდა: აბე-
ლის მონა|¹³ჭერი ბოლო იყო, ვითაც რომე ამოვარდნი|¹⁴ლის უ ნ დ ი ლ ა ძ ი ს
წილი ყოფილიყო, მათ |¹⁵ უ ნ დ ი ლ ა ძ ე ს ცოტა ოდენი თეთრი დაე|¹⁶ხარჯა
წმინდის სამეხისა.
ახლა ჩვენ ასე |¹⁷ გავარიგეთ: არც ს ა გ ი ნ ა ს შ ვ ი ლ ს ეკელყო და |¹⁸
არც ს ა [ა] კ ა ძ ე ს თ ა მ ა ზ ს , ამოვარდნილის კაცის |¹⁹ წილი იყო, და სამ
საკომლოთ გავსინჯეთ, ერთი |²⁰ ლ ა ლ ა ძ ე , ერთი მესხი ვ ა რ ძ ი ე ლ ა , ერთი

ი ო ს ე ფ ა ს |²¹ შ ვ ი ლ ი – სამივე კომლი კაცი გუდარეკის |²² მლთისმშობლი-
სათვინ [შეგვიწირავს. |²³ და ვინც წინამძღვარი გუდარეკს მლ²⁴თისმშობელს
მუშ[აო]ბდეს და მსახურე²⁵ბდეს, მისი კელდებული იყოს და მონას²⁶ტერს
ამსახუროს წმინდის სამეხისა.

ეს დაგ²⁷ვიც, რომ რაც დიდმარხვაში სანვაკი ზეთი მო²⁸უნდეს და სან-
თელ-საკმელი, წინამძღვარ²⁹მა დახარჯოს და ჩვენთვინ ალაპს გარდი³⁰კ-
დიდეს კვირაცხოვლობის სამშაბათსა: |³¹ მივიდეს წინამძღვარი ცხრა ხუცითა
და მთავა³²რ-დიაკვნითა, მოიყვანოს ერთი ძროხა, ორ³³ი ცხვარი, ერთი სა-
პალნე ღვინო, ოთხი კო³⁴დის ნამცხვარი პური. ჩვენად სა[სულიე]როდ |³⁵ და
სამლოცველოდ დახარჯოს. აგრევე მლ³⁶თისმშობლობას გუდარეკ[ი]ს მონას-
ტერში, აგრევე |³⁷ გიორგობასა ჩვენთვინ ალაპს გა³⁸რდიხდიდეს, ჩვ[ენ]დ[ა]
სამლოცველოდ. სხვას კაცს |³⁹ კელი არა ქონდეს.

ანე ყოველთავე გიბძანებ, |⁴⁰ ვინცა-ვინ ჩვენი სიტყვის მორჩილი ბძანდებო-
⁴¹დეთ, თქვენც აგრე დაამტკიცეთ მონასტრის |⁴² სამსახური, რომ ლოცვა ყონ
ჩვენთვის. ვინცა |⁴³ ესე საქმე მოშალოს, ანუ მეფემ, ანუ დიდმა, ანუ მცირე⁴⁴მა,
ანუ წინამძღვარმა, მასამც რისხავს სამება და |⁴⁵ ერთარსება, ჩვენის ცოდვისა
პასუხი მან მისც⁴⁶ეს. ქ[ო]რ[ონი]კ[ონ]ს[ა] სპა (?) თვეს ოკდ[ომ]ბერსა ბ.

ხელრთვა: თ ე ი მ უ რ ა ზ

კომენტარი:
უნდილაძის შესახებ იხ. საბუთთან: Hd-1564 ა

**1639 წ. ახლო. სააკაძე შეწირულების წიგნი
თეიმურაზ მეფისა ბუღარხის მონასტრისადმი**

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd-1554-ბ, ეტრატე, პალიმფსესტი; სამი კეფი; ზომა:
81,2X29,0; მხედრული; შავი მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ერთწერტილი,
ორწერტილი, სამწერტილი ან ოთხწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. პალ-
იმფსესტი; ძველი ფენა ასომთავრული ტექსტია, ჯერ ამოუკითხავი. საბუთი
დაზიანებულია, ჩამოჭრილია ეტრატის პირველი კეფის მარცხენა კიდე; და-
ლაქავებული; აქვს სამი დიდი ნახვრეტი; ჩამოქმედილია კიდეები; წერილი
ნახვრეტები მეორე და მესამე კეფზე. საბუთი მიწერილია ლუარსაბ მეფის
მიერ ამავე მონასტრისადმი შეწირულების საბუთის verso-ზე.
თ ა რ ი დ ი: საბუთი უთარიღოა. თაყაიშვილი მას ათარიღებს ძალზე ფარ-
თოდ, თეიმურაზის მეფობის 1612-1648 წლებით (ათვლილია მისი მეორე ქორ-
წინებიდან). წინამდებარე გამოცემაში საბუთი დათარიღებულია 1639 წლის
ახლო ხანებით მასში მოხსენიებული ალექსანდრე მეფის გამო, რომელიც
არის იგივე იმერთა მეფე ალექსანდრე III (1639-1660), თეიმურაზის სიძე.
გ ა მ ო ც ე მ ა: თაყაიშვილი, 1899: № 308; გვ. 373.

ქ. სახელითა სახიერისა, არსება <და> დაუსაბამოსა დაუსრულებელისა, ღმრთისა მამისა, [ძისა] |² და სულისა წმიდისა თანა. არსისა და თანასწორისა და თანადაუსაბამოსა.

ჩვენ, მეფეთ-მეფემან, იესიან-და³ვიტიან-სოლომონიან-პანკრატიონ-პატრონმან თ ე ი მ [უ] რ [ა] ზ , ვიგულებთ, ვიგულისკმეთ.

მეოხებითა ყოვლა⁴დ წმიდისა ღმრთისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისათა, მინდობითა და შუამდგომლობითა წმი⁵დათა ზეცისა ძალ<ა>თა, სერაბინ-ქერაბინთა დასთა და ყოველთა ზეცისა ძალთა, მიქიელ და გაბრიელისათა, და ⁶ყოველთა მათ[თ]ანა ზეცისა ძალთა და ცხრათა დასთა წმიდათა; და შუამდგომლობითა ცხოველსმყოფელი⁷სა ჯვარისათა და წმიდისა წინასწარმეტყუელისა ი [ოვ] ან ე ს ი თ ა , ი [ოვ] ან ე ქალწულ-მახარებელისათა და წ⁸მიდათა წინასწარმეტყუელთა და ვით, მოსე, ჰარონ, ელია, ელისე, მიქია, ამბაკუმ, იერემია, ს [ო] ფ [რ] ონ, მალ⁹აქია, ეზეკი [ე] ლ და სხვათა მათთანა წინასწარმეტყუელის[ათა].

მინდობითა და შუამდგომლობითა მამათა მამა¹⁰თმთავართა: საბატონი, ეფთვიმე, ონოფრე, ჯერასიმე, პავლე, პახუმი, მაკარი, ხარიტონ, თევოდოსე, ¹¹ილარიონ და წმიდისა ღმერთშემოსილისა სფირიდონ საკვირველთმოქმედისა და წმი¹²დათა მღვდელთმოდვართა: ბასილი, ნიკოლოზ, და სხვათა მათთანა მღვდელთ<ა>მოდვართა.

და შუამ¹³დგომლობითა წმიდათა მონამეთა: გიორგი, დიმიტრი, პროკოპი, არტემი, ეპიფანე და ზაქარიასითა; სხვა¹⁴თა მათთა წმიდათა მონამეთა ქალ[წ]ულთა: ირინე, მარინე, თეკლა, ეკატერინე, ევგენია ... ¹⁵ფებრონია და პარასითა სხვათა მათთან[ა] წმიდათა ქალწულ-მონამეთა და წმიდათა მკურნა¹⁶ლთა, კოზმან და დამიანესითა; წმიდათა ოთხთა თავთა მახარობელთა: მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანე.

მინდობითა და შ¹⁷უამდგომლობითა წმიდისა ქართველთა განმანათლებლისა ნინოსითა, წმიდათა სამეოცთა ს ე ვ ა ტ ი { ი } ს ა წა¹⁸მებულთა და შვიდთა ძმათა მ ა კ ა ბ ე ლ თ ა , მოციქულთა და წინასწარმეტყველთა მამათა და მამათ¹⁹მთავართა, და ქალწულთა, და ყოველთა წმიდათა ღმრთისათა.

ამათის ძალითა და შეწევნითა მო²⁰ვედით მონასტერსა მას წმიდასა ღმრთისმშობელსა გ უ და რ ე კ ი ს ა ს ა , მხსნელსა და მეოხსა სულისა ჩვენისასა.

ვნახ²¹ეთ და გავსინჯეთ მონასტერი ესე, ვითაც ძველთა მეფეთაგან მრავალი შეწირულობა განკეთებულ იყო. და ვყავით ²²ჩვენცა ჟამი კნინი, ვიგულისკმეთ და შემოგწირეთ სანთელ-საკლმის და ზეთის ფასი – თუმანი თეთრი. ყო²³ველსა ღმრთისმშობლობასა მონასტერში დაიხარჯვოდეს ჩვენის სალაროდალმე. და, ამას გარდაისათ, შემოგწი²⁴რეთ ამოვარდნილის უნდილადის არსენისა და აბელის წილი, აბელის ნასოფლის ბოლო საკვამ²⁵ლო, ხოფის წყარო რომ დის, რასაც რომე წყარო ჩაიტანს; დაბლა კევამდის, რასაც კევი ძველ ა ლ გ ე თ ა ²⁶მ დ ის , აქეთ ცოვრეთ ის კევამდი, მისის სამართლიანის სამზღურით. რაც მათ შუა

მინა-წყალი არის, სამი ²⁷საკვამლო მისის მოსახლით: ერთი მ ე ს ხ ი ვ ა რ - ძ ი ე ლ ა , ერთი ჩ ა ლ ლ ა ლ ა ძ ე და თ უ ნ ა ი , ერთი ო ს ე ფ ა ს შ ვ ი ლ ი ²⁸ს უ თ ი ა მისის შესავალით და გასავალით, მისის სამართლიანის სამზღურით. ყოვლისა კაცისა უცილებ²⁹ელი და მოუდევარი.

ამოვარდნილის კაცის წილი იყო, ჩვენს მეტს კაცსა კელი არა ჰქონდა. მოვილ³⁰ვით წყალობა მონასტერის ამას ზედა და მყოფთა ამათ შინა, ვითაცა რომე, ჩვენად სამლოცველოდ და სას³¹ულიეროდ მოსახსენებლად და სული-სა ჩვენისა საოხად. წადგეს წინამძღუარი თავისის კრებული³²თ მონასტერ-სა შინა ერთს ღმრთისმშობლობასა ერთ ძროხასა, ორის ცხვარისა, ერთს საპალნესა ღვინ³³ოსა ოთხის კოდის პურის ნამცხვარსა, თევზითა და ყოვლის მისის ხარჯითა: სანთლითა, და საკლმი³⁴თა, ერთსა კიდევე გიორგობას გიორგობისთვის ათს, კიდევე აგრევე, სამებობის სწორს, კუირაცხოვლობის ³⁵მიორეს დღეს, ამას მოიტანდეს და ალაპს იქმოდეს ცხრას ხუცითა და დიაკუნითა. წინამძღუარი მიევი³⁶დეს და ალაპი გარდიკადოს სულისა ჩვენისა საოხად და თანამეცხედრისა ჩვენისა დედოფალთ დედოფლ³⁷ისა პატრონის ხორა შ ა ნ ი ს ა თ ე ს , პირმშოსა და სასურველისა შვილისა ჩვენის სამლოცველოდ.

ჩვენ, ³⁸მეფეთ-მეფემან პატრონმან თ ა ი მ უ რ ა ზ , მცირე ესე შესაწირავი შემოგწირეთ გ უ და რ ა კ ი ს ა ღმრთისმშობელსა. ³⁹ბძანდებოდა ჩვენთანა ღმრთივ-გვირგვინოსანი პატრონი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მეფეთ-მეფე.

შეწირე ჩვენი ⁴⁰ესე მცირე ესე შესაწირავი, ვითარცა აბელის ძღუენი, ნოეს მსხვერპლი, აბრამ[ის] ⁴¹ნაყოფიერებანი, მოსესა და ჰარონის მღვდლობანი, სამოელის დასამშობელნი, ვითარცა შეწირენ წმიდათა ⁴²შენთა მოციქულთაგან ჭემმარიტი ესე მსახურება. ეგრეთვე კორცთაგან ჩვენ ცოდვილთა ⁴³მი[თ]ვალენ მსხუერპლნი ესე სიტკბოებით შენითა, უფალო, ღირს რათა ქმნულთა წმიდი⁴⁴სა საკურთხეველისა შენისათა უბრალოდ მსახურობისათა ჰპოვოთ. სასყიდელი სარწმუნოთა ⁴⁵გონიერითა განმგეთა დღეთა შინა საშინელისა სამართლითა მიმგებელობისა შენისა.

სითარხნითა ⁴⁶და ყოვლისა მისის საქმითა არაფერი საკელმწიფო გამოსალეზი არა გეთხოვბოდეს: არა ⁴⁷კოდის პური, არა საბალახე, არა ბზე და ნახშირი, ერთი საურის მეტი, კელმწიფის ლაშ⁴⁸ქარ-ნადირობის მეტი. ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან, ანუ მეფემან მეფობითა, ანუ დედო⁴⁹ფალმან დედოფლობით, ანუ თავადმან, ანუ სჯულიერმან, ანუ უსჯულომან, ანუ სარკინ⁵⁰ოზმან, შლად კელყოს მცირე ესე ჩვენი შესაწირავი, მას მეორეთ მოსლვას პასუხის გამც⁵¹ემი ის იყოს. ვინცა მონასტერსა ამას გამ[ო]აკუას, და ანუ ჩვენმან ნათესავმან და მოშალოს ⁵²სულისა ჩვენისა მოსახსენებელი, მასამც რისხავს ღმერთი და ყოველნი მისნი წ⁵³მიდანი ზეცისანი და ქვეყნისანი, უკორცონი და კორციელნი. მას ზედამცა ედების კეთრი გეზისა, შიშ⁵⁴თვილება იუდასი, მეხდატეხილობა დიოსკორესი, დანთქმა დათან [და] აბირონის. ⁵⁵დაინერა გუჯარი ესე კ [ა] ც ხ ის წინამძღურის ს ვ ი მ ო ნ ის კელითა, ქორონიკონსა სოჭ, თვესა ⁵⁶ოკდობერსა.

ხელრთვა: თ ე ი მ უ რ ა ზ

მინანერი: ესე წიგნი ხელმწიფეების შესანიშნავია.

კომენტარი:

საბუთი შინაარსობლივად ახლოა ლუარსაბ მეფის მიერ ამავე მონასტრისათვის ბოძებულ სააღაპე შეწირულების წიგნთან (იხ. აქვე, Hd-1554 ა). როგორც ჩანს, გუდარეხის მონასტერი ამ დროს კვლავ ინარჩუნებდა სამეფო მონასტრის სტატუსს და ქართლის სამეფო ოჯახის წევრები (ამ შემთხვევაში, თეიმურაზი, როგორც ქართლის სამეფო ოჯახის სიძე), მისთვის შეწირულების განახლებას თავის მოვალეობად თვლის. რახან შეწირულება კერძო ხასიათისაა (სააღაპე შეწირულება), მისი ბოძება მონასტრისათვის თეიმურაზს შეეძლო მაშინაც, როდესაც იგი აღარ იყო ქართლის მეფე.

**1640 წ. წყალობის წიგნი
თეიმურაზ მეფისა დემეტრე ანდრონიკაშვილისადმი**

დედანი: სეა, 1448-2387, მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 29,2X15,2 სმ. შავი ფერის მეღანი, მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: მარჯვენა ზედა კიდე გაცრეცილია. დაზიანებული ადგილები შეესებულება თავისივე ფერის ქაღალდით.

თარიღი: ქორონიკონი ტპჰ (328), რაც გვაძლევს 1640 წელს.

საბუთის დამწერი: კარის მწიგნობარი მამულა სულთანაშვილი.

ქ. ნებითა და შეწვევითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, ლ(მრ)თივ-გუირგუინოსანმა[ნ]² მეფემან, კელმწიფემან პატრონმან თეიმურაზ, და თანამეცხედრე[მ]ან ჩუენმან, დედოფალმან პატრონმან ხვარაშან, პირმ-შომ[ა]ნ და სასურველმან ძემან ჩუენმან, პატრონმან დავით, ესე უკუნის-ამდე ჟამთა გასათავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი⁶ შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა და თავ[ა]დადებით ნამსახურსა ყმასა, ენ-დრონიკეშვილს ბოქოულთუ⁸ხუცეს დემეტრეს, ძმასა თქვენსა ჯანოს, ზურაბს, ადამს⁹ და ზაალს და მამავალთა სახლისა თქვენისა, ყოველთავე;

ასრე¹⁰ და ამა პირსა ზედა, რომე მას ჟამსა, ოდეს მოგუიდექით კარ¹¹სა და მამულის წყალობას დაგუეაჯენით, ჩუენ ვისმინეთ¹² აჯა და მოხსენე-ბა თქვენი, შეგინწყალეთ და გიბოძეთ ფალეკის¹³შვილების: რა-გას და ზურაბისეული მამული, თქვენის გა¹⁴ნაყოფის მამუკას და მისის ძმებისეული მამული, და მა¹⁵შულაშვილის გოდერ-ძის მამული. ესეები მათითა სახ¹⁶ლ-კარითა, ჭურ-მარნითა, გლეხებითა, ეკლესიითა, სასა¹⁷ფლაოთა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქულითა, ველი-თა,¹⁸ ვენაკითა, საკნავ-სათესითა, სანადიროთა, სასაძოვრითა,¹⁹ და მათის

მართლის სამართლიანის მზღურითა და საქმ²⁰ით, შენით და ოკრით – ყოვ-ლითურთ, მკუიდრად და სა²¹მამულეთ და ყოვლის კაცისაგან კელშეუალად თქვენთ²²ვის გუიბოძებია.

მოგცეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მან) ჩუენსა²³ ერდგულად სამსახურში. ესე ჩუენგან წყალობა, არა²⁴ ჩუენგან და არა შემდგომად ჩუენთა მომავალთა-გან არ²⁵ მოგეშალოს.

ანე, გიბ(რძანე)ბთ კარისა ჩუენისა ვაქილ-ვა²⁶ზირნო და სხუანო მოსაქმენო, მერმე, რარიგადაც ამა²⁷ ჩუენსა ნაწყალობევსა ფარვანაშია ენ-ეროს, თქუე²⁸ნცა ასრე გაუთავეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლი²⁹თ თუნიერ თანადგომისა და შეწვევისაგან კიდე.

დაი³⁰წერა ნიშანი და ბ(რძანე)ბა ესე ჩუენი, ქ(ორონი)კ(ონ)სა ტპჰ, კელი³¹თა კარისა ჩუენისა მწერლის სულთანაშვილის³² მამულასითა.

ხელრთვები ხვეულად: თეიმურაზ, ხვარაშან

კომენტარი:

ენდრონიკეს შვილ/ანდრონიკაშვილ დემეტრეს თეიმურაზის კარზე ეჭირა ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობა, ბოქაულთუხუცესობა, რომელიც ნაწილობრივ ფარავს პოლიციური ფუნქციების უმაღლესი რანგის მოხელეს. შესაძლოა, ეს იგივე დემეტრე ანდრონიკაშვილია, რომელსაც შემდგომში როსტომ მეფე კახეთში ყმა-მამულის წყალობას აძლევს და ქართლში გადმოსახლებას სთხოვს (კლდიაშვილი (შემდ.), 1993: გვ.151).

1641 წ. 5 მაისი. წყალობის წიგნი
თეიმურაზ მეფისა შვიდგან ნათანაელისაჲთ

პირი: სეა, 1449-1238.

თარიღი: ქორნიკონი ტპთ, მაისის 5 (5), რაც უდრის 1641 წლის 5 მაისს.

ქ. სახელითა არსება-დაუსაბამოსა მლ(რ)თისა, მამისა, ძისა და სული-
სა წმინდისა, მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა ყოვლად
წმინდისა, უხრწნელისა დედოფლისა ჩვენისა, მარადის ქალწულისა მარი-
ამისითა; მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა წმინდათა
5 ზეცისა ძალთა, ანგელოზთა და მთავარანგელოზთა, მიქაილ და გაბრი-
ელისითა; მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა წმინდათა
მოციქულთა თავთა – პეტრესითა და პავლესითა; მინდობითა,
თავდებობითა და შუამდგომელობითა და ყოველთა წმინდათა მღვთისათა ზე-
ცისათა, ქვეყანისათა, კორციელთა და უკორცოთა.

10 მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა, ესე უკუნისამდე ჟამთა
გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი წიგნი და სიგელი შეგინყა;ლეთ და
გიბოძეთ ჩუენ, მღვთივ-გვირგვინოსანმან, კელმწიფემან, მეფემან პატრონმან
თეიმურაზ, და თანამეცხედრემან ჩუენმან, მღვთივ-გვირგვინოსანთა ქა-
რთველთა კელმწიფეთა ასულმან, დედოფალმან პატრონმან ხვარაშ-
15 ან, და პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან, პატრონმან დავით,
შენ, ჩუენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა მდივანს ნათანაელს
და შვილსა შენსა, ზაალს და დათუნას, შვილთა და მომავალთა სახლი-
სა [თქენისათა – ყოველთავე.

20 ასრე და ამა პირსა ზედან, მას ჟამსა, ოდეს მოგვიდექით კარსა დარბაზი-
სა ჩვენისა და მამულის წყალობას გვეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება
თქვენი, რათამცა ნამსახურთა თქვენთა წყალობა გვეყო. და გიბოძეთ არ-
გოხი შენის ბიძაშვილის, ნონეს ნაქონი კელშეუალად და ყოვლის კაცის-
აგან უცილებლად, და მალრანს ორი კომლი კაცი, და დუმასურს
შენი სამკვიდრო, და შალთაგორს მამუჩა და მისი სახლი.

25 გქონდეს და გიბედნიეროსა ლ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდგულობასა და სამსახ-
ურსა შიგან ყოვლის კაცის მოუდევრად და მო[უ]სარჩლებლად, მკვიდრად და
სამამულედ.

ვინცა და რამამც ადამის მონათესავემან მეფემან ანუ დედოფალმან,
უფლისწულმან, დიდმან და ანუ მცირემან ესე ჩუენგან მამულის წყალობა მო-
30 გიშალოს და მანცა არ დაგიმტკიცოს, რისხავსმცა მამა, ძე და სული წმინდა
და ყოველნი წმინდანი მღვთისანი, ზეცისა და ქვეყანისანი, კორციელნი და
უკორცონი. და ნურამცა სინანულითა ნუ იქმნების კსნა სულისა მისისა და
[დღ]ესა მას დიდსა განკითხვისასა.

დაინერა წიგნი და სიგელი ესე თვესა მაისსა ე, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტპთ.

1641 წ. პირობის წიგნი
თეიმურაზ მეფისა ხახულის ღმრთისმშობლის ეკლესიისაჲთ
გულგულაში წყლის ბამოყვანის შესახებ

დედანი: ხეც, Ad-52, თეთრი ქაღალდი; ზომა: 30,5X15,0; მხედრულით,
ყავისფერი მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის
შემდეგ. რესტავირებული, საბუთის ზედა ნაწილი დაზიანებულია დახეულია
რამდენიმე ადგილას, დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო
ქაღალდით; ტექსტი დაზიანებულია, თუმცა სრულად იკითხება.

თარიღი: საბუთს უზის თარიღი: ქორნიკონი ტპთ (329), რაც უდრის
1641 წელს.

ქ. ნებითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, კელმწიფე[?]მან პატრონმან თეიმურაზ,
ესე წიგნი მოგართვით თქუენ, ხახულისა⁴ მღთისმშობელს. ასრე რომე,
თქუენის წყლის რუვი თავიდალმან ჟამ⁵თა ვითარებისაგან ნამკდარიყო⁷ და
გულგულას წყალი აღარ მისდ⁸ოდა. ესე აღთქმა დაგიდევით, როდე⁹ს-
ცა მოვიცალოთ, თემი და ქუეყანა შევე¹⁰ყაროთ. თუ გამოიღებოდეს, მწვედ¹¹
ვეცადოთ და წყალი გამოვიღოთ ამ¹²რუვზედ.

მაცა[ა]ნთ საქმე და სალაპარაკ¹³ო აღარა ჰქონდეს. თუ სალაპარ¹⁴აკო
რამ შექნან, კელი არ დავადებ¹⁵ინოთ და არც ვალაპარაკოთ, და ამ წიგ¹⁶ით
გავამტყუნოთ. ქ(ორონი)კ(ონ)სა ტპთ.

ხელრთვა: თეიმურაზ

კომენტარი:

საბუთიდან ირკვევა, რომ შუამთის ხახულის ღმთისმშობლის მამულებს
მაცაშვილების მიწები ესაზღვრებოდა, რის გამოც მათ შორის სადავო
განხდარა სარწყავი წყალი.

1641 წ. წყალობის წიგნი
თეიმურაზ მეფისა მახარობელ ნასიძისაღი
ციხისთავ ბიორგისა და მისი ძმის გულბათის
ნაძონი მამულუბის ბოძების შესახებ

გვაქვს ორი პირი: 1. ხეც, Qd-2064; 2. 1450-51/262, შესულია XIX საუკუნე-
ეში შედგენილი პირების დავთარში. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1826 წლის 24 იანვარს, №265.

თარიღი: ქორონიკონი ტკთ (329), რაც უდრის 1641 წელს.

საბუთის დამწერი: იმერთა მეფის, ალექსანდრე III-ის მდივანი ფეშანგი.

[ქ.] ნებითა და შეწვევითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, ღ[მრთ]ივ-გურ²გუნოსანმან ხელმწიფემან, მეფემან პატრონმან თეიმურაზ, და თანამეცხედრემან ჩვენმან, ქართველთ მეფის ასულმან, დედოფალმან პატრონმან ქახუ-
არაშან, და სასურველისა ძისა ჩვენისა ძემან პატრონმან ლუარსაბ, პატრონ⁵მან ერეკლემ, ესე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობი-
სა წიგნი და სიგელი ⁶ დაგინერეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და თავდადებით ნამსა⁷ხურთა აზნაურ ნასიძეს მახარობელს და შვილთა შენთა: გიორგის, ელიზბარს, ⁸ შავერდის და გიორ-
გის, და მომავალთა თქვენთა.

ასრე და ამა პირსა ზედა⁹ან, რომე მრავალთა თქვენთა ნამსახურთა სამ-
უქაფოდ წყალობას დაგუეა¹⁰ჯეთ და გიბოძეთ ციხისთავის გიორგისა და მისის ძმისა გულბათის ¹¹ ნაქონი მამული მისის შესავლითა და გამოსავლითა, სასახლითა, მიწა-წყლითა, ¹² სახნავ-სათესითა, სათიბითა, სასაძოვრითა, ველითა, ძურითა, შენითა და უშენითა, ¹³ მთითა და ბარითა, ეკლესიითა, სასაფლაოთი, საძებრითა და უძებრითა, წყლითა, ¹⁴ წისქვილ-
ითა, წყლის სანაპიროს ყურითა, ბაღითა, ბახჩითა. გაღმა და გამოღმა, ¹⁵ რისაც მამულისა და ალაგის მქონებელნი ყოფილიყვნენ, სულა უკლე¹⁶ბლად ყოვლისა და მის მონათესავეს კაცისგან მოუდევრად და მოუსარ¹⁷ჩლელად თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის გვიბოძებია.

გქონდეს ¹⁸ და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან. ამისად გასათავებელად თავდებად მოგუიციებია ¹⁹ ღ(მერ)თი და ყოველნი მისნი წმინდანი: ზეცისანი, ქვეყნისანი, კორციელნი და ²⁰ უხორცონი.

დაინერა წიგნი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკთ, კელითა მეფის ალექსანდრეს მდივნის ფეშანგისათა.

ხელრთვა: თეიმურაზ

გვიანდელი მინაწერები:

ასლთან თანასწორი არს. სოვეტნიკი თავადი თარხან-მოურავი
კნილიდამ გარდმონერილი თანასწორ არს. სოვეტნიკი თ(ავად)ი

თარხან-მოურავი.

პირის გადაწერის თანადროული მინაწერები:

ასლთან თანასწორ არს, სოვეტნიკი თ(ავად)ი თარხანოვი.

ასლი წერილი მივიღეთ ანდრია მდასოხიამნასიძეთ.

კომენტარი:

XVI საუკუნიდან ნასიძეები ჩანან ქართლის სამეფო აზნაურებს შორის, მაგრამ ქართლ-კახეთში თეიმურაზ I-ის მეფობის დროს ერთ-ერთი შტო ნასიძეებისა (მახარობელ ნასიძე და მისი ოჯახი) თეიმურაზს თან გაჰყო-
ლია იმერეთში. მახარობელის შვილი გიორგი თეიმურაზს ემსახურებო-
და იმერეთში, რუსეთსა და ისპაჰანში, რის საფასურადაც თეიმურაზმა
ამ უკანასკნელს კახეთში თანამდებობები უბოძა (იხ. სეა, 1450-51/261),
მაგრამ გიორგის მამას, მახარობელს, სავარაუდოდ, იმერთა მეფის, ალ-
ქსანდრე III-ის თანხმობით, თეიმურაზმა უწყალობა ციხისთავთა (ნასი-
ძეების განაყოფი შტოს) მამული იმერეთში. რომ ეს უწყალობა იმერეთის
საციხისთავო მიწებს შეეხება, ამას მოწმობს საბუთის დამწერის ვინაობა
– იგია ალექსანდრე მეფის მდივანი ფეშანგი.

1642 წ. 13 აპრილი. წყალობის წიგნი
თეიმურაზ მეფისა შანში ჩოლოყაშვილისაღი

დედანი: ხეც, Hd-2197; თეთრი ქაღალდი; ზომა: 39,6X16,5 სმ. ყავისფერი
მელანი; ხელი მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწ-
ერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: საბუთის ზედა ნაწილი მოხ-
ეულია, ტექსტიც დაზიანებული, თუმცა გარკვევით იკითხება. დაზიანებული
ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი ტლ (330) აპრილის ცამეტი, რაც
გვაძლევს 1642 წლის 13 აპრილს.

ქ. ნებითა და შეწვევითა ღ(მრთ)ისათა, ჩვენ, ღ[მრ]თივ-გვირგვინოსანმან
ხელმწიფემან, მეფე³მან პატრონ[მან] თეიმურაზ, და თანამეცხედრემან,
ღ(მრ)თ⁴[ი]ვ-გვირგვინოსანთა ქართულთა ხელმწიფე⁵თა ასულმან,
დედოფალმან ჩუენმან, პატრონ⁶მან ხვარაშან, პირმშომან და სასურ-
ველ⁷მან ძემან ჩუენმან პატრონმან დავით, შეგინ⁸ყა⁹ლეთ და გიბოძეთ
ესე უკუნისამდის ჟამთა ⁹ გასათავებელი მტკიცე და საბოლოოდ უცვალე¹⁰ბე-
ლი წიგნი და სიგელი შენ, ჩოლყა¹¹შვილს შანშეს, შვილსა შენსა
გოშფარს, ¹² როშაქს და ანდერმანს, შვილთა და მომა¹³ვალ-
თა სახლისა შენისათა.

ასრე რომე, ¹⁴ ჩუენ ერთი კვამლი კაცი გამოგართვით ¹⁵ და იმის სანაცვ-
ლოს დაგუეაჯენით. ჩუენ ვისმი¹⁶ნეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბოძე¹⁷თ

ჭიაურელის შავერდის ნაყმევი კაცი¹⁸ შერმაზანა და იორ-
დანე, რაზედაც სახლობს,¹⁹ იმ მამულით. ასრე რომ, სადამდი შავერდი
²⁰ ცოცხალი იყოს, ნამსახური კაცი არის²¹ და მანამდი ხელს ნურას დაიდებთ
[როდეს]ანც²² მოკვდეს, მასუკან შენ გიბედნიეროს ღ(მერ)თმან²³ ჩვენს ერდ-
გულობასა და სამსახურსა შინა.

შენთ²⁴ვინ გვიბოძებია ყოვლის კაცის უცილებლა²⁵ და ხელშეუ[ალ]
ად, არ მოგეშალოს არა ჩ²⁶უენგან და არა შემდგომად სახლის ჩვენის²⁷
მ²⁷ფეთაგან.

დაინერა ბძანება ესე ჩუენი თ²⁸უეს აპრილსა ცამეტსა, ქ(ორონი)კ(ონ)ს
ტლ.

ხელრთვები: თ ე ი მ უ რ ა ზ , ხ ვ ა რ ა შ ა ნ , დ ა ვ ი თ
საბუთს უზის ერთი ოთხკუთხა ბეჭედი.

verso-ზე გვიანდელი სათაური:

№ 11 ჭიაურელის შავერდას ნაყმევი კაცის წყალობის წიგნი.

კომენტარი:

ჩოლაყაშვილები - კახეთის წარჩინებულ თავადთა საგვარეულო. ჭიაურთ
მოურავები. მათ წარმომადგენლებს სამეფო კარზე ხშირად ეკავათ სახლ-
თუხუცესის თანამდებობა. მოცემულ საბუთში ასახულია ქართულ სამე-
ფოებში გავრცელებული ყმა-მამულის გაცვლის პრაქტიკა, რაც მეფეებს
საშუალებას აძლევდა მათთვის სასურველი რომელიმე პირი სასწრაფო
წესით შეეწყალებინათ.

**1642 წ. 22 დეკემბერი. წყალობის წიგნი
თეიმურაზ მეფისა ბიორბი კობიაშვილისაგან**

დ ე დ ა ნ ი: სეა, 1448-509, ნაცრისფერი ქაღალდი, ზომა: 31,8X21 სმ.
რესტავრაციის შემდეგ 34,2X21 სმ. შავი ფერის მეღანი, მხედრული, განკვე-
თილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
დაზიანება: ქაღალდი გაცრეცილია და გადანაკეც ადგილებზე გადახეული.
საბუთს დაზიანებული აქვს კიდევები და ტექსტის ზოგიერთი ადგილი, აკლია
პირველი სტრიქონის ზედა ნაწილი. მე-3, მე-5, მე-7-8, მე-10 სტრიქონებს ასოე-
ბი აკლია. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში
1836 წლის 24 სექტემბერს.

თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი ტლ (330), დეკემბრის ოცდართი, რაც გვა-
ძლევს 1642 წლის 22 დეკემბერს.

ქ. ნებითა და შეწევნით(ა) ღ(მრ)თისათა, ჩუენ, ღ(მრ)

[თივ]-გუირგუინოსანმან, კელმნიფემან მეფემან პატრონმა თ ე ი მ უ რ ა ზ ,
და თანამეცხედრემან³ ჩუენმან, ღ(მრ)თივ-გუირგუინოსან[თა] ქ ა რ თ უ -
ე ლ [თ ა მეფი]სა ას[ულ]⁴მან, დედოფალმან პატრონმან ხ ვ ა რ ა შ ა ნ , პირმ-
შომან და სასურ⁵ველმან ძემან ჩუენმან, პატრონმან დ ა ვ ი თ , შეგინყალეთ
და გიბო⁶ძეთ ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი, უცვალელებელი, სა⁷ბო-
ლო[ო]და მტკიცე წიგნი და სიგელი შენ, კ ო ბ [ი] ა შ ვ ი ლ ს გ ი ო [რ] გ ი ს ,
ძმათა შენთა ა გ [...].სეს, შ ა ნ შ ე ს და შ ე რ [მ ა] [უ] ზ ა ნ ე [ს ,] შვილთა და
მომავალთა სახლისა შენისათა.

ასრე და ამა¹⁰ პირსა ზედა, ოდეს მოგუიდეგით კარსა დარბაზისა
ჩუენისასა და¹¹ მამულის წყალობას დაგუეაჯენით, ჩუენ ვისმინეთ აჯა¹² და
მოხსენება თქუენი და გიბოძეთ შენის განაყოფის ქ უ მ ს ი ა |¹³ს შ ვ ი ლ ი ს
მამული – ნახევარი, რისაც მქონებელი ყოფილიყოს, ¹⁴ ბ ა რ ძ ი მ ა ს მამუ-
ლის ნახევარი, რისაც მქონებელი ყოფილ¹⁵იყოს და ტ ო ზ ა შ ვ ი ლ ი ს მამ-
ული[ს] ნახევარი, რისაც მქონე¹⁶ბელნი ყოფილიყოს, და რ ჩ ი ა ს სასახლე
მისის ქუევრ-მარანი¹⁷თ და სავარი, და ქ ი ა ძ ი ს სასახლე მისის სავარით. ეს
მამული¹⁸ები მთით და ბარით, წყლით და წისქვილით, საკნავითა და სათ¹⁹ესი-
თა, სასახლითა და ქუევრ-მარნით, ვენაკითა, სასახლ²⁰ვითა და უსახლვით,
სათიბითა და უთიბითა, ბოლო²¹თა და ჭალით, მთით და სანადიროთ, შენითა
და უშ²²ენით, შესავლით და გასავლით, მართლის სამართლია²³ნის საქმით,
მისის გასადევრად თქუენთვინ გუიბოძებია. [გ]ქონდეს²⁴ და გიბედნიერო[ს]
ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერთგულად სამსახურ²⁵ში, არ მოგეშალოს არ ჩუენგან
და არა შემდ[გომ] ²⁶ სახლის ჩუენის მეპატრონეთ მეფეთაგან, ეს ასრე²⁷
გაგითავდეს.

ანე, გიბძანებთ კარის ჩუენის ვეზირ-²⁸ვექილნო და პ ა ნ კ ი ს ი ს
მოურავნო და სხვანო²⁹ მოსაქმენო, ბძანება და წყალობა თქუენც ასრე³⁰ გაუ-
თავეთ და ნუ მოუშლით, თვინიერ თანადგო³¹მისა და შეწევნისა კიდე.

დაინერა ბძანება და ნიშანი³² ესე ჩუენი თუეს დეკენბერსა ოზდაროს, ³³
ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლ.

ხელრთვები ხვეულად: თ ე ი მ უ რ ა ზ , ხ ვ ა რ ა შ ა ნ , დ ა ვ ი თ
მინანერი ბოლოში, “ყაღბია“.

კომენტარი:

კობიაშვილები ცნობილი არიან დუშეთიდან, როგორც არაგვის ერი-
სთავის აზნაურები (კლდიაშვილი (შემდ.), 1993: გვ. 519-520). მოცემულ
საბუთში მოხსენიებული კობიაშვილები პანკისის სამოურავო ტერიტორ-
იზე ცხოვრობენ.

¹⁸ მთით] მათით ნსხ.

1642 წ. წყალობის წიგნი
თეიმურაზ მეფისა ბიჭი ბურამიშვილისადმი

პირი: სეა, 1450-19/103, გვ. 157-158-ა; XIX საუკუნეში შედგენილი რუსული მმართველობის პირების დავთარი. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1820 წლის 10 იანვარს, №101.

თარიღი: ქორნიკონი ტლ (330), რაც უდრის 1642 წელს.
საბუთის დამწერი: სამეფო კარის მდივანი დავითი.

[ქ.] ნებთა და შეწევნითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, კელმწიფემან მეფემან პატრონმან თეიმურაზ, და თანაჲმცეცხედრემან ჩუენმან, ქართველთ მეფისა ასულმან, დედოფალმან პატრონმან ხვარაშან, და ძეთა ჩუენთა, პატრონმან დავით.

- 5 ესე უკუნისამდე ყამთა გასათავებელი სამკუიდრო და საბოლო წყალობისა წიგნი და სიგელი გიბოძეთ შენ, ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა გურამიშვილს გივსა, შვილთა შენთა, ავთანდილს და ზაალს, ასრე რომე, ამას წინათ ბიბიანის წყალობასა და ბოძებასა დაგვეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგინყალეთ და გიბოძეთ
- 10 ბიბიანი სოფელი კელშეუალად, საფიცრით. და საფიცარი არ გაგიტეხეთ და ახლად კიდევ სიგლითა ამით გიბოძეთ და დაგიმტკიცეთ. და აღარა ოდეს, არცა შენ და არც შვილთა შენთა არაოდეს არ მოგეშალოს ნიშანი და ბრძანება ესე.

15 გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე თუესა ივნისსჲა ერთსა, ხელითა კარისა ჩუენისა მდივნისა დავითისითა.

ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლ.

ხელრთვები ხვეულად: თეიმურაზ, ხვარაშან, დავით

პირის გადაწერის თანადროული მინაწერები:

ასლთან თანასწორ არის, სოვეტნიკი თავადი დიმიტრი თარხანოვი.

სოვეტნიკი თავადი დიმიტრი თარხანოვი.

ამისი ასლი დეკუმენტი მივიღე, თავადი ზაქარია გურამიშვილი.

1642 წ. წყალობის წიგნი
თეიმურაზ მეფისა ზაქარია ავალიშვილისადმი

დედანი: ხეც, Hd-1952; თეთრი ქაღალდი; ზომა: 14,8X9,6 სმ. შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთის ზედა ნაწილი ამოხეულია რამდენიმე ადგილას, რომლებიც შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. ტექსტი დაზიანებული არ არის.

საბუთს უზის თარიღი: ქორნიკონი ტპი (330), რაც გვაძლევს 1642 წელს.

გამოცემა: თაყაიშვილი, 1910: გვ. 545 №567.

ქ. კალაურში ზალდასტა²⁶ ისე ული მამული შენი და ³ უშენი მთითა და ბარით, ⁴ რისაც მქონებელი ყოფილ¹ იყოს, ყველა უკლებლად ⁶ ზაქარიასა და ავალისათვის ⁷ და მისის ძმებისათვის გვიბოძებია ქ(ორონი)კ(ონ)სა ტპი.

ხელრთვა: თეიმურაზ

კომენტარისათვის იხ. საბუთი: Hd-9377, ავალიშვილები.

1643 წ. თეიმურაზ მეფის წყალობის წიგნი
რევაზ ბარათაშვილისადმი

პირი: სეა, 1449-1267.

საბუთს უზის თარიღი: ქორნიკონი ტლა, რაც უდრის 1643 წელს.

[ქ.] სახელითა არსება-დაუსაბამოსა მლ(რ)თისა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისა, მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა ყოვლად წმიდისა უბრწუნელისა, უმეტესად კურთხეულისა დედოფლისა ჩუწნისა ლ(მრთ)ისმ-შობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისითა; მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა წმიდისა და ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ძელისა ჯუარისათა; მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა წმიდათა ზეცისა ძალთა, ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაილ და გაბრიელისითა; მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა წმინდათა მოციქულთა თავთა – პეტრესა და პავლესითა.

მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა, ჩუენ, ლ(მრ)თივ- გვრგვნოსანმან კელმწიფემან, მეფემან პატრონმან თეიმურაზ, და

თანამეცხედრემან ჩვენმან, ლ(მრ)თივ-გურგუნოსანთა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მეფისა ასულმან, დედოფალმან პატრონმან ხ ო რ ე შ ა ნ , და ძემან ჩვენმან, პატრონ-მან და ვ ი თ და ძისა ჩვენისა ძემან, პატრონმან ლ უ ა რ ს ა ბ , შეგინყალეთ და გიბოძეთ ესე საბოლოოდ ჟამთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი

5 წყალობისა ნიგნი და სიგელი შენ, ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა, ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს რ ე ვ ა ზ ს და შვილსა შენსა შ ე რ მ ა ზ ა ნ ს და და ვ ი თ ს , და შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და მამულის წყალობას გვეაჯენით, ხოლო ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და

10 გიბოძეთ ტ ა ლ ა ვ რ ი ს დ ა რ ბ ა ზ ი , შ უ ა ბ ო ლ ნ ი ს ი ს მოურაობა, თქვენი სამკუდრო მამული, ვისაც ნაძალევად ჰქონდეს ფ ა ზ ა ნ თ კ ა რ ა ქ ა , მ უ ს ე თ რ ი ა ნ ი , ქ ო ბ ე ვ ა ნ ი , ძ ვ ე ლ ი დ მ ა ნ ი ს ი , თ ე კ ნ ა რ ი , მ ი ჯ ა . სხვა კიდევ – თქვენი მამისა და ბიძის ნაქონი მამული და სახელო, სასაფლაო ან მთასა და ან ბარს, რაც რამ ჰქონოდეს, თქვენთვის და შვილთა

15 თქვენთათვის გუბოძებია მკუდრად და სამამულედ. გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მან) ჩვენს ერთგულობასა და სამსახურსა შიგან.

ვინცა და რამამცა კაცმან, დიდმან და ანუ მცირემან, მეფემან ანუ დედო-ფალმან, გინა უფლისწულმან, თ ა თ ა რ მ ა ნ თუ ქ ა რ თ ვ ე ლ მ ა ნ ესე ჩვენი

20 წყალობისა სიგელი შესცვალოს და მამული მოგიშალოს, მეუფემან ზეცათ-ამან ლ(მერ)თ(მან) და მისმან უბინოდ მშობელმან მოშალოს და შესცვალოს მისის ყოფისა და სიცოცხლისაგან, და ი უ და ს მ ც ა თანა დაისაჯების. და ნურათამცა სინანულითა ნუ იქმნების კსნა სულისა მისისა დღესა მას დიდსა განკითხვისასა. ამისად გასათავებლად და თავდებად მოგვიცემია ღმერთი და

25 ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქვეყანისანი, კორციელნი და უხორცონი. დაინერა ნიგნი და სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლა.

ხელრთვები: თ ე ი მ უ რ ა ზ , ხ ვ ა რ ა შ ა ნ

მინაწერი საბუთის ვეყო-ზე: ნანდვილისა თანა სწორე არს, ტ ფ ი ლ ი ს ი ს სობოროსა, ა ნ ჩ ი ს ხ ა - ტ ი ს დიაკონი და ვ ი თ მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი “.

კომენტარი: ბარათაშვილი რევაზ – ერთადერთია ბარათაშვილთა საგვარეულოდან, რომელმაც თეიმურაზ-როსტომის დაპირისპირებისას თეიმურაზს უერთ-გულა. უცნობია რა ბედი ეწია მას როსტომის გამარჯვების შემდეგ (1648). მოგვიანებით, 1654 წელს როსტომის მიერ გაცემულ საბუთში იგი მოხსენიებულია როსტომის მოღალატედ, მისი ნაქონი სოფელი აკაურთა როსტომს იასე დოღენჯიშვილისათვის უწყალობებია (სეა, 1450-38/44).

1643 წ. წყალობის წიგნი თეიმურაზ მეფისა თამაზ ჩოლოყაშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი, სეა, 1448-3263, ღია ყავისფერი ქაღალდი, სამი ფურცელი: I – 17,6X12,9 სმ. რესტავრაციამდე, 19,8X14,7 სმ. რესტავრაციის შემდეგ, II – უცნო-ბი პირის წერილი, 13,2X9,9 სმ. რესტავრაციამდე, 14,1X12,1 სმ. რესტავრაციის შემდეგ. III – რუსული სარეგისტრაციო ჩანაწერი. ჩვენთვის საინტერესოა პირველი საბუთი, რომლის ზომაა 17,6X12,4 სმ. რესტავრაციამდე, 19,4X12,4 სმ. რესტავრაციის შემდეგ. შავი ფერის მელანი, მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. მეორე საბუთზე: თითო წერ-ტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: საბუთის კიდეები გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. ტექსტს ახასიათებს ა-მეტობა.

თ ა რ ი ღ ი: ქორონიკონი ტლა (331), რაც გვაძლევს 1643 წელს.

ქ. გიბოძეთ ჩუენ, კელმწიფემან, მეფემან პატრონმან თ ე ი | შ უ რ ა ზ , თქუენ, ჩ ო ლ ა ყ ა შ ვ ი ლ ს თ ა მ ა ზ ს და ქ ა ი ხ ო ს რ ო | ჰ ს ქ ო რ ე თ ი , ლ ო მ ს ი ა შ ვ ი ლ ი ს ნაქონი მამული, რისა⁴ც მქონებელი ყოფილიყოს, ყოვ-ლის კაცის უცილებელ⁵ად და კელ შეუალად. ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლა.

ხელრთვა: თ ე ი მ უ რ ა ზ

კომენტარი: ჩოლოყაშვილი თამაზ – კახეთის სამეფო კაზე წარჩინებულ ჩოლოყაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენელი. მისი ბიძაშვილია ბიძინა სუფრაჩი, შემდგომში კახეთის აჯანყების გმირი). შემდგომში მისი შვილი მამუკა თუშთ მოურავი ხდება, მეორე შვილი – დურმიშხანი – სახლთუხუცესი (სურგულაძე, 2015: გვ. 222).

1644 წ. წყალობის წიგნი თეიმურაზ მეფისა განუშუბი განახიშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი: სეა, 1448-502, მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 26,8X20,6 სმ. რესტავრაციამდე, 28X22,5 სმ. რესტავრაციის შემდეგ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: პირველი სტრიქონის ადგილები დაზერტილია, შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თ ა რ ი ღ ი: ქორონიკონი ტლბ (332), რაც გვაძლევს 1644 წელს.

**1644 წ. წყალობის წიგნი
თეიმურაზ მეფისა ბიძი ბუზანიშვილისადმი**

პირი: სეა, 1450-19/№113. გვ. 166; XIX საუკუნეში შედგენილი პირების დაცვით. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1820 წლის 10 იანვარს, №111.

თარიღი: ქორონიკონი ტ(ო)ბ (372), რაც უდრის 1644 წელს.

გუიბოძებია ხიმშიაშვილის სუხიტას ნაქონი მამული – ერნოს ამტანი – გივისათვის ყოვლის კაცისაგან უცილებლად და მოუდევარად, ნურა კაცი კელს ნუ დაუდებთ და ნურცა-ვინ შეცილებია, მკუიდრად და სამამულედ გუიბოძებია.

ქ(ორონი)კ(ონ)სა ტ(ო)ბ.

ხელრთვა: თეიმურაზ

პირის გადაწერის თანადროული მინაწერები:
ასლთან თანასწორ არის, სოვეტნიკი თ(ავად)ი დიმიტრი თარხანოვი.

სოვეტნიკი თ(ავად)ი დიმიტრი თარხანოვი.

ამისი ასლი დეკუმენტი მივიღე, კოლე[ჟ]სკის ასესორი თავადი თეიმურაზ გურამიშვილი.

**1645 წ. შეწირულების წიგნი
თეიმურაზ მეფისა ბოლბის წმიდა ნინოს ეკლესიისადმი**

დედანი: სეა, 1448-2395, ღია ყავისფერი ქაღალდი, ზომა: 16,6X12,3 სმ. შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანებული ადგილები შევსებულია თეთრი ქაღალდით.

თარიღი: ქორონიკონი ტლბ (333) /1645 წელი/.

ქ. კისიყისა და ბოდბის გასადევარისა, ტარაქამისა და ლეკის ცხურისა³გან, არცარა ჩუენი სარგო დაგუიკლ⁴ია და არცარა კისიყის მოურავისა⁵ და კისიყელთათვის და სხვის მოკელი-⁶სათვის, იმავ თარაქამას დავაკლევ⁷თ და საბალახეს მოუმატეთ ფარ⁸ისთავს, თითო ცხვარი საბოლოო⁹დ წმიდის ნინოსა და ბოდ-^ბლისათვის¹⁰ მიგვირთმევია, ნიადაგ წელიწადს მოუ¹¹შლელად ამ

ქ. სახელითა არსება-დაუსაბამოსა ღ(მრ)თისა, მამისა, ძისა და სული-
სა წმიდისა,¹ მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა, ესე საბ-
ოლ³ო[ო]დ ჟამთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი საფიცრისა წიგნი⁴
და პირი და წყალობისა სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ ჩუენ,⁵ ღ(მრ)თივ-
გუირგუინოსანმან კელმნიფემან, მეფემან პატრონმან თეიმურაზ, და⁶
თანამეცხედრემან ჩუენმან, ღ(მრ)თივ-გუირგუინოსანთა ქართველთა
მეფისა ასულმან,⁷ დედოფალმან პატრონმან ხვარაშან, და ძემან ჩუენმან,
პატრონმან დავით,⁸ და ძისა ჩუენისა ძემან, პატრონმან ლუარსაბ,
თქუენ, ვახახიშვილს ვახუშ⁹ტის, შვილსა შენსა ბერუას და
ზურაბს და შვილთა და მომავალთა¹⁰ სახლისა თქუენისათა, ყოველთავე,
ასრე და ამა პირსა ზედან, მას ჟამსა, ო¹¹დეს მოგუიდეგით კარსა და მამულის
წყალობას გვეაჯენით.

ხოლო ჩუენ¹² ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბოძეთ ენის-
ელში, ტილოუხს, თ¹³ურამეტი საკუამლო მამული და, რაც ძამსას
პიროქრიაშვილის¹⁴ ნაქონი მამული აქუს, რასაც ალაგს ჩაღმა და
აღმა, შენი და უშენო, ყუელგან. როდესაც ძამ¹⁵სა მოვიდეს, თქუენს მეტს
კაცს არ მიეცეს მისის ყოვლისფერით,¹⁶ სამართლიანის საქმითა, სასახლითა,
სასაფლაოთა, ეკლესიითა, მითა,¹⁷ ბარითა, თავითა, ბოლოთა, წყლითა,
ნისქუილითა, საკნავითა,¹⁸ სათესითა, ველითა, ვენაკითა, სანადიროთა, მინ-
დურითა და ქალითა, საქ¹⁹ოვრითა, მინდურითა, სათიბითა, შესავლითა და
გამოსავლითა, საქ²⁰ბრითა და უძებრითა, ყოველითურთ უკლებლად, მკუიდ-
რად და სამა²¹მულედ, ყოვლის კაცისაგან უცილებლად და მოუდევარად.

გქო²²დეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულობასა და
სამსახურსა²³ შიგან.

ესე ასრე გაგითავდეს და არაოდეს არ მოგეშალო²⁴ს არა ჩუენგან და არა
შემდგომად ჩუენთა მომავალთა მეფე-²⁵მეპატრონეთაგან. ამისად გასათა-
ვებლად და თავდებად მოგუიციემ²⁶ია ღ(მერ)თი და ყოველნი წმიდანი ღ(მრ)
თისანი, ზეცისანი და ქუეყანისანი,²⁷ კორციელნი და უკორციონი.

დაინერა წიგნი და სიგ²⁸ელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლბ.

ხელრთვები ხვეულად: თეიმურაზ, ხვარაშან, ლუარსაბ

კომენტარი:

ვახახისშვილი, იგივე ვახვახიშვილი, კახეთის წარჩინებულ თავადთა საგ-
ვარეულო. ვახუშტი მათ საცხოვრისს მიუთითებს წუქეთში, ქურმუხისწყ-
ლის მიდამოებში. აქ მცხოვრები ერთ-ერთი ვახვახისშვილი გამაჰმადი-
ანებულა, შაჰ აბასს მისვლია ერევანში და სულთნობა მიუღია (ვახუშტი,
გვ.გვ.35, 539). მოცემული საბუთის მიხედვით, ვახუშტი ვახვახისშვილი ამ
საგვარეულოს სხვა შტო ჩანს, ენისელში დამკვიდრებული.

¹⁷ წყლითა მეორდება, ნსხ. 22 სიტყვა “ყოვლის“ გადაშლილია და ზემოდან დაწ-
ერილია სიტყვა “ჩუენსა“.

თითოს ცხვართან ნუ¹²რცა-ვინ კელს დაიდებს და ნურცა-ვინ ბო დ | ¹³ბ ე ლ ს შეეცილებით. (ქორონი)კ(ონ)ს ტლბ.

ხელრთვა ხვეულად: თ ე ი მ უ რ ა ზ

კომენტარი:

ბოდბის მონასტრისათვის ეკონომიკური დახმარების გასაწევად თეიმურაზი სწირავს მონასტერს საბალახე გადასახადს – თითო ცხვარს თარაქამას ტომის თითოეულ ფარაზე.

1646 წ. 26 ნოემბერი. წყალობის წიგნი თეიმურაზ მეფისა ავალ ავალიშვილისადმი

პირი: სეა, 1450-47/149. გვ. 108-ა-111-ა. XIX საუკუნეში შედგენილი პირების დავთარი. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1828 წლის 1 სექტემბერს, №146. 110-111-ე გვ-ზე ერთვის სპარსული ტექსტი და მითითებულია სამი ბეჭდის ადგილი.

თარიღი: ქორონიკონი ტლდ (334), ნოემბრის კვ, რაც უდრის 1646 წლის 26 ნოემბერს.

საბუთის დამწერი: მდივანთუხუცესი იოვანე ლაზარესშვილი.

სახელითა სახიერისა, არსება დაუბადებელისა, დაუსაბამოსა, ღ(მრ)თისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისა; მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა ყოვლად წმიდისა, უხრწნელისა, უმეტესად კურთხეულისა, დედოფლისა ჩუენისა წმიდის ქალწულისა მარიამისითა; 5 მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა წმიდისა და ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ძელის ჯვრისათა; მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა წმიდათა ზეცისა ძალთა, ანგელოზთა და მთავარანგელოზთა, მიქაილ და გაბრიელისითა; მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა წმიდათა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და 10 ნათლისმცემელისა იოვანესითა; მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა დიდისა მთავარმონამისა გიორგი, დიმიტრი, თეოდორე და პანტელეიმონისითა; მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა წმიდათა მღრდელთმოდვართა დიდ[თ]ა: გრიგოლ, იოვანე, ათანასე, ეპიფანე და 15 ეფთვიმისითა; მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა წმიდათა ქართველთა მნათობთა: გიორგი, პროხორე, ილარიონ, ეფრემ და არსენისითა; მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა წმიდათა დედათა ქალწულ-მონამ[ეთ]ა: ირინე, მარინე, ბარბარა და თეკლა და ანასტასიასიასითა; 20 მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა წმიდისა ახალმონამისა

დედოფლისა ქეთონისითა; მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა სუეტიისა ცხოველისა, კვართისა საუფლოსა და მირონ-წმიდისა. მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა და ყოველთა წმიდათა ღ(მრ)თისათა, ზეცისა და ქუეყნისათა, კორციელთა და უხორცოთა. 5

მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა, ესე ფიცი და პირი წყალობისა და შეწყალებისა, ჟამთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი ბძანება-გათავებული, დრო-დაუცემელი და მიზეზ-დაუდებელი,* საბოლო წიგნი და სიგელი შეგინყაღეთ და გიბოძეთ ჩუენ, ღ(მრ)თივ-გვირგვინოსანმან** კელმნიფემან, მეფემან პატრონმან თეიმურაზ, და თანამეტყებდრემან 10 ჩუენმან, დედოფალთა დედოფალმან, ქართველთა კელმნიფისა ასულმან, პატრონმან ხუარაშან, და პირმშომან და სასურველმან ძემან ჩემ[მ]ან, პატრონმან დავით, და ძისა ჩუენისა ძეთა, პატრონმან ლუარსაბ და ნიკოლოზ და გიორგიმ, თქუენ, ავალიშვილთ, ბოქოულ- 15 თუხუცეს ავალს, ძმათა თქუენთა: ქაიხოსროს, დავითს და ლონენას და ძეთა თქვენთა, ლევანს და იოვანეს, და შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა – ყოველთავე.

ასრე და ამა პირსა ზედან, მას ჟამსა, ოდეს შა[ჰ]სეფი ყე[ქ]ნი გაგვიწყრა და ღიხთ-იმერს გარდავედით, და თქვენც ჩუენის გულისათვის სამკვიდრო და ნაწყალობევი დედული და მამული და[ა]გდევით და თან 20 გარდმოგ[ვ]ყვეით, დ[ი]ალა[ც] ბევრი სამსახური და ჭირნახული დადევით ჩუენზედა. და ჩუენ ვიგულეთ, რათამცა ნამსახურთა თქუენთა მუქაფა გვეყო და გიბოძეთ კახეთში ჩუენი სახასო მამული უჯარმას, ყოვლის კაცისაგან უცილებლად და მოუდევარ-მოუსარჩლელად მისის სამართლიანის საქმითა, შესავლითა და გამოსავლითა, სამძღურითა და გასადევრითა. 25

და კიდევ – ამონყუეტილის ვაჩნაძის ჯავშან[ა]ს მამული კალაურში, ბაკურციხეს და კარდანეხს, და რას[ა]ც ალაგს რისაც მამულის მქონებელი ყოფილიყოს, ყოვლითურთ უკლებლად.

და კიდევ – ენისელში, ბაზარსა და [ნ]უხს შუა ყულის დავითას ნაქონი [ნაოკარი]. 30

კიდევ – ხიმშიაშვილის ღონე[ნას] ნაქონი მამული ძაგნაკორას და ხეობაში და ან სხუაგან, რისაც მქონებელი ყოფილა, უწინ ამილახორს [ვ]უბოძეთ. ის წავიდა და ლარგუელს [ვ]უბოძეთ, ლარგუელი მოკუდა და თქუენ გიბოძეთ მისის სამართლიანის სამძღურითა და გასადევრითა, შესავლითა და გამოსავლითა, მითითა და ბარითა, 35 თავითა და ბოლოთა, სანადიროთა, მინდვრითა და ჭალითა, სასაფლაოთა, სასახლითა, წყლითა და წისქვილითა, საძებრითა და უძებრითა.

გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერთგულობასა და სამსახურსა შიგან, მკუიდრად და სამამულედ, ყოვლის კაცისაგან უცილებლად და მოუდევარად. 40

ესე ასრე გაგითავდეს და არაოდეს არ მოგეშალოსთ არა ჩუენგან და არა

* დაუცემელი და მიზეზ... – ჩამატებულია სტრიქონის ზემოთ.
** ღ(მრ)თივ-გვირგვინოსანმან – ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ.

**1647 წ. თარხნობის ბანახლები წიგნი
თეიმურაზ მეფისა ლუარსაბ თარხნობისაჲთ**

შემდგომად ჩუენთა მომავალთა სხვათა მეფე-დედოფალთა მეპატრონეთაგან. ვინ იცის და ლონენამ და ან მისმან შვილმან და შვილიშვილმან მოსულა მოინდომოს, არც ჩუენთა და არც ჩუენმან შვილმან და შვილიშვილმან არ-
 5 ასდროსა და ჟამს თქუენა და თქუენს სახლსა და მომავალთ არა მოუშალოთ. ორჯელ გვიმუხანათა და ჩუენს მესისხლეს მოუვიდა და კიდევ ამასდა გარ-
 დაისა, რაც ჩუენი წყალობა ამ სიგელში გუენეროს, არც ის მოგეშალოსთ.
 ანუ, ვინცა და რამანცა ადამის მონათესავემან კაცმან, ანუ ჩუენდა, ანუ
 ჩუენმან მომავალმან, გინა სხვამან, დიდმან ანუ მცირემან, მეფემან ანუ დედო-
 ფალმან, გინა უფლისწულმან, ესე ჩუენი წყალობა მამული მოგიშალოსთ და
 10 ანუ ესე სიგელი და წიგნი შეგიცვალოსთ, რისხავსმცა დაუსაბამო ღ(მერ)თი, მამა, ძე და სული წმიდა და მისი უბინო მშობელი, პატიოსანი და ცხოველს-
 მყოფელი ჯვარი, ყოველნი წმიდანი ღ(მრ)თისანი, ზეცისანი და ქუეყნისანი, კორციელნი და უხორციონი. და შე-მცა-იცვალეების რჯულისაგან ქრის-
 ტიანეთასა, შე-მცა-ედების ძრწოლა კაენისი, კეთრი გეზისი,
 15 შიშთვილი იუდასი, ცოცხლივ დანთქმა და თან და აბირ ||ონისი, მეხდატეხილობა დივოსკორესი, მატლით განლეულობა ჰეროდესი
 და მაზედამც აღესრულებს მეთსდარვე იგი ფსალმუნი, და ნურათამცა სინან-
 ულითა ნუ იქმნების კსნა სულისა მისისა დღესა მას დიდსა განკითხვისასა. ხოლო დამამტკიცებელნი და გამთავენი ამისნი ღ(მერ)თ(მან) აკურთხნეს, ამინ.
 20 დაინერა წიგნი და სიგელი ესე კელითა კარისა ჩუენისა მდივანთუხუცესი-
 სალაზარეს შვილის იოვანესითა, თვისა ნოემბერსა კპ, ქ(ორო-
 ნი)კ(ონ)ს ტლდ.

ხელრთვა: თეიმურაზ

პირის გადაწერის თანადროული მინაწერები:

კიდევ ჩართულები ორნი.

ასლთან თანასწორ არს, სოვეტნიკი თ(ავად)ი თარხანოვი.

კომენტარი:

საბუთი მეტად საინტერესოა სხვადასხვა საგვარეულოთა შორის ფეოდა-
 ლური მამულების “მოძრაობის” სურათის აღსადგენად.

კომენტარისათვის იხ. საბუთი: Hd-9377 ავალიშვილები.

დედანი: ხეც, Qd-7235, თეთრი ქაღალდი; ზომა: 39,0X27,7; მხედრუ-
 ლი; შავი მეღანი; განკვეთილობის ნიშანი: ორიწერტილი ან სამიწერტილი
 ყოველი სიტყვის შემდეგ. მოფლეთილია საბუთის კიდევები, დაზიანებული
 ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით; ტექსტი დაზიანებულია
 თუმცა კარგად იკითხება. ტექსტს ახასიათებს ხშირი ა-მეტობა, რაც აძნელ-
 ებს მის აღქმას, რის გამოც ა-მეტი ფორმები გამოცემაში გათვალისწინებუ-
 ლი არ არის.

თარიღი: საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი ტლმ (335), რაც უდრის
 1647 წელს.

ქ. ნებითა და შეწევნითა მლთის[ა]თა, ჩვენ, მლთივ-გურგუნოსანმ[ან]
 პატრონმან თეიმურაზ, და მეცხედრემან ჩვენმან, ქართველ[-
 თა] [3] მეფისა ასულმან, დედოფალმ[ან] პატრონმან ხუარ[ა]შ[ან], და
 [ძეთა 4] ჩვენთა, პატრონმ[ან] ლუარსაბ, პატრონმ[ან] ნიკოლოზ და
 გ[იორ] [5] გიმ, ესე წყალობისა და სითარხნისა წიგნი შეგიწყალეთ [და 6]
 გიბოძეთ შენ, თარი შვილს და თუკას და შვილსა შენსა გ[იორ] [7]
 გის და რამ [ა]ზას, შვილთა და მ[ო]მავალთა სახლისა შენის[ა]თა.

ასრე რო[მე], [8] ამას წინათ[ა]ც თარხანი და აზ[ა]დი იყავით, და კიდევ,
 მეორედ წიგნითა [ჩვენ] [9]ითა გათარხნეთ. ასრე რომ, არ[ა]ფერი საჩვენო ს[ა]
 თხოვარი და [10] გამოსაღები არა გეთხოვებოდეს: არა პური და ღვინო, არა ს[ა]
 კ[ლა] [10]ვი, არა გოჭ-ქათამი, არა სამდგურო, არა საბ[ა]ზიერო, არა [11] სამე-
 ჯინიბო და სახორსალო, არა ტიკ-ტომარა, არა სამ[ო] [12]ურაო, არა ს[ან] [ა]
 ც[ვ]ლო და ს[ა] [ა]სისთ[ა]ო, არა საქვეზაო და საგზ[13]ირო, არა საურ[ავ]ი, ერთი
 ლაშქარ-ნადირობის მეტი და კარზ[ე] [14] სამსახურის მეტი.

[გ]ქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან) ჩვენსა ერ[15]დგულობას და
 სამსახურის <მეტ> შინა.

შეწევნითა მლთის[ა]თ[ა] ეს [16] ასრე გაგიტ[ა]ვდეს და არაოდეს არ მოგეშ-
 ალოს. ამის[17]ად გას[ა]თავებლად და თავდებად მოგუიცემია ღ[მერ]თი და ყო-
 ვე[ლ]ნი [18] მისნი წმინდანი. ვინცა ესე მოგიშალოს და არ და[19] გიმტკიცოს,
 რისხ[ა]ვს ღ[მერ]თი და მამა, ძე და სული წმინდა. ნ[20]ურას სინანულითამც[ა]
 ნუ იქნების კსნა სულისა [21] მისისა.

ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლმ.

ხელრთვები: თეიმურაზ, ხვარაშან

მარცხენა არშიაზე ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის დამტკიცებები:
 ქ. ჩვენ ორთავე საქართველოს მეფე ირაკლი, ვამტკიცებთ ამ სიგელსა, [22]
 მარტის ია, ქ(ორონი)კ(ონ)ს უჲ (1772).

[23]ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს, ქართლისა და კახეთისა

და სხვათა მეფე გიორგი, ამ წყალობის [წიგნს] ვამტკიცებთ. ოკდონბრის ბ, ქ(ორონი)კ(ონ)ს შპპ (1800).

უზის ლუარსაბ ბატონი შვილის, ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის ოთხკუთხა ბეჭედი. ასევე ერთო ოთხკუთხა ბეჭედი რომლის ლეგენდაც არ იკითხება.

საბუთის verso-ზე ფანქრით მინაწერი: სოფ. მირზაანი დანი, ზურაბ თარაშვილისაგან, XI. 1947.

კომენტარი:
თარიღი დათუკა არის გლეხი, რომელიც მეფეს რაღაც დამსახურების გამო გაუთავისუფლებია საგლეხო გადასახადებისაგან.

**1648 წ. 4 აბვისტო. თარხნოვის ბანახლების წიგნი
თეიმურაზ მეფისა ნაცვალ ხოსროსაჟი**

დედანი: სეა, 1448-1722; ყავისფერი ეტრავტი, ორად გაკეცილი; ზომა 41,5X17,4. მხედრული; შავი მეღანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

თარიღი: საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი ტლპ (336), აგვისტოს 4 (4), რაც გვაძლევს 1648 წლის 4 აგვისტოს.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, ლ(მრ)თივ-გუირ²გუინოსანმან კელმწიფემან, მეფემან პატრონმან თეიმურაზ, და თანამეცხედრემან ჩუენმან, ლ(მრ)თივ-გუირ⁴გუინოსანთა ქართველთა მეფისა ასულმან, დედოფალმან პატრონმან ხვარაშან, და პირმშომან და სასურველმან ძემან ჩუენმან, პატრონმან დავით და ძი⁷სა ჩუენისა ძეთა, პატრონმან ლუარსაბ დანიკოლოზ⁸ და გიორგი⁹მ, შეგინყალეთ და გიბოძეთ ესე საბოლოო ჟამთა გასათავებელი, საქმითა სრული და ბძანება-გათავე¹⁰ბული წყალობისა, სითარხნისა და აზადობისა წიგნი და¹¹ სიგელი და ფიცი და პირი, თქუენ, ჩუენთა ერდგულთ¹² ყმათა, ხოსროს და მამისნაცვალსა შენსა, დარ¹³ჩიას, და შეილთა და მომავალთა სახლისა შენისათა – ყოველ¹⁴ელთავე. ასე და ამა პირსა ზედან, მას ჟამსა, ოდეს¹⁵ წიგნის გაახლებას და მამულის სიგელს გვეაჯენით, ¹⁶ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, და მოკითხული ვქენ¹⁷ით და, ვითაც ძველითგანაც აზადნი ყოფილიყუენით, და ჩუენცა ¹⁸ წიგნითა ამით დაგიმტკიცეთ, და ასრე გითარხნეთ და გაა¹⁹ზადეთ, რომე არა საჩუენო სათხოვარი არა გეთხოვებო²⁰დეს-რა: არა პური, არა

ღვინო, არა საკლავი ძროხა, არა ²¹ ცხუარი და ღორი,* არა სამასპინძლო, არა მდგმური და არა სა²²მდგმურო, არა გოჭი, არა ქათამი, არა ტიკი, არა ²³ ტომარა, არა საური, არა სამოურავო ულუფა, ა²⁴რა საყუელიარო მოსაკრეფი, ყუელი და კუერცხი, ერბო, ²⁵ და ბრინჯი, არა სამარხო ლობიო და ნიგოზი, არა საბ²⁶აზიარო ქათამი, არა სამეჯინიბო, საახორსალარო ²⁷ და სამუქლემო ჯირა და ულუფა, და თივა და ბზე, არა ²⁸ ულაცი, არა კარ-მარკილი, არა მუშაობა, არა ბეგარი და ²⁹ სეფაობა. ასრე გაგვითავისუფლებიხარ, ერთის ლაშ³⁰ქარ-ნადირობისაგან და სხვა რიგის სამსახურისაგან კიდე, ³¹ არას იქმოდე და არცა-რა გეთხოვებოდეს.

და გვიბო³²ძებია თქუენივე სამკუიდრო მამული, რაზედაც ოდეს სახლ³³ობხარ და ქოდელაანში სას{ა}ფლაო და, რისაც მამულ³⁴ის მქონებელი იყო დემურაანში, ნატროს ნაქონი ³⁵ მამული და თასმალურში მურადა და სახლი მისი ³⁶ შვილებითურთ და მისის მამულითა. ეს მამულები ³⁷ ყოვლითურთ უკლებლად მათის სამძღვრითა და გასად³⁸ევარიითა, სახლ-კარიითა, ქვეერ-მარნიითა, სასაფლაოთა, ³⁹ საბძელ-კალოთა, საკნავითა, სათესითა, ველითა, ⁴⁰ ვენაკითა, წყლითა, საწიქუილოთა, ბახჩითა, საძოვრი⁴¹თა, სათიბითა, თავითა და ბოლოთა, მთითა და ბა⁴²რითა, შესავლითა და გამოსავლითა, რისაც მ⁴³ქონებელი ყოფილან.

გქონდეს და გიბედნიერო⁴⁴ს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან, ⁴⁵ მკუიდრად და სამამულედ ყოვლის კაცისაგან უცილებ⁴⁶ლად, მოუდევარად, ეს ასე გაგითავდეს და არაო⁴⁷დეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემ⁴⁸დგომად ჩუენთა მომავალთა სხვათა მეფე-მეპა⁴⁹ტრონეთაგან.

ანე, გ(ი)ბ(ძანე)ბთ კარისა ჩუენისა გამრიგენო, ⁵⁰ ვექილ-ვეზირნო და ენისელთ მოურაო და სხვანო მო⁵¹საქმენო, ესე ჩუენი წყალობა თქუენცა ასე დაუმტკიც⁵²ეთ და ნუ მოუშლით, თვინიერ თანადგომისა ⁵³ და შეწევნისაგან კიდე.

ანე, ვინცა და რამამცა ადამი⁵⁴ს მონათესავემან კაცმან, დიდმან ანუ მცირ⁵⁵ემან, მეფემან ანუ დედოფალმან, გინა უფლი⁵⁶სწულმან, ესე ჩუენი წყალობა მოშალო⁵⁷ს [...] მოშალოს მის ყოფისა და სიცოცხლისა⁵⁸გან და ყოველივე მისი კეთილად გაგებული ⁵⁹ ბოროტად შესცუალოს, და რისხავსმცა ლ(მერ)თი ⁶⁰ [მა]მა, ძე და სული წმიდა და ყოველნი წმი⁶¹დანი ლ(მრ)თისანი, ზეცისანი და ქუეყანისანი, კორცი⁶²ელნი და უკორცონი. ხოლო დამამტკიცებელნი ⁶³ ამისნი ლ(მერ)თ(მა)ნ აკურთხნეს.

დაინერა წიგნი ⁶⁴ და სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლპ, თვესა აგვისტ⁶⁵ოსა ღ.

ხელრთვები: თეიმურაზ, ხვარაშან, დავით

გვიანდელი დამტკიცებები:

1. 1755 წელი: ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის თეიმურაზის ძე, მეფე ერეკლე, ვამტკიცებთ სიგელსა ამას, რაგვარადაც ჩვენ პაპა-¹ბიძათ წყალობები უქნია და უაზადებიხართ, ჩვენც ამრიგად წყალობა გვიქნია და

* “და ღორი” ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ.

გვიაზადებიხართ, უმგ.

უზის რვაკუთხა ბეჭედი მხედრული ლეგენდით:
ჩვენ, ფეხგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

2. 1781 წლის 4 თებევალი:

ქ. ჩვენ, მეფის ძე ვა ხ ტ ა ნ გ ვამტკიცებთ სიგელსა | ამას. თებერვლის დ,
ქ(ორონი)კ(ონ)ს უფთ“.

უზის რვაკუთხა ბეჭედი მხედრული ლეგენდით:
ლომად იუდას ბაკეთად, ვახტანგ, ირაკლის ნაკვეთად.

კომენტარი:

საბუთი გაცემულია 1648 წლის 4 აგვისტოს. ეს ქრონოლოგიური ცნობა მიუთითებს, 1648 წლის გადამწყვეტი ბრძოლა მადაროსთან თეიმურაზსა და როსტომს შორის, რომელსაც შეეწირა თეიმურაზის ძე დავითი, აგვისტოს შემდეგ მომხდარა.

**1648 წ. წყალობის წიგნი თეიმურაზ მეფისა
თამაზ ჩოლოყაშვილისადმი**

დ ე დ ა ნ ი: სეა, 1448-1501; ყავისფერი ქაღალდი; ზომა 38,1X23,2; მხედრული; შავი მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთი გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თ ა რ ი დ ი: საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი ტლვ (336), რაც უდრის 1648 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი: მდივან-მწიგნობარი ელისბარი.

ქ. სახელითა არსება-დაუსაბამოსა ლ(მრ)თისა, მამისა, ძისა და სული-სა წმიდისქათა; წმიდათა და დიდებულთა ზეცისა ძალთა საღმ(რ)თოთა, უსხეულქოთა ერისმთავართა, მიქაელ და გაბრიელისათა და ყოველთა წმიდათქა დასთა ანგელოზთათა; თავდებობითა, მონობითა და შუამდგომელობითა |⁵ წმიდისა, დიდებულისა დედოფლისა ჩუენისა ლ(მრ)თისმშობელისა, მარადის |⁶ ქალწულის მარიამისითა, წმიდისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისათა, |⁷ რომელსა ზედა განკუთარულ იქმნა} ჭეშმარიტი ლ(მერთ)ი ქრისტე, მეუფე და |⁸ უფალი ჩუენი ცხოვრებისათვის ჩუენისა; ოხითა და შეწვევითა წმიდისა}, |⁹ დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოვანესითა; მეოხებ|¹⁰ით და შეწვევით წმიდათა ოცდაოთხთა და შორიდგანვე ქრისტეს უფლის|¹¹ა მომასწავებელთა წინასწარმეტყულთა: მოსე, ესაია, იერემია, დანი|¹²ელ, ელია, ელისე, ზაქარია, დავით და იაკობ და ყოველთა წინასწარმეტყუელთათა; მეოხებითა და თანა}დგომითა

წმიდათა ათორ{მეტ}თა მოციქულთა, |¹⁴ პეტრესი და პავლესითა და სხვათა სამეოცდაათთა ქრისტეს მონაფეთათა; |¹⁵ მქეოხებითა წმიდათა მღვდელთმოდღვართა: ბასილი, გრიგოლი |¹⁶ ლ(მრ)თისმეტყუელისათა, იოვანე ოქროპირისათა, ათანასი და კუირი |¹⁷ლეალექსანდრ{ი}ელისათა; შეწვევითა და თანამქეოხებითა წმიდათა} მთავარ|¹⁸მონამეთა: პირველმონამისა სტეფანესი, გიორგი, დიმიტრი, თე|¹⁹ვდორე, პროკოპი, პანტელეიმონ, მერკუური და ევსტათისითა და ყოველთ|²⁰ა წმიდათა ლ(მრ)თისათა.

და ამა ყოველთა ზემო წერილთა} წმიდათა} თავდებობ|²¹ითა, მინდობითა და შუამდგომელობითა ჩუენ, კელმნიფემან, მეფემან პატ|²²რონმან თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩუენმან, ქართველთა მეფეთა |²³ასულმან, დედოფალმან პატრონმან ხვარაშან, და ძისა ჩუენისა ძე{ებ}მან, პ|²⁴ატრონმან ლუარსაზ და პატრონმან ნიკოლოზ და გიორგიმ, ესე უკუნისამ|²⁵დე ფამთა და ხანთა გასათავებელი წყალობისა სამკუიდრო და საბოლოო} |²⁶წიგნი და სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩოლოყაშვილს თამაზ |²⁷, შვილსა შენსამაშუკას, დურ-მიშხანს და გიორგის, შვილთა და მომა|²⁸ვალთა სახლისა შენისათა.

ასე რომე, ლიხთ-იმერს სიღარიბეში თ|²⁹ან გ[ვ]ახლდი, ბევრი გუიმსახურე და ერდგულად მოგუიდევ. წყალო|³⁰ბასა გუიაჯენით, რათამცა ნამსახურთა თქუენთა სამუქფო წყალობა |³¹ გუეყო. ანე, თუ ფამთა ვითარებისაგან თქუენ და სუფრაჩის სახლი გაიყა|³²რნეთ, რაც ამას წინათ სუფრაჩის ბიძინასათვის და ჯამასპისათვის |³³ წყალობად მამული გუიებოძოს, ან უჯარმას და ანგავაზს, – ყუელაში ნილ|³⁴ დაგიდვათ და მართლა ძმურად გაგიყოთ, და ნილმოუკლებლად გაგ|³⁵ყაროთ. და არც უჯარმას და არც გავაზს თქუენზედ და თქუენს შვილებზედ |³⁶ ნამეტნავი არ ვარგ{უ}ნოთ. რაც წილი არ ერგოს, არ მოგეშალო|³⁷თ, არც შუა შამოსულითა, არც იმათის ნამეტნავის სამსახურ|³⁸ითა.

შეწვევითა ლ(მრ)თისათა, ესე ასე გაგითავდეს და არ მოგეშალოს არა ჩუენ|³⁹გან და არა შემდგომად ჩუენსა უკან მომავალთა მეპატრონეთაგან. ვინაც|⁴⁰ა და რამაცა კაცმან ეს ჩუენგან ნაბოძები წიგნი და სიგელი მოგიშალო|⁴¹ს, რისხავსმცა დაუსაბამო ლ(მერთ)ი, მამა, ძე და სული წმიდა სოფელსა ამას მსწრა|⁴²ფლ სიკუიდილითა, და საუკუნოსა მას გამოუქსნელად წარწყმედითა. შე-მცა-|⁴³ედების ძრწოლა კაენისა, კეთრი გეზისა, ცეცხლივ დანთქმა და თან |⁴⁴ და აბირონისი, შიშთვილი იუდასი, მატლით განლეულობა ეროდესი, მესდა|⁴⁵ტეხილობა დიოსკორესი. მას ზედამც აღესრულება მეთადარვე იგი წყევითა ფს|⁴⁶ალმუნი და ნურა რათამცა სინანულითა ნუ იქმნების კსნა სულისა მ|⁴⁷ისისა.

დაინერა სიგელი ესე კელითა კარისა ჩუენის მდივან-მწიგნობრისა, |⁴⁸ ელისბარისათა, ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლვ.

ხელრთვები: თეიმურაზ, ხვარაშან, ლუარსაზ

გვიანდელი მინანერი საბუთის verso-ზე:
ქ. ესე წიგნი ბატონის თეიმურაზის არის, გაყრისა.

[1648-1657 წწ.] წყალობის წიგნი
თეიმურაზ მეფისა იოვანე სააკაძისადმი

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd-5296, მოყვითალო ქაღალდი; ზომა: 30.0X21.3; შავი მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. მოფლეთილია საბუთის კიდეები, რომლებიც შეესებულება სარესტავრაციო ქაღალდით.

საბუთი უთარილოა. მისი დათარიღება ემყარება შემდეგ გარემოებას: საბუთში თეიმურაზი შეიღებს შორის დავითს არ მოიხსენიებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საბუთის დაწერის დროს დავითი ცოცხალი აღარ არის. იგი დაიღუპა 1648 წელს მალაროსთან ბრძოლაში. ამის შემდეგ თეიმურაზის საბუთებში შეიღებად იხსენიებიან შვილიშვილები: ლუარსაბი და ერეკლე. ლუარსაბი გარაიცვალა 1659 წლის 1 თებერვალს. თავად თეიმურაზი მოსკოვში წავიდა 1657 წელს. იოვანე სააკაძისადმი თეიმურაზს წყალობის საბუთი უნდა მიეცა სავარაუდოდ, იმერეთში (“ზვენთთვის წამკდარსა ყმასა”), მოსკოვში წასვლამდე. თეიმურაზი, მიუხედავად იმისა, რომ ქართლის მამულებზე ხელი არ მიუწვდებოდა, თავის ერთგულ ყმას მაინც აძლევს იურიდიულ დოკუმენტს ძველი სამფლობელოების დაბრუნების შესახებ. ამდენად, საბუთი შეიძლება დათარიღდეს 1648-1657 წლების შუალედით.

ქ. სახელითა სახიერისა არსება დაუსაბამოსა მლთისა მამის[ა] |² ძისა და სულისა წმიდისათა, თავდებობითა მინდობით[ა] |³ და შუამდგომელობითა წმინდათა ზეცისა ძალთა ანგელოზ[ა]თა, მთავარანგელოზთა მიქელ და გაბრიელისათა; თავ[დ] |⁵ ეობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა უმეტესად |⁶ კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა მლთისმშობე[ა]ლისა, მარადის ქალწულისა მ ა რ ი ა მ ი ს ა თ ა ; თავდებობი[ა]თა, მინდობითა და შუამდგომელობითა წმინდათა ათორ[ა]მეტთა მოციქულთა თავთა, პ ე ტ რ ე ს ი და პ ა ვ ლ ე ს ი თ ა .

|¹⁰ თავდებობითა და მინდობითა და შუამდგომელობითა, ესე |¹¹ უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებე[ა]ლი წყალობისა წიგნი და სიგელი გიბოძეთ ჩუენ, |¹³ ხელმწიფემა მეფემა პატრონმა თ ე ი მ უ რ ა ზ , და თანა |¹⁴ მეცხედრემა ქართველთა მეფისა ასულმა დედოფა |¹⁵ ლმა პატრონმა ხ ვ ა რ ა შ ა ნ , ძემა ჩუენმა პატრ |¹⁶ ონმა ლ უ ა რ ს ა ბ და ერეკლე მ , შეგინწყალეთ და გიბოძეთ |¹⁷ შენ, ჩვენსა ერდგულსა და თავდა[დ]ებით ნამსახურსა, და ჩვენ |¹⁸ თვის წამკდარსა ყმასა ს ა [ა] კ ა ძ ე ს ი ო ვ [ა] ნ ე ს და ძმასა ზ უ |¹⁹ რ ა ბ ს და ბ ე ჟ ა ნ ს , და შვილთა თქვენთა გ ი ო რ გ ი ს და

კომენტარი:

თამაზ ჩოლაყასვილი – თან ახლდა თეიმურაზს იმერეთში, რის საფუძველზეც ითხოვს იგი წყალობას. თამაზი ბიძაშვილი იყო სუფრან ბიძინა ჩოლაყასვილისა, რომელიც შემდგომში ბახტრიონის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა.

[1648 წ. ახლო]. შიგის წიგნი
თეიმურაზ მეფისა ხაქარია ავალიშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd-14687; სიძველისაგან გაყვითლებული ქაღალდი; ზომა: 26.0X16.5 სმ. შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: გადაკეცვის შედეგად დაზიანებულია საბუთის ზედა ნაწილი, ნაწილობრივ დაზიანებულია ტექსტიც, თუმცა ამოკითხვა შესაძლებელია. დაზიანებული ადგილები შეესებულება სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1828 წელს.

საბუთი უთარილოა. იგი თეიმურაზ მეფეს გაუცია 1648 წლის ახლო ხანებში, მას შემდეგ, რაც მისი ძე დავითი გარდაიცვალა.

გ ა მ ო ც ე მ ა: თაყაიშვილი, 1910: №562, გვ. 541.

ქ. ლ(მრ)თისა და უბინოდ მშობელისა მისისა, თავდებობითა, მოწმობითა და შუამდგომლობითა ყოველთა წმიდათა ლ(მრ)თ(ი)შსათა, ზეცისათა და ქუეყანისათა, კორციელთა და უკორცოთა. |⁴ ამათითა თავდებობითა, მოწმობითა და შუამდგომლობითა, |⁵ ესე უცვალებელი უმიზეზო, ყოვლისა ხლათისა ილათისაგან |⁶ გამოსული მტკიცე და შეუცვალებელი საფიცრისა წიგნი |⁷ გიბოძეთ ჩუენ, ხელმწიფემან მეფემან, პატრონმან თ ა ი მ უ რ ა ზ |⁸ და თანამეცხედრემა ჩუენმა, დედოფალთა დედოფალმა, |⁹ პატრონმა ხ ვ ა რ ა შ ა ნ , და პირმშომან ძემან ჩუენმა პატ |¹⁰ ონმა დ ა ვ ი თ , თქუენ, ჩუენსა ერთგულთა და თავგარდადები |¹¹ თ ნამსახურთა ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ს ა პ ა ტ რ ო ნ ს ა ზ ა ქ ა რ ი ა |¹² და შვილთა თქუენთა, ბოდბელ მთავარებისკოპოზსა პატრო |¹³ ნსა ა რ ს ე ნ ი ს , ა ვ ა ლ ს ა , ქ ა ი ხ ო ს რ ო ს , დ ა ვ ი თ ს , ლ ო ნ ე ნ ა ს , და |¹⁴ ბ ე ჟ ა ნ ს .

ასე და ამა პირსა ზედა, თუ ან ყე[ა]ნმა და ან რ ო ს ტ ო |¹⁵ მ ხ ა ნ თქუენი თავი მოგუიდვას, არას მიზეზისათვის არ მიგცე |¹⁶ თ. და არც ჩუენის ქუეყანით დაგითხოვოთ არც ჩუენ და |¹⁷ არცა ბძანებისა ჩუენისა მოსმინოს კაცისაგან არა გევნოს |¹⁸ და არცა-რა გეზიანოს. და თუ ვინმე საძალოთ მოგინდომოს, |¹⁹ არას მიზეზისათვის არ დაგანებოთ. ესე ასე გაგითაოთ და ა |²⁰ რ ა გ ი მ ტ ყ უ ვ ნ ო თ , და ვინცა ესე ასე არ გაგითაოს, თავადამც რ ი |²¹ ს ხ ა ვ ს ლ (მერ)თი და ყოველნი მისნი წმიდანი და თვით ყ(ოვლა)დ წმ |²² იდა ლ(მრ)თისმშობელი.

ზ ა [ა] |²⁰ლ ს ა და გ ი ვ ს და შ ა ლ ვ ა ს , და შვილთა და მომავალთა სახ-
ლ²¹ისა შენისათა.

გიბოძეთ ს ა მ ლ ე რ ე თ ი შენის განაყოფის |²²მამული, უწინაც თქვენი
ყოფილიყო მისის მთით, |²³ბოლოთ, წყლით, წისქვილით, საყდრით, სას-
აფლ²⁴ათა, შესავლითა, გასავლითა, საკნავითა, სათეს²⁵ითა, სათიბითა, რი-
საც ალაგს შენი განაყოფი თ ა მ ა ზ ა |²⁶მამულის პატრონი იყოს, თქვენთვის
გვიბოძებ²⁷ია.

[გ]ქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდგ²⁸ულობასა და
სამსახურში. ამისად გასათავებელად მოგვიც²⁹ემია ღ(მერ)თი და ყოველნი
მისნი წმინდანი ზეცისანი და ქვეყანისანი.

ხელრთვები: თ ე ი მ უ რ ა ზ , ხ ვ ა რ ა შ ა ნ , ლ უ ა რ ს ა ბ

კომენტარი:

სააკაძეები აზნაურული საგვარეულო. მათი ერთი შტო ქართლის მეფის
აზნაურთა შორის მოხვდა, ხოლო მეორე, ქვემო ქართლში მცხოვრებნი,
ქაჩიბაძე-ბარათაშვილთა აზნაურები იყვნენ. ეს უკანასკნელნი ალგეთის ხე-
ობაში ცხოვრობდნენ, 1523 წელს უკვე იხსენიებიან ბარათაშვილთა აზნაურ-
რებს შორის (ჯამბურია, გიორგი სააკაძე, 1964: გვ. 20). მათთვის წყალობად
გადაცემული სოფ. სამღერეთი ქვემო ქართლში მდებარეობს. აღნიშნული
სოფელი უკვე ჩანს სააკაძეთა მფლობელობაში 1580 წლიდან, როდესაც
მეფე სიმონმა იგი ახალშენთან და აბელიასთან ერთად უბოძა იოვანე საა-
კაძეს და ფრიდონის შვილებს (მუსხელიშვილი (რედ.), 2010: გვ. 111).

**1649 წ. 15 ივნისი. შაჰირულების წიგნი
მარტია მდივანისა სიონის ღმრთისმშობლისაჲმ**

პ ი რ ი: სეა, 1449-2653.

საბუთის თ ა რ ი დ ი: ქორთიკონი ტლზ (337) ივნისის იმ, რაც უდრის
1649 წლის 15 ივნისს.

ქ. სახელითა სახიერისა, არსება დაუსაბამოსა, დაუსრულებელისა, უს-
აბამოსა, უხილავისა, უკუდავისა, ძალ-განუზომელისა, მიზეზ-შემოუღე-
ბელისა, ღმრთისა მამისა, ძისა და წმინდისა სულისა; ძლიერებითა ცხოვ-
ელსმყოფელისა პატიოსნისა ჯვარისათა, წმინდისა წინასწარმეყუელისა,
წინამორბედისა, ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე ლ ი ს ა ი ო ვ ა ნ ე ს ი თ ა და ი ო -
ვ ა ნ ე ქ ა ლ წ უ ლ - მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ი ს ა თ ა , წმიდათა მოციქულთა პ ე -
ტ რ ე ს ი თ ა და პ ა ვ ლ ე ს ი თ ა , წმინდათა მღვდელთმოდღვართა, მოწამეთა
ქალწულთა, მეუდაბნოეთა, მესვეტეთა და ყოველთა წმინდათა ღმრთისათა.

ჩვენ, ორისავე საპატრონოსა, ქ ა რ თ ლ ი ს ა და კ ა ხ ე თ ი ს ა

დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან მ ა რ ი ა მ , ესე შემონირულობისა
წიგნი და სიგელი გკადრეთ და მოგახსენეთ შენ, ჩვენსა მეოხ-ნავთსაყუდელ-
სა, სამეფუოსა ქალაქისა ტ ფ ი ლ ი ს ი ს ა სანახებსა განმანათლებელსა, ტახ-
ტისა და საპატრონოსა ჩვენისა დამადგინებელ-დამამყარებელსა, ს ი ო ნ თ ა
ღმ(რ)თისმშობელსა.

5

მას ჟამსა, ოდეს ბატონმა თ ე ი მ უ რ ა ზ კ ი ს ი ს კ ე ვ ი ნასისხლად
დაგვიდვა, და მერმე მოჰკდა საქმე და თავისის საბატონოსაგან გარდავარდა
და ი მ ე რ ე თ ს წავიდა, კ ი ს ი ს კ ე ვ ი ჩვენად სახასოდ დავიჭირეთ. მოვ-
იდა ტაძრისა თქუენისა საჭეთმპყრობელი, ტფილელ მთავარეფისკოპოზი
ე ლ ი ს ე , კაცი სარწმუნო და ღმთისა საკუთარ-ქმნილი, და ძველი სიგელი
მოგვართვა ბატონის ლ ე ვ ა ნ ი ს შენირულობისა, როდეს მეორედ ს ი ო ნ -
თ ა ღმ(რ)თისმშობლის ხატი შეეჭედა, ეს მამულიც მაშინ შეენირა.

10

ჩვენცა წადიერ ვიქმენით და კელახლა შემოგწირეთ კ ი ს ი ს კ ე ვ ს
ძველი შენირული ზვარი ე ს ი ა უ რ ი , საკომლო მისის საკნავ-სათესითა,
სადგომითა და სანისქულოთა, კიდეც – ხ ო შ ა უ რ ი მამული მისის სამძღვრი-
თა, რაც ი ა გ უ ლ ა ს და ან მ ა ხ ა რ ე ბ ლ ი ს შ ვ ი ლ ს ა ჰქონია, ყველა ისევე
უკლებლივ თქუენთვის შემოგვიწირავს.

15

ანე, ვევედრები უკანასკნელ ჩვენსა მეპატრონეთა, მემკვიდრეთა, გინა სხ-
ვათა მპყრობელ-მქონებელთა, ნურვინ კელ-ჰყოფთ შლად ამისად. და თუ ვინმე
მძღავრებით ანუ თავკედობით ინებოს, მეფემან ანუ დედოფალმან, თავადმან,
ეფისკოპოზმან, და რამანც გვარმან კაცმან ეს მამული გამოსწიროს და მოუშ-
ალოს ტაძარსა თქუენსა, იგიმცა მოიშლების ყოვლის კეთილისა და წაღმარ-
თის საქმისაგან, შე-მცა-ედების კეთრი გ ე ზ ი ს ა , შიშთვილი ი უ და ს ი ,
ცოცხლივ დანთქმა და თ ა ნ და ა ბ ი რ ო ნ ი ს ი , მეს-ტენილობა დ ი ო ს კ ო -
რ ე ს ი , მისიმც კეთილი საქმენი ბოროტად მოიქცევიან ამ სოფელს დღეთ, და
მტრობით და საუკუნოს წაწყმედითა. და ნურას სინანულით ნუ იქმნების კსნა
სულისა მისისა ჯოჯოხეთისაგან. ხოლო დამამტკიცებელი ამისნი ღ(მერ)
თ(მა)ნ აკურთხნეს და კეთილნი საქმენი მიანოჭოს.

20

25

დაინერა მტკიცე და უცვალებელი წიგნი და სიგელი ესე კელითა
კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრისა მ ა რ ტ ი რ ო ზ ი ს შ ვ ი ლ ი ს
შ ა ლ ვ ა ს ი თ ა . თვესა ივნის(ს)ა იე, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლზ.

30

ხვეულად: მ ა რ ი ა მ

[1659-1662 წწ.] წყალობის განახლების წიგნი
თეიმურაზ მეფისა [სომეხთა] კათალიკოს იაკობისაჲმ

პირი: სეა, 1450-21/ 21.

საბუთი უთარიღოა, მასში მოხსენიებული ლუარსაბ ბატონიშვილი გარდაიცვალა 1659 წელს. ამიტომ საბუთი დათარიღებულია თეიმურაზის მეფობის უკანასკნელი (1659-1662) წლებით.

[ქ.] ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, ხელმწიფემან პატრონმან თეიმურაზ, და თანამეცხედრემან ჩვენმან ქართველთ მეფისა ასულმან, დედოფალმან პატრონმან ხუარაშან, და ძისა ჩუენისა ძემან პატრონმან ლუარსაბ, და პატრონმან ერეკლემ, ესე უკუენისამდე სამკვიდრო და 5 საბოლოო წყალობისა წიგნი და სიგელი მოგართვით თქუენ, გრიგოლის საფლავზედ მდევს კათალიკოს პატრონს იაკობს.

ასრე რომე, იმერეთს ღარიბად ვიყავით. თქუენ ჩუენთვის კახეთ-ში ერთი სოფელი გეთხოვნა, ჩუენ ავაშენებთო. ჩუენ ენისელში ერთი კარგი სოფელი თასმაღური მოგართვით მათის სასახლის ადგილებით, 10 ქუევერ-მარნითა, სააბრ [ე]შუმეს ბახჩებითა, საკნავითა, სათესითა, სათიბითა, შესავალ-გასავალითა, წყალ-სანისქუილოთა, ტყითა, ველითა, მითთა, ბართა და ყოვლის მისის გასადევართ ადგილით.

უკლებლად და ყოვლის კაცის უცილებლად და მოუდევრად თქუენთვის სამკუიდროდ და საბოლოოდ მოგვირთმევი, არას ჩუენის ნათესავის კაცისა- 15 გან არ მოგეშალოს. გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან).

შეწევნითა ღ(მრ)თისათა, ესე ასრე გაგითავდეს და დაგიმტკიცდეს. ქ(ორონი)კ(ონ)სა...

ხელრთვები: თეიმურაზ, ხვარაშან, ლუარსაბ

პირის გადამწერის მინაწერები:

ასლიდგან თანასწორ არს. ჩანერალი სოვეტნიკი თეიმურაზ ბაგრატიონი.

[1659-1662 წწ.] წყალობის წიგნი
თეიმურაზ მეფისა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილისაჲმ

დედანი: ხეც, Hd-14674; თეთრი ქაღალდი; ზომა: 53X16 სმ. შავი ფერის მელანი; მხედრული ხელი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთის ზედა მხარეს მიწებებული აქვს ცისფერი ქაღალდის ფრაგმენტი, რომლის verso-ზე მიწერილია საბუთის რეგისტრაციის რუსული ტექსტი და თარიღი – 1825 წ. აქვე დასმულია მრგვალი ბეჭედი.

საბუთი უთარიღოა: გამოცემაში იგი დათარიღებულია 1659-1662 წლებით. 1659 წელს თეიმურაზი დაბრუნებულია მოსკოვიდან, სადაც მანამდე ელჩად იყო ქაიხოსრო ჩოლაყაშვილი. ზღვრად მითითებულია თეიმურაზის გარდაცვალების წელი (1662). სავარაუდოდ, სწორედ დროის ამ შუალედში შეეძლო მას გაეცა მოცემული წყალობის საბუთი.

ქ. სახელითა სახიერისა არსებადაუსაბამო¹სა მლთისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისა; ² თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა³თა წმინდათა ზეცისა ძალთა, ანგელოზთა და ⁴ მთავარანგელოზთა მიქელ და გაბრიელი ს⁵თა; თავდებობითა, მინდობითა წმინდათ⁶ა ცხოველსმყოფელისა ძელისა ჯვარისათა, ⁷ რომელსა ზედა განიპყრა ქრისტე-მა უხრწ⁸ნელი მკლავი თვისი. ამისის თავდებობით⁹ა და მინდობითა და შუამდგომლობითა უმ¹⁰ეტესად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ¹¹ მლ-თისმშობელისა, მარადის ქალწულისა ¹² მარიამისათა; თავდებობითა და მინდობითა და ¹³ შუამდგომლობითა წმინდათა წინასწარმე¹⁴ტყუელთა და ათორმეტთა მოციქულთ¹⁵თა თავთა: პეტრესი და პავლე სითა, და ყოველ¹⁶თა წმინდათა მღ¹⁷რთისათა ზეცისათა და ქვეყა¹⁸ნისათა, კორციელთა და უკორცოთა.

ამ¹⁹ათის თავმდებობითა, მინდობითა და შუამ²⁰დგომლობითა, ესე წყალობისა წიგნი და სა²¹ფიცარი გიბოძეთ ჩუენ, ხელმწიფემა მე²²ფემა პატრონმა თეიმურაზ, და თანამეცხ²³ედრემა, ქართველთა მეფისა ასულმა დედო²⁴ფალმა პატრონმა ხვარაშან, პირმშო²⁵მა და სასურველმა ძემა ჩუენმა, პატრონმა ლუ²⁶არსაბ და პატრონმა ერეკლემ, შეგინყალ²⁷თ და გიბოძეთ შენ, ჩოლაყაშვილს ²⁸ იორამის შვილს სუფრანს ქაიხოსროს, შვი²⁹ლთა და მომავალთა სახლისა შენისათა, რა³⁰თა ღარიბობაში იმერეთსა გარდმო³¹გვევ და ბევრი გუემსახურე, და ერდგუ³²ლად მოგუიდექ და მერმე რუსეთს გა³³გ³⁴ზავნეთ ელჩათ, ჩემს შვილს წინა წაგ³⁴იმძღვანეთ.

და სამსახურისა შენისა სამუქუ³⁵ფო გიბოძეთ, რაც უჯარმაში ალა³⁶ვერდელს და მის ძმას ავალს და მის ³⁷ ძმებს ჩვენგან ნაწყალობევი მამული ქ³⁸ონდა, შენთვის გვიბოძებია მისის მითთა ³⁹ ბართა, ველითა,

30 მე-4 სიტყვა ამოშლილია. 36 მე-4 ამოშლილია.

ვენახითა, წყლითა, წის⁴⁰ქვილითა, სახნავითა, სათესითა, ბალითა, სან⁴¹ადი-
როთა, ყოვლის მისის ფერითა შ⁴²ენთვის გვიბოძებია.

და კიდევ გიბოძეთ, რაც ⁴³შენ უტ[ო]ს მამული გაგეფიცოს – ერთი
⁴⁴ზვარი და სხვა მამული მისის მთი⁴⁵თა ბარიითა, ველითა, ვენახითა, წყლი-
თ⁴⁶ა, წისქვილითა, სახნავითა, სათესითა, მისის ⁴⁷ყოვლის ფერითა შენთვის
გვიბოძებია.

[გ]ქ⁴⁸ონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან) ჩუენსა ერ⁴⁹დგულობასა
და სამსახურში. ვინცა ესე მო⁵⁰გიშალოს, ან ჩუენ და ან ჩუენმა მომა⁵¹ვალ-
მა მეფემ მეპატრონემა, რისხავს ღ⁵²მერთი და ყოველი მისნი წმინდანი,
ზე⁵³ცისანი და ქვეყანისანი, კორციელნი და უ⁵⁴კორციონი.

დაინერა წიგნი და სიგელი კა⁵⁵რისა ჩუენისა მდივნის გლია [...]
თისათა. ⁵⁶

ხელრთვა: თ ე ი მ უ რ ა ზ , ხ ვ ა რ ა შ ა ნ

კომენტარი:

სუფრანი ქაიხოსრო ჩოლაყასშვილი 100-კაციან ამაღლასთან ერთად
თეიმურაზმა თან გააყოლა მოსკოვში თავის შვილიშვილ ერეკლეს და
მის დედას, დიასამიძის ასულ ელენეს. ჩრდილო კავკასიაში მათ თავს
დაესხნენ ყუმუხთა რაზმები, რომლებმაც ამაღლის წვერთა ნაწილი დახ-
ლცეს, ნაწილი დაატყვევეს და დედა-შვილი გაძარცვეს – წაართვეს სა-
მოსი და მოსკოვის მეფისათვის განკუთვნილი საჩუქრები. ქაიხოსრო
ჩოლაყასშვილმა მოახერხა გადარჩენილების მიყვანა თურგის ციხემდე.
საიდანაც ერეკლე ბატონიშვილმა ბერი თეოფანე გაგზავნა მოსკოვს წერ-
ილითა და დახმარების თხოვნით. ქაიხოსრო თან გაჰყვა ბატონიშვილს
მოსკოვში (მამისთვალიშვილი 2011, გვ. 441).

1662 წ. საწიგნის წიგნი

თეიმურაზ მეფისა ჩიქმუ ბიორბი ალაღალისშვილისადმი

პირი: სეა, 1450-26/156, XIX საუკუნის პირების დავთარი. 1820 წელს
საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში. ტექსტი
ბევრგან ბუნდოვანია.

თარიღი: ქორონიკონი ტმ0 (350), რაც გვაძლევს 1662 წელს.

სახელითა არსება დაუსაბამოსა ღ(მრ)თისა, მამისა, ძისა, და სული-
სა წმინდისა; მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომლობითა ყ(ოვლა)
დ წმინდისა, უხნელისა, უმეტესად კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა,

44 მე-3 სიტყვა ამოშლილია.

ღ(მრ)თისმშობელისა და მარადის ქალწულისა მ ა რ ი ა მ ი ს ა ; მინდობი-
თა, თავდებობითა და შუამდგომლობითა წმინდისა და ცხოველყოფელისა
პატიოსნისა ძელისა ჯვარისათა, წმინდათა ზეცისა ძალთა, ანგელოზთა და
მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა, წმინდითა მო-
ციქულთა თავთა, პეტრესა და პავლესითა, და ყოველთა წმინდათა
ღ(მრ)თისათა, ზეცისა და ქვეყნისათა, ხორციელთა და უხორციელთა მინდობი-
თა, თავდებობითა და შუამდგომლობითა.

ეს[ე] საფიცრისა წიგნი, ფიცი და პირი გიბოძეთ ჩვენ, ხელმწიფემან
მეფეთ-მეფემან პატრონმან თ ე ი მ უ რ ა ზ , და [ძისა ჩვენისა] ძემან პატრონ-
მან ერეკლემ, თქვენ, ჩვენსა ერთგულსა და მრავალფერად თავდადებით
ნამსახურსა და ჩვენის მორჩმა-გადიდების მცდელსა ჩერქეზს ალა-
დაღის შვილს მ[ო]ურავს გიორგის, და შვილთა [თქვენსა] ალა-
დაღას და შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე. ასრე
და ამა პირსა ზედან, რომე პირველად რომ გავლო თქვენმა მამუკაბეგ
თავისი ალაგი და სახლი, ყველა ჩვენს (?) უშველა. და სამჯერ იმერეთს
გარდავედით, და სამჯერვე ღ(მერ)თ(მან) მ[ა]ახლა და ბევრი გემსახურა. და
მასუკან, შენ ქერ[ო] მოესწარ, უ რ უ მ შ ი რომ ვიყავით, მრავალჯერ საქმე და
ომი გარდაგ[ხვდა] და ყველგან კარგად და სახელოვანად იყავ. და მისად სა-
პასუხოდ გიბოძეთ სახასო გარდის შვილისა გან [სა]აყოფო და [მას
ზედა] ვინცა-ვინ ჩერქეზი და ოსი აზნაურიშვილი იყო, მათი მამულით,
ხელშეუალად, სრულობით ჩერქეზი და ნაოხარი ნასოფლარები მათი სამძ-
ღვრითა და გასადევარ[ითა] და ბართა, თავითა და ბოლოთა, მინდურითა და
ჭაღითა, წყლითა და სანისქვილოთა, და ბელბაშითა.

ქართლს ჩამოვედით, ქართლი დავიჭირეთ, მოურავი დაგვესხა
თავსა და შევიბენით. გაი[...], თავად უცხოფრად კარგად იყავი და მერმე
თავებს წამ-ერ)თ და ყანთან გაგ[გ]ზავნეთ. და მაშინ გიბოძეთ ს უ რ ა მ ი ს
[მოურავო]ბა, ტ ე ზ ე რ ი , ქ ვ ი შ ხ ე თ ი , ქ ე მ ფ ე რ ი , და ტ უ რ ნ ა შ -
ვილები და სომხითს სამწევრისი. მას უკან ერისთავი [ვი]
ზურაბ სპასალარი მოვიდა და იმერეთს გარდავიხვეწენით და თან [...]ით
კოსტანტინეპოლს გაგ[გ]ზავნეთ. რაც სამსახური [იყო], ყველა კარგათ
ისაქმე და მისათ საპასუხოდ გიბოძეთ ეს მოურაობა. მასუკან ერისთავმა
იმერ [მო]გვიყვანა და შენ კარგა მოგვეხმარე და ერისთავი გამოვიყვ[ა]
ნე და გიბოძეთ ჩერქეზეთში რაც ჩვენი სახასო იყო, უკლებლად. კიდევ
დიდოეთს დაგვიმარცხდა და კარგად იყავ, დაგვეხმარე და საჯილდაოთ
გიბოძეთ ერთის ამხანაგით სახ[ასო] გასადევრის მებელახობა. და მასუკან
კიდევ იმერეთს გელო[დ]ებ[ო]დით და თხუთმეტს წელიწადს ღარბობაში
გვიახელ. მასუკან [გვა]ხლდი, მერმე ისპა[ა]ნს გვიახელ და ამ სამსახური-
სათვის თავი აღარ [დაზოგეთ ... წყალობის] გაახლებას გვიაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება, წიგნითა ამით ასრე დაგიმტკიცეთ, რომე
არასდროს გეშალოსთ არა ჩვენგან და არა შემდგომად სხუათა მომავალთა
მეფე-მეპატრონეთაგან. ამისად გასათავებლად მოგვიციცემია ღ(მერ)თი და ყო-
ველნი მისნი წმინდანნი ზეცისანი და ქვეყანისანი ხორციელნი და უხორციონი.

2 მცხოველყოფელისა ნსხ. 12 შვილსა თქელსა ნსხ.

დაინერა წიგნი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტმ0.

ხელრთვა: თ ე ი მ უ რ ა ზ

პირის გადამწერის მინაწერები:

ასლიდგან თანასწორ არს. ჩანერალი სოვეტნიკი თ[ავადი] თ ე ი მ უ რ ა ზ
ბ ა გ რ ა ტ ო ვ [ი].

205

**1652 წ. 29 ივნისი. წყალოვის ბანახლების წიგნი
მეფე თეიმურაზისა ბიორბი ნასიძისაღმი**

პ ი რ ი: სეა, 1450-51/260; XIX საუკუნის პირების დავთარი. საბუთი 1826
წელს გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში.

თ ა რ ი დ ი: საბუთს უზის თარიღი ქორონიკონი ტმ (340) ივნისის 30)
(29), რაც გვაძლევს 1652 წლის 29 ივნისს.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ ღ(მრ)თივ გუირგუინოს-
ანმან მეფეთ-მეფემან, ხელმწიფემან, პატრონმან თ ე ი მ უ რ ა ზ და ძემან
ჩუენმან სასურველმან პატრონმან ე რ ე კ ლ ე, შეგინყალეთ და გიბოძეთ
ესე საბოლოო ჟამთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი წყალობისა
წიგნი და სიგელი თქუენ ჩუენთა ერთგულთა და მრავალფერათ თავდადებით
ნამსახურთ ყმათა, ნ ა ს ი ძ ე ს გ ი ო რ გ ი ს და ძმასა შენსა გ ო ჩ ა ი ს და
შ ა ვ ე რ დ ი ს, და შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე,
ასრე და ამა პირსა ზედან რომე პირველ ი მ ე რ ე თ ს თან გარდაგყვევ და
ლარიბობაში გვახლდი, და რ უ ს ე თ ს ა და ი ს პ ა ა ნ ს ა ც გაუყრელად გვახ-
ლდი. და ბევრი გვმსახურე, და მოგვიდეგით კარსა დარბაზისა ჩუენისასა და
ამას გვიაჯენით, რათამცა ნამსხურთა თქუენთა მუქაფა გუეყო.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბოძეთ თქვენე წანართმევი ყმა
ზ ა ზ უ ტ ა და ნ ა ს ყ ი და და ჯ ი ყ ა შ ვ ი ლ ი ს შვილის კაცი ა ბ ვ ი -
თ ა ლ ი მალითა, და კიდევე ს ი ხ ნ ა მისის შვილებითა და რასაც მამულზედ
ესახლოს იმავ მამულიანად.

გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენს ერთგულად სამსახურსა
შიგან მკვიდრად და სამამულოდ, ყოვლის კაცისაგან უცვალებლად და მოუდ-
ევრად, ესე ასრე გაგითავდეს და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და
არა შემდგომად ჩუენთა მომავალთა სხვათა მეფე-მეპატრონეთაგან.

დაინერა წიგნი და სიგელი ესე თვესა ივნისსა კთ, ქ(ორონი)ონს ტმ.

ხელრთვა: თ ე ი მ უ რ ა ზ

გადამწერის შენიშვნა: მეთხუთმეტე სტრიქონში ლექსი “კაცი”

ჩამატებულია და ამავე სტრიქონში ასოები გარწერებულ არის ესრედ:
“შეაცდინა სხვებრ”. სწორე არის სოვეტნიკი თ ა რ ხ ა ნ ო ვ ი.

კომენტარისათვის იხ. საბუთი: ხეც, Qd-2064

206

**1652 წ. წყალოვის წიგნი
თეიმურაზ მეფისა ბიორბი ნასიძისაღმი**

პ ი რ ი: სეა, 1450-51/261. გვ. 233-ა-234; XIX საუკუნის პირების დავთარი.
საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1826 წლის
24 ივლისს, ნომრით №264.

თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი ტმ (340), რაც გვაძლევს 1652 წელს.

[ქ.] ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისითა, ჩვენ, მისგანვე გვირგვინოს-
ნობით ნოდებულმან მეფემან, პატრონმან თ ე ი მ უ რ ა ზ და საყუარელმა
